

ენციკლოპედიური ლექსიკონი

ENCYCLOPEDICAL DICTIONARY

კავკასია ქართულ წყაროებში
CAUCASUS IN GEORGIAN SOURCES

უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები

Foreign States, Tribes, Historical Figures

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასია ქართულ წყაროებში

უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები

ენციკლოპედიური ლექსიკონი

ავტორები: ეკა კვაჭანტირაძე (პროექტის მენეჯერი), ქეთევან
ნადირაძე, გიორგი ოთხმეზური (პროექტის სამეცნიერო
ხელმძღვანელი), თამარ ქორიძე

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ გოილაძე
რედაქტორი: ქეთევან ნადირაძე

„ფავორიტი“
თბილისი
2012



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის მეშვეობით (№ A-22-09). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

წინამდებარე ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც ამ ხასიათის პირველი ნაშრომია ქართულ ისტორიოგრაფიაში, უპირველეს ყოვლისა ორიენტირებულია საზოგადოებას გააცნოს ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ინფორმაცია კავკასიის (საქართველოს გარდა) ქვეყნების, ქალაქების, ტომებისა თუ ისტორიული პირების შესახებ. წყაროთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს V-XVIII სს.

ლექსიკონი შეიცავს ქართულ და ინგლისურ ენებზე ანბანურად დალაგებულ 240 სტატიას. ლექსიკონს ერთვის დამატებები: ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და გეოგრაფიულ სახელთა განმარტებები.

www.rustaveli.org.ge

ISBN 978-9941-0-3946-1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

CAUCASUS IN GEORGIAN SOURCES

Foreign States, Tribes, Historical Figures

Encyclopedical Dictionary

Authors: Eka Kvachantiradze (Project Manager), Ketevan Nadiradze,
George Otkhmezuri (Research Manager), Tamar Koridze

Chief Editor: Vakhtang Goiladze

Editor: Ketevan Nadiradze

„Favorite“
Tbilisi
2012



Shota Rustaveli National Science Foundation

This project has been made possible by financial support from the Foundation of Georgian Studies, Shota Rustaveli National Science Foundation (Grant № A-22-09). All ideas expressed herewith are those of the author and may not represent the opinion of the Foundation itself.

This Encyclopedical Dictionary, the first work of this nature in Georgian historiography, is primarily intended to present to the audience the information about Caucasian (with the exception of Georgia) countries, cities, tribes and historical figures contained in Georgian sources. Chronologically the sources cover period from 5th to 18th century.

The Dictionary contains 240 articles in alphabetical order in Georgian and English languages. The Dictionary contains also the annexes: Glossary and Explanation of Geographical Names.

www.rustaveli.org.ge

ISBN 978-9941-0-3946-1

წინასიტყვაობა

კავკასია უძველესი დროიდან სხვადასხვა ტომებითა და ხალხებით დასახლებული რეგიონია და განსაკუთრებული ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. ქართული წერილობითი წყაროები ერთ-ერთი ძირითადი ინფორმაციის მატარებელია ჩრდილო და სამხრეთ კავკასიურ სახელმწიფოთა, აბორიგენული და მოსული თურქული წარმომავლობის სხვადასხვა ხალხთა, ტომთა თუ ისტორიულ პირთა შესახებ: ალბანეთი, ჩრდ. აზერბაიჯანი, სომხეთი, ჩერქეზეთი, ოსეთი, დაღესტანი; ხაზარები, ყივჩაყები, ჯიქები, ლეკები, ჩეჩენ-ინგუშები და სხვ. აქ საინტერესო ინფორმაცია მოიპოვება კავკასიაში მოსახლე ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების მიმართ, სადაც ბუნებრივია უპირატესობა მინიჭებული აქვს მათი ურთიერთობის გადმოცემას ქართულ სახელმწიფოსთან. ამდენად, ქართულ წერილობით წყაროებში, მეზობელი ქვეყნების ირგვლივ არსებული ცნობების მოძიება, შეკრება და წარმოჩენა საშურ საქმეს წარმოადგენს, თუნდაც ამ ქვეყნების წარსულის შესწავლის სრულყოფისათვის.

ჩვენი მიზანიც სწორედ ეს არის: შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მივანოდოთ მკითხველს ქართულ წერილობით წყაროებში არსებული მასალა კავკასიის რეგიონის (საქართველოს გარდა) შესახებ. წყაროთა სპექტრი ასეთია: ნარატიული ძეგლები, საგვარეულო მატრიანეები, ისტორიული ქრონიკები, დოკუმენტური წყაროები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა.

წინამდებარე ენციკლოპედიურ ლექსიკონში თავმოყრილია და სტატიების სახით არის წარმოდგენილი ქართულ შუასაუკუნოვან წერილობით წყაროებში გაბნეული ინფორმაცია კავკასიის რეგიონში არსებულ (საქართველოს გარდა) სახელმწიფოთა, ტომთა, ისტორიულ პირთა თუ გეოგრაფიულ პუნქტთა შესახებ. წყაროთა ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს V-XVIII სს. ნაშრომი ეყრდნობა შემდეგ წყაროებს შემდეგი გამოცემებით:

I. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955; ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.

„ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლი (უძველესი დროიდან XIV ს-მდე) წარმოადგენს საქართველოს ისტორიის უმთავრეს წყაროს, შესაბამისად ქართულ ისტორიოგრაფიაში და არა მხოლოდ ქართულში, მის შესახებ კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც მუდმივი პროცესია და დღემდე გრძელდება. ამდენად, ისტორიოგრაფიაში მრავალი თვალსაზრისი არსებობს მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების მოცულობის, დასათაურებისა თუ ავტორების ვინაობის შესახებ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ვეყრდნობით ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებას“ (არსებობს სხვადასხვა გამოცემები), ხოლო ს. ყაუხჩიშვილს ძველი გამოცემული აქვს ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული შედგენილობის (სტრუქტურის) მიხედვით. ამდენად, ქვემოთ თხზულებათა დასათაურება და თითოეული თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის ვერსიის თანახმად.

ტომი I.

1. ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.
2. ლეონტი მროველი, „წინოს მიერ ქართლის მოქცევა“.
3. ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.
4. ლეონტი მროველი, „მეფე ქართლისა არჩილი“.

5. „მატიანე ქართლისა“.
6. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.
7. ლაშა-გიორგის დროინდელი მათიანე (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა).
8. სუმბატ დავითის-ძე, „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“.

ლეონტი მროველი მიჩნეულია XI ს-ის I ნახ. მოღვაწედ, რომლის შესახებაც მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ იგი თხზულებათა ავტორია, ნაწილს კი რედაქტორ--გადამწერად მიაჩნია. მისი პირველი ორი თხზულება გადმოგვცემს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან ვიდრე ახ.წ. V ს-მდე, ხოლო მესამე თხზულება ეხება VIII საუკუნეს. ვახტანგ გორგასლის ცხოვრების ავტორი მეცნიერთა გარკვეული აზრით XI საუკუნის ისტორიკოსია, ნაწილი მას VIII საუკუნის ავტორად, ნაწილი კი ვახტანგ გორგასლის (V ს. მე-II ნახ.) თანამედროვედ მიიჩნევს. „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს VIII-XI სს-ის ისტორიას, ხოლო თხზულება დანერგილი უნდა იყოს XI ს-ის მე-II ნახევარში. ისტორიული ძეგლის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ უცნობი ავტორი დავით აღმაშენებლის თანამედროვეა, რომელიც 1072-1125 წლების ისტორიას მოგვითხრობს. სუმბატ დავითის ძე ძირითადად VI-XI სს-ის მოვლენებს გადმოგვცემს, თავად კი XI ს-ის I ნახ. ისტორიკოსად ითვლება.

ტომი II:

1. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“
2. ბასილი ეზოსმოძღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.
3. ჟამთააღმწერელი.
4. ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, პირველი ტექსტი.
5. „ახალი ქართლის ცხოვრება“, მეორე ტექსტი.
6. „ახალი ქართლის ცხოვრება“, მესამე ტექსტი.

თამარ მეფის (1184-1207/10) ეპოქის შესახებ ორი თხზულებაა წარმოდგენილი: პირველი „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, რომელიც მოიცავს გიორგი III (1156-84), თამარის მამის და თავად თამარის დროის ისტორიას. ავტორი XII-XIII სს. მიჯნის მოღვაწეა. ბასილი ეზოსმოძღუარს კი ივ. ჯავახიშვილი თამარის დროინდელ სახელმწიფო მოღვაწედ მიიჩნევს. ჟამთააღმწერლის თხზულება მოიცავს ლაშა-გიორგის გამეფებიდან (1207/10) გიორგი V ბრწყინვალეს გამეფებამდე (1314/18) ისტორიას, თავად კი XIII ს. II ნახ-XIV სს. I ნახ. მოღვაწეაა მიჩნეული.

XVIII საუკუნეში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1703-34) თაოსნობით შეიქმნა მეცნიერთა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა აქამდე არსებული „ქართლის ცხოვრების“ სარედაქციო გადამუშავება და მისი გაგრძელების დანერგა. ამ კომისიას სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიებენ „სწავლულ კაცთა კომისიის“ სახელით, ხოლო მათ მიერ შექმნილ საისტორიო თხზულებას „ახალი ქართლის ცხოვრებად“. აღნიშნულ კომისიას გარკვეულ დროს ხელმძღვანელობდა ბერი ეგნატაშვილი. მდიდარ წყაროებზე დაყრდნობით შეადგინეს „ახალი ქართლის ცხოვრება“ XIV ს-დან ვიდრე XVII ს-ის ბოლომდე. ს. ყაუხჩიშვილმა თავის გამოცემაში შეიტანა „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეორე და მესამე ტექსტი.

ტომი IV:

ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1758) „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ვახუშტის შრომა მოიცავს საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. ვახუშტი თხზულებას ორ ნაწილად ყოფს: სამოქალაქოდ და საეკლესიოდ, ხოლო თითოეული მათგანი ოთხ ნაწილად იყოფა: გეოგრაფიული მიმოხილვა, გენეალოგია, ქრონოლოგია, პოლიტიკური ისტორია. ვახუშტიმ საქართველოს ისტორიის ქრონოლოგია დააზუსტა, შეადგინა სრული გეოგრაფიული აღწერილობა, რასაც საქართველოს რუკები დაურთო. ნაშრომში ორი ძირითადი საკითხია გადაწყვეტილი: „ქართლის ცხოვრების“ ციკლის (XIV ს-მდე) რედაქტირება და შევსება; 2. XIV-XVII ს-ის ისტორიის დაწერა. ვახუშტი მის მიერ გამოყენებულ ყველა საისტორიო წყაროს ასახელებს, რომლის ნუსხაც ძალიან მრავალფეროვანია და სანდოობით ხასიათდება.

- II. ფარსადან გორგიჯანიძე (1626-96), „ისტორია“, ს. კაკაბაძის რედ. 1926. თხზულებაში აღწერილია საქართველოს ისტორია გაქრისტიანებიდან XVII ს-ის ბოლომდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია XVII ს. ისტორიის მომცველი ნაწილი, როგორც პირველხარისხოვანი წყარო, თუმცა მთლიანად ნაშრომში ბევრგან აზუსტებს და ავსებს ქართულ წყაროებს.
- III. სენია ჩხეიძე (დაახ. 1670-1745) „ცხოვრება მეფეთა“ ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1913. თხზულებაში გადმოცემულია 1653-1739 წლების ქართლ-კახეთის ისტორია.
- IV. ომან ხერხეულიძე (XVIII ს. II ნახ.; ერეკლე II-ის თანამედროვე), „მეფობა ირაკლი მეორისა“. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. 1989. თხზულებაში გადმოცემულია 1722-82 წლების ქართლ-კახეთის ისტორია.
- V. პაპუნა ორბელიანი (XVIII ს. მოღვაწე) „ამბავნი ქართლისანი“, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. ცაგარეიშვილმა 1981. თხზულებაში გადმოცემულია 1739-58 წლების ისტორია.
- VI. თეიმურაზ ბაგრატიონი (1782-1846), „ახალი ისტორია“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. 1983. თხზულება შეიცავს საქართველოს ისტორიის მასალებს 1744 წ-დან 1819 წ-მდე.
- VII. ბაგრატ ბატონიშვილი (1776-1841), „ახალი მოთხრობა“, თ. ლომოურის გამოცემა, 1941. თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს ისტორიული მოვლენები XVIII ს. შუა ხანებიდან XIX ს. 40-იან წლებამდე.
- VIII. „ცხოვრება საქართველოსა“ (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, 1980. თხზულების ავტორია XVIII ს-ის I ნახევრის უცნობი ისტორიკოსი. აქ გადმოცემულია 1337-1683 წლების ისტორია.
- IX. იესე ბარათაშვილი, „ცხოვრება ანდერძი“, ქართული მწერლობა, ტ.8. 1990. XVIII ს-ის მოღვაწე, გადმოსცემს საკუთარ ბიოგრაფიას, თანამედროვე ისტორიული მოვლენების ფონზე.
- X. ნიკო დადიანი (1780-1834) „ქართველთ ცხოვრება“, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, 1962. თხზულება წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელოს საქართველოს ისტორიაში, სადაც გადმოცემულია ისტორია უძველესი დროიდან 1823 წლამდე.

- XI.** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. პირველი ოთხი ტომი ილ. აბულაძის რედაქციით, მეხუთე ტომი მზ. შანიძის რედაქციით. ტ. I, 1963; ტ. II, 1967; ტ. III, 1971; ტ. IV, 1968; ტ. V, 1989.
1. იაკობ ხუცესი, „მარტილობაა შუშანიკისი“, V ს. ძეგლი.
„წამება შუშანიკ დედოფლისა“, მეტაფრასტული რედაქცია.
 2. იოანე საბანის ძე, „წამებაა წმიდისა და ნეტარისა მონამისა ქრისტესისა ჰაბიბოდისი“, VIII ს. ძეგლი.
 3. „მოქცევაა ქართლისაა“, შედგება ორი ნაწილისაგან: 1. მოკლედ არის გადმოცემული ქართლის სამეფოს ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX ს-მდე, 2. ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ვრცელი „ცხოვრება“. ეს ორი თხზულება სავარაუდოდ გვიან უნდა იყოს გაერთიანებული. თხზულების დათარიღების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ბოლოდროინდელი მონაცემებით მიაჩნიათ: „ნინოს ცხოვრების“ მოთხრობათა ციკლი ნინოს თანადროულადაა შექმნილი და მისგან მომდინარეობენ ქართლის მოქცევის ბიზანტიური (IV ს.) და სომხური (V ს.) ვერსიები. წყაროს შევსება-რედაქტირება უნდა მომხდარიყო V, VII და IX ს.ს-ებში.
 4. „წმინდა ნინოს ცხოვრება“, არსენ ბერისეული (XI ს. II ნახ.-XII ს. I ნახ.) რედაქციით; XII ს-ის ანონიმი ავტორი „ცხოვრებაა და მოქალაქეობაა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდისი“, მეტაფრასტული რედაქციები.
 5. „მარტილობაა დავითისა და ტირიჭანისა“, წარმოადგენს IX ს-ის ძეგლს, მოთხრობილია VIII ს-ის მოვლენები.
 6. სტეფანე მტბევეარი, „წამებაა წმიდისა მონამისა გობრონისი“, დანერილია 914-18 წლებში.
„გობრონის წამება“, სვინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.).
 7. „დავით და კონსტანტინეს წამება“ (VIII საუკუნის მოღვაწეები); ძეგლი ეკუთვნის XI-XII სს. მიჯნას.
 8. გიორგი მცირე, „ცხოვრებაა და მოქალაქეობაა გიორგი მთაწმინდელისაა“; ავტორი წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის (1009-106) მონაფეს.
 9. „წამებაა ელიზბარისი, შალვასი და ბიძინასი“, სვინაქსარული რედაქციები (XVII-XVIII სს.).
 10. ბესარიონ ორბელაშვილი, „ლუანლი წმიდისა და სანატრელისა მონამისა და მეფისა ლუარსაბისი, რომელი იწამა შაჰ-აბაზ უსჯულოისა მიერ სპარსთა მეფისა“ (ლუარსაბ II, 1592-1622); თხზულება დაინერა XVIII ს-ში.
- XII.** ეფრემ მცირე (XI ს. II ნახ.), „უნყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“, გამოიცა თ. ბრეგაძის მიერ, 1959.
- XIII.** არსენ საფარელი (დაახ. 820/30-77), „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, 1980.
- XIV.** აბუსერიძე ტბელი (დაახ. 1190-1240), „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე“, ლ. მუსხელიშვილის რედ., 1941.
- XV.** „მესხური მატთანე“, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.); ტექსტის პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, 1961.
- XVI.** „ძეგლი ერისთავთა“ (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთანე), ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის, ნაკ. 30. 1954.
- XVII.** ქართული სამართლის ძეგლები; ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლე-

- ბი დაურთო ი. დოლიძემ. ტ. I. 1963; ტ. II, 1965; ტ. III, 1970; ტ. IV, 1968; ტ. V, 1974; ტ. VI, 1977; ტ. VII, 1981; ტ. VIII, 1985.
- XVIII.** „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“ შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ. წიგნ. I, 2004; წიგნ. II. 1897; წიგნ. III. 1967.
- XIX.** მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, 1968.
- XX.** ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, 1984.
- XXI.** ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები; ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო გ. ფუთურიძემ, 1955.
- XXII.** შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1700), I, 1958.
- XXIII.** პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I-IV ტომები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- XXIV.** ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, 2008.
- XXV.** ს. მაკალათია, თედმის ხეობა, 1959.
- XXVI.** ვ. სილოგავა, ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერა. მაცნე, ისტორიის სერია, №1, 1980;
- XXVII.** ვ. სილოგავა, კუმურდო-ტაძრის ეპიგრაფიკა, 1994.
- XXVIII.** ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, 1998.
- XXIX.** Н.Я. Марр, Надпис Эпифания, Котоликоса Грузии, Известия Акад. Наук. 1910.
- XXX.** Грузинские документы института народов Азии, С. Какабадзе, М. 1967.
- XXXI.** Грузинские дворянские Грамоты, 1881.

ლექსიკონის სტატიებში ჩართულია განმარტებები და თარიღები სამეცნიერო ლიტერატურიდან, რომლებიც ჩასმულია ფრჩხილებში. ნაშრომის შესრულების დროს თემატიკის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ფართო სპექტრია გამოყენებული, ძირითადად ქართული, ნაწილობრივ უცხოური (აზერბაიჯანული, სომხური...), (იხ. ბიბლიოგრაფია). ქართველ მეფეთა და ერისმთავართა მოღვაწეობის დათარიღება ძირითადად აღებულია წიგნიდან „საქართველოს მეფეები“, რედ. მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, 2000.

ავტორები ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ ამ ტიპის ლექსიკონის შექმნა ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველად ხდება და იგი არ იქნება დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისგან. ყველა საქმიანი შენიშვნა და სურვილი მადლიერებით იქნება მიღებული და მომავალში გათვალისწინებული.

INTRODUCTION

Caucasus is the region settled with the tribes and peoples from the ancient times, distinguished with its ethnical diversity. Georgian written sources contain information about states, aboriginal and resettled peoples and tribes of Turkic origin, as well as the historical persons in North Caucasus and South Caucasus: Albania, North Azerbaijan, Armenia, Turkey, Ossetia, Dagestan; Khazars, Kipchaks, Jiks, Lezghins, Chechens and Ingushs and others. Here are the interesting data about relationships between the peoples and states in Caucasus, of course, with the emphasis on description of their relations with Georgian state. Thus, seeking, collection and presentation of data about neighboring countries in Georgian written sources is of great significance, inter alia, for studying of the past of these countries. This is our goal: provide to the audience as much materials as possible about Caucasian Region (with the exception of Georgia).

The range of sources include: narrative monuments, family chronicles, historical chronicles, documentary sources, epigraphical monuments, hagiographic literature.

This Encyclopedical Dictionary offers the collection of information about the countries (except for Georgia), tribes, geographical places and historical persons contained in Georgian medieval written sources in a form of articles.

Chronological range of the sources covers the period from 5th to 18th century. Work is based on the following editions of the following sources:

I. “Kartlis Tskhovreba”, text identified based on all key manuscripts by S. Kaukhchishvili, v. I 1955; v. II 1959; v. IV 1973.

The old cycle of “Kartlis Tskhovreba” (from the ancient time to 14th century) is the main source of the history of Georgia and hence, in Georgian historiography and not only in Georgian one, its research has long history, it is a permanent process ongoing up to present. So, there are numerous views in Georgian historiography dealing with the scopes of its parts, titles and identities of the authors. As we have already mentioned, we rely upon “Kartlis Tskhovreba” edited by S. Kaukhchishvili (there are different editions) and S. Kaukhchishvili has edited the monument according to the composition (structure) developed by Iv. Javakhishvili. Titles of the works and chronological frames of each work are presented according to Iv. Javakhishvili’s version.

Volume I

1. Leonti Mroveli “Life of Georgian Kings”
2. Leonti Mroveli “Conversion of Kartli by Nino”
3. Juansher “Life of Vakhtang Gorgasali”
4. Leonti Mroveli “Archil, King of Kartli”
5. “Matiane (Chronicles) of Kartli”
6. “Life of David King of Kings”
7. Historian of the Period of Reign of Lasha-Giorgi (Life of King Demetre, Life of King George, Life of Queen of Queens Tamar, Life of King George, Son of Tamar).
8. Sumbat Davitis-dze “Tskhovreba da utskeba Bagratonianta” (Life and Tale of Bagratonians)

Leonti Mroveli is regarded as the scholar of 1st half of 11th century; some scientists regard him as the author of the works and the others – as editor – scribe. His first two works

describe the history of Georgia from ancient time to 5th century AD and the third work deals with 8th century. Author of *Life of Vakhtang Gorgasali*, in the opinion of some researchers is the historian of 11th century; some of them regard him as an author of 8th century and some – as contemporary of Vakhtang Gorgasali (2nd half of 5th century). “*Matiane (Chronicles) of Kartli*” provides history of 8th – 11th centuries and the work, supposedly, was written in 2nd half of 11th century. Unknown author of “*Life of David King of Kings*” is the contemporary of David the Builder, who wrote the history of period from 1072 to 1125. Sumbat Davitis-dze describes mostly the events of 6th – 11th centuries and he is regarded as historian of 1st half of 11th century.

Volume II:

1. “Histories and Chronicles of the Crowned Monarches”
2. Basili Ezosmodzghvari “Life of Queen of Queens Tamar”
3. Zhamtaaghmtsereli
4. Beri Egnatashvili “Akhali Kartlis Tskhovreba”, First Text
5. “Akhali Kartlis Tskhovreba”, Second Text
6. “Akhali Kartlis Tskhovreba”, Third Text

There are presented two works about the period of reign of Queen Tamar (1184-1207/10): first “Histories and Chronicles of the Crowned Monarches” contains the history of the period of reign of George III (1156-84), father of Tamar and period of Tamar’s reign. The author is the scholar of turn of 12th – 13th centuries. Iv. Javakhishvili regards Basili Ezosmodzghvari as the statesman of the period of reign of Tamar. Work of Zhamtaaghmtsereli covers the period from enthroning of Lasha-Giorgi (1207/10) to enthroning of George the Brilliant (1314/18) and the author is supposed to be the scholar of 2nd half of 13th and 1st half of 14th centuries.

In 18th century, by the incentive of Vakhtang VI, King of Kartli (1703-34) special commission of the scientists was established. The commission was in charge of editing of existing “Kartlis Tskhovreba” and writing of its continuation. This commission is referred to in the scientific literature as the “Commission of Science Men” and the historical work developed by them – “Akhali Kartlis Tskhovreba” (New Life of Kartli). For certain period the mentioned Commission was chaired by Beri Egnatashvili. Based on the rich sources they developed “Akhali Kartlis Tskhovreba” covering period from 14th century to the end of 17th century. S. Kaukchishvili included into his publication the first, second and third texts of “Akhali Kartlis Tskhovreba”.

Volume IV:

Vakhushti Batonishvili (1696-758) “Description of Kingdom of Georgia”. Vakhushti’s work includes the history of Georgia from ancient period to 18th century. Vakhushti divided his work into two parts: the temporal and religious ones and each of them is further divided into four parts: geographical overview, genealogy, chronology, political history. Vakhushti provided more exact chronology of the history of Georgia, developed complete geographical description and attached the maps of Georgia to it. Work provides solutions of two key issues: 1. editing and completing of “Kartlis Tskhovreba” cycle; 2. writing of the history of 14th – 17th centuries. Vakhushti names all historical sources used by him and the list of references is very wide and reliable.

- II.** Parsadan Gorgijanidze (1626-96) “The History”, editor: S. Kakabadze, 1926. The work describes history of Georgia from the period of conversion into Christianity to the end of 17th century. Part containing history of 17th century is of special significance as the original source, though the entire work in many cases provides more exact and complete data.
- III.** Sekhnia Chkheidze (approximately 1670-1745) “Life of Kings”, editor Z. Chichinadze, 1913. Work provides the history of Kartl-Kakheti from 1653 to 1739.
- IV.** Oman Kherkheulidze (2nd half of 18th century, contemporary of Erekle II) “Reign of Irakli II” text was prepared for publication and accompanied with the studies, dictionary and index by L. Mikiashvili, Tb. 1989. Work provides the history of Kartl-Kakheti of 1722-82.
- V.** Papuna Orbeliani (scholar of 18th century) “Ambavni Kartlisani” (History of Georgia). Text was identified and accompanied with the introduction, dictionary and indices by El. Tsagareishvili, Tb. 1981. Work provides the history of Kartl-Kakheti of 1739-58.
- VI.** Teimuraz Bagrationi (1782-1846) “New History”. Text was prepared for publication, with the study and indices by L. Mikiashvili, Tb. 1983. Work covers the period of the history of Georgia from 1744 to 1819.
- VII.** Bagrat Batonishvili (1776-1841) “Akhali Motkhroba” (New Story), T. Lomouri Edition, 1941. Work provides the events of the history of Georgia from the middle of 18th century to 40-ies of 19th century.
- VIII.** “Life of Georgia” (Paris Chronicles). Text was prepared and accompanied with the introduction, notes and indices by G. Alasania, Tb. 1980. Author of the work is unknown historian of 1st half of 18th century. Work covers the period from 1337 to 1683.
- IX.** Iese Baratashvili “Life Will”, “Georgian Fiction”, v. 8 1990. Author describes his own biography against the background of current historical events.
- X.** Niko Dadiani (1780-1834) “Life of Georgians”. Text was prepared for publication and accompanied with the introduction, studies, comments, indices and glossary by Sh. Burjanadze, 1962. Work is some kind of textbook of the history of Georgia from the ancient times to 1823.
- XI.** Monuments of Ancient Georgian Hagiographical Literature. First four volumes edited by Il. Abuladze, fifth volume edited by Mz. Shanidze. V. I 1963; v. II 1967; v. III 1971; v. IV 1968; v. V 1989.
1. Iakob Khutsesi “Martyrdom of Shushanik” monument of 5th century
“Martyrdom of Queen Shushanik” metaphrase edition
 2. Iovane Sabanis dze “Martyrdom of Saint and Blessed Witness of Christ Habibo” monument of 8th century.
“Martyrdom of Habo” metaphrase edition.
 3. “Konversion of Kartli” consists of two parts: a. brief description of history of Kartli from the campaign of Alexander Macedonian to 9th century. b. vast “Life” of St. Nino, elucidator of Georgians. Supposedly these two works were joined together later. There are different opinions with respect of dating of the work. According to the most recent data the cycle of stories about “Life of Nino” were written in the period of St. Nino’s life and they provided basis for Byzantine (6th century) and Armenian (5th century) versions of conversion of Kartli. Supposedly the source was supplemented and edited in 5th, 8th and 9th centuries.
 4. “Life of Saint Nino” edition of Arsen Bari (2nd half of 9th century – 1st half of 12th century); anonymous author of 12th century “Life and Citizenship of Praised and

- Deserved, Equal to the Apostles Blessed Nino” metaphor editions.
5. “Martyrdom of David and Tirichan” monument of 9th century describing events of 8th century.
 6. Stepane Mtbevari “Martyrdom of Saint Martyr Gobron” was written in 914-18. “Martyrdom of Gobron” (11th-18th centuries)
 7. “Martyrdom of David and Constantine” (figures of 8th century); monument is dated with turn of 11th – 12th centuries.
 8. Giorgi Mtsire “Life and Citizenship of George of Mtatsminda”. Author is the student of George of Mtatsminda (1009-1065).
 9. Martyrdom of Elizbar, Shalva and Bidzina” (17th – 18th centuries).
 10. Besarion Orbelishvili “Merit of Saint and Desired Witness and King Luarsab Martyred by Shah Abbas Infidel, King of Persians” (Luarsab II 1592-1622); work was written in 18h century.
- XII.** Ephrem Mtsire (2nd half of 11th century) “Utskeba Mizezsa Kartvelta Moktsevisas” [Ephraim the Small, Tale on the Reason for Conversion of the Georgians, Edition by I. Bregadze, 1959.
- XIII.** Arseni of Sapara (approximately 820-30-77), “On Division of Georgians and Armenians”. Text was critically identified and accompanied with th studies and comments Z. Aleksidze 1980.
- XIV.** Abusertidze Tbeli (approximately 1190-1240) “Construction of Bolok-Basili in Shuarkali and Family History of the Abuseridze”, editor: L. Muskhelishvili 1941.
- XV.** “Meskhuri Matiane” (Meskheti Chronicals), materials of history of South Georgia (15th – 18th centuries) publication, studies and indices by Kr. Sharashidze, 1961.
- XVI.** “Dzegli Eristavta” (Annals of the Eristavi) (Family Chronicles of the Eristavi of Ksani) Text was edited and accompanied with the studies, glossary and indices by Sh. Meskhia; materials on the history of Georgia and Caucasus, 30 1954. Written in 1348-1400.
- XVII.** Monuments of Georgian Law; Text was edited and accompanied with the notes and indices by I. Dolidze. V. I 1963; v. II 1965; v. III 1970; v. IV 1968; v. V 1974; v. VI 1977; v. VII 1981; v. VIII 1985.
- XVIII.** “Chronicles and Other Materials of Georgian History and Literature” collected, chronologically sorted and explained by T. Zhordania; book I 2004; book II 1897; book III 1967.
- XIX.** Small Chronicles (Historical notes of Kinclases) text was prepared for publication and accompanied with the comments by J. Odisheli 1968.
- XX.** Corps of Georgian Historical Documents I, 9th – 13th centuries. Collected and prepared for publication by T. Ehlukidze, V. Silogava, N. Shoshiashvili 1984.
- XXI.** Georgian-Persian Historical Documents; text was identified and accompanied with the translation and comments by G. Puturidze 1955.
- XXII.** Sh. Burjanadze Historical Documents of Imereti Kingdom and Guria-Odishi Samtavros (1466-1700), I. 1958.
- XXIII.** Annotated Dictionary of Persons I-IV volumes, National Center of Manuscripts.
- XXIV.** Documents Issued by Erekle II in 1736-1797, 2008.
- XXV.** S. Makalatia, Tedzami Gorge 1959.
- XXVI.** V. Silogava. One Georgian Inscription on Karsi Fortress. Matsne, History Series #1, 1980.
- XXVII.** V. Silogava. Epigraphics of Kumurdo-Temple, 1994
- XXVIII.** E. Metreveli, Book of the Georgian Monastery of Athos, 1998.
- XXIX.** N. Ya. Marr, Inscription of Epiphanius, Catholicos of Georgia. Proceedings of the

Academy of Sciences 1910.
XXX. Georgian Documents of the Institute of the Nations of Asia. M. 1967.
XXXI. Deeds of Georgian Noblemen 1881.

Articles in the Dictionary contain the explanations and dates from the scientific literature specified in the brackets. Work implementation included use of wide range of Georgian and foreign (Azerbaijani, Armenian) scientific literature dealing with the considered issues (see References). Dating of the periods of rule of Georgian kings and erismtavari was basically taken from the book “Kings of Georgia”, editors: M. Lortkipanidze, R. Metreveli 2000.

The authors consider that this type of dictionary was developed in Georgian scientific sphere for the first time and it is not secured from certain gaps. All remarks and desires will be welcomed and taken into consideration for the future.

აბაზუპი და ბაზუპი – ოსთა მეფეები (მმართველები). (დაახ. ძვ. წ. II-ს-თ მიჯნა) ა. და ბ. იხსენიებიან: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ. ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973).

ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა* (დაახ. ძვ. წ. II-ს-თა მიჯნა) გადაწყვიტეს ქართლის საზღვრების შემომტკიცება და სომეხთაგან წართმეული მიწების დაბრუნება. ამ დროს სუმბატ ბივრიტიანმა (სომეხთა უფლისწულის – არატაშანის აღმზრდელი და სპასპეტი) მოკლა სომხეთის მეფე იარვანდი (იგულისხმება იარვანდთა დინასტია) და ტახტზე აიყვანა, მისი ძმა არატაშანი. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს ქართველმა მეფეებმა, მოუწოდეს ოსებს, ლეკებს, ჯიქებსა და დიდოელებს, ერთიანი ძალით ელაშქრათ სომხეთში. გადმოიყვანეს ოსთა მეფეები, ორი ძმა – გოლიათი ა. და ბ. ჯარით შევიდნენ სომხეთში და მოარბიეს: შირაკუანი, ვანანდი (დღ. თურქეთი) ბაგრევანამდე (დღ. თურქეთი) და ბასიანამდე (საქართველოს ისტორიული მხარე, დღ. თურქეთი), ასევე დაშტი (ველი) ნახჩევანამდე. წამოიღეს დიდძალი ალაფი, წამოიყვანეს ტყვეები (ლ. მ. 45). სუმბატ ბივრიტიანმა შეკრიბა სომეხთა ჯარი და მტერს დაედევნა. მოკავშირეებმა ამ დროისათვის გადალახეს მდ. მტკვარი, მივიდნენ კამბეჩოვანს (კახეთი) და ბანაკი გაშალეს მდ. იორის პირას. იყოფდნენ ალაფს. სუმბატმა მათ მოციქული გაუგზავნა და მხოლოდ ტყვეების დაბრუნება ითხო-

ვა. მოკავშირეებმა მასთან შებრძოლება გადაწყვიტეს. თავდაპირველად გაიმართა ორთაბრძოლა სუმბატსა და ბ-ს შორის, სუმბატმა ბ. შუბით განგმირა. მაშინ სუმბატს შეება ა., რომელიც ასევე შუბით მოკლა. მოკავშირეები ქართველ მეფეთა მეთაურობით ძმების სისხლის ასაღებად სომეხთა ლაშქარს შეებნენ, სომხებმა გაიმარჯვეს (ლ. მ. 45-46; ვ. ბ. 64-65).

* ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეფემ ადერკიმ (დაახ. ძვ. წ. II-ის I ნახ.). ქართლის სამეფო თავის ორ შვილს შორის გაყო. აქედან იწყება ორმეფობა ქართლში და გრძელდება დაახ. ძვ. წ. I ს-ის 70-იან წ-მდე.

ქ. ნადირაძე

აბას ყული ხანი – განჯის ხანი და კახეთის მფლობელი (XVII ს. ბოლო – XVIII ს. დასაწყისი). ა.ყ. ხანი იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); სეზენია ჩხეიძე „მეფეთა ცხოვრება“ (1913); ისტორიული დოკუმენტები (ქ.ს.დ. III, 1970; IV, 1972).

გიორგი XI-ის (ქართლის მეფე 1676-88, 1703-09) მემანდარს ა.ყ. ხანს ირანის შაჰმა (სულთან ჰუსეინი 1694-1722) განჯის ხანობა, შემდეგ კი კახეთის მმართველობა ჩააბარა (ფ.გ. 67; პ.ო. 120-21; ვ.ბ. 606; ს.ჩ. 7; დ. 1028, ქ.ს.დ. III, 691). ა.ყ. ხანი შაჰთან აქებდა გიორგის და მისი წყალობით უბოძეს მას ქართლის მეფობა (ფ.გ. 67). გიორგი XI წერდა ა.ყ. ხანს, რომ ის შაჰის ყმა იყო და მასთან სურდა წასვლა, მაგრამ

გადადო გამგზავრება. ა.ყ. ხანი წერს შაჰს წერილს, რომელშიც მოთხოვნილია ერეკლე I-ისა (ნაზარალი ხანი, ქართლის მეფე 1688-1703) და გიორგი XI-ის ურთიერთობის შესახებ (ფ.გ. 79). შაჰის სარდალმა ჰაჯი-ალიმ ნაზარალი ხანის ვეზირად დანიშნა ყიასა, რომელსაც საქართველოში სიტუაციის დაძაბვა და კახეთის მფლობელის ა.ყ ხანის შეცდენა დაავალა (ფ.გ. 80). ა.ყ. ხანმა გაგზავნა შაჰის კარზე ბარდის ხანი და გიორგი XI-ის წარმომადგენლები, რომლებმაც მოახსენეს შაჰს ა.ყ ხანისთვის გიორგის მიერ მიწერილი წერილის შინაარსი. გიორგის გადაეფიქრებინა შაჰთან წასვლა, რადგან თავს დამნაშავედ არ ცნობდა (ფ.გ. 84). ა.ყ. ხანს უბრძანეს ნაზარალი ხანთან თბილისში ჩასვლა (ფ.გ. 85). ნაზარალი-ხანი მოელაპარაკა ა.ყ. ხანს ერწო-თიანეთის (ისტორიული მხარე აღმოს. საქართველოში, მდ. ივრის ზემო წელზე) დაპყრობაზე. ა.ყ. ხანმა გაგზავნა კახელები და დაიპყრეს ერწო-თიანეთი (ვ.ბ. 469, 607). ა.ყ. ხანი კახელებისა და განჯელების ლაშქრით მივიდა ნაზარალი-ხანის დასახმარებლად გიორგი XI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ დამარცხდა, უკან დაიხია და მივიდა თბილისში (ვ.ბ. 470, 607). ა.ყ. ხანმა დუშია მოურავი კახელების მეთაურად დანიშნა (ვ.ბ. 607). ნაზარალი-ხანმა შაჰთან მოციქული გაგზავნა და დააბეზლა ა.ყ. ხანი, რომ ის გიორგი XI-ის მხარდამჭერი იყო. შაჰმა დაუჯერა ნაზარალი-ხანს, გაუგზავნა ჯარი ა.ყ. ხანის შესაპყრობად და მასთან გასაგზავნად (ვ.ბ. 471-72).

ე. კვაჭანტირაძე

აზრაამ (აზრაჰამ ალგათიანელი) – სომეხთა კათოლიკოსი (607-615). კათოლიკოსობამდე რშტუნთა ეპისკოპოსი იყო. ესწრებოდა დვინის 607 კრებას და ხელი მოაწერა კრებაზე შემუშავებულ კანონებს. 607 წელსვე დვინში ხელმეორედ შეკრებილმა კრებამ იგი კათოლიკოსად აირჩია. ა. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

სომეხთა კათოლიკოს ნერსეს (ნერსე II – 548-57) გარდაცვალების შემდეგ საკათალიკოსო ტახტი ა-მა* დაიკავა (ა.ს., 82). კათალიკოსმა ა-მა ითხოვა ქართლის კათოლიკოს კირიონისაგან (კირიონ I – 599-614/616) მის მიერ ქართლიდან განდევნილი ცურტავის ეპისკოპოსოს მოსეს თავის საყდარზე დაბრუნება (განყოფისათვის, 82). ა-მა მოუწოდა სომხეთის სამღვდელთა („მღდელთა არარატისათა“) შეიჭვენებინათ ქალკედონის კრება (451 IV მსოფლიო საეკლესიო კრება). მან შეიმუშავა დიოფიზიტური სარწმუნოების სიმბოლო, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს ორ - ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებას. კრების შემდეგ დიოფიზიტები და მონოფიზიტები საბოლოოდ გაემიჯნენ ერთმანეთს და განდგომოდნენ მას (ა.ს., 82). ა-ის შემდგომ კათოლიკოსი გახდა კომიტოსი. კათოლიკოსმა ა-მა დაიბარა არარატის** მონასტერთა (ოშაკნის, ელივარდის, არამუნთა და გარნისის) უხუცეები და მოსთხოვა, დაეწყევლათ ქალკედონის კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა (ა.ს., 90).

* არსენ საფარელი კათოლიკოსებს ნერსე II-სა და აბრაჰამს შორის არ ასახელებს ორ კათოლიკოსს და ერთ კათოლიკოსის ადგილის მცველს; ესენი არიან – იოანე II გაბელენელი (557-574), მოსე ელივარდელი (574-604) და ვრთანეს ქერდოლი (604-607), (ა.ს. 131).

** დიდი სომხეთის ცენტრალური პროვინცია. მასში 20 გავარი შედიოდა. 591 გაყოფის შედეგად არარატის ოლქის დიდი, დასავლეთი ნაწილი ბიზანტიის ხელში აღმოჩნდა, ხოლო მცირე, აღმოსავლეთი ნაწილი, ცენტრით დვინში, სპარსეთის.

თ. ქორიძე

აგულაგაზი – IX საუკუნის სომეხი ერისთავი. ა. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბულა-თურქის (IX ს-ის არაბი სარდალი) მთიულეთში (ისტორიული პროვინცია აღმ. საქართველოს მთიანეთში, მდ. თეთრი არაგვის ხეობაში) ლაშქრობის დროს სომეხთა ერისთავმა ა-მა და გუარამ აშოტის ძემ შეატყობინეს მთიულეებს, რათა არ შეეშვათ ისინი (მ.ქ. 256; ვ.ბ. 130).

ე. კვაჭანტირაძე

აღამ არაგანოტელი – წარჩინებული სომეხი არეგანიდან. ა. ა. იხსენიება: „მარტვილობა და დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

„დავითისა და ტირიჭანის მარტვილობის“ ავტორი ნერსე სომეხთა კათოლიკოსისა და ა. ა-ს თანამედროვედ ასახელებს წმიდა მოწამეების დავითისა და ტირიჭანის მამას ერისთავ ვარ-

დანს („დავითისა და ტირიჭანის მარტვილობა“, 186).

თ. ქორიძე

ავეტიქ შავუზატოვი – სომეხი სახაზინო აზნაური (XVIII ს. ბოლო). ა.შ. იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში (Грузинские дворянские грамоты, 1881).

1797 საბუთის მიხედვით, მეფე ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) დანიშნა ა.შ. სამეფო კარის მდივანად (Г.Д.Г., 30).

ე. კვაჭანტირაძე

ათრაქა შარალანის ქა – ყივჩაყთა მთავარი, საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) სიმამრი. ა. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955).

დავითმა მოიყვანა მეორე ცოლად სიკეთით განთქმული ყივჩაყთა მთავრის ა-ს ასული – გურანდუხტი (დ.ი. 336).

ქ. ნადირაძე

ალანები – სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი ნახევრად მომთაბარე ტომები, ისტორიის ასპარეზზე გამოჩნდნენ ახ. წ. I ს-ის 30-იანი წლებიდან მდ. დონის (ტანაისის) დასავლეთით და აზოვისპირეთში, ხშირად ლაშქრობდნენ სამხრეთ კავკასიაში. ა. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი შა-

რავანდეთიანი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962).

გიორგის (გიორგის III, საქართველოს მეფე 1156-84) ძღვენის მიმცემ და მეგობარ ხალხს შორის დასახელებულნი არიან ა. (ი-ა. 23). ეგრისის, სვანეთის საზღვრების აღწერისას ა. რამდენჯერმე იხსენიებიან (ვ.ბ. 743,785; ნ.დ. 151-52). ა-ის ქვეყანა იყო სვანეთის (დასავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონი, მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს) დასავლეთით და ბედიის (გეოგრ. პუნქტი აფხაზეთში, ძველი სახელწოდება ეგრისი) ჩრდილოეთით. ადრე ქრისტიანები იყვნენ, ახლა კერპთაყვანისმცემლები არიან, ზოგი მაჰმადიანია. მათი ქვეყანა მთიანი და მყინვარიანია. ეს ქვეყანა ქართველმა მეფეებმა დაისაკუთრეს (ვ.ბ. 788-89; ნ.დ. 152). ლეონმა (ლეონ II, აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე 758-98) აფხაზეთის სამეფო რვა საერისთავოდ დაყო. მეორე ერისთავი დასვა ცხუმში და „მისცა ეგრის-იქითა ანაკოფია აღანიურთ“ (ვ.ბ. 796).

ე. კვაჭანტირაძე

ალთუნის – ოსის ქალი. ა. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

მეფე დავითს (დავით VII ულუ, საქართველოს მეფე 1246-70) თავის მეუღლესთან – დედოფალ ჯიგდა-ხათუნთან არ ჰყავდა შვილი. მემკვიდრის გაჩენის მიზნით, მოიყვანა ალთუნი,

„ნათესავით ოსი“. მისგან შეეძინა ძე გიორგი, რომელიც ჯიგდა-ხათუნმა შვილად მიიღო და ქალიშვილი – თამარი. ამის შემდეგ დავითმა „განიშორა საყუარელი თვისი ალთუნ“ (ყ. 236-37; ვ. ბ. 217), (ვ. ბ. ალთუნს – ოსთა მეფის ასულად მოიხსენიებს).

ქ. ნადირაძე

ალი – ლეკთა წინამძღვარი (XVIII ს. 90-იანი). ა. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

1798 ლეკები თავს დაესხნენ ცხინვალს (ქალაქი ქართლში), მაგრამ ვერაფერი გააწყვეს და უკუქცეულები მეფე გიორგის (გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800) ძეს იოანეს გადაეყარნენ დირბში, სადაც გამართულ ბრძოლაში დაიღუპა ლეკთა ჩინებული წინამძღვარი ა. ფოლადად წოდებული (თ.ბ. 66).

თ. ქორიძე

ალი სკანტი – ლეკი, ავარიის // ხუნძახის ხანის ომარის ნათესავი (XIX ს-ის დასაწყისი). ა. ს. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

მეფის (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) ძე ალექსანდრემ ქართველთა და ომარ-ხანის ნათესავის ა.ს-ის მეთაურობით ლეკთა სამიათას-კაციანი გაერთიანებული ჯარით ყვარელთან დაამარცხა პოლკოვნიკი ტიხანოვსკი (თ.ბ., 85).

თ. ქორიძე

ალისულთანო (შამშადილისა) – (XVIII ს. მე-2 ნახ.) ა. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ა-ს მტრობდა ჯავად-ხანი (განჯის ხანი 1786-1804). ა. არ ემორჩილებოდა არც ჯავად-ხანს და არც მის ძმას მაჰმად-ხანს. ჯავად-ხანმა (1790) აყარა შამშადილელები და გადაიყვანა შულავერში (სოფ. ქვემო ქართლში), ხოლო მაჰმად-ხანი შამშადილოშივე თავს დაესხა ა-ს. ა-მა გაიმარჯვა. ამას გარდა, ა-მა მრავალჯერ დაამარცხა განჯელები.

გ. ოთხმეზური

ამაზას ტაროშელი – V ს-ის სომეხი ერისთავი. ა.ტ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ვახტანგ გორგასლის (ქართლის მეფე V ს. II ნახ.) ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გზად მას შეუერთდა ა.ტ. და ორი სხვა სომეხი ერისთავი, თრდატის (სომხეთის მეფე 287-330) ნათესავები, მიადგნენ კარნუ-ქალაქს (ქ. ერზურუმის (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება), გამართეს ბრძოლა, მაგრამ ვერ აიღეს, რადგან სამი მაღალი ზღუდით იყო შემოსაზღვრული. ვახტანგმა დატოვა ქალაქისათვის საბრძოლველად ორი ერისთავი 12000 მხედრით (ჯ. 159-160).

ე. კვაჭანტირაძე

ამბერლი – VII-XIII სს. ციხე-სიმაგრე სომხეთში. ა. იხსენიება: „ლაშა-გიორგის-დროინდელი მატთანე“ (ქ.ც. I, 1955); ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959).

ა. სელჯუკთაგან გაათავისუფლეს თამარის მეფობაში (საქართველოს მეფე 1184-1207/10) ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა (XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ზაქარია – ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, ივანე-მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი), (ლ.მ. 368). ა. დალაშქრა ჯალალედინმა (მანგუბერთი, ხვარაზმის შაჰი 1220-21) (ჟ. 169). ალექსანდრემ (ალექსანდრე I დიდი, საქართველოს მეფე 1412-42) ილაშქრა ა-ზე და აიღო (გ.ბ. 280).

ე. კვაჭანტირაძე

ამირგუნა-ხანი – ერევნის პირველი ხანი (1604-28). ერევნის სახანო 1604 დაარსა ირანის შაჰმა, აბას I-მა (1587-1629) აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე. ა. ხ. იყო აბას I-ის გამორჩეული სარდალი და მასთან დაახ. პირი. ა. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973). ვახუშტი იხსენიებს, როგორც ამირგუნახან ბეგლარბეგს; ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926).

შაჰ-აბასმა ა. ხ-ს უბრძანა, რომ თეიმურაზ მეფის (თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-48; ქართლ-კახეთის 1625-32) მეუღლე ხორეშანი, რომე-

ლიც შვილებთან და თანმხლებ პირებთან ერთად ოლთისს იდგა, შეეპყრო და მასთან გაეგზავნა. ხორეშანმა ავისმომასწავებელი სიზმარი ნახა. უმაღლვე თავისი სადგომი დატოვა და ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი. ა. ხ. თავს დაესხა სოფელს, სადაც ხორეშანი ამალით ეგულებოდა, ააოხრა და ხელმოცარული უკან გაბრუნდა. მას ნოდარ სახლთუხუცესი ფეხდაფეხ მიჰყვა. შეებრძოლა და დიდძალი ალაფი წაართვა (ბ. ე. 409; ვ. ბ. 724). ა. ხ. მონაწილეობას იღებდა მარაბდის (1625 ქართველთა აჯანყება ირანის წინააღმდეგ) ბრძოლაში. ალგეთზე ბრძოლის დროს ბატონი თეიმურაზი და ა.ხ. შეებნენ. თეიმურაზმა ფიცხლად შეუტია მას და ცხენიდან ჩამოაგდო. ამ დროს ა.ხ-ს ყაჯარნი მიეშველნენ და ბრძოლის ველიდან გაიყვანეს (ფ.გ.26). [განსხვავებული ინფორმაცია]: მარაბდის (ქართლში, დღ. თეთრიწყაროს რ-ნი) გორაზე დაგვიანებულად მისული ხანი ქართველთა მცირე გუნდს გადააწყდა და შეუპოვარი ბრძოლა გამართა. ბრძოლაში მას ხმალდახმალ სამცხის ათაბაგი მანუჩარი მიეჭრა, რომელმაც თავში მძიმედ დაჭრა. ხანმა მას „უპურმარილო“ და უმადური უწოდა, რადგან ა.ხ. შაჰ-აბასის ბრძანებით მანუჩარის „გამზრდელი“ (პატრონი) იყო (ბ.ე. 403, 409; ვ.ბ. 431-32).

ქ. ნადირაძე

ანაკი – III-IV საუკუნის სომეხი წარჩინებული, გრიგოლ განმანათლებლის მამა. ა. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ქართველ-სომეხთა ლაშქარმა დაამარცხა ქასრე სასანიანი. მან შესთავაზა მთავრებს მის მხარეზე გადასვლა, სამაგიეროდ პატივსა და პრივილეგიებს დაპირდა. სომეხი მთავარი ა., სომეხთა მეფის კოსაროს (სომხური წყაროების ხოსრო ან ხოსროვი) ნათესავი, მიემხრო მას და შეპირდა კოსარო სომეხთა მეფეზე შურისძიებას. ა. და მისი ძმა ოჯახებით ეახლნენ კოსაროს მის საზამთრო რეზიდენცია ხილახილაში (ალბანური წყაროების პეროზა-პატი). მეფემ დიდი პატივით შეინყნარა ისინი. ნადირობისას ა. და მისი ძმა თანახლდნენ მეფე კოსაროს, სადაც მახვილით მოკლეს ის და გაიქცნენ. მათ მღვვარი დაენია, დახოცა და ამონყვიტა მათი ნათესაობა (ლ.მ. 60-61; ვ.ბ. 70).

ე. კვაჭანტირაძე

ანასტასი – სომეხთა კათოლიკოსი 661-667. ა. იხსენიება: არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ანასტასის კათოლიკოსობის პერიოდში, ნერსე კათოლიკოსის (სომეხთა კათოლიკოსი ნერსე III – 641-661) მიერ დევნილი იოანე მაირაგომელი (იხ სტ. იოანე მაირაგომელი) თავის მოწაფეებთან ერთად მივიდა არარატს (ა.ს., 93).

თ. ქორიძე

ანელი სუცესაძი – იხსენიებიან: 1218 წლის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეტიფანეს (1210-20) განჩინებაში (И. Я. Март, Надпись Эпифания, Католикоса Грузии, Известия Акад. Наук, 1910). განჩინება გამოტანილია ანისის მართლმადიდებელ მოსახლეობასა და ა.ხ-თა შორის ატეხილი დავის გამო. წარწერა ამოკვეთილია ქართული ასომთავრული დამწერლობით, ანისის ეკლესიის ფასადზე. წარწერით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ყოფილი ანისის სომხური სამეფოს (გააუქმეს ბიზანტიელებმა 1045. საქართველოს შემოუერთა მეფე დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125) 1124 წელს) ტერიტორია წარწერის ამოკვეთის დროისთვის (1218) საქართველოს შემადგენლობაშია, ხოლო, სომხეთის მართლმადიდებლური საეპისკოპოსოები, იერარქიულად, საქართველოს საპატრიარქოს ექვემდებარება. წარწერა მოგვითხრობს: დავა ატყდა ა.ხ-ის მიერ ანისის მართლმადიდებელი ქართველი და სომეხი მრევლისათვის საეკლესიო საიდუმლოებათა (ჯვრისწერა, ნათლობა, წესის აგება) აღსრულებისათვის გადასახადების გადიდების გამო. უკმაყოფილო მრევლი ზოგჯერ წირვალოცვასაც აღარ ესწრებოდა. ეტიფანე კათოლიკოსმა დაგმო ა.ხ-ის საქციელი და შეამცირა საეკლესიო მოსაცემელთა რაოდენობა. ეტიფანეს განჩინებას ამოწმებს სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქ ანისის ამირა ვაჰრამი.

გ. ოთხმეზური

ანისი – ციხესიმაგრე და ქალაქი შუასაუკუნეების სომხეთში. მდ. ახურიანის (არფა-ჩაის) მარჯვენა ნაპირზე (ამჟამად თურქეთის ტერიტორია, ყარსის ვილაიეთი). 961-იდან ანისის სამეფოს (886-1045) დედაქალაქი. 1044 საქართველოს მომხრე სომეხთა დასმა ა. ბაგრატ IV-ს გადასცა. 1045 ა. ბიზანტიამ დაიმორჩილა. 1072 შედღიანებმა (მუსლიმური დინასტია, დაარსა მუჰამედ იბნ შედადმა) თავიანთ სამფლობელოდ გადააქციეს. 1199 ა. საქართველოს შეუერთდა, 1236 ა. მონღოლებმა აიღეს და პირად სამფლობელოდ აქციეს. 1319 მინისძვრამ გაანადგურა და მის ნანგრევებზე თურქული სოფელი გაშენდა. 1878 ა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ თურქეთმა დაისაკუთრა. ა. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962); ევრემ მცირე „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ (1950); ისტორიული საბუთები (ქრ. II. 1897, ტ. II. II. H. A. 1967); არსენ საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980); ასომთავრული წარწერები: ანისის ეკლესიის (И. Я. Март, Н. Э. К. Г. 1910)

და ანისის ტიგრან ჰონენცის ტაძრის კედლებზე (ექ. თაყაიშვილი, 1917 ექსპ. სამხრ. საქ. 1960).

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს (დაახლ. V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე), როდესაც მცხეთაში „სვეტიცხოველზე“ ეკლესია აღუშენებია და „კუზი მას ზედ პატრიარქად განუწესებია“, ასევე მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებას (VII ს.) კონსტანტინე პოლონატის (ბიზ. იმპ. 668-85) დროს დაუმტკიცებია, ამდროიდან მოყოლებული მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შედის ა. (ეფრემ მცირე, 45; ქრ. II, სიგელი მცხეთისა გაცემული დაახ. 1638. იმეორებს ამ ინფორმაციას, 354). ამასვე ადასტურებს სულთანის (მურად III), მიერ დაახ. 1590 გაცემული სიგელი (Г. Д. И. Н. А. დოკ. №221). აშხენის (სომეხთა პირველი ქრისტიანი დედოფალი) ფრესკას აქვს ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც გვაუწყებს გამოსახულების ვინაობას (ექ. თაყაიშვილი, 23). აირარატი ყოველთვის სომხეთის უმნიშვნელოვანესი პროვინცია იყო, რომელშიც თითქმის ყველა დედაქალაქი მდებარეობდა, მათ შორის ა. (ა. ს., 133). ბაგრატის (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) ხელისუფლება გაძლიერდა. მის ხელში გადავიდა ა-ის ცხრა ციხე-სიმაგრე, ამბერდის გარდა. ანელებმა ქალაქი გადასცეს ბაგრატის დედას – მარიამს (1044), სომეხთა მეფის – სენაქერემ არწრუნის ქალიშვილს (მ. ქ. 299). ლიპარიტმა (ლიპარიტ ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი) ისევე დაიწყო ბაგრატ მეფის საწინააღმდეგო ქმედება. მან

ა-დან დედოფალ მარიამს მოაშორა და მოტყუებით გამოიყვანა ქალაქის მცველები: არტანუჯის ერისთავი აბუსერი, რომელიც ფლობდა ციხე-სიმაგრეებს – ხიხათას, ციხის-ჯვარს და აწყურს; ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და ბექის ციხის პატრონი – გუარამ გოდერძის ძე. ა-ს კართან შეიპყრო ისინი და თვითონ დაიკავა ქალაქი (მ. ქ. 300). ბაგრატ მეფე შეებრძოლა ლიპარიტს, მაგრამ რადგან მას მხარს უჭერდნენ ბერძნები (ბიზანტია), ვერას გახდა. საბოლოოდ ლიპარიტმა ბაგრატს ციხე-სიმაგრის სანაცვლოდ მასთან მყოფი თავისი შვილი ივანე გაათავისუფლებინა (მ. ქ. 303). ლიპარიტი (1048) ტყვედ ჩაუვარდა თურქებს. როცა იგი ტყვეობიდან განთავისუფლდა (1054 – ბიზანტიელთა დახმარებით) ისევ დაიკავა ა. ბაგრატმა წინააღმდეგობის განევა ვერ შეძლო, რადგან ლიპარიტს ისევ ზურგს უმაგრებდა საბერძნეთი (მ. ქ. 303). ლიპარიტი საბოლოოდ დაატყვევეს ბაგრატის მომხრეებმა, ხოლო მისი ძე – ნიანია ა-ში გაიქცა და იქ გარდაიცვალა (მ. ქ. 304-305). თურქეთის სულთანმა (თურქ-სელჩუკთა დიდი შემოსევები იწყება XI ს, 60-იანი) არფასარანმა (ალფ-არსლანი 1063-72) გაილაშქრა ა-ზე, შემუსრა იგი, ააოხრა და ტყვედ ურიცხვი სული წაიყვანა. ა. წაართვა ბერძნებს და თავის მოხელეს, მანუჩა აბულ-ასვარის ძეს გადასცა (1065, მანუჩე შადადიანების დინასტიის პირველი წარმომადგენელია ა-ში), (მ. ქ. 307). დავითთან (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125), რომელიც იდგა ბოჟანას წყაროს (ტაბანწყურის ტბასთან,

მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია), 20 აგვისტოს მივიდნენ ა-ის მფლობელთა მიერ წარგზავნილები, მიიტანეს წერილი, სადაც ანელები სთხოვდნენ დავითს, გაეთავისუფლებინა ა. თურქებისგან და ქალაქი საქართველოს მეფის მფლობელობაში გადასულიყო. დავითმა 60 000 მხედრით გაილაშქრა ა-ზე. აიღო ქალაქი, მისი ციხე და მიმდებარე სოფლები (1124), ა-ის დიდი ტაძარი, ბერძენთა დედოფლის კატრონიკეს მიერ აგებული, ალფარსლანიანებს მიზგითად ჰქონდათ გადაქცეული. დავითმა ტაძარი ხელახლა აკურთხებინა. დედოფალ კატრონიკეს საფლავთან, რომელიც ამავე ტაძარში იყო დაკრძალული, მივიდნენ: მეფე, კათოლიკოსი, ეპისკოპოსები, მხედრობა და წესი თავიდან აუგეს. დავითმა კი დედოფალს საფლავში ჩასძახა: გიხაროდეს, შენ, დედოფალო, რამეთუ საყდარი იხსნა ღმერთმა უსჯულოთაგან. დავითმა ა-ის ამირა ბულასვარი (აბულსუარი მანუჩარის ძე) რვა ძით, მხეველებითა და რძლებით ტყვედ აიყვანა და აფხაზეთს (დას. საქართველო) წარგზავნა. ა. საქართველოს სამეფოს შემოუერთა. მცველებად მესხი აზნაურები დააყენა (დ. ი. 345-46; ვ. ბ. 162; ნ. დ. 91). დემეტრემ (დემეტრე I, საქართველო მეფე 1125-56, ა. იძულებით ისევ შადადიანებს გადასცა ყმადნაფიცობის პირობით) თავისი ვასალის ა-ის მფლობელის დასახმარებლად და ქალაქ ა-ის დასაცავად, არზრუმის ამირა სალდუხის წინააღმდეგ გაილაშქრა (1153-54). ამირა დაატყვევა და ქალაქს ისევ ყმადნაფიცობა შეუნარჩუნა (ი.-ა. 43; ვ. ბ.

105). ა-ის მოსახლეობის ქრისტიანული ნაწილი აჯანყდა და ქალაქი გიორგის (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) შესთავაზეს. გიორგიმ ისარგებლა შექმნილი ვითარებით. ა. რომელიც ოდესღაც „ბერძენ მეფეთა“ სახლი და საჯდომი იყო, ისევ წაართვა მაჰმადიან მფლობელებს... სამი დღის ბრძოლის შემდეგ გიორგიმ ქალაქი აიღო (1161) და თავის სამყოფელად აქცია. ამირას თანამდებობა შეინარჩუნა. ქალაქის დასაცავად და გასამაგრებლად იქ ამირად მანდატურთხუცესი და ამირსპასალარი ივანე ორბელი დატოვა, ხოლო თანაშემწედ სარგის მხარგრძელი (ქართველი დიდებული) დაუნიშნა (ი. -ა. 6; ვ. ბ. 166; ლ. გ. მ. წერს: გიორგიმ აიღო ა. ქორონიკონსა 380 (1161), შეიპყრო ამირა სალდუხი, 367). ქართველთა მიერ ა-ს აღებისთანავე „შარიარმან სულტანად მწოდებელმან“ (სამხრ. აზერბაიჯანის და ირანის ათაბაგი შამს ალ-დინ ილდეღიზი) მოუწოდა მთელ შამს (სირია), ჯაზირეთს (მესოპოტამია), დიარბაგის (დიარბექირი – ქალაქი მდ. ტიგროსისა და ევფრატის ზემონელში) მმართველს (არდოხის ძე კოტბ ედ-დინ ილაზს), სალდუხ სელჩუკიანს (არზრუმის ამირა ალ მალიქ სალდუხი) და სპარსეთის სხვა ფადიშაჰებს (1163) სალაშქროდ. გაერთიანებული ჯარი ა-ს მიადგა. გიორგი ამ დროს ნაჭარმაგევს (მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია) ისვენებდა. უმალ შეკრიბა ჯარი, მას მხარში ედგნენ ვეზირები: მწიგნობართუხუცესი იოანე, ამირ ახორი – ლიპარიტ სუმბატის ძე, ბეგა სურამელი, ქირქიმ აბულეთის ძე. გიორგიმ სძლია

მრავალრიცხოვან და ძლიერ მტერს (ი. ა. 7, 10, 12). მაგრამ ა-სთვის ბრძოლას ბოლო არ უჩანდა. შედგა მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა გიორგის და, სულთანის ცოლ-ყოფილი რუსუდანი (ი.-ა. 13; ვ. ბ. 168; ნ. დ. 93), შედეგად გიორგიმ „უბოძა ანისი თვისსავე მემამულესა და ითაყვანა თავისა თვისისა ყმად“ (ი.-ა. 13, 15; ვ. ბ. 168). [ეს მემამულე იყო შაჰანშა შედადი. 1173 ისევ ილაშქრა გიორგიმ ა-ზე და საქართველოს შემოუერთა. ისევ ატყდა ანისისათვის სისხლისმღვრელი ბრძოლები. 1175 ისევ ყმადნაფიცობით გადაეცა შედადიანებს]. თამარი (საქართველოს მეფე 1184-1207/10) ფლობდა ბევრ ქალაქს, მათ შორის ა-ს (საქართველომ ა. შემოეერთა 1199), რომელიც მან სპარსელებს წაართვა. თამარმა ა-ს გამგებლებად მხარგრძელები დაადგინა. არდევილის(არდებილის) სულთანმა გაიგო, რომ იოანე და ზაქარია მხარგრძელები მეფესთან გეგუთს (სოფ. იმერეთის დაბლობზე, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს) იმყოფებოდნენ და ა-ზე გაილაშქრა. სასტიკად ააოხრა ქალაქი, მრავალი ტყვე და დიდძალი ალაფი წაიღო, ორი ათასი კაცი ცხვრებივით დაკლეს „ეკლესიათა შინა“. ა-ის მოოხრების ამბავი გეგუთს აცნობეს მეფე თამარს, ამილსპასალარ ზაქარიას და მსახურთუხუცესს ივანეს. მხარგრძელები ჩავიდნენ ა-ში, მათ მთელი საქართველოს ლაშქარი შეუერთდა. გაემართნენ არდევილს. ქალაქი ადვილად აიღეს, დიდძალი ქონება იგდეს ხელთ, სულთანი მოკლეს, მისი ცოლ-შვილი ტყვედ აიყვანეს (ი.-ა. 100-

103; ნ. დ. 98-99). ა-ის ეკლესიის ფასადის წარწერიდან (1218-ის წარწერა) ვიგებთ, რომ ეტიფანემ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1210-20) ა-ის მცხოვრებლებს საეკლესიო საგადასახადო შეღავათები დაუწესა (Н. Я. Масс). რუსუდანი (საქართველოს მეფე 1223-45), როდესაც მეფედ აკურთხეს, ა-ს უკვე განაგებდა მანდატურთუხუცესი შანშე მხარგრძელი (ყ. 171, 178, 180), რომელიც მას, ბიძამ – ივანემ უწყალობა (ყ. 169). ქართველმა დიდებულებმა, როდესაც მონღოლებს მორჩილება გამოუცხადეს, მათ ა. ისევ შანშე მხარგრძელს დაუბრუნეს (ყ. 190). მონღოლთა ბატონობით შეწუხებულმა ქართველებმა აჯანყება გადაწყვიტეს. ამ მიზნით, „ყოველთა მთავარნი“ (1245) კოხტასთავს შეიკრიბნენ, შეთქმულება გამჟღავნდა. მონღოლებმა ცოტნე დადიანის გარდა ყველა მთავარი დაიჭირეს და ა-ის ქვეყანას წაიყვანეს „რომელ ადგილსაც ეწოდება შირაკავანი“ (ყ. 215). ამ ამბის გამგონე ცოტნე თვითონაც ჩავიდა ა-ს (ყ. 216; ვ. ბ. 210). შაჰ-თამაზი (თაჰმასპ I, ირანის შაჰი 1524-76), როდესაც საქართველოს მეორედ შემოესია (ილაშქრა ოთხჯერ 1541-54) ანისის გზით შორეკალს მივიდა, იქიდან სამცხეში გადავიდა და მოარბია. (ფ. გ. 5).

ქ. ნადირაძე

ანიჟა – დარუბანდის ციხე. ა. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959).

დარუბანდელნი (ქ. დარუბანდი-კასპის ზღვის სანაპიროზე, თანამ. ქ. დერბენთი) განუდგნენ არლუნს (მონ-ლოლთა ყაენი 1284-91), რომელმაც მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მოუხმო დემეტრეს (დემეტრე II, საქართველოს მეფე 1270-89). დარუბანდელნი გამაგრდნენ ციხე ა-ში. მეფემ ალყა შემოარტყა ციხეს, აიღო, გადაწვა, ამოხოცა დარუბანდელი დიდებულები, წამოიღო ურიცხვი განძი (ყ. 286).

ე. კვაჭანტირაძე

აპაჰუნისი – ჰევი იგივე ქვეყანა (ადმინისტრაციული ერთეული) სომხეთში.

ა. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963, 175.).

თ. ქორიძე

არაგანი // არეგანი – მთა (4090 მ.) სომხეთში, სომხეთის დედაქალაქ ერევნის ჩრდილო-დასავლეთით 40 კმ-ის დაშორებით, სომხეთის უმაღლესი წერტილი, მდებარეობს პროვინცია არაგანოტნში. ა. იხსენიება: ისტორიული საბუთები (ქ.ს.დ., II, 1965).

მეფეთ-მეფე დავითი (დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 1089-1125) თავის ანდერძში (1125) წერს, რომ მისი ქვეყანა (საქართვე-

ლო) გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან ტუაფსეს ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ნიჩეფსუხოს შავ ზღვასთან შეერთების ადგილი) დარუბანდის (კასპის) ზღვამდე და ოვსეთიდან სოერად და ა-მდე (ქ.ს.დ., II, 19).

თ. ქორიძე

არარატი – მთა და ქვეყანა მდ. არაქსის (მდ. სამხრეთ კავკასიაში, მდ. მტკვრის უდიდესი შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. ა. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ჟამთააღმწერელი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962).

თარგამოსის (ბიბლიური პერსონაჟი, კავკასიელ ხალხთა ეთნარქი) ნათესაობა გამრავლდა და ველარ იტევდა მათ ა-ის და მასისის (მთა ისტ. სომხეთის ტერიტორიაზე, ახლანდ. ტურაბადინი თურქეთში) ქვეყანა (ლ.მ. 4; ნ.დ. 67). ხაზარებმა* დალაშქრეს ა-ის და მასისის ქალაქები (ლ.მ. 12; ნ.დ. 69). ჰაოსმა (სომეხთა ეთნარქი) მოკლა ნებროთი (ბიბლიური მამამთავარი, ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ხელმძღვანელი. ლ.მ. მას სპარსელად და ხალხთა პირველ მეფედ მიიჩნევს, რომელსაც მორჩილებდნენ თარგამოსიანები) ისრით ა-ის მთაზე (ვ.ბ. 47). დვინი მდებარეობდა ა-ის ძირში (ი-ა. 5). დავით აღმაშენებლის დროს (საქარ-

თველოს მეფე 1089-1125) სელჯუკები ზაფხულს ატარებდნენ ა-ის მიდამოებში (ვ.ბ. 157) გიორგიმ (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) აიღო ა-ის მთის ძირში მდებარე ქალაქი (ვ.ბ. 166). ა. მონღოლების საზაფხულო რეზიდენცია იყო (ყ. 189, 195). მონღოლებმა დაიბარეს დავითი (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311). წავიდა დავითი თუქალის (მონღოლთა ყაენი) წინაშე, რომელიც იდგა ა-ის მთის ძირას (ყ. 298).

*ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუახანებში შექმნეს.

ე. კვაჭანტირაძე

არკვ სივნიელი – V ს-ის სომეხი ერისთავი. ა.ს. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ვახტანგ გორგასლის (ქართლის მეფე V ს. II ნახ.) ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გზად მას შეუერთდა ა.ს. და ორი სხვა სომეხი ერისთავი, თრდატის (სომხეთის მეფე 287-330) ნათესავები, მიადგნენ კარნუ-ქალაქს (ქ. ერზურუმის (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება), გამართეს ბრძოლა, მაგრამ ვერ აიღეს, რადგან სამი მაღალი ზღუდით იყო შემოსაზღვრული. ვახტანგმა დატოვა ქალაქისათვის საბრძოლველად ორი ერისთავი 12000 მხედრით (ჯ. 159-160).

ე. კვაჭანტირაძე

არტავაზი – სომეხთა მეფე არტავაზ I (ძვ.წ. II ს. 60-50-იანი წლები), არტაშეს I-ის ვაჟი. ა. იხსენიება ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955).

არტაშეს I-ის ორი ვაჟი არტავაზი და ტიგრანი მიდიან ქართველთა წინააღმდეგ მათ მიერ დატყვევებული უფლისწულის ზარენის გამოსასხნელად. სომეხთა ჯარი დაბანაკდა თრიალეთში და მოლაპარაკება დაიწყო ქართველებთან. მათ შორის დაიდო ზავი. ქართველებმა გაათავისუფლეს ზარენი და მომავალში სამხედრო დახმარებას დაპირდნენ სომხებს, აგრეთვე არტაშეს მეფის სახელით მონეტის მოჭრა აღუთქვეს. ამისთვის სომხებმა დაუბრუნეს ქართველებს ქ. წუნდა, დემოთის ციხე, ჯავახეთი და არტაანი. ამის შემდეგ მშვიდობა დამყარდა მათ შორის (ლ.მ. 49)

ე. კვაჭანტირაძე

არტაშანი – სომეხთა მეფე არტაშეს I (ძვ. წ. 189-160). ა. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973). აზორკისა და არმაზელის (ქართლის მეფეები ძვ.წ. II-I სს. მიჯნა) მეფობაში სომხეთში გამეფდა ა. (ლ.მ. 45). ის მიდის ქართველთა წინააღმდეგ თავის სპასპეტ სუმბატ ბივრიტიანთან ერთად. ქართველებმა გაამაგრეს ციხეები, დახმარება ითხოვეს ოსებისაგან.* სომხები

დადგნენ მცხეთაში და ბრძოლამ მათ შორის ხუთი თვე გასტანა. ბოლოს ქართველებმა ითხოვეს ზავი და მორჩილება გამოაცხადეს. ა-მა დაიმონა ქართველები და ოსები და წავიდა. რამდენიმე წლის შემდეგ მომძლავრდა ქართლი, სომხები კი დასუსტებული იყვნენ სპარსელებთან და ბერძნებთან ბრძოლით. ამით ისარგებლა ქართლმა და იწყოს სომეხთა შევიწროება. მაშინ მეფე ა-მა კვლავ შეკრიბა ჯარი და გამოგზავნა ქართლის წინააღმდეგ თავისი ვაჟის ზარენის წინამძღოლობით (ლ.მ. 48; ვ.ბ. 65).

* ძვ. წ. II ს-ში ქართულ წერილობით წყაროებში ოსების მოხსენიება ანაქრონიზმია.

ე. კვაჭანტირაძე

არუთინი – სომეხი ექიმი (XVIII ს. ბოლო). ა. იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში (Грузинские дворянские грамоты, 1881). 1797 წლის საბუთის მიხედვით, მეფე ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) სამეფო ოჯახის მკურნალობის, იმერეთის მეფის, აზერბაიჯანის ხანის და ხალხის მკურნალობის ნიშნად უბოძა ექიმ ა-ს თბილისში, თათრის მოედანზე რამდენიმე დუქანი (Г.Д.Г., 31).

ე. კვაჭანტირაძე

არშაკ – (სომეხთა მეფე), მისი მოღვაწეობის დრო უცნობია. ვინაიდან „დავითისა და ტირიჭანის მარტვილობაში“ გარკვეულ ანაქრონიზმს აქვს

ადგილი, კერძოდ, თხზულების ავტორი მეფე არშაკს იხსენიებს ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლესა (610-641) და ირანის შაჰ ვარამშაპოს თანამედროვედ. აღსანიშნავია, რომ იმპერატორ ჰერაკლეს მმართველობის პერიოდში სომხეთში მეფობა გაუქმებული იყო, რაც შეეხება თხზულებაში დასახელებულ ირანის შაჰ ვარამშაპოს, ამ სახელით ჰერაკლე კეისრის თანამედროვე ირანის შაჰი, ისტორიაში ცნობილი არ არის. თუ უცნობი ჰაგიოგრაფი სპარსეთის შაჰ ვარამშაპოს სახელის ქვეშ შაბურ III-ს (383-388) გულისხმობს, მაშინ მისი თანამედროვე სომხეთის მეფე არშაკ III (378-387) იყო, თუმცა ამ პერიოდში ბიზანტიის იმპერია ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ და სხვა მიზეზების გამო, „დავითისა და ტირიჭანის მარტვილობაში“ მოხსენიებული არშაკ სომეხთა მეფის ზეობის წლები, ისევე როგორც ნაწარმოებში აღწერილი ამბების ქრონოლოგიური ჩარჩო, ზუსტად ვერ სახელდება. ა. იხსენიება: „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

ა-ის მეფობის პერიოდში ეწამნენ წმ. დავითი და ტირიჭანი („დავითისა და ტირიჭანის მარტვილობა“, 186).

თ. ქორიძე

არშაკი – სომხეთის მეფე ძვ. წ. II ს-ში. ა. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც IV, 1973).

მირვანმა (ქართლის მეფე ძვ. წ. II ს-ში) ა-ის ვაჟს მიათხოვა თავისი ასული (ლ.მ. 28; ვ.პ. 59).

ე. კვაჭანტირაძე

არშაკი – (არშაკ III) სომხეთის მეფე 378-387. ა. იხსენიება: არსენ საფარელი „განყოფისთვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

არსენ საფარელი ა-ს ასახელებს ბიზანტიის კეისარ არკადის (395-408) თანამედროვედ (თუმცა მათი ზეობის წლები ერთმანეთს არ ემთხვევა) და აღნიშნავს, რომ მათი მმართველობის პერიოდში სომხები მტკიცედ მისდევდნენ წმიდა გრიგოლ პართელის მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებას (ა.ს. 78).

თ. ქორიძე

ასტირონ მთავარი გუასკურაზნელი (ვასპურაკანელი) – IV საუკუნის I ნახევრის მოღვაწე. ა. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

ვასპურაკანელ მთავარს ა-ს ქრისტიანობა უქადაგა წმიდა ნინოს მიერ მოქცეულმა მცხეთელმა ებრაელმა მღვდელმა აბიათარმა (მოქ.ქ., 102-103).

თ. ქორიძე

ატროვატენა // აღარბაღა-განი // აღრიგაქჟანი – ქართულ წერილობით წყაროებში ამ სახელწოდებებით იხსენიება სამხრეთ აზერბაი-

ჯანი, ე.წ. ირანის აზერბაიჯანი. რაც შეეხება დღ. აზერბაიჯანის რესპუბლიკას (მდებარეობს ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში), ე.წ. ჩრდილოეთ აზერბაიჯანს, ქართული წყაროები იცნობს მის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიულ ოლქებს, ქალაქებს, სამეფოებსა და სახანოებს. (იხ. სტატიები: რანი, განძა, შირვანი, შამახია, შაქი, ბარდავი, მოვაკანი, შამქორი, ყარაბაღი).

ქ. ნადირაძე

ალა-ქიში – შაქის ხანი (1755-1760), შაქის სახანოს დამაარსებლის და მისი პირველი დამოუკიდებელი ხანის, აჯი-ჩალაბის ძე. ა. ქ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); ისტორიული საბუთები (ქრ. III, 1967).

ა. ქ. და განჯის ხანი შავერდი ქართლზე სალაშქროდ წამოვიდნენ. მათ მიეგებნენ ყაზახ-ბორჩაღუს ლეკთა ჯარი და ყაზახში მივიდნენ. ყაზახიდან კი ბაიდარში დადგნენ* (პ.ო. 200; ო.ხ. 53-54). 1752 წლის 10 ივლისს აჯი-ჩალაბის შვილი ა. ქ. ლაშქრით ბაიდარს მოვიდა (ქრ., III, 620). მეფე ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) შეყარა ქართლ-კახეთის ჯარი, ჩერქეზები დაიხმარა და საბრძოლველად გაემზადა. ა. ქ-მა ეს რომ გაიგო, თავისი სანდო კაცი აჯი-ფრინა გამოგზავნა ერეკლესთან შესარიგებლად და თან ადრე დატყვევებული რევაზ ამილა-

ხორი და მდივანი ედიშერი გამოაყო-
ლა. მეფეებმა (ერეკლე II, თეიმურაზ
II, კახეთის მეფე 1744-62) შერიგება
იუკადრისეს. როდესაც ა. ქ. ყაზახი-
სა და შამშადილის საზღვარს ჩავიდა,
მეფე ერეკლე დაენია და ბრძოლა გა-
ჩაღდა. ა. ქ. და განჯის ხანი გააქციეს.
აჯი-ჩალაბისა და განჯის ხანის 1500
ჯარისკაცი შეინარჩუნეს, შირვან-შა-
მახიის დიდკაცები დაიჭირეს. აჯი-ჩა-
ლაბის სარდლები დახოცეს, ურიცხ-
ვი საქონელი, ჯორი, აქლემი დარჩათ.
დამარცხებული ა. ქ. შაქს ჩავიდა (პ.ო.
202). ჩერქეზეთიდან ტფილისს ჯარით
მობრუნებულმა მეფე ერეკლემ 3 სექ-
ტემბერს ა. ქ. დაამარცხა. (ქრ. III, 620).
ა. ქ-მა შემოიკრიბა ჭარის, შირვანისა
და ყარაბაღის ჯარი და ყაზახში მივი-
და, სადაც სიმაგრეები გატეხეს, ქვე-
ყანა დაარბიეს და დიდძალი ალაფით
დატვირთულნი ისევ ყაზახში დაბრუნ-
დნენ (პ.ო. 204). ა. ქ. ყაზახს იმიტომ
მტრობდა, რომ „თქვენ მომიყვანეთ და
დავმარცხდით და ჯარი ქართველთ ამო-
მინყვიტეს, სისხლი თქვენგან მინდაო“.
ამის გამო, ა. ქ. ყაზახებს ემტერებო-
და, წასვლას არ აპირებდა და ქვეყანას
არბევდა (პ.ო. 204-205). როდესაც ა.
ქ-მა მის წინააღმდეგ ქართველთა ჯა-
რის მოსვლის ამბავი გაიგო, აიყარა და
წავიდა (პ.ო. 205). ხუნძახის ბატონის
მოკავშირე, ყვარელთან, ქართველე-
ბის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლა-
ში, იყო ა. ქ., რომელიც მასთან მივიდა
ჯარით (პ.ო. 230). ყვარლის ციხესთან,
(კახეთი), გავაზის მხარეს იდგა ა. ქ.
შაქისა და შარვანის ჯარით (პ.ო. 230).
როდესაც ჭარელებმა მიატოვეს ყვარ-

ლის ციხის მიდამოები და თავიანთ ქვე-
ყანაში გაბრუნდნენ, ა. ქ-იც გაბრუნდა
(პ.ო. 231). 1752 წლის 3 სექტემბერს
ერეკლე II-მ აჯი-ჩალაბის შვილი დაა-
მარცხა (ქრ., III, 620).

*ო. ხ-ს მიხედვით, ეს მოხდა 1753 მაისში.

თ. ქორიძე

ალისტავი (დღ. აღსთაფა) – მდი-
ნარე სომხეთისა და აზერბაიჯანის
რესპუბლიკების ტ-ზე. ჩამოუდის ყა-
ზახს. ა. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშ-
ვილი – „აღწერა სამეფოსა საქართვე-
ლოსა“ (ქ.ც. IV, 1973). დავით რექტორის
(დავით ალექსი – მესხიშვილი (1745-
1824), თელავის სემინარიის რექტორი)
განმარტებით ა. ყაზახის მდ. აღსთაფას
ძველი სახელწოდებაა (ვ.ბ. 306).

გ. ოთხმეზური

ალსართანი – შირვანის მეფე
(XII ს. II ნახ.). ა. იხსენიება: „ისტორი-
ანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქ.ც.
II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღ-
წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც.
IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთ
ცხოვრება“ (1962).

გიორგი III (საქართველოს მეფე
1156-84) ეხმარება თავის დისწულს ა-ს
დარუბანდის (ქალაქი კასპიის ზღვის
სანაპიროზე, თანამ. ქ. დერბენდი)
მხრიდან შემოსეული იმიერკავკასი-
ელების წინააღმდეგ ბრძოლაში. ა.
ფლობდა ტერიტორიას დარუბანდიდან

ხილხალამდე (ალბანური წყაროების ფეროზაპატი). ის შვილივით ჰყავდა მეფე გიორგის. მეფემ შეაგროვა ჯარი, თან წაიყვანა ბიზანტიის იმპერატორის მანუელის (მანუელ I, 1143-80) ბიძაშვილი ანდრონიკე (ბიზანტიის იმპერატორი 1183-1185) და წავიდა სალაშქროდ. გიორგი III-მ ქალაქები შაბურანი და დარუბანდი მტერს წაართვა და შირვანშაჰს დაუბრუნა (ი-ა. 17; ვ.ბ. 169). ა. მივიდა თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) ხელის სათხოვნელად და სარწმუნოების შეცვლას დაპირდა. მან უარი მიიღო და დამნუხრებული გაბრუნდა (ი-ა. 44-5; ვ.ბ. 176; ნ.დ. 95). აბუ-ბექრის (აზერბაიჯანის ათაბაგი XII ს. ბოლო) მიერ დამარცხებულმა ამირ-მირანმა თავი შირვანშაჰ ა-ს შეაფარა. ა. და ამირ-მირანი მივიდნენ თამართან დახმარების სათხოვნელად. თამარი დაეხმარა ა-ს მისი ნათესაობის გამო. ამასობაში აბუ-ბექრი წამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ. თამარმა ა-ს და ამირ-მირანს მისცა მეფის სპა და სალაშქროდ გაუშვა (ვ.ბ. 181-82).

ე. კვაჭანტირაძე

აღსუნდული – რანის („არ-რან“, ძველი ალბანეთის არაბული სახელი) ათაბაგი (XII ს-ის დასაწყისი). ა. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955). 1124 დავით აღმაშენებელმა (საქართველოს მეფე 1089-1125) თურქ-სელჯუკთა განსადევნად გაილაშქრა შირვანზე (ისტ. ქვეყანა კასპიის ზღვის დას. სანაპირო-

ზე) და აიღო. ქართველთაგან გაქცეულ სელჯუკთა სულთანთან დიდი ჯარით მიდიოდა ა. დავით აღმაშენებლის ლაშქარმა ამოუწყვიტა მას ოთხი ათასი კაცი. ა. გაიქცა და მარტომ ძლივს მიაღწია სულთნის წინაშე (დ.ი. 344).

ე. კვაჭანტირაძე

აჯი-ჩალაბი (ჰაჯი ჩილეგი ყურბან ოღლუ) – (1743-1755) შაქის სახანოს დამაარსებელი და მისი პირველი დამოუკიდებელი ხანი. ა. ჩ. XVIII ს-ის 40-იანი სათავეში ედგა ირანის შაჰის ნადირის (1736-47) ხელისუფლებისაგან გათავისუფლებისათვის ბრძოლას. მისი მმართველობის პერიოდი შაქის სახანოს არნახული აყვავების ხანაა. 1755 შირვანის სახანოს წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, შაქის სახანოს ძლიერება დაეცა. ქართულ წყაროებში ა. ჩ. იხსენიება როგორც შაქ-შარვანის ხანი. ა-ჩ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1982); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); ისტორიული საბუთები (ქრ. III, 1967); „ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797“ (2008).

ა. ჩ. იყო ერთი ჯარის პატრონი დალესტნის მხარეს და ყველანი პატივს სცემდნენ (პ.ო. 148). ა. ჩ. იყო შაქელი და მპყრობელი შაქისა და შირვანისა (პ.ო. 166). ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62; ქართლ-კახეთის – 1762-98) თბილისის ციხეებში მდგომ ყიზილბაშებს შეუტია, დაამარცხა და

ციხეები დაიკავა (1748). ამ ამბით შეშინებულმა აზერბაიჯანის ქვეყნების – განჯისა და ერევნის ხანებმა და ა. ჩ-მა, ერეკლეს საჩუქრები გამოუგზავნეს (პ.ო. 148). განჯის ხანმა ერეკლეს ყარაბაღის მფლობელის ფანა-ხანის შემოსევებისგან დასაცავად დახმარება სთხოვა. ერეკლემ მოუხმო თავის მოკავშირე მუსლიმ ხანებს, მათ შორის ა. ჩ-ს, რომელიც ფლობდა შაქსა და შარვანს. ა. ჩ-მა ერეკლეს მოახსენა: სადაც მიბრძანებთ ჩემი ჯარით იქ გეახლებითო (პ.ო. 166). ფანა-ხანის წინააღმდეგ გაჩაღდა ბრძოლა. ქართველები მამაცურად იბრძოდნენ და გაიმარჯვეს. ამ ბრძოლაში არ ჩარეულან ერევნის, განჯის ხანებისა და ა. ჩ-ის (შაქი-შარვანის) ჯარები. ისინი შორიდან ადევნებდნენ თვალს ამ ბრძოლას (პ.ო. 169). გამარჯვებულმა ერეკლემ და თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) ა. ჩ-ის ჯარი იქვე ბარგუშათიდან (სომხეთის ტერ.) დაითხოვეს, თვითონ კი სხვა ჯარით მივიდნენ განჯას (პ.ო. 172). დალესტნის ყველა ბელადი შეიყარა და ლეკების დიდძალი ჯარით ქართლ-კახეთზე წამოვიდა. მეფეებმა (თეიმურაზ II, ერეკლე II) დიდი ბრძოლა გაუმართეს და ლეკები დაამარცხეს. ქართველებს ლეკებზე გამარჯვება მიულოცეს იმ ხალხმა, რომელსაც პატრონობდა ა. ჩ. (პ.ო. 178-179). დამარცხებული ლეკები გაიფანტნენ ზოგი კაკში, ზოგიც – ა. ჩ-ის მამულში (პ.ო. 179). მეფე ერეკლესა და დარეჯანის ქორწილში დაპატიჟებული იყო ა.-ჩ. – ის ძმისწული (პ.ო. 180). რადგან ლეკებმა ქართლისა და კახეთის მტრობა

არ მოიშალეს, მეფეებმა ჭარზე გალაშქრება გადაწყვიტეს, შეყარეს ქართლ-კახეთის, ყაზახ-ბორჩალოს ჯარები, დაიბარეს განჯის ხანი, გზიდან გაისტუმრეს ა. ჩ-ის ძმისწული, რომელიც ასი კაციით მათ ეახლა. ამით ა. ჩ-მა ისინი თავის ერთგულებაში ფიცით დააჯერა. ჭარელები შეშინდნენ და მეფეებთან მოლაპარაკება გამართეს, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ, ამიტომ ისინი ა. ჩ-ის ქვეყანაში გაიხიზნენ, ხოლო ა. ჩ-მა მეფეებს შემოუთვალა: ჭარელებს თუ არ ჩამოეცლებით, მე მათ მხარს დაუჭერ და მათთან ერთად ჩემი ქვეყნით ამოვწყდებიო. მეფეებს ასეთი მუქარის სიტყვა ეწყინათ და ა. ჩ-ის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტეს (პ.ო. 180-181). ა. ჩ-ს ჯარი წინასწარ ჰყავდა მომზადებული. მის მხარეს იბრძოდნენ ჭარელები, „ლეკის ქვეყნები“, კაკის სულთანი. ეს მეფეებმა არ იცოდნენ. ქართველებმა შეუტყეს, ლეკები გააქციეს და ა. ჩ-ს უამრავი კაცი მოუკლეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ. ჩამოვიდნენ მალაროს, იქიდან კი თბილისს (პ.ო. 182). 1752,* 10 იანვარს მეფეები წაბრძანდნენ ჭარელთა დასარბევად. ა. ჩ-მა მათ უღალატა, დიდი ჯარი შეყარა, ზოგი აქა-იქ ჩაუსაფრა, დანარჩენი კი ორშაბათს დილას მეფეებს შეაბრძოლა. მეფე ერეკლემ გააქცია ლეკები, მაგრამ დამალულმა ლეკის ჯარმა ზურგიდან შეუტია, რის გამოც 11 თებერვალს, ყველიერის ორშაბათს (ყველიერის ოთხშაბათს, ქრ. III, 055; 619), მეფეები დამარცხდნენ (ქრ. III, 211; 632. 055. 619). ჩერქეზეთიდან თბილისს ჯარით

მოზრუნებულმა მეფე ერეკლემ 3 სექტემბერს ა. რ-ის შვილი დაამარცხა. (ქრ, III, 620). მეფე თეიმურაზმა და მეფე ერეკლემ ა. რ-ის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტეს და განჯას ნავიდნენ, რადგან იქიდან სურდათ ა. რ-ის ნახდენა. მეფეებმა იხმეს თავის მოკავშირე მუსლიმი ხანები. ისინიც მოვიდნენ აზარმათას და თეიმურაზსა და ერეკლეს შეუერთდნენ. ამ დროს მდ. ალაზანი ადიდდა და ა. რ-ზე ველარ გაილაშქრეს. მეფეებს მონვეული ხანები „ავლანზე“ სალაშქროდ ეპატიჟებოდნენ. მათ თურმე ქართველების ღალატი სურდათ. როდესაც მეფეებმა ეს ამბავი შეიტყვეს, გადაწყვიტეს „ხანები დავიჭიროთ, ამათი საქონელი ჯარს მივსცეთ“. დაიჭირეს: განჯის ხანი თავისი ძმით, ყარადაღელი ქაზუმ-ხანი, ბარგუშათის ხანი, ფანა-ხანი და სხვები. ფანა-ხანის შვილი და ძმისწული ა. რ-თან ნავიდნენ და დახმარება ითხოვეს. ა. რ. დათანხმდა იმ იმედით, რომ ხანების გაათავისუფლების შემთხვევაში, ის მათ ქვეყნებს დაეუფლებოდა (პ.ო. 191-194). ა. რ-მა წამოიყვანა შარვან-შამახის ჯარი, ჭარელები, კაკის სულთანი, შამახის ხანი და 1751 წლის ვნების კვირის პარასკევს მიადგნენ განჯას. დიდ შაბათს „განჯის ზევით“ გამართულ ბრძოლაში ა. რ-მა ქართველები დაამარცხა (სხვა ცნობით, ეს ბრძოლა მოხდა 1752, 28 მარტს, დიდშაბათს. იხ. ქრ. III, 627; 632. 290). ა. რ. განჯას ჩავიდა გამარჯვებული და გაათავისუფლა დაპატიმრებული ხანები (პ.ო. 194-195; ქრ. III, 290, 620, 627, 632). 1752 წლის თებერვალში, ჭარს

ქვემოთ, აგრისზე ერთმანეთს შეებნენ ქართლ-კახეთის ჯარი, ერეკლე-თეიმურაზის მეთაურობით და ა. რ., ჭარელების ჯარით. ბრძოლისას ა. რ-მა გადაიბირა ქართველების მხარეს მეომარი განჯა-ყარაბახის ხანები, რომელთაც, პირობისამებრ, მიატოვეს ბრძოლის ველი (ო.ხ. 50). ა. რ., ყარაბახის ხანი ფანა, განჯის ხანი შავერდი, განჯა-ყარაბახისა და შაქი-შარვანის ჯარებით დადგნენ ყაზახს, ალტაფაზე, თეიმურაზთან და ერეკლესთან შებმის მიზნით, თუმცა ბრძოლა ველარ გაბედეს, მოლაპარაკება გამართეს, დაზავდნენ და უკან გაბრუნდნენ (ო.ხ. 48-49). 1753 განჯის, შუშისა და ყარაბახის ხანებმა მოუხმეს მეფე თეიმურაზსა და ერეკლეს ა. რ-ის წინააღმდეგ საბრძოლველად; ხანებმა საიდუმლო წერილი გაუგზავნეს ა. რ-ს. ა. რ-მა შირვანისა და დაღესტნის ჯარებით დაამარცხა მეფეები (ო. ხ. 53). ყაზახ-ბორჩალოელები და ბაიდრელები „თავისის ძალით“ ქართველი ბატონის (თეიმურაზ II) მორჩილებიდან გამოვიდნენ და ა. რ-ს ემსახურებოდნენ (პ.ო. 197). ქართლებმა ა. რ-ის შერიგება გადაწყვიტეს და თბილისში მძევლად მყოფ განჯის ხანის ბიძას – ყოჯა-ხანს მასთან წერილი მიანერინეს. ა. რ-მა შერიგების სანაცვლოდ, საპასუხო წერილით ყოჯა-ხანისა და ერთ-ერთი მეფის (თეიმურაზ II ან ერეკლე II) სანდო კაცის მასთან ჩაყვანა მოითხოვა. როცა ეს მოთხოვნა შეუსრულეს, მან ქართველ მეფეებს ადრიბეჯანის (აზერბაიჯანის) ქვეყნებზე ხელის აღება მოსთხოვა (პ.ო. 198). ა. რ-მა მეფეების მიერ მას-

თან გაგზავნილი სანდო კაცები სამშობლოში აღარ გამოუშვა და განჯას დატოვა (პ.ო. 198). ა. ჩ-მა ჯარი შეკრიბა და განჯას ჩავიდა, სადაც ყარაბაღის ჯარი შემოუერთდა (პ.ო. 198). ქართველებმა ა. ჩ-ისა და განჯის ხანის 1500 ჯარისკაცი ტყვედ ჩაიგდეს, ა. ჩ-ის სარდლები დახოცეს (პ.ო. 202). მეფეებმა ბორჩალოს ყოფილ ხანს – მუსა-ყულის, რომელიც ა. ჩ-ის მხარეს არ დადგა, ბორჩალოს ხანობა უბოძეს (პ.ო. 203). განჯის ხანმა აცნობა ა. ჩ-ს ბამან-ხანისა და ზურაბ ქსნის ერისთავის შვილის მასთან მისვლის შესახებ. ა. ჩ-მა თავისთან დაიბარა ბამან-ხანი და ზურაბ ერისთავის შვილი, მათ მისცა ხალათი და თეთრი ინამად (საჩუქრად). ისინი დაპირდნენ ქართლის დაჭერას (პ.ო. 207). ა. ჩ-მა მათ დაუჯერა, ჯარი შეკრიბა და ქართლსა და კახეთზე გალაშქრება დააპირა (პ.ო. 208). ა. ჩ-ს შამახის ხანი და ყუბა-ხანი შეებნენ და დამარცხეს (პ.ო. 208). ა. ჩ-მა, ჭარელებმა, კაკის სულთანმა, შირვანელებმა და ფანა-ხანმა პირობა დადეს, რომ თუ ხუნძახის ბატონი ქართლსა და კახეთზე გაიმარჯვებდა, ისინიც შეესეოდნენ, ააოხრებდნენ და დაინანილებდნენ ამ ქვეყნებს (პ.ო. 231). ყვარლის მთაზე დაბანაკებულმა ხუნძახის ბატონმა (იგულისხმება ნურსალ-ბეგი) ჯარი და დახმარება სთხოვა ა. ჩ-ის შვილს და ისიც მოვიდა ჯარით (პ.ო. 227). 1754 ყვარლის ციხეს (კახეთი) დაღესტნის ჯარი შემოესია – ჭარელები, ა. ჩ., ა. ჩ-ის შვილი სულთანი (ქრ. III, 231, 246). 1755, 10 ივნისს მეფე ერეკლემ აზატობის განახლებისა და მამუ-

ლის წყალობის წიგნი უბოძა მაჩხანელ დავით ბოსტაშვილს ა.-ჩ.-თან ბრძოლაში მეფის თავდადებული სამსახურის გამო (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 25); 1759, 21 მაისს ერეკლე II-მ სამეფო აზნაურობის წყალობის წიგნი უბოძა ფურცელა ფურცელაძეს ა. ჩ-თან ბრძოლაში, მისი ძმის მიერ თავის გამოჩენის გამო (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 32).

*სხვა ცნობის მიხედვით, ეს ბრძოლა მოხდა 1751 (იხ. ქრ. III, 632, 055, 619).

თ. ქორიძე

ბაგრეჰანდი – ჰევი იგივე ქვეყანა (ადმინისტრაციული ერთეული) სომხეთში.

ბ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონი-სი“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც., I, 1955, 45.).

თ. ქორიძე

ბაზუკი – იხ. სტ. აბაზუკი და ბაზუკი

ბამანი (ბამან-ხანი) – ნახიჩევანის ხანი (1748-1765). ირანის სახელმწიფო მოღვაწე. წარმოშობით ქართველი. ცოლად ჰყავდა იესე ქსნის ერისთავის (შანშე ერისთავის ძმა, XVIII ს-ის 40-იანი) ასული. ნახიჩევანის ხანობა

უბოძა იბრეიმ შაჰმა (ირანის შაჰი 1748, ნადირშაჰის ძმისშვილი), (1748). ბ. ადგილობრივი სომხური ქრისტიანული მოსახლეობის მხარდაჭერით სარგებლობდა. წყაროები ბ-ს ახასიათებენ როგორც კაცთმოყვარე მმართველს, რომლის დროსაც სომხებმა შეძლეს სული მოეთქვათ. ნადირ შაჰის (ირანის შაჰი 1736-47) გარდაცვალების შემდეგ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ატეხილ ბრძოლაში ბ-ც ჩაება. მან საგანგებო სომხური ჯარი ჩამოაყალიბა, რამაც გამოიწვია ნახიჩევანის სახანოს ურთიერთობის გამწვავება ყარაბაღისა და სამხრ. აზერბაიჯანის სახანოებთან. არაერთგვარი იყო ბ-ს ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. თუმცა საბოლოოდ (1760) საჯაროდ აღიარა ქართლ-კახეთის სამეფოს უზენაესობა ნახიჩევანის სახანოზე. ბ-ის მმართველობა 1765 წ-მდე გაგრძელდა. ბ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი - „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ბ-მა (1749) ჩაფარი გაუგზავნა თეიმურაზსა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის – 1762-98) და სთხოვა ჯარის მიშველიება ფანა ხანისა (ფანაჰ ალი ხანი, ყარაბაღის მფლობელი 1747-63) და აზატ-ხანისაგან (სამხრ. აზერბაიჯანის მფლობელი, 1747-62) დასაცავად. ქართლ-კახეთის მეფეებმა ბ-ს თხოვნა შეუსრულეს. გააგზავნეს ჯარი ზაალ ორბელიანის მეთაურობით. განჯიდან ყაზახში (1750) ჩასულ თეიმურაზსა და ერეკლეს ბ. მიეგება. იმავე წელს თეიმურაზი და ერეკლე ზაალ და ქაიხოსრო

ორბელიანებს ავალებენ დაარწმუნონ ბ., რათა ოჯახი თბილისში გააგზავნოს. ბ. თავისი ცოლ-შვილით ნახიჩევანში მივიდა, მაგრამ აზატ-ხანის შიშით იქაურობა დატოვა; ცოლ-შვილი ქართლში გამოაგზავნა, თვითონ კი ერევანში ნავიდა. ზაალ ორბელიანს მეორედ დასჭირდა ნახიჩევანის დაკავება (პ.ო. 164, 172, 175-76). „1752 ყირხბულახის (ერევნის ახლოს) ბრძოლის წინ, ბ. თეიმურაზის მენაპირედ (სა-საზღვრო ოლქის მცველი) დააყენეს“. ბ-მა ცოტა ხნის შემდეგ მტრის შიშით დატოვა ნახიჩევანი და თბილისში ჩავიდა თეიმურაზთან. თბილისიდან ბ. ზაალ ორბელიანთან ერთად ერევნის სახანოში გააგზავნეს, მაგრამ ბამბაკში (მხარე ისტორიულ სამხ. საქართველოში) მისულებს, იქ მოუწიათ გაჩერება და ერეკლეს დალოდება (პ.ო. 183-84). ყირხბულახის ბრძოლაში ბ. ერეკლეს მხარესაა (პ.ო. 186). ყირხბულახის ბრძოლის შემდეგ ბ-ს დაექვემდებარა ერევნისა და ყაზახ-ბორჩალუს ჯარები (პ.ო. 188). ბ. აზატ ხანის თავდასხმის გამო (1752) ნახიჩევანიდან გოგჩაზე (სევანის ტბა, სომხეთში) მივიდა, ხოლო იქიდან თბილისში (პ.ო. 190). ვამლოვანში (სოფ. ქართლში) მენაპირედ განწესებულმა ბ-მა ლეკები დაამარცხა და მათი მოჭრილი თავები თეიმურაზს მიართვა თბილისში. შემდეგ ბ-მა აზატ-ხანთან გააბა მოლაპარაკება. ლალატი-სათვის ბ. დაიჭირეს (პ.ო. 197). ბ. ცხენოსანი ჯარით სულხან ეშიკალაბაშთან ერთად ნავიდა ალაქიშისა (აჯი ჩალაბის შვილი) და შავერდი-ხანისაგან

(განჯის ხანი) ყაზახის დასაცავად (პ.ო. 205). ერეკლემ (1753) ყაზახში მენაპირე ჯარი ჩააყენა რევაზ ამილახორის-შვილისა და ბ-ის მეთაურობით (პ.ო. 207). იმავე წელს ბ-მა დატოვა ყაზახი და ზურაბ ქსნის ერისთავისშვილთან (იესეს ძე) ერთად, აჯი-ჩალაბთან (შაქის პირველი ხანი, აჯი ჩელები ყურბან ოღლუ, 1743-55), ჩავიდა განჯაში, რათა ერთად ელაშქრათ ქართლ-კახეთში. ლაშქრობა ჩაიშალა. ბ. განჯაში წავიდა აჯი-ჩალაბთან, მისი ცოლ-შვილი დარჩა თბილისში (პ.ო. 207-208). განჯაში მყოფმა ბ-მა (1754) თეიმურაზს მასთან მისვლის ნებართვა სთხოვა (პ.ო. 212). ბ. ლეკის ჯარით (1755) ყაზახში დაბინავდა, იქიდან ბორჩალოში გადავიდა. თეიმურაზსა და ერეკლეს თავისი ცოლ-შვილის დაბრუნებას სთხოვდა და სანაცვლოდ შერიგებას და მათ სამსახურში ჩადგომას ჰპირდებოდა. მასთან და ლეკებთან მოსალაპარაკებლად აღჯაყალის ციხეში ჩავიდნენ რევაზ ამილახორი და მარტყოფის (სოფ. კახეთში) მოურავი ქაიხოსრო, რომელთაც მეფეთაგან ბ-ის დაჭერა ჰქონდა დავალებული. ბ. სომხითის (ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინცია გვიან შუა საუკუნეებში) მელიქის მამულიდან ჩავიდა აღჯაყალაში (ციხე-სიმაგრე ქვ. ქართლის ისტ. პროვინცია გაჩიანში, სოფ. კუშჩის მახლობლად) და შეხვდა მათ, მაგრამ შემდეგ აღარ მიენდო და ისევ სომხითის ტყეს შეაფარა თავი. როდესაც ბ-მა და ლეკებმა გაიგეს ერეკლეს მათზე გამოლაშქრების ამბავი, გაიქცნენ და განჯაში ჩავიდნენ

(პ.ო. 223-25). თეიმურაზმა (1758) შეირიგა ბ. და ბორჩალოს ხანობა უბოძა (პ.ო. 245).

გ. ოთხმეზური

ბარდავი (ბარდა) – ქალაქი აზერბაიჯანის რესპ. ყარაბაღის ვაკეზე, მდ. ტერტერის ორივე ნაპირას. დღევანდელი ქ. ბ-იდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით არის ისტორიული ქ. ბ-ის ნანგრევები, რომელიც V ს-დან კავკასიის ალბანეთის (იხ. სტ. რანი) სატახტო ქალაქი იყო. VIII ს. დასაწყისში დაიპყრეს არაბებმა. ბ. საქარავნო გზების შესაყარზე მდებარეობდა და მსხვილ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. X ს. სალარიდებს (აზერბაიჯანში გაბატონებული ირანული დინასტია) ემორჩილებოდა. პერიოდულად ლაშქრავდა ქართველთა ჯარი. XIII ს. I ნახევარში მონღოლთა თავდასხმების შედეგად დაკნინდა და სოფლად გადაიქცა. ბ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე ტექსტი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ისტორიული საბუთი (ქ.ი.ს.კ. 1980).

ქართველთა წინაპარმა ქართლოს-მა თავის შვილს, ბარდოსს მისცა მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ხოლო მან მდ. მტკვრისა და მდ. რახსის (არაქსი) შესართავთან ააშენა ქალაქი ბ. (ლ.მ. 5). ქართლის მეფე საურმაგმა (ძვ. წ. III ს.) ცოლად შეირთო ბ-ის ერისთავის ასული (ლ.მ. 27). ქართლის მეფე მირიანმა (IV ს. I ნახ.) ქალიშვილი მიათხოვა „სპარსთა ნათესავს“ – ფეროზს, რომელსაც მისცა ქვეყანა „რანი ბარდავამდე“ (ლ. მ. 68, 117). ვახტანგ გორგასლის (ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე) დედა – საგდუხტი წავიდა ბ-ში, ეახლა მამას, რანის გამგებელს, ბარზაბოდს და შვილი შეავედრა, რათა იგი ქართლის ტახტზე აეყვანა (კავკასიაში ირანის შაჰის წარმომადგენელი იყო რანის პიტიახში), (ჯ. 144). ვახტანგ გორგასლისა და ბერძენთა (ბიზანტია) შორის ბრძოლის დროს დაიღუპა ვახტანგის დედის ძმა, ვარაზ-ბაკური, რომელიც ბ-ში წაასვენეს (ჯ. 176). სპარსეთის მეფემ ურმიზდმა (ირანის შაჰი ჰორმიზდ IV, 579-90) თავის შვილს, ქასრე ამბარვეზს (ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი 591-628) სამართავად მისცა რანი და მოვაკანი. ქასრე დაჯდა ბ-ს (ჯ. 217). მეფე არჩილმა (ქართლის ერისმთავარი VIII ს. 20-40-იანი) თავისი ძმისწულეები (მირის ქალიშვილები) ერისთავებს მიათხოვა და მზითვად მიწები

დაურიგა. მეხუთე ქალიშვილი ცოლად მისცა ვარზმანს, რომელიც იყო ბ-ის სპარსი ერისთავის ნათესავი (ჯ. 242). ამოტ კურაპალატის (ქართლის ერისმთავარი VIII ს. 90-იანი; ტაო-კლარჯეთის მეფე. გ. 826) „სახლად იყო ტფილისი და ბარდავი“ (ს. დ. 376; ვ. ბ. 128). ამოტი აუჯანყდა არაბებს და შავშეთში გაიქცა. განაახლა არტანუჯი, „კვალად ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა“ (სავარაუდოდ ქ. ხილახილა, იგივე ფეროზაპატი, ალბან მეფეთა რეზიდენცია), (ს. დ. 377). თბილისის ამირა საჰაკის (ისჰაკ იბნ ისმაილ შუაბიანი) წინააღმდეგ ბრძოლაში (842) ბაღდადის ხალიფას სარდალ მუჰამედს (ხალიდ იაზიდის ძე) ეხმარება ბაგრათი (ტაო-კლარჯეთის მეფე 826-76). ამ ბრძოლის შემდეგ „აიყარა“ მუჰამედ და წავიდა ბ. (მ. ქ. 255; ვ. ბ. 129). არაბთა სარდალმა ბულა-თურქმა (ბულა ალ-ქაბირი, გ. 862) საქართველოში ლაშქრობის დროს (853) გამოიზამთრა ბ-ში (მ.ქ. 256; ვ. ბ. 130). სალარიდებმა დაიპყრეს (X ს. 20-იანი) ბ. და ადარბადაგანი (მ. ქ. 266; ვ. ბ. 134). თურქ-სელჩუკები ჩამოდგებოდნენ თბილისიდან ვიდრე ბ-მდე, რადგან მისი შემოგარენი გამოსაზამთრებლად საუკეთესო ადგილებს წარმოადგენდა (დ. ი. 332). გაზაფხულზე, როდესაც მტკვარი ადიდდა, თურქ-სელჩუკები ბ-ში ჩადგნენ (დ. ი. 340). დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125), (1121) დაარბია ბ. და „მოსრნა თურქნი“ (დ. ი. 340, ქ.ი.ს.კ. დაწერილი ფავნელისა მღვიმისადმი დოკ. №1. 16). ლაშა-გიორგის (საქართველოს მეფე 1207/10-23) და-

ბადების აღსანიშნავად ქართველებმა მონარბიეს (1193) დიდი და ძველი ქალაქი ბ. (ი. – ა. 58). მონაპირეების (საზღვრისპირა ოლქის საგანგებო მოხელე) გრიგოლის ძეთა, ტბელთა, მაფატლისძეთა შიშით, ბ-ს... დედას ყმა ვერ აუტირდებოდა (ბ.ეზ. 130). ლაშა – გიორგის მეფობის დროს, როდესაც მეორედ გამოჩნდნენ მონღოლები საქართველოს საზღვრებთან, დადგნენ ბ-ის ჭალას (ლ.გ.მ. 370). მონღოლებმა მოახორეს (XIII ს. 40-იანი) მთლიანად სამხრეთ კავკასია, მათ შორის ბ. (ყ. 186). როდესაც მონღოლები შემოადგნენ კავენის (ქალაქი ისტ. სომხეთში) ციხეს, სადაც (საქართველოს) ამირსპასალარი ავაგ ივანეს ძე მხარგრძელი იყო გამაგრებული, თავის გადასარჩენად მონღოლთა მთავრებს ბ-ში მოციქული გაუგზავნა და ზავი შესთავაზა (ყ. 189). მონღოლები ზამთრის სადგურად ბ-ს იყენებდნენ (ყ. 189, 191). რუსუდანი (საქართველოს მეფე 1223-45) და მისი მემკვიდრე დავითი, იმერეთიდან აღმ. საქართველოში გადმოვიდნენ (1243). აქ მათ დახვდნენ უკვე მონღოლებთან შეთანხმებული ქართველი დიდებულები. დავითი ბ-ში წაიყვანეს, სადაც მონღოლმა ნოინებმა ის სამეფო ტახტზე აიყვანეს და დასამტკიცებლად ურდოში გააგზავნეს (ყ. 195). რომეუარის ქვეყანას მართავდა ოთხი ნონი, ამ ქვეყანაში შედიოდა: ხორასანი (ისტ. ოლქი ირანის ჩრდ. აღმ. ნაწილში), ერაყი, საქართველო, შირვანი, მოვაკანი, ბ. (ყ. 223). ილხანებსა და ოქროს ურდოს შორის ატეხილ ომებში (1262-63) ქართველები ილხანთა მხარეს იბრძოდნენ.

ერთ-ერთი შეტაკების დროს, შაბურანის ველზე (დარუბანდთან) დავით ულო, ლაშა-გიორგის ძემ (აღმ. საქართველოს მეფე 1246-70) ბერქა ყაენის (ოქროს ურდოს მბრძანებელი 1255-66) მომხრე „სახელოვანი კაცი“ მოკლა, ხოლო სარგის ჯაყელი (სამცხის სპასალარი, 1266-დან სამცხის მმართველი) დიდი სიმამაცით იბრძოდა ბერქას ჯარის წინააღმდეგ. შედეგად ოქროს ურდოს ჯარი გააქციეს. გამარჯვებულები ბ-ს მივიდნენ, სადაც მონღოლებმა დაასაჩუქრეს. სარგის ჯაყელს საგამგებლოდ გადასცეს კარნუ-ქალაქი (კარახპოლა, დღ. არზრუმი, თურქეთში). დავით ულომ ეს საქმე ჩაშალა. სარგისი განაწყენებული შინ დაბრუნდა, დავითმა კი ბ-ში გამოიზამთრა (ყ. 250). დავით ნარინი (დას. საქართველოს მეფე 1246-59), რუსუდანის ძე, ულო-ყაენმა შეიპყრო და ბ-ში გააგზავნა (ყ. 228; ვ. ბ. 213). თემურ-ლენგმა (შუა აზიის მბრძანებელი 1370-1405) დაატყვევა ბაგრატი (ბაგრატი V, საქართველოს მეფე 1360-93) მეუღლე ანასთან ერთად (1386), თვითონ კი სანადიროდ წავიდა, „ჩავლო ყარაია (მტკვრის პირა ველი ქ. რუსთავთან) და მივიდა ბარდავს“ (ვ. ბ. 264). შემდეგ ბ-დან შირვანს წავიდა (ვ. ბ. 265). თემურ-ლენგი მრავალრიცხოვანი ლაშქრით, ბუკთა ცემით და ზარების ზრიალით, მივიდა ბ-ში, იქ დატოვა საჭურჭლე და საქართველოს დასალაშქრად წამოვიდა (1387), (ბ. ე. 330; მეორე ტ. 457; ვ. ბ. 267), თემურ-ლენგმა და გიორგიმ (გიორგი VII, საქართველოს მეფე 1393-1407) ზავი დადეს (1403), რის შემდეგ

გაც თემური გამოსაზამთრებლად ბ-ში წავიდა (ბ. ე. 335; მეორე ტ. 467; ვ. ბ. 272). შაჰ-თამაზი (თაჰმასპ I, ირანის შაჰი 1524-76), როდესაც საქართველოს მეორედ (1547) შემოესია, მართალია ქვეყანა ააოხრა, მაგრამ თვითონაც დიდი ზარალი ნახა; ბრძოლის გაგრძელება ვერ შეძლო, მხოლოდ ნადავლით დაკმაყოფილდა, ბ-ს გაბრუნდა და იქ გამოიზამთრა (ფ. გ. 5). როდესაც ბატონ თეიმურაზს (თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-48; ქართლ-კახეთის 1625-32), შეატყობინეს, რომ ყიზილბაშებმა კახელებს არაგვზე „თავები დააყრევი-ნეს“, მან გაიარა ქართლი, ჩავიდა კახეთში და კახელები საომრად გაემზადნენ. ეს რომ ფეიქარ-ხანმა გაიგო ბ-ს გაიქცა და იქიდან შაჰ-აბასს (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) დახმარება სთხოვა. მან ჯარი გაუგზავნა (ფ. გ. 24). შაჰ-აბასმა კახელების განყვეტის და იქ ყიზილბაშთა ჩასახლების ბრძანება გასცა. ამ საქმეს ბ-ის ხანი, ფეიქარ-ხანი ხელმძღვანელობდა (ბ-ისა და კახეთის მუსლიმი გამგებელი), (პ. ქ. 90). ქართველებმა გიორგი სააკაძის (ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, 1570-1629) მეთაურობით ფეიქარ-ხანზე გაილაშქრეს. მან გაქცევით უშველა თავს. ქართველებმა ბ-მდე სდიეს, ვერ დაიჭირეს და ბ. მოარბიეს (ბ.ე. 407). ყარაბაღის ბეგლარბეგმა დაუდ-ხანმა (უნდილაძე) და თეიმურაზმა (თეიმურაზ I), მოილაპარაკეს და ბარდა-ყარაბაღი მოარბიეს (1632). თეიმურაზის ჯარში იყვნენ იმერეთის მეფის – ალექსანდრეს (1639-60), ოდიშის მთავრის, ლევან დადიანის (1611-57)

და მესხთა ლაშქარი (ფ. გ. 30). თეიმურაზთან, როდესაც იგი ბ-ში იდგა, მივიდა ყარაბაღის სომეხთა კათოლიკოსი და თავრიზზე (ქ. ირანის აზერბაიჯან-ში, აჯიჩაის ხეობაში) გალაშქრება ურჩია. მეფემ უარით გაისტუმრა (ფ. გ. 31). ბ-ის ხანმა შაჰს ქართლის თავადე-ბისგან გაგზავნილი არზა მიართვა, სადაც ისინი მეფედ გიორგის ითხოვდნენ (ქართლის მეფე გიორგი XI 1676-88; 1703-09), (ფ. გ. 83-84). როდესაც ნადირ-შაჰი (ირანის შაჰი 1736-47) დალესტანში იბრძოდა (1741-43), ყიზილბაშებმა ქართლიდან გატანილი 6 000 ხარ-ურმით პური ბ-დან დალესტანში გადაზიდეს (პ. ო. 55). ნადირ-შაჰმა აჯანყებული ყოფილი შაჰის შვილის (სეფი მირზა სინამდვილეში თვითმარქვია იყო) დასასჯელად თავისი ძე ნასრულამ-მირზა გააგზავნა. ნასრულამ აიკლო შირვან-შამახია და გამარჯვებული „ბარდავს დადგა“ (1743), (პ. ო. 73). გადასახადების გაზრდის გამო ყიზილბაშებს ქართლის დიდი თავადი გივი ამილახვარი აუჯანყდა (1742-45), რომელსაც თურქები ეხმარებოდნენ. ნადირ შაჰმა შემორიგება გადაწყვიტა და საქმის გასარკვევად ბ-ის ხანი გააგზავნა (პ. ო. 54). როდესაც თურქთა ჯარის შემოსვლა ნასრულამ მირზამ გაიგო, მაშინვე ბ-დან წამოვიდა და განჯის მინარეთთან დადგა. შეშინებული თურქები უკან გაბრუნდნენ (პ. ო. 75). ნადირ-შაჰმა, როდესაც ქართლში თურქების შემოსვლა შეიტყო, ერეკლესა (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62; ქართლ-კახეთის 1762-98) და თეიმურაზის (თეიმურაზ II, ქართლის მეფე

1744-62) დასახმარებლად ბ-დან აშურხან სარდლის მეთაურობით 4 000 ჯარისკაცი გამოაგზავნა (პ. ო. 80). შაქშირვანის ხანი აჯი-ჩალაბი (შაქის პირველი ხანი, ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ, 1743-55), როდესაც თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ იბრძოდა (1751-52), მას ჯარით ბ-ის ხანი ეხმარებოდა (პ.ო. 208).

ქ. ნადირაძე

ბარდოსი – კავკასიელ ხალხთა ერთ-ერთი ეთნარქი. ბ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბ. იყო ბიბლიური თარგამოსის (კავკასიელ ხალხთა ეთნარქი) მესამე ვაჟი (ლ.მ. 4; ვ.ბ. 47). თარგამოსის მიერ ქვეყნის გაყოფის შემდეგ ბ-ს ერგო ტერიტორია მდ. მტკვრის სამხრეთით, მდ. ბერდუჯიდან (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი, თანამ. მდ. ძეგამ-ჩაი აზერბაიჯანში) მდ. მტკვრის და მდ. არაქსის შესართავამდე (ლ.მ. 5). ამ ტერიტორიის საზღვრები იყო: აღმოსავლეთით მდ. არაქსი (მდ. სამხრეთ კავკასიაში, მდ. მტკვრის უდიდესი შენაკადი), სამხრეთით მთა, რომელზე მომავალი მდინარეები ერთვის მდ. მტკვარს, დასავლეთით მდ. ბერდუჯის მცირე მთა, ჩრდილოეთით მდ. მტკვარი (ვ.ბ. 48). ბ-მა ააშენა ქ. ბარდავი და იქ დაემკვიდრა (ლ.მ. 5; ი-ა. 58; ვ.ბ. 526). ბ-ის

წილხვედრ ქვეყანას ეწოდა რანი („არ-რან“, ძველი ალბანეთის არაბული სახელი) (ვ.ბ. 632).

ე. კვაჭანტირაძე

ბარზაბოდი – ირანელი მოხელე, ქართლ-ალბანეთის მარზპანი (დაახ. V ს. 30-იანი). ბ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ბ-ის სამფლობელოს ხშირად აოხრებდნენ ქართლის მეფე არჩილი (ქართლის მეფე V ს. 20-30-იანი) და მისი ვაჟი მირდატი (ქართლის მეფე V ს. 30-50-იანი). ბ-ის ასული საგდუხტი ცოლად ითხოვა არჩილმა თავისი ვაჟისათვის, რამაც დიდად გაახარა ბ., ჩამოართვა მშვიდობიანობის პირობა და მისცა თავისი ასული მირდატს (ჯ. 141-2). საგდუხტი გაქრისტიანდა. ქმრის სიკვდილის შემდეგ შეშინებული, რომ მამას არ დაესაჯა გაქრისტიანების გამო, ის წავიდა ბარდავს ბ-თან და შეწყალება სთხოვა. ბ-მა შეინყალა თავისი ასული, არ აიძულა მამისეულ სარწმუნოებაზე დაბრუნება, მაგრამ გამოგზავნა ცეცხლთაყვანისმცემელი მსახურნი მცხეთაში ეპისკოპოს ბინქარანით სათავეში. ბ. ქართველებს არ აიძულებდა მიელოთ ცეცხლთაყვანისმცემლობა. ბ. გარდაიცვალა და სპარსთა მეფემ მის ადგილას დასვა მისი ვაჟი ვარაზ-ბაკური (ჯ. 144-5).

ე. კვაჭანტირაძე

ბაქო – აზერბაიჯანის დედაქალაქი, დიდი ნავსადგური კასპიის ზღვაზე, პირველად იხსენიება V ს-ის წყაროებში. IX-X სს-ში მის შესახებ ცნობებს გვანდვიან არაბი გეოგრაფები. XII ს-ის მეორე ნახევარში ერთხანს შირვანის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი, ხოლო XV-XVI სს. ამიერკავკასიის ერთ-ერთი შეუვალი ციხესიმაგრე იყო. ბ-ს XVI ს-ის 80-იანი ოსმალეთი ფლობდა, 1604 შაჰ აბას I-მა დაანგრია, მაგრამ მალე ისევ აღადგინა. 1723 ბ. რუსეთის ჯარმა დაიკავა, 1735 ირანს დაუბრუნდა. რუსეთ-ირანის 1804-13 ომის დროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. 1920 აპრილში, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისი დედაქალაქი გახდა. ბ. იხსენიება: ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1925); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962).

შაჰ ისმაილს (ირანის შაჰი 1502-24) მისი მოკავშირეები – გასკრის ბატონი და ასტარის ბატონი მურად სულთან თალიში თავიანთი ლაშქრით შირვანზე წაუძღვნენ, ბ-ს ციხე ადვილად აიღეს და შირვან შამახია დაიჭირეს (ფ. გ. 210). 1796 მოვიდა რუსეთის ჯარი გრაფ ზუბოვის ხელმძღვანელობით, რომელთაც დაიპყრეს დარუბანდი, შამახია, ბ. და სალიანი. (თ.ბ. 66); გილანელების მიერ დამარცხებული რუსები ნავით მივიდნენ ბ-ს მახლობლად. 1806 ციციშვილი (პავლე ციციანოვი, საქართველოს მთავარმართველი

1802-1806) მივიდა ბ-ს, მისი მიზანი ბაქოს დაპყრობა და იქიდან აზულას გამოტანა იყო საქართველოში მყოფი ლაშქრის დასახმარებლად. ბ-თან ერთ ფარსანგზე (მანძილის საზომი ერთეული აქემენიდთა და სასანიანთა ირანში) მისულმა მისწერა ბ-ს ხანს ჰუსეინს (1792-1806), რათა მისთვის ჩაებარებინა ქალაქის კლიტენი (თ.ბ. 72). როდესაც ციციანოვი ბ-ს მივიდა, ბ-ს ხანს (ჰუსეინს) მოახსენა, რომ თუ არ დანებდებოდა, შემუსრავდა მის ციხეს. ბ-ს ხანი ცბიერებით დაემორჩილა ციციანოვს და თავისთან მიიწვია. ბ-ს ხანი ციხის გარეთ შეეგება მას და დასხდნენ სასაუბროდ. სწორედ ამ დროს ხანის კაცებმა ციციანოვი დამბაჩებით მოკლეს. შეშინებული რუსები ყიზლარსა და თბილისში გაიქცნენ (თ.ბ. 72; ბ.ბ. 97-98). რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პავლეს ძემ (1801-25) დიდი მხედრობა გაგზავნა ბ-ს დასაპყრობად, რომელმაც ქალაქს ალყა შემოარტყა. შეშინებული ბ-ს ხანი გაიპარა, ციხე კი რუსებმა აიღეს (ნ. დ., 197). ბ-ში მყოფი რუსის ჯარი ყიზლარში ზღვით გადავიდა (თ.ბ. 72). მარკიზი (ფილიპე პაულუჩი, საქართველოს მთავარმართველი 1811-1812) გადავიდა მტკვარს შაქის, შარვანის, დარბადისა (დარუბანდის) და ბ-ს დასათვალიერებლად, რადგან ყველა ეს ადგილი დაპყრობილი ჰქონდათ რუსებს (თ.ბ. 80). იმუამად მარკიზი ჩამოსული იყო ბ-დან თბილისში (თ.ბ. 82).

თ. ქორიძე

ბაყათარი – ოვსთა ბუმბერაზი // გოლიათი (V ს. შუა წლები). ბ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962).

ოსეთზე ლაშქრობის დროს (დაახ. 446-47) მეფე ვახტანგ გორგასალმა (ქართლის მეფე V ს-ის 40-იანი.- V ს-ის ბოლომდე), რომელიც ამ დროისათვის თხუთმეტი წლის იყო, ორთაბრძოლა გაუმართა ოს ბუმბერაზს ბ-ს. ბ. იყო გოლიათი, რომელიც ორთაბრძოლებში მუდმივად გამარჯვებული გამოდიოდა. მისი მშვილდი სიგრძით თორმეტ მტკაველს ითვლიდა, ხოლო ისარი ექვს მტკაველს. ბრძოლის დაწყების წინ ბ. მოადგა მდინარის პირს (მდ. თერგი) და ვახტანგს მალალი ხმით შეუძახა: ვახტანგ მეფეო, ნუ გალალდები წინაღლის გამარჯვებით. გინვევ ბრძოლაში, რომელსაც ველარ გადაურჩები. ვახტანგ მეფემ მიუგო, რომ მას იცავდა ქრისტეს ძალა და ჯვარი, ამიტომ მას ბ-ის არ ეშინოდა „ვითარცა ძაღლისა“. ვახტანგი შეაჯდა ჯავშნით შეჭურვილ ტაიჭს, აიღო ცხოველის ტყავისაგან გაკეთებული ფარი, ჩაიარა ფერდობი, მივიდა მდინარის მახლობლად და ბ-ს უბრძანა, რომ მდინარე მას გადაელახა და ხლებოდა, რადგან იგი მეფე იყო. ბ. დამორჩილდა, გადალახა მდინარე და დაუნყო ვახტანგს ისრების ტყორცნა. ვახტანგის ცხენი დაიჭრა. ამ დროს ვახტანგი მიეჭრა ბ-ს, უხეთქა ხმალი მხარზე და ჩაჰკვეთა გულამდე.

თვითონ დაჯდა მის ცხენზე და მიეახლა თავის სპას (ჯ. 154, 155; ვ. ბ. 103). ეს ის ბაყათარია, რომელმაც მოაოხრა ქართლი და მოიტაცა ვახტანგის და ვახტანგის და მან გამოიყვანა სტეფანწმინდის მონასტრის ზემოთ მდებარე ციხიდან (ნ. დ. 80, 133).

ქ. ნადირაძე

ბაყათარი – ოვსთა მთავარი (გ. 1304). ბ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი (ქ.ც. IV, 1973); წარწერა ნუზალის საყდარზე (ქრ. II. 1897).

დავითი (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311) პერიოდულად უჯანყდებოდა მონღოლებს. მონღოლები, საპასუხოდ, აოხრებდნენ საქართველოს ტერიტორიას ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ოვსთა მთავარი ბ. მონღოლთა მხარდაჭერით განდიდდა. აოხრებდა ქართლს, თრიალეთს. აყარა მიწებიდან აზნაურები და იყო „ჭირი დიდი მკვიდრთა ქართლისათა“. „გამრეკლის კახას ძეს“ წაართვა ძამის ციხე (ციხე ძამის ხეობაში, შიდა ქართლი) და იქ გამაგრდა. ეს რომ ბექამ (ბექა I ჯაყელი, სამცხის მმართველი და მეფის მანდატურთუხუცესი 1240-1306) შეიტყო, მიადგა ციხეს და ალყა შემოარტყა. ოსები შეშინდნენ. ბ. მივიდა ბექასთან, პატიება ითხოვა და პირობა დადო, რომ აღარ იაკვაცებდა. ბ. ამის შემდეგ გარდაიცვალა. [სოფ. ნუზალის საყდრის კედელზე, არდანის ხეობაში, ოსეთში, არის წარწერილი ლექსი, სა-

დაც ბ-ს განადიდებენ (თ. ჟორდანიას ათარილებს 1324 და აიგივეს ქ. ც-ს ბ-სთან. ქრ. 178-79)].

ქ. ნადირაძე

ბაყათარი – ოვსთა მთავარი (დაახ. IX-X ს. მიჯნა). ბ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

აფხაზთა (დას. საქართველო) მეფე ბაგრატმა (ბაგრატ I, 881-93) გადაწყვიტა საკუთარი სამფლობელოს კლარჯეთის ტერიტორიების ხარჯზე გაფართოვება. ამისათვის მან საომრად გააგზავნა ლაშქარი თავისი ცოლისძმის – ნასრას მეთაურობით. ნასრას ეხმარებოდა ოსთა მთავარი ბ. ბრძოლაში ჩაება ტაოს მეფე – ადარნასე დავითის ძე (881-923), რომელმაც მდ. მტკვართან სომეხთა დახმარებით დაამარცხა ნასრა. ბ. ბრძოლაში დაიღუპა (მ. ქ. 261; ვ. ბ. 132).

ქ. ნადირაძე

ბენჩა – ლეკთა ბელადი (XVIII ს. I ნახ.) ბ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ბ. ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) ერთგულებისათვის, ერეკლეს წინააღმდეგ (1748) აჯანყებულმა აბდულა-ბეგმა, იესეს ძემ (იესე, ქართლის

მეფე 1714-16, 1724-27) მოაკვლევინა (პ. ო. 140).

ქ. ნადირაძე

ბირიტი – ციხე შირვანში. ბ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბ. აილო დავითმა (დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 1089-1125) შირვანზე ლაშქრობისას (1124), (დ.ი. 345; ვ.ბ. 162).

ე. კვაჭანტირაძე

ბიჯნისი – ციხე-სიმაგრე სომხეთში, მდებარეობდა აირარატის ნაჰანგის ნიგის გავარში, წერილობით წყაროებში V ს-დან იხსენიება, X-XI სს-ში იყო ფაჰლავუნების რეზიდენცია, ბ-ის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი მდ. რაზდანის მარჯვენა ნაპირზე. ბ. იხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980); ლაშა-გიორგის-დროინდელი მატიანე (ქ.ც. I, 1955); ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959).

VII ს-ის სომეხი მონოფიზიტი მოძღვარი იოანე მაირაგომელი სიკვდილის წინ დაემკვიდრა ბ-ში (ა.ს. 93). ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა (XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ზაქარია – ამირსპასალარ-მანდატურ-თუხუცესი, ივანე – მსახურთუხუცე-

სი, ამირსპასალარი, ათაბაგი) აიღეს ბ. (ლ.მ. 368). ჯალალედინის (მანგუბერთი, ხვარაზმის შაჰი 1220-21) შემოსევის დროს ივანე მხარგრძელმა გარნისთან დამარცხების შემდეგ უკან დაიხია ბ-კენ (ყ. 171). ჯალალედინმა მოციქული გაუგზავნა ბ-ში მყოფ ავაგ მხარგრძელს (XIII ს-ის I ნახ. სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს ამირსპასალარი და ათაბაგი), თვითონ კი იდგა „ხრამსა ზედა ბიჯნისისასა“ (ყ. 172-3). ავაგ მხარგრძელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დავითი (დავით VII, საქართველოს მეფე 1246-70) მიდის მის სახლში ბ-ში (ყ. 237). ყაენისადმი (ილხანთა ყაენი ჰულაგუ, 1217-65) განდგომილი დავით VII გადავიდა სამცხეში სარგის ჯაყელთან (სარგის I, სამცხის მმართველი 1266-85, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი), მეუღლე დედოფალი გვანცა და მისი ვაჟი დემეტრე კი ბ-ში დატოვა (ყ. 239).

ე. კვაჭანტირაძე

ბლუჩანი – (VIII ს-ის მე-2 ნახ.); ხაზართა ხაკანის სპასალარი. ბ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ბ. გამოაგზავნა ხაზართა ხაკანმა, რათა მისთვის მიეგვარა ქართლის ერისმთავრის – ჯუანშერის (VIII ს. 50/60) და, შუშანი. ბ. ლეკეთის გავლით შევიდა კახეთში და მიადგა იმ ციხეს, სადაც იმყოფებოდნენ ჯუანშერი და შუშანი. მან რამდენიმე დღეში აიღო ციხე, ჯუანშერი და შუშანი დაატყვევა.

შემდეგ შემუსრა თბილისი, მოაოხრა ქართლი და დარიალის გზით გაემართა ხაზარეთში. ხაზართა ხაკანს ბ-მა მხოლოდ ჯუანშერი წარუდგინა, რადგან შუშანმა გზაში თავი მოინამლა. შუშანის ცხედარის არჩატანის გამო (ხაკანს მისი ნახვა სურდა) ხაკანის ბრძანებით ბ. შეიპყრეს, მოაბეს ყელზე საბელი და მისცეს ორ ცხენოსანს, აქეთ-იქით განსაზიდად. ასე მოსწყვიტეს თავი (მ.ქ. 249-50).

გ. ოთხმეზური

ბორენა – ოვსთა მეფის ასული. საქართველოს დედოფალი XI ს-ში. საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის (1027-72) მეუღლე. ბ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბაგრატს, როდესაც გარდაეცვალა პირველი მეუღლე ბერძენთა კეისრის ასული – ელენე, მეორე ცოლად შეირთო ოსთა მეფის – დორლოლელის და ბ. ბაგრატს სასიკვდილო სარეცელთან თავს ადგნენ დედა მარიამი, მეუღლე ბ. და სხვ. (მ.ქ. 295, 314; ვ.ბ. 145).

ქ. ნადირაძე

ბორზო // ბარუხი (დაახ. V ს. მე-2 ნახევარი) – ბორზო, მოვაკანის მეფე. ბ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955). ბარუხი, მოვაკანის მთავარი. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღ-

წერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973). იდენტური პირები.

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალი* სპარსეთის შაჰის ბრძანებით, სპარსეთზე დაქვემდებარებულ სხვა კავკასიელ მეფე-მთავრებთან ერთად, საბერძნეთში (ბიზანტია) შეიჭრა და ქალაქ პონტოს შეუტია. ბერძნებთან ბრძოლაში დაიღუპნენ ვახტანგის დედის ძმა რანის ერისთავი, ლეკთა ბელადი – იპაჯაჯი და სხვა ერისთავები. მაშინ ვახტანგმა ყველას მოუწოდა წარმატების მისაღწევად ჯვარს მთხვეოდნენ, ხოლო, ვინც მის ბრძანებას არ შეასრულებდა, სიკვდილით დასჯიდნენ. პეტრე მღვდელს მოატანინა ჯვარი. ერისთავ დემეტრესა და სპასპეტ ჯუანშერს უბრძანა პეტრეს თან ხლებოდნენ. ყველა დაემორჩილა ბრძანებას და დაიწყეს ჯვრის თაყვანისცემა. ბ-მ, განაცხადა, რომ უარს არ იტყოდა ნათელზე და ფუტურო ძელს არ ემთხვეოდა. მაშინ ჯუანშერმა ბ-ს სცა მახვილი და მოკლა (ჯ. 173-174; ვ.ბ. 107).

*ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღება: ს. გორგაძე 443-503, ივ. ჯავახიშვილი 442-502, კ. თუმანოვი 435-522, ვ. გოილაძე 438-491.

ქ. ნადირაძე

ბურღუსანი – ოვსთა მეფის ხუდდანის (ერთ-ერთი ჩრდ. კავკასიელი მმართველი) ასული. საქართველოს მეფის – გიორგი III-ის (1156-84) თანამეცხედრე. ბ. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდღუარი „ცხოვრება მეფეთა-

მეფისა თამარისი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბ. გიორგის, მამამისმა დემეტრემ (დემეტრე I, საქართველოს მეფე 1125-56) თავის სიცოცხლეშივე შერთო ცოლად (1150-იანი). ბ. გამოირჩეოდა საოცარი სილამაზით, სათნოებით, სიბრძნით, სიკეთითა და ქრისტეს ერთგულებით. იგი, თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) მეფის თანამოსაყდრედ კურთხევის შემდეგ (1178/79) მალევე გარდაიცვალა (ი.ა. 4,20,27; ბ.ე.ბ. 116-117; ვ. ბ. 166).

ქ. ნადირაძე

ბაგიკ კარელი – სომეხი წარჩინებული, XI ს-ის მოღვაწე.

გ. კ. იხსენიება: გიორგი მცირე, „ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმიდელისა“. (დ.ქ.ა.ლ.ძ., II, 1967, 178).

თ. ქორიძე

ბაგიკი (გაგიკ I) – ანისის მეფე (990-1020), აშოტ III-ის შუათანა ვაჟი. გ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბაგრატი (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) სთხოვს გ-ს დახმარებას ფადლონის (ფადლონი I, ფადლინი მუჰამადი, განძის ამირა 985-1031) წინააღმდეგ საბრძოლველად. გ. სიხა-

რულით აივსო, შეკრიბა ჯარი და წავი-
და დასახმარებლად. ორი მეფე შეხვდა
ერთმანეთს ძორაკერტში (მხარე ქვემო
ქართლში), გაილაშქრეს ფადლონის წი-
ნაალმდე და გაიმარჯვეს (მ.ქ. 279-80).

ე. კვაჭანტირაძე

ბაბიკი – კახეთ-ჰერეთის მეფე
(1037-58), თავისი სამეფოს შენარჩუნე-
ბის გამო დაპირისპირებულია ბაგრატი-
თან (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე
1027-72). გ. იხსენიება: „მატიანე ქარ-
თლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატო-
ნიშვილი „აღწერა სამეფოსა საქარ-
თველოსა“ (ქ.ც. IV, 1973), უჯარმის წარ-
წერა (2007). გ. იყო ტაშირ-ძორაგეტის
მეფე დავით ანჰოლინის ძე [იხ. სტ. და-
ვით ანჰოლინი] (989-1048) და კახეთ-
ჰერეთის მეფე კვირიკე III-ის (1014-37)
დისწული. ის იბრძვის თბილისისათვის
(მ.ქ. 297; ვ.ბ. 145). ბაგრატმა (ბაგრატ
IV, საქართველოს მეფე 1027-72) გაი-
ლაშქრა კახეთზე, მიქელ გაბრიელის
მთასთან დაამარცხა კახეთის ლაშქა-
რი, გადაწვა ბოდოჯის სასახლე (მ.ქ.
298; ვ.ბ. 146). გ. თავისი დიდებულებით
მივიდა ისნის ველზე ბაგრატ IV-თან
მშვიდობის საძიებლად. ბაგრატმა მი-
იღო მათგან მორჩილების განცხადება
და დაუზავდა გ-ს (მ.ქ. 300; ვ.ბ. 146).
გ-ის ვაჟი იყო აღსართანი (აღსართან
I, კახეთის მეფე 1058-84), (მ.ქ. 308; ვ.ბ.
562). უჯარმის ეპიგრაფიკულ ძეგლში
გაგიკის მოსახსენებელი წარწერა: „მე-
ფე გაგიკ მოიხსენე ქრისტე“.

ე. კვაჭანტირაძე

ბანძა – ქ. განჯას ძველი ქარ-
თული სახელწოდება (1935-89 წლებ-
ში ქ. კიროვაბადი) ქ. აზერბაიჯანის
რესპუბლიკაში, მდ. განჯიჩაის (მდ.
მტკვრის აუზი) ნაპირზე. დასახლებუ-
ლია V ს-დან. XVIII საუკუნიდან ახლად
წარმოქმნილი განჯის სახანოს ცენტ-
რი. გ-ზე გადიოდა მნიშვნელოვანი სა-
ვაჭრო გზა – თბილისი – განჯა – შუშა
– თავრიზი. გ. არაერთხელ აუოხრე-
ბიათ ირანელებს, თურქებს, მონღო-
ლებს და სხვ. მასზე ლაშქრობდნენ
ქართველებიც. გარკვეულ პერიოდ-
ში გ. საქართველოს მეფეთა მოხარკე
იყო. განძა იხსენიება: „მატიანე ქარ-
თლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა და-
ვითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი
მატიანე (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი
და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი
ეზოსმოდღუარი „ცხოვრება მეფეთ-
მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი,
ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის
ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვ-
რება“ – მესამე ტექსტი (ქ. ც. II, 1959);
ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამე-
ფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973);
აბუსერიძე ტბელი „ბოლოკ-ბასილის
მშენებლობა შუარტყალში და აბუსე-
რიძეთა საგვარეულო მატიანე“ (1941).
განჯა იხსენიება: ფარსადან გორგი-
ჯანიძე „ისტორია“ (1926); სეხნია ჩხე-
იძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუ-
ნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“
(1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა
ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ
ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983);
„პარიზის ქრონიკა“ (1980); ნიკო და-
დიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962);

ბაგრატი ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ისტორიული საბუთები (მც. ქ. 1968, ქრ. III. 1967, ქ.ს.დ. II. 1965, VI. 1977, VIII. 1985); იესე ბარათაშვილი „ცხოვრება ანდერძი“ (ქართული მწერლობა, 8. 1990); „მესხური მატიაწე“ (1961); განძის კარის წარწერა (ქრ. I, 2004).

გ-ის ამირა ფადლონი (ფადლ იბნ მუჰამად I შადადიანი 985-1031) გაძლიერდა და პერიოდულად კახეთ-ჰერეთის რბევა დაიწყო. ბაგრატი (ბაგრატი III, საქართველოს მეფე 975-1014) ასეთმა საქციელმა აღაშფოთა, შეკრა კავშირი გაგიკ (ანისის მფლობელი) სომეხთა მეფესთან, ჩავიდა შამქორს (ისტ. ქალაქი აზერბაიჯანში) და გაიმარჯვა (1010). ფადლონმა ზავი ითხოვა ხარაჯას გადახდის პირობით (მ.ქ. 280). ბაგრატი (ბაგრატი IV, საქართველოს მეფე 1027-72) ორი წელი იბრძოდა თბილისის ასაღებად (1037/38 ან 39/40). თბილისს, ამ დროს, არაბი ამირა ჯაფარი განაგებდა. ბოლოს ამირა ჯაფარმა „შეკაზმა“ ლაშქარი, გაამზადა ტივები, ნავეები და ლამით გ-ში წასვლა გადაწყვიტა (მ.ქ. 297; ვ. ბ. 145). თურქები გ-ის ქვეყანას მოადგნენ. ბერძენთა (ბიზანტი) მეფემ მთავარსარდალი ლაშქრით გამოავაზნა მათ წინააღმდეგ. ბაგრატი ბერძენთა დასახმარებლად გ-ის კარს მიადგა (XI ს. 50-იანი). გაერთიანებულ ლაშქარს თურქები არ შეებრძოლნენ. დატოვეს გ-ის ქვეყანა და უკან გაბრუნდნენ (მ.ქ. 302; ვ. ბ. 148). სელჩუკთა სულთანმა (ალფ-არსლანი 1063-72) აღმოსავლეთ საქართველოზე ილაშქრა (1068). მან

ბაგრატის წინააღმდეგ შეკრა კოალიცია, რომელშიც შედიოდა გ-ის ამირა ფადლონი (ფადლ იბნ შაჟურ II 1067-73). ბაგრატი იძულებით დასავლეთ საქართველოში გადავიდა. სულთანმა თბილისი და რუსთავი სამართავად ფადლონს გადასცა და საქართველო დატოვა. გაზაფხულზე ბაგრატიმა გაილაშქრა ფადლონის წინააღმდეგ და იგი დაატყვევა (მ.ქ. 309-310; ვ. ბ. 150-151). სულთანმა ბაგრატს მოსალაპარაკებლად სარანგი ალხაზი გამოუგზავნა. ბაგრატი დაზავდა, გ-ის ამირა გაათავისუფლა და გ-ში გაუშვა (მ. ქ. 312; ვ. ბ. 151). ფადლონმა გატეხა ფიცი, „მოიპარა“ ქვაზინი (ციხე-სიმაგრე ქ. თბილისის სამხრეთით), მოადგა აგარათა (რეგიონი თბილისიდან სამხრეთით. ციხე აგარათა იგივე კოჯრის ციხე) და დაიკავა. მაშინ ბაგრატის ვაჟმა გიორგი კურაპალატმა, გამოიყვანა ოვსთა მეფე დორლოლელი ორმოცი ათასი კაცით (ვ. ბ.-თან 400 000), უსარდლა და გ-ის ამირა დაამარცხა. გამარჯვებულებმა მოაგროვეს „ალაფი ურიცხვი“ (მ. ქ. 313; ვ. ბ. 152). ისევ განუდგა გიორგის (გიორგი II, საქართველოს მეფე 1072-89) ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში (კლდეკარის ერისთავი), გამოსტყუა მეფის მეციხოვნეებს გაგის ციხე (ისტ. პროვინციის გაგის ცენტრი ქვემო ქართლში) და მიჰყიდა გ-ის ამირა ფადლონს (მ. ქ. 316). სულთანმა მალიქ-შაჰმა (1072-92) აიღო გ. (1086), ამირა ფადლონი დაატყვევა (ფადლუნ III დაახ. 1073-86) გ-ში დატოვა სარანგი 48 000 კაცით (მ.ქ. 317; ვ. ბ. 153). მცირე ხნის შემდეგ სარანგმა შეკრიბა

ლაშქარი, დვინისა და დმანისის ამირათა თანადგომით, გიორგი მეფის წინააღმდეგ გაილაშქრა. გიორგი მტერს ფარცხისთან (ადგილი თბილისის სამხრეთით) დაუხვდა და დაამარცხა (დაახ. 1074), (მ. ქ. 317; ვ. ბ. 153). დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) ერწუხთან (ადგილი ისტ. ჰერეთში. დღ. აზერბაიჯანში), (1104) მცირე ლაშქრით ამოხოცა თურქ-სელჩუკთა სულთნის დიდმოხელის გ-ის ათაბაგის ურიცხვი ლაშქარი (დ. ი. 328). დავითის მიერ შევიწროებული თურქმანნი, განძელ-ტფილელ-დმანელნი ნავიდნენ სელჩუკთა სულთანთან (ისპაჰანში) და დახმარება ითხოვეს. მაშინ სულთანმა მოუწოდა არაბეთის მეფეს... უბრძანა ყველა თურქს... მათ შორის გ-ის ათაბაგს საქართველოზე გალაშქრება. [1121 მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ] დიდგორში (მთა თრიალეთის ჩრდ. აღმ., თბილისთან ახლოს) ქართველებმა გაიმარჯვეს (დ. ი. 340; ვ. ბ. 160). დემეტრეს (დემეტრე I, საქართველოს მეფე 1125-55/56) სარდლობით ქართველთა ლაშქარმა აიღო გ. (1138/39) და გამარჯვების ნიშნად ქალაქის კარი საქართველოში ჩამოიტანა (განძის კარის წარწერა, ქრ. I, 248. თ. ჟორდანია, რატომღაც დარუბანდის კარად იხსენიებს, ხოლო ნ. დ. დარუბანდის კარის ჩამოხსნას დავით IV-ეს მიაწერს, 149). გიორგიმ (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) უბრძანა ლიხთ-იმერეთისა და ქართველთა ლაშქარს გ-ის მორბევა (ი.-ა. 16; ვ. ბ. 169). მეფე თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) დროს ასათ გრიგოლის

ძის (ჰერეთის ერისთავი) „წვევით“ ქართველებმა წარმატებით ილაშქრეს გ-ს ქვემოთ ბელაყანამდე (ბელაქანი – ისტ. ჰერეთის ტრ., XV-XVI ს.ს. კახეთის მნიშვნ. ცენტრი, დღ. აზერბაიჯანი), (ი.-ა. 40; ვ. ბ. 174). განდგომილთა ნაწილი (იგულისხმება 1191 აჯანყება მეფე თამარის პირველი ქმრის – გიორგი ბოგოლიუბსკით სათავეში) ეახლა მეფე თამარს „ყელ-საბელ-მოზმით“ და პატიება ითხოვა... მეფემ შეინყალა ზაქარია ვარამის ძე (ქართველი დიდგვაროვანი) და უბოძა გაგი გ-მდე (ი.-ა. 54). გიორგი რუსი (ბოგოლიუბსკი) გ-ისა და არანის (რანი) ლაშქრით შემოვიდა „ქვეყანასა კამბეჩანისასა“ (კახეთი), მოარბია „შიგნითა მინდორი“ (1193) და უკან გაბრუნდა (ი.-ა. 61). [შამქორის ბრძოლის წინ – 1195] როდესაც გათენდა, მოვიდნენ მსტოვრები და თქვეს: ვიხილეთ ურიცხვი მტერი ვითარცა ქვიშა ზღვისა შამქორიდან... (ისტ. ქალაქი აზერბაიჯანში) გ-ის კარამდი (ი.-ა. 68; ბ. ეზ. 126; ვ. ბ. 182). შამქორში გამარჯვებული ქართველები მტერს უკან დაედევნენ. ერთი ნაწილი გ-ის სანახებამდე მივიდა (ი.-ა. 71), „მიანიეს მდევართა განძისკარ-გელაქუნამდე“ (გელაქუნი-ქვეყანა სევანის ტბის სამხრ. აღმ), (ვ. ბ. 183). შამქორის ციხის აღების შემდეგ დავით სოსლანი (მეფე თამარის მეორე ქმარი) ნავიდა გ-ში. როდესაც მიუახლოვდა ქალაქს, წინ შეეგებნენ დიდებულები, დიდვაჭრები, ყაღდი და სწავლულები. დავითს თაყვანი სცეს, შეასხეს ხოტბა, ცრემლით შეავედრეს თავი და შვილები. გააღეს ქალაქის კარი, დაუფინეს ოქრომკედით

ნაქსოვი ხალიჩა სულთნის სასახლის კარამდე. თავზე გადმოაყარეს ოქროვერცხლი, დრამა და დრაჰკანი. დავითი შევიდა სასახლეში, დაბრძანდა სულთნის ტახტზე, მოიწვია დარბაზობა, შეიქმნა ნადიმობა „დროსა და დღის შესაფერისი“. გ-ა მეფე თამარმა მოხარეობის საფუძველზე ამირ-მირანს (ამირემირან, არანისა და გელაქუნის პატრონი, შირვანის შაჰის აღსართანის სიძე), აბუ-ბექრის (აზერბაიჯანის ათაბაგი, შამქორის ბრძოლაში ქართველების მოწინააღმდეგე) ძმას გადასცა (ი.-ა. 72; ბ.ეზ. 127; ვ. ბ. 183). ნახჩევანს გადახვეწილმა აბუ-ბექრმა თავისი ძმა ამირ-მირანი მოაწამლინა. მან ძმის სიკვდილის ამბავი გ-ის სანახებში გაიგო. აბუ-ბექრმა გ. ბრძოლით აიღო და დაიკავა (ი.-ა. 76). ივანე მხარგრძელი (მეფე თამარის მსახურთუხუცესი) შეებრძოლა გ-დან დვინისკენ მიმავალ ჯარს და დაჰფანტა ისინი (ი.-ა. 77). მეფე თამარმა შეჰყარა ლაშქარი, გ-ის წინააღმდეგ გაილაშქრა და ხარკი დაადო (ი.-ა. 77-78). მონაპირეების (საზღვრისპირა ოლქის გამგებელი) გრიგოლის ძეთა, ტბელთა და მაფატლისძეთა შიშით გ-ას და ბარდავს დედას ყმა ვერ აუტირდებოდა (ბ.ეზ. 130). ლაშა-გიორგის (საქართველოს მეფე 1207/10-23) მმართველობის დროს საქართველოს განუდგა გ. და ხარკი შეუწყვიტა. მეფემ მოიწვია წარჩინებულები და გ-ზე გალაშქრება შეატყობინა. ქართველებმა გ-ზე გაილაშქრეს. განძელებმა ველზე შეტაკებას თავი აარიდეს და ქალაქში გამაგრდნენ. ქალაქს სხვადასხვა მხრიდან მესხნი, ჰერ-კახნი,

ქართველ-სომხით-თორელნი მიადგნენ. გ-ზე ალყა მრავალი დღე გრძელდებოდა. ერთ დღეს ლაშა-გიორგიმ 4 000 მხედრით ქალაქის გარე შემოვლა დაიწყო. განძელებმა ეს რომ შეამჩნიეს, მოულოდნელად ქალაქის კარი გააღეს და 10 000 მხედრით ქართველებს შეუტიეს. მიუხედავად მცირერიცხოვნობისა, მეფის მხედრობამ გაიმარჯვა. საბოლოოდ გ-ის ათაბაგმა პატიება ითხოვა და ხარკი ისევ იკისრა (ჟ. 152-153; ვ. ბ. 196; ნ.დ. 100). ოთხმა მონღოლმა ნოინმა: ჩორმალან, ჩალატა, იოსურ და ბიჩომ 40 000 კაცითა და დედანულით მრავალი ქვეყანა გამოიარეს, მოადგნენ გ-ას, რომელიც კარგად იყო გამაგრებული.** სამი დღე იბრძოდნენ, აიღეს ქალაქი, მოაოხრეს და მრავალი ადამიანი განყვიტეს (1235), (ჟ. 184; ვ. ბ. 204). გ-დან ალავერდს (სოფ. მდ. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, საეპისკოპოსოს ცენტრი) მოყვანილი ტყვეები წმ. გიორგის სასწაულით განთავისუფლდნენ (აბუსერიძე ტ. 66-63, 1233 ამბები). არღუნ ნოინი (მონღოლი დიდმოხელე, მეხუთე ულუსის გამგებელი, სადაც შედიოდა საქართველო) ოცი ათასი მხედრობით წამოვიდა, შემოვლო გ. და სომხეთი, მოვიდა თბილისში (1260) აჯანყებულ დავით ულოს (ლაშა-გიორგის ძე, საქართველოს მეფე 1246-70) წინააღმდეგ (ჟ. 240). ადარბადაგანის მფლობელმა 1330 გადაწყვიტა გიორგის (გიორგი V, საქართველოს მეფე 1318-46) წინააღმდეგ გალაშქრება. მივიდა გ-ას. ეს რომ გიორგიმ შეიტყო, დიდი ჯარით შეხვდა მას, დაამარცხა და გამარჯვებული დაბ-

რუნდა (ნ.დ. 116). განძელებმა გადაწყვიტეს მეფე ალექსანდრესთვის (ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-42) ხარკი შეენწყვიტათ. განრისხდა მეფე, შეკრიბა ლაშქარი, ჩავიდა ყარაბაღში (1437). განძელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მეფემ ურჩები დასაჯა და ხარკი ისევ დაადო (ვ.ბ. 281). მეფე ლუარსაბი (ლუარსაბ I, ქართლის მეფე 1527-56) და კახთა ბატონი ლევანი (კახეთის მეფე 1518-74) შეიკრნენ, მოიწვიეს მესხები და „დაუწყეს რბევა და ოხრება“ გ-ას (ვ.ბ. 403; ფ. გ. 4). ირანის შაჰმა თამაზმა (თაჰმასპ I, 1524-76) თბილისი დაიკავა... გ-ში*** დასვა სულთანი და ქართლის მეფე ლუარსაბისაგან თბილისზე შეტევის შემთხვევაში გარნიზონის დახმარება დაავალა. ლუარსაბმა შეყარა ლაშქარი და თბილისს შეუტია. ეს რომ გ-ის სულთანმა შავერდიმ (შაჰვერდი-სულთანი) შეიტყო, შეკრიბა „სპა ყარაბაღისა“ და ქართველებზე გამოილაშქრა. ბრძოლა მოხდა სოფ. გარისტან (ისტ. ქვემო ქართლი), (1556). გამარჯვებულმა ქართველებმა მტერი გ-ას გააბრუნეს (ბ. ე. 365-366; მესამე ტ. 507; ვ. ბ. 405; ფ. გ. 8-9). ყიზილბაშებმა გ-ის სულთნის შაჰვერდის სარდლობით ჩუმად გაიარეს მუხათგვერდი (ადგილი ქ. თბილისთან) და სვიმონ მეფის (სვიმონ I, ქართლის მეფე 1556-69; 1578-1600) ლაშქარს მოულოდნელად თავს დაესხნენ. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. გ-ის ხანმა, როდესაც ქართველების თავგანწირვა ნახა, ყიზილბაშებს მიმართა: გზა შორს გვაქვს, გაქცევით თავს ვერ ვუშველით, სჯობს ომში დავიხოცოთ. ყვე-

ლამ ერთად შესძახა „ჰალაჰ“ და შეტევა განახლდა. მტერმა გაიმარჯვა (1561). იმავე ღამეს შაჰვერდი თბილისში შევიდა (მესამე ტ. 511). შაჰ-თამაზმა თბილისში დაუდ-ხანი (დავით XI სვიმონის ძმა, ქართლის მეფე 1569-78) გამოგზავნა და „შემწედ“ გ-ის ხანი მიუჩინა (ვ.ბ. 408). სვიმონ მეფის წინააღმდეგ შაჰ-თამაზის ბრძანებით, შაქის სულთანმა, დიდძალი ლაშქარი შეკრიბა. მტერს კახაბერ ყორღანაშვილი გ-ას ეახლა, მეგზურობა გაუწია და ქართლში შემოსვლა გაუადვილა. ბრძოლა მოხდა ფარცხისტან (სოფ. ქ. თბილისის სამხრეთით), (1569). ქართველები დამარცხდნენ, მეფე ტყვედ ჩავარდა (ბ. ე. 368; მესამე ტ. 514). ირანის შაჰი ხუდაბანდი (შაჰ-თამაზის ძე, სულთან მუჰამედ „ხოდაბენდე“ 1577-87) ბრმა იყო და „ვერშემძლე საქმისა“, ამიტომ გ. თურქებმა დაიკავეს (ბ. ე. 368; ვ. ბ. 410; მესამე ტ. 525; ფ. გ. 13). ამის გამო გ-ის ხანი შაჰვერდი სულთანი კახეთის ბატონთან ალექსანდრესთან (კახეთის მეფე 1574-1605) მივიდა და თავშესაფარი ითხოვა, მეფემ კი დაიჭირა და ხონთქარს გაუგზავნა (მესამე ტ. 525; ფ. გ. 18; პ. ქ. 54). შაჰ-აბასმა (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) გ-ა დაიკავა (ვ.ბ-ს მიხედვით 1787. მც. ქ-ის ჟამგულანის მიხედვით 1788), მანუჩარს (სამცხის ათაბაგი) თურქთა წინააღმდეგ მხარდაჭერისთვის ჩალაბურთი უბოძა, ხოლო მის დედას, დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი (ვ. ბ. 723; პ. ქ. 56; მც. ქ. 111, ს-1204; მესხური მ., 54). შაჰ-აბასი მივიდა გ-ას (1613) და იქიდან თეიმურაზს (თეიმურაზ I, კახეთის მე-

ფე 1606-48, ქართლ-კახეთის 1625-32) შვილის მძევლად გაგზავნა მოსტოვია (ბ.ე. 391; ვ. ბ. 585). თეიმურაზმა შაჰთან შვილები და საკუთარი დედა, ქეთევან ბაგრატიონი (ქეთევან წამებული) გააგზავნა. შაჰმა ისინი შირაზში (ქალაქი სამხრ. დასავ. ირანში) გაისტუმრა (ვ.ბ 587). გ-ში მყოფ შაჰ-აბასს მოურავი*** ურჩევდა, რომ ქართლში ზამთარს სჯობდა შესვლა, რადგან მოსახლეობის გახიზვნა გაჭირდებოდა. შაჰს გ-ში ეახლნენ: ნუგზარ და იესე ერისთავები, ანდუყაფარ ამილახორი, ფეშანგი ფალავანდიშვილი, ალათანგი ხერხეულიძე (ქართველი დიდი თავადები) და თავყანი სცეს (ვ. ბ. 425). 1623 ქართლის მოურავმა (გიორგი სააკაძე) ყიზილბაშებს უღალატა. ქართველთა ჯარით დაარბია გ-ა და კახეთის მეფე (თეიმურაზ I) იქ ბატონად დასვა (მც. ქ. 62, 380, 1636 ჟამგულანი). კახეთის დიდებულები გ-ის ხანს აბაზ-ყული ხანს დაჰპირდნენ, რომ კახეთის ბატონად გამოითხოვდნენ (მც. ქ. 119). 1688 ირანის შაჰმა სოლეიმანმა (იგივე სეფი II, 1666-94) კახეთის გამგებლობა და გ-ის ბეგლარბეგობა აბაზ-ყულიხანს უბოძა (კახეთის მუსლიმი გამგებელი 1688-95), (ვ. ბ. 606; ფ. გ. 67; პ. ქ. 120-21). ირანმა ქართლის მეფედ შაჰნავაზის (ვახტანგ V, ქართლის მეფე 1658-75) ძე გიორგი (გიორგი XI, ქართლის მეფე 1676-88; 1703-09) დანიშნა. გიორგი გ-ას ესტუმრა, გ-ის ხანი დიდი პატივით დახვდა, ხუთ დღეს იქ შეინახა, კარგი საჩუქრები მიართვა და ქართლს გაისტუმრა (ფ. გ 68). შაჰმა ერეკლეს (ნაზარ-ალი-ხანი, ქართლის მეფე

1688-1703) დაუკითხავად და გ-ის ხანის შუამდგომლობით ერისთავობა იასონს მისცა (ფ. გ 70). შაჰის მიერ ქართლის სარდლად დანიშნულმა ჰაჯი ალიხან ზანგანმა, ერეკლეს ვაზირი ყიასა მიუჩინა და გ-ის ხანის წახდენა და ნაზარ-ალი-ხანის დატყვევება დაავალა (ფ. გ. 80). გიორგიმ (გიორგი XI), 1691 ქართლი დაიკავა, ერეკლე კი იძულებული გახდა თბილისში ჩაკეტილიყო. ქართლში გიორგი მეფობდა, კახეთში კი გ-ის ხანი აბაზ-ყული-ხანი ბატონობდა. ამ საქციელისთვის გიორგი გ-ის ხანთან გაგზავნილ წერილში შაჰის წინაშე თავს იმართლებდა (ფ. გ. 84; პ. ქ. 121-22). როდესაც ირანის შაჰი სოლეიმანი გარდაიცვალა, ახალ შაჰთან ჰუსეინთან (სულთან-ჰუსეინი 1694-1722), ერეკლემ აბაზ-ყული-ხანი გიორგისთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა და დააჭერინა. 1695 გ-ის ბეგლარბეგად და კახეთის გამგებლად შაჰმა ქალბალი-ხანი დანიშნა (კახეთის მუსლიმი გამგებელი 1695-1703), (ვ. ბ. 608-609). ქალბალი-ხანი, მართალია, განაგებდა კახეთს, მაგრამ მისი მხარეები: თუშეთი, ქიზიყი და ერწო-თიანეთი ერეკლეს მფლობელობაში შედიოდა (ვ. ბ. 475). ქალბალი-ხანთან, რომელიც გ-ში იმყოფებოდა, კახელები ჩადიოდნენ და ლეკების წინააღმდეგ შემწეობას ითხოვდნენ (ვ. ბ. 609). ლეკები აოხრებდნენ არა მხოლოდ კახეთს, არამედ გ-ას... (ვ. ბ. 497). ირანის შაჰმა ვახტანგს (ვახტანგ VI, ქართლის ჯანიშინი 1703-14, ქართლის მეფე 1716-24) დახმარება თხოვა ლეკებისაგან გ-ის დასაცავად. განჯელებიც ევედრებოდნენ

ვახტანგს დახმარებას, ქართლის მეფე დიდი ლაშქრით გ-ას გაემართა. მეფეს გ-ის ხანი შამქორს მიეგება, მეფის სპამ ურჩნი გ-ის ხანს დაუმორჩილა (ვ. ბ. 499; ქრ. III. 613 – ათარილებს ამ მოვლენას 1712). როდესაც ირანის ტახტზე შაჰ-თამაზი (თაჰმასპ II, 1722-32) ავიდა, ვახტანგმა გ-დან მასთან გააგზავნა სენია ჩხეიძე (ს. რ. 34). თურქეთის სარდალმა იბრეიმ ფაშამ გადაწყვიტა გ-ის დაკავება. განჯელებმა ქალაქში თურქთა ჯარი შეუშვეს, რომელიც გ-ის მოედანზე დადგა. განჯელებმა შეკრეს ქუჩები, დაუნყეს ბრძოლა და ამოწყვიტეს თურქები. სარდალი გაიქცა, ხოლო განჯელებმა ქალაქი გაამაგრეს (ს. რ. 37). ვახტანგმა რუსეთის ხელმწიფის, პეტრეს (რუსეთის იმპ. პეტრე I, 1689-1725) იმედით, შეკრიბა ლაშქარი, მივიდა გ-ას და იქ სამი თვე პეტრეს მოლოდინში უშედეგოდ დაჰყო (ვ. ბ. 500). ვახტანგი თბილისიდან 1722 გავიდა (ქრ. III. 81; მც. ქ. s-2515). განრისხებულმა შაჰმა ქართლი მაჰმად-ყული ხანს (კახეთის მეფე კონსტანტინე II, 1722-32) გადასცა. მან დაიხმარა გ-ის ხანი... და თბილისი აიღო (1723), (ვ. ბ. 501; ო.ხ. 38). კონსტანტინე ამავე დროს იყო გ-ისა და ყარაბაღის ბეგლარბეგი (ქრ. III. 94, გუჯარი გაცემული კონსტანტინეს მიერ 1724). 1726 ქართლი ოსმალებმა დაიკავეს, თავრიზისა (ქ. სამხრეთ აზერბაიჯანში, აჯიჩაის ხეობაში) და თავრიზს აქეთ ქალაქები და ქვეყნები: გ-ა, შემახია, ერევანი დაიმორჩილეს (მც. ქ. 41, s-1452; ქრ. III. 106). 1734 ვახტანგი რუსეთიდან დარუბანდში ჩავიდა. ეს რომ თამაზ ხანმა

გაიგო, დატოვა ბაღდადი (ერაყის დედაქალაქი)... მიადგა გ-ას და ვახტანგი თავისთან იხმო, ის კი ასტრახანში (ქალაქი რუსეთში) წავიდა (ვ.ბ. 514). თამაზ-ხანი (თამაზ-ყული-ხანი, შემდგომში ნადირ-შაჰი) 1734 იბრძოდა გ-ის ასაღებად, ვერ აიღო, რადგან ზამთარმა ხელი შეუშალა; ამიტომ გაზაფხულზე გ. დატოვა (ვ. ბ. 514; ქრ. II. 142). თამაზ-ხანმა გ-ში მაჰმად-ყული-ხანს მასთან მისი ასულის გაგზავნა მოსთხოვა (ვ. ბ. 626). 1738 ქართლში სარდალად მივიდა გ-ის ხანი ულული-ხანი, ძე ქალბალი-ხანისა (ს. რ. 51). ამავე წელს ლეკებმა მოკლეს ულული-ხანი (ს.რ. 52). ლეკები მიადგნენ დმანისს (1739). სეფი-ხანი (ყიზილბაშთა სარდალი) გ-ას იდგა და იქიდან წამოვიდა დმანისის მისამველებლად, ლეკები დაანიოკა და უკან გაბრუნდა (პ. ო. 43-44). ნადირ-შაჰი (ირანის შაჰი 1736-47) დალესტნელებს ებრძოდა (1741-1743). მან ქართლში შიკრიკი გამოაგზავნა და ქართლიდან 6000 ხარი მოითხოვა, რათა გ-იდან დალესტანში ურმებით პური მიეზიდათ (პ. ო. 55). ოსმალთა ჯარი ორბელიანთა (დიდი თავადები) მამულზე შემოვიდა. ეს ამბავი, როდესაც ნადირ-შაჰის შვილმა შეიტყო, ბარდიდან წამოვიდა და გ-ის მინარეთთან დადგა. შეშინებული ოსმალთა ჯარი უკან გაბრუნდა (პ. ო. 75). ნადირ-შაჰმა ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) ათასი ქართველით რუსეთის ელჩთან შესახვედრად გამოიძახა. გზაში მეფეს ბრძანება მოუვიდა „უკან დაბრუნებულიყო“. მეფე გ-ის მინდვრებიდან უკან დაბრუნდა (პ. ო. 118).

ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, ალი-ხანმა რომელიც გარკვეულ დროს ქართლში გამგებლად იჯდა, ქართლზე გალაშქრება გადაწყვიტა. ერეკლემ „შეყარა“ ჯარი და დიმიტრი ორბელიანი უსარდლა. ქართველებმა ყიზილბაშები დაამარცხეს, ხოლო ალი-ხანი გ-ში გაიქცა (პ. ო. 131; თ.ბ. 46; ქრ. III. 619 – ბრძოლას ათარილებს 1748). მამადი, ლორეს სულთანი, რომელიც ერეკლეს წინააღმდეგ აჯანყებულ აბდულ-ბეგს (აჯანყდა 1748, ქართლის მეფის იესეს ძე) ეხმარებოდა, სამშვილდეს იდგა. აქ მას მიუვიდა რაყამი, საიდანაც შეიტყო, რომ გ-ის ხანობა ებოდა. იგი სასწრაფოდ გ-ას დაბრუნდა (პ. ო. 134). ერეკლემ თბილისის ციხეებში მდგომ ყიზილბაშთა გარნიზონებს შეუტია, დაამარცხა და ციხეები თავად დაიკავა (1748 ივლისი). ამ ამბით შეშინებულმა გ-ის ხანმა ერეკლეს დიდძალი საჩუქარი გამოუგზავნა (პ. ო. 148). გ-ის ხანმა ერეკლესა და თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62, ერეკლეს მამა) დახმარება სთხოვა ყარაბაღის მფლობელის, ფანა-ხანის (ფანაპ ალი-ხანი, 1747-63) წინააღმდეგ (თ.ბ-ის დათარილებით 1749; პ. ო. 160; თ.ბ. 47-48). ფანა ხანმა გ-ის გამგებელს, შავერდი ხანს გ-ის წართმევა დაუპირა, გ-ში აურაცხელი ჯარი შეიყვანა, მხოლოდ გ-ის ციხე-სიმაგრე დარჩა დაუკავებელი. გ-ის ხანმა დახმარების სათხოვნელად საქართველოში თავისი ძმა რიზა-ყული-ბეგი გამოაგზავნა. თეიმურაზი და ერეკლე ლაშქრობისათვის სათანადოდ მოემზადნენ. მათ ჯარი ყმადნაფიცი ქვეყნებიდანაც

გამოიყვანეს. ქართველების ლაშქარმა ფანა-სასტიკად დაამარცხა (1750). გამარჯვებულებმა გ-ში მახარობელი გამოაგზავნეს. გ-ის ხანმა ლაშქრობის საზღაურად ქართველ მეფეებს შამშადილოს მხარე გადასცა (პ. ო. 164-172). ერეკლესა და დარეჯან დადიანის ქორწილში დაპატიჟებული იყო გ-ის ხანიც (პ. ო. 180). ერეკლემ და თეიმურაზმა გადაწყვიტეს ჭარზე გალაშქრება. ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად დაიბარეს გ-ის ხანიც და სხვა მოკავშირე მაჰმადიანი ხანებიც. ამ ბრძოლაში მოკავშირეთა ლაღატის გამო ქართველები დამარცხდნენ (1751 მდ. აგრიჩაიზე), (პ. ო. 181-182; თ. ბ. 48). აჯი-ჩალაბი (შაქის პირველი ხანი, ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ, 1743-55) შაქშირვანის ხანი საქართველოს სანინაღმდეგო მოქმედებებს ახორციელებდა. იგი გ-ას მიადგა, მისი შემოგარენი ააოხრა, ყარაბაღის ელები აყარა და თავის ქვეყანაში წაიყვანა. თეიმურაზი და ერეკლე მის წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისს შეუდგნენ. მარტყოფის (სოფ. კახეთში) მოურავი ქაიხოსრო გ-ში გააგზავნეს, რათა თავიანთი მონარკე მუსლიმ ხანთა ერთგულება დაედგინათ. გ-დან მობრუნებულ ქაიხოსროს მოჰყვნენ: გ-ის ვეჩილი, ყარაბაღის ქედხუდები, ბარგუშათის (სომხეთის ტრ.) ხანის ძმისწული. თეიმურაზსა და ერეკლეს ერთგულება დაუდასტურეს; „ავღანთა“ ბრძოლაში დახმარების სანაცვლოდ საკუთარი ჯარითა და ხარჯით ლეკების წინააღმდეგ დახმარებას დაპირდნენ. ამის შემდეგ „ბატონებმა“ (ერეკლე II, თეიმურაზ II) ლე-

კებზე ორჯერ წარმატებით ილაშქრეს. „ბატონებს“ კაკის სულთანი შერიგებას ეხვეწებოდა, ხოლო ჭარებელმა გ-ის ხანი იშუამდგომლეს... თეიმურაზმა და ერეკლემ დიდძალი ჯარი შეყარეს და გ-ში წავიდნენ, საიდანაც აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ უნდა გაელაშქრათ... როდესაც გ-ას მიუახლოვდნენ, წინ გ-ის ბეგლარბეგი შავერდი-ხანი საჩუქრებით შეეგება. გ-დან „ბატონებმა“ გააგზავნეს შიკრიკები ყარაბაღში ქაზუმ-ხანთან, ფანა-ხანთან და თავისთან დაიბარეს „ადირბეჟანის ქვეყნების“ ხანები. მათ, როდესაც შეიტყვეს, „ქართლის ვალი გ-ას მობრძანებულაო“, შეუთვალეს აზარმათას შეგვერებითო“. „ბატონები“ გ-ის ხანთან ერთად აზარმათას ჩავიდნენ... იქ თეიმურაზმა და ერეკლემ შეიტყვეს, რომ აჯი-ჩალაბის სასარგებლოდ ხანები ღალატს აპირებდნენ. „ბატონებმა“ შეიპყრეს გ-ის ხანი თავისი ძმით და სხვები, გ-ში გამობრუნდნენ და დაჭერილი ხანებიც იქ მიიყვანეს. მათ გ-ის ციხის დაკავება სურდათ, რათა იქ სანდო კაცი დაესვათ, თვითონ კი ქართლში „დაჭერილი ხანებით“ წამოსულიყვნენ. შეშინებულმა განჯელებმა ციხე ჩაკეტეს და ქართველები შიგ არ შეუშვეს. „ბატონებმა“ გ-ის ხანის ბიძა-დისწული (ყოფა და ხუდათ-ბეგი) მოწინავე „კაცებით“ თბილისში მძევლად გამოისტუმრეს. ამასობაში აჯი-ჩალაბთან შიკრიკად ფანა-ხანის შვილი წავიდა. აჯი-ჩალაბი დიდძალი ჯარით გ-ას მივიდა (1752) და ქართველებს ბრძოლა გაუმართა. აღდგომის შაბათი დღე იყო. გ-ში თბილისელი მოქალაქეები სავაჭროდ იყვნენ ჩა-

სულები, რომლებიც მეომრებმა სასტიკად აიკლეს. ქართველები დამარცხდნენ, ხოლო „ბატონებმა“ გ-ის მთას შეაფარეს თავი. დაელოდნენ დაღამებას და თბილისში ისე დაბრუნდნენ (პ. ო. 190-195, ქრ. III. 218). მუსა-ყული არ მიემხრო აჯი-ჩალაბს გ-ის ბრძოლაში, რისთვისაც თეიმურაზმა და ერეკლემ ბორჩალოს ხანობა (1752-55) უბოძეს და აღჯაყალას (ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლის ისტ. პროვინცია გაჩიანში) გაისტუმრეს (პ. ო. 223). აჯი-ჩალაბის შვილი ალა-ქიში და გ-ის ხანი შავერდი ქართლზე დიდი ჯარით წამოვიდნენ და დადგნენ ბაიდარში (სოფ. ქართლში, დღ. მარნეულის რ-ნი). მათ შეუერთდნენ ყაზახის, ბორჩალოს... ჯარები, შამშადილოში მივიდნენ. მეფე ერეკლემ დასახმარებლად ჩერქეზთა ჯარი დაიქირავა. ეს რომ მტერმა შეიტყო, შერიგება ითხოვა, მაგრამ „ბატონები“ არ დასთანხმდნენ. მოწინააღმდეგე ყაზახში წავიდა. ქართველებმა ყაზახზე გაილაშქრეს. გ-ის ხანი და ალა-ქიში სასტიკად დაამარცხეს (პ. ო. 200-204; ბ. ბ. ბრძოლას ათარილებს 1753, ალა-ქიშის მაგივრად წერს აჯი-ჩალაბს, 49). გ-ის ხანმა „ბატონებს“ წიგნი გამოუგზავნა, შერიგება ითხოვა და ისევ ხარკი იკისრა (პ. ო. 208; 211-212). ხუნძახის ბატონი (ნურსალ-ბეგი) დიდი ჯარით (1754-55) კახეთისკენ წამოვიდა. გ-ის ხანმა და სხვა მუსლიმმა ხანებმა მისი მხარე დაიჭირეს. მიუხედავად ამისა, ქართველებმა გაიმარჯვეს**** (პ. ო. 215, 220). დიდი ლეკიანობის შემდეგ (50-იანი წლები) მშვიდობა ჩამოვარდა. 1758 ნახჩევანის გამგებელი ბამან-ხანი

ერეკლე-თეიმურაზს შეურიგდა... გ-ას რაც ქართლის ელები იყვნენ, უკან დააბრუნა და კახმა ბატონმაც შეირიგა (პ.ო. 245). მეფე ერეკლე და შუშის ხანი იბრაიმი შეიკრნენ, გ. აილეს... შეიპყრეს გ-ის გამგებელი მამად-ხანი ოჯახით [გ-ის გამგებლის შავერდი-ხანის სიკვდილის შემდეგ ხანად დაადგინეს მისი ძე მაჰმად-ასლან-ხანი (1760-80), რომელიც მოკლა მისმა ძმამ (შესაძლებელია ბიძამ), სწორედ ამ მამად-ხანმა]. შუშის ხანმა მამადი ოჯახით ტყვედ წაიყვანა (თ. ბ. 56). 1780 ერეკლეს „ეპყრა განჯა საყმოდ და ყოველი მამული მისი“, მეგობრობდა შუშის ხანთან, შუშის (ყარაბალი) ხანის და ერეკლეს „კაცები“ განაგებდნენ ქ. გ-ას. შურის გამო განჯელებმა „ირაკლის კაცი თავადი ანდრონიკაშვილი – მდივანბეგი ქაიხოსრო“ და შუშის ხანის „კაცები“ გამოაძევეს ქალაქიდან (ო. ხ. 69, 72). 1785 აჯანყებულ გ-ში ჩავიდა შავერდი-ხანის ძე რაიმ-ხანი (რაგიმ-ხანი 1785-86), რომელიც შუშის ხანს ტყვედ ჰყავდა და დაჯდა გამგებლად (თ. ბ. 59). იბრეიმ-ხანმა ისევ თხოვა ერეკლეს დახმარება, ისევ აილეს გ. და იქ გამგებლად შავერდი-ხანის შვილი ჯავად-ხანი დანიშნეს (1786-1804), (თ.ბ. 59). ერეკლე მეფემ რუსის ჯარით ყარაბალზე გალაშქრება გადაწყვიტა. წინ მხედრებით თავისი ძე იულონი გააგზავნა, რომელმაც გზად შემოყრილი ყარაბალის მხედრობა დაამარცხა. ამ დროს ერეკლე რუსის ჯარით გ-ას იდგა. პოლკოვნიკ ბურნაშოვს მოუვიდა ბრძანება გ. დაეტოვებინა. ერეკლე იძულებული გახდა მას გამოჰყოლოდა (ო.ხ. 74; თ.ბ. 60; თ.ბ-ის

მიხედვით ეს მოხდა 1787)****. გ-ის ხანმა ჯავადმა შამშადილელი ალისულთანის წინააღმდეგ გაილაშქრა, მაგრამ ვერას გახდა. ერეკლემ ჯავადს რამდენჯერმე დაუმორჩილა შამშადილოელები, მაგრამ მათ შორის ატყდა ომი და ჯავადი დამარცხდა (თ.ბ. 63-64). 1795 მაისში ალა მაჰმად ხან ყაჯარი (1794 წლიდან ირანის გამგებელი, შაჰი 1796-97) ყარაბალის ციხე-სიმაგრეს შუშის მოადგა. შუშის ხანმა იბრეიმმა გაამაგრა ციხე-სიმაგრე, ალა-მაჰმად ხანმა ვერ აილო და უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გ-ის ხანმა ჯავადმა იძულებით მიიყვანა ტფილისს, რადგან მტრად იყო მოკიდებული მეფე ერეკლეზე. ალა-მაჰმად ხანმა ერეკლეს მორჩილება შესთავაზა და აღუთქვა, რომ გ-ას, ერევანს, ყარაბალს, შაქს, შირვანს „მისცემდა“ და აზერბაიჯანის გამგებლად დანიშნავდა. რადგან ერეკლეს რუსებისთვის ფიცი ჰქონდა მიცემული (იგულისხმება 1783 ტრაქტატი), არ დასთანხმდა. ქართველები სასტიკად დამარცხდნენ (ბ. ბ. 65). 1796 ერეკლემ გ-ის დაპყრობა გადაწყვიტა და ყარაბალის ხანს იბრეიმს შეუერთდა. მეფემ სამი თვე დაჰყო გ-ის მისადგომებთან. ამასობაში რუსის ჯარმა გენერალ ზუბოვის მეთაურობით დაიკავა შაქი, შირვანი ვიდრე თალიშამდე. გ-ის ხანმა ერეკლე მეფეს შუამავლად ხანი იბრეიმი გამოუგზავნა და ისევ ხარკი იკისრა. იბრეიმმა მეფე და ხანი დააზავა. ერეკლემ თბილისიდან 700 წაყვანილი ტყვე უკან წამოიყვანა და ქართლში გამარჯვებული დაბრუნდა (ბ.ბ. 67). 1796 სექტემბერში გენერალმა ზუბოვმა აილო

გ. უომრად (ბ. ბ. 67). ქართლში, განჯა-ყარაბაღში, შაქ-შირვანში დიდი შიმშილობა დაიწყო. კოდი პური ერთ თუმნად ძლივს იშოვებოდა (ბ. ბ. 68). ერეკლეს მოხარკეები იყვნენ: ერევანი, გ. შუშა და სხვა ყიზილბაშური სახანოები (ნ. დ. 138). ერეკლე ოფიციალურ საბუთებზე ხელს აწერდა: „... მეფემან განჯისა, ერევნისა, ყაზახისა, ბორჩალოსი, შამშადილო, მპყრობელი“ (ქ.ს.დ. II. წყალობის წიგნი. გაცემული 1783, 456). „მთავარი შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევნისა“ (ქ.ს.დ. II. №134, 457. 1783 ტრაქტატის ტექსტი). ერევნის ხანის მშვენიერი და დიდი მზითვის მქონე ქალიშვილი ცოლად უნდოდათ: „ხოის ხანის აჰმადის შვილს, განჯის მამად-ხანს და შუშის იბრეიმ-ხანს“. ერევნის ბეგლარბეგმა, ჰუსეინ ალი-ხანმა განაცხადა, რომ ქალიშვილს იმას მიათხოვებდა, ვისაც ერეკლე-ხანი ურჩევდა. ერეკლეს ხანებმა თხოვნით მიმართეს და დიდძალ საჩუქარსაც დაპირდნენ. ერეკლეს გადწყვეტილებით ქალი ხოის ხანის აჰმადის შვილს მიათხოვეს (ი.ბ. 266). ერეკლეს დროს ქართლ-კახეთს ინტენსიური სავაჭრო-საქარავნო ურთიერთობა ჰქონდა გ-სთან. შემოჰქონდათ ყურძენი, აბრეშუმი, ყიდულობდნენ ყმებს (ქ.ს.დ. II, 933; VI, 107; VIII, 395 და სხვ.). 1804 რუსის ჯარით გენერალმა ციციანოვმა (პავლე ციციანოვი 1754-1806, რუსი მთავარსარდალი, საქართველოს მთავარმართველი) დიდი ბრძოლის შემდეგ გ-ის ციხე-სიმაგრე აიღო და სასტიკად ააოხრა. ციციანოვის ჯარში იყვნენ ქართველებიც, რომ-

ლებმაც განჯელები არ დაინდეს, რადგან ახსოვდათ ალა-მაჰმად ხანთან ერთად როგორ ააოხრეს მათ თბილისი. ამ ბრძოლაში დაიღუპა გ-ის ხანი ჯავადი. გ-ს სახელი შეუცვალეს და ელისაბედოპოლი დაარქვეს. იგი თბილისის მაზრის „უეზდად“ გადაიქცა (თ. ბ. 70; ბ. ბ. 89; ნ. დ. 196). 1813 ირანის შაჰი ბაბა-ხანი (1797-1834, ტახტზე იჯდა ფათჰალი-ხანის სახელით) რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პავლეს ძეს შეურიგდა და განჯა ოფიციალურად გადასცა (ბ. ბ. 139).

* გ. მალიქ-შაჰმა თავის ვაჟს ყიასა ად-დინ თაფარს (შემდგომში სულთანი მუჰამედ თაფარი) მისცა სამართავად. ამით შეწყდა შადადიანების დინასტია.

** 1225 გ. ილდეგიზიდებს (აზერბაიჯანის ათაბაგები) წაართვა ხორეზმის მმართველმა ჯალალ ად-დინმა, რომელმაც გ. ძლიერ ციხე-სიმაგრედ აქცია. იგი განჯას განაგებდა გარდაცვალებამდე – 1231.

*** XVI-XVIII საუკუნეებში გ. სეფევიდების ირანის შემადგენლობაშია. ირანის შაჰმა ისმაილ I-მა (1501-24) გ.ა ყარაბაღს საბეგლარბეგოს ცენტრად აქცია და იქ ბეგლარბეგად თავისი წარმომადგენელი დანიშნა.

**** გიორგი სააკაძე – დიდი მოურავი (დაახლ. 1570-1629) ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. საქართველოს მეფის ცენტრ. ხელისუფლების განმტკიცებისთვის მებრძოლი. თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი. მას ქართლის მეფე ლუარსაბ I-თან კონფლიქტი მოუვიდა. იგი ირანში გაიქცა და შაჰ-აბას I-ის სამსახურში ჩადგა. თუმცა ქართველების აჯანყებას ყიზილბაშთა წინააღმდეგ მარტყოფში (1625) თვითონ ჩაუდგა სათავეში.

***** პ. ორბელიანთან გადმოცემულ ისტორიას (იხ. ზემოთ ნადირ-შაჰიდან მოყოლებული (პ.ო. 55) ნურსალ ბეგის ამბების ჩათვლით (პ.ო. 220), ო. ხერხეულიძეც გადმოსცემს, შედარებით მოკლედ. განსხვავებული ინფორმაცია არ მოიპოვება (ო.ბ. 38-39, 46, 48-50).

***** ბ. ბატონიშვილი ამ ამბავს შემდეგნაირად ყვება: 1786 მეფე ერეკლე წავიდა გ-ას დასაპყრობად. გ-ის ხანი ჯავადი ევედრა მეფეს, ალუთქა ხარკის მიცემა, ყოველ წელს 3.000 თუმანი.

მეფის წინაშე აგრეთვე მივიდნენ ყარაბაღელი სომეხი მელიქნი, რომელთაც საქ-ში დასახლება ითხოვეს. ირაკლიმ მათ ასაყრელად წარავლინა თავისი ძე იულონი მხედრობით. იულონსა და ყარაბაღის ხანს იბრაიმს შორის მოხდა ბრძოლა. ქართველებმა გაიმარჯვეს. ამასობაში რუსებს ბრძანება მოუვიდათ უკან დაბრუნებულიყვნენ. ქართველებიც უკან გამოჰყვნენ (60).

ქ. ნადირაძე

განძასარის სომეხთა კათოლიკოსი – ყარაბაღის სომეხური მოსახლეობის კათოლიკოსი. იხსენიება: ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926).

თეიმურაზმა (თეიმურაზ I, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32) გადაწყვიტა განჯა-ყარაბაღის დარბევა, რაც ირანის წინააღმდეგ აჯანყებას (1632) ნიშნავდა. ამ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა მთელი საქართველოს ლაშქარი. თეიმურაზ მეფე ქ. ბარდავს იდგა. მასთან მივიდა განძასარის სომეხთა კათოლიკოსი ჯარით და მდიდრული საჩუქრებით. მეფე თეიმურაზს მან ყარაბაღზე გალაშქრების გარდა ქ. თავრიზის (ქ. ირანის აზერბაიჯანში, აჯიჩაის ხეობაში) აღებაც შესთავაზა. ურჩია, აზერბაიჯანში ხელისუფლების შეცვლა და იქ თავისი კაცის დასმა. იგი მეფეს 40 000 მეთოფით დახმარებას ჰპირდებოდა. ურჩევდა, ვიდრე ხონთქარი და ყაენი (ოსმალეთი და ირანი) ერთმანეთთან უბრად არიან, ეს საქმე წამოიწყე, მე ხონთქართან გამაგზავნე და იმისგან ჯარს მოგაშველებო. გაიმარჯვებ, „მთავარ ხელმწიფედ (ირანის) გაკურთხებთ და საქრისტიანო

შენით დაიხსნებისო და გაძლიერდებიისო“. თეიმურაზი არ დასთანხმდა, თუმცა კათოლიკოსი თავისი ამალით ქართლში წამოიყვანა და ქ. გორში დაასახლა (ფ.გ. 30-32).

ქ. ნადირაძე

გარნისი – ციხე სომხეთში, მდებარეობდა ერევნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აიგო ძვ.წ. II ს-ში, იყო სომეხ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, IV ს-ში აქ საეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, XII ს-ში ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის საქართველოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ გ-მა დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა. გ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ჯალალედინის (მანგუბერთი, ხვარაზმის შაჰი 1220-21) ლაშქარი დაბანაკდა გ-ში (ვ.ბ. 200). რუსუდანმა (საქართველოს მეფე 1223-45) გაგზავნა ჯარი ივანე ათაბაგის (ივანე მხარგრძელი, საქართველოს მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი 1212-27) სარდლობით ჯალალედინის წინააღმდეგ გ-ში. ბრძოლაში დამარცხებული ივანე ახალციხელი მოიკლა ქვით გ-ის კლდეებში შეფარებული (ჟ. 169-170). 1804 ციციშვილის (პავლე ციციანოვი 1754-1806, რუსეთის არმიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებე-

ლი) ერევანზე გალაშქრების დროს ლონგამოცილილი სპარსნი დაბანაკდნენ გ-ში (თ.ბ. 71).

ე. კვაჭანტირაძე

გელაქუნი – ისტორიული ოლქი სომხეთში, მდებარეობდა სევანის ტბის სამხრეთით და აღმოსავლეთით, შედიოდა სიუნიქის მხარეში. გ. იხსენიება: ლაშა-გიორგის-დროინდელი მატთანე (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); „გობრონის წამება“ (ძ.ქ.ა.ლ.დ. I, 1963).

სომხურ ხეგებს შორის დასახელებულია გ-ის ოთხი ხევი (გ.წ. 175). თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) მეფობაში გ-დან მოვიდა თურქთა ლაშქარი, რომელსაც სძლიეს ქართველებმა (ი-ა, 38). თამარის მეფობაში ქართველებმა გაილაშქრეს გ-ზე და დიდძალი ალაფით ბრუნდებოდნენ. მათ დაენია „თურქმანობა გელაქუნისა“ შამელი დიდებულების როსტომ და იაღლუზ-ალფესის წინამძღოლობით. თამარის მეტროლებმა თავი გამოიჩინეს, სძლიეს მათ და გააქციეს (ი-ა, 39-40; ვ.ბ. 173-174, 180). ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა (XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ზაქარია – ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, ივანე – მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი) აიღეს გ. (ლ.გ.მ. 368). თამარმა უბოძა გ. ივანე მხარგრძელს

(ი-ა, 54). დავით სოსლანი (თამარ მეფის მეორე ქმარი 1187-1203/04) და ივანე მხარგრძელი ლაშქრობენ გ-ზე (ი-ა 59, 60, 77). არდაველზე ლაშქრობის დროს ზაქარია მხარგრძელმა გაიარა გ. (ვ.ბ. 189). ყიზილ-არსლანის (აზერბაიჯანის ათაბაგი 1186-91) ძმისშვილს ამირმირს სამფლობელოს გაყოფისას ერგო ტერიტორია გურგანის (კასპიის ზღვის ძველი სახელწოდება) ზღვიდან გ-მდე (ვ.ბ. 181). რუსუდანის (საქართველოს მეფე 1223-45) დროს მონღოლები დაბანაკდნენ გ-ში (ჟ. 206). გ. მონღოლთა საზამთრო სადგომი იყო (ჟ. 189, 195; 253; ვ.ბ. 223). თემურ-ლენგმა (შუააზიელი მხედართმთავარი 1336-1405) ილაშქრა გ-ში (ვ.ბ. 272).

ე. კვაჭანტირაძე

გრიგოლ მღვდელი – მისი ეთნიკური წარმომავლობა და მოღვაწეობის ზუსტი დრო უცნობია სავარაუდოდ იყო სომეხი, ქალკედონიტი, VII ს-ის მოღვაწე. გრ. მღ. იხსენიება: „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963).

როდესაც დავითისა და ტირიჭანის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ, ნერსე სომეხთა კათოლიკოსი სავარაუდოდ (ნერსე III, 641-61). გაემართა ტირიჭანის წამების ადგილას დივრს და თან გაიყოლა გ.მ. სხვა ორ მღვდელთან – საჰაკთან და იოვანესთან ერთად (დავითისა და ტირიჭანის წამება, 191).

თ. ქორიძე

ბრიგოლ პართელი – IV ს-ის მოღვაწე, ტრადიციულად ითვლება სომეხთა განმანათლებლად. ქართული საეკლესიო ტრადიციით, გ.პ-მა სომხებს ასწავლა „მართალი სარწმუნოება“. ამის გამო, ქართული ეკლესია აღიარებს გრიგოლს, როგორც წმიდანს. გ.პ. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ბიზანტიაში არკადი კეისრისა (395-408) და სომხეთში (იგულისხმება ბიზანტიისადმი მიკუთვნებული სომხეთის ნაწილი) არშაკის მეფობაში (არშაკ III 378-387) სომხები მტკიცედ მისდევდნენ წმიდა გ.პ-ის მიერ ნაქადაგებ სარწმუნოებას (ა.ს., 78). იაკობიტების სექტის წევრმა მღვდლებმა გარყვნეს წმიდა გ.პ-ის მიერ მრავალი ღვანლითა და ცრემლით მორწყული სომხეთის ქვეყანა (ა.ს., 80). ქართველები ეუბნებოდნენ სომხებს, რომ წმიდა გ.პ-მა საბერძნეთიდან შეიტანა მათში სარწმუნოება, სომხებმა კი უარყვეს ეს წმიდა სარწმუნოება და დაემორჩილნენ აბდიშოს ასურს და სხვა ბოროტ მწვალებლებს (ა.ს., 81). სომხები არ დაემორჩილნენ წმიდა გ.პ-ის სარწმუნოებას (ა.ს. 82). სომეხთა კათოლიკოსი კომიტოსი (დაახლ. VII ს. I ნახ.) „ეუფლა ნაწილს ზედა წმიდისა გრიგოლისსა“ და სომხეთის ქვეყანა მომაკვდინებელი ცრუ სწავლებით აღავსო (ა.ს., 83). სომხეთი განდგა წმიდა გ.პ-ის სარწმუნოებისაგან (ა.ს., 85). სომხეთი განშორებული იყო წმიდა გ.პ-ის ნასწავლი ჭეშმარიტებისაგან (ა.ს. 86). გ.პ-ის

შვილიშვილები იყვნენ წმიდა საჰაკი და მასტოცი (ა.ს. 86). წმიდა გ.პ-მა იხილა ჩვენება (ა.ს. 90).

თ. ქორიძე

ბრიგოლი – ანისის სომეხი კათოლიკოსი (იხ. სტ. ანელი ხუცეცები) ამონმებს ეტიფანე კათოლიკოსის 1218 განჩინებას.

გ. ოთხმეზური

ბროზნა – ახლანდელი ქალაქი გროზნო, ჩეჩნეთის დედაქალაქი, ძვ. რუსული ციხე-სიმაგრე გროზნაია. გ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი - „ახალი ისტორია“ (1983).

მცირე ციხე ჩაჩნათის საზღვარზე, ააშენა ერმოლოვმა (მთავარსარდალი საქართველოში და ამავე დროს ელჩი ირანში) 1818. გ. ნიშნავს „მემუქარე“ (თ.ბ. 88).

გ. ოთხმეზური

გუასპურაგანი // ვასპურაკანი (ვასპურაგანი, ასპურაკანი) – ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. როგორც ადმინისტრაციული ერთეული (“ქვეყანა”) წყაროებში ჩნდება ბიზანტიასა და ირანს შორის სომხეთის 591 გაყოფის შემდეგ. ის სომხეთის ირანულ ნაწილში შედიოდა. გ. დიდი სომხეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და 35 გავარისაგან შედგებოდა. X საუკუნეში გ. ჩამოყალიბდა

სომხურ სამეფოდ, რომელსაც არწრუნთა საგვარეულო ჩაუდგა სათავეში. გ. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963); სტეფანე მტბევეარი „წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963); არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“, (1980).

გ-დან ბოდს (ბოდბეში) დედოფალ სოფის ბრძანებით წამოიყვანეს სტერეონისი, რომელიც იქვე მონათლა (მოქ. ქ., 91-92). IV ს-ის 70-იანი, მას შემდეგ რაც თბილისში ირანის შაჰის მოხელე პიტიანში დაჯდა, გ., ისევე როგორც ქართლი, მისი მოხარკე გახდა (მოქ. ქ., 95); VI ს-ის 40-იანი ქართლში მეფობის გაუქმების შემდეგ, ირანელები ბატონობდნენ „ქართლს და სომხითს და სივნიეთს და გ-ს“ (მოქ. ქ., 101). IX ს-ის II ნახევარში გ. შედგებოდა თორმეტი სამთავროსაგან (“გობრონის წამება“, 175). ბიზანტიის იმპერატორ მავრიკიოსის ზეობაში (582-602) გ-ელმა ეპისკოპოსებმა, რომლებიც იყვნენ სპარსეთის დაქვემდებარების ქვეშ, მოსე სომეხთა კათოლიკოსის (574-604) მსგავსად, უარი თქვეს კონსტანტინოპოლში წასვლაზე (ა.ს. 89).

თ. ქორიძე

ბულისტანი – ადგილი და ციხე შირვანში. გ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973). გ. იყო შირვანის მფლობელის რეზიდენცია.

1124 ივნისში დავითმა (დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 1089-1125) აიღო გ. (დ.ი. 344). გ-ის ციხეში იყო გამაგრებული შაქის მფლობელი დავრიშ-მაჰმადი, რომელსაც ებრძვიან შაჰი თამაზი (თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76) და მეფე ლევანი (კახეთის მეფე 1518-74), (გ.ბ. 574).

ე. კვაჭანტირაძე

დავითი – ტაშირ-ძორაგეტის მეფე დავით ანჰოლინი (989-1048). დ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955). დ. იყო იმ კოალიციური ლაშქრობის მონაწილე, რომელიც მოეწყო განძის ამირა ფადლონის (ფადლონ II, ფადლ იბნ შაფური, განძის ამირა 1067-73) წინააღმდეგ ბაგრატის (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) მცირეწლოვნების დროს. დ-ის გარდა ამ ლაშქრობაში მონაწილეობდნენ კვირიკე (კვირიკე III, კახეთ-ჰერეთის მეფე 1010-37), ლიპარიტი (ლიპარიტი IV ბაღვაში, კლდეკარის ერისთავი XI ს. 20-40-იანი), ივანე აბაზას ძე (ქართველი დიდებული XI ს. 20-50-იანი), თბილისის ამირა ჯაფარი (ჯაფარ ალის ძე, თბილისის ამირა XI ს. 30-40-იანი). ბრძოლა მოხდა ეკლესიასთან (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი), რომელშიც ფადლონი დამარცხდა (მ.ქ. 296). დ. იყო კახეთ-ჰერეთის მეფე გაგიკის (1039-58) მამა (მ.ქ. 297). ბაგრატ IV-ის და ლიპარიტი ბაღვაშის დაპირისპირების დროს ლიპარიტის მომხრეა კახეთის ლაშქარი და დ-ის ჯარი (მ.ქ. 300). [ტაშირ-ძორა-

გეტის განმარტება იხ. სტ. სომხები (შენიშვნა)].

ე. კვაჭანტირაძე

დავითი (სოსლანი) – ოსი უფლისწული. საქართველოს მეფის თამარის (1184-1207/10) მეორე ქმარი. XII-XIII ს.ს. საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე. ბაგრატიონთა ოსური შტოს წარმომადგენელი, რომლის ფუძემდებელიც იყო საქართველოს მეფეების გიორგი I-ის (1014-27) შვილის (ჰყავდა ოსთა მეფის ასულის აღდესგან) და ბაგრატ IV-ის (1027-72) ნახევარძმის დემეტრეს შვილი, დავითი. დ. იხსენიება: ლაშა-გიორგის დროინდელი მატიახე (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962); ისტორიული საბუთები (ქ.ი.ს.კ. 1984).

დ. იყო შვილი ოვსთა მეფისა, რუსუდანის (თამარ მეფის მამიდა) გაზრდილი, ყრმა სახით მშვენიერი, ზრდილი, მხნე და მხედარი ძლიერი, უსწორო რაინდი, კარგი მშვილდოსანი, ტანით ახოვანი და სიკეთით სრული (ბ.ეზ. 121-22); დ. ეფრემიანია* დედ-მამით სამეფო გვარის ჩამომავალი, თავისი აღმზრდელის რუსუდანის ნათესავი, რუსუდანის მამიდის მხრიდან, რომელიც ოსეთში იყო გათხოვილი (საუბარია დავით IV აღმაშენებლის ერთ-ერთ ასულზე), (ი.-ა. 46). თამარის ქმარი, ოვ-

სთა მეფე, ტომით ბაგრატიონი, ჭაბუკი და ლომი, თამარ მეფის ყველა გამარჯვების თანამონაწილეა (ლ.გ.მ. 369). დ. ოვსთა მეფის ძე, აღზარდა თამარის მამიდა რუსუდანმა. თავად დ. იყო გიორგის (გიორგი I) ძის დიმიტრის შთამომავალი. დიმიტრის ანაკოფიაში (აფხაზეთი) დარჩა შვილი, რომელიც გაიქცა ბებუის (აღდეს) სამშობლოში, ოსეთში, სადაც იქორწინა ოვსთა მეფის ასულზე. მისი ძე იწოდა ოვსთა მეფედ. ამ ძის შვილს შერთეს ცოლად რუსუდანი (თამარის მამიდა), რომელიც მონოზნად ეკურთხა, საქართველოში დაბრუნდა და თან წამოიყვანა აღსაზრდელად თავისი ქმრის შვილი დ. (სოსლანი), რომელიც მას პირველი ცოლისგან ჰყავდა. დემეტრეს შვილს, რომელიც ოვსეთში გაიქცა ერქვა დავითი, დავითის ძეს ათონ, ხოლო ათონის ძეს ჯადარონ, რომლის შვილიც იყო დ. (სოსლანი), [ვ.ბ. 176-77; არდონის ხეობაში, ოსეთში, სოფ. ნუზალის ეკლესიის კედელზე არის ფრესკები ზემოთ დასახელებულ პირთა გამოსახულებებით; დავით დემეტრეს ძის ოსეთში გაქცევის ამბავს ჰყვება ათონის ივერიის მონასტრის ბერი გიორგი ოლთისარიც (1065-75), იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები I, 314]. თამარ მეფეს ჰყავდა ორი მამიდა, ორივე რუსუდანი. ერთი თამარის გამზრდელი, ხორასნის სულთნის ცოლყოფილი, მეორე ჯადარონის ცოლი, დ-ის აღმზრდელი (ვ. ბ. 177; ნ.დ. იმეორებს იგივეს, მხოლოდ ათონის მაგივრად წერს დავითს, 95). დ. თამარს დედითაც ენათესავებოდა, რადგან თამარის დედა

ოსთა მეფის ასული იყო. თამარს დ. დედით მესამე, ხოლო მამით მეხუთე თაობის ნათესავად ერგებოდა (ვ.ბ. 177). რუსუდან დედოფალი ვაზირთა და დიდებულთა მოთხოვნით, ეახლა მეფე თამარს და დ-ზე დაქორწინება სთხოვა (ი.-ა. 46). მეფე თამარი დიდი თხოვნის შემდეგ დასთანხმდა. ქორწილის გადახდა გადანყდა დიდუბის სასახლეში, თბილისის სანახებში. ქორწილი მეფე თამარის შესაფერისი იყო. ყველაფერს გამორჩეული სიბრძნით ხელმძღვანელობდა რუსუდანი. ბაგრატიონთა გვარის და დიდებულთა გარდა, ქორწილს ესწრებოდნენ მგოსნები, მსახიობები, იყო რაზმთა სიმრავლეც (ი.-ა. 47). დ-მა ქორწინებიდან (1187) ერთი წლის თავზე გაიტყვა სახელი მშვილდოსნობასა და ცხენოსნობაში, ცურვასა და ასპარეზობაში. დ. მწიგნობრობაშიც ღრმად განსწავლული იყო (ი.-ა. 48). დ. ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა თამარის ბრძანებითა და მითითებით, ხოლო იმარჯვებდა უზენაესის შეწევნით (ი.-ა. 55; ბ.ეზ. 130). ქართველებმა დ-ის წინამძღოლობით (1191) დაამარცხეს თამარის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი დიდებულები, რომელთაც სათავეში ედგა საქართველოდან გაძევებული გიორგი რუსი (იური ბოგოლიუბსკი, თამარის პირველი ქმარი), (ი.-ა. 53). დ-მა, თავისი ძის გიორგი-ლაშას დაბადების (1192/93) აღსანიშნავად ილაშქრა ქ. ბარდავაზე და მოარბია (ი.-ა. 48; ვ.ბ. 179). ქართველებმა დ.-ის სარდლობით ილაშქრეს არზრუმში, კარნუ-ქალაქზე,

შემდეგ მოარბიეს „გელაქუნი, სპარსი-ბაზარი და გორალაუქი“ (ი.-ა. 60). დ-ის სარდლობით ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს შამქორში (1195), აზერბაიჯანის ათაბაგის აბუბექრის წინააღმდეგ ბრძოლაში (ი.-ა. 65-68). დ-ის სარდლობით აიღეს ქ. კარი (ბ.ეზ. 134, 143-44; ვ.ბ. 188). საქართველოს წინააღმდეგ მომზადდა ახალი ლაშქრობა, რომლის მოთავეც იყო რუმის (მცირე აზიის ყველაზე დიდი თურქული სახელმწიფო) სულთანი რუკნადინი. რუკნადინმა შეკრიბა ოთხასიათასი მოლაშქრე (ბ.ეზ-ის მიხედვით რვაასიათასი) აზერბაიჯანში და საქართველოსკენ გამოემართა. ბასიანში** (სამხ. დას. საქართველოს ისტ. პროვინცია, დღ. თურქეთის ტერ.) დ-ს მთავარსარდლობით ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს (ი.-ა. 95-98; ბ.ეზ. 134, 137-38; ვ.ბ. 187). მეფე თამარი ყველაზე დიდ დამნაშავესაც კი სიკვდილით არ სჯიდა. იცოდა რა ეს დ-მა, გუზანს (ქართველი დიდებული), რომელიც განუდგა მეფეს, ავაზაკობდა და სიკვდილის ღირსი იყო, დ-მა თამარის დაუკითხავად თვალები დასთხარა (ბ.ეზ. 144; ვ.ბ. 188). საქართველოში „მოინია მწუხარება, რამეთუ მიიცვალა სოსლან დავით“, სავსე სიკეთით, მხნე და გულადი. დარჩა ორი ძე: ყრმა ლაშა-გიორგი და ასული რუსუდანი (ი.-ა. 100; ვ.ბ. 189, ვ.ბ. მის გარდაცვალებას ათარიღებს 1199, ისტორიოგრაფიაში თარიღდება 1203/4 ან 1206/7). მეფე თამარის დროს გაცემულ სიგელებს მეფესთან ერთად ხელს

ანერს დ-იც. „თამარის ბრძანებასა მე, ნებითა ღმრთისაითა ერისთავი დავით, ვამონმებ და ვამტკიცებ“ (სიგელები გაცემული გელათისა და შიო-მღვიმის მონასტრებისადმი. ქ.ი.ს.კ. №4, №20; გვ. 76, 101, 102; გაცემული 1188, 1195/96 წლებში).

* ეფრემისძე ნიშნავს – იოსებ მშვენიერის ძეს, ბიბლიური პატრიარქის იაკობის შვილიშვილს, რომელიც ქართულ ისტ. წყაროებში იხსენიება ოს ბაგრატიონთა წინაპრად, ისევე როგორც დავით წინასწარმეტყველი ქართველ ბაგრატიონთა წინაპრად (კ. კეკელიძე, ეტიუდები I, 1956, 312-18).

** სამეცნიერო ლიტ. ბასიანის ბრძოლა თარიღდება 1203, 1204, 1205.

ქ. ნადირაძე

დავითი და ტირიჭანი – ქართული ეკლესიის წმიდანები, მათი მოღვაწეობის ზუსტი დრო უცნობია, სავარაუდოდ იყვნენ VII ს. ში მოღვაწე სომეხი ქალკედონიტები. წმ. დ. და ტ. იხსენიებიან: „მარტვილობაჲ დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

მცირეწლოვანი ძმები, ბასიანის მკვიდრნი, ბასიანის ერისთავ ვარდანისა და თავინეს ძენი, წამებით აღესრულნენ ქრისტიანობისათვის თავიანთი წარმართი ბიძის (დედის ძმის) თევდოსის მიერ. კერძოდ, დ. უშუალოდ თევდოსის, ხოლო ტ. თევდოსის მიერ წარგზავნილ მღევართა მიერ სოფ. დივრს. სომეხთა კათოლიკოსმა ნერსემ (ნერსე III, 641-61) თავისი ხელით „წარგრაგნა გუამნი იგი წმიდათანი“ და დაკრძალა ერთი მათგანი ზედა მთაზე,

მეორე კი დევრის ქვემოთ, ნალვარევის ხევის დასავლეთით მათ საფლავებზე არა ერთი სასწაული აღესრულებოდა (191).

თ. ქორიძე

დავრიზ მაჰმადი – შაქ-შირვანის მფლობელი (XVI ს-ის 20-30-იანი). დ.მ. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი“ (ქ.ც. II, 1959).

დ.მ-ის მამა შაქ-შირვანის მცრობელი ასან-ბეგი მოკლა ლევანმა (კახეთის მეფე 1518-74). ამის შემდეგ გადაემტერნენ ერთმანეთს დ.მ. და ლევანი. დ.მ. განუდგა ირანის შაჰს თამაზს (თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76) და გაანადგურა მისი ლაშქარი. ამის გამგონე შაჰმა 1538 დაძრა ლაშქარი შირვანზე, მისწერა წერილი დ.მ-ს და დამორჩილების სანაცვლოდ განდგომის პატიებას დაჰპირდა. დ.მ-მა არ ისმინა და გაამაგრა ციხეები. შაჰ-თამაზმა გაგზავნა მის წინააღმდეგ მეფე ლევანი და თავისი ორი სარდალი ლაშქრით. მათ მოაოხრეს შაქი და მიადგნენ ციხეს, რომელშიც დ.მ. იყო გამაგრებული. მან ვერ შესძლო წინააღმდეგობის გაწევა და ღამით გაიპარა. ლევანი დაედევნა დ.მ-ს, მოკლა, მისი თავი მიართვა შაჰ-თამაზს (ბ.ე. 363; მესამე ტ. 504-5; ვ.ბ. 572-4).

ე. კვაჭანტირაძე

დარიალი – მდ. თერგის ხეობის მონაკვეთი ყაზბეგის რ-ში (საქართველოს რესპ.). ხეობაზე უძველესი დროიდან გადიოდა ამიერ და იმიერკავკასიის დამაკავშირებელი გზა. საქართველოსა და სხვა სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დ-ზე ბატონობას. იგი იცავდა ამიერკავკასიას, ჩრდ. კავკასიაში მოსახლე მომთაბარე მეომარ ტომთა თავდასხმებისაგან. საქართველო მუდმივად ცდილობდა დ-ის ხეობის საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევას. სახელწოდება „დარიალი“ წარმოდგება სპარსული დარ-ი ალანისაგან (ალანთა კარი). ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში დ. იხსენიება, როგორც დარიალანი, დარიალა, არაგვის კარი, ოვსთა კარი, კავკასიის კარი და სხვ. დ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ც. I, 1955); ჟამთააღმწერელი, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე ტექსტი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962); იოვანე საბანის ძე „მარტვილობა ჰაბო ტფილელისა“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (დ. ქ. ა. ლ. დ. I, 1963); არსენ ბერი „ცხოვრება ნინოსი“, ანონიმი ავტორი „ცხოვრება ნინოსი“ (დ. ქ. ა. ლ. დ. III, 1971 მეტაფრაზული რედ. XII-XIII ს.ს.); „ძეგლი ერის-

თავთა“ (ქ. ს. დ. II. 1965); ისტორიული საბუთები (ქრ. I, 2004, II, 1897).

დ-ს ევროპელები უწოდებენ კავკასიის კარს (ვ. ბ. 358). ხაზარები დარუბანდისა და არაგვის კარით, რომელიც არის დ. შემოდინდენ და თარგამოსიანებს (თარგამოსი – ბიბლიური პერსონაჟი. კავკასიელთა, მათ შორის ქართველთა მამათავარი), (იხ. სტ. ხაზარები) აოხრებდნენ. საბოლოოდ თარგამოსიანებმა ხარკი იკისრეს (ლ. მ. 12; ვ. ბ. 51). ქართველები და ოსები იბრძოდნენ სომხების წინააღმდეგ. მათ ბრძოლაში ტყვედ აიყვანეს სომეხთა მეფის შვილი – ზარენი. იგი ქართველებმა დ-ის ციხეში გამოკეტეს (ქართლის მეფის არსოკ/არზოკის დროს. დაახ. ძვ. წ II-I ს.ს.), (ლ. მ. 49; ვ. ბ. 65; ნ. დ-სთან სომეხთა მეფე ზარდე, 74). ქართლის მეფე ასფაგურ მირდატის ძემ (III-IV ს.ს. მიჯნა) გააღო დ-ის კარი, გამოიყვანა ოსები, სომეხთა მეფის კოსაროს დასახმარებლად სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში (ლ. მ. 59; ვ. ბ. 70). არაგვის აღმოსავლეთით, კლდის ქვემოთ, მეფე მირიანმა (ქართლის მეფე IV ს. I ნახ.) ალაშენა ციხე დ-ისა, შეაბა კარი, რადგან მის გარეშე ოსები და ხაზარები დ-ით ვერ შემოსულიყვნენ (ვ. ბ. 358; ნ. დ. 132). ვახტანგ გორგასალმა (ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლო) ოსების წინააღმდეგ შეყარა ლაშქარი, დაიხმარა თავისი დედის ძმა, რანის ერისთავი (პიტიახში) ვარაზ-ბაკური, განვლო კარი დ-ანი, შევიდა ოსეთს და დალაშქრა (ჯვ. 150-52; ვ. ბ. 102). ვახტანგ მეფემ დაიმორჩილა ოსები, ყივჩაყები, შექმნა კარი ოვსეთისანი, რომელსაც ქართველე-

ბი „დარიანისად“ იხსენიებენ, აღაშენა „მასზედა გოდოლნი მაღალნი“, „მცველებად მახლობელი“ მთიელები ჩააყენა. ამის შემდეგ ოსები და ყივჩაყები ქართველ მეფეთა თანხმობის გარეშედ-ის კარით ამიერკავკასიაში ველარ შემოდოდნენ (ჯ. 156; ძ. ქ. ა. ლ. ძ. III. 48, 81; ქრ. I. 50). ვახტანგმა გაათავისუფლა ოსებთან ტყვეობაში მყოფი თავისი და მირანდუხტი და სხვა განთავისუფლებულ ტყვეებთან ერთად ქართლში დ-ის გზით გამოაგზავნა. თვითონ განაგრძო ლაშქრობა (ჯ. 157; ვ. ბ. 103). როდესაც ქართლში მეფობა დაესრულა, (ირანმა ქართლში მეფობა 537 გააუქმა), სპარსელები გაძლიერდნენ. დაიკავეს „კარნი ოვსეთისანი“ (დ), („მოქ.ქ.“, 94). მურვან ყრუმ (არაბი სარდალი მარვან II იბნ მუჰამედი, არაბთა ხალიფა 744-50) დალაშქრა მთელი კავკასია (735-38), დაიპყრო კარი დ. და დარუბანდისა, შემუსრა ქალაქები და ციხეები (ჯ. 234). ჯუანშერ ერისმთავრის (ქართლის ერისმთავარი VIII ს. 50/60-იანი) გამგებლობის დროს ხაზარებმა ამიერკავკასიაზე ილაშქრეს (764). ლეკეთის გზით შემოვიდნენ კახეთში, აიღეს ციხე-სიმაგრე, სადაც ჯუანშერი და მისი და – შუშანი იმყოფებოდნენ. ხაზარებმა ისინი სხვა ტყვეებთან ერთად დ-ის გზით ხაზარეთს გაუყენეს. შუშანი ხაზართა ხაკანს ცოლად სურდა რომ შერთო. შუშანმა წარმართის ცოლობას სიკვდილი არჩია. როცა ტყვეებმა დ-ის კარი გაიარეს, შუშანმა თავი მოინამლა (მ. ქ. 250; ვ. ბ. 127). არაბებისგან დევნილმა ნერსე ერისმთავარმა (ქართლის ერისმთავარი VIII ს. 70/80-იანი) გაიარა

ოსეთის კარი, რომელსაც დ. ეწოდება, გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში და ხაზარებს შეაფარა თავი (ჰაბოს წამება, 58). ბულა თურქმა (არაბი სარდალი, ბულა ელ-ქაბირი, გ. 862) დ-ით გამოიყვანა ოსების ასი ოჯახი (ვ. ბ. სამი ათასი სული) და დმანისში (პოლიტ. ცენტრი ქვემო ქართლში) დაასახლა (მ. ქ. 256; ვ. ბ. 130). დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) დაიკავა დ-ის ციხეები და ოსეთზე ყველა გასასვლელი, რათა ყივჩაყებისთვის საქართველოში მშვიდობიანად გადმოსვლის საშუალება მიეცა (დ. ი. 336; ვ. ბ. 159). მეფე რუსუდანმა (საქართველოს მეფე 1223-45), როდესაც ჯალალედინის (ხვარაზმშაჰი 1220-31) ადარბადანთან ისევ თბილისისკენ წამოსვლა შეიტყო (1227-28), შეყარა სრულიად საქართველოს ლაშქარი, გაალო კარი დ-ანი; გადმოიყვანა ოსები, დურძუკები და სხვა მთიელი მეომრები, შეკრიბა ნაჭარმაგვეს (ქართველ მეფეთა რეზიდენცია, ახლ. სოფ. კარალეთი, გორის რ-ნი) ხვარაზმელთა წინააღმდეგ (ყ. 183). დავით ულოს (დავით VII, საქართველოს მეფე 1246-70), დიდი ყაენის – ბათოს (ბათუ ყაენი, ოქროს ურდოს დამაარსებელი 1243-55) შვილი მრავალ მოციქულს უგზავნიდა და დ-ზე გასასვლელს ითხოვდა (ყ. 245; ვ. ბ. 220). შალვა ქსნის ერისთავი მონღოლთა ლაშქრით გაემგზავრა დავითის (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311) წინააღმდეგ საბრძოლველად. დავითი იდგა ბაზალეთს, ეს რომ შეიტყო, დ-ის ციხეს შეაფარა თავი (მეორე ტ. 443, ძველი ერისთავთა 105). [გიორ-

გი V-მ, საქართველოს მეფე 1318-46] იმოგზაურა მთიულეთში, შემოიკრიბა ხევსბერნი, განიხილა საქმეები, შემდეგ მივიდა დ-მდე, სადაც სრული განუკითხაობა იყო, მოსახლეობა არ ემორჩილებოდა კანონებს და მრავალ დანაშაულს სჩადიოდა („ძეგლი მეფეთმეფისა გიორგისი“ დაწერილი 1344-46. ქრ. II. 182). ვირშელ ერისთავის (ქსნის ერისთავი XIV ს. 90-იანი), რომელმაც დვალეთი ლალატის გამო მოარბია, წინააღმდეგ საბრძოლველად (1390-იანი) შეიკრიბნენ მთიულნი, არაგვის ზედაზნიდან დ-მდე. მათ წინამძღვრობდა ერისთავი სურამელი. ორი დღე იბრძოდნენ ხოჯის კლდესთან და ვერას გახდნენ („ძეგლი ერისთავთა“ 116-17). თემურ-ლენგს (შუა აზიის მმართველი 1370-1405) და მის ლაშქარს ქსნის ხეობაში მეგზურობა გაუწია ბურღიასშვილმა გირშელმა. მტერმა მოარბია მთელი ქვეყანა, მიაღწია, ლეკეთსა და დ-ალს („ძეგლი ერისთავთა“, 114). ალექსანდრე მეფეს (ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-42) უსიტყვოდ მორჩილებდა მთიულეთი – მთელი დ-ის ხეობა, რომელსაც ხევსბერები მართავდნენ (სამეხის ტაძრის „სულთა მატიანის“ განჩინებები, თარიღდება 1439. ქრ. II. 245). ფარნაოზ ბატონიშვილი (ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის 1762-98, ვაჟი) თავის ძმასთან – იულონთან ერთად აუჯანყდა რუსებს (1801). მას მხარში მთიულეთი ედგა. არაგველებმა რუსებს გადაუქეტეს ღუდის ხევი, ხოლო თავაურ-ქურთაულებმა შეკრეს დ-ის გზა და იქიდან რუსები ველარ შემოდიოდნენ (ბ. ბ. 93). ამ

დროს ციციშვილი (პავლე ციციანოვი 1754-1806, რუსი გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი) მოვიდა თბილისში. ეს რომ ყაზიბეგიშვილმა გაიგო, მოისყიდა თავაურ-ქურთაულები, გაახსნევინა დ-ის შემოსასვლელი, საიდანაც პოლკოვნიკი ნესვეტევი რუსის ერთი პოლკით საქართველოში შემოვიდა (თ. ბ. 94).

ქ. ნადირაძე

დარუბანდი – ძვ. ქალაქი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. თანამედროვე ქ. დერბენდის (დაღესტანი) ტერიტორიაზე. დარიალთან ერთად წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს გადმოსასვლელს ამიერკავკასიაში. დ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედ-თანი“, ბასილი ეზოსმოდღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962); ისტორიული საბუთები (ქრ. I, 2004, II, 1897, III, 1967; ქ. ი. ს. კ. I, 1984).

ქვეყანა კავკასიიდან, ვიდრე დიდ

მდინარემდე (მდ. ვოლგა), რომელიც ჩადის დარუბანდის ზღვაში (კასპიის ზღ.) იყო დაუსახლებელი, ამიტომ თარგამოსმა (ბიბლიური პერსონაჟი) თავისი ორი შვილი ლეკანი და კავკასი აქ დაასახლა. ლეკანს (ლეკთა წინაპარი) მისცა დ-ის ზღვიდან, ვიდრე მდინარე ლომეკამდე (მდ. თერგი) ტერიტორია (ლ. მ. 5). ხაზარებმა * გაიჩინეს მეფე, იწინამძღვრეს იგი, გამოიარეს ზღვის კარი, რომელსაც ჰქვია დ. ხაზარებმა ისწავლეს ორი გზა, ზღვის კარი, ანუ დ. და არაგვის კარი, ანუ დარიალი (თერგის ხეობის მონაკვეთი, ყაზბეგის რ-ში, საქართველოს რესპ.). ხშირად გადმოდიოდნენ ამ გზებზე და აოხრებდნენ თარგამოსიანებს. შედეგად ისინი ხაზართა მოხარკე გახდნენ (ლ. მ. 11-12, ვ. ბ. 51). ხაზართა მეფემ თავის მამის ძმისწულს მისცა ლეკანის კუთვნილი ტერიტორია დ-ის ზღვიდან აღმოსავლეთით მდ. ლომეკამდე (ლ. მ. 12). არდამ ერისთავმა (ნებროთიანთა ანუ სპარსელთა სარდალი, ქართლის დამპყრობი) აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა დ., რომელიც სპარსულად ნიშნავს „დაკშა კარი“ (ლ. მ. 13; ვ. ბ. 51; ნ. დ. 69). ოსეთის დარბევის შემდეგ მირიანი (ქართლის მეფე IV ს-ის I ნახ.) დ-ის გზით დაბრუნდა მცხეთაში (ქართლის სამეფოს დედაქალაქი), (ვ. ბ. 72). ხაზარები პერიოდულად თავს ესხმოდნენ დ-ს, მირიანი მათ დასახმარებლად ხაზარებზე ლაშქრობდა (ლ. მ. 66, 68; ვ. ბ. 71-72). როცა ვახტანგ გორგასალი (ქართლის მეფე V ს-ის II ნახ.) ათი წლის იყო, ოსებმა მოარბიეს ქართლი, გაიტაცეს ვახტანგის და – მირანდუხტი,

უკან დაბრუნებულებმა - „განვლეს კარი დ-ისა“ (ჯ. 146; ვ. ბ. 101, ნ. დ. 79). ბერძენთა (ბიზანტია) წინააღმდეგ ლაშქრობისას, ერთ-ერთ ბრძოლაში, ლაშქარნი „ყოველი სომხითის“, სპარსნი და „მეფე დ-ისა“ (სავარაუდოა ლეკთა მეფე იპაჯაჯვი) ვარაზ ბაკურის მხარეს იბრძოდნენ (ჯ. 172). ქართლში შემოსულ ირანის შაჰს ეგონა, რომ თავის ლაშქარს „სპითა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთასა განამრავლებდა“, მაგრამ მას მხოლოდ მეფენი დ-ისანი შეუერთდნენ. (ჯ. 179). მურვან ყრუმ (მარვან იბნ მუჰამადი, ომანიანთა ხალიფა 744-750), (735) დაიპყრო კარი დარიალისა და დ-ისა (ჯ. 234). ბულა თურქმა (არაბი სარდალი) გააღო დ-ის კარი (853), გადმოიყვანა ხაზართა სამასი ოჯახი და დაასახლა შამქორს (მ. ქ. 256; ვ. ბ. 130). დავითის (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) მიერ შარვანის დარბევის შემდეგ (1121 მაისი), შეიბნენ შარვანელები და დ-ელნი, დ-ელებმა მოკლეს აფრიდონ (შირვანის მფლობელი) და ამოსწყვიტეს შარვანელები (დ. ი. 339; ვ. ბ. 159). დავითი თავს დაესხა (1124) შაბურანს (ქ. შაბრანი, დაღესტანი), დ-ელსა, „მოსწყდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაყნი დ-ელისანი“ (დ. ი. 344; ვ. ბ. 161). დავითმა (1125) თავის ძეს დემეტრეს უანდერძა ქვეყანა „ნიკოფსიიდგან (ახლ. ტუაფსესთან) დ-ისა საზღუარამდე და ოვსეთიდგან სოერად არეგანამდე“ (მთები სომხეთში), (ქ. ი. ს. კ. I, 62). გიორგის (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) მამის დისწულს (დავით IV-ის ასულის, თამარის შვილი), აღსარ-

თანს, რომელიც „მეფე იყო შარვანისა და ზღუს პირისად დ-ით ხირხალამდის“, ხაზარები ავიწროვებდნენ. გიორგი წავიდა აღსართანის დასაცავად და ილაშქრა დ-ის კარამდე (ი. – ა. 17; ვ. ბ. 169). მეფე თამარი (საქართველოს მეფე 1184-1207/10) ფლობდა ტერიტორიებს პონტოს ზღვიდან (შავი ზღ.) გურგანის ზღვამდე (კასპიის ზღ.) და სპერიდან (ისტ. ქართული პროვინცია ისპირი, ახლ. თურქეთი) დ-ამდის, მთლიანად კავკასიას ხაზარეთამდე და სკვთამდე (ი. – ა. 34). როცა მეფე გიორგის გლოვის ჟამი დასრულდა, შეიკრიბნენ კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი, დიდებულნი – ნიკოფსიიდან დ-მდე და აკურთხეს მეფედ თამარი (1184), (ვ. ბ. 171; ნ. დ. 94). შამქორის ბრძოლის წინ (1195) ბაღდადის ხალიფას ბრძანებით საქართველოს წინააღმდეგ შეიკრიბა მთელი მაჰმადიანური სამყაროს ლაშქარი: რომგუარის (ხორასანი ანუ სპარსეთი), ინდოეთის „ქვემოთ სამარყანამდი (ქალაქი შუა აზიაში, უზბეკეთის რესპ.) და დ-ამდი“ (ბ. ეზ. 125; ვ. ბ. 182; ნ. დ. 96). ბასიანის ბრძოლის (1202//1203) წინ თამარმა შეკრიბა ლაშქარი „იმერთა და ამერთა, ნიკოფსიით დ-ამდის“ (ი. – ა. 94). ქართველმა დიდებულებმა, ამირსპასალარმა ზაქარია მხარგრძელმა, მისმა ძმამ მანდატურთუხუცესმა ივანემ და ვარამ გაგელმა სთხოვეს თამარს შეეყარა საქართველოს ლაშქარი „ნიკოფსიით დ-მდე“, რათა (1210) ელაშქრათ რომგურზე (ი. – ა. 103). თამარის გულმონყალებასა და კეთილშობილებაზე მიუთითებს დაკნინებულ და დევნილ

მეფეთა ძველ პატივში აყვანა: „და ამისა მონამე არს სახლი შარვანშეთი და დ-ელთა, ღუნძთა, ოვსთა...“ (ბ. ეზ. 147) საქართველოში (1221) შემოჭრილმა მონღოლთა მარბიელმა ლაშქარმა თავი აარიდა ქართულ ჯართან ბრძოლას, ლაშა-გიორგის „ზედამისვლამდე“ გადაიხვეწნენ და განვლეს დ-ის გზა (ლ. გ. მ. 370). მას შემდეგ, რაც საქართველო დატოვეს მონღოლებმა გაიარეს დ-ის გზა, განვლეს დ-ის კარი, ყივჩაყეთი, შემოუარეს დ-ის ზღვას და დაბრუნდნენ სამშობლოში (ჟ. 165; ვ. ბ. 199); ლაშა-გიორგის გარდაცვალების (1223) „შემდგომად შემოკრბნენ ყოველნი დიდებულნი ნიკოფსით დ-ამდე და აკურთხეს რუსუდან მეფედ“ (საქართველოს მეფე 1223-1245), (ნ. დ. 100), მონღოლებმა (1235) დაიწყეს „აღმომართით დ-ს“ მთელი ამიერკავკასიის მორბევა (ჟ. 186; ვ. ბ. 205). მონღოლები არბევდნენ მთელ საქართველოს: ქართლს, სამცხეს, ჯავახეთს, კახეთს, ჰერეთს დ-ამდე (ჟ. 191). ბათო ყაენის (ოქროს ურდოს ყაენი 1243-55) სამფლობელო იყო ოვსეთი, ყივჩაყეთი, ხაზარეთი, რუსეთი, ბნელეთამდე და დ-ის ზღვამდე (ჟ. 196-97, 229; ვ. ბ. 214; ნ. დ-თან ხატაეთი დ-ამდე და რუსეთი ვიდრე სერბიამდე, 103). ილხანთა ყაენის ჰულაგუს (1256-1265) კარზე დავითისა (დავით VII, საქართველოს მეფე 1246-70) და სარგის ჯაყელის (სამცხის მთავარი) სასამართლოს მიმდინარეობის დროს (1262) „მოვიდა კაცი დ-ით“, რომელმაც ჰულაგუს მოახსენა, რომ დიდი ყაენი ბერქა (ოქროს ურდოს ყაენი 1255-66) მოადგა დ-ის გზას (ჟ. 248;

ვ. ბ. 221). დავითმა და სარგის ჯაყელმა ილხანებთან ერთად მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დ-ის კარიც გაიარეს და სამი დღე სდევნიდნენ მომხდურს (ყ. 250; ვ. ბ. 222). ბერქა ყაენისგან ლტოლვილი ლიმაჩავ (ოსთა ურდოს მეთაური, გარდაცვლილი ბელადის ქვრივი) დ-ის კარის გავლით ჩამოვიდა საქართველოში (ყ. 251). ბერქა ყაენი (1265) დ-ის გზით შემოიჭრა საქართველოში (ყ. 254, ვ. ბ. 223). იგი ლაშქრობის პერიოდში გარდაიცვალა და მისმა სპამ წაასვენა დ-ის კარის გავლით (ყ. 255). დ-ელნი (1280-იანი წ-ის დასაწყისი) განუდგნენ ყაენს (აბალახანი ილხანთა ყაენი, 1265-1282). ყაენი წავიდა დ-ს, მოუწოდა დიმიტრი მეფესაც (დემეტრე II თავდადებული, საქართველოს მეფე 1270-89) შევიდა დ-ს. დ-ელებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს (ყ. 286; ვ. ბ. 234; ნ. დ. 110). ვახტანგი (ვახტანგ III, საქართველოს მეფე 1298-1308) გამეფდა და ფლობდა მთელ საქართველოს „ნიკოფსიით დ-ამდე“ (ყ. 293), (ვ. ბ.-ს და ნ. დ.-ს მიხედვით კარნიფორიდან დ-ამდე, ვ. ბ. 238, 701; ნ. დ. 111). მონღოლთა განდევნის შემდეგ (1335) გიორგიმ (გიორგი V, საქართველოს მეფე 1318-46) დაიმორჩილა „რანი და შირვანი“ და ხარკი დაადო „დ-ამდე ქურდის ლეკითურთ“ (ვ. ბ. 257; ნ. დ. 115). გიორგის (1340-იანი) მორჩილებაში ჰყავდა „კავკასნიცა... ნიკოფსიდა დ-ამდე“ (ვ. ბ. 259; ნ. დ. 116). „ნიკოფსიით, სპერიით, დ-ამდე“ შეიკრიბნენ კათოლიკოსები, ეპისკოპოსები და დიდებულები, რომ ეკურთხებინათ მეფედ (1346) დავითი (დავით IX, საქართვე-

ლოს მეფე 1346-60), (ვ. ბ. 26; ნ. დ. 117). თემურ-ლენგის (შუა-აზიელი მბრძანებელი 1336-1405) ჯარებმა „განვლეს დ., ლეკეთი და მოვიდნენ ოვსეთს“ (ვ. ბ. 272). მეფე ალექსანდრემ (ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-42) ხარკის გადაუხდელობის გამო (1437) მოაოხრა განძა. ამის გამო შირვანელნი და დ-ელნი შეშინდნენ და დიდი ძღვენით ეახლნენ მეფეს ყარაბაღში (ვ. ბ. 281). ავჯანდაძეთა გვარი 1452 სიგელის (ნატყუარი საბუთი) მიხედვით დ-დან არიან მოსულეები საქართველოში (ქრ. II, 265). რუსეთის იმპერატორმა პეტრემ (პეტრე I, 1682-1725) 1722 დაიპყრო დ. (ქრ. III, 82). რუსეთში მყოფი ვახტანგი (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24), ასრულებდა შუამავლის როლს (1725-27) რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესა (ეკატერინე I, 1727-1730) და ირანის შაჰს შორის. შემდეგ კვლავ მოუწია დ-ში ჩასვლა, სადაც აწნას (რუსეთის იმპ. 1730-40) ბრძანებით გადასცეს ჯილდოდ წმ. ანდრიას ლურჯი ორდენი (ვ. ბ. 509). 1734 იმპერატრიცა აწნამ ვახტანგი „წარმოავლინა დ-ს, რათა დაიპყრას შემახია და მერმე ქართლი“. თამაზ-ხანმა (შემდგომში ირანის შაჰი ნადირი, 1736-47), რომ შეიტყო ვახტანგის წასვლა დ-იდან შამახიას, თავს დაესხა შამახიას. ვახტანგი იძულებული გახდა დ-ს მობრუნებულიყო (ვ. ბ. 513-14; ქრ. III, 143). თამაზ-ხანმა შეიტყო „მოსვლა თათარხანთა“ (ყირიმელი თათრები), დატოვა ქართლი, გაიარა რბევით კახეთი, ჭარი და ჩავიდა დ-ში (ვ. ბ. 515, 627). ამ წლის (1735) საომარი კამპანიის წარმატებით დასრულების

შედგად თამაზ-ხანს მისცა რუსეთმა დ., ოსმალებმა თბილისი, განჯა და ერევანი (ქრ. III, 146). ნადირ-შაჰი (ირანის შაჰი 1736-47) ებრძოდა დალესტნელებს (1739-41). ქართველები ნადირის მხარეს იყვნენ (ვ. ბ. 517-18). 1741 დ-ს მივიდნენ თეიმურაზი (თეიმურაზ II, კახეთის მეფე 1733-44, ქართლის 1744-62) და კათალიკოსი დომენტი, ამალით (ქრ. III, 168). შაჰის მოთხოვნით თეიმურაზთან ერთად დ-ში ჩავიდა მისი ცოლი – თამარიც (ვ. ბ. 630). იმავე წლის აგვისტოში, ნადირ-შაჰის ბრძანებით დ-ში ჩავიდნენ იმამყული-ხან ხორასნელი (ქართლის ნაიბად დანიშნული ნადირ-შაჰის მიერ 1740), აბდულა-ბეგ, იესეს ძე (იესე, ქართლის მეფე 1714-16, 1724-27), მდივან-ბეგი ქაიხოსრო ორბელიანი, ამილახორი ერისთავი გივი და სხვ. თავადები (პ. ო. 49). იმავე წელს დ-ში ჩაიყვანეს ახალციხის საფაშოში შეპყრობილი შანშე ქსნის ერისთავი და მისი ძმა. ნადირ-შაჰის ბრძანებით ისინი დ-ის ციხეში ჩაამწყვდიეს (პ. ო. 51). ალექსანდრე იმერთა მეფემ (ალექსანდრე V, 1720-52), (1742) ვაკის (ადმინისტრაციული ერთეული იმერეთში, საერისთავო) ერისთავი გააგზავნა დ-ს მყოფ ნადირ-შაჰთან თხოვნით, ეშუამდგომლა ახალციხის ისაყ-ფაშას წინაშე, რათა დაებრუნებინა იგი ისაყს იმერეთის ტახტზე (ვ. ბ. 892; ნ. დ. 177). ფათალი-ხან დ-ისა (1770-იან) თავს დაესხა უსეინ-ხან შაქელს (თ. ბ. 56). ყაფლანიშვილების არზაში (1793-1795) ერეკლე მეორისადმი აღნიშნულია, რომ ნადირ-შაჰთან დალესტანში დაბარებულმა ქართველმა თავადებმა გზად დ. გაი-

არეს (ქ. ს. ძ. 8, 352). 1796 რუსებმა, გრაფ ზუბოვის მეთაურობით, დაიპყრეს დ., შამახია, ბაქო და სალიანი (თ. ბ. 66). 1806 ციციანოვის მკვლევლობით განრისხებულმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825) გაგზავნა ჯარი, რომელმაც აიღო ბაქო, დ. და შამახია (ნ. დ. 197). 1812 მარკიზი (პაულიჩი) გადავიდა მტკვარზე რუსთა მიერ დაპყრობილი ადგილების – შაქის, შირვანის, დ-ისა და ბაქოს მოსანახულებლად.

*ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდ. კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუახანებში შექმნეს (იხ. სტ. ხაზარები).

გ. ოთხმეზური

დაღესტანი // დაღესტანელი-ბი - დ-ის ავტონომიური რესპუბლიკა შეიქმნა 1921 და დღემდე შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, (1991 რესპუბლიკის სტატუსით), დედაქალაქი მაჰაჩყალა, ისტორიული ცენტრები ყუმუხი და ხუნძახი. დ. მდებარეობს ჩრდ. კავკასიის აღმ. ნაწილში, აღმოსავლეთით ეკვრის კასპიის ზღვა, დ-ში დაახლოებით 30 ხალხი და ეთნოგრაფიული ჯგუფი ცხოვრობს. დ-ელთა მრავალრიცხოვანი მონათესავე ენათა ჯგუფები ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს. ძვ.წ. I ს-ში დ-ის სამხრეთ ნაწილი კავკასიის ალბანეთის შემადგენლობაში მოექცა. აქ გადიოდა მნიშვნელოვანი გზა ჩრდ. კავკასიიდან ამიერკავკასიაში ე.წ. “დარუბანდის კა-

რი”. IV ს-ში გავრცელდა ქრისტიანობა და ალბანური დამწერლობა. VII ს-ში დ-ის ჩრდ. ნაწილი ხაზართა კაგანატ-ში შევიდა. VIII ს-ში არაბებმა დაიპყრეს და აქედან გავრცელდა ისლამი. XI-XIII ს.ს. დ., განსაკუთრებით, მისი მთიანი ნაწილი საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ გავლენას განიცდიდა. XIII ს-ის 30-იან წლებში დაიპყრეს მონღოლებმა. XV ს-ში იბრძვის ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს რუსეთთან, XVIII ს-ის ბოლოს დ-ის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ათი მსხვილი პოლიტ. ერთეული და 60-მდე ე.წ. “თავისუფალი თემი”. XIX ს-ის დამდეგს გულისტანის საზავო ხელშეკრულებით (1813) იურიდიულად გაფორმდა დ-ის შეერთება რუსეთთან. XVI-XVIII ს.ს-ში საქართველო განიცდიდა დ-ელთა პერმანენტულ თავდასხმებს. მიმდინარეობდა ე.წ. “ლეკიანობა”. დ. და დ-ელები იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” (ქ.ც. IV, 1973); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი” (1981); ომან ხერხეულიძე “მეფობა ირაკლი მეორისა” (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი “ახალი ისტორია” (1983); ნიკო დადიანი “ქართველთ ცხოვრება” (1962); ბაგრატ ბატონიშვილი “ახალი მოთხრობა” (1941); ისტორიული საბუთები (ქრ. III. 1967; ქ.ს.დ., II. 1965, IV. 1974, VII. 1985).

თემურ-ლენგმა (შუა აზიელი მხედართმთავარი, ემირი 1370-1405) დაიმორჩილა დ. და აქ ელები ჩაასახლა. სწორედ მათ გაამაჰმადიანეს დ-ები; მანამდე მათი ნაწილი ქრისტიანები იყ-

ვნენ (ვ.ბ. 268; ნ.დ. 119). ლევან კახთა მეფის (1518-74) დროს კახეთში მშვიდობამ დაისადგურა. მართალია ლეკები ლევანს არ ემორჩილებოდნენ, მაგრამ ვერც მტრობას უბედავდნენ. ერთხელ ერთმა დ-მა ლეკმა კახეთის გაღმა მხრიდან ძროხა მოიპარა. ლევანმა იგი სამაგალითოდ დასაჯა, მთელი ოჯახით კახეთს წამოასხა და ქონება ჩამოართვა, რათა სხვებს ვერაფერი გაებედათ (ვ.ბ.574); ლეკთა თავდასხმებისაგან შეწუხებულმა თეიმურაზმა (თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-48, ქართლ-კახეთის 1625-32) დ-ის დასარბევად ქაიხოსრო ომანიშვილი გააგზავნა, რომელმაც მთელი დ. აანოკა (ვ.ბ. 585). მეფე გიორგიმ (გიორგი XI, ქართლის მეფე 1676-88, 1703-09) რუსეთში თავის ძმა არჩილთან ორი ბერი გაგზავნა (1682-83) დავალებით, რათა მისთვის საქართველოში ჩამოსვლა ერჩიათ, რადგან იგი იმერეთის თავადებს მეფედ სურდათ. დ-ში მისული ბერები შამხალმა შეიპყრო. ამ დროს შამხალს გაუვალობა დაემართა. ერთ-ერთმა ბერმა, დავით თურქესტანიშვილმა მას უნამლა და მოარჩინა. დავითი შამხალმა შვილივით შეიყვარა, თავისთან დატოვა, ხოლო მეორე ბერი გაათავისუფლა და რუსეთში გაამგზავრა. დ-ში ყოფნის დროს დავითმა შამხალი და გიორგი მეფე დაამეგობრა (ვ.ბ.460). კახეთის მოსახლეობა ევედრებოდა ქალბალი-ხანს (კახეთის მუსლიმი მართველი 1695-99 და ყარაბაღის ბეგლარბეგი) მიეცა ნება, რათა ჭარში ჩამოსახლებულ ლეკებს შებრძოლებოდნენ, რადგან კახეთის მიწაზე დასახლებული

ლეკები დ-ელი ლეკების მეგზურები და დასაყრდენნი გახდნენ კახეთის მოსახლეობის წინააღმდეგ. კახელებს ისინი აოხრებდნენ, ხოცავდნენ და ძარცვავდნენ. ქალ-ბალი-ხანი კი კახელებს ბრძოლის უფლებას არ აძლევდა (ვ.ბ. 608). კახეთის მეფის დავითის (1709-22) მეუღლე დახრიჯაჰან ბეგუმი იყო დელესტნის შამხალის შვილიშვილი (ქ.ს.ძ. II. 335-36) ჭარულმა ლეკებმა შეკრიბეს ლაშქარი, დაიხმარეს დ-ებიც და დიდი ჯარით მოადგნენ ქალაქ თელავს, ქართველებმა გაიმარჯვეს, მოსრეს მრავალი ლეკი და დიდძალი ალაფი მოიპოვეს. ამის შემდეგ კახეთში მოიყვანეს მაჰმად-ყული-ხანი (კონსტანტინე II, კახეთის მეფე 1722-32) და თაყვანი სცეს (ვ.ბ. 623). თამაზ-ხანმა (ირანის შაჰი ნადირი 1736-47) 1737 შეუტია დ-ს (ქრ. III. 617). ნადირ-შაჰს გადანყვებილი ჰქონდა დაუფლებოდა დ-ს, მან ახალი ლაშქრობა მოაწყო დ-ის წინააღმდეგ (1741-43), (ო.ხ. 42). დაიბარა ქართლის ხანი (ყიზილბაში გამგებელი იმამ-ყული-ხანი) და თავადები. მაშინვე წავიდნენ იმამ-ყული-ხანი, აბდულ-ბეგი (იესეს ძე, იესე ქართლის მეფე 1714-16, 1724-27), გივი ამილახვარი (ქართლის სადროშოს სარდალი), როდესაც ისინი დარუბანდს მივიდნენ, შაჰი უკვე აოხრებდა დ-ს (პ.ო. 47). შაჰი ჯარით დ-ს შეესია (ქრ. III. 168, 170), ლეკები ბრძოლით შეავიწროვა, ხოლო ქართველები სურსათის თხოვნით, ამიტომ განუდგნენ ქართველები შაჰს. შაჰმა ქართლ-კახეთის ამონყვეტა გადანყვიტა. მაშინ თეიმურაზმა (თეიმურაზ II, კახეთის მეფე 1733-44) თავის მეუღლე თამარი (ქართლის მეფის ვახტანგ

VI-ის ასული) შაჰთან დ-ში მოსალაპარაკებლად გააგზავნა. შაჰმა თამარი დიდი პატივით მიღო. თამარმა თავისი მისია წარმატებით შეასრულა და ქართლ-კახეთი აოხრებას გადაარჩინა (ო.ხ.42; პ.ო. 55), ნადირს აუჯანყდა ძველი ყაენის (იგულისხმება შაჰ-თამაზ II) შვილი, რომელსაც მის წინააღმდეგ აჯანყებული დ-ელი ფეოდალები ეხმარებოდნენ (ო.ხ. 43; პ.ო 70). შაჰ-ნადირი დ-დან 1742 გამობრუნდა და ქალათის ციხე დაიკავა (ქრ. III, 618). ოსმალებმა ხაზინა გამოაგზავნეს 1746, დ-ელებისთვის, რათა ეს ფული ირანის წინააღმდეგ აჯანყებისთვის მოეხმარათ. ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) არაგვის პირას დახვდა ოსმალებს და ხაზინა წაართვა (ქრ. III. 618). ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ გივი ამილახვარს ოსმალები მატერიალურად, ხოლო დ. ჯარით ეხმარებოდნენ, ამით სარგებლობდნენ დ-ელები და ქართლ-კახეთის სოფლებს არბევდნენ (პ.ო. 61,64,67,78). ხუნძახის ერისთავი მუცალი ჩამოვიდა დ-ის რჩეული ჯარით, შიგნი კახეთი შემოვლო, თიანეთზე გადავიდა და მჭადი-ჯვარს შემოადგა (1755). ერეკლემ და თეიმურაზმა გაიმარჯვეს და ლეკები გააქციეს (ბ.ბ. 50). 1770 ქსნის ერისთავი, ყულარაღასი გიორგი აჯანყდა, იხმო დ-ელეი ლეკები, გაამაგრა ქსანი და პატარა ლიახვი. მეფე ერეკლემ, რადგან მოლაპარაკებით ვერაფერს გახდა, გააგზავნა შვილები გიორგი და ლეონი ქსნის ერისთავის აჯანყების ჩასახშობად. აჯანყებული გიორგი დამარცხდა (ბ.ბ. 59). 1767 დ-ის ჯარი წავიდა იმერეთს, რაჭის სოფლები მოარბია და სამასამდე ტყვე წამოას-

ხეს (ქრ. III. 294). დ-ელი ბელადები პერ-მანენტულად ესხმოდნენ თავს ქართლ-კახეთს, აოხრებდნენ, ძარცვავდნენ და ტყვეები მიჰყავდათ. ქართველები მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ (იხ. სტატიები: სურხავი, ყოჯახ, მალაჩი, ზუბეიდალა, ბენჩა, კოხტა, ჩონჩოლ-მუსა, ომარ-ხანი, ნურსალ-ბეგი, ფათალი-ხან-აფშარი). მეფე ერეკლეს ხშირად მიმართავდნენ დ-ების მიერ წაყვანილი ტყვეების ოჯახის წევრები დახმარებისათვის მათი გამოსყიდვის მიზნით. მეფე მათ ეხმარებოდა და ისინიც მას მადლობას უხდიდნენ (იხ. არხები: ქ.ს.დ. II. 181, 197, 346, 530; IV. 85, 564, VII. 143). ზოგჯერ ქართველი მეფეები თავადვე ქირაობდნენ დ-ის ჯარს და ჯამაგირს უხდიდნენ (ქ.ს.დ. II. 455, 529...). რუსები ებრძოდნენ დარუბანდის ხანს შიხალის. შიხალიმ რუსებს დ-მდე დაახვედინა უკან (თ.ბ. 80). ერმოლოვის (რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, 1777-1861) მეთაურობით რუსებმა შეუტიეს დ-ს და რამდენიმე სოფელი გადაწვეს. ლეკებმა მათ უკან დაახვედინეს (თ.ბ. 88). 1812 რუსების წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველებს ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ძე) ხელმძღვანელობით დ-ის ჯარიც ეხმარებოდა (ბ.ბ. 59).

ქ. ნადირაძე

დალესტანელები – იხ. სტ. დალესტანი // დალესტანელები.

დაუდ-ხანი – განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი (1625-33), ირანის წარმატებული სარდალი, გვარად უნდილადე. ირანის პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის ალავერდი-ხანის შვილი, ფარსის ბეგლარბეგის, ირანის სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის იმამ-ყული-ხანის ძმა. დ. ხ. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926).

დ. ხ. აქტიურად მონაწილეობდა თეიმურაზის (თეიმურაზ I, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32) მეთაურობით სეფიანთა ირანის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში (1632). მან თეიმურაზს განჯა-ყარაბაღი დაარბევინა (ფ. გ. 31). ამის გამო შაჰ სეფიმ (სეფი I, ირანის შაჰი 1629-42) დ. ხ-ს შვილებს თვალეზი დასთხარა, ხოლო მისი ძმა, იმამ-ყული-ხანი, ექვსი შვილით, სიკვდილით დასაჯა. დ. ხ.-მა ეს რომ შეიტყო, სასწრაფოდ მიატოვა განჯა, თეიმურაზთან ჩავიდა და თავშესაფარი ითხოვა. თეიმურაზმა იგი თანმხლები პირებით მდ. იორის პირას დაასახლა. შაჰ სეფიმ დ. ხ.-ის გადაცემა მოითხოვა. თეიმურაზმა უარი უთხრა. განრისხებულმა შაჰმა ქართლში მმართველად ხოსრო მირზა (როსტომ მეფე, 1632-58) გამოაგზავნა და თან აზერბაიჯანის სპასალარი – როსტომ სააკაძე გამოაყოლა. თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთში გადასულიყო. დ. ხ.-მა ოსმალეთს შეაფარა თავი (ბ. ე. 416; ვ. ბ. 437; ფ. გ. 31-32).

ქ. ნადირაძე

ღვინაღაშტი – ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. X ს-ში შედგებოდა სამი სამთავროსაგან. დ. იხსენიება: სტეფანე მტბევალი „ნამებად წმიდისა მოწამისა გობრონისი“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, გვ. 175).

თ. ქორიძე

ღვინი – ქალაქი შუა საუკუნეების სომხეთში, მსხვილი სავაჭრო ცენტრი, რომელზეც გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქარავნო გზები, ააშენა ხოსრო III-მ (331-338) და სამეფო რეზიდენცია არტაშატიდან დ-ში გადაიტანა. V ს-ის შუა ხანებში გახდა სამარზპანო სომხეთის ადმინისტრაციული ცენტრი. V ს-ის 60-იანი წლებიდან სპატრიარქო რეზიდენცია იყო. დ. არაბებმა დაარბიეს და 640-დან არაბთა საამიროს ცენტრი გახდა, დაზარალდა 862 და 893 მიწისძვრების დროს, 1236 მონღოლებმა დაანგრიეს. დ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდვარი „ცხოვრება მეფეთმეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980); „გობრონის ნამება“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ. I, 1963).

დ-ს დიდ და სახელოვან ქალაქს უწოდებენ (ი-ა, 5; ბ.ე. 130). დ. სომხეთა მეფის თრდატ III-ის (298-330) სამ-

ყოფელი იყო (ლ.მ. 82). დ-ში ჩატარდა საეკლესიო კრება, რომლითაც სომხეთი განუდგა ქალკედონის კრებას (451), (ა.ს. 80,84). დ-ის კრებაზე განაწესეს „არაჯორი“ (მარხვა, რომელიც წინ უსწრებს დიდმარხვას სამი კვირით), (ა.ს. 80). აბულ-კასიმი (იუსუფ იბნ-საჯ, სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა 901-27) შევიდა დ-ში, სადაც გაიგო სომეხთა მეფის სუმბატ I ტიფერაკალის (890-914) კაპოეტის ციხეში შეხიზვნა, შეიპყრო ის, ჩამოიყვანა დ-ში და ძელზე ჩამოჰკიდა (მ.ქ. 264; ვ.ბ. 133). ლიპარიტმა ბიზანტიელებთან ერთად ილაშქრა დ-ში (მ.ქ. 302; ვ.ბ. 148). გიორგის (გიორგი II, საქართველოს მეფე 1072-89) წინააღმდეგ ლაშქრობს განძის თავადი სარანგი ალხაზი დ-ის ამირას თანადგომით (მ.ქ. 317). დ-ზე ლაშქრობენ მხარგრძელები: სარგისის ვაჟები ზაქარია და ივანე (XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ზაქარია – ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, ივანე – მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი), ვარამის ვაჟები ზაქარია და სარგისი* და გამარჯვებულნი ბრუნდებიან. მათ წამოეწია დვინელთა ლაშქარი და მოხდა ბრძოლა, რომელშიც ქართველებმა გაიმარჯვეს. ამის შემდეგ თამარი (საქართველოს მეფე 1184-1207/10) შეკრებს ჯარს, აგზავნის დ-ში და მოაოხრებს (ი-ა, 39; ვ.ბ. 173-74). განძაზე ლაშქრობის დროს თამარ მეფე ჩავიდა დ-მდე (ი-ა, 77). ბალშანი, ელდიგუზ ათაბაგის გაზრდილი დ-ის პატრონადაა დასახელებული (ი-ა, 77). ივანე მხარგრძელს ეპყრა დ.

(ყ. 169). ლაშა-გიორგის (საქართველოს მეფე 1207-1222) გარდაცვალებიდან მესამე წელს ხვარაზმელები დ-ს შეესივნენ. რუსუდანმა (საქართველოს მეფე 1223-45) გაგზავნა მათ წინააღმდეგ დ-ში ლაშქარი ივანე ათაბაგის სარდლობით. ქართველები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ (ყ. 169), ჯალალედინმა (მანგუბერთი, ხვარაზმის შაჰი 1220-21) მოაოხრა დ. (ყ. 171; ვ.ბ. 201). მონღოლებმა გაანადგურეს დ. (ვ.ბ. 205). დ. ბაგრატიის (ბაგრატ V, საქართველოს მეფე 1360-93) მოხარკე იყო (ვ.ბ. 263).

*ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მხოლოდ სარგის მხარგრძელის ძე ლაშქრობს დვინზე.

ე. კვაჭანტირაძე

დიდოელები – ცეზები, დაღესტნის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ხალხი. დიდოელებით დასახლებული დიდოეთი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. გამოეყო XVIII ს-ის II ნახევარში. დაღესტნის ავტ. რესპუბლიკის შემადგენლობაშია. დიდოელები იხსენიება: ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“; ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, (ქ.ც., I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც., II, 1959); ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

დ. არიან „წილნი ლეკოსისა“ (ვ.ბ.

552). როდესაც აზორკმა და არმაზელმა (ქართლის მეფეები, I ს-ის 70-იანი) განიზრახეს სომხების მიერ წართმეული ქართლის მიწა-წყლის დაბრუნება, ლეკთა მეფემ მათ დასახმარებლად გადმოიყვანა დურძუკები და დ. (ლ.მ. 45); დურძუკები და დ. ხაზარებთან* ერთად დროდადრო იბრძოდნენ მეფე მირიანის (ქართლის მეფე, IV ს. I ნახ.) წინააღმდეგ (ლ.მ. 66); იმპერატორის ბრძანებით, გუარამმა (გუარამ I, ქართლის ერისმთავარი, VI ს. II ნახ.) გამოიყვანა ოვსები, დურძუკები და დ. და ქართველებთან ერთად გაილაშქრეს ირანელების წინააღმდეგ ადარბადაგანს (ჯ. 220; ვ.ბ. 120). სარკინოზით ლტოლვილნი დიდონი მათი წესებით ცხოვრობენ, კაცის ჭამის გარდა (ვ.ბ. 16). დ-ები არიან ბილნი ზნეობისა და ქცევის, სარწმუნოებით კერპთაყვანისმცემელნი და ეშმაკის მიმდევარნი. დ-ების ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოებისა და შესამოსელის შესახებ (იხ. ვ.ბ. 552-553); მეფე თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) ეპოქაში დ. აჯანყდნენ (ი.ა. 111); მეფე თამარმა განდგომილი მთიულების, კახელებისა და დ-ის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარი ივანე ათაბაგის მეთაურობით, რომელმაც დაამარცხა ისინი, ჩამოართვა მძევლები და ხარკი დაადო (ვ.ბ. 191). დ. მოუხარშავ საკვებს ჭამენ, რამდენიმე ძმას ერთი ცოლი მოჰყავს, ზოგი უჩინარ ეშმაკს სცემს თაყვანს, ზოგი კი უნიშნო შავ ძაღლს (ი.ა. 111). დიდოეთს დედანწულიანად გაქცეული მეფე დავითი (ალექსანდრე I-ის ძის დიმიტრის ძე) დ-მა შეინყნარეს და პატივით

მიიღეს (ვ.ბ. 567); მეფე გიორგიმ (გიორგი VIII, საქართველოს მეფე იგივე გიორგი I, კახეთის მეფე 1466-1476) სთხოვა დ-ს, რათა მისთვის გადაეცათ მათთან მყოფი დავითი (ვ.ბ. 288). კახთა მეფეებს დიდონი „არა მორჩილებდნენ ნებისაებრ მისისა“ (ბ.ე. 348). დიდოელებმა მეფე თეიმურაზის მეთაურობით ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს ლეკებს. ლეკები დაეხმარნენ დ-ს, დაუხვდნენ სიმაგრეებში ქართველებს, დაუშინეს საგორავები, ქვა, ისარი და ამონყვიტეს მრავალი, მათ შორის გამოჩენილი ეპისკოპოსნი (ბ.ე. 421-422). გენერალ რტიშჩევის (ნიკოლაი რტიშჩევი, საქართველოს მთავარმართებელი 1812-1816) მმართველობის პერიოდში კახელი თავადების ნაწილმა დაიხმარეს დ. და რუსეთის მხედრობასთან გამართულ პირველ ბრძოლაში გაიმარჯვეს (თ.ბ. 84).

*ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილოეთ კავკასიაში მხოლოდ VII ს-ის შუა ხანებში შექმნეს (იხ. სტ. ხაზარები).

თ. ქორიძე

დორდოელი – ოვსთა მეფე (XI ს). საქართველოს მეფის – ბაგრატ IV-ის (1027-72) ცოლისძმა. დ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ბაგრატმა განძის ამირა ფადლონის (ფადლ იბნ შავურ II, 1063-73) დას-

ჯა გადაწყვიტა და განძისკენ დიდძალი ლაშქარი გააგზავნა. ლაშქარს უსარდლა თავისი ძე – გიორგი კურაპალატი, რომელსაც ბაგრატის მოთხოვნით ეხმარებოდა თავისი ბიძა, ოვსთა მეფე დ. 40 000 ოსით. ქართველებმა განძა მოაოხრეს და დიდძალი ალაფი წამოიღეს. ბრძოლის შემდეგ დ-მ ითხოვა ბაგრატ სევასტოსთან დარბაზობა. ბაგრატი დასთანხმდა. დ. ჩავიდა ქუთაისში, სადაც ნახა თავისი და – ბორენა დედოფალი. შემდეგ დ. წაიყვანეს ქართლში. ბაგრატი მას ტინისხიდის ქალას, ნადარბაზვეს (ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მდ. ლიახვის დასავლეთით) შეეგება. იყო დიდი სიხარული, ბუკთა ცემა და ნადიმობა. ოსებმა აქ თორმეტი დღე დაჰყვეს. შემდეგ, ზამთრის მოახლოების გამო ბაგრატმა დ. დიდძალი საჩუქრებით სამშობლოში გაისტუმრა (მ.ქ. 305, 313; ვ.ბ. 152).

ქ. ნადირაძე

დურაქუკები // დურაქუკითი –

ხალხი და მხარე შუა საუკუნეების კავკასიაში, თანამედროვე ვეინახთა წინაპრების საერთო სახელწოდება შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში. დ. ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებში საქართველოზე დამოკიდებული ქვეყანა, მისი ვასალი იყო, საქართველოდან გავრცელდა მათში ქრისტიანობა. დ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარა-

ვანდედთანი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

დ. ერქვა კავკასოსის შვილს, რომელიც დამკვიდრდა კავკასიის მთის ნაპრაღში და უწოდა ამ ქვეყანას თავისი სახელი დ. (ლ.მ. 12; ვ.ბ. 633). ფარნავაზმა (ქართლის მეფე ძვ.წ. IV-III სს. I ნახ.) ცოლად შეირთო დ. ქალი (ლ.მ. 25; ვ.ბ. 57). საურმაგს (ქართლის მეფე ძვ.წ. III ს.) დაუპირისპირდნენ ქართლის ერისთავები და განიზრახეს მისი მოკვლა. საურმაგი გაიქცა დ-ის ქვეყანაში თავის ბიძასთან (დედის ძმა), დ-თა დახმარებით დაიკავა ქართლი და დაიბრუნა მეფობა (ლ.მ. 26-7; ვ.ბ. 58). მირვანის (ქართლის მეფე ძვ.წ. II ს.) მეფობაში დ-მა ქარელებთან ერთად ააოხრეს კახეთი და ბაზალეთი (ისტ. მხარე ქართლში). მირვანმა შეკრიბა ჯარი, გაილაშქრა, დაამარცხა დ. (ლ.მ. 28; ვ.ბ. 58-9). აზორკისა და არმაზელის მეფობაში (ქართლის მეფეები ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნა) ლეკებისა და ქართლის დაპირისპირებისას დ. იბრძოდნენ ლეკთა ჯარში (ლ.მ. 45). თამარმა (საქართველოს მეფე 1184-1207/10) გაგზავნა ივანე ათაბაგი (ივანე მხარგრძელი – მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი) ჯარით განმდგარი და დიდოელების დასამორჩილებლად. ამ ბრძოლაში ივანე ათაბაგის მოკავშირეები იყვნენ დ., რომელთა მეფეები ძღვენითა და ლაშქრით ეახლნენ ათაბაგს (ი-ა. 111). რუსუდანი (საქართველოს მეფე 1223-45) ხვარაზმელებთან ბრძოლაში იყენებს დ-ს (ჟ. 183). ვახუშტი

ტი ბატონიშვილი ასახელებს დ-ს გუდამაყრის, ხევის, ჰერეთის, კახეთის, ხევსურეთის, ოსეთის, ქისტეთის, კახეთის მეფის კვირიკეს (კვირიკე III, კახეთ-ჰერეთის მეფე 1014-37) მიერ ერისთავებისთვის განანიღბული ტერიტორიის აღწერისას (ვ.ბ. 354, 357, 358, 526, 532, 561, 651). ვახუშტი გვაძლევს დ-ის აღწერას: „დ-ის აღმოსავლეთით არის ქისტ-ძურძუკსა და ლლილუს შორისი კავკასიონი, სამხრეთით ფშავ-ხევსურეთსა და ძურძუკს შორისი კავკასიონი, დასავლეთით ქისტ-ძურძუკსა და ხევს შორისი კავკასიონი, ჩრდილოეთით ჩერქეზეთსა და ქისტეთს შორისი კავკასიონი. ადრე ყველა ამ ხევს ერქვა დ., ხოლო შემდეგ გაიყვნენ“ (ვ.ბ. 352-53).

ე. კვაჭანტირაძე

დურძუკეთი – იხ. სტ. დურძუკეთი // დურძუკეთი

ეზრა (თარაზანაკირტალი// ფარაშნაკირტალი) – სომეხთა კათოლიკოსი 630-641/642. მისი ზეობა აღსანიშნავია იმით, რომ სომხური ეკლესია კვლავ დაუახლოვდა დიოფიზიტურს, თუმცა მონოთელიტობის ნიშანდობივად, რაც წყვეტილებით 726-მდე გაგრძელდა. სომხურმა მონოფიზიტურმა ეკლესიამ ე-ს ეს არ აპატივა და კათოლიკოსების სიაში მის სახელს თავდაყირა წერდა ხოლმე. ე. იხსენიება: არსენ საფარელი „განყოფისთვის საქართველთა და სომეხთა“ (1980).

როდესაც სომეხთს მისულმა მეფე

ჰერაკლემ* (ბიზანტიის იმპ. ჰერაკლე – 610-641) იხილა სომეხთა მწვალებლობა, ძალზე შეწუხდა და წერილი მისწერა ე-სა და აზნაურებს, უბრძანა სომეხეთის ეპისკოპოსებსა და მოძღვრებს, რათა შეკრებილიყვნენ კარნუ-ქალაქს (თეოდოსიოპოლის კრება, რომელზედაც სომეხთა საპატრიარქომ ქალკედონიტობა აღიარა), განეხილათ ქალკედონის კრებზე მიღებული დადგენილება და ჭეშმარიტად ეცნოთ ქრისტეს ორი ბუნება. ისინი ყველანი ერთად წარსდგნენ მეფის (ჰერაკლეს) წინაშე, „დაამტკიცეს მართალი“ (ანუ აღიარეს ქრისტეს ორი ბუნება) და ხელწერილი ფიცით დაემორჩილნენ მას (ა.ს. 90). მაირაგომელმა (იოანე მაირაგომელი, VII ს. სომეხი მოზღვარი, ანტიქალკედონიტი) მოუწოდა მწვალებელ (მონოფიზიტ) ბერ-მონაზვნობას – გარდმანის ეპისკოპოს სტეფანეს, სივნიეთის ეპისკოპოსს მათუსალა ქერდულისს („გრამატიკოსი“) და სხვა სამღვდელოებას, რათა ზიარება არ მიეღოთ ე-სგან (ა.ს. 91). ეპისკოპოსმა სტეფანემ და მათუსალამ ზიარება მიიღეს ე-სგან, ხოლო მათუსალა მის მიერ ეკურთხა სივნიეთის ეპისკოპოსად, რამაც განარისხა ბოროტი მაირაგომელი (ა.ს. 91). კათოლიკოს ე-ს შესახებ მაირაგომელმა თქვა, რომ იგი მეფეთა (იგულისხმება ბიზანტიის კეისრები) შიშით განუდგა სარწმუნოებას (მონოფიზიტობს) (ა.ს. 91). კათოლიკოსმა ე-მ მიმართა იოანე მაირაგომელს, სამჯერ უხმო მას (გულისხმობს კარნუ-ქალაქში (დღ. არზრუმი) გამართულ საეკლესიო კრებას), მაგრამ ის არ მივიდა. ამის შემდეგ კი

არ გაიზიარა მათ მიერ აღიარებული ქრისტეს ორბუნებოვნება, რასაც მონობს პირველ წმიდა მამათა წიგნები (ა.ს. 91). მაირაგომელს განზრახული ჰქონდა ე-ს შემდეგ საკათალიკოსო ტახტის დაკავება (ა.ს. 92). ე-ს შემდეგ საკათალიკოსოს ტახტზე ავიდა ნერსე იმხნელი (ა.ს. 92).

* იმპერატორი ჰერაკლე სომეხთს მივიდა დაახლ. 632.

თ. ქორიძე

ერეკანი – სომეხეთის დედაქალაქი, მდებარეობს არარატის ველზე, მდ. რაზდანის ორივე პლატოზე, ისტორიულ წყაროებში VI ს-დან ფიქსირდება, XIII ს-დან დაწინაურდა როგორც ქალაქი. ე. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); სეხნია ჩხეიძე „მეფეთა ცხოვრება“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); მესხური მათიანე (1961); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941), მცირე ქრონიკები (1968); ქართული სამართლის ძეგლები (II, 1965).

ე-ს ფლობს შაჰ-თამაზი (შაჰ-თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76), (ბ.ე. 371, 375, 517). ლუარსაბი (ლუარსაბ I, ქარ-

თლის მეფე 1527-56) არ ემორჩილება შაჰ-თამაზს და არბევს ე-ს (ფ.გ. 4). შაჰ-თამაზმა დაატყვევა ლუარსაბ I-ის დედა და წაიყვანა ე-ში, სადაც მან თავი მოიკლა (ბ.ე. 365; პ.ქ. 44). ხონთქრის (ოსმალეთის სულთანი სულეიმან I, 1520-1566) ჯარმა დაიპყრო ე. (ბ.ე. 371, 521; ვ.ბ. 401, 410). ოსმალეთისა და ირანის მმართველებმა სულეიმან I-მა და შაჰ-თამაზ I-მა გაიყვეს სამხრეთ კავკასიის ტერიტორია. ე. ერგო შაჰ-თამაზს (ბ.ე. 371). ლალა ფაშამ დაიკავა ე. (ფ.გ. 12). შაჰ-თამაზ I დამარცხდა ე-თან ბრძოლაში და ისპაჰანში გაიქცა (ვ.ბ. 513). შაჰ-აბასი (შაჰ-აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) მიდის ე-ის ასაღებად. მან იხმო ქართლის მეფე გიორგი (გიორგი X, 1600-1606) და კახეთის მეფე ალექსანდრე (ალექსანდრე II, 1574-1605) და უბრძანა ე-ის ციხეზე გალაშქრება. მათ აიღეს ე-ის ციხე. შაჰმა დაიპყრო ე. (ბ.ე. 380-81, 537; პ.ქ. 59; ვ.ბ. 419; ფ.გ. 18). მურადმა (ოსმალეთის სულთანი მურად IV, 1623-40) აიღო ე. (ვ.ბ. 440; პ.ქ. 95; მც. ქრ. 32, 41, 48, 62). აქედან მერვე თვეს მივიდა შაჰ სეფი (სეფი I, ირანის შაჰი 1629-42) დიდი ლაშქრით და ბრძოლით დაიბრუნა ე. (პ.ქ. 95; ფ.გ. 37). 1679 ე. დაანგრია მიწისძვრამ (მც. ქრ. 46). თამაზ-ხანი იბრძვის ე-თვის. ოსმალებმა დაუთმეს ე. მან დაიპყრო ქალაქი (ვ.ბ. 514; ს.ჩ. 47). მაჰმად-ყული ხანს (კონსტანტინე II, კახეთის მეფე 1722-1732) თამაზმა (შაჰ თამაზ II, ირანის შაჰი 1722-32) ქართლის მეფობა უბოძა, ასევე მისცა ე. (ვ.ბ. 619; ო.ხ. 116, 241; ს.ჩ. 33). 1724 ირანელებმა აიღეს ე-ის ციხე, გამოიყვანეს ე-ის ხანი ალი-ყული ხანი და ე. რაჯა ფაშას

მისცეს (ს.ჩ. 38). თამაზ-ხანმა დაიბარა თეიმურაზი (თეიმურაზ II, კახეთის მეფე 1733-44, ქართლის მეფე 1744-62) ე-ში (ვ.ბ. 627). ნადირ-შაჰი (ირანის შაჰი 1736-47) მიდის დიდი ჯარებით ე-კენ (პ.ო. 98). თეიმურაზ II მიდის ნადირ-შაჰთან და გზად ე-ში შეჩერდა. ე-ის ციხის ასაღებად იბრძოდა ამირ-ასლან ხანი (პ.ო. 125-27). ნადირ შაჰმა ზარბაზანი მიიტანა ქართლში ე-დან (პ.ო. 143). მამად-ხან ყაჯარი (ირანის შაჰის ნადირ შაჰ ავშარის (1736-47) მკვლელი) ცდილობდა ე-ის აღებას. ერევნელებმა დახმარება სთხოვეს თეიმურაზ II-ს, რომელმაც სძლია მამად-ხანს და მოხარკედ გაიხადა ე. (თ.ბ. 47). აზატ ხანი (სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელი) წავიდა ე-ის ასაღებად. ერევნელებმა კვლავ თეიმურაზ II-ს მიმართეს დახმარებისთვის. თეიმურაზმა ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) გაგზავნა სამი ათასი მხედრით (თ.ბ. 48). ერეკლე II ერევნის მფლობელად იხსენიება (ქ.ს.დ. 62, 457). ერეკლე II მიდის მისი მოხარკე ე-ის დასაბრუნებლად. ე-ის ქვეყანა ისე იყო აოხრებული ე-ის ციხისა და ერმიაწინის (სამონასტრო კომპლექსი ერევნის მახლობლად, სომხური ეკლესიის ცენტრი და კათალიკოსის რეზიდენცია) გარდა შენობა არ იყო გადარჩენილი. ყირხბულახთან ბრძოლაში ერეკლემ დაამარცხა აზატ ხანის ლაშქარი და განდევნა ე-დან (პ.ო. 183-85; თ.ბ. 48). მამად ხანი ყარაბაღში გაიქცა. ერეკლე II დაედევნა, აიღო ხარგვირაბის ციხე, წაიღო მისი მთელი სიმდიდრე და ე-ში მიბრუნდა. მასთან

მივიდა ე-ის ხანი და მოხარკეობა იკისრა. ე-ში ერეკლემ თავისი მოხელე დატოვა (ო.ხ. 48). ე-ზე ლაშქრობს ერეკლე II-ის ვაჟი გიორგი. ერევენელებმა ნახეს რომ მცირერიცხოვანი იყო ჯარი, გამოვიდნენ და გამართეს ბრძოლა. გიორგიმ ერეკლე II-ს მიმართა დახმარებისათვის. ერეკლე მივიდა და გაიმარჯვა. ერევნის ხანმა ოთხი ათასი თუმანი ხარკი დაიდო (ო.ხ. 70-71). 1778 ერეკლე II-მ ე-ზე ილაშქრა. ციხის ალყა 4 თვე გაგრძელდა. ბოლოს ერეკლე დაუზავდა ე-ის ხანს უსეინ ალის და დაუნესა ხარკი წელიწადში 6 ათასი თუმანი (ბ.ბ. 56-57). ერეკლე II-მ ე-ის ბეგლარბეგობა უბოძა აბდულა ბეგს (პ.ო. 188). ბორჩალოს ხანი მუსა-ყული ხანი გაიქცა და მივიდა ე-ში (პ.ო. 203). ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ ე-ში გაგზავნეს ზეიდალ ხანი, რადგან ქართველი მეფის მიერ დასმული ე-ის ხანი აბდულა ხანი აზატ ხანმა დაიბარა, ე-ის ხანობა ჩამოართვა და ისევ ასან-ალი ხანს მისცა. ზეიდალ ხანი უნდა ჩასულიყო ე-ში მოსალაპარაკებლად აზატ ხანთან, რომელმაც მოლაპარაკებაზე გამოგზავნა შაჰ-აბაზ ხანი. ამ უკანასკნელმა პატივი ისევ ზეიდალ ხანს დაუბრუნა და ე-ის ციხეში დააყენა. აზატ ხანმა შერიგების საბუთი გამოატანა ზეიდალ ხანს (პ.ო. 202-05). დალესტნელთა ჯარი არბევს ე-ს (პ.ო. 209, 232). ისპაჰანში აზატ ხანთან ნამყოფი იოანე და ზაალ ორბელიანები ქართლში გამოტანებული სიმდიდრით ე-ში დადგნენ (პ.ო. 212). ე-ის ხანმა მიართვა ერეკლე II-ს ცხენები და საჩუქრები (პ.ო. 243). 1804 გაზაფხულზე ციციშვილი (პავლე ცი-

ციანოვი, 1754-1806, რუსეთის არმიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი) წავიდა ე-ის დასაპყრობად, მიადგა ე-ის ციხეს, გამართა ბრძოლა ბაბა ხანის ლაშქართან, დამარცხდა და დაბრუნდა თბილისში (თ. ბ. 71). 1805 ციციშვილი კვლავ მიდის ე-ზე. მის წინააღმდეგ იბრძვის აბას-მირზა (ირანის ტახტის მემკვიდრე, აზერბაიჯანის მმართველი). ციციშვილმა აიღო ქალაქი ე., ე-ის ციხეში შეიხიზნა აბას-მირზა, დახმარებისთვის მიმართა ბაბა-ხანს, რომელიც მივიდა ასი ათასი კაცით და დაამარცხა ციციშვილი (ბ.ბ. 89-91). 1808, 5 ოქტომბერს გრაფი გუდოვიჩი (ივანე გუდოვიჩი, 1741-1820, რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიის ჯარების სარდალი) წავიდა ე-ის ციხის ასაღებად, მიადგა კიბე და უბრძანა ჯარისკაცებს ასვლა. ზემოდან ყიზილბაშებმა სროლა დაიწყეს და იძულებული გახდა უკან დაეხია (თ.ბ. 73; ბ.ბ. 101-102). გენერალი პაულუჩი (ფილიპე პაულუჩი რუსეთის არმიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი 1811-12) გაურიგდა ე-ის ბეგლარბეგს ჰუსეინს, რათა მისთვის მიეცა ე., მაგრამ უღალატა ჰუსეინმა და დაამარცხა მის წინააღმდეგ გაგზავნილი სარდალი ლისანოვიჩი ორი ათასი მხედრით (თ.ბ. 79). 1813, 18 დეკემბერს დაზავდნენ ირანის შაჰი ბაბა ხანი და იმპერატორი ალექსანდრე (ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი 1801-1825) და გაიყვეს სამხრეთ კავკასია. ე. დარჩა ირანს (ბ.ბ. 139).

ე. კვაჭანტირაძე

იჩხიაძინი – ქალაქი სომხეთში, ძველი ქალაქი ვალარშაპატი (163-დან სომხეთის დედაქალაქი), სომხეთის ეკლესიის ცენტრი და კათოლიკოსის რეზიდენცია. ე. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“, (1983); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“, (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“, (1989).

ერეკლეს მეფობაში (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798) სომხეთი ისე იყო აოხრებული, რომ აღარ იყო ნაგებობა გარდა ერევნის ციხისა და ე-ისა (პ.ო. 185; ო.ხ. 69, 93). ამავე პერიოდში ქართველთა ჯარს, რომელიც ერევანთან მდგარ ლეკებს უნდა შებრძოლებოდა კარგად დახვდა სომხეთის პატრიარქი ე-ში (პ.ო. 212). ერეკლე II-მ დაიმორჩილა ერევნის განმდგარი ხანი უსეინალი, მივიდა ე-ში, სადაც მეფე პატივით მიიღეს, ემთხვია სინმინდეებს ე-ის ტაძარში (ო.ხ. 96). ერევნის დასაპყრობად წასული ციციშვილი (პავლე ციციანოვი, 1754-1806, რუსეთის არმიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი) მივიდა ე-ში (თ.ბ. 71). პაულუჩისა (ფილიპი პაულუჩი, რუსეთის არმიის გენერალი, საქართველოს მთავარმართებელი 1811-12) და ერევნის ბეგლარბეგის ჰუსეინის დაპირისპირებისას ჰუსეინმა შეკრიბა მხედრობა და დამალა ე-ში (თ.ბ. 79).

ე. კვაჭანტირაძე

ვაზგანი // ვაჟგანი – ტაოში მდებარე დაბა ვაჟგანის სავარაუდოდ სომეხი მთავარი; წმიდა მონამეების – დავითისა და ტირიჭანის ნათესავი. მისი მოღვაწეობის ხანა უცნობია (სავარაუდოდ VII ს.). ვ. იხსენიება: „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

ვ-ს სამკვიდრო მამულს თავი შეაფარეს ბიძისაგან შევიწროვებულმა დავითმა და ტირიჭანმა (187).

თ. ქორიძე

ვაიძორი – ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. X ს-ში შედგებოდა ოთხი სამთავროსაგან. ვ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „წამება წმიდისა მონამისა გობრონისი“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 175).

თ. ქორიძე

ვანანდი - ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. ვ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „წამება წმიდისა მონამისა გობრონისი“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისა“, ლაშაგორგის დროინდელი მატიანე (ქ.ც. I, 1955).

ვ. ხევი სომხეთში („გობრონის წამება“ 175). ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა (ძვ.წ. II-I სს.) დალაშქრეს ვ. ბაგრევანამდე და ბასიანამდე (ლ.მ. 45). მეფე გიორგიმ (გიორგი II, საქართველოს მეფე, 1072-89) აიღო

ვ-ს სიმაგრენი (მ.ქ. 317). თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) მეფობაში ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა (XII-XIII სს-ის მიჯნის საქართველოს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ზაქარია-ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, ივანე-მსახურთუხუცესი, ამირსპასალარი, ათაბაგი) აიღეს ვ-ის ციხენი (ლ.გ. მ. 368).

თ. ქორიძე

პარაზ-ბაკური (დაახ. V ს. მე-2 ნახ.) – რანის ერისთავი (პიტიანში). ვ.-ბ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973). ვ.-ბ. იყო ვახტანგ გორგასლის* (ქართლის მეფე) დედის, საგდუხტის ძმა, რომელიც მამის, ბარზაბოდის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთის მეფემ რანის ერისთავად დასვა.

ვახტანგმა, როდესაც ოსების წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტა, დახმარება ვ.-ბ-ს სთხოვა. იგი სიხარულით დაეთანხმა ვახტანგს, რადგან ოსები მის ქვეყანასაც აოხრებდნენ და 12 000 მხედარი გამოუგზავნა (ჯ. 150). ოსეთიდან გამარჯვებით დაბრუნებულმა ვახტანგმა ბიძას ძღვენი გაუგზავნა: ათასი მონა, ათასი ცხენი, ათასი სახედარი (ჯ. 158). ვახტანგს სპარსეთის მეფემ (ირანის შაჰი) ბერძენთა (ბიზანტია) წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა. ამ ლაშქრობაში დასახმარებლად სპარსელებმა ვახტანგს, ვ.-ბ-ი 200 000 მხედ-

~~რით გამოუგზავნეს~~ (ჯ. 158-59; ვ.ბ. 104). ვ.-ბ. ბერძენთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ერთ-ერთ ბრძოლაში (456 წლის შემდგომი ხანა) დაიღუპა. „იგლოვეს და შემურეს იგი საბრითა და მურიითა და წარსცდეს ბარდავად“ (ჯ. 176).

* ვახტანგ გორგასლის მეფობის დათარიღება: ს. გორგაძე 443-503, ივ. ჯავახიშვილი 442-502, კ. თუმანოვი 435-522, ვ. გოილაძე 438-491.

ქ. ნადირაძე

პარლან ერისთავი – წმიდა მონაშენების დავითისა და ტირიჭანის მამა, სომეხი, ქალკედონიტი (სავარაუდოდ VII ს. მოღვაწე). ვ. ე. იხსენიება: „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963).

ვ. ე. ბასიანის ქვეყნის ერისთავი იყო, მის რეზიდენციას დაბა (ქალაქი) ონკომი წარმოადგენდა. ვ.ე. ისევე როგორც მისი მეუღლე თავინე, წარმომავლობით სამეფო საგვარეულოს ენათესავებოდა (186).

თ. ქორიძე

პარლან მამიკონიანი – სპარსელთა წინააღმდეგ 572 აჯანყების მეთაური. ვ.მ. იხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ვ.მ-ს „ურჩი“ ეწოდა. მან და მისმა ნათესავებმა მოკლეს სპარსელი მარზპანი სურენი, გადაწვეს მისი სახლე-

ბი და გაიქცნენ კონსტანტინოპოლში. ისინი შეიფარა იუსტინემ (იუსტინე II, ბიზანტიის იმპერატორი 565-78). ვ.მ-ს უთხოვია იმპერატორისთვის აია-სოფიას (ტაძარი კონსტანტინოპოლში, აიგო 532-37) დასავლეთის კარის მშენებლობა თავისი სახსრებით და ამისათვის 10000 ვერცხლი გადაუხდია. ამ კარს სომეხთა კარი ეწოდა (88).

თ. ქორიძე, ე. კვაჭანტირაძე

ვარდან სომეხთა სპასპეტი (მხედართმთავარი) – V ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე, ცნობილი ისტორიული პირი მამიკონიანთა წარჩინებული საგვარეულოდან. იგი იყო ვარსკენ პიტიახშის მიერ ქრისტიანობისათვის წამებული მეუღლის, შუშანიკის მამა.

ვ.ს.ს. იხსენიება: „მარტვილობა შუშანიკისი“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 11); წამება შუშანიკ დედოფლისა, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., IV, 1968, 385); ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ქ.ც., I, 1955, 216.).

თ. ქორიძე

ვაგრამი – ქ. ანისის ამირა (იხ. სტ. ანელი ხუცესები). ვ-მა დაამოწმა 1218 ეტიფანე კათოლიკოსის განჩინება. ვ-ის, როგორც ქ. ანისის უმაღლესი საერო ხელისუფლის მიერ „განჩინების“ დამოწმება მიუთითებს, რომ ყოფილი ანისის სამეფოს ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში იყო.

გ. ოთხმეზური

ვაჰან მამიკონიანი – სომხეთის მარზპანი 485-505 წლებში, არშუშა პიტიახშის (ქვემო ქართლის პიტიახში) აღზრდილი. ვ.მ. იხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ვ.მ-მა მიიღო სპარსელებისგან მარზპანის ტიტული, იცავდა ქრისტიანების უფლებებს, ზრუნავდა გლახაკებზე, უკან დააბრუნა ნაჩუქარი სოფლები, საეკლესიო მიწებს შეუვალაობა განუახლა (ა.ს. 87).

ე. კვაჭანტირაძე

ზარენი – სომეხთა მეფის არტაშეს I-ის (ძვ.წ. 189-160) ვაჟი. ზ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955).

არტაშეს I-მა შეკრიბა ჯარი და გაგზავნა ქართლის წინააღმდეგ თავისი ვაჟის ზ-ის სარდლობით. ქართველები და ოსები გაერთიანდნენ და მიეგებნენ სომეხთა ლაშქარს ჯავახეთში. ქართველებმა დაამარცხეს სომეხები, გააქციეს, სდიეს მათ სომხეთის საზღვრამდე, შეიპყრეს ცელის ტბის პირას ზ. და ტყვედ წაიყვანეს. ოსებს მისი მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს და დარიალის ციხეში* გამოკეტეს (ლ.მ. 48-49).

* ძვ.წ. II ს-ში ოსებისა და დარიალის ციხის მოხსენიება ქართულ წყაროებში ანაქრონიზმია.

ე. კვაჭანტირაძე

ზუბიდალა – ლექთა ბელადი (XVIII ს. I ნახ.) ზ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ზ. მივიდა ყაზახის ქვეყანაში 700 კაციტ. მოაოხრა მრავალი ადგილი და წაასხა ტყვეები. ზ. შეურიგდა აბდულა-ბეგ, იესეს ძეს (იესე, ქართლის მეფე 1714-16, 1724-27), სამშვილდის პატრონს. თავისი ჯარით დადგა სამშვილდეს და იქიდან ქართლის რბევა დაიწყო (პ. ო. 138). ზ. 1500 ცხენოსანი ლეკით შეესია ზემო ქართლს, მრავალი ადგილი მოაოხრა და ასაღებად თიღვას ციხეს (მდ. დას. ფრონის მარჯვენა ნაპირზე, შიდა ქართლი) მიადგა. მეციხოვნეებს დამხმარე ძალა მიუვიდათ და ლეკები უკან გაბრუნდნენ (პ. ო. 199). ქართველებმა ზ. ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე, 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) ბრძანებით აღჯაყალას ციხეში (იგივე გაგის ციხე, ქვემო ქართლი) შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს (პ. ო. 224-25).

ქ. ნადირაძე

თაზინე – სავარაუდოდ VII ს. მოღვაწე, ბასიანის ქვეყნის ერისთავის, ვარდანის მეუღლე. მისი ეთნიკური წარმომავლობა, ისევე როგორც მოღვაწეობის ხანა, არსებული წერილობითი წყაროების მიხედვით, გაურკვეველია. სავარაუდოდ, იყო სომეხი, ქალკედონიტი. წარმომავლობით ენათესავებოდა სამეფო საგვარეულოს. იგი იყო წმიდა მონამეების, დავითისა და ტირიჭანის დედა. თ. იხსენიება: „მარ-

ტილობაჲ დავითისა და ტირიჭანისა“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 186 – 191).

თ. ქორიძე

თარგამოსი – კავკასიის ხალხთა ეთნარქი ლეონტი მროველის მიხედვით. ბიბლიური ნოეს შთამომავალი. თ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც., I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973).

თ. იყო ნოეს ძის, იაფეტის ძის, თარშის ძე*. იგი იყო ქართველთა, სომეხთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლექთა, მეგრელთა და კავკასიანთა (ჩრდ. კავკასიელთა) საერთო წინაპარი. თ. იყო გმირი. მას შემდეგ რაც აღაშენეს ბაბილონის გოდოლი და მოხდა ენათა გაყოფა, თ. მთელი თავისი მოდგმით წამოვიდა და დამკვიდრდა ორ მთას – არარატსა და მასისს შორის. მან იცხოვრა 600 წელი. ჰყავდა უამრავი შვილი და შვილიშვილი, რის გამოც არარატისა და მასისის ქვეყანა მის მოდგმას ველარ იტევდა (ლ. მ. 3-4). თ-ის წილხვდომილ ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა გურგენის (კასპიის) ზღვა, დასავლეთით პონტოს (შავი) ზღვა, სამხრეთით ორეთის (ხმელთაშუა) ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიონი (ლ.მ. 4). თ-ს რვა სახელოვანი შვილი – ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, ჰეროსი, კავკასოსი და ეგროსი ჰყავდა. (ლ. მ. 4; ვ.ბ. 47). ვინაიდან არარატისა და მასისის ქვეყანა ველარ იტევდა თ-ის შთა-

მომავლობას, მან თავისი ქვეყანა რვა შვილს გაუყო: ერთი ნაწილი მისცა ჰაოსს (იხ. სტ. ჰაოსი), ხოლო დანარჩენი შვიდი, მათი ღირსების შესაბამისად დანარჩენებს გაუყო. თ-მა ქართლოსს მისცა ქვეყანა, რომელსაც ესაზღვრებოდა: აღმოსავლეთით – ჰერეთი და მდ. ბერდუჯი; დასავლეთით – პონტოს ზღვა, სამხრეთით – მთა, რომელიც მიუყვება მდ. ბერდუჯის სათავეს და გრძელდება დასავლეთით და მთა, რომელიც მიუყვება კლარჯეთსა და ტაოს შორის ვიდრე ზღვამდე (ლ. მრ. 4-6). ჩრდილოეთით საზღვარი – ლადო და კიდეც მთა მცირე, რომელიც გამოდის შტოდ კავკასიონიდან და უერთდება ლადოს მთას და რომელსაც ამჟამად ჰქვია ლიხი. ბარდოსს მისცა ქვეყანა მტკვრის სამხრეთით, ბერდუჯის მდინარიდან მტკვრისა და რახსის შესართავამდე. მან ააშენა ქალაქი ბარდავი და იქ დაემკვიდრა. მოვაკანს მისცა ქვეყანა მტკვრის ჩრდილოეთით, მცირე ალაზნის შესართავიდან ვიდრე ზღვამდე. მან ააშენა ქალაქი მოვაკანეთი და იქ დაემკვიდრა. ჰეროსს მისცა ქვეყანა მტკვრის ჩრდილოეთით მცირე ალაზნის (მდ.იორი) შესართავიდან, ვიდრე ტყეებამდე, რომელსაც ამჟამად ჰქვია გულგულა. ჰეროსმა ორივე ალაზნის შესართავთან ააშენა ქალაქი, რომელსაც თავისი სახელი ჰერეთი უწოდა. ამჟამად ამ ადგილს ხორანთა (ქ. ქიზიყში, განადგურდა VIII ს.) ქვია. ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და დაუდო საზღვარი: აღმოსავლეთით – მთა მცირე, რომელსაც ჰქვია ლიხი; დასავლეთით – ზღვა; ჩრდილოეთით –

მდინარე მცირე ხაზარეთისა (ყუბანი), სადამდეც კავკასის წვერი აღწევს. მან ააშენა ქალაქი, რომელსაც თავისი სახელი – ეგრისი უწოდა. ამჟამად ამ ადგილს ბედია ქვია. რადგანაც კავკასიის ჩრდილოეთით მდინარე დიდ ხაზარეთამდე (ვოლგა) დაუსახლებელი ქვეყანა იყო, თ-მა თავისი ორი ძე – ლეკანი და კავკასი დაასახლა. ლეკანს მისცა ქვეყანა დარუბანდის (კასპიის) ზღვიდან ვიდრე მდ. ლომეკამდე (თერგამდე), ჩრდილოეთით – მდინარე დიდ ხაზარეთამდე, ხოლო კავკასს მისცა ქვეყანა მდ. ლომეკიდან ვიდრე კავკასიონის დასასრულამდე. როდესაც თ-მა თავისი ქვეყანა თავის შვილებს გაუყო, მათ აღარ ისურვეს ნებროთის მორჩილება, რაზედაც ნებროთი განრისხდა და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა (ვ.ბ. 47). ჰაოსმა ნებროთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა თ-ის მთელ მოდგმას (ლ. მ. 6). როდესაც ჰაოსმა განგმირა ნებროთი, თ-ის მოდგმა მისგან გათავისუფლდა (ლ. მ. 7; ვ.ბ. 47). თ-ის მთელი მოდგმა ურთიერთსიყვარულით ცხოვრობდა და ნებროთიანების ეშინოდათ იმის გამო, რომ მათ არ აეღოთ ნებროთის სისხლი (ლ. მ. 10).

*ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, თარგამოსი იყო იაფეტის ძის, ავანანის ძის, თარშის ძე (ვ.ბ.47).

თ. ქორიძე

თარხანი – ხაზართა* გოლიათი (V-ს-ის შუა წლები). თ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშ-

ვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

თხუთმეტი წლის ვახტანგ გორგასალმა (ქართლის მეფე V ს-ის 40-იან – V ს-ის ბოლომდე) ოსეთზე გალაშქრება გადაწყვიტა (დაახ. 447-48). ქართველები და ოსები დაბანაკდნენ მდინარის (მდ. თერგი) ორივე მხარეს. დაიწყო გოლიათების შერკინება. ოსთა მხარეს იბრძოდნენ ხაზარები. ხაზარი გოლიათი – თ. შეებრძოლა ვახტანგ მეფეს. ვახტანგმა პირველივე შეტაკებაზე თ-ს ჰკრა შუბი სარტყლის ზემოთ, გაუარა ზურგში და მოკლა (ჯ. 152, ვ.ბ. 102-103).

* ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროში ანაქრონიზშია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუა ხანებში შექმნეს (იხ. სტ. ხაზარები).

ქ. ნადირაძე

თავდოსი – სარწმუნოებით წარმართი. მისი ეთნიკური წარმომავლობა, ისევე როგორც მოღვაწეობის ხანა, გაურკვეველია, სავარაუდოდ იყო სომეხი, VII ს-ის მოღვაწე. თ. იხსენიება: „მარტვილობა და ვითისა და ტირიჭანისა“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963).

თავისი დის თავინეს მეუღლის, ბასიანის ერისთავ ვარდანის გარდაცვალების შემდეგ, თ-მ მთელი მისი სამკვიდრო ქვეყანა მიითვისა და თავის მცირეწლოვან დისშვილებს - დავითსა და ტირიჭანს ქრისტიანობის უარყოფა და წარმართი ღმერთების აღიარება მოსთხოვა, რაზეც ძმებისგან მტკიცე უარი მიიღო. თ-მ თავინეს მიერ გა-

ხიზნულ ძმებს მიაგნო, რის შემდეგაც დავითი საკუთარი ხელით გამოასალმა სიცოცხლეს, ხოლო ტირიჭანი მის მიერ გაგზავნილმა მღევრებმა მოკლეს. მოგვიანებით, თ-მ ნერსე სომეხთა კათოლიკოსის (ნერსე III, 641-61) წინაშე თავისი დანაშაული აღიარა, მოინათლა და დავითის საფლავზე ეკლესია ააგო (186-191).

თ. ქორიძე

თრდატი (ტირდატა // თრდატ III), სომხეთის მეფე 298-330. გამეფდა რომის იმპერატორის დიოკლიტიანეს (284-305) დახმარებით. თ-მა სასანიანთა ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომის დახმარებით, ფაქტობრივად მიაღწია დამოუკიდებლობას, რასაც მოჰყვა სამეფო ხელისუფლების გაძლიერება. თ-მა, სომეხ დიდებულებთან ერთად, ქრისტიანობა მიიღო და სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. თ. იხსენიება: ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“; ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც., I, 1955); „მოქცევა ქართლისა“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963); „წმიდა ნინოს ცხოვრება“, არსენ ბერისეული რედაქცია (დ.ქ.ა.ლ.დ., III, 1971); XII ს-ის ანონიმი ავტორი „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსისი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., III, 1971); ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქც, IV., 1973,); არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

თ. იყო კოსარო სომეხთა მეფის ძე. სასანიანთა ირანის მიერ სომხეთის დაპყრობის შემდეგ, მცირეწლოვანი თ. გახიზნეს რომში (ლ.მ., 62; ვ.ბ., 70). თ-ს რომში ყოფნისას გადააცვეს კეისრის შესამოსელი და შეარკინეს გოთების მეფეს. ამ ორთაბრძოლაში თ-მა გაიმარჯვა, გოთების მეფე მოკლა, რის შედეგადაც გოთები დამარცხდნენ. მაღლიერმა კეისარმა თ-ს ლაშქარი მისცა და თავის მამულში, სომხეთს გაგზავნა (ლ.მ., 68; ვ.ბ., 72). ქართლის მეფე მირიანსა და თ-ს შორის ბრძოლები მრავალი წლის განმავლობაში ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. თ-ის მოკავშირეები რომაელები იყვნენ, ხოლო მირიანის – ირანელები (ლ.მ., 69). კონსტანტინე დიდმა (კონსტანტინე I, რომის იმპერატორი 306-37) მირიანი და თ. დაამოყვრა, მირიანის ძე რევმა ცოლად შეირთო თ-ის ასული სალომე და მათ ქვეყნებს შორის საზღვრად დაანესა მდ. მტკვარი. (ლ.მ. 70; ვ.ბ., 83). კონსტანტინე დიდმა წერილი მისწერა თ-ს (ლ.მ., 82-84). თ. მეფე ქრისტეს ძალით ეშვად გადაიქცა და ქრისტეს ძალითვე ისევ კაცად (ლ.მ. 92). მეფე თ. ეკლესიათა მაშენებელი იყო. მან „ზურგითა თჳსითა ააგო ეკლესია (ჯ., 161). რიფსიმე, გაიანე, ნმ. ნინო და სხვები, სულ ორმოცდაცხრა სული, მოვიდნენ სომხეთში, რომელიც იყო „საყოფელი თრდატ მეფისა“ და მის მიერ ეწამნენ (მოქ. ქ., 84); რიფსიმე დედოფალი და მისი დედამძუძე გაიანე, ორმოცდაათი სულით მოვიდნენ სომხეთში, „სამოთხესა მას შინა თრდატ მეფისასა“ და ეწამნენ იმავე თვის პირ-

ველ რიცხვში, პარასკევს (მოქ. ქ., 115; “წმიდა ნინოს ცხოვრება“, არსენ ბერი-სეული რედაქცია, 18); რიფსიმე, მისი დედამძუძე გაიანე და მათი თანამოძმე ქრისტიანები თ-ის სამეფო სომხეთში მივიდნენ. იმპერატორმა დიოკლიტიანემ მისწერა მეფე თ-ს, რათა რომიდან მის სამეფოში გაქცეული ქრისტიანი ქალები მოეძებნა და უკან დაებრუნებინა. მეფე თ-მა რიფსიმეს სთხოვა, ცოლად გაჰყოლოდა და უარის მიღების შემდეგ სიკვდილით დასაჯა რიფსიმე და მისი თანმხლები წმიდა დედები (XII ს-ის ანონიმი ავტორი, “ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოდის“, 58); „ამის შემდგომად . . . მოკუდა ვაჰან მამკუენი, რომელმან . . . ძებნა სამართალნი ქრისტიანეთანი, თრდატ მეფისაგან დადებულნი წესნი ეკლესიათანი და გლახაკთანი“ (ა.ს. 87).

თ. ქორიძე

იარკანდი – სომეხთა მეფე ძვ.წ.

II ს-ის 50-იანი. ი. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955; ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ი-მა წაართვა ქართლის მეფე ფარსმან არმაზელს ქ. წუნდა და არტანი მტკვრამდე, წუნდას უწოდა ქაჯატუნი (ლ.მ. 44; ვ.ბ. 691). ი. მოკლა სომეხთა სპასპეტმა სუმბატ ბივრიტიანმა (ლ.მ. 45).

ე. კვაჭანტირაძე

იზრაილ-ხანი // იზრაილ-ხანი

– ყარაბახის // შუშის ხანი (1763-1806); მისი მმართველობის პერიოდში ყარაბახის სახანომ ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა განიცადა. ი.ხ-მა საბოლოოდ დაიმორჩილა ყარაბახის სომეხი მელიქები, რის შედეგადაც ისინი, და ადგილობრივი სომხური მოსახლეობა, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სახანო. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა კავკასიის მიმართ რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ, მის წინააღმდეგ გაერთიანების მიზნით, ი.ხ-მა კავშირი შეკრა ქართლ-კახეთის სამეფოსთან. 1801 რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში რუსეთის გააქტიურებამ, ი.ხ. აიძულა 1805 დათანხმებოდა რუსეთის წინადადებას ყარაბახის სახანოს რუსეთის დაქვემდებარების ქვეშ შესვლის შესახებ. რუსეთის ხელისუფლებამ ი.ხ-ს მიანიჭა რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის წოდება. რუსეთისადმი ლალატში ეჭვმიტანილი ი.ხ. მოკლულ იქნა 1806. ი.ხ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონისეული ვერსია, წგ: ომან ხერხეულიძე, „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“, (1983); დავით ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“ (1941); ისტორიული საბუთები (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797), (2008); ქართული სამართლის ძეგლები (VII, 1981).

ი.ხ. იყო ყარაბახის ხანის ფანა-

ხანის ძე. ახალციხის ფაშა სულეიმანი (1767-69; 1770-91) საიდუმლოდ დაუკავშირდა ი.ხ-ს და ომარ-ხან ავარიელს (ხუნძახის ბატონი), ერთობა და შერიგება უარყო და „ასტეხნა ლეკნი მარბვევლად ქართლისა“ (თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 98). ი.ხ. ემსახურებოდა და მორჩილებდა მეფე ერეკლეს (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) მეფე ერეკლემ მის მიერ განჯის გამგებელად დადგენილ თავად ქაიხოსრო ანდრონიკაშვილს თანაშემწედ დაუდგინა შუშის ხანის კაცი, რადგან მეფე ერეკლე ი.ხ-ს წყალობდა და ენდობოდა (თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 98-99). ი.ხ უსწავლელი და ბრიყვი, წერილის უმეცარი და გაუნათლებელი კაცი იყო, მინდორსა და მთებში, მდაბალ, უმეცარ ხალხში გაზრდილი ი.ხ-ს თავისი კარისკაცები ბევრს ატყუებდნენ, ისინი ახალციხის ფაშა სულეიმანმა მოისყიდა. ჯავათ-ხან განჯელმა სამსახური და მორჩილება დაუნყო მეფე ერეკლეს და ი.ხ-ს შეეკრა. ომარ-ხანმა მეორე ზამთრის პირს, შემოდგომაზე ველარ გაბედა ქართლში შემოჭრა და ყარაბაღში ი.ხ-თან ჩავიდა. ი.ხ. წინ მიეგება, პატივით მიიღო და თავისი ჯარითურთ ყარაბაღში დააყენა (ო.ხ. 73, თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 100). საქართველოში ლაშქრობის შემდეგ ომარ-ხანი ყარაბაღს ჩავიდა ი.ხ-თან, ევგენის (თავად ევგენი აბაშიძე) ერთი ქალი მას მისცა ცოლად, მეორე კი თვითონ შეირთო (დ.ბ. 60). ყარაბაღიდან გამოიქცნენ ი.ხ-ის სომეხი მელიქები, რომლებიც მოვიდნენ მეფე ერეკლესთან და სთხოვეს ჯარით დახ-

მარება, რათა „აჰყარონ ყოველი საყმო თვისი“ და გადმოსახლებულიყვნენ საქართველოში (ო.ხ. 74; თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 101). ყარაბაღში მისულ მეფე ერეკლეს მიერ წარგზავნილ საქართველოს ლაშქარს, რომელსაც სათავეში მეფის (ერეკლე II) ძე იულონი და სარდლები ედგნენ, წინ გამოეგება ი.ხ-ის ჯარი (ო.ხ. 73; თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 101.). ომარ ხანთან მეგობრობისა და მისი თავის მამულში შეშვების გამო, ი.ხ. დამნაშავე იყო მეფე ერეკლეს წინაშე, ამიტომ ვერ გაბედა მეფესთან მისვლა და თავისი სარდალი ჯარითურთ გაგზავნა. ი.ხ-ის სარდალი ყარაბაღის ჯარით, მეფის ძე იულონის ჯარს შემოეყარა (ო.ხ. 74; თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 101). თვითონ ი.ხ. შუშის ციხეში შიშისგან ძრწოდა. მეფე ერეკლესთან მივიდა ი.ხ-ის კაცი და მიართვა მრავალი ფეშქაში და „ლარი პატიოსანი და ძვირფასი“. მეფე ერეკლემაც ი.ხ-ს უბოძა ხალათი და დანაშაულის პატიების იმედი მისცა. ი.ხ-მა ჩუმად კაცი გაგზავნა ომარ-ხანთან და დახმარება სთხოვა, რათა იგი დაეცვა უკვე განჯაში ჯარით ჩასული მეფე ერეკლესაგან (თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო.ხ. 101). ი.ხ-ის თანხმობით ომარ-ხანი ჭარში შეიჭრა დალესტნის ჯარით (ო.ხ. 74). 1778, 13 მარტის ბრძანებით, ერეკლემ ვინმე თაყასშვილს მოატანინა მის საკუთრებაში არსებული აზატ-ხანის (სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელი) ნაქონი ყიზილბაშური ხმალი, რომლის ქება ი.ხ-ს სმენოდა და რის გამოც მეფე ერეკლემ გადაწყვიტა, მისი მფლობელისთვის

ხმლის სანაცვლოდ ას თუმანზე მეტი ღირებულების მამული ერეკლეს და ხმალი ი.ხ-თვის მიერთმია (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 115); 1782, 24 მაისის ბრძანებით, ერეკლემ მიმბაში ოთარი მორიგეებთან (მორიგე ლაშქარი) ერთად თავისთან იხმო, რადგან არსებობდა ი.ხ-ის მიერ დათხოვილი ხუნძახის ჯარის ქართლ-კახეთში შემოჭრის საშიშროება (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 134). 1782 მეფე ერეკლესა (ერეკლე II) და ი.ხ-ს შორის დადებული ფიცით, მათ ერთმანეთის ქვეყნიდან მისული ხალხი არ უნდა შეეწყალებინათ და უკანვე უნდა დაებრუნებინათ. რადგან ნიკოლოზ ასატურამვილი მეფე ერეკლესა და ი.ხ-ს შორის აღნიშნული პირობის დადებამდე ითხოვა მირზა გურგინამ ი.ხ-საგან, მან მონყალება გაიღო და უბოძა (ქსძ, VII, 539-540). იესე ბარათაშვილი 1764 შედგენილ არზაში წერს, რომ თავისი ყმა თამაზ შალამბარაშვილი მაშინ იყიდა, როდესაც ი.ხ. ჭარში შევიდა (ქსძ, VII, 71). 1778 მეფე ერეკლემ და ი.ხ-მა აიღეს განჯა და შეიპყრეს მამად-ხან განჯისა სახლეულითურთ, რომელიც ი.ხ-მა ტყვედ წაიყვანა (თ.ბ. 56). 1785 განდგა (უკუდგა) განჯა, მეფისა (ერეკლე II) და ი.ხ-ის მოურნენი გამოყარეს, შუშიდან განივლტო ი.ხ-ის მიერ შეპყრობილი შავერდი ხანის ძე რაიმ-ხანი, რომელიც განჯის ხანი გახდა. განჯაში მისულმა ი.ხ-მა შემწეობა სთხოვა მეფეს (ერეკლე II), ისევე აიღეს განჯა და შავერდი ხანის ძეს – ჯავადს, განჯის ხანობა უბოძეს (თ.ბ. 59). 1786 განჯის

ხანის დამარცხების შემდეგ, განჯაში მყოფ მეფე ერეკლესთან ყარაბაღელი სომეხი მელიქები მივიდნენ, რომელთაც აყრა და თავიანთი ელებით საქართველოში დასახლება სურდათ. მეფე ერეკლემ მათ ასაყრელად თავისი ძე იულონი მხედრობით წარავლინა, რომელსაც ი.ხ. „ზება“ წოდებულ ადგილას შეება და დამარცხდა (დ.ბ. 60). 1789 მეფემ თავისი მხედრობა წარგზავნა განჯაზე სალაშქროდ. მივიდნენ შამქორს, სადაც თავად მეფე ჩავიდა. იქ ასევე მივიდნენ დარუბანდის ხანი ფათალი, შაქის ხანი მაჰმადი და სამივემ გადანყვიტა ყარაბაღზე გალაშქრება, რადგან ი.ხ-მა დაივიწყა მეფე ერეკლეს სიკეთე, თუ რამდენჯერ იხსნა ფათალი-ხანისგან, როდესაც მან დაიპყრო ყარადაღი და გილანი. მათ შეუერთდა ჯავათ-ხანი, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა კერძოი ი.ხ-ისა, მაგრამ ეს ლაშქრობა აღარ შედგა და უკუიქცნენ (თ.ბ. 60). რადგან განჯის ხანი იყო თბილისისა და ყარაბაღის აოხრების მიზეზი, ი.ხ. წამოვიდა განჯაზე გასალაშქრებლად და დახმარება სთხოვა მეფე ერეკლეს. მან გაგზავნა თავისი ძე ალექსანდრე და შვილიშვილი დავითი, აიღეს და გადანვეს ქ. განჯა, ქართველთა მხნეობით გაოცებულები იყვნენ ყარაბაღელები და ლეკები (თ.ბ. 66). 1796 მეფე ერეკლე წავიდა განჯის დასაპყრობად, რომელიც იმჟამად ი.ხ-ს ჰქონდა შეერთებული. ქართველთა სამთვიანი ალყით შევიწროვებულმა განჯის ხანმა ჯავადმა, ი.ხ-ს მისი მეფე ერეკლესთან დაზავება სთხოვა. ი.ხ-მა შუამავლო-

ბა იკისრა და ისინი დააზავა (დ.ბ. 66). 1797, როდესაც საქართველოსკენ წამოსული ალა-მაჰმად ხანი (ირანის გამგებელი – 1794-დან; შაჰი – 1796-97) შუშას მიადგა, ი.ხ. შეშინდა, გაიქცა და ჭარს მივიდა (დ. ბ. 68). ალექსანდრემ (ერეკლე II-ის ძე) უღალატა თავის ძმას გიორგის და ყარაბაღს ი.ხ-თან მივიდა (დ.ბ. 73). როდესაც ი.ხ-მა შეიტყო, რომ ხორასნიდან მობრუნებული ალა-მაჰმად-ხანი, შუშისკენ მიემართებოდა, სახლეულითურთ გაიხიზნა ბელაქანში, ალა-მაჰმად ხანმა კი დაიპყრო შუშის ციხე (თ.ბ. 66) ი.ხ-ს მიერ გადმოხრებულმა ომარ-ხანმა კვლავ ილაშქრა ქართლ-კახეთზე და დაიბანაკა „კიდესა ალაზნისასა“ (თ.ბ. 67). ქართველთაგან ძლეული ომარ-ხანი მივიდა თავის სიძესთან ი.ხ-თან ყარაბაღს, რომელმაც ის არ ისტუმრა (დ.ბ. 75). 1805 ბაბა-ხანი არდაველს მივიდა, რის გამოც შეშინებული ი.ხ. რუსეთის საფარველის ქვეშ შევიდა და თავისი ციხის (შუშის) დასაცავად ციციშვილს (პავლე ციციანოვი, საქართველოს მთავარმართებელი 1802-1806) მხედრობა სთხოვა. ციციშვილმა მას 500-კაციანი რუსთა მხედრობა მისცა (თ.ბ. 71). 1805 ციციანოვმა ყარაბაღის დაპყრობა განიზრახა და ი.ხ-ს მოუწოდა, ხელმწიფის (რუსეთის მეფის) ერთგულება ეცნო. ი.ხ. ციციანოვს სიხარულით დაემორჩილა, განჯას მივიდა და ციხის გასაღებები მიართვა. ციციანოვმა მას კვლავ მიანიჭა ყარაბაღის ხანობა და დაადო ხარკი – 10 000 ოქრო. ამის შემდეგ გარკვეული ხნის მანძილზე ი.ხ. მშვიდობიანად

იყო. ციციანოვის სიკვდილის შემდეგ, 1806 მაიორმა დიმიტრი ლისანოვიჩმა ყარაბაღის საქმე ნინია ჯორაშვილს მიანდო, ი.ხ-ს ლალატი დასწამეს, ერთ ღამეს ლისანოვიჩი და „თავბერა ასკარანს მდგომი ბახში“ მას თავს დაესხნენ, მოკლეს და მთელი მისი ქონება იავარყვეს (დ.ბ. 97).

თ.ქორიძე

იონა – დვინის წმ. კათოლიკე მონასტრის მამასახლისი VII ს-ში. ი. ხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

სომეხთა კათალიკოსმა აბრაამმა (607-615) დაიბარა ი. და მოსთხოვა დაენწყევლა ქალკედონის კრება (451), წინააღმდეგ შემთხვევაში დაეტოვებინა სომხეთი. ი. არ დაემორჩილა კათალიკოსის ბრძანებას (ა.ს. 90).

ე. კვაჭანტირაძე

იონა მაირაგოველი – VII ს-ის სომეხი მოძღვარი, ანტიქალკედონური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ი.მ. ხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980). ი.მ. იყო სომეხთა კათალიკოსის კომიტასის (615-28) თანამოაზრე, რომელიც დაპირდა მას კათალიკოსობას, ათარგმნინა ცნობილი ერესიარქების თხზულებები სომხურად.

ი.მ-ის დახმარებით გაავრცელა კომიტასმა ანტიქალკედონური მოძღვრება მთელ სომხეთში (ა.ს. 82-83). ი.მ.

ცდილობს გადმოიბიროს გარდმანის ეპისკოპოსი სტეფანე და სივნიეთის ეპისკოპოსი მათუსალა, მაგრამ ვერ ახერხებს. ისინი სომეხთა კათალიკოს ეზრას (630-641) უჭერენ მხარს. ამის გამგონე ი.მ. განრისხდა და აგინებდა ამ ორ ეპისკოპოსს. ეზრა კათალიკოსმა დაიბარა ი.მ. და მოუწოდა ელიარეზინა ქრისტეს ორბუნებოვნება, მაგრამ უარი მიიღო. ი.მ. წავიდა საბერძნეთში, ისწავლა ბერძნული და დაბრუნდა სომხეთში (ა.ს. 91-92). სომეხთა კათალიკოს ნერსე III (641-661) დროს, რომელიც დიოფიზიტობას ემხრობოდა, ი.მ-ის საქმე ცუდად წავიდა. კათალიკოსის ბრძანებით, მას როგორც მწვალებელს, შუბლზე ამოსდაღეს მელიის გამოსახულება. ი.მ. წავიდა კავკასიის მთიანეთში, მაგრამ მალე დაბრუნდა უკან, რადგან იქაურმა კერპთაყვანისმცემელმა მოსახლეობამ არ გაიზიარა მისი მოძღვრება. ი.მ. გადავიდა კამბეჩანში, დაემკვიდრა სომხეთის ხევში და მრავალი დაიმონაფა არარატში, გარდმანში (ისტ. პროვინცია ალბანეთში, მდ. შამქორჩაის ხეობაში), ძოროფორში (ა.ს. 92). შემდეგი კათალიკოსის ანასტასის (661-667) დროს ი.მ. დაემკვიდრა ბიჯნისში და მაირევანში. ი.მ. გარდაიცვალა 684 წელს. ავტორი ი.მ-ს „დაძულებულ ძალს“ და „განმხრწნელი სომხითისა“-ს უწოდებს (ა.ს. 93).

ე. კვაჭანტირაძე

იოზ ეპისკოპოსი – (375-390). ი. ეპ. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (d.ქ.ა.ლ.d., I, 1963); ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც., I, 1955.).

იაკობ ეპისკოპოსის (363-375) გარდაცვალების შემდეგ, ეპისკოპოსი გახდა ნერსე სომეხთა კათოლიკოსის (ნერსე I, 348-352) დიაკვანი ი. სომეხი. (ლ.მ. 132). ქართლის მეფე თრდატის (383-395) მეფობის დროს ეპისკოპოსი იყო ნერსე სომეხთა კათოლიკოსის დიაკვანი ი. (მოქ. ქ., 91).

თ. ქორიძე

იოჰანე მღვდელი -- მისი ეთნიკური წარმომავლობა და მოღვაწეობის ზუსტი დრო უცნობია. სავარაუდოდ იყო სომეხი, ქალკედონიტი (დაახ. VII ს.). ი. მ. იხსენიება: „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (d.ქ.ა.ლ.d., I, 1963).

როდესაც დავითისა და ტირიჭანის მონამეობრივი აღსასრულის შემდეგ, ნერსე სომეხთა კათოლიკოსი (ნერსე III, 641-661) გაემართა ტირიჭანის წამების ადგილას დივრს, მან თან გაიყოლა ი. მ. დანარჩენ ორ მღვდელთან –საჰაკთან და გრიგოლთან ერთად (191).

თ. ქორიძე

იოჰანე კოგოვიტელი – სომხეთის ბიზანტიური ნაწილის კათოლიკოსი 590-611 წლებში, ქალკედონიტი.

ი. კ. იხსენიება: არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980.).

როდესაც მოსე კათოლიკოსმა და მასთან ერთად სპარსეთისადმი დაქვემდებარებული სომხეთის ეპისკოპოსებმა არ აღიარეს ქალკედონის კრების (იგულისხმება 451 ქალკედონის IV მსოფლიო საეკლესიო კრება) გადაწყვეტილება, სომხეთი გაიყო ორად და კათოლიკოსად დაადგინეს ი. კ., რომელიც აღიარებდა ქრისტეს ორ ბუნებას. ასე გაგრძელდა თოთხმეტი წელი, ვიდრე იმპერატორ მავრიკიოსის (582-602) აღსრულებამდე (ა.ს., 89-90). როდესაც აჰმადმა (სპარსი) აიღო კარნუ-ქალაქი (611), მან შეიპყრო ბერძენთა ნაწილის კათოლიკოსი ი. კ., ხოლო მოსე კათოლიკოსმა იმავე წელს ი. კ-ის მორჩილი მღვდლები გააძევა სომხეთიდან, რომელთაგან ზოგი ტაოში წავიდა, ზოგიც საბერძნეთში (ა.ს., 90).

თ. ქორიძე

ისრაელი -- სომეხთა კათოლიკოსი 667-677. ი. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ი. კათოლიკოსისა და გრიგოლ ერისთავის (სომხეთის მთავარი 661-82) დროს მონოფიზიტობა მოედო მთელ სომხეთს (ა. ს., 93).

თ. ქორიძე

იპაჯაჯი – ლექთა მეფე (V ს. II ნახ.). ი. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ. ც. I, 1955).

ვახტანგ გორგასლის (ქართლის მეფე V ს. II ნახ.) ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გამართულ ბრძოლაში მოკლეს ლექთა მეფე ი. (ჯ. 173).

ე. კვაჭანტირაძე

პარი – ქ. ყარსის ძველი ქართული სახელწოდება. ქალაქი ჩრ. აღმ. თურქეთში. ყარსის ვილაიეთის აღმ. ცენტრი. X-XI ს.ს. სომხური სახელმწიფოს ყ-ის სამეფოს (963-1064) ცენტრი. საუკუნეების მანძილზე მისთვის იბრძოდნენ: საქართველო, ბიზანტია, თურქ-სულჩუკები, მონღოლები. 1065 ბიზანტია დაეუფლა; 1074 თურქ-სელჩუკებმა აიღეს; 1204-38 საქართველოს შემადგენლობაშია; XVI ს. ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა; XIX ს. მისთვის იბრძვის რუსეთი; 1921-დან ყ. თურქეთის შემადგენლობაშია. კ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის-დროინდელი მატიანე (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მესამე ტექსტი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); ეფრემ მცირე „უნწყებაჲ მი-

ზეზსა და ქართველთა მოქცევისასა“ (1950); ისტორიული საბუთები (ქრ. I, 2004, გ. დ. ი. ნ. ა. 1967); ყ-ის ციხის ქართული წარწერა (ვ. სილოგავა. მაცნე, 1. 1980); „მესხური მატიანე“ (1961); არსენ საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980). ყ. იხსენიება: სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ისტორიული საბუთები (ქრ. II, 1897, III. 1967; ქ. ს. დ. II, 1965).

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს (დაახ. V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე), როდესაც მცხეთაში (ქართლის სამეფოს დედაქალაქი) „სვეტი ცხოველზე“ ეკლესია აღუშენებია და „კ~ზი მას ზედა პატრიარქად განუწესებია“, ასევე მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებას (VII ს.) კონსტანტინე პოლონატის (ბიზ. იმპ. 668-85) დროს დაუმტკიცებია, ამდროიდან მოყოლებული მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შედის კ. (ეფრემ მცირე 45; ქრ. II., სიგელი მცხეთისა გაცემული დაახ. 1638 – იმეორებს ამ ინფორმაციას, 453). ამასვე ადასტურებს სულთნის (მურად III) მიერ დაახ. 1590 გაცემული სიგელი (გ. დ. ი. ნ. ა. დოკ. №221). აირარატი ყოველთვის სომხეთის უმნიშვნელოვანესი პროვინცია იყო, რომელშიც თითქმის ყველა დედაქალაქი მდებარეობდა. მათ შორის კ. (ა. ს. 133). მეფე გიორგიმ, (გიორგი II, საქართველოს მეფე 1072-89)

ღვთის წყალობით ბერძნებს (ბიზანტია) წაართვა ქალაქი კ. (მ. ქ. 317). [არის განსხვავებული ცნობა:] აღმოსავლეთის (ბიზანტია) მხედართმთავარმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ (ქართველი დიდებული), რომელიც ფლობდა კ-ს, ციხე-ქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გადასცა გიორგის. გიორგიმ იქ შავშელი აზნაურები ჩააყენა (დ. ი. 318). დიდი თურქობის დროს, თურქ-სელჩუკთა ამირა აჰმადმა, რომელიც სულთანმა მალიქმამ (მალიქ შაჰი, დიდ სელჩუკთა სახელმწიფო. მესამე სულთანი 1072-92) გამოაგზავნა, აიღო კ. (დ. ი. 318-19, ვ. ბ. 154). გიორგიმ (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) დიდებულთა მოთხოვნით ქვეყანაში მშვიდობა ჩამოაგდო, ლაშქარს კი მეზობელი ქვეყნების მორბევის ნება მისცა. მესხებმა და თორელებმა მოარბიეს კ. რომელიც სელჩუკებს ეკავათ. ქართველები დიდი ალაფით დაბრუნდნენ შინ (ი.-ა. 16; ვ. ბ. 169). მეფე თამარი (საქართველოს მეფე 1184-1107/10) დაქორწინდა (1185) გიორგი რუსზე (იური ბოგოლიუბსკი, ნოვგოროდის მთავარი 1172-75), მაშინ ქართველებმა იწინამდღვრეს გიორგი, ილაშქრეს ქვეყანასა კ-სა, მოარბიეს და მოვიდნენ გამარჯვებულნი (ი.-ა. 38; ვ. ბ. 143). დავით სოსლანმა (მეფე თამარის მეორე ქმარი 1187/89-დან) შვილის, გიორგი-ლაშას დაბადების აღსანიშნავად 1193 ილაშქრა კ-ზე (ლ. გ. მ. 369). [კ-ის აღება საქართველოს ჯარის მიერ და ქვეყნისთვის შემოერთება განსხვავებული თანამიმდევრობით არის გადმოცემული ქართულ წყაროებში]; ქალაქი კ. თურქ-

თა ხელში იმყოფებოდა. თამარმა გააგზავნა ჯარი და უბრძანა ალყა შემოეოცნათ ქალაქისათვის. როცა ეს თურქებმა შეიტყვეს, დატოვეს ქალაქი და გაიქცნენ. კ. იძულებული გახდა ქართველებს ჩაბარებოდა. მეფემ კ-ის მცველად ივანე ახალციხელი დააყენა და მონაპირეობა (საზღვრისპირა ოლქის გამგებელი) განუსაზღვრა. უბოძა ათაბაგობა და ამირათ-ამირობა. ეს რომ სელჩუკებმა შეიტყვეს, რუქნადინმა (რუქნ ად-დინ, წინა აზიის სელჩუკთა სახელმწიფოს რუმის სულთანი 1196-1204) შეყარა 400 000-იანი ლაშქარი და საქართველოსკენ გამოემართა. ბრძოლა მოხდა ბასიანთან (საქ. ისტ. ოლქი, ახლ. თურქეთი). ქართველებმა გაიმარჯვეს (ი.-ა. 92-93). რუქნადინის წინააღმდეგ მიმავალი ლაშქარი დავით სოსლანის სარდლობით, მიუახლოვდა რა ქალაქ კ-ს, ერთი დღის სავალზე, შეისვენა (ბ. ეზ. 134). რუქნადინთან ბრძოლაში ქართველებმა გაიმარჯვეს... მეფე თამარმა თავისი მეფობის ოცდამესამე ან მეოთხე წელს (1206/07) იკითხა ქალაქ კ-ის ამბავი. კ-ისთვის ხანგრძლივად იბრძოდნენ: სარგის თმოგველი, შალვა თორელი და მესხნი. მკაცრი ზამთრის გამო ვერ მიუდგნენ კ-ს, თუმცა მიმდებარე ტერიტორიები დაიკავეს. თამარმა დავით სოსლანი დიდძალი ჯარით კ-ზე სალაშქროდ გაუშვა. დავითს თან ახლდნენ ზაქარია (ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი) და ივანე (მსახურთუხუცესი) მხარგრძელები. თამარი თავად დადგა ჯავახეთს და იქ ელოდა. მრავალდღიანი ალყის შემდეგ ციხე-სიმაგრე კ-ს გამო-

ელის სასმელი წყალი და მეციხოვნეებმა დანებება გადაწყვიტეს, იმ პირობით, თუ მეფე თამარი მივიდოდა კ-ს, რადგან მხოლოდ მას ენდობოდნენ. მეფე თამარმა თანხმობა განაცხადა, მეციხოვნეებმა პირობისამებრ ციხის კლიტენი მეფეს ჩააბარეს, კარელებმა ითხოვეს, რომ კ. საქართველოს შემადგენლობაში შესულიყო. თამარმა კ. თავის ძეს – გიორგის (ლაშა-გიორგი, საქართველოს მეფე 1207/10-23) ჩააბარა (ბ. ეზ. 143-44). [ვ. ბ. კარის აღების ამბავს გადმოსცემს შემდეგი თანმიმდევრობით: ქართველებმა აიღეს კ. ხარკი დაადეს და იქ მცველად ივანე ახალციხელი დაადგინეს, შემდეგ ბასიანში გაიმარჯვეს, ხოლო ამის შემდეგ შემოიერთეს კ. – იმეორებს ბ. ეზ-ის მონათხრობს. ვ. ბ. 186-89]. როცა თამარის ჯარი 1205 კ-ს შემოადგა, გიორგი-ლაშა თორმეტი წლის იყო (ქრ. II. 234).* კ-ს ციხის კოშკის 1238 ქართული წარწერის მიხედვით – ამირა რავმალამ (იხ. სტ. რავმალა) რუსუდანის (საქართველოს მეფე 1223-45) მეფობის დროს ააშენა აღნიშნული კოშკი (მაცნე, 1. 161-71). მეფე დიმიტრისაგან (დემეტრე II, საქართველოს მეფე 1270-89) სადუნმა (სადუნ მანკაბერდელი-ათაბაგი და სპასალარი) მიიღო ქალაქი კ. რომელიც „საჯდომად“ გაიხადა (ყ. 273). ბექა (ბექა ჯაყელი, სამცხის მმართველი 1285-1306) „განდიდებული იყო“, ფლობდა მრავალ მიწებს, მათ შორის კ-ს (ყ. 304). ბექა ჯაყელს კ. და მისი მიმდებარე ტერიტორია ერთგული სამსახურისთვის გადასცა ყაზან-ყაენმა

(ირანის ილხანთა სახელმწ. მბრძანებელი 1295-1304), (ყ. 315). თემურ-ლენგმა (შუა აზიის მმართველი 1370-1405) აიღო კ., მოაოხრა და გამოიზამთრა (ბ. ე. 327). სულთანმა სოლეიმანმა (სოლეიმან I, ოსმალეთის სულთანი 1520-66) დაიკავა კ. 1556 (ვ. ბ.-ს მიხედვით), (1554), მოსპო ურჩნი, უკან დაბრუნდა და დადგა ბასიანს (მესამე ტ. 505; ვ. ბ. 717; ბ. ე. 44). ამის შემდეგ შაჰ-თამაზის (თაჰმასპი, ირანის შაჰი 1524-76) ძემ – ისმაილმა ილაშქრა კ-ზე, აიღო იგი და იქ, ვინც ოსმალთა დახვდა, ნაწილი დახოცა, ნაწილი გააქცია (ბ. ე. 367; ვ. ბ. 717). ოსმალეთის სულთანმა (სოლეიმან I) და შაჰ-თამაზმა ამიერკავკასია გაინაწილეს (ამასიის ზავი, 1555). სულთანს დარჩა „კ. საზღვრამდე აბოცისა და ერევნისა“ (ბ. ე. 371). ლალა ფაშამ (ლალა მუსტაფა ფაშა, ოსმალთა სარდალი) მეორედ აიღო კ. (1570-იანი, ბ. ე. 54, მესხური მატრიანე). შაჰ-აბასის (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) სიკვდილის შემდეგ კ-ის ბეგლარბეგს უნდოდა ირანის „აშლა“. ხორსო მირზამ (როსტომი, ქართლის მეფე 1632-58) გაამაგრა კ. და შაჰ-აბასის შვილი – „შასევი“ დასვა ყაენად (ბ. ე. 411). 1723 ოსმალთა სარასკარი მივიდა ყ-ში. მან ვახტანგს (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-1724) მისწერა წერილი და დაჰპირდა, რომ მამად-ყული ხანს [ირანმა კონსტანტინე II, იგივე, მაჰმად ყული-ხანი (კახეთის მეფე 1722-32) ვახტანგის ქართლის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, ქართლის მეფედ დასვა] ქართლიდან გააძევებდა და მას ქართლის ტახტს

დაუბრუნებდა (ო. ხ. 38). 1735 თამაზ-ხანი (შემდგომში ირანის შაჰი, ნადირ-შაჰი, 1736-47) მივიდა ყ-ის ქვეყანაში, შეებრძოლა ოსმალთა ჯარს, ნაწილი მოსპო, ნაწილი გააქცია. დარჩა მას თოფხანა და საქონელი მრავალი (ს. ჩ. 46). ყ-ს ქვეყანას მოვიდა ოსმალთა მოხელე, იქიდან 1744 ახალციხის ფაშას მეთაურობით საქართველოში გამოაგზავნა ლეკ-ოსმალთა ჯარი, გამოატანა დიდძალი ფული, რომელიც ირანის წინააღმდეგ, დაღესტანში ლეკთა დასაქირავებლად უნდა ჩაეტანათ. ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) თავს დაესხა, გაანადგურა და ალაფი წაართვა. ოსმალთა ჯარი ყ-ს გაბრუნდა (პ. ო. 71-73). ეს ამბავი ფრიად ეამა ნადირ-შაჰს და თეიმურაზ-ერეკლეს მდიდრული საჩუქრები გამოუგზავნა. თვითონ წავიდა ყ-ს. ეს რომ მეფე თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) გაიგო, შაჰს დაუხვდა აბოცს (ისტ. პროვინცია ქვემო ქართლში, ახლ. სომხეთი; ო. ხ. 45). ერეკლემ ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული სეფი მირზა (თვითმარქვია უფლისწული) დაიჭირა და ნადირ-შაჰს მიჰგვარა. შაჰმა ბრძანა, მისთვის თვალეზი დაეთხარათ და ძმასთან – ყ-ში გაეშვათ (პ. ო. 75). ზაალ ყაფლანისშვილი გაიქცა სეფი მირზასთან ყ-ს (როგორც ჩანს, ზ. ყ. მონაწილეობას იღებდა ირანის წინააღმდეგ აჯანყებაში, გივი ამილახვრის მხარეს), (ქ. ს. d. VIII, 351). ნადირ-შაჰი ყ-ის ციხეს ადგა და იყო ომი საშინელი. ყიზილ-ბაშები ოსმალებს კატებივით ხოცავდ-

ნენ (ირან-თურქეთის ომის 1743-46 პერიოდი), (პ. ო. 86). სულხან ორბელიანი ქართლ-კახეთის ჯარით წავიდა ყ-ის ქვეყანაზე, ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად (პ. ო. 114). ყაზახ-ბორჩა-ლუს ლეკებმა ააოხრეს ყ-ის ქვეყანა (პ. ო. 197). ლეკებმა ისევ დაარბიეს ყ. (პ. ო. 232). ელების ჯარს ყ-ის ქვეყანა დაერბია და მრავალი საქონელი წამოესხათ (პ. ო. 242). ყ-ის ფაშამ (ერეკლე II-ის მოხარკე იყო) საჩუქრები გამოუგზავნა ერეკლეს და თან შემოუთვალა: თქვენმა ელებმა ჩვენი ქვეყანა დაარბიეს და რადგან დაზავება გვსურს, სამართალი უნდა განაჩინოო (პ. ო. 243). ერეკლემ ყველაფერი ყ-ის ფაშას უკლებლივ დაუბრუნა (პ. ო. 243). 1789 მეფე ერეკლეს ბრძანებით მისმა შვილიშვილმა – დავით გიორგის ძემ 1000 კაცით ყ-ზე გაილაშქრა და ალაფი წამოიღო (თ. ბ. 62). ლეკი ხუდა ბორჩალოელი და ძმანი მისნი ახალციხესა და ყ-ს შიშის ზარს სცემდნენ (თ. ბ. 54). ერეკლე რუსეთის იმპ. ეკატერინე II-ისადმი მიწერილ არზაში ითხოვს: „მონყალებას, რათა ჩვენი სამკვიდრო მიწები არ დაგვეკარგოს: ახალციხე, ყ. და მისი ალაგები“ (ქ. ს. d. II 455, 1782-ის საბუთი). ქართლსა და ყ-ს შორის ისევ გაფუჭდა ურთიერთობა. მაშინ გიორგიმ (გიორგი XII – ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800) გააგზავნა თავისი ძენი, დავით და იოანე, მიუხდნენ ყ-ს, მოაოხრეს და ალაფით გამობრუნდნენ (თ. ბ. 66). 1807 გუდოვიჩმა (ივანე ვასილის ძე, რუსეთის არმიის გენერალ-ფელდმარშალი, 1806-დან კავკასიის ჯარების სარდალი) გე-

ნერალ-მაიორი ნესვეტევი 4000 კაცი თყ-ზე გააგზავნა. მას წინ უსუფ-ფაშა დაუხვდა და დაამარცხა. გუდოვიჩი მიემშველა. ყიზილბაშები გაფანტეს. უსუფ-ფაშა ყ-ში დაბრუნდა, გუდოვიჩი თბილისში (თ. ბ. 73). 1855 ნოემბრის თვეში რუსეთის მეფის ნაცვალმა მურავიოვმა ყ. აიღო, ცხრა ფაშა დაიჭირა და მრავალი ხალხი დახოცა (გაბრიელ მახარაძის „მატიანე“, ქრ. III. 646).

* სამეცნიერო ლიტ. ბასიანის ბრძოლა თარიღდება 1203, 1204, 1205. კ-ის ალება 1204, 1205, 1206/07.

ქ. ნადირაძე

ჰვირიკე – ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე I (1048-89). კ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

აღფ-არსლანმა (მუჰამედ იბნ დაუდ, სელჯუკთა სულთანი 1063-72) ბაგრატ IV-ს (საქართველოს მეფე 1027-72) დისწული სთხოვა ცოლად, რომელიც კ-ს ძმისწული იყო. ბაგრატმა მოციქულად გაუგზავნა კ-ს ვარაზ-ბაკურ გამრეკელი, მაგრამ უარი მიიღო. მას შინ გადმოიბირეს კ-ს მხლებლები და სამშვილდეში მიმავალი კ. და მისი ძმა სუმბატი შეიპყრეს, მიჰგვარეს ბაგრატს კლდეკარში. მოსთხოვა ბაგრატმა სამშვილდე, მაგრამ არ დაუთმეს, რადგან მათი ძმა ადარნასე იყო სამშვილდეში. ნაიყვანეს კ. სამშვილდეში და ძელზე გასვეს სამი დღე. ბაგრატმა ჩამოართვა მას სამშვილდე (მ.ქ. 307;

ვ.ბ. 149-150). 1068, 10 დეკემბერს, სამშაბათ დღეს ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ გამოილაშქრა აღფ-არსლანმა (სელჯუკთა სულთანი 1063-72). მას მიემხრნენ სომეხთა მეფე კ., თბილისის ამირა, აღსართანი (აღსართან I, კახეთ-ჰერეთის მეფე 1058-84) და შემოუძღვნენ საქართველოში (მ.ქ. 309). [ტაშირ-ძორაგეტის განმარტება იხ. სტ. სომხები (შენიშვნა)].

ე. კვაჭანტირაძე

კოგოვიტი – ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. X ს-ში შედგებოდა ორი სამთავროსაგან. კ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 175.).

თ. ქორიძე

კოლოფორი – ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. კ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

თ. ქორიძე

კომიტოსი (კომიტასი) – სომეხთა კათოლიკოსი VII ს-ის პირველ ნახევარში (ზეობის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება). სომხურ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ კ. საკათალიკოსო ტახტზე ავიდა არა უადრეს 615-16 წლისა. აღსანიშნავია, რომ „კომიტოს“ ფორმა მხოლოდ არსენ საფარელთან გვხვდება, სომხურში არის „კომიტას“. კ. იხსენიება: არსენ საფა-

რელი, „განყოფისთვის ქართველთა და სომეხთა“ (1980). კ. საკათალიკოსო ტახტზე დაჯდა აბრაჰამის (607-15) შემდეგ. იგი იყო მდიდარი, „მოხარკე სამოსელთა და საკედართა ზედა“, პატიოსანი ბივრიტის თვლებით ამკობდა კვერთხის თავს, მან ყველაზე მეტად გაამწვავა კამათი ქალკედონის კრების დასაგმობად. კ-მა დაიქვემდებარა ჰერეთის კათოლიკოსი, რომელსაც მისცა შვიდი საეპისკოპოსო. მან შეაჩვენა ქალკედონის კრება; სივნიეთის ეპისკოპოსს „მისცა ჯუარი... რაითა ვიდოდის ჯუართა წინაშე მისსა, ვითარცა კათალიკოზი“, გაუდიდა სამწყსო და გაუფართოვა საზღვრები, ისევე, როგორც სხვა ეპისკოპოსებს და ასე შეიერთა მთელი სომხეთი, რათა დაპირისპირებოდა ქალკედონის კრებას.

კ-მა იოჰანე მაიორგომელი (იხ. სტ. იოანე მაირაგომელი) მოამარაგა (აღჭურვა) წმიდა ქალკედონის კრების სანინალმდეგო წიგნებით და მას აღუთქვა თავის საკათალიკოსო ტახტი, შემდგომ მასვე ათარგმნინა მწვალებელ ტიმოთე ალექსანდრიელის, პეტრე მკანგრელის, სევეროსისა და სხვა მწვალებელთა წიგნები და მიანერა („სახელად დანერნა“) მართლმადიდებელი მოძღვრების წმიდა საჰაკისა და მოსეს სახელები. ამ ტყუილით დააჯერა მთელი სომხეთი. მან პირველად დაწერილი კანონები და წესები შეცვალა, „თუთ დაუსხნა მრუდნი“, რის გამოც „აიშალა ძუელი და ვერ დაამტკიცეს ახალი“. ეს ყოველივე მან გააკეთა იოანე მაიორგომელის ხელით. ასეთი მზაკვრული ქმედებით კ. განდიდდა და

დაეუფლა წმიდა გრიგოლის სამწყსოს („ეუფლა ნაწილსა ზედა წმიდისა გრიგოლისსა“) და მაიორგომელის მომაკვდინებელი ცრუ მოძღვრებით აღავსო სომეხთა ქვეყანა (ა.ს., 82-83).

თ. ქორიძე

კოსარო – ქართული წყაროს სომეხთა მეფე ხოსრო II (217-38). კ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

კ. ქართლის მეფის – ასფაგურის* დახმარებით ებრძოდა სპარსთა მეფეს – ქასრე სასანიანს (არდაშირ I, 226-41). ასფაგურმა გახსნა დარიალის კარი, გამოატარა ოსები, ლეკები და ხაზარები** კ-ს დასახმარებლად. ქართველ-სომეხთა ლაშქარმა ქასრე სასტიკად დაამარცხა. ბრძოლაში დამარცხებულმა ქასრემ დიდებულთა გადაბირება გადაწყვიტა, სამაგიეროდ, პრივილეგიებს დაჰპირდა. ერთი დიდებული მთავარი ანაკი, კოსაროს ნათესავი, მიემხრო მას და მეფის მოკვლა გადაწყვიტა. ანაკი და მისი ძმა კოსაროს საზამთრო რეზიდენციაში, ხილახილაში ეახლნენ. მეფემ ისინი დიდი პატივით მიიღო. ნადიმობისას, ძმებმა, მეფე მახვილით მოკლეს და გაიქცნენ, თუმცა მათ მდევარი დაენია და დახოცა (ლ.მ. 59-60; ვ.ბ. 69-70).

* რადგან ასფაგურის მეფობას მეცნიერები III საუკუნის მეორე ნახევრით (ნ. შოშიაშვილი, მ. სანაძე) ან III-IV საუკუნეთა მიჯნით (გ. მელიქიშვილი) ათარილებენ, ფიქრობენ, რომ მეფე ასფა-

გურის ხსენება, აქ ანაქრონიზმია (ნ. შოშიაშვილი, მ. სანაძე).

** ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წყაროებში ანაქრონიზმია (იხ. სტ. ხაზარები).

ქ. ნადირაძე

კოხტა – ლეკთა ბელადი (XVIII ს. მე-2 ნახ.) კ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

1759 კ. და ლეკთა ბელადი ჩონჩოლ-მუსა შემოესივნენ ქართლს 8000-იანი ლეკთა ჯარით. ორად გაიყვნენ. ჩონჩოლ-მუსა მიადგა აჩაბეთს (ციხე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე), ხოლო კ. ატოცის ციხეს (მდ. ფრონის მარცხენა ნაპირზე) შემოეწყო. თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62), ერეკლემ, (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) და იმერეთის მეფე სოლომონმა (სოლომონ I, 1752-84) ერთობლივად შეუტიეს ატოცში მისულ კ.-ს. სასტიკად დაარბიეს და გააქციეს (ო. ხ. 57-58, თ. ბ. 50-51). 1770 ერეკლემ და გრაფმა ტოტლებენმა (რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი) გადაწყვიტეს თურქების (1768-74, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდი) წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყოს და ახალციხეზე გაელაშქრათ (ამ დროისათვის დაპყრობილი ჰქონდათ თურქებს). ამ მიზნით 17 აპრილს, ქართველთა და რუსთა გაერთიანებული ლაშქარი ანყურის ციხეს (მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბორჯომის ხე-

ბაში) მიადგა. ტოტლებენის დაუდევრობის გამო თურქებმა მოახერხეს ციხეში დამატებითი ოსმალ-ლეკთა ლაშქარი შეეყვანათ, ლეკთა ლაშქარს მეთაურობდა იმ დროისათვის მთელს დაღესტანში გამოჩენილი და გავლენიანი კ. ბელადი. ანყურთან ბრძოლის დროს ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ერეკლე. ამის შემსწრე მტრის ლაშქარი უფრო გათამამდა და სამი საათის განმავლობაში გაგრძელდა დაუნდობელი ბრძოლა. ერეკლე მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა და ასპინძისაკენ (დაბა სამცხეში – სამხ. დას. საქართველო) დაიძრა. ასპინძასთან (1770) მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა – ლეკები კ. ბელადის მეთაურობით დიდძალი ჯარით უტევდნენ ქართველებს. ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ერეკლემ თავად მოკლა ამ ბრძოლაში „დაღისტნის წარჩინებული და მხნე ბელადი კოხტა“ (ო. ხ. 60-62; თ. ბ. 54).

ქ. ნადირაძე

ლეკანი – ლეკების მამამთავარი. ლ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962).

ლ. იყო ბიბლიური თარგამოსის (კავკასიელ ხალხთა ეთნარქი) მეხუთე ვაჟი (ლ.მ. 4; ნ.დ. 67) თარგამოსმა მისცა ლ-ს ტერიტორია დარუბანდის

ზღვიდან (კასპიის ზღვა) მდ. ლომეკამდე (მდ. თერგი). მისი საზღვრები იყო აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, სამხრეთით და დასავლეთით – კავკასიის მთა, ჩრდილოეთით – დიდი ხაზარეთის მდინარე (ლ.მ. 5; ვ.ბ. 49; ნ.დ. 67-68). ხაზართა* მეფემ თავის ბიძაშვილს მისცა ლ-ის წილხვდომილი ქვეყანა (ლ.მ. 12; ვ.ბ. 632).

* ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილო კავკასიაში ახ.წ. VII ს-ის შუახანებში შექმნეს.

ე. კვაჭანტირაძე

ლეკები – ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები დაღესტნელი ტომების ქართული სახელწოდება. არსებობს ამ ხალხის ორი ჯგუფი: ლუმუქ-ლეკები და კიურ-ლეკები. ლ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); „ძეგლი ერისთავთა“ (1954); ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება მეორე ტექსტი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); სეხნია ჩხეიძე „მეფეთა ცხოვრება“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962); ისტო-

რიული დოკუმენტები (ქ.ს.დ. II, 1965; მც.ქრ. 1968).

აზომ (ძვ. ქართული წყაროებით საქართველოს პირველი მეფე, ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა) მოხარკედ გაიხადა ლ. (ლ.მ. 19). ფარნავაზმა (ქართლის პირველი მეფე ძვ.წ. IV-III სს. I ნახ.) შეიერთა და მოელაპარაკა ლ-ს (ლ.მ. 23; ვ.ბ. 56). აზორკმა და არმაზელმა (ქართლის მეფეები ძვ.წ. II-I სს. მიჯნა) სომეხთა წინააღმდეგ ბრძოლაში მიიწვიეს ლ. მივიდა ლ-თა მეფე და მიიყვანა დურძუკები (დურძუკეთის მკვიდრნი – ისტ. მხარე ჩრდ. კავკასიაში, თანამ. ჩეჩნეთი და ინგუშეთი) და დიდოელები (დიდოეთის მკვიდრნი – ისტ. მხარე ჩრდ. კავკასიაში, გამოეყო საქართველოს XVIII ს-ის II ნახ-ში, ამჟამად დაღესტნის ტერიტორიაზე) (ლ.მ. 45; ვ.ბ. 64). სუმბატ ბივრიტიანმა (სომეხთა სპასპეტი ძვ.წ. II ს.) სძლია ლ-ს, განდევნა და დახოცა (ლ.მ. 47). ასფაგური (ქართლის მეფე III ს-ის დასასრ. და IV ს-ის დასაწყ.) ეხმარება სომეხთა მეფეს კოსაროს (სომხური წყაროების ხოსრო ან ხოსროვი) სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლ-თა ჯარით (ლ.მ. 59; ვ.ბ. 70). მირიანს (ქართლის მეფე IV ს. I ნახ. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფე) განუდგნენ ლ. და ხაზარების* მხარე დაიჭირეს (ლ.მ. 66). სომეხებმა ვარაზ-ბაქარს (ქართლის მეფე IV ს. 70-80) სთხოვეს ლ. გამოეყვანა სპარსელების წინააღმდეგ (ლ.მ. 136; ვ.ბ. 96). დავით აღმაშენებელმა (საქართველოს მეფე 1089-1125) ამონყვიტა დარუბანდელი (ქ. დარუბანდი-კასპიის ზღვის სანაპიროზე, თანამ. ქ. დერბენთი) ლ. (დ.ი.

344; ვ.ბ. 161-62). პიმენ სალოსმა მოაქცია ლ. ქრისტეს რჯულზე (ვ.ბ. 233). თემურ-ლენგის (შუაზიელი მხედართმთავარი 1336-1405) შაქზე ლაშქრობისას ლ. მას მიემხრნენ (მეორე ტ. 454), შემდეგ თემურ-ლენგის ლაშქარმა დაარბია ლ. (ძ.ე. 359; ვ.ბ. 265). ლევანს (კახეთის მეფე 1518-74) არ ემორჩილებოდნენ ლ. მან დაიმორჩილა ისინი, მიიყვანა ფიფინეთში და ყინულს აზიდინებდა კავკასიონიდან (ვ.ბ. 575; ნ.დ. 140). შაჰ-თამაზი (თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76) შაქს მიადგა. შაქელების ნაწილი დახმარების სათხოვნელად ლ-თან წავიდა, ნაწილი ლევანთან (ფ.გ. 29). შაჰ-აბასი (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) მოელაპარაკა ლ-ს კახეთის წინააღმდეგ (ბ.ე. 401; ვ.ბ. 588). თეიმურაზმა (თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-48, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32) დაარბია ლ., ამიტომ ისინი მტრობდნენ კახელებს. ლ. მიემხრნენ დიდოელებს თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაამარცხეს და გააქციეს ის (ბ.ე. 421; ვ.ბ. 596). ალექსანდრე (ალექსანდრე III, იმერეთის მეფე 1639-60) ებრძოდა ლევან დადიანს ლ-ის დახმარებით (ვ.ბ. 890). ნაზარალი-ხანის მეფობაში (ერეკლე I, ქართლის მეფე 1688-1703) ლ. ხშირად ლაშქრობდნენ კახეთში (ბ.ე. 441). ვახტანგის მეფობის დროს (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24) ლ-მა ააოხრეს საციციანო (სათავადო, თავად ციციშვილების სამფლობელო XIV ს. II ნახევრიდან) თრიალეთი (ისტ. პროვინცია ქვემო ქართლში, თანამ. წალკა), ჯავახეთი (ისტ. პროვინცია სამხრეთ საქართველოში, თანამ. ას-

პინძა, ახალქალაქი) საბარათიანო (სათავადო, თავად ბარათაშვილების სამფლობელო XV-XIX სს-ში), დმანისი (სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრი), სურამი (დაბა ქართლში), გორი (ერთ-ერთი უძველესი ქალაქი შიდა ქართლში) (ს.ჩ. 40-41). ვახტანგ VI-ის ასული თამარი ლ-გან გამოქცეული ანანურში (სოფ. მდ. არაგვის ხეობაში, XVIII ს-ში ქალაქი იყო) მივიდა. მეფე გამართა მის სამველად და გააქცია ლ. (ვ.ბ. 505-06; ს.ჩ. 32-33). ბაქარის მეფობაში (ქართლის მეფე 1717-19) ლ. დაეცნენ ბოლნისს (დაბა სამხრეთ საქართველოში). მათ წინააღმდეგ ბაქარმა ბიძამისი სვიმონი გაგზავნა სამასი მხედრით. ლ-მა დაამარცხეს ის (ვ.ბ. 496). ბაქარი შეებრძოლა ავლაბრიდან (ერთ-ერთი უძველესი უბანი თბილისში) გამოსულ ლ-ს და დაამარცხა (ვ.ბ. 501). იმამ-ყული ხანის მეფობაში (დავით II, კახეთის მეფე 1709-22) ლ. დაესხნენ კახეთს და გააღიქვეს (ს.ჩ. 32-33; ნ.დ. 142; ქ.ს.დ. 230). იმამ-ყული ხანის გარდაცვალების შემდეგ ლ-მა დაარბიეს თიანეთი (დაბა ისტ. კახეთში, X—XI სს-ში კახეთის სამთავროს ცენტრი) (ვ.ბ. 618). ლ-მა ააოხრეს დავით გარეჯის მონასტერი (სამონასტრო კომპლექსი კახეთის ტერიტორიაზე, დაარსდა VI ს-ის II ნახ.-ში) (ქ.ს.დ. 232). მაჰმად-ყული ხანმა (კონსტანტინე II, კახეთის მეფე 1722-32) ლ-ის დაქირავებული ჯარით აიღო თბილისი (ვ.ბ. 503-04). მაჰმად-ყული ხანმა ყაზახის (ისტ. მხარე ქვემო ქართლში) ასაღებად გაგზავნა კახელები და ლ. გააყოლა (ვ.ბ.

620-22). მის დროს ლ-მა დაარბიეს კახეთი (ვ.ბ. 622; ს.რ. 30). ალექსანდრემ (ალექსანდრე V, იმერეთის მეფე 1720-41, 1741-46, 1749-52) ლ-ის ჯარი შეუსია თავის მონინალმდეგეს ოტია დადიანს (პ.ო. 47; ნ.დ. 176). ლ-ის ჯარმა მალაჩის სარდლობით ააოხრა ქართლი, დაარბია სურამი (პ.ო. 72,74,76,79; ო.ხ. 44-45). 1734 ოსმალებმა ააოხრეს საბარათიანო, ლ-ის დახმარებით (ო.ხ. 39). ქაიხოსრო ყაფლანიშვილი ებრძოდა ლ-ს, რომლებიც ავჭალის ციხეში (თბილისის გარეუბანი, აქ 1734 აშენდა ციხე და კოშკები ლეკებისაგან თავდასაცავად) შეხიზნულიყვნენ (ს.რ. 46). ლ. თავს დაესხნენ გივი ციციშვილის მამულს (პ.ო. 239). შემახიელებმა ლ-ის დახმარებით მოიყვანეს მმართველად შაჰსულთან უსეინი. ამის გამგონე ნადირ-შაჰმა (ირანის შაჰი 1736-47) გაგზავნა თავისი ძე დიდი ჯარით. მას შეხვდნენ ლ.მდე. მტკვართან. ლ. დამარცხდნენ (ვ.ბ. 631). ლ. აოხრებდნენ კახეთს ქიზიყის მოურავის რევაზ ამილახვარის დროს. მათ მოკლეს რევაზის შვილი ერასტი (ვ.ბ. 511; ს.რ. 41-42). ლ-მა მოკლეს ზაზა ავალიშვილი, რევაზ ყაფლანიშვილი, ელისენის მოურავი მერაბი (ვ.ბ. 615). ოსმალთა სარდალი უსუფ-ფაშა ებრძოდა ლ-ს მუხრანში (ისტ. რეგიონი ქართლში, XVI ს-დან ქართლის ბაგრატიონთა სათავადო), ნადარბაზევეში (სოფ. ქართლში, ქართველ მეფეთა საზაფხულო რეზიდენცია), ნიჩბისთან (სოფ. ქართლში, მცხეთის მახლობლად) (ვ.ბ. 511-12). შანშე ქსნის ერისთავი ლ-ის დახმარებით აოხრებდა ქართლს (ვ.ბ. 516-17; პ.ო.

43-44). გივი ამილახვარი (ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი 1689-1754) იბრძოდა ლ-ის წინააღმდეგ (ს.რ. 42-43). ის აოხრებდა ქართლს ლ-ის დახმარებით (ვ.ბ. 520; პ.ო. 60-61, 65-68). გივი ამილახვარი და ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) ერთმანეთთან დაპირისპირებისას იყენებენ ლ-ის ჯარს (ო.ხ. 43). 1735 პირველად, 15 წლის ასაკში ერეკლე II-მ უსარდლა ლ-ის წინააღმდეგ ბრძოლას და გაიმარჯვა (ო.ხ. 40). ახალციხის ფაშა უსუფ-ფაშა ქართლზე სალამქროდ იყენებდა ლ-ს (პ.ო. 77-80; ო.ხ. 45). აბდულა ბეგი (არჩილი, ქართლის მეფის ალიყული-ხანის (1714-16) ძე, სამეფო ტახტის პრეტენდენტი) ერეკლე II-ის წინააღმდეგ იყენებდა ლ-ის რაზმებს (ო.ხ. 47). თეიმურაზის (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) დროს ლ-მა დაარბიეს ავჭალა და მარტყოფი (სოფ. ისტ. კახეთის ტერიტორიაზე, კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია). მეფემ გამოიყვანა კახთა ჯარი, დაენია ლ-ს დანღისში (ადგილი მდინარეების იორისა და ალაზნის შესაყართან) და დაამარცხა (თ.ბ. 46-47). აჯი-ჩალაბის (შაქის პირველი ხანი, 1743-55) ვაჟი ალა-ქიში წავიდა ქართლის წინააღმდეგ ლ-ის ჯარით (თ.ბ. 49; პ.ო. 200-01; ო.ხ. 54). 1754 ომარ ხანი (ხუნძახის მმართველი XVIII ს. შუა წწ.) მჭადიჯვარს (სოფ. ქართლში, თანამ. დუშეთის რეგიონი) მიადგა ლ-ის ჯარით. თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის ლაშქარმა დაამარცხა ის და მრავალი ლ. დაუხოცა.** (თ.ბ. 49; პ.ო. 216-17; ო.ხ. 55-56).

ომარ-ხანმა ქართლ-კახეთი დალაშქრა ლ-ის ჯარით (ო.ხ. 72-73; თ.ბ. 67). ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი ლ-ის ჯარით დაეცა ბოდბეს (სოფ. კახეთში) (თ.ბ. 55). თეიმურაზ II-ის და ერეკლე II-ის მეფობაში ლ. გამუდმებით ლაშქრობდნენ ქართლ-კახეთში (მოარბიეს რუისპირი, მოკლეს მუხრანის ბატონი კონსტანტინე, დაარბიეს ჯუგაანი, ტეზერი, ახმეტა, ბორჩალო, თუშეთი, ახალციხე, რუსთავი, საგურამო, ნორიო, ცხინვალი, ქარელი (გეოგრ. პუნქტები ქართლსა და კახეთში), მაგრამ თითქმის ყოველთვის დამარცხებულნი რჩებოდნენ (თ.ბ. 50-53, 57, 59, 61, 62, 65-66, 68; პ.ო. 74-81, 97-101, 107-112, 115-18, 126-130, 182, 188-89, 209-10, 234-35, 240-41,; ო.ხ. 57, 59-60, 67-68). 1757 წ. აგვისტოში ლ-ის ლაშქარი შეესია იმერეთს (დას. საქართველოს ისტ. გეოგრ. მხარე) (მც. ქრ. 75). 1759 ლ-ის ჯარი კოხტა ბელადისა და ჩონჩოლმუსას მეთაურობით შეესია საქართველოს, მაგრამ დამარცხდნენ (თ.ბ. 51; ო.ხ. 57). სოლომონ I-მა (იმერეთის მეფე 1752-84) ლ-ის ჯარის დახმარებით დაამარცხა როსტომ რაჭის ერისთავი (თ.ბ. 55). 1768 წ. ქაიხოსრო აბაშიძემ (იმერეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სოლომონ I-ის ბიძა) ორჯერ ილაშქრა იმერეთში ლ-ის ჯარით სოლომონ I-ის წინააღმდეგ (ბ.ბ. 55). სოლომონ II (იმერეთის მეფე 1789-1810) გაიპარა თბილისიდან, ჩავიდა ახალციხეში (ქალაქი სამხრეთ საქართველოში), დაიქირავა ლ-თა ჯარი და წავიდა იმერეთისკენ (ნ.დ. 201-02). ერეკლე II ერევანზე ლაშქრობებში იყენებდა ლ-ს (ო.ხ. 69). ერეკლე II-ის რძალს ქეთევანს

ლართის-კართან დაესხა ხუთასამდე ლ. ქეთევანის სამასმა მხლებელმა დაამარცხა ისინი (თ. ბ. 56-57). 1770 წ. ერეკლე II და ტოტლებენი (რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი, 1715-73) ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდნენ. ოსმალთა მხარეზე იყვნენ ლ. (ო.ხ. 60-62). 1812 წ. ერეკლე II-ის ვაჟმა ალექსანდრემ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენა ლ-თა 8 ათასიანი ჯარი (ბ.ბ. 130-31), შემდეგ მივიდა ალექსანდრეს დასახმარებლად ალი სკანტი სამი ათასი ლ-ით (თ.ბ. 85). გენერალმა ერმოლოვმა (ალექსი ერმოლოვი, 1777-1861, რუსეთის არმიის გენერალი, კავკასიის კორპუსის მეთაური) გადაწვა ლ-ის რამდენიმე სოფელი. ლ. შეებრძოლნენ და დაამარცხეს რუსები (თ. ბ. 88).

*ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუახანებში შექმნეს.

**თეიმურაზ ბატონიშვილი მჭადიჯვართან ბრძოლაში ქართველთა მოწინააღმდეგედ არასწორად ასახელებს ნურსალ-ბეგს.

ე. კვაჭანტირაძე

ლაკეთი – ისტორიული ქვეყანა ჩრდილოეთ კავკასიაში. ლ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); „ძეგლი ერისთავთა“ (1954); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ლ-ში ვერ შევიდა სპარსთა მეფე ქეკაპოსი, რადგან ერთმა გრძნეულმა დააბრმავა ის და მისი ჯარი (ლ.მ. 14; ვ.ბ. 52). ხაზართა ხაკანის სპასალარი ბლუ-

ჩანი ლ-ის გზით შევიდა კახეთში (მ.ქ. 249; ვ.ბ. 127). თემურ-ლენგის (შუააზიელი მხედართმთავარი 1336-1405) ლაშქარი შევიდა ლ-ში და დაარბია (ძ.ე. 265).

ე. კვაჭანტირაძე

ლეონტი – „წინამძღუარი სომხეთისა“. V ს-ის მოღვაწე ლ. იხსენიება: არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

საჰაკმა და მაშტოცმა თავის ყველა მონაფესთან ერთად, რომელთა შორისაც იყვნენ „წინამძღუარნი სომხითისა“, ნეტარნი ლ. და იოსები, თარგმნეს პირველი ქრისტიანული წიგნები (ა.ს. 86).

თ. ქორიძე

მალაჩი – ლეკთა ბელადი (XVIII ს. I ნახ.) მ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989).

მ. ირანელთა წინააღმდეგ აჯანყებული (1742-45) გივი ამილახვრის (ზემო ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი) მხარეს იბრძოდა. ამილახვარმა მ-ს ააოხრებინა ბოლნისი (დაბა ქვემო ქართლში), სოფ. დმანისი, საბარათიანო (სათავადო ქვემო ქართლში). ლეკებმა აიღეს წვერის ციხეც (შიდა ქართლი). დიდძალი ქონება წაიღეს და ტყვეები წაასხეს (პ. ო. 66). ყარსში მივიდა ოსმალთა დიდმოხელე, მან ფაშას გამოატანა დიდძალი ხაზინა, გამოიყოლა ლეკთა ბელადი მ., რომელიც იმჟამად ახალციხის ფაშასთან

იმყოფებოდა. ხაზინა უნდა მოხმარებოდა ნადირ შაჰის (ირანის შაჰი 1736-47) წინააღმდეგ აჯანყებული (თვითმარქვია) უფლისწულის გამარჯვებას. ლეკ-ოსმალთა ჯარი ქართლში შემოვიდა, ჩაიარეს ორბელიანთა (ქართლის დიდი თავადები) მამულზე, გავიდნენ მდ. მტკვარს, მივიდნენ მდ. ალაზნის პირას, სადაც დახვდნენ ლეკები, რომელთაც ხაზინა გადააბარეს (პ. ო. 71). ბატონიშვილმა ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) შეიპყრო ნადირ-შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული უფლისწული და შაჰთან წაიყვანა. ამით ისარგებლა მ. ბელადმა, მალულად შემოვიდა, ააოხრა და გაძარცვა ორბელიანთა მამული (პ. ო. 74). ოსმალეთის დიდმოხელემ, 1744 ახალციხის ფაშას ქართლის დაკავება უბრძანა და ლეკთა ჯარის დაქირავება დაავალა. ამისათვის ოსმალეთიდან დიდძალი ხაზინა გამოაგზავნეს... ოსმალები მივიდნენ რუისში (სოფ. შიდა ქართლის ვაკეზე). აქ ფაშამ 1000(2000) კაცი აირჩია, მათ უთავა მ. ბელადი, „გაატანა ხაზინა ურიცხვი“ დალესტანში ჩასატანად. როდესაც ეს ამბავი საგურამოში მდგარმა ბატონიშვილმა ერეკლემ შეიტყო, ყიზილბაშები მოიხმარა, მდ. არაგვის პირას თავს დაესხა ლეკ-ოსმალთა ჯარს და გაანადგურა (პ. ო. 79; ო. ხ. 44-45). ამ ბრძოლაში ერეკლემ მოკლა მ., იმ დროის ყველაზე წარჩინებული დალესტნელი ბელადი, რომელსაც მთელი დალესტანი ემორჩილებოდა (ო. ხ. 45).

ქ. ნადირაძე

მამაღ-ხანი – კაკის სულთანი (XVIII ს-ის შუა ხანები) მ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

მ.ხ. ჭარელ ქედხუდებთან ერთად (1750) თბილისში ჩამოვიდა, თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) შერიგება სთხოვა და მორჩილება აღუთქვა (პ.ო. 174). აზატ-ხანმა (სამხრ. აზერბაიჯანის მფლობელი, 1747-62) ერეკლის ასაღებად გააგზავნა ჯარი მ.ხ-ის სარდლობით (პ.ო. 183). მ.ხ-მა ერევანში ჩასულ ერეკლესთან პირისპირ შებმა ვერ გაბედა და მარბიელ ლაშქრობებს აწყობდა. ერეკლემ იქაურობა მოაოხრა და მ.ხ-ის მომხრეებიც დაატყვევა (პ.ო. 185).

გ. ოთხმეზური

მამაღ-ხანი - ლორეს სულთანი (XVIII ს. შუა ხანები). მ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

შაჰის (ნადირ-შაჰი, ირანის შაჰი 1736-47) ბრძანებით (1744) დმანისში (სოფ. ქართლში) ჩასულ თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) თან ახლდნენ აბდულა ბეგი (ქართლის მეფის იესეს ძე. იესე მეფობდა 1714-16, 1723-27), მ.ხ. და ქართველები (პ.ო. 89). მ.ხ. ნადირ-შაჰის ბრძანებით (1745) ბამბაკში (მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში) იდგა. ურუმთა (თურქები) და ლეკთა ლორე ააოხრეს. მ.ხ.

დაედევნა მათ, ტაშირზე (მხარე შუა საუკუნეების აღმ. საქართველოში, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი) დაენია, ბევრი დახოცა და ბევრიც ტყვედ ჩაიგდო. დახოცილთა თავები და ტყვეები თეიმურაზს მიართვა. თეიმურაზმა ეს ნადირ-შაჰს აცნობა. მ.ხ-მა შაჰისგან წყალობა მიიღო. იმავე წელს, არფაჩაის (მდ. სომხეთსა და აზერბაიჯანში, არაქსის მარცხენა შენაკადი) ბრძოლის წინ, მ.ხ-მა ლეკის ჯარით ყაზახი გაიარა და ყარსს მიადგა (პ.ო. 98-99). სამშვილდეში მყოფმა მ.ხ-მა (1747) ადილ-შაჰისაგან (ირანის შაჰი 1747-48) განჯის ხანობის რაყამი მიიღო, ჩავიდა განჯას, მაგრამ ამირ-ასლან-ხან სპასალარმა არ დაანება (პ.ო. 134).

გ. ოთხმეზური

მამაღ-ხანი – ერეკლის ხანი (ქართული წყაროს მამაღ-ხანი, ვფიქრობთ უნდა იყოს მეხდი ყული-ხანი, 1804-06). მ. ხ. იხსენიება: ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941).

1805 ციციანოვმა (რუსი გენერალი პავლე ციციანოვი, საქართველოს მთავარმართებელი 1802-1806) მ.ხ-ს შეუთვალა ერეკლის ციხე გადაეცა, რათა იქ რუსის ჯარი ჩამდგარიყო. მ.ხ-მა დახმარება ბაბა-ხანს (ირანის შაჰი 1797-1834, ტახტზე იჯდა ფათჰალი-ხანის სახელით) სთხოვა. შაჰმა ხანს 100 000 ჯარისკაცი გამოუგზავნა. მიუხედავად დიდი ბრძოლისა ერევანი რუსებმა ვერ აიღეს (ბ.ბ. 89).

ქ. ნადირაძე

მანუჩი – ანისის მფლობელი XI ს-ის 60-იან წლებში. მ. იხსენიება; „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. 1, 1955).

ალფ-არსლანმა (მუჰამედ იბნ დაუდ, სელჯუკთა სულთანი 1063-72) ბიზანტიელებს წაართვა ანისი და გადასცა მ-ს, აბულასვარის ძეს (მ.ქ. 307).

ე. კვაჭანტირაძე

მარიამი – საქართველოს მეფეების: გიორგი I-ის (1014-27) მეუღლე და ბაგრატ IV-ის (1027-72) დედა. ვასპურაკანის (სომხეთი) მეფის, სენაქერემ II არნრუნის ასული. მ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ. ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); გიორგი მცირე „ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., II, 1967); კუმურდოს ეკლესიის შტოსი (მინაშენის) საამშენებლო წარწერა (ვ. სილოგავა, კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა, 1994); ათონის მონასტრის ალაპი (ე. მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, 1998). ვ. ბ. მ-ს მოიხსენიებს ელენედ.

ბაგრატმა (1031) ბიზანტიაში დიდი ელჩობა გააგზავნა, მ. დედოფლის წინამძღოლობით. დედოფალი შეიმოსა მხნეობით და წავიდა კონსტანტინოპოლში იმპ. რომანოზთან (1028-34) მშვიდობისა და ერთობის ჩამოსაგდებად, თავისი ვაჟისათვის კურაპალატობის პატივის მოსაპოვებლად და მისთვის შესაფერისი ცოლის მოსაყვანად (ს. დ. 386; მ. ქ. 294). კეისარმა აღუსრულა

მარიამს თხოვნა, მისცა თავისი ასული ელენე ბაგრატიონის ცოლად, ოქროს ხატი და საუნჯე მრავალი მზითვად. მ-ს ბაგრატი ტაოში დახვდა. დედამ შვილს კურაპალატობის ტიტული „მიართვა“. ბაგრატი ელენეზე დაქორწინდა ბანას (მ.ქ. 295; ვ. ბ. 144). ანელებმა ქალაქი ანისი მ-ს სამართავად გადასცეს (მ. ქ. 299). საქართველო – ბიზანტიას შორის გართულებული მდგომარეობის გამო ბაგრატი დედასთან ერთად ისევ გაემგზავრა კონსტანტინოპოლში (1054), კონსტანტინე მონომახთან (1034-68) მოსალაპარაკებლად. მ. და ბაგრატი იქ შეხვდნენ გიორგი მთაწმინდელს, (ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე იერუსალიმის ათონის ივერთა მონასტერში) რამაც მათ დიდი სიხარული მოჰგვარა. მ. დაემონაფა გიორგის და იკურთხა მის მიერ „სქემით“ (მონოზნად). მ-ს ანტიოქიაში გამგზავრების სურვილი ჰქონდა, მაგრამ გიორგი მთაწმინდელის რჩევით გადაიფიქრა. მ-მა გიორგის დიდძალი ქონება გაატანა იერუსალიმში გლახაკთა და დავრდომილთა გასაკითხავად (გიორგი მცირე, 101-107). მ. დედოფლისა და ბაგრატ IV-ის მეოხებით კონსტანტინე მონომახმა ათონის ქართველთა მონასტერს ყოველწლიური საბოძვარი გაუჩინა და გაათავისუფლა გადასახადისაგან („დიმოსი“). ამ დამსახურებისათვის მონასტრის კრებულმა მ. დედოფალს თხუთმეტ აგვისტოს ალაპი დაუწერა (საალაპე წიგნი, №100, 161). მ. შვილთან ერთად იხსენიება კუმურდოს მინაშენის საამშენებლო წარწერაში: „ადიდენ ღმერთმან ბაგრატ მე-

ფე და დედა მათი მარიამ დედოფალი; აღეშენა შტო ესე მეფობისა მათსა, მღვდელთმოდღურობასა ზოსიმე კუმურდოელისასა“ (კუმურდო – ტაძრის ეპიგრაფიკა, №17, 59-61). სამშვილდის ტბაზე მდგომ ბაგრატს მუცლის სალმობა შეეყარა. მან ოჯახის წევრებს უხმო და დედას უკანასკნელად მიმართა: „დედაო, მენყალი შენ...“ (ს. დ. 314).

ქ. ნადირაძე

მამბაღ-ხანი – საჰაკ სომეხთა კათოლიკოსის (387-438) თანამედროვე და თანამებრძოლი კულტურულ-რელიგიურ ასპარეზზე (დაახლ. 353-439). სომხური წყაროების ერთი ნაწილი მ-ს მიაწერს სომხური ანბანის რეფორმას, მეორე – მის მთლიანად შექმნას, ხოლო მესამე – სომხურთან ერთად ქართული და ალბანური დამწერლობის შემუშავებასაც. არსენ საფარელის მიხედვით, მ. იყო გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილი, თუმცა ზ. ალექსიძის აზრით, ეს ცნობა არ დასტურდება. მ. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

მ. და საჰაკი (სომეხთა კათოლიკოსი) იყვნენ გრიგოლის (არსენ საფარელი გულისხმობს სომეხთა განმანათლებელ გრიგოლ პართელს) შვილიშვილები. მათ მონაფეებთან ერთად, თარგმნეს პირველი ქრისტიანული წიგნები (ა.ს., 86).

თ. ქორიძე

ს.). მ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989).

მ. ხ-მა ირანის შაჰი ნადირი (1736-47) ლალატი მოკლა (პ.ო. 160). ადრიბეჯანის (აზერბაიჯანის) მხარეს გაძლიერებული მ.ხ. მრავალ ქვეყანას აოხრებდა, რის შესახებაც 1749 ერევნელებმა მოსწერეს მეფე ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) და მეფე თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და დახმარება სთხოვეს მის წინააღმდეგ (ო.ხ., 48). მ.ხ-მა ერევნის ხანის ძმა შეიპყრო, მისი ცოლ-შვილი აიკლო, ერევნის ციხის გარშემო მდებარე ქვეყანა დაიკავა და თავად ციხის აღებასაც შეეცადა. მ.ხ. დაემუქრა მეფეებს თეიმურაზსა და ერეკლეს, რომელთაც ერევნის ხანის დახმარება გადაწყვიტეს (პ.ო. 160). როდესაც მ.ხ-მა მეფე ერეკლეს ჯარით ერევანში ჩასვლის შესახებ გაიგო, მთელი თავისი ჯარით წინ მიეგება და შეება. ერევნის ციხესთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში ქართველებმა მ.ხ. დაამარცხეს მ.ხ. და გააქციეს (პ.ო. 161; ო.ხ. 48) გაქცეული ყარაბაღში ჩავიდა, სადაც მის მიერ გამაგრებულ ხარგვირაბის ციხეში მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა (ო.ხ., 48). მ.ხ. ისე გააქციეს, რომ თავის ციხეში, იქ სადაც მისი ცოლ-შვილი იმყოფებოდა, შესვლა ვერ შეძლო (პ.ო., 162). მეფე ერეკლე დაედევნა და აიღო მ.ხ-ის ციხე, აიკლო მისი ცოლ-შვილი, იავარ-ჰყო საქონელი და გაათავისუფლა მ.ხ-ის მიერ დატყვევებული ერევნის ხანის ძმა (პ.ო. 162). მეფე ერეკლემ

ხარგვირაბის ციხე აიღო, მ-ხ-ის ცოლ-შვილი გამოიყვანა, მთელი მისი საზინა წამოიღო და ერევანს მივიდა (ო.ხ. 48) მეფე თეიმურაზმა მ.ხ-ის კუთვნილი მეორე ციხე აიღო (პ.ო. 162). ფანა-ხან-მა (ყარაბაღის // შუშის ხანი 1747-63) შერიგების სანაცვლოდ თეიმურაზსა და ერეკლეს მ-ხ-ის დატყვევებული ცოლ-შვილი და ყაზახის ქვეყანა მოსთხოვა (პ.ო. 163). მეფეებმა თეიმურაზმა და ერეკლემ ფანა-ხანს უბრძანეს, რომ რადგან მ.ხ. ერევნელი იყო, მის ცოლ-შვილს ერევნის ხანს გადასცემდნენ (პ.ო. 164). ერეკლემ და თეიმურაზმა მ.ხ-ის დატყვევებული ცოლ-შვილი ერევნის ხანს ჯაფარს გადასცეს (პ.ო. 164).

თ.ქორიძე

მაჰმად-ხანი* – ერევნის ხანი, სავარაუდოდ 1783 წლიდან. მ. ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ერევნელებმა მოკლეს ხანი ყულამალი. ერეკლემ (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98), შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ერევანში მოსალაპარაკებლად თავისი მდივანი გურგინა ენაკოლოფაშვილი გააგზავნა. მოლაპარაკებების შემდეგ ერეკლემ ხანად უსეინ-ალი-ხანის (დაახ. 1750-82) ძე – მ.ხ. დაადგინა. 1783 ნახჩევანი აუჯანყდა ქალბალი ხანს და გააძევა. იგი თხოვნით მივიდა მ. ხ-სთან. მ. ხ. შევედრა ერეკლე მეფეს. ერეკლემ ნახჩევანზე გაილაშქრა და თაზა ქალბალის ხანობა აღუდგინა (თ. ბ. 59).

* მაჰმად-ხანი და ყულამალი იხსენიება სავარაუდოდ, მხოლოდ ქართულ წყაროში, რადგან აზერბაიჯანულ და სომხურ ლიტ-ში 1780-იანი წლებიდან 1796 წლამდე მითითებულია: უცნობი ხანები.

ქ. ნადირაძე

მიკირტუშ ტაკუჰვი – სომეხი მეწარმე (XVIII ს. 70-იანი წწ.). მ.ტ. იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში (Грузинские дворянские грамоты, 1881). 1777 წლის საბუთში მეფე ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) მაღლობას უხდის მ.ტ-ს საქართველოსთვის გაწეული დახმარებისთვის, სპილენძის ქარხნის გახსნისთვის. მეფე ავალებს მას გამოცდილი ხელოსნების ჩამოყვანას საბადოების და ღუმელების ამოქმედებისათვის (Г.Д.Г., 24).

ე. კვაჭანტირაძე

მოჰაკანი – კავკასიის ალბანეთის ტერიტორია (იხ. სტ. რანი), დღ. აზერბაიჯანის რესპუბ. მ-ის ისტორიული საზღვრები: აღმოსავლეთით კასპიის ზღვა, სამხრეთით მდ. მტკვარი, ჩრდილოეთით კავკასიონი, დასავლეთით მდ. მცირე და დიდი ალაზნის შესართავიდან ვიდრე მდ. მტკვრამდე (ვ. ბ. 48). X ს. არაბი ავტორი მასუდი შირვანზე საუბრისას ახსენებს მუკანის სამეფოს, რომელიც X ს. დასაწყისში შირვანის სამეფომ შეიერთა. სამეცნიერო ლიტ. მუკანი გაიგივებულია ქართული წყაროების მოვაკანთან (ვ. მინორსკი). მ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ჯუანშე-

რი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ. ც. I, 1955); ჟამთააღმწერელი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973).

ბიბლიურ თარგამოსს (კავკასიის ხალხთა ეთნარქი), რომელიც დაემკვიდრა „არარატსა და მასისსა“ (არარატის მთა) მთათა შორის, ჰყავდა რვა შვილი. მათ შორის მოვაკანი. როდესაც შვილებს თარგამოსმა გაუყო მიწები*, მ-ს მისცა „მტკვარისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავითგან ვიდრე ზღუამდე“ ე. ი. მტკვრის მარცხენა სანაპირო კასპიის ზღვამდე, სადაც ააშენა ქ. მოვაკნეთი და იქ დამკვიდრდა (ლ. მ. 4, 5, 7). მდ. მტკვარი გაივლის მ-ს, მდ. მტკვარს ერთვის მ-ის მდინარეები (ვ. ბ. 305-306, 309). ხაზართა** მეფემ კავკასიის დალაშქრის შემდეგ, თავის მამის ძმისწულს მისცა მ. (ლ. მ. 12). როდესაც სპარსეთის მეფემ „ქასრე ანუშირვან სასანიანმა“*** თავისი ვაჟი მიჰრანი (მირიანი) დააქორწინა ქართლის მეფის ასფაგურის ასულზე, მას საგამგებლოდ გადასცა მ. (ლ. მ. 64). „ქასრემ“ მ-ში დატოვა სპარსელთა ჯარი (ლ. მ. 65). ქართლის მეფე მირიანი (მიჰრანია IV ს. I ნახ.) წარმატებით მეფობდა ქართლს, მ-ს... (ლ. მ. 65, 67, 70; ვ. ბ. 71). როდესაც ლეკები განუდგნენ მირიანს, მის წინააღმდეგ ხაზარები დაიხმარეს. მირიანი მათ შეებრძოლა მოვაკანს და გაიმარჯვა (ლ. მ. 66). ქართლის მეფემ ვარაზ-ბაკურმა (IV ს. 70-80-იანი) სპარსეთს ზავის სანაცვლოდ დაუთმო მ. (ლ. მ. 136; ვ. ბ. 96). ქართლის მეფის – არჩილ მირდატის ძის (V

ს. 20-30-იანი) წინააღმდეგ წამოვიდა სპარსთა მეფის მოხელე, რომელიც ერისთავობდა რანსა და მ-ს. არჩილმა გაიმარჯვა (ჯ. 140). შემდეგ არჩილი ხშირად არბევდა მ-ს (ვ. ბ. 98, 99). ქართლის მეფე მირდატ არჩილის ძე (V ს. 30-50-იანი) შეუპოვრად ებრძოდა სპარსეთს. მან რამდენჯერმე მოარბია მ. (ლ. მ. 141). ოსებმა დალაშქრეს მ. (V ს. მე-2 ნახ.), (ჯ. 146). ვახტანგ გორგასალს (ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე) საბერძნეთის (ბიზანტია) წინააღმდეგ ლაშქრობაში ეხმარება დედის ძმა, რანის ერისთავი (პიტიახში) ვარაზ-ბაკური: რანის, მ-ისა და ადარ-ზადაგანის ჯარით (ჯ. 149). ვარსქენ პიტიახშის (ქვემო ქართლის გამგებელი, ვახტანგ გორგასალმა მოაკვლევინა 482) დალუპვის შემდეგ სპარსეთის მეფემ (იგულისხმება შაჰი პეროზი 459-84) რანსა და მ-ს მმართველად გამოავაზვნა დარელ და უბრძანა რათა „კეთილად მეგობრობდეს ქართველთა“ (ჯ. 216-17). სპარსეთის მეფემ ურმიზდმა (სპარსეთის შაჰი ჰორმიზდ IV, 579-90) მ-ი მისცა თავის ძეს ქასრე ამბარვეზს (ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი 591-628), (ჯ. 217; ვ. ბ. 118). რომეუარის ქვეყანას მართავდა ოთხი ნოინი. ამ ქვეყანაში შედიოდა: ხორასანი (ისტ. ოლქი ირანის ჩრდ. აღმ. ნაწილში), ერაყი, საქართველო, ბარდავი, შირვანი, მ... (ჟ. 223; ვ. ბ. 258). მოვიდა ბერქა ყაენი (ოქროს ურდოს ყაენი 1255-66) და მოაოხრა მ-ი (1266), (ვ. ბ. 223). გიორგი (გიორგი V, საქართველოს მეფე 1318-46) შევიდა მ-ში და ხარკი დაადო (ვ. ბ. 256, 259, 260). ალექსანდრემ (ალექსანდრე I

დიდი, საქართველოს მეფე 1412-42) მი-
მოხარკედ გაიხადა (ვ.ბ. 280).

* სამეცნიერო ლიტ. აღნიშნულია, რომ აქეთნარ-
ქების წილის სახით, სამხრეთი და ცენტრალური
კავკასიის ძირითადი პოლიტიკურ-ადმინისტრა-
ციული ერთეულებია შემოსაზღვრული (იხ. ლე-
ონტი მროველი, შესავალი ნაწილი, ქ.ც. I, 1955).

** ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ
წერილობით წყაროებში ანაქრონიზმია. ხაზა-
რებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილოეთ
კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუახანებში
შექმენს (იხ. სტ. ხაზარები).

*** ქასრე ანუშირვან სასანიანის (სასანიანთა
დინასტიის დამაარსებელი არდაშირ I, ტახტ-
ზე იჯდა 226-41) წყაროში ხსენება სამეც. ლიტ.
ანაქრონიზმად მიაჩნიათ.

ქ. ნადირაძე

მოსე ელიზარელი – სომეხთა
კათოლიკოსი (574-604), მონოფიზიტი.
მ. ე. იხსენიება: არსენ საფარელი, „გან-
ყოფისთვის ქართველთა და სომეხთა“
(1980).

ბიზანტიის იმპერატორმა მავრი-
კოსმა (582-602) უბრძანა სომხეთის
კათოლიკოსს მ. ე-ს და ეპისკოპოსებს,
რომ ჩასულიყვნენ კონსტანტინო-
პოლს, რათა კვლავ ემსჯელათ (იგუ-
ლისხმება სარწმუნოებრივი საკითხე-
ბი) და გაერკვიათ სიმართლე. კათო-
ლიკოსი მ. ე. არ დაემორჩილა და მოცი-
ქულის პირით შეუთვალა, რომ იგი არ
გადაცდებოდა მდ. აზატს (იგივე მდ.
არნი, არაქსის შენაკადი ქ. დვინთან),
რომელიც არის საზღვარი სპარსეთი-
სა (მდ. აზატზე გადიოდა საზღვარი
სომხეთის ბერძნულ (ქალკედონურ) და
სპარსულ (მონოფიზიტურ) ნაწილებს
შორის 591 წლის დაყოფის შემდეგ), არ
შეჭამდა ბერძენთა ფურნიდს (პური)

და არ დაღვედა მათ თერმონს (წყა-
ლი)* (ა.ს. 89). კათოლიკოსმა მ. ე-მა და
ირანს დაქვემდებარებულმა სომხეთის
ეპისკოპოსებმა არ შეინწყნარეს ბიზან-
ტიას დაქვემდებარებული სომხეთის
ის ეპისკოპოსები, მათ შორის ტარონის
ეპისკოპოსი, რომლებიც ბიზანტიიდან
დაბრუნდნენ, სადაც კიდევ ერთხელ
აღიარეს ქალკედონის კრების გადაწყ-
ვეტილებები, ქრისტეს ორი ბუნება და
სარწმუნოებრივი ერთობის ფიცზე მო-
ანერეს ხელი (ა.ს., 89). კათოლიკოსმა
მ. ე-მა იოჰანე კათოლიკოსის (სომხე-
თის ბერძნული ნაწილის კათოლიკოსი)
მორჩილი მღვდლები გააძევა სომხე-
თიდან, რომელთაგან ზოგი ტაოში წა-
ვიდა, ზოგიც საბერძნეთში (ა.ს. 90).

* მოსე სომეხთა კათოლიკოსი აქ გულისხმობს
ზიარების საიდუმლოს აღსრულების დიოფიზი-
ტურ წესს. ამიტომ იგი საფუარიანი პურისა და
წყალგარეული ღვინის აღსანიშნავად ბერძნულ
ტერმინებს – „ფურნიდი“ – პური და „თერმონი“
– წყალი იყენებს (ა.ს., 190).

თ. ქორიძე

მოსე აპისკოპოსი – VII ს-ის
I ნახევრის მოღვაწე, მონოფიზიტი,
ცურტავის (ქვემო ქართლი) ეპისკო-
პოსი. ქართლის კათოლიკოს კვირიონ
I-ის (599-614/616) მიერ საეპისკოპოსო
ტახტიდან გადაყენებული მ. ე. გაიქცა
სომხეთში, რასაც მოჰყვა ქართველ და
სომეხ მღვდელმთავრებს შორის მიმო-
წერა და რითაც ფორმალურად დაიწყო
სომეხ-ქართველთა საეკლესიო გან-
ხეთქილება. მ. ე. იხსენიება: არსენ სა-
ფარელი, „განყოფისთვის ქართველთა
და სომეხთა“ (1980.).

ქართლის კათოლიკოსმა კურიონმა განდევნა მ.ე. ცურტავისა მისი საყდრიდან, „რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა“ (ა.ს. 82)*.

* ლ. ჯანაშიას აზრით, არსენ საფარელს და ქართული ეკლესიის გარკვეულ ნაწილს მიაჩნდათ, რომ ცურტავის საეპისკოპოსო დაარსებული იყო შუშანიკის მიერ, ალბათ, სომხურ ენაზე მღვდელმსახურების შემოღებასთან ერთად (იხ. ლ. ჯანაშია, „არსენ საფარელის ერთი ადგილის გაგებისათვის“. რ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ., 131).

თ. ქორიძე

მუსა-გაგი – ყაზახის სულტანი (XVIII ს. შუა ხანები). მ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი - „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1962-98) ბრძანებით, მ. ბაიდარისა და ყაზახ-ბორჩალოს ქეთხუდებთან ერთად თბილისში ჩამოიყვანეს აბდულა-ბეგის (იესეს ძე, იესე – ქართლის მეფე 1714-16, 1724-27) წინააღმდეგ საბრძოლველად (პ.ო. 135).

გ. ოთხმეზური

მუსა-ხანი – ბორჩალოს ხანი (XVIII ს. შუა ხანები). მ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი – „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ერეკლესა (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) და თეიმურაზის (თეიმურაზ II ქარ-

თლის მეფე 1744-62) მიერ აღაქიში-სა (შაქის ხანის – აჯი-ჩელები ყურბან ოღლუს (1743-55) შვილი) და შავერდიხანის (განჯის ხანი) დამარცხების შემდეგ, ამ უკანასკნელთა მოკავშირე მ.ხ. ერევანში გაიქცა (პ.ო. 203). მ.ხ. (1756) კვლავ ბორჩალოს ხანია და თეიმურაზსა და ერეკლეს ემორჩილება (პ.ო. 243).

გ. ოთხმეზური

მუსა-ყული ხანი // მუსა ხანი

– ბორჩალოს ხანი (1752-55).

მ.ყ. ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

მ.ყ. ხ. იყო ქალბი-უსეინ ხანის ძე (პ.ო. 188-189). მ.ყ. ხ-ს უბოძეს ბორჩალოს ხანობა, იმის გამო, რომ აზატ ხანის (სამხრეთ აზერბაიჯანის მფლობელი) დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა და მეფე ერეკლეს მოეწონა მისი მხნეობა (პ.ო. 188-189). მ.ყ. ხ., ძველი ბორჩალოს ხანი, შემორჩა ქალაქს და მხარი არ დაუჭირა აჯი-ჩალაბს (შაქის პირველი ხანი), მას ბორჩალოს ხანობა უბოძეს და აღჯაყალას გაისტუმრეს (პ.ო. 202-203). მ.ყ. ხ. და ბაიდრის სულთანი, როგორც დამნაშავენი და ორგულნი, გაიქცნენ და ერევნის ქვეყანაში მივიდნენ (პ.ო. 203). მეფენი (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62; ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) ბორჩალოს მივიდნენ და მეფეებმა, მ.ყ. ხ-ს ბორჩალოს ხანობა ისევ უბოძეს და აღჯაყალას ციხეში (ციხე-სიმაგრე ქვემო ქართლის ისტორიულ პროვინცია გაჩიანში, დღევ. მარნეულის რ-ნი) დააყენეს (პ.ო. 237). ყარსის ფაშამ მეფე ერეკლეს

ამცნო, რომ მისმა ელებმა (თათრებმა) ყარსი წაახდინეს და სამართლიანობის აღდგენა სთხოვა. გაბრაზებულმა მეფე ერეკლემ ელების მიერ ყარსიდან წამოსხმული საქონელი ყარსის ფაშას გაუგზავნა, თავად ელები კი სოლანლულიდან აყარა, მ.ყ. ხ წინ წაუძღვარა და აღჯაყალას დააყენა (პ.ო. .243).

თ. ქორიძე

მულანი – ისტორიული მხარე აზერბაიჯანში. მ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

მონღოლები მივიდნენ მ-ში და დაიწყეს საქართველოს აოხრება (ჟ. 186). დავითი (დავით VII, საქართველოს მეფე 1246-70) წავიდა მონღოლთა ყაენთან მ-ში, რომელიც იყო მონღოლთა საზამთრო რეზიდენცია (ჟ. 237). ქეილათუ (მონღოლთა ყაენი 1291-95) წავიდა რუმის აჯანყების ჩასაქრობად, თან წაიყვანა დავითი (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311) და მ-ში დატოვა ხუტლუბულა (სადუნ მანკაბერდელის – მონღოლთა მიერ დაწინაურებული საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე – ძე) და სხვა ქართველი მთავრები (ჟ. 296). თამაზ ხანმა გაიმარჯვა თათარხანზე, მივიდა მ-ში. აქ მან იხმო თავისი სამხრეთ კავკასიელი ხელქვეითები, თავი ირანის შაჰად გამოაცხადა და ნადირ შაჰად (ირანის შაჰი 1736-47) იწო-

და (ვ.ბ. 515, 627; ს.რ. 48-9). 1744 ნადირშაჰი გაბრუნდა ყარსიდან (უძველესი ქალაქი, ქართული წყაროების კარი, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) და მ-ში მივიდა (ო.ხ. 46). კრწანისის (სოფ. თბილისთან, ამჟამად თბილისის ერთ-ერთი უბანი) ბრძოლაში (1795) გამარჯვების შემდეგ ალა-მაჰმად-ხანი (ირანის შაჰი 1796-97) გადავიდა მ-ში, შემდეგ ხორასანში (ისტ. ოლქი შუა აღმოსავლეთში) წავიდა (თ.ბ. 65).

ე. კვაჭანტირაძე

ნალგები – ბორჩალოს სარქაღარი (XVIII ს. 40-იანი) ნ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი – „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ნ. (1741) თავისი ჯარით ჩავიდა ახალციხეში და ახალციხის ფაშას გადასცა ირანის შაჰის რაყამი, შანშე ერისთავის (ქსნის ერისთავი, XVIII ს-ის მინ. – 1753) დაჭერის თხოვნით (პ. ო. 50-51).

გ. ოთხმეზური

ნახჭევანელი – ქალაქ ნახიჩევანის (ისტორიულ მხარე) მოსახლეობა. ნ. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

მეფე თამარის (საქართველოს მეფე, 1184-1207/10) დროს ნ. ხარკს (ხარაჯას) უხდიდნენ საქართველოს (ი-ა., 100); გარნისთან ბრძოლისას (1225) ტყვედ ჩავარდნილი შალვა ახალციხელი იცნეს ნ-მა და ადარბადაგანელებმა

და ჯალალ ად-დინს (ხორეზმის შაჰი, 1220-31) მოახსენეს მისი ახოვანებისა და სიქველის შესახებ (ჟ., 171). 1786 წ. აჯანყდნენ და გამოაძევეს თავიანთი ხანი ქალბალი. იგი მივიდა და დახმარება სთხოვა ერევნის ხანს მაჰმადს, რომელმაც თავის მხრივ, დახმარება სთხოვა მეფეს (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798). მეფემ ნ-თან გაგზავნა მუხრანის ბატონი იოანე მხედრობითა და ზარბაზნებით, სადაც გამართულ ბრძოლაში ნ. დამარცხდნენ და ქართველებს შეევედრნენ, რომ თუ მათი ჯარი უკუიქცეოდა ნ-დან, ისინი თავიანთ ხანად ქალბალის დააბრუნებდნენ (თ. ბ, 59).

თ.ქორიძე

ნახჭევანი // ნახჩევანი – მდებარეობს სამხ. კავკასიის სამხრეთ ნაწილში, ესაზღვრება თურქეთსა და ირანს (საზღვარი გადის მდ. არაქსზე). ძვ. წ. VIII-VII სს-ში ნ-ს ტერიტორია მანასა და მიდიის სახელმწიფოების შემადგენლობაში შედიოდა, ძვ. წ. VI ს-ში – აქემენიანთა ირანის სახელმწიფოში, მოგვიანებით კი – ატროპატენაში. ახ. წ. III ს-ში ნ-ის ტერიტორია დაიპყრო ირანმა, 623 – ბიზანტიამ, VII ს-ის შუა ხანებში – არაბებმა. IX-X სს-ში ნ-ს ტერიტორია საჯიდების ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა, შემდეგ დაიპყრეს სალარიდებმა (აზერბაიჯანში გაბატონებული ირანული დინასტია). XIII-XIV სს-ში ნ. რამდენჯერმე დაარბია თემურ-ლენგმა (შუააზიელი მხედართმთავარი, 1336-

1405). XV ს-ში შედიოდა ყარა-ყოინლუსა და აყ-ყოინლუს, XVI-XVII სს-ში კი – სეფიანთა ირანის სახელმწიფოს შემადგენლობაში. XVIII ს-ის შუა ხანებში, ნადირ შაჰის (ირანის შაჰი 1736-1747) იმპერიის დაშლის შემდეგ აღმოცენდა ნახჭევანის დამოუკიდებელი სახანო (დედაქალაქი ნახჩევანი, ქალაქი არეზის მარცხენა ნაპირზე, მდ. ნახჩევანხაიზე), 1828 თურქმანჩაის ხელშეკრულებით შეუერთდა რუსეთს. დღეს შედის აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში. ნ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1925); „პარიზის ქრონიკა“ (1980); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1980); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“, ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“ (1941); ისტორიული საბუთები (ქრ. III. 1967).

ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა (I ს. 70-იანი წლები) გაილაშქრეს სომხეთზე და მოარბიეს დაშტი ვიდრე ნ-მდე (ლ. მ. 45). ლაშა-გიორგიმ (გიორგი IV, საქართველოს მეფე 1213-23) აიღო ოროტი და ყოველნი ციხენი და მიმდგომნი მისნი ვიდრე ნ-მდე (ლ.მ. 370). ივანე ათაბაგს (საქართველოს ამირსპასალარი მეფე თამარის (1184-1207/10) ეპოქაში) ნ-დან აცნობეს სპარსეთის ლაშქრის არანს მოსვლის ამბავი (ი-ა., 67). ნ-ს გადახვენილმა აბუბექრმა (აზერბაი-

ჯანის ათაბაგი) მოწამლა თავისი ძმა ამირ-მირმანი (არანისა და გელაქუნის პატრონი), (ი-ა., 76). სპარსეთს სალაშქროდ მიმავალმა ქართველებმა ზაქარია ამირსპასალარის მეთაურობით „ჩავლეს პირი ნახჭევანისა“ (ი-ა., 104). სპარსეთზე ლაშქრობიდან შინ დაბრუნებულმა ქართველებმა გამოიარეს ადარბადაგანის ქალაქები, რაკსი, „შემოვლეს პირი ნახჭევანისა“ და მოვიდნენ თბილისს (ი-ა., 109). გარნისთან ბრძოლის (1225) შემდეგ ივანე ათაბაგი უკუიქცა ბიჯნისად, ხოლო სულთანი (ხორეზმის შაჰი ჯალალ ად-დინი) წავიდა ადარბადაგანს და ნ-ს (ყ., 171). მეფის (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) მიერ ორბელთა ამონყვეტის შემდეგ, ლტოლვილი სუმბატ ორბელი წავიდა ნ-ს (ყ., 228). თეგუდარ ყაენმა (ოქროს ურდოს მონღოლი უფლისწული, XIII ს. 60-იანი) აბალა ყაენს (ირანის მონღოლი გამგებელი, 1265-82) საზამთროდ უბოძა რახსის პირი და ნ. (ყ., 258). მონღოლი არღუნ-ალას შვილმა ნავროზმა გამოგზავნა „კაცი ერთი უკეთური“ საქართველოს ეკლესიათა ასაოხრებლად. მან ააოხრა ვარძიის მონასტერი და წავიდა ნ-ს (ყ., 300). მეფე ვახტანგი (ვახტანგ III, საქართველოს მეფე 1302-08) მოვიდა ნ-ს, სადაც მუცლის საღმობა შეეყარა და გარდაიცვალა (ყ., 322). შაჰ ისმაილი (ისმაილი I, სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი, 1487-1524) თავრიზზე გალაშქრებამდე ნ-ს მივიდა და იქაური ლაშქარიც თან წაიყვანა (ფ.გ., 2). მუსტაფა ლალა ფაშამ (ოსმალთა სარდალი, XVI ს II ნხ.) აიღო ადრიბეჯანი (ადარბადაგა-

ნი), ქურთისტანი, ერევანი, ნ., ყარაბაღი, შირვანი (ფ.გ., 12). მუსტაფა ლალა ფაშამ დალაშქრა შარვანი, დაღესტანი, განჯა, ადრიბეჯანი, ქურთისტანი, ვანი და ნ., სამცხე და ერევანი (ფ.გ., 13). 1603 შაჰ-აბასმა (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) დაიპყრო თავრიზი და ნ. და მიადგა ერევანს (პ. ქ., 59). ქართლის თავადებმა მეფე თეიმურაზის (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-1762) არზა წაიღეს და ხელმწიფეს (ნადირი, ირანის შაჰი 1736-1747) ნ-ს შეხვდნენ (პ.ო. 77). 1751, 28 ივლისს მეფე ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62; ქართლ-კახეთის – 1762-98) მიერ ერევანს დამარცხებული აზატ-ხანი (სამხრეთ ადარბადაგანის ტახტის მფლობელი) ნ-სკენ გაიქცა (ქრ, III, 055; 214; 620). მეფეებმა (თეიმურაზ II და ერეკლე II) მახარობლები გაგზავნეს და ფანა-ხანზე (ყარაბაღის // შუშის ხანი – 1747-1763.) გამარჯვების ამბავი განჯას, შირვან-შაქს, ჭარს, კახეთს, ქართლს, ყაზახ-ბორჩალოს, ერევანსა და ნ-ს აცნობეს (პ.ო., 170). მეფეებმა თავიანთ ქვეყნებში დიდი საბოძვართი გაისტუმრეს ნ-ისა და ავღნის (ავღანეთი) ხანები, რომლებიც „მონებდნენ ბრძანებასა მეფეთა ჩვენთასა“ (პ.ო. 173). ბამან-ხანის (ნ-ის ხანი 1748-65) ცოლ-შვილი ნ-დან ქალაქში (თბილისში) მოვიდა (პ.ო. 175). აზერბაიჯანის სპასალარი აზატ-ხანი ბამან ნ-ის ხანს გაუწყრა, რის გამოც იგი ნ-დან დედნულიანად წამოვიდა. ნ. აზატ ხანს დარჩა და იქ ხანად თავისი სანდო კაცი დასვა (პ.ო. 176). მცირე ხანს ნ-ის ხანად ბამან-ხანი იყო, რომელიც მტრების გა-

მო ნ-ს ველარ გაჩერდა, ქალაქს (თბილისს) მოვიდა და მეფე თეიმურაზს დაემორჩილა (პ.ო. 183). მეფე ერეკლეს ბრძანებით, ქართლებებისა და კახელების მარბიელმა ჯარმა, ავღანელებისაგან მისი განმენდის მიზნით, მოარბია და იავარყო ტერიტორია ნ-ს აქეთ არაზის პირამდე (პ.ო. 185). აზატ-ხანზე გამარჯვება მისივე კარავში მყოფ მეფე ერეკლეს მიულოცეს ერევნის, ნ-ის, აირუმლუს და სხვა ხანებმა (პ.ო. 187). აზატ ხანზე გამარჯვებულმა მეფე ერეკლემ ზაალ ორბელიანს ქართველთა ჯარი გააყოლა და გაისტუმრა ნ-ს. ქართველებმა ისევ დაიკავეს ნ. და დადგნენ შიგ (პ.ო. 188). აზატ-ხანი ნ-ს მივიდა, რის გამოც ის ქართულმა ჯარებმა დატოვეს (პ.ო. 190). 1786 ნახჩევნელები აჯანყდნენ და ნ-დან თავიანთი ხანი ქალბალი გამოაძევეს, რომელიც მივიდა ერევნის ხან მაჰმადთან დახმარების სათხოვნელად, მან კი ნ-ის ხანის დახმარება სთხოვა მეფეს (ერეკლე II). მაშინ მეფემ მუხრანის ბატონი იოანე მხედრობითა და ზარბაზნებით ნ-ს გაგზავნა, სადაც გამართულ ბრძოლაში ნახჩევნელები დამარცხდნენ და შევედრნენ ქართველებს, რომ თუ მათი ჯარი უკუიქცეოდა ნ-დან, ისინი დააბრუნებდნენ თავიანთ ხანად ქალბალის (თ. ბ, 59). 1791, 21 ნოემბერს ფანა-ხანის (ყარაბაღის // შუშის ხანი) ძემ იბრეიმ-ხანმა და ომარ-ხანმა (ავარიის // ხუნძახის ხანი) ლეკის ჯარით ნ-ზე გაილაშქრეს და დამარცხდნენ (ქრ., III, 621). სომეხთა კათოლიკოსის მიერ საქართველოში მცხოვრები სომეხების

ეპისკოპოსად გამოგზავნილი ავეტიქ ეპისკოპოსი იყო ნახ-იჯივ-ანდიდან (ქრ., III, 253). ყაზახელებმა, ბორჩალოელებმა და ფამბაკელებმა მოაოხრეს ნ. და დაამარცხეს მისი ხანი შუქურლა (ნახჩევანის ხანი, XVIII ს-ის 70-იან) და დიდი ალაფით გაბრუნდნენ (თ.ბ. 55). 1800 ბაბა-ხანმა (ირანის შაჰი), თავისი სარდალი ნ-ს გამოგზავნა. მეფე გიორგის (გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800) თავისმა ძმამ ალექსანდრემ უღალატა და შაჰის სარდალს ნ-ს ეახლა. სარდალი სპარსეთს გაბრუნდა, ალექსანდრე კი ნ-დან უკუქცეული ყარაბაღის ხან იბრეიმთან მივიდა (ბ.ბ. 72-73). 1808 რუსებისაგან ერევნის გასათავისუფლებლად მისული აბაზ მირზა (ირანის გამგებელი, 1800-დან) დადგა ნ-ს. გრაფმა გუდოვიჩმა (ივანე გუდოვიჩი, საქართველოს მთავარმართებელი 1806-09) მის წინააღმდეგ გაგზავნა ორი პოლკი – ტროიციისა და იეგირისა (ეგერთა). ნ-ს მათ შორის გამართულ ბრძოლაში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა (ბ.ბ., 102).

თ.ქორიძე

ნარსე (ნარსე I) – სომეხთა კათოლიკოსი (348-352) ნ. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, (ქ.ც., I, 1955), ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქ.ც., IV, 1973). ეპისკოპოს იაკობის (363-375) გარდაცვალების შემდეგ, ქართლის ეპის-

კოპოსი გახდა სომეხთა კათოლიკოს ნ-ს დიაკვანი იობ სომეხი (375-390), (ლ.მ. 132; ვ. ბ. 95). ქართლის მეფე თრდატის (383-395) მეფობის დროს ეპისკოპოსი იყო სომეხთა კათოლიკოს ნ-ს დიაკვანი იობი (მოქ. ქ., 91).

თ. ქორიძე

ნარსე(ნარსე II) – სომეხთა კათოლიკოსი (548-57), რომელიც წარმოშობით ბაგრევანის სოფელ აშტარაკანიდან იყო და აშტარაკელად იწოდებოდა. ნ. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთვს ქართველთა და სომეხთა“, (1980).

ნ-ს ეწოდა „მიჯინ“ (შუა) (ა.ს., 79). კათოლიკოს ნ-ს ეწოდა „შუა“, „ესე არს სომხურად „მიჯინ“ (ა.ს., 84). სომხეთის მეფემ და ხალხმა კათოლიკოს ნ -ს სთხოვეს, გადაეწყვიტა რომელი სარწმუნოებრივი მიმდინარეობა იქნებოდა უმჯობესი მათთვის და ისინი მის ბრძანებას დაემორჩილებოდნენ (ა.ს. 79). კათოლიკოსმა ნ-მ სული ხორცს დაუმორჩილა და თქვა, რომ სიკვდილი ერჩივნათ ბერძნებისადმი (იგულისხმება დიოფიზიტობა) კვლავ მიქცევას (ა.ს. 80). კათოლიკოს ნ-ს ზეობაში და მას შემდეგაც სომხებსა და ქართველებს შორის სარწმუნოებრივი დავა იყო (ა.ს., 82). „ადესრულა ბოროტად კათოლიკოსი ნერსე“, რომელსაც ეწოდა „შუა“ და საკათალიკოსო ტახტზე დაჯდა აბრაჰამი (ა.ს., 82). კათოლიკოსმა ნ-მ მოიწვია კრება დვინს, სადაც სომხები სარწმუნოებრივად განეშორნენ ბერძნებს და იერუსალიმს (ა.ს., 84).

კათოლიკოსი ნ. იყო აშხარაკალი (ანუ ბოროტად მწვალებელი)* (ა.ს., 86). ნ-ს კათალიკოსობიდან მეორე წელს, იუსტინიანეს (იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპ. 527-65) კეისრობის მეთოთხმეტე წელს, სპარსეთის შაჰ ხოსროს (ხოსრო I ანუშირვანი, 531-79)** მეორე წელს მეორედ მოიწვიეს ქ. დვინს კრება და ისევ შეაჩვენეს ქალკედონის წმიდა კრება (ა.ს. 86).

*„აშხარაკალი“ სომხურად ნიშნავს „ქვეყნის მპყრობელს“ (ა.ს. 166).

**ტექსტში გარკვეულ ანაქრონიზმს აქვს ადგილი.

თ. ქორიძე

ნარსე (ნარსე III) – სომეხთა კათოლიკოსი (641-661); ცნობილია იშხნელის სახელწოდებით, რადგან წარმოშობით იყო ტაოს სოფ. იშხნიდან. იგი ასევე ცნობილია აღმშენებლის სახელით, რადგან აღადგინა რამდენიმე ეკლესია და ააშენა ზვართნოცი. მისი ზეობის პერიოდში, ისევე როგორც კათოლიკოს ეზრას ზეობაში, სომხური ეკლესია დაუახლოვდა დიოფიზიტურს. ნ. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთვს ქართველთა და სომეხთა“, (1980); „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისა“, (ძქალძ, I, 1963)

ნ. იშხნელმა საკათალიკოსო საყდარი დაიკავა ეზრას (630-641/642) შემდეგ (ა.ს. 92). კათოლიკოსი ნ. იყო კაცი ღირსი და მართლმორწმუნე (ა.ს. 92). იოანე მზაკვარმა (იხ. სტ. იოანე მაირაგომელი) კათოლიკოსი ნ. იხილა ზიარების დროს საბერძნეთში (ბი-

ზანტიაში) მეფე კონსტანს მცირესთან (იმპერატორი კონსტანს II, 641-668) ერთად, რის გამოც ენინალმდეგებოდა და ამბობდა, რომ იგიც ეზრასავით შეცდა ქალკედონის კრების შემდეგ. ამის გამო კათოლიკოსმა ნ-მ წარადგინა იგი ეპისკოპოსების, მოძღვრებისა და აზნაურების წინაშე, სადაც „დიდი გამოძიებაჲ ჰყვეს ცილობისა მისთვის“ და ყველამ ერთად მიიღო გადაწყვეტილება იოანე, როგორც მაცდური, დაესაჯათ ქვეყნიდან გაძევებით (ა.ს. 92). წმიდა კათოლიკოსმა ნ.-მ რისხვით გააძევა იოანე (ა.ს. 92). დავითისა და ტირიჭანის მონამეობრივად აღსრულების შემდეგ, სომეხთა კათოლიკოსი ნ. მღვდლების იოვანეს, საჰაკისა და გრიგოლის თანხლებით გაემართა ტირიჭანის წამების ადგილას დივრს. მან თავისი ხელით „წარგრაგნა გუამნი იგი წმიდათანი“ და დაკრძალა ერთი მათგანი ზედა მთაზე, მეორე კი დივრის ქვემოთ, ნაღვარევის ხევის დასავლეთით („მარტვილობაჲ დავითისა და ტირიჭანისა“, 191).

თ. ქორიძე

ნარშაპუ – ტარონის ეპისკოპოსი, სომეხთა კათალიკოს ნერსე II-ის (548-557) თანამედროვე. ნ. იხსენიება: არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

ნ. იყო ერთ-ერთი ინიციატორი და მონაწილე დვინის II საეკლესიო კრების (551), რომელზეც დაგმეს ქალკედონის კრების გადაწყვეტილებანი (ა.ს. 85-86).

ე. კვაჭანტირაძე

ნოლი // ნოლაელაზი – დაღესტნის ერთ-ერთი ხალხი. ქართლის მეფე თეიმურაზ II (1744-62) და კახეთის მეფე ერეკლე II (1744-62) ზოგჯერ ლეკთა თავდასხმების წინააღმდეგ იყენებდნენ ჩრდილო-კავკასიელი ხალხებისაგან შემდგარ დაქირავებულ ჯარს. მათ შორის ნ-ებს. ნ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

1760-იანი ერეკლემ და თეიმურაზმა ლეკების წინააღმდეგ დაიბარეს „ჩერქეზის, ჯიქის, ნ-ის... ჯარები“. ჯარი თავიანთი უფროსობით ჩამოვიდა ანანურში (სოფ. მდ. არაგვის ხეობაში), ხოლო ერისთავმა ჯიმშერმა თბილისში ჩამოიყვანა. ჯარი დიდუბეში დააბინავეს და ულუფა უბოძეს. ისინი სხვადასხვა რწმენისანი იყვნენ: მაჰმადიანები, უმეტესად კერპთ-მსახურები, ავი ქცევისანი, „არანწინდათა მჭამელნი“, ზოგი თვალ-ტანადი, ზოგიც შეუხედავი და გონჯი, პატარა ცხვირებით, კარგი ცხენოსნები და მოისარნი, მკვირცხლები. მეფეებმა მათი თავკაცები ტაბახმელაში (სოფ. ქ. თბილისთან) დაიბარეს. როდესაც ლეკებმა მათი მისვლის შესახებ შეიტყვეს, აიყარნენ და წავიდნენ. რადგან ჩამოყვანილი ჯარის შენახვა ჭირდა, მეფეებმა თავკაცები ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრეს, ჯარს ჯამაგირი გადაუხადეს და უკან პატივით გაისტუმრეს. „უფროსმა კაცებმა,“ მეფეებს პირობა მისცეს: როგორც კი თქვენი ბრძანება მოგვივა, თქვენს სამსახურში დავიხოცებითო (პ.ო. 219-222).

ქ. ნადირაძე

ნურსალ-ბეგი – ხუნდახის // ავა-რიის ხანი (XVIII ს-ის შუა ხანები). ნ.ბ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

კახეთიდან მოვიდა ცნობა იმის შესახებ, რომ ხუნდახის ბატონი (პ. ო. ყველგან ნურსალ ბეგს იხსენიებს ხუნდახის ბატონის სახელით) „შილდის თავს“ მოვიდა ისეთი ჯარით, რომლითაც ჯერ ლეკებს მანამდე არასოდეს ელაშქრათ და ქართლისა და კახეთის დაჭერით იმუქრებოდა. ხუნდახის ბატონი შილდის თავში იდგა და ყოველდღე დალესტნიდან წამოსული ლეკის ჯარი ემატებოდა (პ.ო. 214). ჭარულებმა, კაკის სულთანმა, აჯი-ჩალაბმა, შირვანელებმა, ფანა-ხანმა და განჯის ხანმა ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ თუ ხუნდახის ბატონი ქართლისა და კახეთის ბატონებზე გაიმარჯვებდა, ისინი ქართლსა და კახეთს ააოხრებდნენ (პ.ო. 215). ხუნდახის ბატონი გადმოვიდა ალაზანს, დაწვა რუისპირი, ახმეტა (კახეთი) და ავიდა გაგნაკორას (პ.ო. 215). ხუნდახის ბატონმა ლეკის ჯარი გაყო ოთხად და გამოვიდა არაგვს ოთხპირად. არაგვის ერისთავის მამულში ჯარი შეუშვა, ის გადაწვეს და ააოხრეს (პ.ო. 216). ხუნდახის ბატონის ჯარებმა ანანურს (ციხე არაგვის ხეობაში) აქეთ არაფერი არ დატოვეს აუოხრებელი. ისინი მივიდნენ დუშეთს, დაწვეს ერისთავის სასახლე, შებილნეს მონასტერი და დიდი ალაფით დატვირთულნი დაბლა ჩამოვიდნენ (პ.ო. 216). 10 აგვისტოს ხუნდახის ბატონი დუშეთიდან აიყარა და ჯარით შემოერთყა მჭადიჯვრის

ციხეს, თვითონ ციხის ბოლოს ქალაში ჩავიდა, მაგარი სანგარი გააკეთებინა, კარვები დაადგმევინა და ციხის ასაღებად ლეკის ჯარი აბრძოლა (პ.ო. 216). მჭადიჯვართან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა ხუნდახის ბატონს ბიდა და ბიდაშვილი მოუკლეს (პ.ო. 218-219). მჭადიჯვართან დამარცხების გამო შერცხვენილი ხუნდახის ბატონი დალესტანში დაბრუნდა (პ.ო. 219; თ.ბ. 49, თ.ბ. ამ ბრძოლას ათარილებს 1753)*. ხუნდახის ბატონმა ქართლ-კახეთის დალაშქვრა მოინდომა, იალბუზის (კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი) გზები შეკრა და არც ლეკის ჯარი და „არც ყაზახად აღარავინ გამოუშვა“. დალესტნელ ლეკებს დაპირდა, რომ თუ მას გაყვებოდნენ და ქართლ-კახეთს დაიპყრობდნენ, სანაცვლოდ საშვილიშვილოდ სამყოფ ტყვესა და საქონელს აშოვნინებდა (პ.ო. 226). ეს ის ხუნდახის ბატონი იყო, რომელსაც პატრონებმა (ქართლის მეფე თეიმურაზ II, 1744-62 და კახეთის მეფე, ერეკლე II 1744-62) მჭადიჯვრის ციხესთან (1754) ჯარი დაუმარცხეს, ამოუნყვიტეს და დამარცხებული და შერცხვენილი გააქციეს. იმ დღისთვის შურისძიების გამო, ხუნდახის ბატონმა შემოიკრიბა დალესტნის ისეთი ჯარი, რომ „შამხალი და სურხავიც (ლეკთა ბელადი) მოიყენა“, თავისი ჯარი თან წამოიყვანა, პირიქით და პირ-აქეთ რაც ლეკი იყო, ზოგს ძალით და ზოგს ნებით, ყველას ჯარი გამოართვა, და პირველად (ჯერ) კახეთზე საბრძოლველად მოემზადა (პ.ო. 226-227). ხუნდახის ბატონი დალესტნის დიდი ჯარით მოვიდა და ყვარ-

ლის მთაზე დადგა, საიდანაც შამხლის შვილი გაბაგ-ბეგი ქარში გაგზავნა და ქარელთა ჯარი დაიბარა. მან ასევე კაცები გაგზავნა აჯი-ჩალაბის შვილთან, კაკის სულთანთან, განჯის ხანთან და მათ ჯარი და დახმარება სთხოვა (პ.ო. 227). მეფეებმა მას დაუპირისპირეს პაპა ბებურიშვილი, სოლომონ ქობულაძე, ფარემუხ თაყაშვილი, ბეჟან რატიშვილი, ერასტი ნამორაძე და სხვა წარჩინებულები, ციხე გაათავისუფლეს და რადგან ლეკებმა ვერაფერი გაანყვეს, დარცხვენილები უკუიქცნენ (თ. ბ. 49; თ.ბ. ამ ბრძოლას ათარილებს 1754). როდესაც ყვარლის ციხესთან მდგარმა ქარელებმა შეიტყვეს, რომ კახთ ბატონმა (ერეკლე II) ქართველებს ქარის ქვეყანა ააოხრებინა და გააძარცვინა, ძალიან შეწუხდნენ და ხუნძახის ბატონს უსაყვედურეს, მან კი უპასუხა, რომ ციხეს აიღებდა, კახეთს ხელში ჩაიგდებდა და მათ გარჯას დაუფასებდა (პ.ო. 231). ყვარლიდან გაბრუნებული ხუნძახის ბატონი ბაიდარზე (დღ. მარნეულის რ-ნი) მივიდა და ბაიდარის ციხეს ალყა შემოარტყა. ციხეში გამაგრებულმა ბაიდარის სულთნის შვილებმა მას სროლა გაუმართეს, ბევრი ლეკი მოუკლეს და ციხეც არ დაანებეს. ხუნძახის ბატონი ციხეს მხოლოდ საღამოს გაეცალა, ბორჩალოს მხარეს გავიდა ლეკების ჯარით, რომელთაც დემურჩიასანლის ობები (თურქთა ულუსი) და დებედას გამოღმა ბორჩალუს სოფლები აიკლეს, ტყვეები წაიყვანეს, უამრავი საქონელი წაასხეს, საგანძური წაიღეს. ეს ჯარი ბამბაკში ყარაქლისას ავიდა, სადაც ნაშოვარი გაიყვეს.

აქედან ხუნძახის ბატონი და შამხალი თავიანთი ხალხით განჯას წავიდნენ, სადაც ნაშოვარი ჩაიტანეს, იქიდან კი თავთავიანთ ქვეყანაში წავიდნენ (პ.ო. 232). ხუნძახის ბატონმა ნ.ბ-მა ლეკთა დიდი მხედრობა ისევ შეყარა და შაქიშარვანის მხარეს ჩავიდა, იქიდან უეცრად წამოვიდა, ბოდბეს თავს დაესხა და რამდენიმე უზანი იავარყო. „მაშინ მხნედ იყუნენ ბალანი“, რომელთაც თავიანთი სიმხნით დაიცვეს ბოდბე. ქიზიყელებმა ლეკები მალაროში დაამარცხეს, ათასზე მეტი ამონყვიტეს, რის შემდეგაც სირცხვილნაჭამი ნ.ბ. იქაურობას გაეცალა (თ. ბ. 55-56). ნ.ბ. შამახიას წავიდა, ფათალი-ხან ყუბელს ესტუმრა, რომელმაც ნ.ბ-ს უღალატა და მოკლა (თ. ბ. 56). ნ.ბ-ის ძე იყო ომარ-ხან ავარიელი (თ. ბ., 59).

*ომან ხერხეულიძის ცნობით, მჭადიჯვართან ბრძოლა, სადაც დაღესტნელები მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ დაამარცხეს, 1754 მოხდა, მაგრამ ისტორიკოსი ამ ბრძოლაში ლეკთა ბელადად შეცდომით ომარ-ხანს ასახელებს (იხ. ო.ხ. 55).

** ომან ხერხეულიძის ცნობით, 1755 სოფელ ყვარელთან გამართულ ბრძოლაში დაღესტნელებს შეუერთდნენ ქარელები და შაქ-შარვანელები – სულ 20 ათასი კაცი და ალყა 28 დღე გაგრძელდა, მაგრამ იგი, ისე როგორც მჭადიჯვრის ბრძოლაში, ლეკთა ბელადად შეცდომით ომარ-ხანს ასახელებს (იხ. ო.ხ. 56).

თ. ქორიძე

ღასრიჯაჰან ბეჟუშ – წარ-

მოშობით ლეკი, კახეთის დედოფალი (XVIII ს. I ნახ.). ა. ბ. იხსენიება: დავით იმამყული-ხანის მიერ ხარჭაშისადმი გაცემულ სიგელში (1721), ღვთაების

გუჯარში (1722), (ქ.ს.დ. II, 1965). სიგელებიდან ირკვევა, რომ იგი იყო კახეთის მეფის, დავითის (იმამ-ყული-ხანი 1709-22) მეუღლე, სრულიად დაღესტნისა და ლეკეთის შამხლის შვილიშვილი, ირანის შაჰის სულთან ჰუსეინის (1694-1722) დიდი ვეზირის ფათჰალი-ხანის და, ერევნის ბეგლარბეგის ასული (335-36; 359).

ქ. ნადირაძე

ოვსეთი // ოსეთი – ჩრდილოეთ კავკასიის მიმდებარე ველებზე, მდ. ყუბანის ზემონელსა და მდ. თერგის ხეობაში ახ.წ. I-III სს-ში შემოსული სარმატული ტომების შთამომავლების მიერ შექმნილი გაერთიანებები. დაახლ. V ს-ის შუახანებიდან ჩრდილო კავკასიის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნა ოსური გაერთიანებები. განსაკუთრებულ სიძლიერეს მათ X-XII სს-ში მიაღწიეს. XIII-XIV სს-ში, თათარ-მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგად, ბარის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კავკასიონის ქედის ხეობებში გადმოინაცვლა. დაახლ. XV ს-ის შუახანებიდან დაიწყო ოსების შემოღწევა კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, სადაც შემდეგ თანდათან ჩამოყალიბდა ოსი ხალხის სამხრეთის შტო. ოვსეთი//ოსეთი იხსენიება: „მოქცევაი ქართლისა“, „მარტვილობა აბო ტფილელისაი“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); „წმ. ნინოს ცხოვრება“ არსენ ბერისეული რედაქციით, ანონიმი ავტორი „ცხოვრებაი და მოქალაქეობაი ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოისი“,

(ძ.ქ.ა.ლ.ძ., ტ. III, 1971). ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისაჲ“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც., I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც., II, 1959); ძეგლი ერისთავთა (1954); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი, „ახალი ისტორია“ (1983); ისტორიული საბუთები – (ქრონიკები, II, 1897; III, 1963; ქ.ს.დ.ტ. III, 1965; ტ. III, 1970; ტ. VI, ტ. VII, 1981; ტ. VIII, 1985); მცირე ქრონიკები (1968).

ხაზართა მეფის ძე უობოსს მამამ მისცა კავკასიის ნაწილი, მდ. ლომეკის (მდ. თერგის) „დასავლით, დასავლეთამდე მთისა“. იგი აქ დასახლდა. მისი ნათესავები არიან ოვსნი და ეს არის ო., რომელიც ნაწილი იყო კავკასიისა (ლ.მ.. 12). ო. იყო თარგამოსის (ბიბლიური ნოეს შთამომავალი) ძის კავკასოსის წილხვდომილი ქვეყანა. ხაზართა მეფემ კავკასოსის ქვეყანა მისცა თავის ძეს ურბანოსს, რომელმაც კავკასოსის მოდგმა ამოწყვიტა, თავისი მოდგმითა და ტყვით დასახლდა და უწოდა ო., რაც ხაზარულად ნიშნავს „ზოგი თესვად“, რადგან ზოგი ამოწყვიტა და ზოგიც დასახლა „თესვად“ (ვ.ბ. 632, 654). ფარნავაზს (ქართლის მეფე, ძვ.წ. IV-III სს. I ნახ.) გამეფების

შემდეგ დარჩა ძურძუკი და დვალეთი, ხოლო სხვა ხეხეები ოსთა მეფეებმა წაიღეს და ამ ხეხეებს ეწოდა ო., მათ მიერ ამ ტერიტორიის დამონებისა და მათი აქ შემოსახლების გამო (ვ.ბ. 633). ბათო ყაენმა (ოქროს ურდოს მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი და პირველი ყაენი, 1243-56) ააოხრა ო., რის გამოც ოსები შემოიჭრნენ კავკასიაში. მათი კავკასიაში მოსვლის შემდეგ ო. იწოდა ჩერქეზეთად ანუ ყაბარდოდ, ხოლო კავკასიაში შემოსულთა ქვეყანა ო-ად (ვ.ბ. 634). ო-ის საზღვარი იყო (XVIII ს.) – აღმოსავლეთით თრუსოსა და ჭევის საზღვარი, მცინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, მდ. ლომეკი ვიდრე ხეთაძე-ჩერქეზის მთამდე, სამხრეთიდან – კავკასიონი ჭევის ყელიდან დასავლეთისკენ ბრუც-საბძელამდე და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორბასიანს შორის კავკასიონი; ჩრდილოეთით – ჩერქეზეთსა და მას შორის მთა მალალი, დასავლეთით კავკასიონი რაჭასა და ჟღელეს შორისი და ბასიანსა და სვანეთს შორისი (ვ.ბ. 634). ო-ის ქვეყნის სიგრძე არის ჭევიდან სვანეთის კავკასამდე და განი ქართლის კავკასიდან ჩერქეზის მთამდე (ვ.ბ. 635), (ო-ის ქვეყნის გეოგრაფიული აღწერილობა იხ. ვ.ბ. 635-653). ანდრია (მოციქული, ანდრია პირველწოდებული) და სიმონი (მოციქული, სვიმონ კანანელი) ჩავიდნენ ო-ის ქვეყანაში, მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში, სადაც დიდი სასწაული მოახდინეს და მრავალი ერი მოაქციეს ქრისტეს სჯულზე (ლ.მ. ჩანართი, 42). წარჩინებული ო-ების გვარებია: ბასიანი, ბადელაძე, ჩერქესიძე, თაგაუ-

რი, ქურთაული, სიდამონი და ჭახილიძე (ვ.ბ. 634). როდესაც სომეხთა მეფე არტაშანი (არტაშენ I, ძვ.წ. 160-150) და მისი სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი წამოვიდნენ ქართველების წინააღმდეგ საომრად, ქართველებმა დაიხმარეს ო. ჯარიც (ლ.მ. 48). ქართლის მეფეების აზორკისა და არმაზელის (დაახლ. ძვ.წ. II-I სს.) მოკავშირეები სომხეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იყვნენ ოვსთა მეფეები ბაზუკი და აბაზუკი (დაახლ. ძვ.წ. II-I სს-თა მიჯნა) ოვსთა ჯარით (ლ.მ. 45). ქართლის მეფე ამაზასპი (230-265) ო-ს გადავიდა, ააოხრა და გამარჯვებული შინ დაბრუნდა (ლ.მ. 57; ვ.ბ. 68). მეფე მირიანი (ქართლის მეფე, IV ს. I ნახ.) გადავიდა ო-ს და მოაოხრა ო. (ლ.მ. 68). როდესაც სპარსთა მეფე ქასრე სასანიანი ქართლში შემოიჭრა, ქართველთა მეფე ასფაგური ო-ს წავიდა იქაური ჯარის შემოერთების მიზნით, მაგრამ როგორც კი ასფაგური ო-ს შევიდა, გარდაიცვალა (ლ.მ. 62; ვ.ბ. 70). როდესაც ოსებმა დაატყვევეს და თან წაიყვანეს ვახტანგის (ვახტანგ გორგასალი, ქართლის მეფე V ს. II ნახ.) და, 3 წლის მირანდუხტი, დარუბანდის კარი გაიარეს და ო-ს გამარჯვებულები შევიდნენ (ჯ. 146; ვ.ბ. 101). როდესაც ო-ზე ლაშქრობა გადაწყვიტეს, მეფე ვახტანგმა (ვახტანგ გორგასალი) წარავლინა მოციქული მისი დედის ძმის, რანის პიტიახშის ვარაზ-ბაკურის წინაშე და ო-ზე ლაშქრობა აუწყა (ჯ. 150). მეფე ვახტანგი (ვახტანგ გორგასალი) ო-ში შეჭრისას 16 წლის იყო (ჯ. 151). ო-ის მეფეებმა ჯარი შეკრიბეს, ხაზარები* შეიერთეს და ვახტანგ გორგა-

საღს მიეგებნენ მდინარესთან, რომელიც გაივლის დარიალს და ჩაივლის ო-ის ველზე. ამ მდინარეს არაგვი ჰქვია. ქართლის არაგვი და ო-ის არაგვი (თერგი) ერთი მთიდან იღებს სათავეს. (ჯ. 151). მდინარის პირას ვახტანგი და ოსი გოლიათი ბაყათარი შეებრძოლნენ ერთმანეთს. ვახტანგმა ბრძოლაში მოკლა ბაყათარი (იხ. სტატია ბაყათარი). ქართველები შეესიენ ო-ს, შემუსრეს მათი ქალაქები, აიღეს ტყვე და ალაფი ურიცხვი (ჯ. 156). ო-ის დარბევის შემდეგ, ვახტანგი თავისი სპით გავიდა პაჭანიკეთს, რადგან იგი მდებარეობდა მაშინ ო-ის მეზობლად, ო-ის მდინარის ქვემო დინებაზე. (ჯ. 156). ვახტანგმა დაარბია პაჭანიკეთი და ჯიქეთი, გამობრუნდა უკან და მოადგა ისევ ო-ს. ამ დროს ოვსთა მეფეები შესულეები იყვნენ კავკასიის სიმაგრეებში. მათ ერთმანეთთან მოციქულები გაგზავნეს და დაზავდნენ. ვახტანგისგან ოვსებმა მისი დის სანაცვლოდ ითხოვეს 30 ათასი ტყვე ოსი, ყველაზე საუკეთესონი სახელდებით დაასახელეს ოვსებმა. ვახტანგმა მისცა მათ 30 ათასი ტყვე და თავისი და წამოიყვანა. ტყვე ქართველები კი, რომლებიც 6 წელი ოვსთა ტყვეობაში იმყოფებოდნენ, გაცვალა ოვს ტყვეებზე. აიღო მძევალი ოვსთაგან და მძევალშიც მისცა 30 ათასი ტყვე (ჯ. 157). ვახტანგ გორგასალმა დაიმორჩილა ოვსნი და ყივჩაყნი და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელსაც ჩვენ დარიალს ეწოდებთ (ჯ., ჩანართი, 156). როგორც კი ქართლში მეფობა დასრულდა (VI ს.), სპარსელებმა ქართლი დაიპყრეს, კავკასიონზე გავიდნენ,

აიღეს „კარნი ოვსეთისანი“, ერთი დიდი კარი ო-ში და ორი დვალეთს (მოქ.ქ., 94). ო-ის მხარეში იბრძოდა ბერძენთა მეფე იუსტინიანოსი (იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი, 527-65) (ჯ., ჩანართი, 214). სარკინოზების (არაბების) მიერ შევიწროებული ნერსე ერისთავი (ქართლის ერისმთავარი, 764-84). გაიქცა და გაიარა ო-ის კარი, რომელსაც დარიალი ერქვა (აბო თბილელის წამება, 58). კეისრის (ვარდან ფილიპიკოსი, ბიზანტიის კეისარი 1711-13) ერისთავი ლეონი გამაგრებული იყო ო-ის გადასასვლელთან მდებარე სობლის ციხეში (ჯ., 235). საქართველოში შემოჭრილი არაბთა სარდალი ბულა (853) ცდილობდა ო-ში შესვლას. ბულამ დარიალიდან გამოიყვანა ასი ოჯახი ოვსი, დმანისს დაასახლა და ზაფხულში ო-ში შესვლა ინება (მ.ქ. 257; ვ.ბ. 130). მეფე ბაგრატმა (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) განძის ამირას წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების გამო დიდი საბოძვარი უბოძა ო-ის მეფესა და დიდებულებს და თავიანთ სამშობლოში გაგზავნა (მ.ქ. 313). სრულიად ო. შედიოდა ქართლის კათოლიკოსის სამწყსოში (ჯ., ჩანართი, 232). როდესაც ყივჩაყებმა ოვსებისაგან მათ ტერიტორიაზე მშვიდობიანად გატარება ითხოვეს, მეფე დავითი (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) ო-ს გაემგზავრა, ყივჩაყებსა და ოვსებს შორის მშვიდობა დაამყარა და დარიალის, ო-ისა და ყოველი კავკასიის მთის ციხეები აიღო (დ.ი. 336, ვ.ბ. 158). გიორგი ჭყონდიდელი (საქართველოს მეფის დავით IV-ის აღმზრდელი) ო-ში ყოფნისას გარდა-

იცვალა (დ. ი. 337; ვ.ბ. 159, მც. ქრ., 23). დავითის (დავით IV) ერთი ასული ო-ში იყო გათხოვილი (ი.-ა., .46). მეფე დავითი (დავით IV) ანდერძში წერს, რომ მისი ქვეყანა (საქართველო) გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდის (კასპიის) ზღვამდე და ოვსეთიდან სოკრად არეგანამდე (ქ.ს.დ., II, 19). თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) დედა იყო ოვსთა მეფის ასული (ვ.ბ. 176; იხ. სტ. ბურდუხანი). თამარის მეუღლე დავითი იყო ოვსთა მეფის ეფრემის ძისგან, რომელიც აღზარდა თამარის მამიდან რუსუდანმა (ვ.ბ. 176-77; იხ. სტ. დავით სოსლანი). ჩინგიზ ყაენმა (მონღოლური სახელმწიფოს დამაარსებელი, 1206-27) თავის უფროს შვილს თუბისს მისცა ნახევარი ლაშქარი და გაგზავნა „დიდსა საყიფაყეთსა ვიდრე ბნელეთამდე, ო-სა, ხაზარეთსა, რუსეთსა“ (ყ., 163; 181). დიდ ყაენ ბათოს (1243-56) ეპყრა ყიფაყეთი და ო., ხაზარეთი, რუსეთი და ბორღალეთი (ყ., 163; 234; .229). ხალელამპრე მაჩაბელმა მოიმხრო ო. ო-ის მთავარმა ბევრჯერ სთხოვა ხალელამპრე მაჩაბელს ასულის ხელი, მაგრამ მან არ მისცა (ყ., 337, სქ.1). თემურ-ლენგის (შუააზიელი მხედართმთავარი, ემირი 1370-1405) მიერ გაგზავნილმა ჯარმა ააოხრა და დაიმორჩილა ო. (ვ.ბ. 272). შალვამ (ქსნის ერისთავი, XIII-XIV სს-ის მიჯნა) ცოლად მოიყვანა ოვსთა მეფის ასული სახელად შირდი (ძეგლი ერისთავთა, 348). XV ს. 70-იანი აფხაზეთის საკათალიკოსოს სამწყსო საზღვრებში შედიოდა მთელი მიწა-წყალი „ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა

აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიანევს“ (ქ.ს.დ., III, 223). იმერეთის მეფე როსტომმა (1590-1604) ო. დაიპყრო და ცეხეები და სოფლები აიღო (მც. ქრ., 56). 1660-61 საბუთში ვამეყ დადიანი (1659-61) იხსენიება როგორც „ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდისა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოს ... მეფეთ-მეფე“ (ქ.ს.დ., VI, 671). 1711 ვახტანგმა (ვახტანგ VI, ქართლის მეფე, 1716-24) ო. დალაშქრა (ქრ., III, 38). 1711 როდესაც ვახტანგი საქართველოს ლაშქრით შევიდა „ძნელსა კარსა ოსეთისასა“, მაშინვე მოსრეს ოვსეები, შემუსრეს მათი ციხეები და გაბრუნდნენ მშვიდობით (ქრ., III, 40). აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი (1705-41) თავის თავს იხსენიებს როგორც „მცხეთისა, ქართლისა, რანისა, კახეთისა, სრულიად ოსეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველი კათოლიკოსი“ (ქრ., III, 72;73). ავლანთა მარბიელმა ჯარმა ო-ს აქეთ მოსახლეობა აპყარა და გივი ამილახვარს (ზემო ქართლის სადროშოს სარდალი) მიაბარა (პ.ო. 48). რუსეთის ხელმწიფის მიერ კავკასიაში ქრისტიანობის გასავრცელებლად გამოგზავნილი 7 ქართველი ბერი პირველად მოვიდა ო-ში, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი მოექცა (პ.ო., 108). ოსებმა დაიწყეს ზემო ქართლის დარბევა. მეფე ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) მათ წინააღმდეგ გაგზავნა ლეკთა ჯარი მაჩაბელისა და იასე ამი-

ლახვარის მეთაურობით, რომელთაც ააოხრეს ო. (პ.ო., 110). ლეკებს ო-ში ნაშოვარი არ ეყოთ და იმერეთს შეესიენ (პ.ო. 111). ლეკებმა ჩამოიყვანეს ო-სა და იმერეთის დარბევისას ნაშოვი ურიცხვი ტყვე, რომელიც მეფეებმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62; ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) გამოისყიდეს (პ.ო. 112). კახთ ბატონი (ერეკლე II) აიყარა ანანურიდან და ნაბრძანდა ო-ზე. ოსები მიეგებნენ და გაიმართა ომი. გააქციეს ოსები, დაედევნენ, შეყარეს კოშკებში, გარს შემოადგინენ და იერიშით აიღეს (პ.ო., 113). ასაკით მცირე მეფე ერეკლე ოსების წინააღმდეგ ბრძოლაში ისე მხნედ იქცეოდა, როგორც ო-ში მეგრძოლი 15 წლის ვახტანგ გორგასალი (პ.ო., 113). მეფეებმა (თეიმურაზ II, ერეკლე II) კაცები გაგზავნეს ჩერქეზეთში, ო-სა და მთების ქვეყნებში და ერევანზე გალაშქრების მიზნით ჯარები დაიბარეს (პ.ო., 183). ო-ის ჯარი (პირიქითნი კაცნი) მოვიდა ქალაქში (თბილისში), საიდანაც მეფე თეიმურაზმა (თეიმურაზ II) ისინი გაუგზავნა თავის ძეს – ერეკლეს. ოსთა ჯარი ერეკლეს ბამბაკში შეუერთდა (პ.ო. 184). ჩერქეზეთს მიმავალ მეფე ერეკლეს (ერეკლე II) სანამ ჩერქეზეთი შემოეყრებოდნენ, მანამდე შემოეყარა ჯარი ოს-ისა (პ.ო., 199). 1810 იულონის (ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ძე) ვაჟი ლეონი ველარ გაჩერდა ოვსეთს და წავიდა ახალციხეს (თ.ბ., 77). 1773 რუსთველი (რუსთავის ეპისკოპოსი) წერს ერეკლე II-ს, რომ ო-დან და ჯავახეთიდან ჩამოსული ხალხი ჩუმლაყში (სოფელი კახეთში), ეკლესიის

მამულში დასახლდა, იქ არსებული მარნები და ქვევრები მიისაკუთრა, ქვევრები ველისციხელებს მიყიდა, ხოლო მეფისა და რუსთველის წიგნების (სიგელების) გარეშე ბეითალმანი მამულები მიისაკუთრა. რადგან ისინი არც მდივანბეგის სამართალს ემორჩილებოდნენ და არც ეკლესიას უბრუნებენ ნაქურდალსა და ბეითალმანს, მეფეს სთხოვს დახმარებას (ქ.ს.ძ., VII, 233). 1785 ზაზა მაჩაბელმა თხოვნით მიმართა ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ რადგან მისი (ხელმწიფის) ბრძანებით ო. ქართლში სახლდებოდა, ნება მიეცა მისთვის ო-ები მის მამულში არ ჩაესახლებინა. ხელმწიფემ ბრძანა, რომ ო-ებს მამული მაჩაბლისთვის დაენებებინათ (ქ.ს.ძ., VII, 99-100). 1778 კარბში ჩელტიასთან ხიზნად მყოფი თევდორე ვარციელაშვილი წერს ერეკლე II-ს, რომ ამ ჩელტიას ძმისწულმა გოგიამ ო-ები ტყვედ დაყიდა. ოს-ების პატრონები თევდორეს მიუვარდნენ და აანოკეს. ერეკლე II-მ დაავალა სახლთუხუცეს გიორგის, რომ მომჩივანები ო-ებისგან დაეცვა (ქ.ს.ძ., VII, 397-98). ბერი გვილიკაშვილი წერს ერეკლე II-ს, რომ ძალიანაში მიმავალი გზად თავის თანამგზავრებთან ერთად ოს-ებმა შეიპყრეს, შემდეგ კი გაყიდეს. იგი ყარაჯი ოსმა დაიხსნა 9 თუმნად და ჩამოიყვანა, მაგრამ შინ ჩაუსახლდა და თავის თეთრს სთხოვდა. რადგან იგი მაჩაბლისაგან გაყიდული იყო, სამართალს ითხოვდა (ქ.ს.ძ., VII, 438). შიო ბეგიაშვილი წერს იულონ ბატონიშვილს, რომ ო-ებმა მოუკლეს ერთადერთი შვილი, რომელსაც სამი ობოლი დარჩა. თვითონ დაბრმავ-

და და სთხოვს ობლების დაზრდამდე გადასახადებისგან გათავისუფლებას (ქ.ს.დ., VII, 753). იესე მსაჯული წერს, რომ ვინმე ფარემუზამ და მისმა ოსმა ყმამ 3 ცხენი, იარაღი, თოფი და ნაბადი მოპარეს. ის ოსი ყმა ვინმე ჯაჭისშვილმა ელიზბარმა დაიჭირა და ცხენი წაართვა (ქ.ს.დ., VII, 541).

თ. ქორიძე

ოსი//ოვსი – ოსეთის მკვიდრნი, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობა, რომელიც წარმოსდგა კავკასიის ჩრდილოეთით სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში შემოსული ირანული წამოშობის მომთაბარე ტომების (სკვითურ-სარმატულ-ალანური) და ადგილობრივი კავკასიური ტომების შერწყმის შედეგად. ოსების ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ჯგუფს განეკუთვნება. ოსი//ოვსი იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, მათიანე ქართლისა, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მათიანე (ქ.ც., I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე ტექსტი (ქ.ც., II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973); სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა

ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983). ისტორიული საბუთები (ქ.ს.დ., II, 1965; III, 1970; VII, 1981; VIII, 1985; ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდის სამთავროებისა (1466-1700), I, 1958), ო. ო. 1881).

ო. გარეგნობით არიან მშვენიერები, შავ-თვალ-წარბა, ტან-წერწეტები, უფრო მეტად ქალები, ბრიყვები, უსაქციელოები, თავიანთ ქვეყანაში ლაღები და ამაცები, სხვაგან მდაბალნი, გონიერად მოსაუბრენი, ქურდები, მატყუარები, ხარბები, მომხვეჭელები, მემრუშეები, ტყვეთა გამყიდველები (ვ.ბ. 637). ო-ები ძველად იყვნენ ქრისტიანები და შედიოდნენ ნიქოზელის (ნიქოზის (ქართლში) ეპისკოპოსის) სამწყსოში, ამჟამად (XVIII ს.) მხოლოდ სახელით ქრისტიანები, წარჩინებული გვარის მქონენი მაჰმადიანები, გლეხები კი ქრისტიანები, თუმცა ორივე რჯულის უცოდინარები (ვ.ბ., 638) (ო-ების ზნე-ჩვეულებების, სარწმუნოების, საქმიანობის, ჩაცმულობის შესახებ იხ. ვ.ბ. 637-641). ქართველებმა ქართლში გაბატონებული სპარსელების წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს ო-ს და ისინი ქართლში გადმოიყვანეს. ო-მა მოკლეს სპარსთა ერისთავი (ლ.მ. 13). ქართველებმა აზოს („ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, რომელმაც დაიპყრო ქართლი დაახ. ძვ. წ. IV) წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს ო-სა და ლეკებს. მათ გაიხარეს, რადგან არ სურდათ აზოსთვის ხარკის მიცემა და ქართველებს შეუერთდნენ. ფარნავაზმა

(ქართლის მეფე, ძვ. წ. IV-III სს.) შეკრიბა ქართლის მხედრობა, უხმო ქუჯის (ეგრისის მმართველი) და ო-ს და არტაანში მდებარე ნაქალაქართან, რომელსაც იმ დროს ქაჯთა ქალაქი ერქვა, დაამარცხა ბერძნები (ლ.მ. 23). მეფე საურმაგმა (ქართლის მეფე, ძვ. წ. III ს.) შემოიკრიბა ძურძუკებისა და ო-ების ჯარი და კვლავ დაიკავა ქართლი (ვ.ბ. 58). არაგვის აღმოსავლეთით მეფე მირვანის (მირიან I, ქართლის მეფე ძვ.წ. II ს.) მიერ აგებული დარიალია, რომელსაც მან შეება კარი და ხაზართა და ო-თაგან დასაცავ სიმაგრედ აქცია, რათა მისთვის გვერდის აუვლელად, ველარ ევლოთ. მის ქვემოთ მეფეთა ნასასახლევია იმისთვის, რომ როდესაც ოვსეთზე გაილაშქრებდნენ, იქ დაბანაკებულიყვნენ (ვ.ბ. 358). ქართლის მეფეებმა აზორკმა და არმაზელმა (ძვ.წ. II-I სს.) ქართლის საზღვრების შემომატკიცებისა და სომეხთაგან წართმეული მიწების დაბრუნების მიზნით გადანყვიტეს სომხეთზე გალაშქრება და მოუწოდეს ოსებს, ლეკებს, ჯიქებს, დიდოელებს, ერთიანი ძალით ელაშქრათ სომხეთში. ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღეს ო-თა მეფეებმა – ბაზუკმა და აბაზუკმა (იხ. სტ. აბაზუკი და ბაზუკი), (ლ.მ. 64). სუმბატმა (სომეხთა სპასპეტი, მეფე არტაშან I-ის (ძვ. წ. 160-150) აღმზრდელი) ბრძოლაში მოსრა უამრავი ო. და ლეკი, რომელთაგან მცირე ნაწილი გადარჩა. ო. სომეხებზე შურისძიების მიზნით, ქართლში გადმოვიდნენ, ქართველებს დაუმეგობრდნენ, გაერთიანდნენ და მარად ებრძოდნენ სომეხებს (ლ.მ. 47). არტაშან სომეხ-

თა მეფე (არტაშან I) და მისი სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი წამოვიდნენ ქართლზე სალაშქროდ, დადგნენ მცხეთას და იბრძოდნენ ხუთი თვე. ქართველებმა დაიხმარეს ო., მაგრამ მაინც გაუჭირდათ ბრძოლა და ითხოვეს მშვიდობა. სომეხთა მეფემ ისმინა მათი ვედრება, შეკრა ზავი ქართველებთან და ო-სთან და წავიდა (ლ.მ. 48). ქართველებმა და ო-მა ისარგებლეს იმით, რომ სომეხები ებრძოდნენ სპარსელებსა და ბერძნებს (რომაელებს) და სომეხებს შეუტიეს. არტაშან სომეხთა მეფემ არტაშან I შეკრიბა სპა, თავის ძე ზარენი უსარდლა და ქართველთა წინააღმდეგ გამოგზავნა. ქართველები და ო. მათ ჯავახეთში მიეგებნენ, სადაც გამართულ ბრძოლაში ზარენი დაამარცხეს და ტყვედ ჩაიგდეს. ო-ს სურდათ ზარენის მოკვლა, რათა აელოთ თავიანთი მეფეების სისხლი, მაგრამ ქართველებმა არ დაანებეს. როდესაც სუმბატ ბივრიტიანი და სომეხთა მეფის ორი ძე (არტავაზი და ტიგრანი) სომეხთა სპით ქართლში მოვიდნენ, ერთმანეთს მოციქულები გაუგზავნეს და დაზავდნენ. ამის შემდეგ ქართველები, სომეხები და ო. დამეგობრდნენ და სამივე ერთობით ებრძოდა მტერს (ლ. მ. 48-49; ვ.ბ. 65). ამაზასპის (ქართლის მეფე, III ს. შუა) მეფობის დროს დვალეთის გზით გადმოვიდა ო. უდიდესი ლაშქარი, დადგა ლიახვზე (მდინარე ქართლში) და რვა დღე შეისვენა. ისინი ქვეყანას არ არბევდნენ, რადგან ქ. მცხეთის შემუსვრის მიზნით იყვნენ მოსული (ლ.მ. 55). ო-ები ქალაქის (მცხეთა) ჩრდილოეთით მდებარე მხარეში – მუხრანში მო-

ვიდნენ (ლ.მ. 55). ამაზასპმა ო-თან ბრძოლაში 15 რჩეული ბუმბერაზი მოკლა. მისმა მეომრებმა კი ო-თა მრავალი ბუმბერაზი მოკლეს და ო-ს დიდად ავნეს (ლ.მ. 56). ამაზასპმა მოკლა ო. ხუანხუა (იხ. სტ. ხუანხუა). ამაზასპი თავს დაესხა ო-ს, მოკლა ო-თა მეფე და მათი ბანაკი გაანადგურა. მეორე წელს ამაზასპი ოვსეთს გადავიდა, დაარბია და გამარჯვებული დაბრუნდა (ლ.მ. 56-57). როდესაც ამაზასპის წინააღმდეგ სომეხებმა ო-ს უხმეს, ისინი სიხარულით წამოვიდნენ, რადგან ამაზასპი მათი მოსისხლე მტერი იყო. ამაზასპის წინააღმდეგ გამართულ უკანასკნელ ბრძოლაში, სადაც იგი მოკლეს, სომეხთა მოკავშირეები იყვნენ ო-ები. (ლ.მ. 57; ვ.ბ. 68). სომეხთა მეფე კოსაროს (სომეხთა მეფე ხოსრო II, 217-238) მოკავშირე სპარსთა მეფე ქასრეს წინააღმდეგ იყო მეფე ქართველთა ასფაგური*, რომელმაც გახსნა კავკასიის კარნი და გამოიყვანა ო., ლეკები და ხაზარები**.. ისინი მოვიდნენ კოსარო მეფესთან სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად (ლ.მ. 59; ვ.ბ. 70). მირიანის (ქართლის მეფე, IV ს. I ნახ.) მეფობის პერიოდში გადმოვიდნენ ო. – მოაოხრეს ქართლი, მამინ გადავიდა მირიანი ოვსეთს, ღრმად შეიჭრა, დაიპყრო და მიაღწია ხაზარეთამდე** (ლ.მ. 68; ვ.ბ. 72). როდესაც სპარსთა მეფემ სომეხთა და ქართველთა დასახარკად დიდი ჯარით ერისთავი გამოგზავნა, სომეხებმა ვარაზ-ბაქართან (ქართლის მეფე, IV ს. 70-80-იანი) მოციქული გაგზავნეს და სთხოვეს, გაეხსნა კავკასიის კარი, გადმოეყვანა ო. და

ლეკები და სპარსელებს წინ აღდგომოდნენ (ლ.მ. 136; ვ.ბ. 96). მეფე ვახტანგმა (ქართლის მეფე, V ს. II ნახ.) შეკრიბა დარბაზი და ო-ზე შურისძიებისკენ (ოვსების მიერ მისი დის, მცირეწლოვანი მირანდუხტის გატაცების გამო) მოუწოდა (ჯ., 148; ვ.ბ. 101). ჯუანშერ სპასპეტმა აღნიშნა, რომ ო-თა მიზეზით დამწუხრებულნი იყვნენ, რადგან ყრმა მეფეს (ვახტანგ გორგასალი) არ შეეძლო არც მხედრობა და არც წინამძღოლობა (ჯ., 149). ვახტანგის წინააღმდეგ გამოვიდა ო. ბუმბერაზი ბაყათარი, რომელიც ვახტანგმა პირისპირ შებმისას მოკლა (იხ. სტ. ბაყათარი). ქართველებმა (ვახტანგ გორგასლის მეთაურობით) ო. დაამარცხეს, მრავალი ამონყვიტეს და ტყვედ ჩაიგდეს, გაქცეულ ო-თაგან უმრავლესი ცოცხლად შეიპყრეს და იმ ქართველ ტყვეებში გაცვალეს, რომლებიც ადრე ო-თა მიერ იყვნენ დატყვევებულნი (ჯ., 156). პაჭანიკეთისა* და ჯიქეთის დარბევის შემდეგ, ვახტანგ გორგასალი ისევ მოადგა ოსეთს. ო-თა მეფეები ქართველთა შიშით კავკასიის სიმაგრეებში იყვნენ გამაგრებულნი. ო-მა ვახტანგისგან მათ მიერ დატყვევებული მისი დის სანაცვლოდ ითხოვეს 30 ათასი ყველაზე საუკეთესო ტყვე ო-ებისა, რომლებიც მათ სახელდებით დაასახელეს. ვახტანგმა მათ 30 ათასი ტყვე მისცა და თავისი და წამოიყვანა., ტყვე ქართველები კი, რომლებიც 6 წელი ო-თა ტყვეობაში იმყოფებოდნენ, გაცვალა ო. ტყვეებზე, ო-თაგან მძევლები აიყვანა და მძევალშიც მისცა 30 ათასი ტყვე (ჯ., 157; ვ.ბ. 104). მეფე ვახტანგმა

(გორგასალი) წარჩინებულ ქმნა მხედარნი, რომლებიც მხნედ ნამსახურები და გამოცდილები იყვნენ ო-თან ბრძოლაში (ჯ., 158). ვახტანგმა თავისი და მირანდუხტი, რ-იც ო-თაგან იყო დატყვევებული და ვახტანგის მიერ გამოხსნილი, ცილად მისცა სპარსთა მეფეს (ჯ., 185). ო-თა მეფე ურდურე თავს დაესხა მეფე კვირიკეს (კვირიკე III დიდი, ჰერეთ-კახეთის მეფე 1014-37), (იხ. სტ. ურდურე). მეფე კვირიკე (კვირიკე III) გორთან ნადირობის დროს მოკლა ვინმე ო-მა მონამ (ვ.ბ. 562). მეფე გიორგის (გიორგი I, საქართველოს მეფე 1014-27) მეორე ცოლი იყო ო-თა მეფის ასული***, რომლისგანაც მას დარჩა ძე, სახელად დემეტრე. მეფე ბაგრატისა (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72, გიორგი I-ის უფროსი ვაჟი) და მისი დედის (გიორგი I-ის პირველი მეუღლე) მიერ შევიწროვებული ო-თა მეფის ასული, დემეტრესთან ერთად, ერთხანს, ანაკოფიის ციხეში (აფხაზეთი, დასავლეთ საქართველო) ცხოვრობდა, შემდეგ კი დატოვა საქართველო, დახმარებისთვის მიმართა ბერძენთა მეფეს (ბიზანტიის კეისარს), რომელსაც გადასცა ანაკოფიის ციხე (მ.ქ., 295). განძის ამირა ფადლონის (1063-72) წინააღმდეგ ბრძოლაში მეფე ბაგრატის (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე, 1027-72) მოკავშირე იყო ო-თა მეფე დორლოლელი (იხ. სტ. დორლოლელი). მეფე გიორგი (საქართველოს მეფე გიორგი III, 1156-84) რამდენი ათას კაც ო-სა და ყივჩაყს უბრძანებდა, იმდენი მოვიდოდა (ლ.გ. მ., 367). თამარის (საქართველოს მეფე, 1184-1210) ეპოქაში ო. ქურ-

დობას ვერ კადრულობდა (ლ-გ მ., 369). მეფე თამარის (საქართველოს მეფე, 1184-1207/10) ხელის სათხოვნელად მოვიდნენ ო. მეფეების შვილები, მშვენიერი და სახე-კეთილი მოყმენი (ი-ა, 37). დედოფალ რუსუდანის (გიორგი III-ის და) სახლში იზრდებოდა მოყმე ევრემის შთამომავალნი, რომლებიც არიან ო-ები (იხ. სტ. დავით სოსლანი). ო-ები არიან მძლენი და ძლიერნი ბრძოლაში (ი-ა, 46). მეფე თამარის დედა იყო ო-თა მეფის ასული ბურდუხან (იხ. სტატია ბურდუხანი). რუსუდანის (საქართველოს მეფე, 1223-45) ბრძანებით, გახსნეს დარიალის კარი და გადმოიყვანეს ო-ები, დურძუკები და ყოველნი მთიულნი სულტნის (ხორეზმის შაჰი ჯალალ ად-დინი, 1221-31), წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მიზნით (ყ., 165; ვ.ბ. 204). მეფემ (დავით VII, საქართველოს მეფე 1247-70) ცოლად მოიყვანა ნათესავით ო. ალთუნი (იხ. სტატია ალთუნი). დავითის (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311) მეფობას მხარს უჭერდა ო-თა მეფის ძე ფარეჯანი (ყ., 294). ფარეჯანის აქყოფნის დროს ო-ებმა დაიწყეს ქართლის აოხრება და ხოცვა-ჟლეტა. მათ ქ. გორი დაიკავეს. ქართველები გორს მიადგნენ და მრავალჯერ შეეცადნენ მის აღებას, ქალაქის არაერთი მცხოვრები დახოცეს – ო-ც და ქართველიც და ქალაქი გადანვეს. როდესაც ო-ს ძალიან გაუჭირდათ, კაცი გაგზავნეს მუხრანს მდგომ თათრებთან (მონღოლებთან) დახმარების სათხოვნელად. ისინი მოეშველნენ და ჩადგნენ ქართველებსა და ო-ს შორის, რის გამოც ქართველებ-

სა და ო-ს შორის ჩამოვარდა მტრობა ვიდრე მეფე გიორგიმდე (გიორგი V, საქართველოს მეფე 1314-46), რომელმაც განდევნა ო. (ჟ. 294; ვ.ბ. 239). ფარეჯან ო-თა მთავარი მეფეს (დავით VIII) კეთილად ემსახურებოდა, მაგრამ ქართველებსა და ო-ს ჰქოდათ მტრობა. ისე გადაეკიდნენ ერთმანეთს, რომ რომელიც მოერეოდა, ის კლავდა. ქალაქს (თბილისი) სავაჭროდ მყოფი ო-ები – სათხე და უზურბეგი, უკან გამობრუნებისას, გზად გადაეყარნენ მცირე ამალით სანადიროდ მყოფ რატი სურამელს. ო-ები მას თავს დაესხნენ, მაგრამ რატიმ სათხეს მუზარადი გაუპო და მოკლა, ხოლო როდესაც უზურბეგი მას თავს დაესხა, რატიმ მხარი განუკვეთა და ცხენიდან ჩამოაგდო, რის შემდეგაც რატის ყმებმა ისიც მოკლეს. ამის მხილველი ო-ები გაიქცნენ (ჟ., 297-98; ვ.ბ. 240). მეფის (დავით VIII) მომხრეებსა და თათრებს (მონღოლებს) შორის „ციკარეს პირისპირ“ გამართულ ბრძოლაში, თათრების მოკავშირეები იყვნენ გორში მსხდომი ო-ები (ჟ. 306). ვინაიდან დავითი (დავით VIII) წინააღმდეგობას ვერ უწევდა ბაყათარს (ოსთა მთავრი), იგი ქართლს აოხრებდა, ხალხს ხოცავდა, თუმცა მას სურამელი აჰმადი და რატი სასტიკად ებრძოდნენ. მაშინ ბაყათარმა კახას ძე გამრეკელს ძამის ციხე წაართვა, ამის გამო მას ბექამ (სამცხის მთავარი) ბრძოლა გაუმართა. დამარცხებული ბაყათარი ციხეში ჩაიკეტა, რომელსაც ბექა მიადგა. ო-ებმა უვნებლობის პირობა ითხოვეს. ამის შემდეგ ბაყათარი მოკვდა (ჟ., 317). მეფე გიორგი (გიორ-

გი VI მცირე, საქართველოს მეფე, 1311-13) მოადგა გორში მყოფ ო-ებს და ებრძოდა მათ სამი წელი (ძეგლი ერისთავთა, 350; მეორე ტ., 445). მეფემ (გიორგი V ბრწყინვალე) ო-ის მიერ დაპყრობილი ქართლის ციხეები და დაბეები გაათავისუფლა, შემდეგ კი მათი ქვეყანა შემუსრა, ურჩები დახოცა და დაიმორჩილა, მოხარკედ გაიხადა და ქართლი ო-ებისგან დაამშვიდა (ვ.ბ. 256). თემურ-ლენგის (შუაზიელი მხედართმთავარი, ემირი 1370-1405) მიერ დატყვევებულმა მეფე ბაგრატმა (ბაგრატ V, საქართველოს მეფე 1360-93) მას აღუთქვა, რომ თუ ჯარს მისცემდა, იგი წავიდოდა თავის სამეფოში და მთის მოსახლეობას – მთიულებს, ო-ებს, დვალეებს, სვანებსა და ყველა იქ მყოფთ მის რჯულზე (ისლამზე) გადაიყვანდა (ბ.ე. 330, მეორე ტ. 455). მეფე სვიმონი (სვიმონ I, ქართლის მეფე 1556-1600) შაჰს ხარკის სახით უგზავნიდა ურიისა და ო-ების ძეებს. მეფე როსტომმა (ქართლის მეფე 1633-58) ეს წესი შეცვალა და ქართველი გლეხების, აზნაურებისა და დიდებულების ასულებსა და ძეებს აგზავნიდა ირანში (ბ.ე., 425). 1737 ქსნის ერისთავის ო-ებმა აიღეს ანანურის ციხე, მონასტერი და ახალგორი (ს.ჩ. 51). 1741 იმამ ყული-ხანმა „ოსეთს აქეთ“ მოსახლეობა აყარა და გივი ამილახვარს (ზემო ქართლის სადროშოს სარდალი) მიაბარა, თვითონ კი ისევ მიბრუნდა და იქაურობა მოარბია. შემორიგებული მთის ო-ები, ამ ღალატის გამო, განრისხდნენ, ყიზილბაშებს გზა შეუკრეს და გამოაქციეს, ხანი დაჭრეს, ნასახჩიბაში

პაპუა მუხრანბატონიშვილი მოკლეს, ყიზილბაშები ამონყვიტეს, გორში ჩავიდნენ, გორიდან კი -- თბილისში. (პ.ო. 48). გივი ამილახვრის დასახმარებლად მოსული ო. და ჩერქეზები თავს დაესხნენ საბარათაშვილოს, მოაოხრეს ბირთვისის, კუმისის გარშემო და მის ზემოთ მდებარე ტერიტორია და ისე გათამამდნენ, რომ ქალაქის მოსაზღვრე ტერიტორიებიდან (ქალაქის პირიდან) ნაძარცვი მუდმივად მიჰქონდათ (პ.ო. 70). ერისთავის ო-ებმა ზემო ქართლის დარბევა დაიწყეს (პ.ო. 100). მეფე ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) მათ დაუპირისპირა მის დაქვემდებარებაში მყოფი ანწუხელი, თებელი და ყირახელი ლეკები. მათ ააოხრეს ოსეთი და გადავიდნენ იმერეთს (პ.ო. 110). კახი ბატონი (ერეკლე II) ანანურიდან აიყარა და ოსეთს სალაშქროდ წაბრძანდა. არაგვის ერისთავის ჯარს თუშთა მოურავი ჯიმშერი უთავა და თვითონ უკან მიყვა. ო-ები მოეგებნენ და ბრძოლა გაიმართა. ჯიმშერი მედგრად იბრძოდა და ჯარსაც აბრძოლებდა. მიბრძანდა ბატონიც, ო-ებს დაერივნენ, გააქციეს, უკან დაედევნენ, კოშკებში შეყარეს, შემდეგ კი გარს შემოეწყვენენ. ქართველებმა 40 კოშკი იერიშით აიღეს და დაწვეს, თრუსი დაატყვევეს და მოკლეს. მცირეასაკოვანი ერეკლე ისე იბრძოდა, როგორც ო-ებთან მებრძოლი და მათი ბუმბერაზების დამჯაბნი 15 წლის ვახტანგ გორგასალი (ქართლის მეფე, V ს. მე-II ნახ.), (პ.ო. 113). როდესაც ქსნის ერისთავის ო-ებმა არაგვის ო-ების დამარცხების ამბავი გაიგეს,

მაშინვე მეფე თეიმურაზთან (ქართლის მეფე, 1744-62) მივიდნენ, დანაშაულის პატიება სთხოვეს და სრული ბეგარა მისცეს (პ.ო. 114). თბილისში შეიკრიბნენ ჯარები – ქართველების, ჩერქეზების, ო-ების, კავკასიელების და 1750, 10 თებერვალს მეფეების თეიმურაზისა და ერეკლეს მეთაურობით განჯაში მდგარი ფანა-ხანის (ყარაბაღის//შუშის ხანი, 1747-1763), წინააღმდეგ დაიძრნენ (პ.ო. 165-66). 1750 მეფეებმა ფანა-ხანი დაამარცხეს, ადრიბეჯანის ქვეყნები დაარბიეს, თბილისში გამარჯვებული დაბრუნდნენ, ამ ბრძოლაში მონაწილე ჯარს, მათ შორის ო-ის ჯარს, საბოძვარი უბოძეს და თავიანთ ქვეყნებში დააბრუნეს (პ.ო. 173). მეფეებმა შეკრიბეს ქართლისა და კახეთის, პირიქითა და პირაქეთა ო-ის, თუშფშაველების, მოხვეე-ხევსურების და ყოველი მთის ჯარები, რომლებიც ქართველ ბატონს (ერეკლე II) ემორჩილებოდნენ და განჯას გაემართნენ, საიდანაც აჯი-ჩალაბის (შაქის ხანი, 1743-55) დამარცხებას გეგმავდნენ (პ.ო. 191). ყაზახისა და შამშადილის საზღვარზე მეფე ერეკლესა და აჯი-ჩალაბის შვილს შორის გამართულ ბრძოლაში, მტერი ქართველთა ჯარის შუაგულში შეიჭრა და ქართველების მხარეს მეომარი ო-ის ჯარი გააქცია, რის შემდეგაც მეფე ერეკლე მთელი ძალით შეტევაზე გადავიდა (პ.ო. 202). მჭადიჯვართან ლეკების დამარცხების შემდეგ, ლეკის ჯარი ისევ განაგრძობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის აოხრებას. მეფეების (თეიმურაზ II, ერეკლე II) მიერ მათ დასახმარებლად მოწვეული ჩერქეზე-

ბის, კალმუხების, ჯიქების, ქისტების, ღლიღვების, ნოლისა და ო-ების ჯარები, თავ-თავიანთი მეთაურებით, ჩამოვიდნენ ანანურს. ისინი იყვნენ სხვადასხვა რჯულის მსახურები, მაჰმადიანები და უფრო მეტად კერპთაყვანისმცემლები, „ავად-მქცეველი და საჭმელთა ფინთთა და არანმიდათა მჭამელი, ზოგნი კარგი, თვალად ტანადნი და ზოგნი დუხჭირნი და ავ-სანახავნი, თმათა-წვერთა უქონელ და ცხვირთა ძნიად ჩენილ, კარგ-ცხენოსან-მოისარნი და ფიცხად-მქცეველი“ (პ.ო. 219). ლეკების წინააღმდეგ საქართველოში მოწვეული ჩერქეზების, კალმუხების, ჯიქების, ქისტების, ღლიღვების, ნოლისა და ო-ების ჯარი მეფეებმა დააყენეს დილომს და ვერის ხეზე. როდესაც ლეკებმა ამის შესახებ გაიგეს, უკუიქცნენ, რის გამოც ეს ჯარი უმოქმედოდ იდგა. ჯარის მეთაურებმა მეფეებს სთხოვეს, ან მტერთან შეებრძოლებინათ ან თავიანთ ქვეყნებში დაბრუნების უფლება მიეცათ. მეფეებმა ბრძანეს მათი უკან დაბრუნება და ჯარის მეთაურებს უბოძეს ოქროსა და ვერცხლის იარაღი და ლარი (საგანძური, საჭურჭლე), ხოლო იმ ო-ებს, რომელთაც ბაგრატიონების მიერ ნაბოძები ჯამაგირის წიგნი ჰქონდათ, განუახლეს და ჯამაგირი უბოძეს. ეს ჯარები საბოძვართი აავსეს და თავიანთ ქვეყნებში გაისტუმრეს. მეთაურებმა მეფეებს აღუთქვეს, რომ მათ პირველივე ბრძანებაზე, ეახლებოდნენ, როგორც მათი ყმები და მათ სამსახურში დაიხოცებოდნენ (პ.ო. 221). როდესაც მთელი დაღესტნის ჯარი ყვარლის ციხეს შე-

მოადგა, მეფეებმა ჩერქეზეთში ჯარის სათხოვნელად რამაზ ანდრონიკაშვილი გაგზავნეს, რის შედეგადაც ჩერქეზების, კალმუხებისა და ო-ების მცირერიცხოვანი ჯარი მოვიდა (პ.ო. 228). ყვარლის ციხესთან ლეკების დამარცხების შემდეგ მეფეებმა მათ მხარეს მეომარ ო-ებს და ჩერქეზებს ლარი უბოძეს (პ.ო. 232) აფხაზეთის (დასავლეთ საქართველო) კათოლიკოსი ბესარიონი (ერისთავი, 1742-69) თავის თავს იხსენიებს, როგორც „პონტო-აფხაზეთა, ოსთა და დვალთა, ლიხთ-ამერ, რაჭა-ოდიშ-გურიათა და ყოვლისა ჩრდილოს კერძოთა ჯვართა მანმინდ-მანათლებელი, ჩრდილოეთის მამათმთავარი კათალიკოზი“ (ისტ. დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია ოდიშის სამთავროებისა, I, 105-106; ქ.ს.ძ., III, 880). ჩონჩოლ-მუსა (დაღესტნის ბელადი) ლიახვზე (მდ. შიდა ქართლში) გავიდა და სამაჩაბლოს ო-ები დაარბია (ო.ხ., თეიმურაზისეული ვერსია, 76). ტორმასოვმა (ალექსანდრე ტორმასოვი, საქართველოს მთავარმართებელი 1809-11) რამდენიმე უდანაშაულო ო. მოაშთო. ისინი დაასმინეს ერისთავებმა, რადგანაც სურდათ „გახრეკაი ოვსთა მათ მსგავსად ჩვეულებისა მათისა“ (თ.ბ. 75). როდესაც მეფე (სოლომონ I, იმერეთის მეფე 1789-1810) ჩავიდა იმერეთში, თან ახლდა მეფის (ერეკლე II) ძის იულონის ძე ლეონი, რომელიც გაგზავნა რაჭის გავლით ლიახვზე, რათა ო-ები აემხედრებინა რუსების წინააღმდეგ. მან შემოიკრიბა ო-ები და მივიდა ცხინვალის მახლობლად. როდესაც ამის შესახებ ქართლის გუბერნა-

ტორმა ახვერდოვმა შეიტყო, რუსის ჯარით ავიდა ცხინვალს, მაგრამ ო-სთან ბრძოლას ვერ გაუძლო და გამაგრდა ცხინვალის ციხეში. მაშინ ო-ებმა გადაწვეს და დაარბიეს ცხინვალის მიდამოები და უკუიქცნენ (თ.ბ. 77). ერმოლოვის (ალექსეი ერმოლოვი, საქართველოს მთავარმართებელი 1816-27) მიერ წარგზავნილმა ერისთავის შვილმა გიორგიმ, 300 რუსითა და ათასამდე ქართველით, მდოვლეთის ტბაზე ო-ებს ბრძოლა გაუმართა. რუს-ქართველთა ჯარი დამარცხდა, დაიღუპა 140 რუსი და 300-მდე ქართველი. ო-მა ხელში ჩაიგდეს მათი ზარბაზანი, რომელიც მათგან 60 თუმნად გამოისყიდეს (თ.ბ. 88). 1770 ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, არაგვის ოსი – ზახას, თრუსოს, ჭვრივს, ხადას და ლუდეს – 1200 კომლი, ქსნის ოსი – 2 000 კომლი, ხოლო მაჩაბლის ოსი – 860 კომლი იყო (ქ.ს.დ., II, 420). 1778 კარბში ჩელტიასთან ხიზნად მყოფი თევდორე ვარძიელაშვილი წერს ერეკლე II-ს, რომ ამ ჩელტიას ძმისწულმა გოგიამ ო-ები ტყვედ დაყიდა. ო-ების პატრონები თევდორეს მიუვარდნენ და ააწიოკეს. ერეკლე II-მ დაავალა სახლთუხუცეს გიორგის, რომ მომჩივანები ო-ებისგან დაეცვა (ქ.ს.დ., VII, 397-98). 1782 განჩინების მიხედვით, თუ ქრისტიანი კაცი ოსს ქალს მისცემდა და დაუმოყვრებოდა, მას მკაცრად მოკითხავდნენ და დასჯიდნენ, ო-ს ცოლად შერთვა კი მხოლოდ ქალის მონათვლის შემთხვევაში შეიძლებოდა (ქ.ს.დ., II, 451). 1782 მეფე ერეკლემ (ერეკლე II) წერილი მისწერა

ფარსადან მაჩაბელს თხოვნით, დაერნ-მუნებინა ო-ები, მონაწილეობა მიეღოთ ქართლში შემოჭრილი ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის სანაცვლოდაც ისინი მეფისგან მიიღებდნენ კარგ გასამრჯელოს (Γ.Δ.Γ., 26). 1785 ზაზა მაჩაბელმა თხოვნით მიმართა ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ რადგან მისი (ხელმწიფის) ბრძანებით ო. ქართლში სახლდებოდა, ნება მიეცა მისთვის ო-ები მის მამულში არ ჩაესახლებინა. ხელმწიფემ ბრძანა, რომ ო-ებმა მამული მაჩაბელს დაანებონ (ქ.ს.დ., VII, 99-100). 1789 ივანე კობერიძე ერეკლე II-ეს წერდა, რომ იგი ო-სა და ლეკისაგან წამხდარი კაცი იყო და ითხოვდა წყალობას (ქსდ, VIII, 21). 1792 თეიმურაზ ფალავანდიშვილი თხოვდა ერეკლე II-ს, რომ რადგან მის მამულში ჩასახლებული ო-ები და „ოსის მომყოლნი კაცნი“ ავაზაკობდნენ და ქურდობდნენ, დაეცალათ მისი მამული (ქ.ს.დ., VIII, 160). 1795 თომა მეღვინეთუხუცესიშვილი წერდა ერეკლე II-ს, რომ როდესაც იულონი (ერეკლე II-ის ძე) ოსეთში ბრძანდებოდა, რომელიც დასაქცევი ციხე იყო, ყველა დააქცევინა (ქ.ს.დ., VIII, 313). 1795 სვეტიცხოვლის ყმები რევაზიშვილები წერენ, რომ მათ მოხუცს ივანე კვალიაშვილმა ო. მიუსია, რომელთაც იგი სასტიკად აწამეს (ძუძუებით ჩამოკიდეს და ფეხის ფრჩხილები დაადრეს) (ქ.ს.დ., VIII, 317). 1795 დათუნა მაჩაბელი წერს, რომ მის კუთვნილ ო-ებს ვინმე ბარძიმი და ზაზა დაეპატრონნენ (ქ.ს.დ., VIII, 321). 1795 ზაალ დავითაშვილი წერს ანტონ II-ს (აღმოსავლეთ საქართველოს კათოლი-

კოსი, 1788-1811), რომ უსჯულო ო-მა საშინლად აიკლეს (ქ.ს.დ., VIII, 337). 1796 გოგია ციციშვილი წერს, რომ მისი ყმა ნიქოზებში (სოფელი ქართლში) ქართველმა და ო-მა შეიპყრეს და 14 ხარად მირზაშვილის სამოურავო ო-ებში გაყიდეს. იქიდან კი შემოუთვალეს, რომ მეორედ უპირებდნენ გაყიდვას (ქ.ს.დ., VIII, 363). 1797 დავით ელიოზიშვილი წერს დედოფალ დარეჯანს, რომ ალა-მაჰმად ხანის დროს მომხდარ არეულობაში მის სახლიკაცს თავისი კაცი დაესხა თავს ო-ის ჯარით, ეკლესია დაუნვა და 500 კოდი პური წაიღო (ქ.ს.დ., VIII, 447). 1799 ხერხეულიძეები წერენ გიორგი XII-ს (ქართლ-კახეთის მეფე, 1798-1800), რომ მათ სოფელში მცხოვრები ორი ო. დავითაშვილის კაცმა ვინმე იმერელმა გაყიდა. ამის გამო ო-ები მათ ემტერებოდნენ. (ქ.ს.დ., VIII, 555). 1800 გოგია ბითაძის ცოლი წერს ხელმწიფეს (გიორგი XII), რომ თავთაქიშვილების მიერ გაყიდული მისი შვილები თავად იყმოს, ოლონდაც ო-ებში მათი გაყიდვის ნება არ დართოს (ქ.ს.დ., VIII, 629). 1800 მროველი (რუისის ეპისკოპოსი) წერს გიორგი XII-ს, რომ თავდების ღვთისმშობლის მონასტერი არა ავი დროის მიზეზით, არამედ უფრო ო-ის გამო დაიცალა (ქ.ს.დ., VIII, 614-13). ბერი გვილიკაშვილი წერს ერეკლე II-ს, რომ გზად ძალინაში მიმავალი თავის თანამგზავრებთან ერთად ო-ებმა შეიპყრეს, შემდეგ კი გაყიდეს. იგი ყარაჯი ო-მა დაიხსნა 9 თუმნად და ჩამოიყვანა, მაგრამ შინ ჩაუსახლდა და თავის თეთრს სთხოვდა. რადგან იგი მაჩაბლისაგან გაყიდული

იყო, სამართალს ითხოვდა (ქ.ს.დ., VII, 438). შიო ბეგიაშვილი წერს იულონ ბატონიშვილს, რომ ო-ებმა მოუკლეს ერთადერთი შვილი, რომელსაც სამი ობოლი დარჩა. თვითონ დაბრმავდა და სთხოვს ობლების დაზრდამდე გადასახადებისაგან გათავისუფლებას (ქ.ს.დ., VII, 753). იესე მსაჯული წერს, რომ ვინმე ფარემუზამ და მისმა ო-მა ყმამ 3 ცხენი, იარაღი, თოფი და ნაბადი მოპარეს. ის ო. ყმა ვინმე ჯაჭისშვილმა ელიზბარმა დაიჭირა და ცხენი წაართვა (ქ.ს.დ., VII, 541).

*ანაქრონიზმია, იმ მიზნით, რომ ავტორმა განადიდოს პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი და გამოაცხადოს ის არდაშირ I-ის შვილად, მირიანისა და მისი ახლო წინაპარი მეფეების მეფობა, რამდენიმე ათეული წლით უკან დახია.

** ხაზართა მოხსენიება ამ პერიოდში ანაქრონიზმია. (იხ. სტ. ხაზარები).

*** XI ს-ის ბიზანტიელი ქრონოგრაფოსის გიორგი კედრენეს ცნობით, მეფე გიორგის მეუღლეს, რომელიც ტომით იყო ალანი (ოსი), სახელად ერქვა ალდე. იგი მიემხრო ბიზანტიის კეისარს და გადასცა ანაკოფიის უმტკიცესი ციხე, მის ვაჟს დემეტრეს კი მეფემ (კეისარმა) უბოძა მაგისტროსის ტიტული (გეორგიკა, ტ. V, თბ., 1963, 58).

თ. ქორიძე

ომარ-ხანი – ავარიელი, ავარიის (ხუნძახის) სახანოს გამგებელი (1774-1801). მისი მმართველობის პერიოდში ავარიის სახანომ გაიფართოვა საზღვრები ავარიის „თავისუფალი თემების“ დაქვემდებარების ხარჯზე. ომარ-ხანის მოხარკეები იყვნენ – დარუბანდის, ყუბანის, შაქის, ბაქოსა და შირვანის ხანები, ასევე თურქეთის ვასალი – ახალციხის ფაშა. 1800 მისი მორიგი ლაშქრობა კახეთზე უკანასკნე-

ლი აღმოჩნდა. მდ. იორთან გამართულ ბრძოლაში ის სასტიკად დამარცხდა და უკან დაიხია ჭარისკენ (კახეთის აღმოსავლეთ ნაწილი). აქ ბელაქანში იგი დასნეულდა და გარდაიცვალა. ო.ხ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941).

ო.ხ. იყო ავარიის ხანი და ხუნძახის ბატონი (ო.ხ. 55). ო.ხ. იყო ნურსალ-ბეგის ძე (თ.ბ. 59). ერეკლესა (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) და თეიმურაზის (თეიმურაზი, ქართლის მეფე 1744-62) მიერ მორიგე ლაშქრის შემოღებამ შეაშინა ლეკები, რის გამოც მოხდა მათი შერიგება დაღესტნის პირველ ბელადებთან და მათ შორის ო.ხ.-თან, რომელსაც თეიმურაზმა და ერეკლემ დაუნესეს ჯამაგირი (ო.ხ. 68-69)*. ახალციხის ფაშა სულეიმანმა ნააქეზა ლეკები „მარბველად ქართლისა“ და საიდუმლო კავშირი დაამყარა დაღესტანში ო.ხ.-თან (ო.ხ. 98). ო.ხ.-მა შეკრიბა დაღესტნის მთელი ჯარი, ჩამოვიდა ჭარში, შემოიკრიბა ჭარელებიც, 20 ათასი ლეკი, გადმოვიდა ალაზნის და მოვიდა ქიზიყის მახლობლად ურდოზე. რადგან ო.ხ. სიღნაღზე აპირებდა გალაშქრებას, მეფე ერეკლე ქართველთა და რუსთა ჯარით გამაგრდა სიღნაღს. ეს რომ ო.ხ.-მა გაიგო, ჯართან ერთად ჩუმად ღამით გაიპარა, დედოფლისწყარო გაიარა და იორზე გადავიდა (ო.ხ. 100). ო.ხ.-მა მდ. მტკვარი გადაიარა, ახტალას მივიდა, ახტალის ციხე აიღო, მადნები აიკლო,

ახტალაში მყოფი ქართველები, ბერძნები და სომხები დაატყვევა, იქიდან კი ახალციხეს წავიდა, სადაც სულეიმან ფაშამ დიდი პატივით მიიღო. ო.ხ.-მა გაილაშქრა სააბაშიოზე, სადაც მეგზურობა სულეიმან ფაშას კაცებმა გაუწიეს. მან აიღო ვახანის ციხე, ციხეში მყოფნი და თავად აბაშიძის ცოლ-შვილი დაატყვევა, ისევე ახალციხეში გაბრუნდა, იქ გამოიზამთრა და მომდევნო წლის შემოდგომაზე, ზამთრის პირს დატოვა საფაშო (ო.ხ. 100; თ.ბ. 59)**. ო.ხ.-მა მის მიერ დატყვევებული აბაშიძის ზოგიერთი სახლიკაცი სულეიმან ფაშას თხოვნით გაათავისუფლა (ო.ხ. 100). ო.ხ.-მა აბაშიძის ორი გაუთხოვარი ქალი – მაია და ელენე თან წაიყვანა, უმცროსი თავად შეირთო ცოლად, უფროსი კი -- შუმის ხანმა იბრეიმა (ო.ხ. 101). 1785 მუცალის ძე ო.ხ. დაღესტნელთა 20 000-იანი ჯარით წამოვიდა საქართველოზე სალაშქროდ და დადგა ალაზნის პირას. მეფე ერეკლე თავისი ჯარით და რუსთა ორი ბატალიონით, რომელსაც პოლკოვნიკი სტეფანე დანიელის ძე ბრეშოვი ხელმძღვანელობდა, დადგა ქიზიყს. ო.ხ. ალაზნის გადმოვიდა. მეფეს (ერეკლე II) მასთან შებმა სურდა, მაგრამ ივანე ნაზირმა ამის ნება არ დართო. ო.ხ. წავიდა იედიბოლუქზე, ყარაიას მტკვარზე გადავიდა, აღჯაყალას მიადგა, მაგრამ ვერ აიღო. ბორჩალოდან აიყარა და ვერცხლის საბადოს მიადგა, რომელიც აიღო, იქ მოსახლე მრავალი ბერძენი ამოწვიტა და დაატყვევა. იქიდან ლორეს მიადგა, მაგრამ ვერ აიღო. ლორედან წამოსული ახალციხეს მივიდა, იქი-

დან კი – ვახანს და 20 დღის შემდგომ აიღო ვახანის ციხე. ევგენ აბაშიძის ქალები დაატყვევა, მრავალი ქრისტიანი ამონყვიტა, დაატყვევა, ისევ ახალციხეს გაბრუნდა და იქ გამოიზამთრა. გაზაფხულზე ყარაბაღს ჩავიდა იბრეიმ-ხანთან, ევგენის ერთი ქალი მას მისცა ცოლად და მეორე თვით შეირთო მეფე ერეკლეს დაუზავდა, რომელმაც წელიწადში 500 თუმანი ჯამაგირად დაუნიშნა (ბ.ბ. 59-60).

ო.ხ-მა ქართლზე გალაშქრება ვერ გაბედა, მეფე ერეკლესთან შეხვედრის შიშით, რის გამოც მთა-მთა, ერევნის მთების გზით ჩავიდა ყარაბაღში, სადაც შუშის ხანი იბრეიმი მიეგება და ყარაბაღში დააყენა ჯარით (ო.ხ. 100) შუშის ხანს იბრეიმს ო.ხ-სთან მეგობრობა ჰქონდა (ო.ხ. 101). იბრეიმ ხანმა შეატყობინა ო.ხ-ს, რომ მეფე ერეკლე მის წინააღმდეგ აპირებდა გალაშქრებას და შველა სთხოვა. ო.ხ-მა ეს რომ შეიტყო, დაღესტნელთა მრავალრიცხოვანი ჯარით ჭარში გადმოვიდა და ქიზიყზე დააპირა გალაშქრება. ო.ხ-მა მეფე ერეკლეს ქიზიყს მისვლის შესახებ რომ შეიტყო, ველარ გაბედა იქ მისვლა, მთელი თავისი ჯარით აიყარა და ქ. შამახიას მიადგა (ო.ხ. 101-102). ო.ხ-მა განვლო გოგჩა და მოაოხრა შამქორი (თ.ბ. 59). 1797 ო.ხ-მა გადაწვა ველისციხე, მუკუზხანი და წავიდა შაქს (თ.ბ. 66). იბრეიმ ხანის (ყარაბაღის//შუშის ხანი) ნაქეზებით ო.ხ. ისევ შემოიჭრა კახეთში და დაიბანაკა „კიდესა ალაზნისასა“. მასთან მივიდა მეფის (ერეკლე II) ძე ალექსანდრე, რადგან ეურჩებოდა მეფეს (გიორგი XII, ქართლ-კახე-

თის მეფე 1798-1800). ნიახურასთან გამართულ ბრძოლაში, სადაც მათ დაუპირისპირდნენ მეფის ძენი – იოანე და ბაგრატი კახეთის მხედრობითა და 600 რუსით, ლეკები (დაახლ. 10 ათასი კაცი) დამარცხდნენ, დიდი მსხვერპლი განიცადეს, შერცხვენილები უკუიქცნენ, გადაიარეს იორი და თავს დაესხნენ განჯას, სადაც ასევე დამარცხდნენ (თ.ბ. 67). ო.ხ. ჩამოვიდა ჭარს 12 ათასიანი ჯარით, მასთან მივიდა ალექსანდრე (ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის ძე), რომელმაც თბილისის აღებისა და თავისი ძმის მეფე გიორგის (გიორგი XII), წარწყმედის მიზნით, წამოიყვანა იგი და დაპირდა ტყვისა და საქონლის მიცემას. ო.ხ. გავიდა ალაზანს. მეფე გიორგიმ მის წინააღმდეგ გაგზავნა თავისი შვილები ბაგრატი, კახთა მხედრობით და იოანე, ორი ბატალიონი რუსის ჯარით. მათ დაიბანაკეს ძველ ანაგაში (სოფელი კახეთში), ომარ-ხანმა კი მის მახლობლად, ყარაღაჯში. ქართველებს ამ ადგილას სურდათ ომი, მაგრამ ო.ხ. აიყარა და საგარეჯოსა და მის გარშემო მდებარე სოფლების დაპყრობის მიზნით, უკანა გზით წავიდა. მას სურდა, საგარეჯო თავის სადგომად ექცია და იქიდან სოფლები ეოხრებინა. მეფის ძენი რუს-ქართველთა ჯარით უკან მიყვნენ და მდ. იორზე, ნიახურად წოდებულ ადგილას შეეხვნენ. სამსაათიან ბრძოლაში ო.ხ. დამარცხდა. 7 ნოემბერს, ოთხშაბათ საღამოს გამართულ ბრძოლაში 500 რუსი და 1500 ქართველი მონაწილეობდა. თენდებოდა მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის დღესასწაული. ღამით

ლეკები გადაიხვეწნენ. დამარცხებული ო.ხ. მივიდა განჯას, სადაც მას ჯავათ-ხანი შეება და დაამარცხა. იქიდან მივიდა ყარაბაღს, იბრეიმ-ხანთან, რომელმაც ის არ ისტუმრა. ო.ხ. უკუიქცა ქარს, სადაც მწუხარების გამო მოკვდა. მეფესთან (გიორგი XII) გაგზავნეს მახარობელი და აცნობეს ეს ამბავი. იმპერატორმა (პავლე I, რუსეთის იმპერატორი 1796-1801) ო.ხ-ის დამარცხებისთვის მეფის ძეები იოანე და ბაგრატო დააჯილდოვა წმ. იოანე ნათლისმცემლის მალთის კავალერიით, ასევე დააჯილდოვა რუსი გენერლები და ოფიცრები, რომელთაც უბოძა ბაირალები წარწერით „ძღვეისათვის ავარიისა ომარ ხანისა“ (ბ.ბ. 73-75). 1800 მეფე გიორგიმ (გიორგი XII) მოაქვდინა ბოჭორმად წოდებული წმ. გიორგის ხატი, რომლის ძალითაც დამარცხდა ო.ხ. (ბ.ბ. 74) მეფის ძე ალექსანდრეს მოკავშირე ყვარელთან სექტემბერში (1812) პოლკოვნიკ ტიხანოვსკის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში, იყო ო.ხ-ის ნათესავი ალი სკანტი, რომელმაც 3 000 ლეკით მიიღო მონაწილეობა წარმატებით დასრულებულ ამ ბრძოლაში (თ.ბ. 85).

* ტექსტში გარკვეულ ანაქრონიზმს აქვს ადგილი. მორიგე ლაშქარი ერეკლე II-მ თეიმურაზ II-ის გარდაცვალების (1762) შემდეგ, 1774 წელს შემოიღო.

** თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ეს მოხდა 1785 წელს.

თ. ქორიძე

რავშალა – ყარსის (კარის) ამირა (XVIII ს-ის 30-იანი) რ. იხსენიება ყარსის ციხის კოშკის 1238 საამშენებლო წარწერაში (ვ. სილოგავა, ყარსის ციხის ერთი ქართული წარწერა, მაცნე, ისტორიის... სერია, №1, 1980). წარწერაში აღნიშნულია, რომ 1238 (ქორონიკონი ვნჰ), რუსუდანის (საქართველოს მეფე 1223-45) მეფობაში, მისი ზეობის მეთექვსმეტე (ივ) წელს, კარის ამირა რ-მ ააშენა კოშკი. წარწერა მიუთითებს, რომ 1238 წლისათვის, მიუხედავად მონღოლთა ბატონობისა, კარი ისევ საქართველოს შემადგენლობაშია, რომლის მართვა – გამგებლობას ახორციელებს საქართველოს მეფე მის მიერ დანიშნული მოხელის – ამირას მეშვეობით. ამასვე ადასტურებს ყარსის ციხის სომხური წარწერებიც (ვ. ს. 161-174).

გ. ოთხმეზური

რანი (პრანი) – კავკასიის ალბანეთის* ტერიტორიის აღმნიშვნელი არაბიზირებული სახელწოდება (არ-რანი). შუა საუკუნეების (IX ს-დან) წყაროების მიხედვით არანი მოიცავდა მდ. მტკვრისა და მდ. არაქსის შუამდინარეთის ველის რაიონს (ახლანდელი მილის ველი) ქალაქებით: ბარდა (ცენტრი), განჯა, ბელაქანი (პაიტაკარანი). არანიდან წარმოდგება ადგილობრივ მმართველთა დინასტიური ტიტული „არანშაჰი“. რ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ

გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973).

რ-ი არის ყარაბალი (ვ. ბ. 205, 269, 632). თემურ-ლენგი (შუა აზიის მბრძანებელი 1370-1405) მოვიდა რ-ში „ან ყარაბალად წოდებულსა“ (ვ. ბ. 269). თარგამოსი (ბიბლიური პერსონაჟი, კავკასიელ ხალხთა ეთნარქი) იყო მამა რ-თა და მოვაკნელთა... (ლ. მ. 5). ხაზართა** მეფემ კავკასიის დალაშქვრის შემდეგ თავისი მამის ძმისწულს მისცა „რანი და მოვაკანი“ (ლ. მ. 12). ქართლის მეფე ადერკის (დაახ. ძვ.წ. II ს.) კურთხევას დაესწრნენ სომხები და „სპარსნი რანისანი“ (ლ. მ. 35). როდესაც სპარსეთის მეფემ „ქასრემ“*** შეინყნარა ქართველთა თხოვნა და თავის შვილს მიჰრანს (მირიანი, ქართლის მეფე IV ს. I ნახ.) შერთო ქართველთა მეფის ასფაგურის ასული, დასვა მირიანი მცხეთას და მისცა: ქართლი, რ., მოვაკანი, ჰერეთი (ლ. მ. 64, 65, 67, 70; ვ. ბ. 71). მირიან მეფის სიძე ფეროზი, რომელსაც მირიანმა მისცა „რანი ბარდავამდინ“ არ მოინათლა. წმ. ნინო „წარემართა რანისაკენ“, რათა ფეროზი ქრისტეს სჯულზე მოექცია (ლ. მ. 117, 126; ვ. ბ. 93). ბაქარ მირიანის ძემ (ქართლის მეფე IV ს. 40-60-იანი) თავის დის ქმარს ფეროზს, მირიანის მიერ მიცემული ქვეყანა „რანი ბარდავამდი“ გაუცვალა სამშვილდიდან ვიდრე აბოცის (ქართული ისტ. პროვინცია ჯავახეთის სამხრეთით) თავამდე ტერიტორიაში (ლ. მ. 130-31). ბაქარმა გაამრავლა ეკლესი-

ები რ-ში (ლ. მ. 131). ქართლის მეფეს ვარაზ-ბაქარს (IV ს. 70-80-იანი) ირანის გამგებელმა მოსთხოვა რ-ი და მოვაკანი, რადგან მისი თქმით, ეს ტერიტორიები სპარსეთის საზღვარზე იყო. აქ ცხოვრობდნენ „სრულიად შვილნი სპარსთა მეფეთანი“. ვარაზ-ბაქარმა შიშის გამო ვერაფერი თქვა და დათმო რ-ი (ლ. მ. 136; ვ. ბ. 96). ქართლის მეფემ არჩილ მირდატის ძემ (V ს. 20-30-იანი) „განაცხადა მტერობა სპარსთა“. მაშინ სპარსეთის ერისთავი, რომელიც ერისთავობდა (პიტიახში) რ-სა და მოვაკანს, წამოვიდა არჩილის წინააღმდეგ. არჩილი მტერს ქართლის საზღვართან, მდ. ბერდუჯთან (მდ. ძეგამჩაი, დღ. აზერბაიჯანში) შეებრძოლა, დაამარცხა, შევიდა რ-ში, მოაოხრა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა (ჯ. 140). შემდეგ არჩილი ხშირად აოხრებდა რ-სა და მოვაკანს, რ-ის ერისთავი კი წინააღმდეგობას ვერ უწევდა (ვ. ბ. 98, 99). ქართლის მეფემ მირდატ არჩილის ძემ (V ს. 30-50-იანი) გააძლიერა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლა და ხშირად აოხრებდა რ-სა და მოვაკანს. რადგან სპარსელები დაკავებულები იყვნენ ინდოეთში ბრძოლით, მირდატის წინააღმდეგ ჯარს ვერ აგზავნიდნენ (ჯ. 141; ვ. ბ. 98). იმ დროს რანის ერისთავი იყო ბარზაბოდი. მან, მართალია, ციხეები გაამაგრა, მაგრამ ქართველებს წინააღმდეგობას მაინც ვერ უწევდა. ბარზაბოდს ჰყავდა მშვენიერი ასული საგდუხტი. მირდატმა, როდესაც მისი სიმშვენიერის ამბავი გაიგო, იგი ცოლად ითხოვა. რ-ის ერისთავი დიდი სიხარულით შეხვდა ამ ამბავს (ჯ. 142; ვ. ბ. 99). მირდატის გარდაცვალების

შემდეგ საგდუხტი ეახლა თავის მამას, რ-ის ერისთავს, ბარზაბოდს, ქ. ბარდავში და მისი მცირეწლოვანი შვილის, ვახტანგის (ვახტანგ გორგასალი, ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე) ქართლის ტახტზე აყვანა სთხოვა. (რანის ერისთავები, პიტიახშები ამიერკავკასიაში განასახიერებდნენ ირანის ხელისუფლებას) ბარზაბოდი დასთანხმდა (ჯ. 144). ოსებმა დალაშქრეს ქართლი, სხვებთან ერთად ვახტანგ მეფის სამი წლის და დაატყვევეს, „ჩავლეს რანი და მოვაკანი“ და დარუბანდის გზით უკან გაბრუნდნენ (ჯ. 146). როდესაც ვახტანგ გორგასალი თხუთმეტი წლის შეიქმნა, ოსეთზე გალაშქრება გადაწყვიტა და თავის დედის ძმას, რ-ის ერისთავს, ვარაზ-ბაკურს დახმარება სთხოვა. ვარაზ-ბაკურმა 12 000 მხედარი სიხარულით გამოუგზავნა, რადგან ოსები რ-საც აოხრებდნენ (ჯ. 150). რ-ის გოლიათი ფარსმან ფარუხი, რომელიც ვახტანგ გორგასლის ლაშქარში იყო, ორთაბრძოლაში გამოიწვია ხაზართა ბუმბერაზმა თარხანმა, რომელმაც მას თავი გაუპო და მოკლა (ვ. ბ. 102-103). ვახტანგ გორგასალი სპარსეთის შაჰის ბრძანებით იბრძვის საბერძნეთის (ბიზანტია) წინააღმდეგ. მას ამ ბრძოლაში ეხმარება თავისი ბიძა რ-ის ერისთავი ვარაზ-ბაკური მოვაკანის, რ-ისა და ადარბადაგანის 200 000 კაციანი ჯარით. ვახტანგს პეროჟაკავას ციხესთან (სავარაუდოდ, ქართლისა და სომხეთის საზღვარზე), რომელიც რ-ის ერისთავმა ფეროზმა (იგულისხმება მირიან მეფის სიძე) ააშენა, შეუერთდნენ სომხებიც (ჯ. 159). ვარსკენ პიტიახში (ქვემო ქართლის პიტი-

ახშს ნიშნავდა ირანის შაჰი. V ს. 60-80-იანი) სპარსეთის შაჰმა დანიშნა რ-ის ერისთავად (ჯ. 216; ვ. ბ. 118). ვარსკენ პიტიახშის გარდაცვალების შემდეგ სპარსეთის მეფემ (სპარსეთის შაჰი პეროზი 459-84) რ-ის და მოვაკანის ერისთავად გამოაგზავნა დარელ და „უბრძანა, რათა კეთილად მეგობრობდეს ქართველთა“ (ჯ. 216-217). სპარსეთის მეფემ ურმიზდმა (ირანის შაჰი ჰორმიზდ IV, 579-90) რ-ი და მოვაკანი მისცა თავის ძეს ქასრე ამბარვეზს (ირანის შაჰი ხოსრო II ფარვიზი 591-628, მან რ-ი დატოვა 570-იან წლებში), (ჯ. 217; ვ. ბ. 118). ჰერაკლე კეისარმა (ბიზ. იმპ. 610-41) გამოიარა გზა რ-ისა და მეორედ (628) შემოვიდა ქართლში (ჯ. 231). მურვან-ყრუს (მარვან II იბნ მუჰამადი. უკანასკნელი ომანიანი ხალიფა, 744-50) შემოსევის შედეგად „ქმნა მას ჟამსა გარყუნულ ქვეყანა ქართლისა, სომხეთისა და რანისა“ (ჯ. 239; ვ. ბ. 124). თბილისის ამირამ, ჰუმედ ხალილის ძემ, „ნებიერად დაიპყრა ყოველი ესე ქუეყანა: სომხეთი, ქართლი, რანი“ (მ. ქ. 257). ბაგრატმა (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) მოაოხრა რ-ი (მ. ქ. 280). ბაგრატმა (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) თავისი დისწული შერთო „სპარსთა მეფესას სულტანსა“, რომელმაც სამი წლის შემდეგ გამოიარა რ-ი და ფარულად შემოვიდა ჰერეთს (მ. ქ. 308; ვ. ბ. 150). ბაგრატმა გაილაშქრა განძის ამირა ფადლონის (ფადლ იბნ შავურ II, 1067-73) წინააღმდეგ, შევიდა რ-ში და მოაოხრა (ვ. ბ. 145). ქ. შამახიაში გამაგრებულ სულთანთან (მუჰამად იბნ მუჰამად, ირანის სასულთნოს მმართველი 1117-31) და-

სახმარებლად მიმავალ რ-ის ათაბაგს – ალსუნლულს (აკ-სონკურ-ი ახმადილი) დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) გზაში ამოუწყვიტა 4 000 მხედარი (1124), (დ. ი. 344, ვ. ბ. 161). გიორგი რუსმა (იური ბოგოლიუბსკი, მეფე თამარის (1184-1207/10) პირველი ქმარი) აიღო რ-ის ქვეყანა (ვ. ბ. 181). ლაშა-გიორგის (საქართველოს მეფე 1207/10-23) დაბადების აღსანიშნავად (1193) ქართველებმა მოაოხრეს რ-ი და აიღეს ქ. ბარდა (ვ. ბ. 179). „რომელმა ნოინმაც დაიპყრო ადარბადაგანი, მანვე დაიპყრო რ.“ (ალბათ იგულისხმება ჩორმაღან ნოინი, რომელიც 1235 წლიდან ლაშქრობს ალბანეთის ქვეყნებზე), (ვ. ბ. 258). გიორგი (გიორგი V, საქართველოს მეფე 1318-46) შევიდა რ-ში და ხარკი დაადო (ვ. ბ. 256, 259, 260). ალექსანდრემ (ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-42) რ. და მოვაკანი მოხარკედ გაიხადა (ვ. ბ. 280). გიორგის (გიორგი VIII, საქართველოს მეფე 1446-66) ხარკს უხდიდნენ რ-ი და შირვანი (ვ. ბ. 283).

* კავკასიის ალბანეთი, ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო აღმ. ამიერკავკასიაში. მოიცავდა ახლანდელი აზერბაიჯანის რესპუბ. ტერიტორიას და დაღესტნის სამხრეთ ნაწილს.

** ამ პერიოდში ხაზართა მოხსენიება ქართულ წერილობით წყაროში ანაქრონიზშია. ხაზარებმა საკუთარი გაერთიანებები ჩრდილო კავკასიაში მხოლოდ ახ. წ. VII ს-ის შუახანებში შექმნეს (იხ. სტ. ხაზარები).

*** ქასრე ანუ შირვან სასანიანის (სასანიანთა დინასტიის დამაარსებელი არდაშირ I. ტახტზე იჯდა 226-41) წყაროში ხსენება სამეც. ლიტ. ანაქრონიზმად მიაჩნიათ.

ქ. ნადირაძე

რაჯაბა – ლეკთა ბელადი (XVIII ს. მე-2 ნახ.) რ. იხსენიება: 1774, 23 თებერვალს ერეკლე II-ის (ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) მიერ გაცემულ საბუთში („ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797“, 2008). საბუთიდან ირკვევა რომ სოლომონ I-მა, იმერეთის მეფემ (1752-84) დაატყვევა ლეკთა ბელადი (ლეკები შეესივნენ იმერეთს და აანიოკეს) რ. და „ყარაულების“ თანხლებით ერეკლეს გამოუგზავნა (გვ. 97. ფ. 1461, რვეული 12, საბ. №97).

ქ. ნადირაძე

რიზა-ყული ბეგი – განჯის ხანის შავერდის ძმა (XVII ს. II ნახ.). რ.ყ. ბეგი იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

განჯის ხანი შავერდი აგზავნის თავის ძმას რ.ყ. ბეგს ქართლში თეიმურაზ II-თან (ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლე II-თან (კახეთის მეფე 1744-62, ქართლის მეფე 1762-98) და სთხოვს დახმარებას ფანა-ხანის (ყარაბაღის ხანი 1747-63) წინააღმდეგ (პ.ო. 165). თეიმურაზმა და ერეკლემ აიღეს აზერბაიჯანის ქვეყანა. შავერდი ხანმა მათ ათი ათასი თუმანი გაუგზავნა რ. ყ. ბეგის ხელით (პ.ო. 171). განჯის ხანის მაჰმად-ასან-ხანის ბიძა იყო რ.ყ. ბეგი, რომელიც იყო მძევლად სპარსეთში ქერიმ ხანთან (ქერიმ ხან ზენდი, ირანის გამგებელი 1753-79). უკან დაბრუნებული რ.ყ. ბეგი ძმისშვილმა აღარ შეუშვა განჯაში. ერეკლე II-მ მისწერა წერილი მაჰმად-ასან-ხანს და მოუწო-

და მშვიდობა დამყარებულიყო მათ შორის. მან არ ისმინა, მიიწვია თავისთან და თვალეები დასთხარა ბიძას რ.ყ. ბეგს (თ.ბ. 56).

ე. კვაჭანტირაძე

რუსუდანი – ჩერქეზი წარჩინებული ასული. რ. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973). ვახუშტის ერთი ცნობით, გიორგიმ (გიორგი XI, ქართლის მეფე 1678-88, 1703-09) ჩერქეზის ბატონის ასული რ. მოიყვანა თავისი ვაჟისათვის, მაგრამ თავის ძმისშვილს ვახტანგს მიათხოვა, ხარაგაულში წაიყვანა და მცირე ქორწილი გაუმართა (ვ.ბ. 474). სხვა ადგილას ვახუშტი რ-ს გიორგი XI-ის ცოლად ასახელებს (ვ.ბ. 815).

ე. კვაჭანტირაძე

საბა – ჯიბლუ ხაკანის მამა (გ. 590). თურქთა დასავლეთი კაგანატის აშინას დინასტიის უფლისწული (ქართული წყაროს მიხედვით ხაზართა ხაკანი). ს. იხსენიება: ჯუანშერი, „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ. ც. I, 1955).

„ს, თურქთა მეფე“ დაიღუპა ირანის წინააღმდეგ თურქთა ლაშქრობისას (ჯ. 220).

გ. ოთხმეზური

საბდუხტი – ვახტანგ გორგასლის (ქართლის მეფე V ს. II ნახ.) დედა. ს. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ს. იყო ბარზაბოდის (ირანელი მოხელე, ქართლ-ალბანეთის მარზპანი) სილამაზით განთქმული ასული. არჩილის (ქართლის მეფე V ს. 20-30-იანი წწ.) ვაჟმა მირდატმა (ქართლის მეფე V ს. 30-50-იანი) შეიტყო მისი მშვენიერების შესახებ და სთხოვა მამას მოეგვარა მისთვის ცოლად ს. (ჯ. 141). ს. მოიყვანეს მცხეთაში და გაიმართა დიდი ქორწილი. ს. დედოფალმა გამოიკითხა ქრისტეს სჯული, მას უთარგმნეს სახარება. ს-მა დაგმო ზოროასტრიზმი და ქრისტიანად მოინათლა. მან ააშენა სამშვილდის სიონი. ს-ს ეყოლა ორი ასული: ხუარანძე და მირანდუხტი, და ერთი ვაჟი ვახტანგი (ჯ. 142-3). ქმრის სიკვდილის შემდეგ შეშინებული, რომ მამას არ დაესაჯა ქრისტიანობის მიღებისათვის და არ ემტრო მისი ვაჟისათვის, ს. წავიდა ბარდავში მამასთან, მუხლი მოიყარა, ძუძუები ამოყარა, ფეხებზე ეამბოროებოდა მას და ითხოვდა მისგან არ აეძულებინა ქრისტიანობის დატევება, არ ევნო ვახტანგისათვის, რომელიც სასანიანთა ირანის ქვეშევრდომად დარჩებოდა. ბარზაბოდმა შეინწყალა ასული და ყველა თხოვნა შეუსრულა. წამოვიდა ს. დედოფალი ქართლში და განაგებდა ქვეყანას მამის ძალით და შეწევნით (ჯ. 144-5).

ე. კვაჭანტირაძე

სალომე უჯარმელი – სომხეთის მეფე თრდატ III-ის (298-330) ასული, ქართლის მეფე მირიანის (IV ს. I ნახ.) ძის რევის მეუღლე. ს. უ. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (დ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, (ქ.ც. IV, 1973).

კონსტანტინე დიდმა (324-37) დაამოყვრა სომხეთისა და ქართლის მეფეები – თრდატი და მირიანი; თრდატის ასული ს.უ. ცოლად შერთეს მირიანის ძეს რევს. (ლ.მ. 70). ს. უ-მა მძიმედ დასწულებულ წმიდა ნინოს სთხოვა მოეყოლა, თუ როგორ მოვიდა ქართლში (მოქ. ქ., 105); მეფე მირიანმა რევსა და მის მეუღლე ს. უ-ს რეზიდენციად უბოძა უჯარმა (ლ.მ. 71; ვ.ბ. 90). წმიდა ნინოს ცხოვრება აღწერა მორწმუნე დედოფალმა, მეფე მირიანის ძის ცოლმა, თრდატ სომეხთა მეფის ასულმა ს. უ-მა. (ლმ, 72) წმიდა ნინომ ბრძანა, რომ ერთი ჯვარი გადაეცათ ს. უ-თვის, რათა მას ის აღემართა ქალაქ უჯარმას (ლმ, 121). ს. უ-მა უჯარმას აღმართა ჯვარი (ვბ, 90). რევი და ს. უ. მივიდნენ დაბა ბოდს დასწულებული წმიდა ნინოს სანახავად და ამის შესახებ აცნობეს მეფესა და დედოფალს (ლ.მ. 126; ვ.ბ. 93). ს. უ-მა და პეროჟავრ სივნელმა ჩაწერეს წმიდა ნინოს ცხოვრება (ლ.მ. 127; ვბ, 93). მეფე ბაქარმა // ბაკურმა (337-357) ძმისწულებთან და მათ დედასთან ს.უ-თან „ხელით-წერილი“ დადო (ლ.მ. 131).

თ. ქორიძე

სარა ბეთლემელი // სარა ნი-აფორი – დვინელი სომეხი, IV ს-ის პირველი ნახევრის მოღვაწე, ნიაფორი (სჯულის მასწავლებელი). ს. ბ. იხსენიება: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (დ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963); ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

წმიდა ნინოს დედა სუსანა იერუსალიმში ემსახურებოდა ნიაფორს ს. ბ-ს (მოქ. ქ., 107; ლ.მ. 72; ვ.ბ. 73). წმიდა ნინო ორი წელი ემსახურებოდა დვინელ სომეხ დედაბერს ს. ბ-ს. მან უამბო წმიდა ნინოს იესო ქრისტეს ჯვარცმის, ვნებების, დაფლვის, აღდგომის, მათი მნიშვნელობისა და იესო ქრისტეს სამოსელის შესახებ (მოქ. ქ., 110). ს. ბ-მა ურჩია იერუსალიმის პატრიარქ იუბენალს, რომ მას მისი და, სუსანა ცოლად მიეთხოვებინა ბრანჯთა განმანათლებლის ზაბილონისთვის (ლ.მ., 75-76). ს. ბ-მა აუწყა წმიდა ნინოს ქალაქ მცხეთის ანუ უფლის სამოსელის ადგილსამყოფელის შესახებ (ლ.მ., 78-79); ს. ბ-მა ჰკითხა ეფესოდან მოსულ ქალს დედოფალ ელენეს (რომის იმპერატორ კონსტანტინე I-ის დედა) სარწმუნოებრივი მდგომარეობის შესახებ (ლ.მ. 79). წმიდა ნინომ სთხოვა ს. ბ-ს, რათა იგი გაეგზავნა დედოფალ ელენესთან (ლ.მ. 79). ს. ბ-მა დედოფალ ელენესთან წმიდა ნინოს მისვლის სურვილის შესახებ ამცნო იერუსალიმის პატრიარქს (ლ.მ. 79). ს. ბ-გან წმიდა ნინომ ისწავლა ცოტაოდენი სომხური (ლ.მ. 85).

თ. ქორიძე

სარანგი ალსაზი – თურქ-სელჯუკთა სარდალი, განძის გამგებელი (XI ს.). ს.ა. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955).

ბაგრატმა (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) დაამარცხა და შეიპყრო ფადლონი (ფადლონ II, ფადლიბნ შავური, განძის ამირა 1067-73). ალფ-არსლანმა (სელჯუკთა სულთანი 1063-72) მოციქულად გაუგზავნა ბაგრატს ს.ა. მისი შუამდგომლობით ბაგრატმა გაუშვა ფადლონი განძაში, მასთან გაყვა ს.ა. (მ.ქ. 312). მალიქ-შაჰმა (სელჯუკთა სულთანი 1072-92) აიღო განძა და გამგებლად ს.ა. დანიშნა. ს.ა. იბრძვის გიორგის (გიორგი II, საქართველოს მეფე 1072-89) წინააღმდეგ. ფარცხისთან (სოფ. ქვემო ქართლში) ბრძოლაში გიორგი II-მ აღსართანის (აღსართან I, ჰერეთ-კახეთის მეფე 1058-84) დახმარებით დაამარცხა ს.ა., გააქცია, მხოლოდ მწუხრის ჟამმა და სიბნელემ გადაარჩინა ს.ა.-ის ლაშქარი (მ.ქ. 317; დ.ი. 318).

ე. კვაჭანტირაძე

საჰაკ (შაჰაკ) – სომეხთა კათოლიკოსი (387-438), ტრადიციით, გრიგოლ განმანათლებლის შვილიშვილის შვილიშვილად ითვლებოდა. ს-მა მხარი არ დაუჭირა 428, ირანის შაჰის ბრძანებით, სომხეთის სამეფო ტახტიდან ჩამოგდებული უკანასკნელი არშაკუნიანი მეფის, არტაშეს III-ის (423-28) წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულებას, რის გამოც თვითონაც „გადააყენეს პატრი-

არქობიდან“ და ირანის გზას გაუყენეს. შეწყდა როგორც არშაკიდთა მეფობა, ისე გრიგოლ განმანათლებლის შთამომავალთა პატრიარქობა. ასეთ აღსასრულს ქალკედონური წყაროები მათი მართლმადიდებლური სარწმუნოებიდან განდგომის სამართლიან შედეგად თვლიან. ს. იხსენიება: არსენ საფარელი, „განყოფისთვის ქართველთა და სომეხთა“ (1980).

აღესრულა წმიდა ს-ის ჩვენება, რომელმაც იხილა ოქროს ბირთვი და ინაფორი წმიდა საკურთხეველზე, რამეთუ არშაკუნიანთა მეფობის აღსრულებასთან ერთად, ბოლო მოეღო წმიდა გრიგოლის შთამომავალთა მღვდლობასაც (ა.ს. 83). ს. იყო გრიგოლის შვილიშვილი (არსენ საფარელი გულისხმობს გრიგოლ განმანათლებელს // პართელს), (ა.ს. 86). ს-მა თავის მოწაფეებთან ერთად თარგმნა პირველი ქრისტიანული წიგნები (ა.ს. 86). სომეხი აზნაურები და ერისკაცები, ეკლესიის წინამძღოლთა მიბაძვით, განემორნენ წმიდა ს-ის მიერ დადგენილ კანონებს (ა.ს. 87).

თ. ქორიძე

საჰაკ მღვდელი - მისი მოღვაწეობის ზუსტი დრო უცნობია (სავარაუდოდ VII). იყო სომეხი, ქალკედონიტი. ს. მ. იხსენიება : „მარტვილობად დავითისა და ტირიჭანისა“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

როდესაც დავითისა და ტირიჭანის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ, ნერსე სომეხთა კათოლიკოსი ნერსე III, გაემართა ტირიჭანის წამების ადგი-

ლას, დივრს, მან თან გაიყოლა ს. მ. და-
ნარჩენ ორ მღვდელთან – გრიგოლთან
და იოვანესთან ერთად (191).

თ. ქორიძე

საპინჯი – ყივჩაყთა მეფე (XI ს.).
ს. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი
შარავანდელთანი“ (ქ.ც. II, 1959); ვა-
ხუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფო-
სა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

მეფე თამარის (საქართველოს მე-
ფე 1184-1207/10) მომავალი ქმარი
(იური ბოგოლიუბსკი, ნოვგოროდის
მთავარი 1172-75) ბიძამ – სავალათმა
(ვსევოლოდი) ქვეყნიდან გააძევა და
ყივჩაყთა მეფე ს-თან აფარებდა თავს
(ი.-ა. 36). აზერბაიჯანის ათაბაგის –
აბუ-ბექრის (აბუ ბაქრი) წინააღმდეგ
შამქორის ბრძოლაში (1195) ქართველ-
თა მხარეს იმყოფებოდა ს-ის ძმა – სა-
ვალათი (ი.-ა. 64). „მაშინ ძმა ყივჩაყთა
მეფისა სევენიჩი წინაშე (მეფე) თამა-
რისა იყო სპითა დიდითა წვეული“ (ვ.ბ.
182. ვ.ბ-ს სევენიჩი მიაჩნია ყივჩაყთა მე-
ფის ძმად).

ქ. ნადირაძე

სანაქარიში – სენექერიმ არ-
წრუნი, ვასპურაკანის სამეფოს უკა-
ნასკნელი გამგებელი (990-1021), სელ-
ჯუკთაგან შევენირობულმა ს-მა 1021
თავისი სამეფო ბიზანტიას გადასცა,
თვითონ კი ოჯახით კაპადოკიაში გა-
დასახლდა. ს. იხსენიება: „მატიანე
ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ბაგრატის (ბაგრატი IV, საქართვე-

ლოს მეფე 1027-72) დედა მარიამი იყო
ს-ის ასული (მ.ქ. 299).

ე. კვაჭანტირაძე

სპიაჯა (სვიაჟა) – ქალაქი ყივ-
ჩაყეთში, ყაზანის მხარეს, მდ. ედილის
ზედა წელზე. ს. იხსენიება: ვახუშტი ბა-
ტონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქარ-
თველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

საქართველოში ჩამოყვანამდე
ს-ში იმყოფებოდა თამარ მეფის პირ-
ველი ქმარი გიორგი რუსი (იური ბოგო-
ლიუბსკი), (ვ. ბ. 173, სქ. 1).

გ. ოთხმეზური

„სომეხთა მეფე“ – საქართვე-
ლოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება
„ს.მ.“ ჩნდება XII ს-დან. პირველი მეფე
რომელიც ამ ტიტულს ატარებდა იყო
დავით აღმაშენებელი. ეს ინფორმაცია
აღნიშნულია: დავით აღმაშენებლის
მონეტის და საალამო ჯვრის წარწე-
რებში (დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზ-
მატიკის სიახლენი, კავკასიის ხალხთა
ისტორიის საკითხები, 1966), ქართველ
მეფეთა სიგელებში (ქართული ისტო-
რიული საბუთების კორპუსი, I, 1984;
პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I,
1991).

პირველად „ს.მ“-დ იწოდა დავით
აღმაშენებელი: „მეფე აფხაზთა, ქარ-
თველთა, რანთა, კახთა, ს., შარვანშა
და შაჰანშა (დ. ი. 64), ხოლო შემდგო-
მი პერიოდის საქართველოს მეფეები
იწოდებოდნენ – „მეფე აფხაზთა, ქარ-

თველთა, რანთა, კახთა, ს. შარვანშა და შაჰანშა“ (ქ.ი.ს.კ. I. №12, 14, 20, 22, 23, 37, 39, 41, 42; პ.ა.ლ. I, 212-359).

გ. ოთხმეზური

სომეხი // სომეხები – სამხრეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობა. სომეხები თავის თავს ჰაიებს, ხოლო თავიანთ ქვეყანას ჰაიასტანს ეძახიან. ქართველების გარდა, რომლებიც მათ სომეხებს უწოდებენ, ყველა სხვა ხალხი არმენების სახელით იხსენიებს. დღევანდელი სომეხები ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხია, რომლებიც ძვ.წ. XII ს-ში ე.წ. „ზღვის ხალხების“ შემოსევების დროს მცირე აზიაში დამკვიდრდნენ და იქ ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. ძვ. წ. IX-VII სს-ში სომეხები ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე შევიდნენ და იქ განსახლდნენ. ძვ.წ. VI ს-ის 90-იან წლებში, ურარტუს სამეფოს დაცემის შემდეგ სომეხებმა მის ნანგრევებზე თავიანთი სახელმწიფო შექმნეს. ს-ები იხსენიებიან: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, „მატიანე ქართლისა“, (ქ.ც., I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდვარი „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე ტექსტი (ქ.ც., II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973); „მარტვილობა შუშანიკისი“; „მოქცევა ქართლსა“, „მარტვილობა დავი-

თისა და ტირიჭანისა“, „წამება ნმდისა მონამისა გობრონისი, რომელი განუტევეს ყველის ციხით“ (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963); გიორგი მცირე „ცხოვრება და მოქალაქეობა გიორგი მთაწმიდელისა“ (დ.ქ.ა.ლ.დ., II, 1967); „გობრონის წამება“; „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“; „წამება ელიზბარისი, შალვასი და ბიძინასი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., IV, 1968); ბესარიონ ორბელიშვილი „ლუანლი ნმდისა და სანატრელისა მონამისა და მეფისა ლუარსაბისი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., V, 1989), არსენ საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1925); სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაკუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983). ისტორიული საბუთები (ქრონიკები, III, 1967; ქ.ს.დ., II, 1965 ; VII, 1981; VIII, 1985; ქართულსპარსული ისტ. საბუთები, 1955; პ.ა.ლ. I). მცირე ქრონიკები (1968); ახალქალაქის ეპიგრაფიკული წარწერა (ს. მაკაულათია, თეძმის ხეობა, 1959).

ქართველებსა და ს-ებს საერთო წინაპარი ჰყავდათ, სახელად თარგამოსი (ლ.მ., 3). ქართველები სპარსთა მეფის ქეკაპოსის მოხარკენი იყვნენ. თურქებთან ბრძოლის გამო, იგი მოუცლელი შეიქმნა, რითაც ს-ებმა და ქართველებმა ისარგებლეს, მას განუდგნენ, თავიანთი ციხე-ქალაქები გაამაგრეს და „ყოველნი ნათესავნი თარგამოსიანნი“ (კავკასიელები) ნებროთიანების (სპარსელების) წინააღმ-

დეგ გაერთიანდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ქეკაპოსმა ს-თა, ქართველთა და საერთოდ, თარგამოსიანთა მოდგმის (კავკასიელი ხალხის) წინააღმდეგ თავისი ძე ფარაბოროტი დიდი ლაშქრით გამოგზავნა. თარგამოსიანები გაერთიანდნენ, ფარაბოროტი დაამარცხეს და მისი სპა გაანადგურეს. რამდენიმე წლის შემდეგ ქეკაპოსმა ს-თა, ქართველთა და ყოველთა თარგამოსიანთა წინააღმდეგ თავისი ძმისწული ქაიხოსრო გამოგზავნა. იმის გამო, რომ მას დიდი ჯარი ჰყავდა, ს-ებმა და ქართველებმა წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, ქაიხოსრომ სომხეთი და ქართლი მოაოხრა. რამდენიმე წლის შემდეგ სპარსთა მეფე ვაშტაშაბმა თავისი ძე სპანდიატ-რვალი გამოგზავნა. ს-მა და ქართველებმა ციხე-ქალაქები გაამარცხეს და მის შემოსვლას დაელოდნენ. ადარბადაგანს მოსულმა სპანდიატ-რვალმა, რა შეიტყო მისი მამის მამის (ბაბუის) თურქთა* მიერ მოკვლისა და თურქთა სპარსეთში შეჭრის შესახებ, უკან გაბრუნდა. მაშინ ს-ები და ქართველები სპარსელებისაგან გათავისუფლდნენ (ლ.მ., 14-16). ქართლის მეფე ფარნაჯომი (ძვ.წ. II ს. I ნახ.) ტაშირთან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა და მოკლულ იქნა ს-თა და ქართველთა მიერ (ლ.მ. 29, 30). ფარნაჯომის ძე მირვანმა (მირვან II, ქართლის მეფე ძვ.წ. II ს.-ის I ნახ.) სპარსელების დახმარებით ქართლის მეფე ბარტომი (ბრატმანი, ძვ. წ. II ს. I ნახ.) მოკლა და მისი მოკავშირე ს-ები და ქართველები დაამარცხა (ლ.მ. 31, 32). სომხეთში გაზრდილმა ქართლის მეფე ბრატმანის შვილიშ-

ვილმა ადერკმა ს-თა მეფისაგან ჯარი ითხოვა და ქართველთა მეფე არსაკის (ძვ.წ. I ს. II ნახ.) წინააღმდეგ გამოემართა (ლ.მ., 33-35). მეფე ადერკმა (ქართლის მეფე, ძვ.წ. I ს.) ქართველებს მიმართა, რომ ის იყო მათი მეფის ძე და სომხეთის ჯარს მათ წარსაწყმედად არ მოუშვებდა (ვ.ბ. 62). მეფე ადერკს ს-თა მეფემ თავისი ასული მისცა ცოლად (ლ.მ. 35; ვ.ბ. 62). ს-ები და ქართველები სპარსთა მეფის აჟლალანის (არშაკუნიანთა დინასტიის წარმომადგენელი) მორჩილები იყვნენ (ლ.მ., 43; ვ.ბ. 62). არმაზელი მეფეები მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ს-ებს ეხმარებოდნენ. ს-თა მეფე იარვანდმა (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით მირვანმა) კი ქართველთა სიკეთე დაივიწყა, ფარსმან არმაზელს სძლია და ქართლში ქ. ნუნდა და არტაანის მხარე მტკვრამდე წაართვა (ლ.მ. 44, ვ.ბ. 63; იხ. სტ. იარვანდი). სუმბატ ბივრიტიანმა (სომეხთა მეფის სპასპეტი, იხ. სტ. სუმბატ ბივრიტიანი) ს-თა მეფე იარვანდი მოკლა (იხ. სტ. იარვანდი) და იარვანდის ძმა არტაშანი გაამეფა (იხ. სტ. არტაშანი), (ლ.მ. 65). ს-ების წინააღმდეგ აზორკისა და არმაზელის (ორმეფობის ხანის ქართლის მეფეები, ძვ.წ. II-I სს. მიჯნა) მიერ ორგანიზებულ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ „ჩრდილონი“ (ჩრდილოეთ კავკასიელები) – ოვსები,** მათი მეფეების, ძმების – ბაზუკისა და აბაზუკის მეთაურობით; აგრეთვე, პაჭანიკები (პაჭანიკების მოხსენიება აქ ანაქრონიზმია), ჯიქები, ლეკები, დურძუკები და დიდოელები (იხ. სტ. აბაზუკი და ბაზუკი). მათ სომხეთი მოაოხრეს

და გამობრუნდნენ. მაშინ სუმბატ ბივრიტიანმა ს-ები შეკრიბა და დაედევნა. „ჩრდილონი“ (ჩრდილოეთის ლაშქარი) ს-ებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. გამარჯვებული სუმბატ ბივრიტიანი ქართლში შემოვიდა და მოაოხრა, მიუხედავად ამისა ქართლის მეფეები ს-თა ვნებით არ ცხრებოდნენ. ს-ებზე სისხლის აღების მიზნით, ოგსები ქართლში გადმოვიდნენ, ქართველებს შეუერთდნენ და მარად ებრძოდნენ ს-ებს (ლ.მ. 45-47; ვ.ბ. 64). მეფე არტაშანი და სუმბატ ბივრიტიანი ს-თა ჯარით მოვიდნენ და მცხეთას დადგნენ. ქართველებსა და ს-ებს შორის ბრძოლა 5 თვე გაგრძელდა. ქართველებსა და ოსებს გაუჭირდათ ბრძოლა და ზავი ითხოვეს. ს-თა მეფემ (არტაშანი) მათი თხოვნა ყურად იღო, დაუზავდა და უკან გაბრუნდა (ლ.მ. 48). ს-თა მიერ მოოხრებული ქართლი მოშენდა. ქართველებმა და ოსებმა ისარგებლეს იმით, რომ ს-ებმა სპარსელებისა და ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლა წამოიწყეს და ს-თა ვნებას შეუდგნენ. მეფე არტაშანმა ს-თა ჯარს თავისი ძე ზარენი უსარდლა და ქართველების წინააღმდეგ გამოგზავნა (ლ.მ. 48; ვ.ბ. 65). (ქართველების მიერ ზარენის დამარცხების, დატყვევებისა და გათავისუფლების შესახებ იხ. სტ. ზარენი). ზარენის გათავისუფლების მიზნით ქართლში სუმბატ ბივრიტიანი და მეფის (არტაშანი) ორი ძე – არტავაზი და ტიგრანი მოვიდნენ (იხ. სტ. არტავაზი). ზარენის გათავისუფლების სანაცვლოდ ს-ებმა ქართველებს ქართლის საზღვარი – ქ. წუნდა და ციხე დემოთი, ჯავახეთი და

არტაანი დაუბრუნეს. ამის შემდეგ ქართველებს, ს-სა და ოგსებს შორის მშვიდობა ჩამოვარდა და მტერს სამივენი ერთად ებრძოდნენ, ხოლო აზორკი და არმაზელი გულდამშვიდებულები ალესრულნენ, რადგან ქართლის საზღვრები დაიბრუნეს (ლ.მ. 69). ფარსმან ქველის მოკავშირეები მირდატის (ფარსმანი და მირდატი, ორმეფობის ხანის ქართლის მეფეები, თანამეწყვილენი, II ს. 30-50-იანი) წინააღმდეგ ბრძოლაში იყვნენ ს-ები და ქართველები. მათ მირდატის მოკავშირე სპარსელები დაამარცხეს და იგი (მირდატი) აიძულეს, სპარსეთში დაბრუნებულიყო (ლ.მ. 51, 52; ვ.ბ. 66). ფარნავაზ სპასპეტმა ფარსმან ქველის ცოლი და ძე სომხეთს მიიყვანა, რადგან ფარსმანის მეუღლე ლადანა ს. მეფის ასული იყო. იმჟამად ს. და ბერძნები მოკავშირეები იყვნენ. ქართლში სპარსელების დახმარებით გამეფებული მირდატი, ს-ის, ბერძნებისა და ეგრისელების გაერთიანებულმა ლაშქარმა მდ. ლიახვზე, რეჰაიდ წოდებულ ადგილას გამართულ ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს (ლ.მ. 53-54). ქართლის მეფე ამაზასპისაგან (III ს. შუა ხანები) განმდგარმა ხუთმა ერისთავმა ს-თა მეფეს სთხოვა, რათა მას ქართლში თავისი ძე – ამაზასპის დისწული გაემეფებინა. ს-თა მეფე ქართლისაკენ დიდი ჯარით გამოემართა. ბრძოლაში ამაზასპი მოკლეს და ს. მეფემ თავისი ძე რევი ქართლში გაამეფა (ლ.მ., 57; ვ.ბ. 68). ს-თა მეფე კოსაროს (ხოსრო II, სომხეთის მეფე 217-38) სპარსეთის მეფე ქასრე სასანიანის (უნდა იგულისხმებოდეს ირანის

შაჰი არდაშირ I, 226-41) წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების მიზნით ქართველთა მეფე ასფაგურმა კავკასიის კარი გახსნა და ოვსები, ლეკები და ხაზარები*** გადმოიყვანა. მათი დახმარებით მეფე კოსარომ სპარსელები დაამარცხა (იხ. სტ. კოსარო)****. ამის შემდეგ ქართველებმა, ს-ებმა და ჩრდილოეთელებმა (ოვსები, ლეკები და ხაზარები) მოუხშირეს სპარსეთზე თავდასხმას (ლ.მ. 59-60; ვ.ბ. 70). სანადიროდ წასული მეფე კოსარო წარჩინებულმა მთავარმა ანაკმა მოკლა, რომელიც მას ენათესავებოდა. გახარებულმა ქასრე სასანიანმა სომხეთი დაიპყრო, ს-თა მეფის ყველა ნათესავი ამოწყვიტა და დაატყვევა. მეფე კოსაროს ძე თრდატი საბერძნეთში (რომში) გაიქ.ცა და იქ იზრდებოდა (ლ.მ. 60-62; ვ.ბ. 70; იხ. სტ. თრდატი). ს-თა მეფის სამყოფელი (თრდატ III-ის ზეობაში, 298-330) იყო დვინი (ლ.მ. 82; ვ.ბ. 75). თრდატმა (თრდატ III) დაამარცხა ყველა მისი მტერი, როგორც ეს წერია ს-თა ცხოვრებაში (ლ.მ. 69). წმ. ნინო სომეხ დვინელ ნიაფორს ორი წელი ემსახურებოდა (ვ.ბ. 74, იხ. სტ. სარა ბეთლემელი). წმ. რიფსიმეს, გაიანესა და სხვა მრავალთა წამება და სასწაული აღწერილია ს-თა მოქ.ც.ევის ნიგნში (ლ.მ. 84; ვ.ბ. 76). ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII) წერს, რომ ქართლის მეფე ადერკიდან (I ს.) ვიდრე მირიანამდე (IV ს.) მეფეებს კეისართა, სპარსთა და ს-თა მეფეთა ქრონოლოგიის მონმობით ადგენდა (ვ.ბ., გვ. 6). თრდატის (თრდატ III) ასული სალომე უჯარმელი ცოლად შერთეს მირიანის ძეს რევს

(ლ.მ. 70, იხ. სტ. სალომე უჯარმელი). ბაქარსა (ქართლის მეფე, ბაქარი//ბაკური, IV ს. 50-60-იანი) და ს-ებს შორის მტრობა ჩამოვარდა, რადგან ს-ები ბაქარის ძმისწულის, რევისა და თრდატ ს-თა მეფის (თრდატ III) ასულის (სალომეს) წულის გამეფებას უჭერდნენ მხარს. მის ტახტზე ასაყვანად საქართველოში შემოჭრილი ს-ები ქართველებმა ჯავახეთში (ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით თრიალეთში) დაამარცხეს (ლ.მ. 130-131; ვ.ბ. 95). ვარაზ-ბაქარის (IV ს. 70-80-იანი) მეფობაში სპარსეთის მეფემ ქართველთა და ს-თა დასახარკად ჯარის თანხლებით ერისთავი გამოგზავნა. ს-ებმა ქართველებთან მოციქული გამოგზავნეს და ურჩიეს, სპარსელების წინააღმდეგ ერთად ებრძოლათ. ვარაზ-ბაქარმა არც ს-თა და არც წარჩინებულთა რჩევა არ ისმინა. მაშინ სპარსელებმა ს-ები მოაოხრეს და ქართლში შემოვიდნენ. ამ დროიდან ს-ები და ქართველები სპარსელების მოხარკე გახდნენ (ლ.მ., 136; ვ.ბ. 96). ს-ები განდგნენ მართლისა სარწმუნოებისაგან (ა.ს., 78). ბიზანტიაში არკადი კეისრისა (395-408) და სომხეთში (იგულისხმება ბიზანტიისადმი მიკუთვნებული სომხეთის ნაწილი) არშაკის (არშაკ III, 378-387) მეფობაში ს-ები წმიდა გრიგოლ პართელის მიერ ქადაგებულ სარწმუნოებას მტკიცედ მისდევდნენ (ა.ს., 78). ქართველები ს-ებს ეუბნებოდნენ, რომ წმიდა გრიგომ პართელმა სარწმუნოება მათში საბერძნეთიდან შეიტანა, ს-ებმა კი ეს წმიდა სარწმუნოება უარყვეს და აბდიმოს ასურს და სხვა ბოროტ მწვა-

ლებლებს დაემორჩილნენ (ა.ს., 81). ვახტანგის (ვახტანგ გორგასალი, ქართლის სამეფოს მეფე, V ს. მეორე ნახ.) და ხვარამზე ს-თა პიტიახშზე იყო დაწინაურებული (ჯ. 185). შუშანიკი სომეხთა სპასპეტ ვარდანის ასული იყო (შუშანიკის წამება, 11). იმჟამად (VII ს-ის დასაწყისი) ქართველებსა და ს-ებს შორის სარწმუნოების გამო მოხდა დაპირისპირება. ქართლის კათოლიკოსმა კვირიონმა (კირიონ I, 599-614/16) ცურტავის ეპისკოპოსი, ს-თა სარწმუნოების (მონოფიზიტობის) გამო, შუშანიკის (იხ. სტ. შუშანიკი) საფლავიდან განდევნა და ქართველები და ს-ები კიდევ უფრო მეტად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ხოლო ჰერეთი, როგორც ქართული ეკლესიის მემკვიდრე ნერენ, ს-თა მწვალებლობისადმი (მონოფიზიტობა) მიიძღრკა (ვ.ბ. 102, სქ. 2). ს-თა ერისთავმა აბულაბაზმა (იხ. სტ. აბულაბაზი) და გუარამ აშოტის ძემ მთიულებს მისწერეს, რომ ბულა (ბულა თურქი, არაბთა სარდალი, IX ს 50-იანი), რომელმაც 300 მთიული მძევლად აიყვანა და ოვსეთში შეჭრას ცდილობდა, არ შეეშვათ (მ. ქ. 256). ქართლისათვის აფხაზებსა და ს-ებს შორის ბრძოლაში დავითი (დავით I კურაპალატი, ქართველთა სამთავროს მთავარი 876-881) და ლიპარიტი ს-ებს უჭერდნენ მხარს (მ.ქ. 259). დინარ დედოფალმა (ჰერეთის დედოფალი, X ს.), ჰერეთი ს-თა მწვალებლობიდან (მონოფიზიტობა) მართლმადიდებელ აღმსარებლობაზე მოაქცია (ვ.ბ. 559). როდესაც აბულ კასიმმა (არაბი ამირა, 901-27) ს-თა და ქართველთა წინააღმდეგ

გაილაშქრა (914), მან სომხეთი და სამცხე მოაოხრა და ყველის ციხეს მოადგა (გობრონის წამება, IV, 419). გუარამმა (მამფალი, აშოტ I კურაპალატის ძე), თბილისის ამირას წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ, აბოცი თავის ცოლის ძმას – ს-თა მეფეს***** გაუყო (ლ.მ. 257). ს-ები, ლიპარიტი, ქართველები და დავითის ძე აშოტი ნასრას (აშოტ I კურაპალატის შვილიშვილი, გუარამ მამფალის ძე) წინააღმდეგ ერთიანდნენ, შეებრძოლნენ და გააქც.ციეს (მ. ქ. 260; ვ.ბ. 131-132). აფხაზთა მეფე კონსტანტინეს (აფხაზთა // დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე III, 893-922) ს-თა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი (სუმბატ I, ანისის მეფე 890-914) ემტერებოდა. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ „ქართლსა ზედა“ (შიდა ქართლისთვის) (მ.ქ. 262, ვ.ბ. 798; იხ. სტ. სუმბატ ტიეზერაკალი). სუმბატ ტიეზერაკალმა ს-სა და ქართველთა წინააღმდეგ გაილაშქრა (914), მან სომხეთი და სამცხე მოაოხრა და ყველის ციხეს მოადგა (გობრონის წამება, IV, 419). როდესაც ს-თა მეფემ (სუმბატ I) სარკინოზებს (არაბებს) წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მაშინ მათ გამოერიდა და აფხაზეთის მთების გავლით გამოეშურა (წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი, 175-176). როდესაც დავით კურაპალატმა (დავით III, ტაოს მეფე, X ს. II ნახ.) შეიტყო ბაგრატისა (დავით III-ის შვილობილი) და მისი მშობლების კახელების მიერ დატყვევების შესახებ, შეკრიბა ლაშქარი, შემოიერთა ს-ები და კახეთის დასალაშქრად გაემართა (ვ.ბ. 138). ბაგრატის (ბაგრატ IV, საქარ-

თველოს მეფე 1027-72) ყრმობისას რანთა და კახთა მეფე კვირიკე (კვირიკე III, 1014-37), ს-თა მეფე დავითი (დავით I ანჰოლცი, ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს მეფე 991-96-1048-49)*****, თბილელი ამირა ჯაფარი ეკლესს შეიკრიბნენ, ფადლონზე (ფადლონ II, განძის ამირა 1067-73) გაილაშქრეს და მისი ლაშქარი გააქ.ც.იეს (მ.ქ. 296; ვ.ბ. 145). ს-თა მეფე დავითი (დავით I ანჰოლცი) ლიპარიტის (კლდეკარის ერისთავი) მოკავშირე იყო მეფე ბაგრატის (ბაგრატ IV) წინააღმდეგ სასირეთში (ხაშურთან, ქართლი) გამართულ ბრძოლაში (მ.ქ., 300; ვ.ბ. 147). კახეთის მეფე გაგიკი (კახეთ-ჰერეთის მეფე, 1037-58). რომელიც იყო დავით სომეხთა მეფის (დავით I ანჰოლცი), სამშვილდარისა და ძორაკერტელის ძე და კვირიკეს (კვირიკე III, რანთა და კახთა მეფე) დისწული, 2 წელი გარს ედგა ტფილისს (მ.ქ. 297; ვ.ბ. 147, 562; იხ. სტ. გაგიკი). ბაგრატის (ბაგრატ IV) დედა იყო ს-თა მეფე სენაქერიმის ასული (მ.ქ., 299, იხ. სტ. მარიამი). ლიპარიტ ბაღვაშის მოკავშირეები ბაგრატის (ბაგრატ IV) წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში იყვნენ კახნი და ს-ნი (მ.ქ. 301). ბაგრატის (ბაგრატ IV) დისწული, რომლის ცოლად შერთვაც ითხოვა სულთანმა (ალფ-არსლანი, თურქ-სელჩუკთა სულთანი 1063-72), იყო ს-თა მეფის კვირიკეს (კვირიკე II, ტაშირ-ძორაგეტის მეფე 1048/49-1089 შემდეგ) ძმისწული. ბაგრატის თხოვნის მიუხედავად, კვირიკემ არ მისცა თავისი ძმისწული, ამიტომ იგი თავის ძმა სუმბატთან ერთად შეიპყრეს და კლდე-

კარის (ქვემო ქართლის ციხე) ქვეშ ბაგრატს მიჰგვარეს. მათ ბაგრატს სამშვილდის მიცემაზე უარი უთხრეს იმ იმედით, რომ მათი ძმა ადარნასე გამაგრებული იყო სამშვილდის ციხეში. მაშინ ბაგრატის ბრძანებით მიიყვანეს ისინი სამშვილდეს და ძელზე გასვეს სამი დღით. მეფე კვირიკეს ძმამ სუმბატმა მისცა ციხეები – ოფრეთს, კოშქსა და ვარზაქარს. ბაგრატმა შეიწყალა ისინი, ყველა ციხე გაათავისუფლა, გარდა სამშვილდისა და ასე დაიმორჩილა მისი სამფლობელო (მ.ქ. 307) მეფე ბაგრატმა (ბაგრატ IV). 1068 მეფე კვირიკე, თბილელი ამირა და აღსართანი (კახთა მეფე) სულთანს (ალფ-არსლანს) ეახლნენ და ქართლში შემოიყვანეს (მ.ქ. 209). წმ. გიორგი მთაწმინდელი (XI ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე) წერს, რომ როგორც არანმიდა თესლი ისე შემოგვერია ს-თა ბოროტი მოდგმა, აღვირახსნილნი, ვერაგნი და გაიძვერანი და ამის გამო დიდი ზიანი გვადგებოდა; ჩვენი მოდგმა (ქართველთა) წრფელი და უმანკო იყო, ამიტომ ისინი ზოგჯერ ჩვენი წესიერების გამო, ზოგჯერ გამიზნულად გვაცდუნებდნენ (გიორგი მცირე, 123). გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავს, რომ ს. მღვდელი ჟამს ვერ წირავდა მის მონასტერში (გიორგი მცირე, 150). მართლმადიდებლები პურიტა და ნყალგარეული ზედაშით (საბარძიმე ღვინო) წირავენ, კათოლიკეები ჳმიადით (უფუარი პური), ს-ები კი უწყლოდ (ცხორებაჲ გიორგი მთაწმინდელისაჲ, 424). მეფემ გიორგი მთაწმინდელს ჰკითხა ს-თა სარწმუნოების შესახებ,

ჰქონდათ თუ არა რაიმე საერთო ქრისტიანებთან, მან მიუგო, რომ ბოროტს სარწმუნოების სახელს ნუ უწოდებდა და ს. მეფეები ყველას წინაშე შეარცხვინა (გიორგი მცირე, 180). მეფე დავითს (დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 1089-1125) თხოვნით მიმართეს აღვირახსნილი და ბოროტი მოდგმის ს-მა ეპისკოპოსებმა და მონასტრების წინამძღვრებმა, რომ მოენვია კრება და ემსჯელათ სარწმუნოებრივ საკითხებზე. თუ ს-ები დამარცხდებოდნენ, ისინი თავიანთ სჯულს შეაჩვენებდნენ, გამარჯვების შემთხვევაში კი ითხოვეს, რომ მწვალებლებად აღარ მოესხენებინათ და არც შეეჩვენებინათ. პაექრობამ, რომელიც ცისკრიდან მე-9 ჟამამდე გაგრძელდა, გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მაშინ მასში ჩაერია მეფე (დავით IV), რომელმაც თავისი ცოდნით თავზარი დასცა და განაიარაღა ს-ები. მათ აღიარეს თავიანთი დამარცხება და დარცხვნილები წავიდნენ (დ.ი. 356-357; ვ.ბ. 163). დავითის IV-ის ეპოქაში, ს-ებმა ქართველებთან სარწმუნოებრივი შეერთება იწყეს (ვ.ბ. 163). დავით IV აღმაშენებელიდან მოყოლებული ერთიანი საქართველოს მეფეები, ხოლო XVI ს-დან ქართლის, კახეთისა და იმერეთის ცალკეული მეფეები ატარებდნენ „სომეხთა მეფის“ ტიტულს (იხ. სტ. „სომეხთა მეფე“). მეფე გიორგიმ (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) დაარბია ს-თა მეფედ წოდებული ქალაქი აშორანი (ვ.ბ. 166). ზაქარია და ივანე სარწმუნოებით ს-ები (მონოფიზიტები) იყვნენ, თუმცა მართლმადიდებლობის თაყვა-

ნისმცემელი (ი-ა, 33; 110; ბ.ეზ., 123; ვ.ბ.185). კათოლიკოსმა იოანემ (იოანე VII, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1205/06-1210) ზაქარია ამირსპასალარს უარი უთხრა წირვის შემდეგ სეფისკვერის მიცემაზე, რადგან ზაქარია სარწმუნოებით ს. იყო. ზაქარია მხარგრძელის ინიციატივით ს-სა და ქართველებს შორის სარწმუნოების შესახებ პაექრობა გაიმართა (ამ პაექრობის შესახებ იხ. ი-ა, 81-90; ვ.ბ.185). ივანე მხარგრძელმა ს-თა სარწმუნოების მცდარობა აღიარა, მოინათლა და ჭეშმარიტი ქრისტიანი (მართლმადიდებელი) გახდა (ბ.ეზ., 123). კახა თორელი რკონის ღვთისმშობლის მონასტრისადმი 1260-ს გაცემულ საბუთში წერს, რომ მან სოფ. ხოვლეს (ქართლი) ნახევარი იყიდა ს. ჰასან სუმბატისძისა და ურია იოსებ ბუღბაფაისძისაგან, საბუთის ბოლოს კი აღნიშნავს, რომ ვინც გააუქმებს ან შეცვლის მის დაწერილ საბუთს – ქართველი, სპარსი თუ ს., შერისხოს რკონის ღვთისმშობელმა (ქ.ს.დ., II, გვ. 58). თემურ ლენგმა იავარჰყო ს-ები, როგორც წერია „სომეხთა ცხოვრებაში“ (მეორე ტ., 448). „ს-ნი შეიშალნეს“ (1539, 1634) (მც. ქრ., 34;39;47;74; ვ.ბ. 403, სქ. I)*****. 1577-ის საბუთით, მეფე ალექსანდრემ (ალექსანდრე II, კახეთის მეფე 1574-1605) მის სამკვიდრო მამულში მცხოვრები დავით ჯორჯაძის კუთვნილი ყველა ყმა, მათ შორის ს-ები მალისაგან (გადასახადი) გაათავისუფლა (ქ.ს.დ., II, 196). 1579-ის საბუთით მეფე ალექსანდრემ (ალექსანდრე II, კახეთის მეფე) სვეტიცხოველს განუახლა მამულები

და ყმები, მათ შორის გრემს (კახეთი) მცხოვრები 12 კომლი ს. და ურია ვაჭარი (ქ.ს.დ., II, 199). საქართველოში შემოჭრილმა 40 ათასმა ყირიმელმა თათარმა, რომლებიც მეფის (ლუარსაბ I, ქართლის მეფე 1606-14) ადგილსამყოფელის – ცხირეთის ციხისაკენ მიმავალ გზას ეძებდნენ, უფლისციხელი ს. ხუცესის შეპყრობა სცადეს. იგი მათ გაექცა, უფლისციხის ხიდი (მდ. მტკვარზე გადებული) აშალა, მტკვარში გადაყარა და მტრის შემოსევის ამბავი მტკვრის იმიერ ქართველთა შორის გაავრცელა, რათა მეფეს სასწრაფოდ დახმარებოდნენ (ბესარიონ ორბელიშვილი, 37). ს. მისტორიე ზაქარია „სომხეთის ისტორიაში“ წერს, რომ მეფე როსტომის (ქართლის მეფე 1633-58) ძის ლუარსაბის მკვლელობაში ს. ბაადურ მამიკონიანს დასდეს ბრალი (ვ.ბ. 444). 1633 მეფე როსტომმა (1633-58) გორის ს. სამღვდელოებას სითარხნის წყალობის წიგნი უბოძა (ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 102). ახალქალაქში (კასპის რ-ნი) მცხოვრები ს. სახასო ვაჭრები იხსენიება ქართლის მეფე როსტომისა (1633-58) და დედოფალ მარიამის 1640-ის ახალქალაქის (კასპის რ-ნი) მონასტრის საამშენებლო წარწერაში (ახალქალაქის წარწერა, 10). ალექსანდრემ ჩიხორსა და ჩხარს მცხოვრები ს-ები და ებრაელები აყარა და თავისი მამის (გიორგი III, იმერეთის მეფე 1604-39) ტყვეობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ დადიანს (ლევან II, ოდიშის მთავარი 1611-57) მისცა (ბ.ე., 420, ვ.ბ. 829). ვინმე ს-მა წმიდა მონამეების, შალვასა და ელიზ-

ბარის (ქსნის ერისთავების), მეუღლეებს უამბო მათი საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ. მათ იგივე ს. გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ თავიანთ ორ ყმასთან ერთად წარგზავნეს მონამეების წმიდა ნაწილების წამოსაღებად (წამებაჲ ელიზბარისა, შალვასი და ბიძინასი, 428-429; 438). ერეკლემ (ერეკლე I, ქართლის მეფე 1688-1703) ქ. თბილისში ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესიის ეზოში დასახლებული ს-ები აპყარა და ეს ადგილი ჯვრის მამა პართენს დაუბრუნა (1692), ხოლო გავლავანში დასახლებული ორი კომლი ს., დატოვა და ეკლესიას შესწირა (პ.ა.ლ., ტ. I, 283-84). იმამ-ყული ხანმა (დავით II, კახეთის მეფე 1709-22) ენისელის მოურავს თავის სამკვიდრო მამულის ყორნევის მფლობელობის წიგნი განუახლა და უფლება მისცა, რომ იმ თათრებისა და ს-ებისთვის, რომელთაც ამ ტერიტორიის მიდამოებში დაასახლებდა, ისევე მოეთხოვა (ბეგარა-გადასახადი), როგორსაც მის დანარჩენ ყმებს სთხოვდა (ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 419). ქართველი მეფეების მიერ აგებულ ეკლესიებში – ახპატსა და სანაინში ამჟამად (XVIII ს. I ნახ.) სხედან ს-ები. ქართლის მეფე აქ ეპისკოპოსს სვამს „მინერითა ოქივატერისათა“ (სომხ. „ჰოგევორ ტერ“, სულიერი მამა), რადგან ქართლში მოსახლე ს-ები მის სამწყსოში შედიან. ამის ზემოთ მდებარე ქობერის მონასტერი ს-ების ხელშია (ვ.ბ. 308). კალას (თბილისის უბანი) დედოფალ როდამის (ქართლის მეფე ვახტანგ V-ის (1658-75) მეუღლე) მიერ აგებული 4 ეკლესია ამჟამად

(XVIII ს.) ს-ების ხელშია (ვ.ბ. 337). მაჰ-მადიანები თბილისის ციხესა და სეი-დაბადს (თბილისის უბანი), ს-ები კი ციხეს გარეთ ცხოვრობენ (XVIII) (ვ.ბ. 338). ქართველების გარდა, ურიები და მცირედ ს-ები ცხოვრობდნენ ატენში, მდ. ძამაზე მდებარე მძორეთში, ახალ-გორში, გორში, ცხინვალში, ცხინვალს ზევით თამარაშენში, ალსა და სურამში (XVIII) (იხ. ვ.ბ. 343-4; 359; 367; 370; 377). გოკიაში, ბარალეთში (ჯავახეთი), ახალციხეში მესხების გარდა ცხოვ-რობდნენ ს-ები და ურიები (XVIII) (ვ.ბ. 669). ქუთაისში, ჩიხორსა და საჩხერე-ში (იმერეთი) იმერლების გარდა ცხოვ-რობენ ს-ები და ურია ვაჭრები (ვ.ბ. 756; 761). ტაშირში და მტრის მიერ აოხრე-ბულ აბოცში, რომელიც ალაშენა მეფე ვახტანგმა (ვახტანგ V, ქართლის მეფე 1658-75), ბინძურად შემოსილი, გაზე-თილი, გრძელჩოხიანი „სარწმუნოებით სომეხნი“ ცხოვრობენ (ვ.ბ. 313-314). „დასტურლამალის“ (XVIII ს-ის სამართ-ლის ძეგლი.) მიხედვით, ქართლის სა-მეფოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხს, მათ შორის ს-ებს, იმერეთში ტყვის ყიდვის შემთხვევაში საბატონ-ოდ 3 მინალთუნი უნდა გადაეხადათ (ქ.ს.დ., II, 286). 1722 მეფე ვახტანგმა (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24) თბილისის მოსახლეობას და მათ შო-რის ს-ებს უფლება მისცა ქალაქში უპატრონოდ დარჩენილ სახლ-კარსა და მიწა-მამულს დაპატრონებოდნენ და ისინი ზოგიერთი გადასახადისაგან (სათათრო და სამტყვეო) გაათავისუფ-ლა (ქ.ს.დ., II, 388-389). 1742 ხელმწიფემ (ირანის შაჰი) ქართველები მალისაგან

(გადასახადი) გაათავისუფლა და ს-ებს, როგორც წესია, ისევ დაუნესა (პ.ო. 59). როდესაც ბატონს (თეიმურაზ II, ქართ-ლის მეფე 1744-62) ქრისტიანული წე-სით სვეტიცხოველში აკურთხებდნენ, იგი აღსავლის კარის ქვემოთ (ამბიო-ნის წინ) დააყენეს, ეპისკოპოსები მარ-ჯვნივ და მარცხნივ დაუდგნენ, ხოლო ს-თა დასი და „ფრანგნი“ (კათოლიკეე-ბი), სამღვდელო შესამოსელით, კრძალვით იდგნენ (პ.ო. 105). 1747-49-ით დათარიღებულ საბუთში მერალი-ბეგ ციციშვილი წერს, რომ ხელმწიფის კარზე დაიბარეს ანგარიშისათვის, რის გამოც თავისი ყმები – ქართველი, ს., ურია, ასევე აზნაურები თავიანთი გლეხებით – ძამის ციხეში შეკრიბა. მათ შორის იგი ასახელებს ბეჟუა ს-ს – ერთ კომლს (ქ.ს.დ., VII 54). პაატა ცი-ციშვილის მიერ გაყიდულ ყმებს შორის დასახელებულია ალისხეობაზე მცხოვ-რები 35 სული ქართველი, ს. და ურია (ქ.ს.დ., VII, 56). სიღნაღში მდგომი ფანა-ხანისაგან (ყარაბაღის//შუშის ხანი (1747-63.) შენუხებული ს-ის ეპისკო-პოსი, ბატონებს (თეიმურაზ II; ერეკლე II, კახეთის მეფე, 1744-62) ეახლა და სთხოვა დახმარება (პ.ო. 165). ფანა-ხა-ნის მიერ შევიწროვებული ს-ები – ერ-თი ხეობის მელიქი უსუფ-ბეგი 100 კომლი კაცით, აიყარნენ და მეფეებს (თეიმურაზ II, ერეკლე II) დახმარება სთხოვეს. მათ ისინი ქალაქში (თბილი-სი) კლდის უბნის მხარეს დაასახლეს (პ.ო. 228). სომხითის მელიქი გვარი არ არის, არამედ გამაჰმადიანების გამო ვინმე სომეხს ეს პატივი შაჰ აბასმა მია-ნიჭა (ვ.ბ. 33). ერევნის ალების შემდეგ

მეფე ერეკლემ მრავალი კომლი ს. აყარა და საქართველოში წამოასხა, რომლებიც დღემდე (XVIII ს. II ნახ.) რამდენიმე ადგილას ცხოვრობენ (ო.ხ. 71; ო.ხ. თეიმურაზისეული ვერსია, 97). მიქელა არლუთაშვილის მეთაურობით ლეკებმა დაარბიეს ყალაჩა, საიდანაც 200-ზე მეტი დატყვევებული ს. წაიყვანეს (თ.ბ. 61). 1763 ნიკოლოზ აბაშიძეს თხოვნა დაუკმაყოფილეს და მისი სამკვიდრო ყმა ს. ალხაზის შვილი დაუბრუნეს (ქ.ს.დ., VII, 68). 1766 რამაზ შალიბატაშვილი წერს ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ ტყვეობიდან იხსნა ერთმა ს-მა, დაასახლა და გააზატა (ქ.ს.დ., VII, 102). 1769-ის საბუთში გიორგი საყვარელიძე წერს მდივანბეგებს, რომ ერთმა კეხველმა კაცმა გოგოები ჩამოიყვანა, გასაყიდად დაყავდა და ს-სა და ურიას აძლევდა (ქ.ს.დ., VII, 150). 1770 ქართლ-კახეთის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, ქ. თბილისში ცხოვრობდნენ მართლმადიდებელი ქართველები, ს-ები, კათოლიკეები და თათრები 4 ათასი კომლი; ქ. გორში – მართლმადიდებელი ქართველები, ს-ები, კათოლიკეები – 500 კომლი; ნილკანში – მართლმადიდებელი ქართველები, ს-ები და ებრაელები – 700 კომლი; სურამში – 200 კომლი; მართლმადიდებელი ქართველები და ს-ები – თელავში 740 კომლი; ანანურში – 100 კომლი; მდ. ქსანზე, ქ. ახალგორში – 140 კომლი; სიღნაღში (ქიზიცი) – ქართველების გარდა ს-ები – 100 კომლი; ქართლში – 500; ს-ები – ბორჩალოსა და ფამბაკის ხეობაში 2560; ყაზახის სახანოში – 1200; შამშადილუში 1200; ენისელში (კახეთი) ს. და

თათარი 10 ათასი კომლი. სალაშქროდ შეიძლება 18 ათასი ქართველისა და ს-ის გამოყვანა (ქ.ს.დ., II, 420-421). 1774-ს დაწერილი საბუთით აბრამა სთხოვს ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ განჯელი ს-ის მიერ ტყვეობიდან ათ თუმნად დახსნილი მისი შვილი გამოისყიდოს და იმსახუროს (ქ.ს.დ., VII, 249). 1775 ჩოლოყაშვილები ომან და ქაიხოსრო წერენ ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ მათ სამკვიდრო მამულში შენდიანს (კახეთი), ორი საყდარი არის ს-ისა, რადგან იქ ს-ები იყვნენ ჩასახლებული (ქ.ს.დ., VII, 316). 1776-ის საბუთით აიდემურ და იოვანე ბუბურშიშვილები სთხოვენ ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ ქალაქს გაქ.ც.ეული და იქ დამალული მათი ყმები – ორი ყაზახელი ს., მოძებნოს და მათ დაუბრუნოს (ქ.ს.დ., VII, 323). 1777-ის საბუთით დავით კურდელიშვილი ხელმწიფეს წერს, რომ ბოდბის ეპარქიაში მოგაჭრე ს-გან აღებულ ბაჟს ბოდბელი არ იძლეოდა, რის გამოც საქმის მოგვარებას ითხოვდა. (ქსდ, VII, 376). 1781 საბუთში ბოდბელი ეპისკოპოსი სთხოვს მეფეს (ერეკლე II), რომ ეკლესიის ყმობაში მყოფი ოთხი-დე ს. ფეიქარი, რომელთაც აყრას და სიღნაღში გადასახლებას უპირებდნენ, არ აეყარათ მათგან ეკლესიისათვის შემოსავლის (ნელინაღში 1-2 შაური სანთლის ფასი) შენარჩუნების მიზნით (ქ.ს.დ., VII, 518). 1782 ნიკოლოზ ასატურაშვილი წერს ხელმწიფეს (ერეკლე II), რომ 8 ათასამდე მისი ყმა ს. და თათარი ყარაბახს იყვნენ. იბრეიმ-ხანთან (ყარაბახის // შუშის ხანი, 1763-1806) დადებული პირობის მიხედვით კი, ვინც

იქიდან იპარება და მის სამეფოში მოდის, მეფე ყველას უკან აბრუნებს (ქ.ს.დ., VII, 539). 1784-90 -ში შედგენილი ქართლის მოურავის სარგოს მიხედვით, ნავროზობის (მაჰმადიანთა დღესასწაული) შემდეგ ქალაქის (თბილისის) მოურავისათვის უნდა შეკრებილიყო თითოეულ კომლ ყმაზე 6 შაური, ხოლო ს. ყმაზე 1 შაური (ქ.ს.დ., II, 493). 1785 მანუჩარ ლაშქარნივისი დედოფალს (დარეჯანი, ერეკლე II-ის მეუღლე) წერს, რომ ბოლნისის ზევით მდებარე მისი სოფელი ბერდიკი საქონლის დასაყენებლად მელიქ მიხითარს და მის ს-ის ელს მისცა წელიწადში საბალახედ (გადასახადი) 3 თუმნის მიცემის პირობით. 1 წელი ისინი იხდიდნენ გადასახადს, მაგრამ ბოლო 4-5 წელიწადი უკვე აღარ იძლეოდნენ (ქ.ს.დ., VII, 643). 1789-ის საბუთში ბოდბელი (ბოდბის ეპისკოპოსი) დავითი წერს, რომ ბოდბეს მდებარე საეკლესიო მცირე მამულში ჩასახლებული ს-ები, რომლებიც ეკლესიას ემსახურებოდნენ, შაჰაბასის მიერ კახეთის აოხრებისას ამოწყვეტილან (ქ.ს.დ., VII, 804). 1791-ის მეფე ერეკლეს (ერეკლე II) განწესებით, თუ ვინმე ქართლისა და კახეთის სამეფოებზე, ქართველზე, ს-ზე, თათარზე მტრულად მოვა და დაიპყრობს, მოსახლეობა მათ მომადლიერებას „დახარჯვითა და სამსახურით“ უნდა შეეცადოს (ქ.ს.დ., II, 524). 1795. 10 სექტემბერს ალა-მაჰმად – ხანმა ს-ების მელიქ მეჯნუნის და იაკობ ბებუთაშვილის (ბებუთოვი) რჩევით თბილისის მიდამოები დაათვალიერა და კრწანისის ველზე ერეკლეს (ერეკლე II) ჯარს

თავს დაესხა (ქრ., III, 430). ალა-მაჰმად ხანთან მყოფმა ს-ებმა საშვილიშვილო საქმე ითავეს. მელიქ მეჯნუნმა სპარსელების ჯარი კოდა-თელეთზე გაატარა, რომელიც სოლოლაკს (თბილისის უბანი) მიადგა. (ქრ., III 431). 1795. 11 სექტემბერს ალა-მაჰმად ხანი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ განჯის ხანს და ს-ებს არ ეძინათ. იოსებ მისკარბაშმა და არტემა არარატიანმა ერეკლეს მიერ დატყვევებული ალა-მაჰმად ხანის ელჩი გააპარეს და მისი დახმარებით მტერს ყველაფერი შეატყობინეს (ქრ., III, 430). 1797 იოანე მდივნიშვილი სთხოვს ხელმწიფეს, უბოდოს იმის დამადასტურებელი ოქმი, რომ მან დააკმაყოფილა მასთან თხოვნით მისული ოციოდე კომლი ს-ის თხოვნა, პურისა და სარჩოს მიცემის პირობით იყმო და თავის მამულში დაასახლა (ქ.ს.დ., VIII, 409). სოლომონ მეითარი სთხოვს დავით ბატონიშვილს (ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ის (1798-1800) ძე) შეუნარჩუნოს მისი ყმა – ახალქალაქში ჩასახლებული რამდენიმე კომლი ზურნაბათელი ს., რომელთაც იასაული აყრას უპირებდა (ქ.ს.დ., VIII, 513). 1798. პეტროზა ვართაპეტი წერს არზას ხელმწიფისადმი (გიორგი XII) იმის შესახებ, რომ მოსახლეობის შემცირების გამო, ახპატის საყდარი უსანთლოდ, იქ მყოფი ორი ვართაპეტი და სამი დიაკვანი კი მშვიერ-მწყურვალნი დარჩნენ, ყაზახის ს-ები კი მათ არ ეპუებოდნენ და მათზე განწესებულ გადასახადს არ უხდიდნენ, რის გამოც მეფეს სთხოვს გასცეს ოქმი ყაზახის სამღვდელოებაზე და მამასახლისზე,

მათ მიერ ეკლესიის გადასახადის გადახდის შესახებ. გიორგი XII-მ უბრძანა ყაზახის ს. მელიქებს, სამღვდლოებასა და საერო პირებს, რომ ახპატის მონასტრისათვის დაწესებული სამსახური შეესრულებინათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მეფის იასაული ჩამოუვლიდა და გამოართმევდა გადასახადს (ქ.ს.დ., VIII, 485). 1799 სოლომონ თარხნიშვილი წერს გიორგი XII-ს, რომ 5 კომლი განჯელი ს. მისი სოფლების სომეხთაგანნი, ახალქალაქს მოვიდნენ. დედოფალმა იასაულები მიუსია მათი აყრისა და ქოლაგირში წაყვანის მიზნით. იგი ითხოვს ხელი ააღებინონ ს-ის აყრაზე, რასაც მეფე აკმაყოფილებს (ქ.ს.დ., VIII, 503-04). 1800 ლაზარე ვარციელაშვილი დავით ბატონიშვილს სთხოვს დახმარებას იასე დავითიშვილის წინააღმდეგ, რომელმაც მისი ძმა გორში ს-თან დააგირავა და მასაც იგივეს უპირებდა (ქ.ს.დ., VIII, 633). გენერალ-ლეიტენანტ რტიშჩევის (ნიკოლაი რტიშჩევი, საქართველოს მთავარმართებელი 1812-16) თანამემნე იყო გენერალ-მაიორი ახვერდოვი, გვარად პოპულაშვილი, თბილისელი ს. (თ.ბ. 83). ეროვნებით ს. მისკარბაშის იოსებ ბუთაშვილის მეშვეობით, რტიშჩევმა ყაზახის ელები გადაიბირა, რომელთაც გარე კახეთი ააოხრეს (თ.ბ. 86).

* თურქთა მოხსენიება იმ დროის ამსახველ საისტორიო წყაროებში ანაქრონიზმია.

** ოსების მოხსენიება იმ დროის ამსახველ საისტორიო წყაროებში ანაქრონიზმია.

*** აქ ხაზართა მოხსენიება ანაქრონიზმია (იხ. სტ. ხაზარები).

**** სპარსეთის მეფე ქასრეს („ქართლის ცხოვ-

რების“ მიხედვით, ქასრე ანუშირვან სასანიანი), ქართლის მეფე ასფაგურ მირდატის ძისა და სომხეთის მეფე კოსაროს თანამედროვე მეფეებად მოხსენიება ანაქრონიზმია.

***** იგულისხმება ერთ-ერთი სომხური სამთავროს, შირაქის მთავარი აშოტ I ბაგრატიუნი. თანდათან მან ქვემო ქართლში თავისი სამფლობელო გააფართოვა. ქართული მიწების მიტაცების გამო იგი თავს „ს-თა და ქართველთა მთავარს“ 885-დან მეფის ტიტულის მიღების შემდეგ კი „ს-თა და ქართველთა მეფეს“ უწოდებდა.

***** X ს-ის 70-იანი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, მდ. ალგეთის ხეობასა და ბამბაკ-ერევნის ქედს შორის ჩამოყალიბდა ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, რომელიც დასახლებული იყო ქართული და სომხური მოსახლეობით. მისი დედაქალაქი იყო სამშვილდე, ამიტომ მის სათავეში მყოფი სომეხი ბაგრატიუნები, იგივე კვირიკიანები, „სამშვილდარებად“ იწოდებოდნენ. ქართულ წყაროებში ტაშირ-ძორაგეტს „სომხითი“ ეწოდებოდა, ხოლო სომხურ წყაროებში „ვრაც დამტი“ (ქართველთა ველი). IX-XI სს-თა მანძილზე აქ მიმდინარეობდა ბრძოლა გავლენისათვის სომხურ და ქართულ სამეფოებს შორის. XII ს-ის დასაწყისში ეს ტერიტორია საბოლოოდ შევიდა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში.

***** იმ წლებში, როდესაც აღდგომა 6 აპრილს უწევს, მართლმადიდებლურ (ბერძნულ) ეკლესიასთან კონფესიური განხეთქილების შედეგად, სომხურ-გრიგორიანული ეკლესია აღდგომას 13 აპრილს დღესასწაულობს. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის თვალსაზრისით ეს არის „შეშლა“ – ცრუზატიკის დადება. ასეთი ცრუზატიკები იყო 570, 760, 1007, 1102, 1292-ში. აღდგომის გამო შეუთანხმებლობამ 1197 განხეთქილება წარმოშვა სომეხ-ქართველთა შორის. 1534, 1634, 1729, აღდგომა 6 აპრილს იყო, ხოლო სომეხთათვის 13 აპრილს.

თ. ქორიძე

სომხეთი – სახელმწიფო სამხრეთ კავკასიაში. ს. იხსენიება: „მოქცევაი ქართლისაი“, სტეფანე მტბევაი „გობრონის წამება“ (ძ.ქ.ა.ლ.დ. I, 1963); წმიდა ნინოს ცხოვრება (არსენ ბერისეული რედაქცია, ძ.ქ.ა.ლ.დ. II, 1971); ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ლეონტი მრო-

ველი „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955), არსენი საფარელი „განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა“ (1980); „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება – მეორე ტექსტი, ახალი ქართლის ცხოვრება – მესამე ტექსტი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989).

სოლომონ ბრძენის (ისრაელის მეფე ძვ.წ. 967-28) ვაჟები მივიდნენ რაქაელ დედოფალთან, მოინათლნენ მისგან, დარჩნენ ს-ში და მათი შთამომავლები მმართველობენ ს-ში (ს.დ. 373). ალექსანდრე მაკედონელმა (ძვ. სამყაროს უდიდესი სამხედრო და პოლიტი. მოღვაწე, მაკედონიის მეფე ძვ.წ. 336-23) ანტიოქოსს (ასურასტანის მეფე) მისცა ს. (ლ.მ. 19). ალექსანდრე მაკედონელმა გაამეფა მცხეთაში აზო („მოქ. ქ.“-ის მიხედვით ქართლის პირველი მეფე) და დაუწესა საზღვრად ს. (მოქ. ქ. 82, წ.წ. 47). ფარნავაზმა (ქართლის მეფე ძვ.წ. IV-III სს. I ნახ.) სთხოვა ანტიოქოსს დახმარება ბერძენთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მან გამოუგზავნა გვირგვინი ფარნავაზს და უბრძანა სომეხთა ერისთავებს მისი დახ-

მარება. (ლ.მ. 23). ქართამის (ქართლის მეფე ძვ.წ. II საუკუნის 60-იანი წლები) ცოლმა ს-ში გააჩინა ყრმა ადერკი.იგი აღიზარდა ს-ში. (ლ.მ. 32,33; ვ.ბ. 61); აზორკი და არმაზელი (ქართლის მეფეები ძვ.წ. II-I საუკუნეების მიჯნა) ლაშქრობენ ს-ში (ლ.მ. 45, 48; ვ.ბ. 64). ქასრე სასანიანმა (სასანიდი შაჰინ-შაჰი შაბურ I, 241-72) დაიპყრო ს. (ლ.მ. 62; ვ.ბ. 71); წმ. ნინო (ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში IV ს. I ნახ.) 50 ქალწულთან ერთად შევიდა ს-ში (მოქ. ქ. 84,124, წ.წ. 18). არკადის მეფობაში (აღმოსავლეთ რომის იმპერატორი 395-408) ს. რომაელებს ეკუთვნოდათ, შემდეგ კი სპარსელებმა დაიპყრეს (ა.ს. 78). დვინის საეკლესიო კრებაზე (606) ს-მა აღიარა მონოფიზიტობა (ა.ს. 80-81). სარწმუნოებრივი დაპირისპირება ქართლსა და ს-ს შორის დაიწყო ნერსე სომეხთა კათალიკოსის (548-57) დროს (ა.ს. 82). ვაჰან მამიკონიანის (ს-ის მარზპანი 485-505) სიკვდილის შემდეგ სპარსელებმა დაიპყრეს ს. და შეურაცხყვეს მათი სარწმუნოება (ა. ს. 87). იუსტინემ (ბიზანტიის იმპერატორი იუსტინე II, 565-578) დაიბარა ს-ის ეპისკოპოსები მათი ქალკედონური მრწამსისაგან განდგომის გამო. კონსტანტინოპოლის კრებაზე ს-მა კვლავ ბერძენებთან სარწმუნოებრივი ერთობა აღიარა (ა.ს. 88). მავრიკემ (მავრიკიოსი, ბიზანტიის იმპერატორი 582-602) ს-ის ბიზანტიური ნაწილის მმართველად დანიშნა მუშელ მამიკონიანი (ა.ს. 89). ჰერაკლე (ბიზანტიის იმპერატორი 610-641) მოვიდა ს-ში და იხილა სომეხთა გადახვევა სარწმუნოებისაგან. მან მოიწვია

კარნუ-ქალაქის (ქ. ერზურუმის (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება) საეკლესიო კრება, რომელზეც სომეხთა საპატრიარქომ ქალკედონიზმი აღიარა (ა.ს. 90). ბაგრატი (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) მოხარკედ გაიხადა ს. (მ.ქ. 281; ს.დ. 382). დავითი (დავით IV აღმაშენებელი, საქართველოს მეფე 1089-1125) მართავდა ს-ისა და ანისის საქმეებს (დ.ი. 346). ჯალალედინმა (მანგუბერთი, ხორეზმის შაჰი 1220-21) მოაოხრა ს. (ყ. 171; ვ.ბ. 200, 205). თემურ-ლენგმა (შუაზიელი მხედართმთავარი 1336-1405) დაიპყრო და სრულიად მოაოხრა ს. (ბ.ე. 327; მეორე ტ. 448; ვ.ბ. 263). შაჰ-თამაზმა (შაჰ-თამაზ I, ირანის შაჰი 1524-1576) და სულეიმანმა (სულეიმან I, თურქეთის სულთანი 1520-1566) გაიყვეს სამხრეთ კავკასიის ტერიტორია. სულეიმან I-ს დარჩა ს. (ბ.ე. 371; მესამე ტ. 517).

ე. კვაჭანტირაძე

სტარაონისი – სავარაუდოდ სომეხი, IV ს-ის I ნახევრის მოღვაწე. ს. იხსენიება : „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963).

გუასპურაგნიდან (ვასპურაკანიდან) ბოდს (ბოდბეში) დედოფალ სოფის ბრძანებით წამოიყვანეს ს., რომელიც იქვე მოინათლა (მოქ. ქ., 101).

თ. ქორიძე

სუმგატ პიპრიტიანი – სომეხთა მეფის არტაშეს I-ის სპასპეტი ძვ.წ. II ს. ს.ბ. იხსენიება: ლეონტი მროველი

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ს.ბ-მა მოკლა სომეხთა მეფე იარვანდი და დასვა მეფედ მისი ძმა არტაშანი (არტაშეს I, „დიდი არმენიის“ პირველი მეფე, არტაშესიდების დინასტიის დამაარსებელი), (ლ.მ. 45). აზორკმა და არმაზელმა (ქართლის მეფეები ძვ.წ. II-I სს. მიჯნა) ჩრდილო კავკასიელი ტომების დახმარებით მოაოხრეს სომხეთი. ს.ბ-მა შეკრიბა ჯარი და დაედევნა ქართველებს, რომლებიც კამბეჩოვანში (საქართველოს ისტ. მხარე, მდ. ალაზნის ქვემო წელსა და მდ. მტკვარს შორის, ცენტრი ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი) გაჩერებულიყვნენ და იყოფდნენ ალაფს. ს.ბ-მა მოციქული გაუგზავნა ქართლის მეფეებს და შეუთვალა ყველაფერი რაც სომხეთიდან წაეღოთ მათი ყოფილიყო, ოღონდ ტყვეები გაეთავისუფლებინათ. მათ უპასუხეს, რომ სომხეთში მის საძებნელად მივიდნენ, თუ სურდა მისულიყო მათთან, მიელოწილი, თუ არადა ისინი მივიდოდნენ და არ დატოვებდნენ ცოცხალს. ს.ბ-მა გადალაზა მტკვარი, მას შეებრძოლნენ ოსთა მეფე ბაზოკი, მისი ძმა ანბაზუკი და დამარცხდნენ. შემდეგ ბრძოლა გაიმართა ქართლის მეფეებსა და ს.ბ-ს შორის. ს.ბ-მა გაიმარჯვა. აზორკი და არმაზელი მცხეთაში დაბრუნდნენ. ს.ბ. შევიდა და ააოხრა ქართლი, ააშენა სამცხეში (ისტ. პროვინცია სამხრ.-დას. საქართველოში, იგივე ოძრხე დემოთის ციხე (მდებარეობს ფერსათის მთის ძირას, ბორჯომთან) და წავიდა (ლ.მ. 47;

ვ.ბ. 658, 662). ქართველებმა და ოსებმა შურისძიება გადაწყვიტეს და არბევდნენ სომხეთის საზღვრებს. ქართველთა წინააღმდეგ გამოემართა სომხეთა მეფე არტაშანი და ს.პ. სომხები დადგნენ მცხეთაში, იბრძოდნენ ხუთი თვე და გაიმარჯვეს. მესამე წელს მოვიდა ს.პ. და სომხეთა მეფის ორი ვაჟი და დადგნენ თრიალეთს (ისტ. თემი ქვემო ქართლში, თანამედროვე წალკა). მოხდა დაზავება და ამიერიდან ოსები, ქართველები და სომხები ერთად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ (ლ.მ. 45-49; ვ.ბ. 64-65).

ე. კვაჭანტირაძე

სუმგათ ტიუზერაკალი – სუმგათ I ბაგრატიუნი, ანისის მეფე (890-914). ს.ტ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962).

დაპირისპირებულნი იყვნენ ს.ტ. და აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფე კონსტანტინე III (893-922). ს.ტ-მა გაილაშქრა დიდი ჯარით, მიადგა უფლისციხეს (საქართველოს უძველესი (ძვ.წ. VI-I.სს.) კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი) და აიღო. შემდეგ დამძახლდნენ ს.ტ. და კონსტანტინე და მან დაუბრუნა უფლისციხე. ამის შემდეგ ილაშქრა აბულ-კასიმმა (იუსუფ იბნ-საჯ, სამხრეთ აზერბაიჯანის არაბი ამირა 901-27) სომხეთში. ს.ტ. არ დაემორჩილა მას და თავი შეაფარა აფხაზეთის მთებს (მ.ქ. 262). აბულ-კასიმი მიდიოდა დვინის დასალაშქრად, როცა შეატყობინეს, რომ ს.ტ. იყო გამაგრებული კაპოეტის ციხეში. არაბმა სარ-

დალმა აიღო ციხე, შეიპყრო ს.ტ., წაიყვანა დვინში, ჩამოჰკიდა ძელზე და მოკლა (მ.ქ. 264; ნ.დ. 87).

ე. კვაჭანტირაძე

სუმგათი – ტაშირ-ძორაგეტის მეფე კვირიკე I-ის ძმა. ს. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ს. დაპირისპირებულია ბაგრატთან (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) სამშვილდისაკენ მიმავალი ს. მის ძმასთან კვირიკესთან ერთად შეიპყრო ბაგრატმა. ს-მა დაუთმო ბაგრატს სამი ციხე: ოფრეთი, კოშკი, ვარზაქარი (მ.ქ. 307). [იხ. ტაშირ-ძორაგეტის განმარტება, სტ. სომხები (შენიშვნა)].

ე. კვაჭანტირაძე

სუფან-პირდი-პეტი ყაზახის სულთანი (XVIII ს. შუა ხანები). ს. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი - „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ს. თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) ნადირ-შაჰთან (ირანის შაჰი 1736-47) გაგზავნილ გივი ამილახვარს (ქართლის სადროშოს სარდალი, აჯანყდა ირანის წინააღმდეგ) თან გააყოლა (1745), (პ.ო. 97). იმავე წელს თეიმურაზმა ს. მიაშველა ძმის, მამუკას წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთის მეფეს ალექსანდრეს (ალექსანდრე V, 1720-52), (პ.ო. 100). მამუკას მომხრე ოსმალებმა შეიპყრეს ს. და ახალციხეში ჩაიყვანეს (პ.ო. 107). ს. (1746) პატიმრობიდან განთავისუფლდა და თბილისში ჩამოვიდა. თეიმურაზმა ს-ს

უბოძა ხალათი და დაუბრუნა ყაზახის სულთნობა (პ.ო. 118).

გ. ოთხმეზური

სურსავი (სულსავი) – სურხაი-ხან I. დალესტნის პოლიტიკური ერთეულის, ყაზი-ყუმუხის მმართველი 1700-41. ს. მუდარისის მფლობელ ჰაჯი-დაუდთან ერთად ირანის წინააღმდეგ ლეკთა აჯანყებას სათავეში ჩაუდგა, აიღეს ქ. შამახია ჯერ 1711 შემდეგ 1721. სასტიკად ააოხრეს და გაძარცვეს. 1722 დაიკავეს შირვანი და ჩრდ. აზერბაიჯანის ნაწილი. მათ ფორმალურად თურქეთის უზენაესობა აღიარეს და მკვეთრად დაუპირისპირდნენ ირანს. 1725 ს. თურქებმა შამახიის მმართველად დანიშნეს და ხანობა უბოძეს. შედეგად მისმა ქმედებებმა 1734-44 დალესტანში ირანის ლაშქრობები გამოიწვია. 1742 ს. დაიჭირეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს. გარდაიცვალა 1748. ს. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); სენია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); ისტორიული საბუთები (ქრ. III, 1967).

1718 ლეკები ს-ის (ვ. ბ-სთან სულხავი) მეთაურობით შეესივნენ და ააოხრეს ბოლნისი (სოფ. ქართლში, დღ. ბოლნისის რ-ნი), ქციის ხევი. როდესაც ეს ბაქარმა (ქართლის ჯანიშინი 1717-1719) შეიტყო, თავისი ბიძა სვიმონი, სამასი მხედრით, მათ წინააღმდეგ გააგზავნა. ლეკებმა ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი დაამარცხეს

სოფ. ნაზარას ბოლოს (ქრ. III. 64-66; ვ. ბ. 496). უსუფ-ფაშა (ახალციხის ფაშას – ისაყის შვილი) დაუზავდა ს-ს და შიგნი-კახეთის დასარბევად გამოაგზავნა. ს-მა ააოხრა თელავი, შილდა, ყვარელი და უკან გაბრუნდა (ვ. ბ. 625). ს-მა ლეკის ჯარით ჰაჯი-დაუდთან ერთად დაიკავა ქ. შამახია 1721 (ქრ. III. 616). 1722 ვახტანგ მეფე (ქართლის ჯანიშინი 1703-14, მეფე 1716-24) განჯისაკენ პეტრესთან (რუსეთის იმპ. 1689-1725) შესახვედრად წავიდა. ამ პერიოდში მან ს. დაამარცხა ხუნანსა და განჯის მისადგომებთან (ვ. ბ. 499). თამაზ-ხანმა (შემდგომში ირანის შაჰი ნადირი 1736-47) 1734 ს. შამახიიდან განდევნა, შემდეგ მის ქვეყანაზე – ყუმუხზე (ვ. ბ.-სთან კულმუხი) გაილაშქრა, მოარბია და დიდძალი ქონება წამოიღო (ქრ. III. 617; ვ. ბ. 513; ს. ჩ. 45). ს-ს შვილმა 1740 აღსუს ციხეზე (შამახიაში) ილაშქრა. ყიზილბაშები ციხიდან გამოვიდნენ; გაჩაღდა ბრძოლა, ლეკის ჯარი მთლიანად ამოწყდა (ქრ. III. 617).

ქ. ნადირაძე

სურსავი – (XVIII ს. მე-2 ნახ.) დალესტნის ჯარის წინამძღოლი. ს. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ს. მონაწილეობას იღებდა დალესტნის ჯარით, ნურსალ-ბეგის (ხუნძახის ბატონი) მხარეს, ქართლ-კახეთის წინააღმდეგ წარმოებულ ლაშქრობაში 1755 ყვარლის ციხის ასაღებად. თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლემ (ერეკლე II, კახე-

თის მეფე 1744-62) შემოსეული მტერი წარმატებით დაამარცხეს. ს. ლაშქრობის დამთავრებამდე ჩამოეცალა ნურსალ-ბეგს (პ. ო. 226-31).

ქ. ნადირაძე

ურდუჩა – ოსთა მეფე (XI ს. 20-30-იანი). უ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ოსთა მეფე უ. შემოესია კახეთს, ააოხრა თიანეთი (დაბა ისტ. კახეთის ტერიტორიაზე, X-XI სს-ში კახეთის სამთავროს ცენტრი). კვირიკე (კვირიკე III დიდი, ჰერეთ-კახეთის მეფე 1014-37) შეებრძოლა მას, დაამარცხა და კახეთიდან განდევნა. უ. ბრძოლაში მოკლეს (მ.ქ. 297; ვ.ბ. 562).

ე. კვაჭანტირაძე

უსაინ-ალი-ხანი – ერევნის ხანი (დაახ. 1750-82). უ. ხ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

1779(80) უ. ხ. განუდგა ერეკლეს (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) და ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ერეკლემ მოსალაპარაკებლად თავადი ზაზა თარხნიშვილი გააგზავნა. ერეკლემ მოციქულის პირით უ. ხ-ს გაახსენა ქართლ-კახეთის მიერ ერევნის დახსნისათვის დაღვრილი სისხლი

და თვით უ-ის ხანობის მიცემა. ხანმა თარხნიშვილს არ მოუსმინა, რადგან „ჰქონდა ქონება ურიცხვი და იყო ძლიერი“. იმავე წელს, აგვისტოს თვეში, ერეკლემ შეკრიბა ჯარი, დაიბარა ლეკები, დადგა სოფ. შარაბათს და იქიდან იწყო რბევა ერევნისა. უ. ხ. იძულებული გახდა ხარკი ეკისრა. უ. ხ-ს გარდაცვალების შემდეგ ხანად მისი ძე, ყულამალი დაადგინეს. ვინაიდან იგი „გონება მსუბუქი“ იყო, ერევნელებმა მოკლეს (ო.ხ. 69; თეიმურაზისეული ვერსია, იხ. ო. ხ. 93; თ.ბ. 57, 58).

ქ. ნადირაძე

ფადლონი (ფადლონ I) – ფადლიბნ მუჰამადი, განძის ამირა (985-1031). ფ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ფ. გაძლიერდა და დაიწყო კახეთ-ჰერეთის რბევა. ბაგრატმა (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) აცნობა ამის შესახებ სომეხთა მეფე გაგიკს (გაგიკ I, ანისის მეფე 990-1020), რომელიც თავისი ლაშქრით მივიდა ბაგრატთან ძორაკერტში (მხარე ქვემო ქართლში) და წავიდნენ ქრისტიანეთა მოძულე ფ-ის წინააღმდეგ. შეშინებული ფ. ციხე-სიმაგრეში გამაგრდა. ბაგრატი მიადგა შამქორს (ისტორიული ქალაქი აზერბაიჯანში) და დაუღწა ზღუდენი. ფ-მა ლამე მოციქული გაუგზავნა მეფეს, შენდობა ითხოვა, მსახურება, ხარკი და მტრის წინააღმდეგ დახმარე-

ბა აღუთქვა. ბაგრატი დაუზავდა ფ-ს, რომელმაც დიდი ძღვენი გაუზავნა მას (მ.ქ. 279-80; ვ.ბ. 141).

ე. კვაჭანტირაძე

ფადლონი (ფადლონი II) – ფადლონი შავური, განძის ამირა (1067-1073). ფ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“ (ქ.ც., I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1955).

მეფე ბაგრატის (ბაგრატ IV, საქართველოს მეფე 1027-72) მმართველობის დროს ფ. „ავად ექცეოდა“ საქართველოს სამეფოს (ვ.ბ. 145). მეფე ბაგრატის გარშემო შემოიკრიბნენ ლიპარიტი, იოვანე აბაზასძე, რანთა და კახთა მეფე კვირიკე, სომეხთა მეფე დავითი და ტფილელი ამირა ჯაფარი, ფ-ს მიუხდნენ ეკლესს, ბრძოლა გაუმართეს, გააქციეს და მისი ჯარი ამონყვიტეს (მ. ქ. 296; ვ. ბ. 145). ამის გამო ფ. სიცოცხლის ბოლომდე გაბოროტებული იყო (მ. ქ. 296). სულთანმა (ალფ-არსლანი, სელჩუკთა სულთანი 1063-72) ტფილისი და რუსთავი სამართავად გადასცა ფ-ს (მ. ქ. 310). ფ. 33 ათასიანი ლაშქრით მოვიდა ტფილისს და დაიბანაკა ისნის ველზე, გაშალა კარვები და ხელი მიჰყო ქართლის საზღვრების დარბევას (მ.ქ., 310). ფ. გაძლიერდა, თბილისში შემოვიდა, დიდგორს მდგომ მეფე ბაგრატს (ბაგრატ IV) არ მოერიდა და 30-ათასიანი ლაშქრით ისნის (თბილისის ისტ. უბანი აღმოს. ნაწილში) ველზე დაიბანაკა, იქ კარვები

დატოვა, ქართლის დარბევის მიზნით მუხრანი შემოიარა (ვ. ბ., 151). მეფე ბაგრატმა ფ-ის წინააღმდეგ გაგზავნა ლაშქარი. პირველივე შეტაკების შედეგად ფ. თავის ლაშქრიანად გააქციეს (მ. ქ. 311). მეფე ბაგრატმა ფ-ის წინააღმდეგ მესხთა ლაშქარი გაგზავნა. ისინი ერთმანეთს ნილკნის (მხარე შიდა ქართლში) გორაზე ეკვეთნენ, სადაც ქართველებმა ფ-ის ლაშქარი დაამარცხეს, ხერკის (ქართლში) მთამდე მიყვინ და უამრავი მონინააღმდეგე დახოცეს (ვ. ბ. 151). ფ. 15 ცხენოსნით ერნოს გაიქცა, სადაც თავი ფ-ის მოციქულად წარადგინა. იგი მიჰგვარეს მესხ აზნაურ ისაკ ტოლობელის ძეს. მან ფ. მიიყვანა თელავს კახთა მეფე აღსართანთან (კახეთ-ჰერეთის მეფე, 1058-84), მან კი წაიყვანა ხორნაბუჯს (ციხე-ქალაქი აღმ. საქართველოში), (მ.ქ. 311-312). ბაგრატმა (ბაგრატ IV) ფ-ის სანაცვლოდ კახელებს ბოჭორმა და უჯარმა (ისტორიული კახეთის მნიშვნ. ცენტრები) გადასცა, ფ. კი წამოიყვანა და ძელზე გასვა (მ.ქ. 312; ვ.ბ. 151)). სელჩუკთა სულთნის (ალფ-არსლანის) თხოვნით ბაგრატმა ფ. გაათავისუფლა და განძას დააბრუნა (მ.ქ. 312). სულთანმა გამოგზავნა შუამავლად სარანგი, რის შედეგადაც ფ. გაანთავისუფლეს (ვ.ბ. 151). ფ-მა ფიცი გატეხა და ქავაზანი (ც/ს ქ. თბილისის სამხრეთით) და აგარანი (იგივე კოჯრის ციხე) დაიკავა (მ.ქ. 313; ვ. ბ. 152). მეფე ბაგრატმა ოსთა მეფე დორლოლელი 40-ათასიანი ლაშქრით გამოიყვანა და ქართულ ლაშქართან ერთად ფ-ის წინააღმდეგ გაგზავ-

ნა. მათ განდა მოაოხრეს და ურიცხვი ტყვიითა და ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ (მ. ქ. 313; ვ. ბ. 152).

თ.ქორიძე

ფათალი-ხანი – ირანის შაჰის სულთან ჰუსეინის (1694-1722) დიდი ვეზირი (ი'თიმად ად-დოულე). ფ. ხ. იხსენიება: სეხნია ჩხეიძე, „ცხოვრება მეფეთა“ (1913); „ღვთაების გუჯარი“ 1722 კახეთის მეფის, დავით II-ის (1709-22) ბრძანებით დანერგილი (ქრ. III. 1967).

1741 როდესაც შაჰ სულთან-ჰუსეინი თეირანში (ირანის დედაქალაქი) იმყოფებოდა, შეიტყო ეთიმადოვლე ფ.ხ-ის ლალატი, რადგან მას შაჰობა თავად სურდა. ფ.ხ. წარმოშობით ლეკი შამხლის სახლიდან, ირანის შაჰის კარზე დიდი პატივით იზრდებოდა. სულთან-ჰუსეინმა თავის გაზრდილს თვალეზი დასთხარა, ხოლო მისი ქონება იავარჰყო (ს.ჩ. 32). ფ.ხ იყო დავითის (კახეთის მეფე იმამ-ყული-ხანი 1709-22) ცოლის, დედოფალ ახრიჯაჰან ბეგუმის ძმა, ხოლო მათი მამა – ერევნის ბეგლარბეგი (ქრ. 85).

ქ. ნადირაძე

ფათალი-ხანი – ყუბის სახანოს მმართველი (1758-89), რომელმაც გააერთიანა ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიები, სადაც შედიოდა დერბენდის, ბაქოს, შემახას, შირვანის სახანოები. ასევე სპარსეთის ჩრდილოეთ ნაწილი ქ. არდებილამდე (კასპის ზღვის უკიდურეს სამხრეთში ე. წ.

სამხრეთ აზერბაიჯანში) ფ.ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ერეკლე II-ის სათხოვარი წიგნი ეკატერინე II-სადმი (რუსეთის იმპერატრიცა) მიწერილი (ქ.ს.დ. II. 1965).

ავარიის ხანი ნურსალ-ბეგი შამახიაში სტუმრობის დროს ფ.ხ. ყუბელმა მოკლა (თ.ბ. 56). ფ.ხ-თან თავი შეაფარა ალექსანდრე ბაქარის ძემ, ვახტანგის (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24) შვილიშვილმა, რომელიც აუჯანყდა ერეკლეს (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) ქართლის ტახტის წართმევის მიზნით. ერეკლემ თხოვნით მიმართა რუსეთის იმპ. ეკატერინეს, რომელმაც ფ.ხ-ს გაუგზავნა ბრძანება, რის საფუძველზეც მან ალექსანდრე შეიპყრო და რუსეთში გაამგზავრა (ქ.ს.დ. II. 455; ბ. ბ. 57). 1789 ერეკლემ, ფ.ხ-მა (ფ.ხ-მა, ერეკლეს დაუძინებელმა მტერმა, ბოლოს მასთან სამხედრო კავშირი შეკრა) და მაჰმად-ხან შაქელმა ყარაბაღის ხანის, იბრეიმის წინააღმდეგ გალაშქრება გადაწყვიტეს, რადგან იბრეიმმა „დაივიწყა კეთილობა მეფისა ირაკლისა“ (თ.ბ. 60). რუსეთის სარდალს პაულუჩს (საქართველოს მთავარმარებელი 1811-12) 1812 ებრძოდა ფ.ხ-ის შვილი, დარუბანდის ხანი – შიხალი (თ.ბ. 80).

ქ. ნადირაძე

ფათალი ხან აფშარი – სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველი, (XVIII ს. I ნახ.) ნადირშაჰის (ირანის შაჰი 1736-47) ძმისშვილი. მას ებრძოდა ირანის შაჰის, ისმაილ III-ის ვაჟილი ქერიმ ხან ზენდი (1758--79), რომელმაც ფ.ხ. 1763 სიკვდილით დასაჯა. ფ.ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); სავარაუდოდ, ვფიქრობთ, რომ პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანში“ (1981) მოხსენიებული აზერბაიჯანის სარდალი ფათალი-ხანი, პ.ო-ის მიხედვით ნადირშაჰის ცოლისძმა, უნდა იყოს ფათალი ხან აფშარი.

აზერბაიჯანის სარდალმა ფ.ხ-მა 1742 იმამ-ყული-ხანი (1740-დან ქართლის მუსლიმი გამგებელი და ირანის ბეგლარბეგი) ქართლის ჯარით ჭარულ ლეკებზე გასალაშქრებლად დაიბარა. ხანი ქართველთა ჯარით იორზე დაბანაკდა და ფ.ხ-ს ლოდინი დაუწყო. გალაშქრება არ შედგა (პ.ო. 53). ფ.ხ. კახეთის მეფემ, თეიმურაზმა (თეიმურაზ II, კახეთის გამგებელი 1733-44; ქართლის მეფე 1744-62) თავისთან მიიწვია. თეიმურაზმა მას ყარაღაჯში (სოფ. შიდა ქართლში, ახლანდელი კასპის რ-ნი) ჩააკითხა. ამ დროს ფ.ხ-ს ირანის შაჰმა აცნობა, რომ ქართლს 7 000 ლეკი შემოესია, რომლებიც აჯანყებულ გივი ამილახვარს შეუერთდნენ. ფ.ხ. ჩავიდა თბილისში, ჯარი სასწრაფოდ გორში (ქალაქი ქართლში) გააგზავნა, თვითონ იქ დარჩა და ნადიმი გამართა. ფ.ხ. ღვინის მსმელი, მოქეიფე, მომღერალი და მოთამაშე კაცი იყო. მტკვრის გაღმა ნაპირზე, რიყეზე, ჩირაღდნები გააკე-

თებინა და სამი დღე და ღამე ილხენდა (პ.ო. 60). ამ დროს ლეკებმა, გივი ამილახვართან (ქართლის სადროშოს სარდალი) ერთად სულ ააოხრეს და გაძარცვეს ორბელიანთა მამული. ფ. ხ. მივიდა მეტეხს და ამილახვართან მოლაპარაკება გამართა. მას შერიგებას და შაჰთან საქმის მოგვარებას სთავაზობდა. ამილახვარმა მოსაფიქრებლად სამი დღე ითხოვა და ლეკებს მოელაპარაკა. შემდეგ, ვითომდა შერიგებაზე დასთანხმდა და ფ.ხ-ს შეუთვალა: ლეკებს დიდძალი ქონება მიაქვთ და თავს დაესხითო. ფ.ხ-ს გაეხარდა, ლეკებს ჯარი დაადევნა. ყიზილბაშებმა ალაფი წაართვეს, მრავალი ლეკი განწყვიტეს, მაგრამ უკან მობრუნებულ ჯარს ლეკთა მეორე, ჩასაფრებული ლაშქარი თავს დაესხა. ყიზილბაშები ამოწყვიტეს და ქონება წაიღეს. ფ.ხ. ლალის-ყურს (სოფ. კახეთში) იდგა. იქიდან თელავს (ქალაქი კახეთში) ჩავიდა, სადაც თეიმურაზმა დიდი პატივით მიიღო. თელავიდან ფ.ხ. ყუშყალას გაემგზავრა, საიდანაც შაჰის ბრძანებით ირანში ჩავიდა (პ.ო 61). როდესაც თეიმურაზი ქართლის მეფედ აკურთხეს (1744.), ფ. ხ. შამშადილოს იდგა (პ.ო 62-63), თეიმურაზი თავის ვაჟს, ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62; ქართლ-კახეთის 1762-98) კახეთში გაჰყვა, რათა მისთვის წესისამებრ კახეთის მეფობა დაელოცა. როდესაც მამა-შვილი საგარეჯოში მივიდა, შეიტყვეს, რომ 3 000 ცხენოსანი ლეკი ქართლს შესეოდა. თეიმურაზი სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა, მეორე დღეს ყაზახში წავიდა, შეუერთდა ფ.ხ-ს, ერთად შეუტყეს

ლეკებს და დაამარცხეს (პ.ო. 83). ფ.ხ. აფშარმა შუშის სახანოს წინააღმდეგ გალაშქრება გადანწყვიტა და დახმარებისთვის ერეკლეს მიმართა (1759). ერეკლემ მას მხედრობა მიაშველა, მაგრამ, როდესაც მათ წინააღმდეგ ქერიმ-ხანი წამოვიდა, ქართველები უკან გამობრუნდნენ. შუშის ხანმა ფანამ ფ.ხ-თან შეთანხმება გადანწყვიტა. მოლაპარაკების შედეგად ფანამ განჯის ხანი შავერდი გაათავისუფლა (თ.ბ. 51-52).

ქ. ნადირაძე

ფანა-ხანი – ყარაბაღის // შუშის ხანი (1747-1763.), ყარაბაღის სახანოს პირველი მმართველი და ჯევეანშირიალების სახანო დინასტიის ფუძემდებელი. მისი მმართველობის პერიოდში გაუქმდა სომეხი მელიქების თვითმმართველობა მთიან ყარაბაღში. ფ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); ისტორიული საბუთები, (ქრ., III., 1967).

ფ.ხ. იყო ერთი ჯავანშირელი (მომთაბარე ტომი) კაცი (პ.ო. 160-61). ფ.ხ. განჯა-ყარაბაღის ქვეყნებს აოხრებდა, ამიტომ ერევნის ხანის დასახმარებლად წასულ ბატონებს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62; ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) გზად, ყაზახში განჯის ხანის კაცი მიუვიდათ და მათ ფ.ხ-ის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ბატონებს სიღნაღის მელიქის შვილებმაც სთხოვეს ფ.ხ-თან ბრძოლაში დახმარება (პ.ო. 160-61). შამახის ქვე-

ყანაში მდგარ ფ.ხ-ს მაჰმად-ხანმა (შაქის ხანი) ქართველების წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ფ.ხ-მა დიდი ჯარი შეკრიბა, განჯას მივიდა და გადანწყვიტა, ერევნიდან გამარჯვებით დაბრუნებულ ბატონებს წინ დახვედროდა. ბატონები რომ ყაზახს მიბრძანდნენ, ფ.ხ. ალაქოლას მივიდა და ომისთვის მზადება დაიწყო. ბატონებს ქართლ-კახეთიდან დამხმარე ჯარები მიუვიდათ. ეს რომ ფ.ხ-მა გაიგო, აღარ მოინდომა შებმა, შერიგების მიზნით, მოსალაპარაკებლად კაცი გაგზავნა და შუამავლად კონსტანტინე მუხრანის ბატონი ითხოვა. ფ.ხ-ს დიდად ეამა, როდესაც მასთან მოსალაპარაკებლად მუხრანის ბატონი და მდივანი გოჯასპი მივიდნენ (პ.ო. 163).

ფ.ხ-მა ბატონებს, შერიგების სანაცვლოდ, მაჰმად-ხანის ცოლ-შვილის, ქონების და ყაზახის ქვეყნის მისთვის გადაცემა მოსთხოვა. ბატონებმა ფ.ხ-ის ეს მოთხოვნა იწყინეს და საპასუხოდ, რაც ჯარი ახლდათ კაცზე ხუთი თუმანი ინამი და მორჩილება მოსთხოვეს. შუამავლებმა ფ.ხ-ს ბატონების მორჩილება „თავს დაადევს“, რის შემდეგაც ისინი შერიგდნენ და მშვიდობიანად დაშორდნენ. ფ.ხ. აიყარა და განჯას ჩავიდა (პ.ო. 163-64). ფ.ხ-მა მოინდომა განჯის ხანობა და ადრიბეჯანის (აზერბაიჯანის) სარდლობასაც ცდილობდა. განჯის ხანმა შავერდიმ დახმარებისთვის მეფე თეიმურაზსა და ერეკლეს მიმართა. ფ.ხ-ის წინააღმდეგ დახმარება მეფეებს სომხის ეპისკოპოსმაც სთხოვა, რადგან ფ.ხ. სიღნაღში (აზერბაიჯანული სახანო)

ჩამდგარიყო და მოსახლეობა ძალზე შეენუხებინა (პ.ო. 165). განჯის ხანის ჩაფარმა მეფეებს ფ.ხ-ს მიერ ქ. განჯის ალყის და ქალაქის აოხრების შესახებ აცნობა. მეფეებმა განჯელთა დასახმარებლად ლაშქრის შეკრება დაიწყეს, რადგან ფ.ხ-მა მათთვის მიცემული პირობა, რომ მის ხალხს დასჯერდებოდა და არც ერთ ქვეყანას აღარ ემტერებოდა, არ შეასრულა. ფ.ხ-ის ჯარმა განჯა ისე ააოხრა, რომ მეჩეთებიც კი დააქცია და ციხის მეტი არც ერთი შენობა აღარ დატოვა (პ.ო. 166). 1750 ბატონები გაემართნენ ფ-ხ-ის წინააღმდეგ. მან თავისი ელი - ჯავანშირი აყარა, არაზის პირისკენ გაისტუმრა, თვითონ კი 6 ათასკაციანი ლაშქარი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ჯავანშირის, შამშადილოს, სილნალის, ბარგუშათის და შაჰისევანის ქვეყნების ჯარი, თან იახლა. იგი ხეივანს დაიმალა, ქართველთა ლაშქართან მზაკვრულად შებმის მიზნით (პ.ო. 166). ფ.ხ-ის კაცები აშოთან მუხრანბატონიშვილის კაცებს შემოეყარნენ, დახოცეს და თავები ფ.ხ-ს მიართვეს. ამ აშოთანს ფ.ხ. მრავალჯერ ენახა და იცნობდა, რომ დიდი კაცის შვილი იყო. ფ.ხ-მა ჭარსა და შამშადილოში წერილები გაგზავნა, სადაც ცრუ ინფორმაციას აწვდიდა, თითქოს მან ქართველები დაამარცხა, გააქცია, მუხრანის ბატონი მოკლა და გაქცეულებს უკან დაედევნა. იგი მოუწოდებდა მათ, გზები შეეკრათ ქართველებისთვის, სამაგიეროდ კი, მათ ალაფს სრულად პირდებოდა (პ.ო. 167). რადგან მინდვრად ვერ გაბედა ომი,

ფ.ხ. ტყიანი მთის წვერზე ჩაუსაფრდა ქართველებს. ქართველებმა მეფე ერეკლეს მეთაურობით ფ.ხ. იმ მთაზე სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს (პ.ო. 168). დამარცხებული ფ.ხ. დარჩენილი ჯარით წავიდა ყარადაღის მთისკენ (პ.ო. 169). სილნალის ბოლოს-თულში, იქ, სადაც იყო ფ.ხ-ის სანგარი, მას დარჩა თოფხანა და ჯაბახანა, სადაც გამარჯვებული ბატონები (თეიმურაზ II, ერეკლე II) მივიდნენ და ეს ყველაფერი ხელში ჩაიგდეს (პ.ო. 169). მეფეები ბარგუშათსა და ფ.ხ-ის გაქცეულ ელზე სალაშქროდ გაემართნენ. ფ.ხ. მათ მცირე ჯარით ხოზაფუნის ხიდზე საომრად დახვდა, მაგრამ როდესაც გაიგო, ქართველთა მისვლა, მიატოვა თავისი ელი და გაიქცა (პ.ო. 170). 1750 ფ.ხ. მოადგა განჯას. მაშინ განჯის ხანმა მეფეებს (თეიმურაზ II, ერეკლე II) დახმარება სთხოვა. მეფეებმა შემოიკრიბეს ჯარები და ყაზახში ჩავიდნენ. ეს რომ ფ.ხ-მა გაიგო, განჯას გაერიდა და თავის ქვეყანაში გაბრუნდა უფრო დიდი ჯარის შეკრების მიზნით. განჯაში ჩასულ მეფეებს განჯის ხანი შავერდიც შეუერთდა და ერთად წავიდნენ ყარაბაღს. იქ მათ ფ.ხ. დიდი ჯარით წინ მიეგება. მეფეებმა გაიმარჯვეს (ო.ხ. 49). აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ განჯაში საომრად ჩასულმა მეფეებმა ფ.ხ. დაიბარეს სხვა ადრიბეჟანის (აზერბაიჯანის) ხანებთან ერთად, რომლებიც მათ ეახლნენ (პ.ო. 191-92). როდესაც მეფეებმა შეიტყვეს, რომ ადრიბეჟანის ხანებმა, მათ შორის ფ.ხ-მა, მათი ლაღი განიზრახეს, რა მიზნითაც ავლა-

ნელებზე სალაშქროდ ეპატიჟებოდნენ, ყველანი თავისთან მიიპატიჟეს და დააპატიმრეს პ.ო. 193). ჭარელები, კაკის სულთანი, აჯი-ჩალაბი, შირვანელები, ფ.ხ. და განჯის ხანი შეთანხმდნენ, რომ თუ ხუნძახის ბატონი ქართველ მეფეებზე გაიმარჯვებდა, ისინი ქართლსა და კახეთს ააოხრებდნენ (პ.ო. 215). ფ.ხ-მა შეავინროვა სიღნაღელები (აზერბაიჯანული სახანო), რასაც ვერ გაუძლეს იქაურმა სომხებმა. ერთი ხეობის მელიქი უსუფ-ბეგი აიყარა თავისი ხიზნით, მოვიდა საქართველოში და მეფეებს დახმარება სთხოვა (პ.ო. 228). ფ.ხ., განჯის ხანი შავერდი და ნუხის ხანი აჯი-ჩალაბი შეიკრიბნენ განჯა-ყარაბაღისა და შაქი-შარვანის ჯარებით და მივიდნენ ყაზახს აღსტაფაზე, ხოლო მეფეები (თეიმურაზ II, ერეკლე II) ყაზახს, თუმცა ხანებმა მათ წინააღმდეგ ომი ვეღარ გაბედეს, მოლაპარაკება გაუმართეს, დაზავდნენ და უკან გაბრუნდნენ (ო.ხ., 48-49). ფ.ხ-ის შვილი იყო იბრეიმ-ხანი (ო.ხ. 98). 1752 განჯის ხან შავერდის, ყარაბაღის ხანს ქაზუმს და ფ.ხ-ს სურდათ განჯაში ჩასული მეფეები აჯი-ჩალაბთან (შაქის ხანი) შეერიგებინათ. მეფეებს ეგონათ, რომ ეს ხანები აჯი-ჩალაბის მოკავშირეები იყვნენ, ამიტომ ისინი 21 მარტს შეიპყრეს და ხელბორკილები დაადეს (ქრ., III, 055, 219, 620, 627, 632). 1752 ფ.ხ-ს შვილი აჯი-ჩალაბთან წავიდა, განჯას ჯარი მიიყვანა, სადაც გამართულ ბრძოლაში მეფეები დამარცხდნენ და თბილისს წამოვიდნენ (ქრ., III, 055; 620). 21 ნოემბერს ფ-ხ-ის შვილმა

იბრეიმ-ხანმა და ომარ-ხანმა (ავარიის // ხუნძახის ხანი) ლეკის ჯარით ნახჩევანზე გაილაშქრეს და დამარცხდნენ (ქრ., III, 621).

თ.ქორიძე

ფარეჯანი – ოსთა მეფის ძე (XIII ს. ბოლო). ფ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959), ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ხუტლუბულა (სადუნ მანკაბერდელის – მონღოლთა მიერ დანიშნულებული საქართველოს პოლიტიკური მოღვაწე – ძე) ცდილობდა მეფობა ჩამოერთვა ვახტანგისთვის (ვახტანგ II, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 1289-92) და დავითი გაემეფებინა (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311). დავითს ეხმარებოდა ოსთა მეფის ძე ფ. (ჟ. 294). ფ-ის მთავრობის დროს ოსებმა დაიწყეს ქართლის რბევა და ქალაქი გორი (ერთ-ერთი უძველესი ქალაქი შიდა ქართლში) დაიკავეს (ჟ. 296; ვ.ბ. 239). ფ. ერთგულად ემსახურებოდა დავით VIII-ს (ჟ. 297; ვ.ბ. 240). დავით VIII-მ მისცა ყაზან ყაენს (ილხანთა ყაენი 1295-1304) თუქალის შვილები და განძი, რომელიც ატენის ციხეში (საცივის ციხე, ორბელიანთა ციხე, X-XI სს-ის ციხესიმაგრე ქ. გორის მახლობლად) ოსთა მთავარს ფ-ს ჰქონდა მიბარებული (ჟ. 299; ვ.ბ. 242).

ე.კვაჭანტირაძე

ფეროზ და კავტია* – გეოგრაფიული პუნქტები ჩრდილო კავკასიაში. ფ. და კ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955).

მირიანის მეფობაში (ქართლის მეფე IV ს-ის I ნახ.) ოსებმა გამოიარეს ფეროზ და კავტია და ააოხრეს ქართლი (ლ.მ. 68-9).

* „ქართლის ცხოვრების“ გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი ამ გეოგრაფიულ პუნქტებს საკუთარ სახელებად მიიჩნევს

ე.კვაჭანტირაძე

ქალაქორი // ქელაქორი – ქალაქი შარვანში. ქ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშაგორგის დროინდელი მატთანე (ქ.ც., I, 1955).

დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) თავისი ძე დემეტრე შარვანს გაგზავნა ლაშქრით. დემეტრემ აწარმოა „ომნი საკვირველნი“, აიღო „ციხე ქალაქორი“ და ურიცხვი ტყვითა და ალაფით წარსდგა მამის წინაშე (დ. ი. 334, ლ-გ მ. 366).

თ.ქორიძე

ქალგალი-ხანი (ზიად-ოღლი-ქალგალი-ხანი) – განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი, კახეთის მუსლიმი მმართველი (1695-1703), სარდარი. ქ. ხ. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ.ც. II, 1959);

ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); წყალობის სიგელები (პ.ა.ლ. IV. 2007).

1695 განჯის ბეგლარბეგად და კახეთის გამგებლად შაჰმა (სულთან ჰუსეინი 1694-1722) ქ.ხ. დანიშნა (ვ.ბ. 608-09). ქ.ხ. მართალია, განაგებდა კახეთს, მაგრამ მისი რევიონები: თუშეთი, ქიზიყი და ერწო-თიანეთი ერეკლეს (ნაზარ-ალი-ხანი, ქართლის მეფე 1688-1703) გამგებლობაში შედიოდა (ვ.ბ. 475). ქ.ხ. და ერეკლე მეფე ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ ლეკების წინააღმდეგ (ბ.ე. 441-42). როგორც ჩანს, ქ.ხ. განჯაში იჯდა, რადგან კახელები იქ ჩადიოდნენ და ლეკთა თავდასხმებისგან დაცვას სთხოვდნენ (ვ.ბ. 609). მის მიერ მრავალი წყალობის სიგელია გაცემული, საიდანაც ირკვევა, რომ თავადებს უმტკიცებდა და უახლებდა მამულებს. საინტერესოა, რომ უდაბნოს ნათლისმცემლის ბერებს გაუჩინა ჯამაგირი – წელიწადში სამი თუმანი, სოფ. აგაბაშიდან ასი კოდი პური და სოფ. მარტყოფიდან ათი საპალნე ღვინო (1698), (პ.ა.ლ. 345).

ქ. ნადირაძე

ქალგალი-ხანი – ნახჩევანის სახანოს გამგებელი (XVIII ს. II ნახ.). ქ. ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ქ.ხ-ს 1786 ნახჩევანის მოსახლეობა აუჯანყდა და გამოაძევეს. ქ. ხ-მ დახმარებისთვის ერევნის ხანს, მაჰმადს მიმართა; მაჰმადი ერეკლეს (ერეკლე

II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) შეევედრა. ერეკლემ ჯარიტა და ზარბაზნებით იოანე მუხრანბატონი გააგზავნა. ქართველებს ერევნელები შეუერთდნენ და ნახჩევანზე გაილაშქრეს. დამარცხებულმა ნახჩევანელებმა თავა ქ. ხ. ისევ ხანად დააბრუნეს (თ. ბ. 59).

ქ. ნადირაძე

ქისტატი – ვეინახური ტომებით დასახლებული ისტორიული მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში. ქ. ხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ქ. დასახლებულია ქ-ის ხევის აღწერისას (ვ.ბ. 357, 358), ფშავის (მხარე აღმ საქართველოს მთიანეთში) აღწერისას (ვ.ბ. 534), თუშეთის (მხარე აღმ საქართველოს მთიანეთში) აღწერისას (ვ.ბ. 554, 555), ოსეთის (მხარე ჩრდ კავკასიაში) აღწერისას (ვ.ბ. 633). მოცემულია ქ-ის აღწერა: იქ, სადაც დავაკებს მდ. არაგვი (მდ. თერგი) მას ერთვის ქ-ის წყალი. სადაც იყოფა ეს ორი მდინარე, შუაში არის ჯარიეხი, რომლის ზემოთ არის ქ. „დაბნებიანი, შენობიანი“ (ვ.ბ. 651).

ე. კვაჭანტირაძე

ქიშტი // ქისტი – ჩრდილო-კავკასიური მოდგმის ხალხის, ვაინახების (ჩეჩნები, ინგუშები) ერთ-ერთი გაერთიანების ქართული სახელწოდება. ქართლის მეფე თეიმურაზ II (1744-62) და კახეთის მეფე ერეკლე II (1744-62) ზოგჯერ ლეკთა თავდასხმების წინა-

აღმდეგ იყენებდნენ ჩრდილოკავკასიელი ხალხებისგან შემდგარ დაქირავებულ ჯარს. მათ შორის ქ-ებს. ქ. ხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

1760-იანი ერეკლემ და თეიმურაზმა ლეკების წინააღმდეგ დაიბარეს „ჩერქეზის, ქ-ის, ჯიქის, ნოლის... ჯარები“. ჯარი თავიანთი უფროსობით ჩამოვიდა ანანურში (სოფ. მდ. არაგვის ხეობაში), ხოლო ერისთავმა ჯიმშერმა თბილისში ჩამოიყვანა. ჯარი დიდუბეში დააბინავეს და ულუფა უბოძეს. „ისინი“ სხვადასხვა რწმენისანი იყვნენ: მაჰმადიანები, უმეტესად კერპთმსახურები. ავი ქცევისანი, „არანმინდათა მჭამელნი“, ზოგი თვალ-ტანადი, ზოგიც შეუხედავი და გონჯი, პატარა ცხვირებით, კარგი ცხენოსნები და მოისარნი, მკვირცხლები. მეფეებმა ჩამოსული ჯარის თავკაცები ტაბახმელაში (სოფ. ქ. თბილისთან) დაიბარეს. როდესაც ლეკებმა მათი მოსვლის შესახებ შეიტყვეს, აიყარნენ და წავიდნენ. რადგან ჩამოყვანილი ჯარის შენახვა ჭირდა, მეფეებმა თავკაცები ოქრო-ვერცხლით დაასაჩუქრეს, ჯარს ჯამაგირი გადაუხადეს და უკან პატივით გაისტუმრეს. „უფროსმა კაცებმა“, მეფეებს პირობა მისცეს: როგორც კი თქვენი ბრძანება მოგვივა, თქვენს სამსახურში დავიხოცებითო (პ.ო. 219-222).

ქ. ნადირაძე

ქრისტეფორე (აპაჰუნელი)

- სომეხთა კათოლიკოსი (628-30). ქ. აპაჰუნთა ეპისკოპოსად ყოფნისას ხელი მოაწერა 607 სომეხთა კათოლიკოს აბრაჰამისათვის (607-615) მიცემულ ხელნერილს და მონაწილეობა მიიღო ვრთანეს ქერდოლის მიერ ალბანელთა საპასუხოდ ეპისტოლეს შედგენაში. ქ. იხსენიება: „არსენ საფარელი, „განყოფისთვის ქართველთა და სომეხთა“, (1980).

კათოლიკოსად დაჯდა იოჰანე მირეგუემელის (იოანე მირაგომელი) მტერი ქ., რის გამოც იოჰანე გამწარდა. თუმცა რაღაც მიზეზით ქ. გადააგდეს ტახტიდან, რის გამოც იოჰანემ გაიხარა (ა.ს. 83).

თ. ქორიძე

ლლილუთი

- ისტორიული მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში. ლ. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ლ. დასახელებულია ოსეთის (მხარე ჩრდ. კავკასიაში) და ძურძუკეთის (ისტ. მხარე ჩრდ. კავკასიაში, თანამ. ჩეჩნეთი და ინგუშეთი) აღწერისას (ვ.პ. 554, 652). ვახუშტი გვაძლევს ლ-ის დახასიათებას: ლ. არის ქისტ-ძურძუკეთის აღმოსავლეთით, სახელი მომდინარეობს ძურძუკის ძის ლლილსაგან. აქ ჩამოდის მდინარე. ამ მდინარეზე არის დიდი დაბა ანგუსტი, რომლის მოსახლეობა მაჰმადიანია (ვ.პ. 652).

ე. კვაჭანტირაძე

ქურდევანი

- ადგილი შარვანში. ქ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955).

დავითი (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) ჩავიდა შარვანს და მოარბია ტერიტორია ლიჟანიდან ქ-მდე (დ. ი. 339).

თ. ქორიძე

ყაბალა // კაბალა

- ქალაქი შარვანში. ყ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) აიღო შარვანის ქალაქი ყ. და აღავსო თავისი სამეფო ოქრო-ვერცხლითა და სიმდიდრით (დ. ი., 339). შაჰ აბას I-ის (ირანის შაჰი, 1587-1629) ბრძანებით, ქართველებმა და ყიზილბაშებმა ერთობლივად გაილაქრეს შარვანს და ალყა შემოარტყეს ციხე ყ-ს, რომელიც თურქებს ეკავათ. ციხის შიგნიდან თურქები, ხოლო გარედან ყიზილბაშები გაკვირვებულნი იყვნენ ქართველების შეუპოვარი ბრძოლით, რომლებმაც აიღეს ციხე ყ., დაიკავეს შირვანი და გააბატონეს ალექსანდრეს

თ.ქორიძე

(კახთა მეფე ალექსანდრე II, 1574-1605)
ძე კონსტანტინე (პ.ო. 18).

თ. ქორიძე

ყარაბაღი – აზერბაიჯანის სამხრ. ნაწ. მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ქ. ბარდავით. ძველი ქართული სახელწ. – რანი. 1742-1822 ყარაბაღის სახანო. ყ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე და მესამე ტექსტი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); სეხნია ჩხეიძე „მეფეთა ცხოვრება“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ქართული ისტორიული საბუთები (სიტ. I, II).

„რანი არის ყ.“ (ვ.ბ. 52, 205, 269, 270, 632). ჰულაგუ ყაენის (ირანის საილხანოს დამაარსებელი, ჩინგის ყაენის შვილიშვილი, 1256-65) საზამთრო სამყოფი (1259), „რომელსაც აწ ყ-ობით და მულანობით უხმობდნენ“ (ყ. 239-40). თემურ-ლენგმა (შუა აზიის მბრძანებელი 1370-1405), დაიბანაკა ყ-ში (1386, 1387, 1400), (ბ.ე. 328-31-33, მეორე ტ. 451-59-60-63). ალექსანდრემ (ალექსანდრე I, საქართველოს მეფე 1412-42), (1433) აიღო ყ. (ვ.ბ. 281). შაჰ-ისმაილი (ისმაილ I, ირანის შაჰი 1501-24) ბაქოს ციხისა და შარვან-შამახის ალების შემდეგ (1501) ყ-ში გადავიდა. იქაური „თავადები და ლაშქრის პატრონი“ უომრად დამორჩილდნენ (ფ.გ.

2). შაჰ-თამაზი (თაჰმას I, ირანის შაჰი 1524-76) მივიდა ყ-ში (1524). ყ-ის ბატონებიდან ზოგი შეცვალა, ზოგს კი ბეგარა და ხარაჯა დააკისრა (ფ.გ.3)*. შაჰ-თამაზი (1541) ყ-ში იყო, როდესაც ლუარსაბმა (ლუარსაბ I, ქართლის მეფე, 1527-56) თბილისი აიღო (ფ.გ. 4, ბ.ე. 357, მესამე ტ. 496).** შაჰ-თამაზმა გაილაშქრა ლუარსაბის წინააღმდეგ, აიღო თბილისი და უკან გაბრუნდა ყ-ში (ფ.გ. 5, ბ.ე. 357, ვ.ბ. 402). ყ-ში დაბანაკებული შაჰ-თამაზს ეახლნენ და მორჩილება გამოუცხადეს ბაგრატ იმერეთის მეფემ (ბაგრატ II, 1510-65) და ლევან კახეთის მეფემ (1518-74), (ვ.ბ. 402, 572, 812).*** შაჰის ხანის, დავრიშ მაჰმადზე (დევერიშ მუჰამედი) გალაშქრების წინ შაჰ-თამაზის ჯარი ყ-ში შეიყარა. ყ-ში შაჰის მოთხოვნით მასთან გამოცხადდა ლევან კახთა მეფე (ბ.ე. 363, მესამე ტ. 504, ვ.ბ. 573-74). ლაშქრობის შემდეგ შაჰ-თამაზი ყ-ში დაბრუნდა (ვ.ბ. 574). შაჰ-თამაზმა (1547) ყ-დან თბილისზე გამოილაშქრა. აიღო ქალაქი, უკანვე ყ-ში გაბრუნდა და ზამთარი იქ გაატარა (ფ.გ. 7, ბ.ე. 363, მესამე ტ. 505). შაჰ-თამაზი (1554) გორის ალების შემდეგ ყ-ში წავიდა (ფ.გ. 8, მესამე ტ. 507). გარისის (სოფ. ქვემო ქართლში) ბრძოლაში (1556) შაჰვერდი სულთანის (ყარაბაღის სულთანი) ჯარში იყო სპა ყ-სა (ბ.ე. 365). ყ-ის ბატონი, „ნაპირის მცველი“ შავერდი სულთანი სიმონისაგან (სიმონ I, ქართლის მეფე 1556-69, 1578-1600) შევიწროვებული თბილისის დასახმარებლად წამოვიდა (1560), (ფ.გ. 9, მესამე ტ. 510); ალექსანდრე კახთა მეფის (ალექსანდრე II, 1574-1605) და-

სასჯელად (1575) წამოსული შაჰ-თამაზი ყ-ში დაბანაკდა (ბ.ე. 370, მესამე ტ. 516, ვ.ბ. 577). ოსმალეთის არმიამ მუსტაფა ლალა ფაშას სარდლობით (1578) აიღო აზერბაიჯანის სახანოები, მათ შორის ყ-ი (ფ.გ. 12, მესამე ტ. 521). შაჰ-აბასმა (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) კახეთში გამოავიწყა კონსტანტინე – მირზა (კახეთის მეფის ალექსანდრე II-ს, მეფობდა 1574-1605, შვილი) და „წარმოატანა თან სპანი შირვანისა და ყ-სანი“ (მესამე ტ. 539). საქართველოში ლაშქრობის წინ (1613) შაჰ-აბასმა ყ-ში დაიბარა თეიმურაზი (თეიმურაზ I, კახეთის მეფე 1606-48, ქართლ-კახეთის 1625-32) და ლუარსაბი (ლუარსაბ II, ქართლის მეფე 1606-15), (ფ.გ. 21). შაჰ-აბასმა, ნადირობის საბაბით (1615) ყ-ში წაიყვანა ლუარსაბი (ბ.ე. 396, ვ.ბ. 427). მარაბდის (სოფ. ქართლში) ბრძოლის შემდეგ (1625) ფეიქარ ხანს (ყარაბაღისა და კახეთის მუსლიმი მმართველი) დადევნებულმა ზურაბ არაგვის ერისთავმა და გიორგი სააკაძემ (ქართველი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე დაახლ. 1570-1629) უკანა გზაზე განჯა და ყ. მოარბიეს (ვ.ბ. 431). თეიმურაზმა (1632) ამიერკავკასიაში ირანის სამფლობელოები: განჯა, ბარდა, ყ. დაარბია, რაც ირანის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. ამ ბრძოლაში მთელი საქართველოს ლაშქარი იღებდა მონაწილეობას (ფ.გ. 30, ბ.ე. 416, ვ.ბ. 594). თეიმურაზმა ეს ლაშქრობა დაუდ-ხანის (განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი 1625-33) წაქეზებით მოაწყო (ფ.გ. 31). განძასარის კათოლიკოსთან საუბარში თეიმურაზი აღნიშნავს, რომ ყ. მას უკავია

(ფ.გ. 31). „დაუდ-ხანის ორგულობა, ყაჯართა ამონყვეტა, ბატონის თეიმურაზისაგან განჯა – ყ-ის დარბევა და აოხრება, დაუდ-ხანის ქართლში წაყვანა, ყველაფერი შაჰ-სეფი (ირანის შაჰი, 1629-1642) ყაენს მოახსენეს“ (ფ.გ. 31). ქართლში შემოსვლამდე (1633) როსტომ მეფე (ქართლის მეფე 1632-58) ყ-ში ჩავიდა (ფ.გ. 32). შაჰ-სეფის ბრძანებით შირვანის ბეგლარბეგი (როსტომ ხან სააკაძე) ყ-ის ლაშქრით როსტომ მეფის დაცვაში დადგა (1633), (ფ.გ. 33). ყ-ში (1640) ირანელთა ჯარი იდგა (ფ.გ. 69). კახელებმა (1715) ალავერდის ეპისკოპოსის წინადადებით, ლეკთა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად და ქართლის. ყაზახის, შამშადილუს, ყ-ის და შირვანის ასამხედრებლად მათ წინააღმდეგ, გადამწყვიტეს ჭარელე-ბისთვის მეგზურობა გაეწიათ ამ ქვეყანაზე ლაშქრობისას (ვ.ბ. 615). ჭარელი გლეხები ხშირად არბევდნენ ყ-ს, შაქს და შირვანს (ვ.ბ. 617). შავერდი ხანის (განჯის ხანი) წინააღმდეგ სალაშქროდ გამზადებული ფანა-ხანი (ფანაჰ ალი ხანი, ყარაბაღის მფლობელი 1747-63) ყ-ში ჯარით იდგა (1749). შავერდი ხანის დასახმარებლად მოსულ თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) თან ახლდა ყ-ის, ჯავანშირის, შამშადილის, ბარგუშათის (სომხეთის) და შაჰისევანის ჯარები (პ.ო. 165-166). ეს რომ ფანა-ხანმა შეიტყო, ყ-ში დაბრუნდა. ქართველი მეფეები დაედევნენ მას და ყ-ში შევიდნენ. ყარათაფად (ად-

გილი ყ-ში) ნოდებულ ადგილას ქართულმა მხედრობამ დაამარცხა მტერი (თ.ბ. 47). ფანა-ხანის დამარცხების (1750, 5 მარტი) შემდეგ ქართლიდან, კახეთიდან, ყაზახ-ბორჩალები და ერევნიდან აყრილი და ყ-ში ჩასახლებული გლეხები უკან დააბრუნეს (პ.ო. 171). ქარელი ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად მიმავალ თეიმურაზს (1751) თოფყარალაჯში (სოფ. ყარალაჯა, კახეთი, სიღნაღის რ-ნი) შეუერთდა განჯის ხანი ყ-ის ჯარით (პ.ო. 181). სიღნაღელების და აჯი-ჩალაბის (შაქის პირველი ხანი, ჰაჯი ჩელები ყურბან ოღლუ 1743-55) შეკავშირების დასაზუსტებლად (1752) თეიმურაზმა და ერეკლემ წერილი მისწერეს ყ-ის ხანს. იმავე ხანებში აჯი-ჩალაბმა განჯა ააოხრა, აყარა ყ-ის ელები და თავის ქვეყანაში წაიყვანა (პ.ო. 190). მარტყოფის მოურავ ქაიხოსროს განჯიდან თბილისში წამოყვანენ განჯის ვეკილი, ფანა-ხანის ბიძაშვილი, ჯავანშირის და ყ-ის ქეთხუდები, ბარგუშათის ხანის ძმისწული, რომლებიც თეიმურაზსა და ერეკლეს სთხოვდნენ აჯი-ჩალაბისაგან დაცვას. მეფეები განჯაში ჩავიდნენ და იქ დაიბარეს ყ-ის ხანი ქაზუმ-ხანი, ფანა-ხანი და აზერბაიჯანის ხანები. ყ-ის ხანმა დაპატიჟა ქართველი მეფეები. აზერბაიჯანელ ხანებს ლალატი ჰქონდათ ჩაფიქრებული, რისთვისაც ქართველმა მეფეებმა ისინი დასაჯეს. მართალია, ყ-ის ხანი ქაზუმი ლალატიში გარეული არ იყო, მაგრამ ქართულმა ჯარმა ისიც აიკლო. შემდეგში მეფეებმა მას საქონელი დაუბრუნეს

(პ.ო. 190-193). განჯაში მყოფი აჯი-ჩალაბის შვილის – ალაქიშის ჯარს (1752) შეუერთდა ყ-ს ჯარი (პ.ო. 198). თულქითაფას (ყაზახ-შამშიდილუს საზღვარზე) ბრძოლის (1752) შემდეგ განჯის ხანმა და ალაქიშიმ ყ-ის ჯართან ერთად შური იძიეს ყაზახელებზე (პ.ო. 204). ბამან-ხანი (ნახიჩევანის ხანი) და ზურაბ ქსნის ერისთავიშვილი (იესე ერისთავის ძე) აჯი-ჩალაბთან ერთად აპირებდნენ ქართლ-კახეთზე ლაშქრობას. მათ თან ახლდა ქარის, შაქ-შირვანის, განჯა – ყ-ის, ბარდის და ბარგუშათის ჯარი. ლაშქრობა ჩაიშალა (პ.ო. 208). იბრეიმ-ხანისაგან (ყარაბაღის ხანი), (1782) წამოსული ხუნძახის (სახანო ჩრდილოეთ კავკასიაში, იგივე ავარიის სახანო) „ნაფანტი“ ჯარის ყ-დან ქართლში შესაძლო შემოჭრის გამო ერეკლე სასწრაფოდ თავისთან იბარებს მინბაშოთარ ამილახვარს, (სიტ. II, 134). ერეკლემ (1787) ქართველთა და რუსთა მხედრობით ზეიბასთან დაამარცხა ყ-ის ჯარი. ამის შემდეგ ერეკლეს განზრახული ჰქონდა ყ-ს დალაშქვრა, მაგრამ რუსთა ჯარის მოულოდნელი წასვლის გამო უკან გამობრუნდა (თ.ბ. 60). შამქორში (1787) ჩასულ ერეკლესთან მივიდნენ ფათალი-ხანი დარუბანდისა (ფათჰალი ხანი, ყუბის სახანოს მფლობელი 1758-89), მაჰმად-ხანი შაქისა და გადაწყვიტეს ყ-ზე გალაშქრება. მათ მიიმხრეს ჯავად-ხანი (განჯის ხანი, 1786-1804), მაგრამ ფათალი-ხანის მიზეზით ლაშქრობა არ შედგა (თ.ბ. 60).

ქართლის ელებმა (კრწანისის ბრძოლამდე – 1795) და ყ-ის მცხოვ-

რებლებმა იბრეიმ ხანთან ერთად დაცივეს შუშა (ყარაბაღის ციხე-სიმაგრე) ხოჯასაგან (ალა-მაჰმად ხანი, 1794-დან ირანის გამგებელი, შაჰი 1796-97), (თ.ბ. 64). ალა-მაჰმად ხანი ყ-დან წამოვიდა თბილისის ასაოხრებლად (1795), (სიტ. II, 313). იბრეიმ ხანი (1795) ალა-მაჰმად ხანის მიერ ყ-სა და თბილისის აოხრებას განჯის ხანს აბრალებდა. ამიტომ ერეკლემ სთხოვა დახმარება განჯის დასალაშქრად. ქართული ჯარის შემართებამ განჯის ბრძოლაში გააკვირვა ყ-ები და ლეკები (თ.ბ. 65-66). ერეკლე (1795.IX.) ატყობინებს ოთარ ამილახვარს, რომ ქრისტიანი ტყვეების უკლებლივ დაბრუნების სანაცვლოდ ალა-მაჰმად-ხანი თხოულობს ერეკლეს ერთ-ერთ შვილს მძევლად, აზატ-ხანის (სამხრ. აზერბაიჯანის მფლობელი, 1747-1762) ნაქონ ძვირფას თვალს, საათს და ყ-ის ელებს (სიტ. II, 214). ყ-დან ყაზახში (1800) გადასული ნასიფ ჯაფარ უზბაშის შვილი მოახსენებს ხელმწიფეს (გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე 1798-1800), რომ მთელი მისი საქონელი ლეკებმა გადარეკეს დაღესტანში (სიტ. II, 313). ტორმასოვი (რუსი გენერალი, 1808-1811 საქართველოსა და კავკასიის ხაზის მთავარსარდალი) და ირანის შაჰის წარმომადგენელი მირზა ბუზურგი ყ-ში (1810) შეხვდნენ ერთმანეთს რუსეთ-ირანის საზავო მოლაპარაკების თაობაზე (თ.ბ. 74). ყ-ის დასაცავად ასკარანში (1812) იდგა 800-კაციანი რუსთა რაზმი (თ.ბ. 80).

*ფ.გ-ს თარიღი ათვლილი აქვს სეფიანთა საგვარეულოს დამაარსებლის, წმინდანად შერაცხული

ლი შეიხ სეფი ად-დან ისპაყის (1252-1334) გარდაცვალებიდან. ქრონიკონი რჟ = 190+1334=1524.

*ფ.გ. ამ ამბავს შეცდომით 1522 ათარიღებს. თარიღი აქაც ათვლილია შეიხ ად-დინ ისპაყის გარდაცვალებიდან. ქრონიკონი 188+1334=1522.

**ვ.ბ. ამ მოვლენებს შეცდომით 1536 ათარიღებს.

გ. ოთხმეზური

ყივჩაყუბი // ყივჩაყეთი –

თურქულენოვანი მომთაბარე ტომი შუა საუკუნეებში (რუსეთში „პოლოვცებს“ ეძახდნენ, ევროპაში „კუმანებს“). პირველსაცხოვრისი მდ. ვოლგის აღმოსავლეთით ჰქონდათ. XI ს-ში გადასახლდნენ შავიზღვისპირეთში. XII ს-ის დასაწყისში რუსეთთან ბრძოლის შედეგად მათი დიდი ნაწილი განადგურდა. ერთი ურდო (40 ათასი კაცი) საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გადმოსახლა საქართველოში. XIII ს-ში მონღოლთა დაპყრობები შედეგად მათი ნაწილი უნგრეთში გადასახლდა, ხოლო დანარჩენი „ოქროს ურდოს“ შემადგენლობაში გაითქვიფა. ყ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ლაშა-გიორგის დროინდელი მათიანე, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება (1962); არსენ

ბერი, ცხოვრებაჲ ნინოჲსი; წამებაჲ და-
ვით და კონსტანტინესი (დ. ქ. ა. ლ. დ. III,
1971).

ყ. არის ყაზანი, კასპიის ზღვამდე,
არის ქალაქი სვიაჯა (ვ. ბ. 159, სქ. 1). ყ.
სკვითები არიან, რომელნიც რუსეთის
ნანილს წარმოადგენენ, იქ მცხოვრები
სხვა ხალხნიც სკვითებად იწოდებიან
(ვ. ბ. 173, სქ. 2), (ნ. დ. შეცდომით მიიჩ-
ნევს, რომ ყ. არის ხაზარნი, ვიდრე კას-
პიის ზღვამდე. ნ. დ. 21). ალექსანდრე
მაკედონელმა ქართლში ლაშქრობისას
იხილა მტკვრის ნაპირზე მცხოვრები
სასტიკი წარმართნი, რომელთაც ჩვენ
(ქართველები) ბუნთურქებსა და ყ-ებს
ვუნოდებთ (ლ. მ. 17. დ. ქ. ა. ლ. დ. III,
46). ვახტანგ გორგასალმა (ქართლის
მეფე V ს-ის II ნახ.) დაიმორჩილა ოვს-
ნი და ყ-ნი და დაიკავა დარიალის გად-
მოსასვლელები, რის შემდეგაც ოსებს
და ყ-ებს აღარ შეეძლოთ კავკასიონის
გადმოლახვა ქართველთა მეფის ბრძა-
ნების გარეშე (ჯ. 156. დ. ქ. ა. ლ. დ. III,
48). ჰერაკლე კეისარმა „განილაშქრა
ზედა და შევიდა ქვეყანასა კომანთა-
სა, რომელ არიან ყ-ნი, და მისცა ასული
თჳსი ცოლად მეფესა ყ-ეთსა და წარიყ-
ვანა ყოვლითა ძალით მისითა ძალად
თჳსად და შევიდა სპარსეთს“ (დ. ქ. ა. ლ.
დ. III, 249). დავითმა (დავით IV, საქარ-
თველოს მეფე 1089-1125) ყ. ჩამოასახლა
საქართველოში (1118), „რათა იცოდა
ყ-თა სიმრავლე, მხნეობა, სისუბუქე,
მიმოსვლა, სიფიცხე და ადვილად და-
სამჭირველობა“. ყ-ებს სჭირდებოდათ
თავშესაფარი და ადვილად შეიძლებო-
და მათი ქვეყანაში ჩამოყვანა. ყ-ები
სიხარულით დასთანხმდნენ, დავითის

წინადადებას, მხოლოდ ითხოვდნენ
მათდამი მტრულად განწყობილი ოსე-
ბისაგან გზის მიცემას. დავითი გადავი-
და ჩრდ. კავკასიაში, ჩამოართვა მძევ-
ლები ოსებს და ყ-ებს. შეარიგა ისინი
„იყო შორის მათისა სიყუარული და
მშვიდობა ვითარცა ძმათა“ და მისცა
ყ-ებს (საქართველოში) მშვიდობიანი
გადმოსვლის საშუალება (დ. ი. 336; ვ. ბ.
159). ყ-თა დახმარებით დავითმა „დას-
ცა შიში და ზარი“ სხვა ქვეყნის მეფეებს
(დ. ი. 336). დავითმა ყ-ები დედა-წული-
ანად მოხერხებულ ადგილზე დაასახ-
ლა და დაუდგინა სპასალარნი და მმარ-
თველნი. მათგან განვრთნა 40 ათასი
მხედარი, რომელთაც ცხენები და სა-
ჭურველი დაურიგა. ყ-თა უმრავლე-
სობა დღითი-დღე ქრისტიანდებოდა
(დ. ი. 337, 345; ვ. ბ. 159, 162). დავითმა
(1121) ყ-თან ერთად დაარბია ბარდავი
და „მოსრნა თურქნი“ (დ. ი. 340). და-
ვითს (1123) აღრიცხული ჰყავდა ყ-თა
რაოდენობა. შარვანში ლაშქრობისას
მათი რიცხვი შეადგენდა 50 ათასს (დ.
ი. 343; ვ. ბ. 161). დავითი (1124) თავს
დაესხა შაბურანს, დარუბანდს და
„მოსწყვიდნეს“ ქურდნი, ლეკნი და ყ-ნი
დარუბანდისანი (დ. ი. 344; ვ. ბ. 161. ნ.
დ. 92). დავითმა ურიცხვი ტყვეები გა-
მოიხსნა ყ-თაგან გარკვეულ ფასად (დ.
ი. 354). ყ-ებმა რამდენჯერმე განიზრა-
ხეს დავითის ლალატი. შეეცადნენ მის
მოკვლას ხმლით, შუბით თუ ისრით
(დ. ი. 362). ყ-ები გიორგის (გიორგი III,
საქართველოს მეფე 1156-84) დრო-
საც მიდიოდნენ საქართველოს სამსა-
ხურში. მეფე რამდენსაც უბრძანებდა
იმდენი ათასი კაცი გამოჰყავდათ (ლ.

გ. მ. 367). გიორგიმ სძლია თურქთა, არაბთა, ლეკთა, ყ-თა და ვერავინ ვერ გაუნია ღირსეული წინააღმდეგობა (ნ. დ. 93). თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) პირველი ქმარი გიორგი რუსი (იური ბოგოლიუბსკი, ნოვგოროდის მთავარი 1172-75) საქართველოში ჩამოყვანამდე ბიძისგან დევნილი იმყოფებოდა ყ-ის მეფესთან (ი. ა. 36; ვ. ბ. 173). როდესაც სამეფო კარიდან გაძევებული გიორგი რუსი (1191) საქართველოში შემოიჭრა თამარის ლაშქარში ყ-იც იმყოფებოდნენ (ი. ა. 53), შამქორის ბრძოლის (1195) წინ „ძმა ყ-თა მეფისა სევიზისა სავალათი საქართველოში იყო (ი. ა. 64). შამქორში (1195) მიმავალ თამარს თბილისიდან გასვლისას მიეგებნენ ოვსნი და „ყ-ნი ახალნი“ (ი. ა. 65). წინამებრძოლებს ყ-თა ენაზე ეწოდება „ჭალაშ“ და „დასნაჭტა“ (ი. ა. 70). კახაბერის შვილებმა, ბაღვაშთა შთამომავლებმა, ანტონ ჭყონდიდელის ორი ძმა მოკლეს, რის გამოც მეფე თამარმა შეიპყრო ისინი და ექსორია უყო საბერძნეთის მაკედონიაში, სადაც მოკლულ იქნენ ყ-თა მიერ (ბ. ე. 131). მონღოლებმა (1223) განვლეს დარუბანდის კარი და შევიდნენ ყ-ს. ყ-ები ბევრჯერ შეებნენ მათ, მაგრამ ყოველთვის მონღოლები იმარჯვებდნენ. ყ-ეთის გავლის შემდეგ მონღოლებმა შემოუარეს დარუბანდის ზღვას და დაბრუნდნენ სამშობლოში (ჟ. 165). მონღოლთა დიდი ყაენის ბათოს (ოქროს ურდოს ყაენი 1243-55) სამფლობელოში (1240/50-იანი) შედიოდა ყ-თი (ჟ. 196, 229, 234). დავითი (დავით VIII, საქართველოს მეფე 1293-1311) თავს

დაესხა საქართველოში საზაფხულოდ მიმავალ ყ-ებს. ყ-თა ნაწილმა თბილისს შეაფარა თავი, ხოლო ნაწილი მტკვრის ხეობით გაიქცა (ჟ. 316). დავითი და ვახტანგი (ვახტანგ III, საქართველოს მეფე 1298, 1302-1304/08) დაპირისპირებისას ყ-ებს ვახტანგის მხარე ეჭირათ (ჟ. 317).

გ. ოთხმეზური

ყილჩიყო – ჩერქეზი (ჩერქეზეთის მკვიდრი, ისტ. მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში) წარჩინებული. ყ. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

არჩილი (არჩილ II, იმერეთის მეფე 1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-96, 1698 და კახეთის მეფე 1664-75) რუსეთში მიდიოდა. შამხალმა გადაიბირა ჩერქეზთა ბატონი ყ., რათა შეეპყრო არჩილი და ირანის შაჰისთვის გადაეცა, ამისათვის კი გასამრჯელოს დაპირდა. ჩერქეზეთს მისული არჩილი ყ-მ პატივით მიიღო, გააყოლა გამცილებლები და გაუშვა. არჩილს სურდა ყ-ც მასთან ერთად წასულიყო, მაგრამ მან არ ინება. არჩილს დაენია ყ-ს მიერ გაგზავნილი რაზმი და შეუპრობა მოუხდომა. მაშინ იშიშვლეს ხმლები არჩილის მხლებლებმა ნიკოლოზ აბაშიძემ და შალიკაშვილმა (ქართველი თავადები) და გაათავისუფლეს მეფე. მეფემ ამოიღო მშვილდ-კაპარჭი და ბევრი ჩერქეზი მოკლა, გაარღვია ჩერქეზთა რაზმი

და გაიქცა. მასთან მივიდა ერთი წარჩინებული ლეკი და დახმარება შესთავაზა. მან მეფე ისევ ყ-ს სახლში მიიყვანა. ყ-ს ცოლმა იმავე ღამეს გაგზავნა მეფე ბასიანში (ისტ. მხარე ჩრდ. კავკასიაში), ხოლო მისი ლაშქარი დიგორში (ისტ. მხარე ჩრდ. კავკასიაში) მოვიდა შამხალი ყ-თან არჩილის წასაყვანად, მაგრამ აღარ დახვდა იქ. ბასიანელმა (ბასიანი – პროვინცია ისტ. სამხ.-დას. საქართველოში) ქალებმა არაფრით არ დაანებეს მეფე ყ-ს და იმავე ღამეს ქართლში დააბრუნეს (ვ.ბ. 855-56).

ე. კვაჭანტირაძე

ყოჯა-ხანი – განჯის ხანის ბიძა (XVIII ს. I ნახ.). ყ.ხ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

ყ.ხ. იყო განჯის ხანის ბიძა მეფეების თეიმურაზისა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) მეფობის პერიოდში (პ.ო. 164). ყ.ხ-მა და ერევნის ყოფილმა ხანმა ჯაფარმა მეფეებს სთხოვეს, რათა ეშუამდგომლათ მაჰმად-ხან ერევნელთან მის მიერ დატყვევებული ჯაფარ-ხანის ცოლ-შვილის გათავისუფლების შესახებ (პ.ო. 164). როდესაც მეფეებმა შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანელ ხანებს ქართველთა ღალატი ჰქონდათ განზრახული, ყველანი და მათ შორის განჯის ხანის ბიძა ყ.ხ. და მისი დისწული ხუდათ-ბეგი, დაატყვევეს. მეფეებმა ისინი, განჯის თავკაცებთან ერთად, განჯიდან თბი-

ლისს მძევლად გამოისტუმრეს (პ.ო. 194). რადგან ქართლისა და კახეთის ჯარები დაიფანტნენ და ყველა თავთავის ადგილებს ამაგრებდა, მეფეებმა (თეიმურაზ II, ერეკლე II) აჯი-ჩალაბის (შაქის ხანი) შერიგება გადანიჭეს და თბილისში მძევლად მყოფ ყ.ხ-ს მასთან წერილი მიანერინეს. წერილით, ყ.ხ. თავის-თავზე იღებდა მათ შერიგებას. აჯი-ჩალაბის მოთხოვნისამებრ, მეფეებმა მასთან ყ.ხ. გაგზავნეს და თან რევაზ ამილახორი და მდივანი ედიშერი გააყოლეს (პ.ო. 198). როდესაც ალაქიში (აჯი-ჩალაბის ძე) და განჯის ხანი ქართლში შეიჭრნენ, მეფეებმა ჯარის შეკრება დაიწყეს. ეს რომ ალაქიშმა შეიტყო, შერიგება გადანიჭიდა და მეფეებთან მოსალაპარაკებლად ყ.ხ. და აჯი-ფრინა გამოგზავნა (პ.ო. 200).

თ. ქორიძე

ყოჯან (ხოჯან) – დაღესტნის ბელადი (XVIII ს. I ნახ.). ყ. ხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ქართლის ტახტის დაკავების მიზნით 1748, ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) აუჯანყდა აბდულა-ბეგი, იესეს ძე (იესე, ქართლის მეფე 1714-16, 1724-27). [ამ დროს ერეკლეს მამა, ქართლის მეფე თეიმურაზ II ირანში გაემგზავრა]. აბდულა-ბეგმა დახმარებისთვის გარეშე ძალას მიმართა. მათ შორის დაღესტნელ ფეოდალებს. ამით

ისარგებლა ყ. ბელადმა და დიდი ჯარით ქართლს შემოესია. ააოხრა „ავჭალები“ (თბილისის გარეუბანი). დიდძალი ტყვე და საქონელი წაიღო, ერეკლე მტერს ორასი კაცით დაედევნა. გზად ქიზიყის (კახეთის რეგიონი) განაპირა სოფლების ლაშქარი შეუერთდა. ერეკლე, ლაშქრით ყ. ბელადს შირაქში (ვაკე ალაზან-ივრის შუამდინარეთში) დაუხვდა, სასტიკად დაამარცხა და ალაფი წაართვა. ერეკლე გამობრუნდა და სოფ. დედოფლისწყაროში დაბანაკდა. გაქცეული ყ. ბელადს გზად ლეკთა სხვა ჯარი შეუერთდა და ერთიანი ძალით ერეკლეს თავს დაესხნენ. ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს (ო. ბ. 47; თ. ბ. 47).

ქ. ნადირაძე

ყუბასარი – XII ს. II ნახევრის მოღვაწე, საქართველოს მეფეების გიორგი III-ის (11156-84) და თამარის (1184-1207/10) სამეფო კარის მოხელე – ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, „ნაყივჩალარი“. ყ. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

ყ. კარგი რაინდი და მეფეთა ერთგული იყო. თამარის (საქართველოს მეფე 1184-1207/10) გამეფებისთანავე დიდაზნაურებმა მეფეს ყ-ის, როგორც „უგვანოს“ გადაყენება მოსთხოვეს იმ მიზეზით, რომ ის უკვე ავად იყო, მაგრამ თამარმა შეუწარმინა მას პატივი

გარდაცვალებამდე (ი-ა, 30). ყ. გარდაცვალა და სპასალარობა სარგის მხარგრძელს უბოძეს (ვ.ბ. 171).

ე. კვაჭანტირაძე

ყულაგალი – ერეკლის ხანი XVIII ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში. ყ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“, (1983).

უსეინ-ყულის გარდაცვალების შემდეგ ერეკლის ხანი გახდა მისი ძე ყ. ის გონებასუსტი იყო და მოკლეს ერეკლეს ნელებმა (თ.ბ. 58).

ე. კვაჭანტირაძე

შაბურანი – ქალაქი ისტ. აზერბაიჯანში, კასპიის ზღვასთან. შ. იხსენიება: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

გიორგიმ (გიორგი III, საქართველოს მეფე 1156-84) ილაშქრა აღსართანის (შირვანშაჰი 1149-1203) დასახმარებლად, აიღო ქალაქი შ. და დაუბრუნა მას (ი-ა. 17; ვ.ბ. 169). შ-ის ველზე გაიმართა ბრძოლა დავითსა (დავით VII საქართველოს მეფე 1249-70) და ბერქა ყაენს (ოქროს ურდოს ყაენი 1255-66) შორის, რომელშიც ქართველებმა გაიმარჯვეს (ყ. 249).

ე. კვაჭანტირაძე

შავერდი სულთანი – შავერდი სულთანი ზიად-ოღლი, ყარაბაღის მმართველი (XVI ს. შუა). შ.ს. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება – მესამე ტექსტი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926).

შაჰ-თამაზმა (თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76) გაგზავნა შ.ს. ვარძიის ციხის (XII—XIII სს-ის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი ჯავახეთში) ასაღებად, რომელშიც ლუარსაბის (ლუარსაბ I, ქართლის მეფე 1527-56) მომხრე მესხი დიდებულები იყვნენ გამაგრებულნი. ირანელებმა აიღეს ციხე (ფ.გ. 6). შ.ს-მა, რომელიც შაჰ-თამაზის მიერ იყო დანიშნული, შეაგროვა ყარაბაღის ლაშქარი და წამოვიდა ლუარსაბის წინააღმდეგ, რომელმაც არ ინდომა პირისპირ ბრძოლა და გარისთან დადგა. ქართველთა ჯარს მეფემ სათავეში უფროსი ვაჟი სიმონი (სიმონ I, ქართლის მეფე 1556-69, 1578-1600) ჩაუყენა. ქართველებმა გაიმარჯვეს და გააქციეს შ.ს. ის გასაქცევ გზას ეძებდა და შემთხვევით ლუარსაბს შეეჩხრა. მეფეს ყველა საბრძოლო იარაღი დაემტვრა და ცხენი აძგერა შ.ს-ს. ამ დროს მეფის ცხენს ფეხი ნაპრაღში ჩაუვარდა და დაეცა. ლუარსაბმა სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. ამ ადგილას ბერი ეგნატაშვილი შ.ს-ის ნაცვლად მაჰმად სულთანს ასახელებს (ბ.ე. 365; მესამე ტ. 508-10; ვ.ბ. 405-06; ფ.გ. 8-9). 1561 ციხედიდთან (ისტ. ციხესიმაგრე აღმ. საქართველოში) სიმონი დამარცხდა

შ.ს-თან ბრძოლაში. შ.ს. თბილისში შევიდა (მესამე ტ. 511; ვ.ბ. 407, 575; ფ.გ. 10). შ.ს. ალექსანდრესთან (ალექსანდრე II, კახეთის მეფე 1574-1605) მივიდა კახეთში (მესამე ტ. 525; პ.ქ. 54).

ე. კვაჭანტირაძე

შავერდი ხანი – განჯის ხანი (XVIII ს. II ნახ.). შ.ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

დაპირისპირებულნი არიან შ.ხ. და ფანა ხანი (ყარაბაღის ხანი 1747-63), რომელსაც სურდა განჯის ხანობა. ფანა ხანმა შეყარა ჯარი. შ.ხ-მა გაგზავნა თავისი ძმა რიზა-ყული ბეგი ქართლში და თეიმურაზ II-ს (ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლე II-ს (კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) ფანა ხანის წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ მორჩილება აღუთქვა. მეფეებმა შეკრიბეს დიდძალი ჯარი. ამის გამგონე ფანა ხანმა ალყა მოხსნა განჯას (პ.ო. 164-65). შ.ხ-მ ათი ათასი თუმანი გაუგზავნა თეიმურაზს და ერეკლეს თავისი ძმის რიზა-ყული ბეგის ხელით (პ.ო. 171). შ.ხ. შეპყრობილი იყო ფანა ხანის მიერ და გაათავისუფლა ფათალი ხანმა (სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველი). ის მივიდა ერეკლესთან, რომელმაც გააყოლა ქართველთა ლაშქარი და აიღო განჯა (თ.ბ. 52). შ.ხ. მონაწილეა თეიმურაზის და ერეკლეს წინააღმდეგ შეკრებილი კოალიციური ლაშქრის,

რომელშიც შედიან აგრეთვე ფანა ხანი და აჯი-ჩალაბი (შაქის პირველი ხანი, 1747-55). მათ ვერ გაბედეს მეფეებთან შეტაკება და მოლაპარაკება დაიწყეს (ო.ხ. 48-9). ქართლზე დიდი ჯარით ნამოვიდნენ შ.ხ. და აჯი ჩალაბის შვილი ალაქიში, დადგნენ ყაზახში, შემდეგ ბაიღარში გადაინაცვლეს. თეიმურაზმა და ერეკლემ დიდძალი ჯარი შეკრიბეს. ეს რომ შ.ხ-მა და ალაქიშმა შეიტყვეს მოინდომეს პერიგება, მაგრამ ქართველმა მეფეებმა უკან აღარ დაიხიეს. შ.ხ. და ალაქიში კვლავ ყაზახში (ისტ. მხარე ქვემო ქართლში) დაბრუნდნენ. ქართველთა ლაშქარმა დაამარცხა ისინი და გააქცია, განჯამდე მიყვა და ჯარის დიდი ნაწილი ამოუნყვიტა. შ.ხ. განჯაში დაბრუნდა (პ.ო. 200-02). შ.ხ. მოკლა მისმა მსახურმა. მისი ვაჟები მივიდნენ ერეკლესთან დახმარების სათხოვნელად. მეფე დაეხმარა მათ ჯარით, აიღეს განჯა და შ.ხ-ის ვაჟი მაჰმად-ასან ხანი დააყენეს განჯის ხანად (თ.ბ. 52).

ე. კვაჭანტირაძე

შამქორი – ქალაქი აზერბაიჯანის რესპ. VII ს-ში ხელთ იგდეს არაბებმა. მოგვიანებით ეკუთვნოდა განჯის ამირებს. 1235 გაანადგურეს მონღოლებმა. XVI-XVII სს-ში ფლობდნენ ყიზილბაშები. 1803 შეუერთდა რუსეთს. გარკვეულ პერიოდში (XIII ს., XVIII ს.) შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში. შ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, „ლაშა-გიორგის დროინდელი მათიანე (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი

შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღუარი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“; ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973); ერეკლე II-ის პერიოდის დოკუმენტები (საქ. ისტ. ტოპონიმიკაში, II, 2010).

ბულა-თურქმა (ბულა ალ-ქაბირი სარდალი, გ. 862), (854) დარუბანდის გზით გადმოიყვანა ხაზართა სამასი ოჯახი და დაასახლა შ-ში (მ.ქ. 265, ვ.ბ. 130). ბაგრატმა (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) გაილაშქრა განჯის ამირა ფადლონის (ფადლ იბნ მუჰამედ შადადიანი, 985-1031) წინააღმდეგ. დაარბია ქვეყანა რანისა, მიადგა ქალაქ შ-ს, მიუყენა ფილაკავანნი (ლოდსატყორცნი), დალენა შ-ის ზღუდენი (1010). მეორე დღეს ბაგრატი აპირებდა შ-ში შეჭრას, მაგრამ ფადლონმა შენდობა ითხოვა (მ.ქ. 280, ვ.ბ. 141). ქართულმა ჯარმა (1190), დავით სოსლანის მეთაურობით, დალაშქრა ბარდავი, არზრუმი, შ. (ი-ა, 60, ვ.ბ. 180) ქართული ჯარი (1195) დაბანაკდა შ-თან. მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი გადაჭიმული იყო შ-დან შოთისა და ვარდანაშტის მთებამდე და განძის კარამდე (ი-ა. 68, ბ.ე.ზ. 126, ვ.ბ. 182). დავით სოსლანმა შ-ის წყალი გაიარა და ქალაქის კართან და ხიდთან გააჩალა ბრძოლა (ი-ა. 70). შ-ებმა დავით სოსლანს ქალაქის კლიტენი მიართვეს, ითხოვეს მშვიდობა და მორჩილება (ი-ა. 70, ბ.ე.ზ. 127, ვ.ბ. 183). ქართული ჯარის წასვლის შემდეგ ბუბაქარმა (აბუბექრი, აზერბაიჯანის ათაბაგი), აიღო განჯა და მივიდა შ-მდე (ი-ა 76). ლაშა-გიორგიმ (საქართველოს მეფე 1207/10-23), (1219) აიღო შ.

(ლ.გ.მ. 370). ჯალალედინმა (ხორეზმის მბრძანებელი) აილო შ. (1227) და მისი მიმდგომნი ქვეყანა, რომელიც ეკუთვნოდა ვარამ გაგელს (ქართველი დიდებული), (ყ. 171-172). ლეკთა ბელადმა სულხანმა (სურხაი-ხანი), როდესაც ვახტანგის (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24) შ-ში ჩასვლა შეიტყო (1722) განჯა დატოვა (ვ.ბ. 499). თეიმურაზმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) თულქითაფასთან (ყაზახ-შამ-შადილუს საზღვარზე) დამარცხებულ ალა-ქიშის (შაქის ხანის ჰაჯი-ჩელები ყურბან ოღლუს შვილი), შ-მდე სდიეს (1752), (თ.ბ. 49).

ომარ-ხანმა (ავარიის ხანი. გ. 1801) საქართველოში ლაშქრობა დაასრულა (1785) იმით, რომ განვლო გოგჩა (სევაანის ტბა სომხეთში), მივიდა, მოაოხრა შ. და წარვიდა“ (თ.ბ. 59). ერეკლეს მიერ (1789) განჯაზე გაგზავნილი მხედრობა შ-ში დაბანაკდა, მოარბიეს ჩინგილი და ორი წლის წინ განჯაში გადასახლებული შამშადილოელები აყარეს და შ-ში ჩაიყვანეს. ამის მერე შ-ში ჩავიდა მეფე ერეკლეც. შ-ში ერეკლესთან მივიდნენ ფათალი-ხანი დარუბანდისა (ფათჰალი ხანი, ყუბის სახანოს გამგებელი 1758-89) და მაჰმად ხან შაქისა და ყარაბაღზე გალაშქრება მოილაპარაკეს (თ.ბ. 60). ერეკლეს განწესებით (1791) ყაზახში, ბაიდარში (ისტ. მხარე ქვემო ქართლში), შამშადილოში, შ-ში... „მცხოვრები ქართველები, სომხები, ოსები, თათრები“ – ყველანი ყმები არიან და მათი მბრძანებელია ერეკლე მეფე (სიტ. II. 203).

გ. ოთხმეზური

შარჰანა – შარჰანის მფლობელი. შ. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ჩნდება XII ს-დან. იხსენიება: საქართველოს მეფეების სიგელებში (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 1897; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, 1991).

საისტორიო წყაროებში საქართველოს მეფეები იწოდებოდნენ „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შ. და შაჰანა“. პირველად შ. ჩნდება გიორგი III-ის (1156-1184), (ქ.ი.ს.კ. I. №11, 12), ხოლო შემდეგ ერთიანი საქართველოს (გიორგი VIII-ის (1446-1466) ჩათვლით) და დაშლილობის პერიოდის მეფეთა ტიტულატურაშიც (ქ.ი.ს.კ. I. №14, 22, 23, 37, 39, 41, 42; ქრ. II, 241; პ.ა.ლ. I, 212-316); ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ (XV ს-ის II ნახ.) შ-დ იწოდებოდნენ ძირითადად ქართლის, ხოლო ზოგ შემთხვევაში კახეთისა და იმერეთის მეფეებიც (პ.ა.ლ. I, 212-359), ოღონდ ეს უკვე ტრადიციის გაგრძელება იყო და არა რეალური ვითარების ასახვა.

გ. ოთხმეზური

შარური - ჰევი იგივე ქვეყანა სომხეთში. შ. იხსენიება: სტეფანე მტბევარი, „ნამებად წმიდისა მონამისა გობრონისი“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963, 175.).

თ. ქორიძე

შაქი – ისტორიული ოლქი დღ. ჩრდ. აზერბაიჯანში. III-IV სს-ში კავკასიის ალბანეთის მხარე (იხ. სტ. რანი). V ს-დან საქართველოს აღმოსავლეთ მხარის – ჰერეთის შემადგენელი ნაწილი. XIV ს. დასასრულს იხსენიება, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმონაქმნი. 1551 დაიპყრო ირანმა. 1743(47) აჯი-ჩალაბის მეთაურობით შეიქმნა შაქის (ნუხის) სახანო. 1805 რუსეთმა შეიერთა, რაც საბოლოოდ განამტკიცა 1813 გულისტანის ხელშეკრულებით. შ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ.ც. I, 1955); ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე და მესამე ტექსტი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); პარიზის ქრონიკა (1980); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ეფრემ მცირე „უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“ (1959); ისტორიული დოკუმენტები (ქ.ს.დ. II, 1965; ქრ. II, 1897; Г.Д.И.Н.А., 1967); „მესხური მატიანე“ (1961).

ქართლის მეფე ვახტანგ გორგა-

სალს (დაახ. V ს. 40-იანი – V ს. ბოლომდე), როდესაც მცხეთაში „სვეტი ცხოველზე“ ეკლესია აღუშენებია და „კუზი მას ზედა პატრიარქად განუწესებია“, ასევე მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებას (VII ს.) კონსტანტინე პოლონატის (ბიზ. იმპ. 668-85) დროს დაუმტკიცებია, ამ დროიდან მოყოლებული მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შედის შ. (ეფრემ მცირე 45; სიგელი მცხეთისა გაცემული დაახ. 1638, ქრ. II. 453. იმეორებს ამ ინფორმაციას) ამასვე ადასტურებს სულთნის (მურად III ან მაჰმად III) მიერ 1590 გაცემული სიგელი (Г.Д.И.Н.А დოკ. №221). ქართლის ერისმთავარმა არჩილმა (VIII ს.) შ. სამართავად გადასცა ადარნასე ბრმის ძმისწულებს (კლარჯი ბაგრატიონები), (ჯ. 244). კახეთ-ჰერეთის მეფის – კვირიკეს (კვირიკე III, 1014-37) დროს შ. შედიოდა მაჭის საერისთავოში. [კვირიკემ] „ჰერეთს დასვა ერისთავი მაჭისა და მისცა მაჭის წყლის (მდ. ანიმი) ქვეით და აღმოსავლეთი შაკიხითურთ“ (ვ. ბ. 561). გიორგის (გიორგი I, საქართველოს მეფე 1014-27) ლაშქარში, ბასილის (ბიზ. იმპ. 976-1025) წინააღმდეგ თრიალეთში ბრძოლის დროს (1021), შაქელებიც იბრძოდნენ (ს. დ. 383). შ-ში მისულ თემურ-ლენგს (შუა აზიის მბრძანებელი 1370-1405) მიეახლნენ და თაყვანი სცეს ლეკებმა, შაქელებმა... ამ დროს თემურ-ლენგთან ტყვედ იმყოფებოდა ბაგრატი (ბაგრატ V, საქართველოს მეფე 1360-93), (ბ. ე. 329; მეორე ტ. 454). თემურ-ლენგმა როდესაც გაიგო, რომ ბაგრატი და მისმა ძემ, გიორგიმ, ლაშქარი ამოუწყვიტეს,

განრისხდა, შეკრიბა ჯარი, დატოვა შ., მივიდა ბარდავს და (1387) მარტში საქართველოში შემოვიდა (ბ. ე. 330; მეორე ტ. 457). გიორგის (გიორგი VIII, საქართველოს მეფე 1446-66, კახეთის 1466-76) დროს შ. საქართველოს შემადგენლობაშია (მეორე ტ. 476). კონსტანტინეს დროს (კონსტანტინე II, ქართლის მეფე 1478-1505) მესხი ვაჭარი შ-ში ყიდდა აბრეშუმს. მესხს ჩხუბი მოუვიდა შაქელ მედექენესთან. შაქელმა მესხს სცემა. მაშინ მესხი სამცხის ათაბაგის – ყვარყვარეს სახელით დაემუქრა. შაქელი უფრო გაბრაზდა, მესხს უწყალოდ სცემა, წაართვა ქონება, გამოაგდო და თან უთხრა: შენმა ათაბაგმა ჩემი საქციელის გამო დუქანზე ყურით არ მიმაბასო. მესხმა ათაბაგთან იჩივლა. მაშინ ათაბაგი ჯარით მივიდა შ-ში, შაქელ ვაჭარს ყველაფერი წაართვა და მესხს დაუბრუნა. ამის ნიადაგზე დაზავებულ კონსტანტინესა და ყვარყვარეს შორის უთანხმოება ჩამოვარდა (ვ. ბ. 708-709). შაქ-შირვანის მპყრობელ ასან-ბეგს (ჰასან-სულთანი), რადგან იგი შაჰ ისმაილის (ირანის შაჰი ისმაილ I, 1501-24) მორჩილი იყო და მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, კახეთის დაკავებაც სურდა. მაშინ ლევანმა (კახეთის მეფე 1518-74) ასან-ბეგთან მშვიდობის დამყარება მოინდომა, მაგრამ მან არ ისურვა. ამიტომ ლევანმა შეკრიბა სპა, გაილაშქრა ასან-ბეგზე, ააოხრა შ., მოკლა ასან-ბეგი და დიდი ალაფით გრემში (კახეთის სამეფოს დედაქალაქი) დაბრუნდა (ბ. ე. 363; ვ. ბ. 403, 572); (სავარაუდოდ, ეს უნდა მომხდარიყო შაჰ ისმაილის გარ-

დაცვალებისთანავე). ამის შემდეგ შ-ში ასანბეგის ძე დავრიშ მაჰმადი (დევირიშ მუჰამედი) გაბატონდა. მაჰმადი განუდგა შაჰ-თამაზს (ირანის შაჰი თაჰმასპ I, 1524-76) და მეფე ლევანს მტრად მოეკიდა. შაჰ-თამაზმა მის დასასჯელად ლევანი გააგზავნა. ლევანმა ააოხრა შ., დავრიშ-მაჰმადი მოკლა და მისი თავი შაჰს გაუგზავნა (მესამე ტ. 505; ვ. ბ. 574). მიუხედავად იმისა, რომ შირვანი შაჰ-თამაზს ემორჩილებოდა, ქართველები პერიოდულად არბევდნენ მას, შირვანელები ქართველების ხელისშეწყობაში შაქელებს ადანაშაულებდნენ. ამიტომ შაჰ-თამაზი შ-ში „ჩადგა“. შაქელები კახეთში გაიხიზნენ და ლევან მეფეს შემწეობა სთხოვეს. შ-ის თავკაცები გელასან-გორასნის ციხეში გამაგრდნენ. შაჰ-თამაზი ციხეს შემოადგა. შ-ის პატრონი იძულებული გახდა ღამით გაპარულიყო. „კახთ ბატონი ლევანი“ შაჰს დიდი ძღვენით ეახლა. მან ძღვენი მიიღო და „შაქელნი ბატონ ლევანს“ აპატია. შ-ის თავკაცები, რომლებიც ხელთ იგდეს, „სიკვდილით დასაჯეს. შაქს კი ახალი ბატონი დაუყენეს“ (ფ. გ. 3-4; „შაჰ-თამაზმა შემუსრა შაქი“ – ვ. ბ. 716). შაჰ-თამაზი შ-ში იმყოფებოდა, როდესაც სამცხის ათაბაგი – ქაიხოსრო ეახლა, მორჩილება აღუთქვა და სამცხეში შეიყვანა. ამ დროს აქ ოსმალები იდგნენ. თამაზმა აიღო ციხეები და შემუსრა ისინი (ფ. გ. 5; ბ. ე. 364). შაჰ-თამაზმა შ-ის დაპყრობის შემდეგ ლუარსაბზე (ლუარსაბ I, ქართლის მეფე 1527-56) გალაშქრება გადაწყვიტა (ბ. ე. 364). შაჰ-თამაზი სამცხის ათაბაგს დაუმოყვრდა. ეს რომ

ლუარსაბმა შეიტყო, ათაბაგის წინააღმდეგ გაილაშქრა; აანოკა სამცხე-ჯავახეთი... შექმნილი ვითარება შაჰს აცნობეს. იგი ათაბაგის დასახმარებლად ჯარით წამოვიდა, შემუსრა შ. და ქართლში შემოვიდა (ვ. ბ. 404; ფ. გ. 5). სვიმონმა (სვიმონ I, ქართლის მეფე 1556-69, 1578-99/1600) საკუთარი ძმა დაუდხანი, რომელიც შაჰ-თამაზმა თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლად დანიშნა, ტაბახმელასთან (ქ. თბილისის შემოგარენი) დაამარცხა და თბილისს შემოადგა. შექმნილი ვითარება შაჰს აცნობეს. მან დასახმარებლად მუსლიმებს მოუწოდა. მათ შორის ქართლში გამოაგზავნა დიდძალი ლაშქრით შ-ის გამგებელი შამხალ-სულთანი (ბ. ე. 368; მესამე ტ. 513). ალექსანდრემ (ალექსანდრე II, კახეთის მეფე 1574-1605) ლალა-ფაშასთან (მუსტაფა ლალა ფაშა, ოსმალთა სარდალი) ერთად შაქ-შირვანზე გაილაშქრა (1578). ლალა-ფაშამ შ-ში ჯარი ჩააყენა (მესამე ტ. 523; ვ. ბ. 578; ფ. გ. 13; პ. ქ. 52; მესხური მ. 50). იმამ-ყული-ხანის (კახეთის მეფე დავით II, 1709-22) მეფობის დროს კახელების დასახმარებლად ჭარელების წინააღმდეგ შაჰმა შირვანის გამგებელი სულთანი გამოაგზავნა. შ-ში მოსულ სულთანს ჭარელი ლეკები თავს დაესხნენ და მოკლეს (ვ. ბ. 498, 618). შაჰ-აბასმა (აბას I, ირანის შაჰი 1587-1629) კახეთი, რომელშიც შედიოდა „ელისენი, ნუკეთი, შაკიხისი (შაქი)“ თავის სახანოდ გადააქცია (ვ. ბ. 539). ყარაბაღის გამგებელმა ფანაჰ-ხანმა (1747-63) ძალიან შეავიწროვა განჯანახევანის ხანები. მათ დახმარებისთ-

ვის თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის – 1762-98) მიმართეს. მამა-შვილმა შაქ-შირვანის მფლობელს აჯიჩალაბს (შაქის პირველი ხანი ჰაჯი ჩელები ყურბან ოღლუ, 1743-55) შეუთვალა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება (1750), (პ. ო. 166). ფანაჰ-ხანი დამარცხდა. გამარჯვებულებმა შაქ-შირვანში მახარობელი გააგზავნეს (პ. ო. 170). ერეკლემ და თეიმურაზმა გადწყვიტეს გაელაშქრათ ჭარ-ბელაქნელი ლეკების წინააღმდეგ. მეფეების მოკავშირე იყო აჯიჩალაბი, რომელმაც მათ ბრძოლის დროს უღალატა. ქართველები დამარცხდნენ (1751 ბრძოლა აგრიჩაიზე), (პ. ო. 177-182; ო. ხ. 53). აჯიჩალაბის შვილმა – ალა-ქიშიმ შაქ-შირვანის ჯარით ყაზახი ააოხრა (პ. ო. 204; ო. ხ. 53). 1752 ალა-ქიშიმ ერეკლე და თეიმურაზი დაამარცხა. გამარჯვებული შინ გაბრუნდა, ისევ შეკრიბა შაქ-შირვანის ჯარი და იმავე წელს მამა-შვილის წინააღმდეგ წამოვიდა. ქართველებმა გაიმარჯვეს (თ. ბ. 49). ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა ლეკთა დიდი ლაშქარი შეყარა, ჩავიდა შაქ-შირვანში და იქიდან მოულოდნელად ბოდბეს (ადგილი კახეთში) თავს დაესხა და რამდენიმე უბანი ააოხრა (თ. ბ. 55). 1789 ერეკლემ, დარუბანდის ხანმა ფათალიმ და შ-ის ხანმა მაჰმადმა ყარაბაღზე გალაშქრება გადაწყვიტეს, რადგან ყარაბაღის ხანმა – იბრეიმმა „დაივიწყა კეთილობაი მეფისა ირაკლისა“ (თ. ბ. 60). ერეკლე საბუთებზე ხელს აწერს: „... მთავარი შაქისა“ (ქ. ს. დ.

ტ. II. 547, 457, 477). ალა-მაჰმად ხანმა – (1794-დან ირანის გამგებელი, შაჰი 1796-1797) ერეკლეს მორჩილება შესთავაზა და აღუთქვა, რომ შ-ს, შირვანს, განჯას... „მისცემდა“ და აზერბაიჯანის გამგებლადც დანიშნავდა. ერეკლე არ დაეთანხმა, რადგან რუსებისთვის ფიცი ჰქონდა მიცემული (იგულისხმება რუსეთ-საქართველოს 1783 ხელშეკრულება). ქართველები სასტიკად დამარცხდნენ (1795 კრწანისის ბრძოლა), (ბ. ბ. 65). 1796 რუსის გენერალმა ზუბოვმა დაიკავა შაქ-შირვანი... (ბ. ბ. 67). ქართლში, შაქ-შირვანში... შიმშილობა იყო. კოდი პური ერთ თუმნად ძლივს იშოვებოდა (ბ.ბ. 68). მარკიზი (ფილიპე პაულინი, საქართველოს მთავარმართებელი 1811-12) გადავიდა მტკვარს – შ-ის, შირვანის, დარუბანდის და ბაქოს დასათვალიერებლად, რადგან ყველა ეს ადგილი რუსებს ჰქონდათ დაპყრობილი (თ. ბ. 80).

ქ. ნადირაძე

შაჰანშა – ანისის მფლობელთა ტიტული. შ. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში ჩნდება XII ს-დან. იხსენიება: საქართველოს მეფეების სიგელებში (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 1984; თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, 1897; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, 1991).

საისტორიო წყაროებში საქართველოს მეფეები იწოდებოდნენ “მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შ.” პირველად შ. ჩნდება გიორგი III-ის (1156-1184),

(ქ.ი.ს.კ. I, №11, 12), ხოლო შემდეგ ერთიანი საქართველოს (გიორგი VIII-ის ჩათვლით, 1446-1466) სხვა მეფეთა ტიტულატურაშიც (ქ.ი.ს.კ. I, №14, 22, 23, 37, 39, 41, 42; ქრ. II, 241; პ.ა.ლ. I, 212-316); ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ (XV ს-ის II ნახ.) შ-დ იწოდებოდნენ ძირითადად ქართლის, ხოლო ზოგ შემთხვევაში კახეთისა და იმერეთის მეფეებიც (პ.ა.ლ. I, 212-359), ოღონდ ეს უკვე ტრადიციის გაგრძელება იყო და არა რეალური ვითარების ასახვა.

გ. ოთხმეზური

შემახია – შემახა, შამახი – ქალაქი აზერბაიჯანის რესპ. კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის მთისწინეთში. IX-XVI სს-ში შირვანის სატახტო ქალაქი და შირვანშაჰების რეზიდენცია. XVIII ს. შუა წლებში შემახის სახანოს მთავარი ქალაქი. 1805 შეიერთა რუსეთმა. შ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1826); სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962); ისტორიული საბუთები (ქ.ს.დ., II, 1965; ქრ. I,

1892, III, 1967; მც. ქ., 1968).

თურქ-სელჩუკები შეიჭრნენ შირვანში (1123), შეიპყრეს შარვანშა (მანუჩეჰ III, 1120-60), აიღეს ქალაქი შ. დავითი (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) 50 000 კაცით შირვანისკენ გაემართა. სულთანი (მაჰმუდი იბნ მუჰამადი, ირანის სასულთნოს მმართველი 1117-31) შ-ში გამაგრდა. ალყაშემორტყმული სულთანი ძალიან შეწუხდა. ერთ ღამეს მან შ. დატოვა და შირვანიდან გაიპარა (დ. ი. 343; ვ. ბ. 161; ნ. დ. 91). დავითმა აიღო შ. (1124), კახეთ-ჰერეთის ჯარი ჩააყენა და გამგებლად სვიმონ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი დატოვა (დ. ი. 345; ვ. ბ. 162). ადარბადაგანის ათაბაგის აბუ-ბექრის შირვანზე გალაშქრებას წინ უსწრებდა მიწისძვრა, რომელმაც შ. დაანგრია (ი. ა. 63; ვ. ბ. 181). ეს მოხდა 1192 (მც. ქ. 25, -1110, კურთხევანი; ქრ. I, აფხაზთა ქრონიკა, 284). მონღოლებმა, როდესაც საქართველო დუმნებად დაყვეს, ეგარსლან ბაკურციხელს ჩააბარეს სპა ჰერეთისა და კახეთისა, თბილისიდან შემახიის მთამდე (უ. 207; ვ. ბ. 208). 1452 თურქებს ეჭირათ შ-ია, განჯა და მრავალი სხვ. (ქრ. III, 106, ყანჩაეთის ჟამგულანი). ალექსანდრე კახთა მეფის (ალექსანდრე I, 1476-1511) დახმარებით შაჰ-ისმაილმა (ირანის შაჰი ისმაილ I, 1501-24) შირვანი დაიპყრო (1500-01), (ვ. ბ. 569; ფ. გ. 2). მან შამახიელებს თავის სახელზე თეთრი მოაჭრევინა (ფ. გ. 3). ფარცხისთან (ქ. თბილისის სამხრეთით) ბრძოლაში (1569) ქართლის მეფის სვიმონის (სვიმონ I, 1556-69, 1578-1600) წინააღმდეგ

ციზილბაშების მხარეს დიდი ლაშქრით იბრძოდა შ-ის ბეგლარბეგი (სავარაუდოდ არას-ხან რუმლუ), (ვ. ბ. 408). რუსეთის იმპ. ანნამ ვახტანგი (ვახტანგ VI, ქართლის მეფე 1716-24) დარუბანდში გამოაგზავნა „რათა დაიპყრას შამახია“. როდესაც ვახტანგი ქ. დარუბანდში ჩავიდა (1734), ბაღდადში (ერაყის დედაქალაქი) მყოფმა თამაზ-ხანმა (თამაზ ყული-ხანი, შემდგომში ირანის შაჰი ნადირი) შეიტყო, თითქოს ვახტანგი შ-ში იმყოფებოდა, მოულოდნელად თავს დაესხა შ-ს, „აღიღო იგი სულხანვისაგან“ (ლეკთა ბელადი სურხაი-ხანი) და მოაოხრა (ს. ჩ. 45; ვ. ბ. 513). სურხავმა შ. დაიკავა 1721 (ქრ. III. დავით რექტორის ქრონიკა, 616). ნადირ-შაჰი (ირანის შაჰი 1736-47) დაღესტნელებს ებრძოდა (1741-43). მან ქართლიდან ექვსი ათასი ხარ-ურემი მოითხოვა, რათა შ-დან დაღესტანში პური გადაეტანა (პ. ო. 55). ნადირ-შაჰს განუდგა შ., ასტრბადი (ქ. კასპიის ზღვის სანაპიროზე), შირაზი (ქ. სამხრეთ-დასავლეთ ირანში), (1743). შამახიელებმა ლეკების დახმარებით მოიყვანეს (თვითმარქვია) შაჰ-სულთან უსეინის (ირანის შაჰი 1694-1722) ძედ ნოდებუღი ვინმე (სეფი მირზა I) და დასვეს „ყაენად“ (ვ. ბ. 631). ირანის ძველმა ყაენმა შვილი აუჯანყა ნადირ-შაჰს (კიდევ ერთი თვითმარქვია 1743, სეფი მირზა II). შაჰმა თავისი ძე ნასრულა-მირზა გააგზავნა აჯანყების ჩასახშობად. ნასრულამ ააოხრა შირვანი და გამარჯვებული ბარდავს დადგა. აჯანყებულ შაჰზადას (შაჰის ძე) ქართლში სურდა მოსვლა გივი ამილახვართან, (ქართლის სადროშოს სარდალი, 1742 აუჯანყდა ირანელებს)

რომ იქიდან ოსმალეთში გადასულიყო, მაგრამ იგი ქსანზე კახელებმა დაიჭირეს და ერეკლე თეიმურაზის ძემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) ნადირ-შაჰთან გააგზავნა (პ. ო. 73; ქრ. III. 618). ოსმალთა ჯარი ქართლში შემოვიდა. ნადირ-შაჰის შვილი მათ წინააღმდეგ წამოვიდა და განჯასთან დადგა. შეშინებული ოსმალები უკან გაბრუნდნენ. ყიზილბაშები კი შ-ში წავიდნენ (პ. ო. 75). ერეკლეს მეფობის დროს ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი კახეთის დასარბევად წამოვიდა. ლეკები პირველად ქ. ქიზიყს (კახეთში) შეესივნენ. დაესხნენ სოფ. ბოდბეს. ქიზიყის მოურავის, თამაზის მეთაურობით ლეკები კახელებმა შ-ში გააქციეს, (პ. ო. 118; თ.ბ. 56). შაქ-შირვანის მფლობელის აჯი-ჩალაბის (შაქის პირველი ხანი ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ 1743-55) ჯარში, რომელიც ებრძოდა ერეკლესა და თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) იმყოფებოდა თავისი რაზმით შ-ის ხანი (1752), (პ. ო. 194). ამ ბრძოლაში ერეკლე და თეიმურაზი დამარცხდნენ და ახალი ბრძოლისათვის მზადება დაიწყეს. აჯი-ჩალაბის წინააღმდეგ გაილაშქრეს და გაიმარჯვეს. შირვან-შამახის დიდებულები დაიჭირეს... (პ. ო. 202). ხუნძახის ბატონმა ომარ-ხანმა ქიზიყზე გალაშქრება ვერ გაბედა, ჭარში დარჩა, შემდეგ შ-იას შემოადგა (ო. ხ. 74). რუსეთის მხედრობამ, გრაფ ზუბოვის სარდლობით, შ. დაიკავა (1796), (თ.ბ. 66). ერეკლე მეფე 1783 ტრაქტატზე ხელის მოწერისას თავს შ-ს მთავარს უწოდებს (ქ.ს.დ. II, 1783, 477).

ქ. ნადირაძე

შირაკავანი – იგივე ერაზგავორი, ქალაქი აირარატის ნაჰანგის შირაკის გავარში, იყო სუმბატ I ბაგრატიუნის რეზიდენცია. შ. იხსენიება: ჟამთააღმწერელი (ქ.ც. II, 1959), ვახუშტი ბატონიშვილი (ქ.ც. IV, 1973).

კოხტასთავის აჯანყების დროს მონღოლებმა ქართველი დიდებულები წაიყვანეს ანისის ქვეყანაში, ადგილას, რომელსაც ეწოდება შირაკავანი (ყ. 215; ვ.ბ. 210).

ე. კვაჭანტირაძე

შირლი – ოვსთა მეფის ასული (XIII-XIV ს.ს. მიჯნა). შ. იხსენიება: „ძეგლი ერისთავთა“ (დანერის თარიღი 1348-1400; ქ. ს. დ. II, 1965).

შალვა ერისთავმა (შალვა ვირშელის ძე ქსნის ერისთავი, XIII ს. 80-იანი – XIV ს. 10-იანი) ცოლად მოიყვანა ოვსთა მეფის ასული შ., რომელმაც „განადიდა პატივით“ მონასტერი. შესწირა ოქროსა და ვერცხლის ბარძიმი (ღრმა სასმისი), ტაბაკინი (ღვთის სამსახურებელი თეფში), კანდელი (ზეთის სანთელი), მოოჭვილნი ხატნი და სხვა „სამკაულნი“ (106).

ქ. ნადირაძე

შირვანი (შარვანი) – ისტორიული ქვეყანა ახლ. აზერბ. რესპ. ჩრდ-აღმ. ნაწილში, კასპიის ზღვის დას. სანაპიროზე, მტკვრის ჩრდ. აღმ-ით. პოლიტიკური ცენტრი ქ. შემახა. შეადგენდა კავკასიის ალბანეთის (იხ. სტ. რანი)

ნაწილს. პერიოდულად შ-ის სამეფოს განაგებდნენ ირანელები, არაბები, მონღოლები. გარკვეულ პერიოდში განიცდიდა საქართველოს გავლენას, ამიტომ ქართველ მეფეთა ტიტულატურაში გაჩნდა წოდება „შირვანშა“. 1538 სეფიანთა ირანის ზენოლის შედეგად ამ სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა და სეფიანთა სახელმწიფოს ოლქად გადაიქცა. შ-ის ტერიტორიაზე 1748 წარმოიქმნა შ-ს სახანო, რომელიც 1804 რუსეთმა შეიერთა. შ. იხსენიება: „მატიანე ქართლისა“, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე (ქ.ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოდღუარი „ცხოვრება მეფეთა-მეფისა თამარისი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მეორე და მესამე ტექსტი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926); სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (1913); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); პარიზის ქრონიკა (1980); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962), ევრემ მცირე „უნყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისას“ (1950). „ძეგლი ერისთავთა“, 1783 ტრაქტატის ტექსტი (ქ.ს.დ. II. 1965); „მესხური მატიანე“ (1961). ოსმალეთის სულთნის მი-

ერ გაცემული დოკუმენტი (Г.Д.И.И.А., 1967), მცხეთისადმი გაცემული სიგელი დაახ. 1638 (ქრ. II. 1897).

ქართლის მეფე ვახტანგ გორგასალს (დაახ. V ს. 40-იან – V ს. ბოლომდე), როდესაც მცხეთაში „სვეტი ცხოველზე“ ეკლესია აღუშენებია და „კ'ზი მას ზედა პატრიარქად განუწესებია“, ასევე მიექვსე მსოფლიო საეკლესიო კრებას (VII ს.) კონსტანტინე პოლონატის (ბიზ. იმპ. 668-85) დროს დაუმტკიცებია, ამდროიდან მოყოლებული მცხეთის საკათოლიკოსოს სამწყსოში შედის შირვანიც (ევრემ მცირე, 45; ქრ. II. სიგელი მცხეთისა გაცემული დაახ. 1638 იმეორებს ამ ინფორმაციას, 453). ამასვე ადასტურებს სულთნის (მურად III ან მაჰმად III) მიერ 1590 გაცემული სიგელი (Г.Д.И.И.А დოკ №221) ბაგრატმა (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) ხარკი დაადო შ-ას (მ. ქ. 281; ს.დ. 382; ვ.ბ. 141; ნ.დ. 88). დავითმა (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) თავისი ასული, თამარი გააგზავნა (თამარმა იქორწინა მანუჩერ აფრიდუნის ძეზე 1105/06 ან 1111) „დედოფლად შირვანისა“ (დ. ი. 334; ვ. ბ. 158). დავითმა უფლისწული დემეტრე გააგზავნა შ-ს სალაშქროდ (1117, რადგან მოყვრობით საქმე ვერ მოგვარდა). მან აიღო ციხე ქალაძორი (ციხე შ-ში) და შინ გამარჯვებული დაბრუნდა (დ. ი. 334; ლ.გ.მ. 365; ვ. ბ. 158) დავითმა „შვიდეულსა პირმარხვისა“ (1120) აიღო შ-ის ქ. ყაბალა (მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე დღ. აზერბაიჯანი) და აღავსო სამეფო ოქროთა და ვერცხლით. ქართლში მოსულმა ისევ შეკრიბა ლაშქარი,

7 მაისს ისევ ჩავიდა შ-ში და მოარბია ადგილები „ლიჟათით ვიდრე ქურდევანამდე და ხიშტალანთამდე“ (სავარაუდოდ, ლახიჯა და შამახიის რ-ნი) და ისევ ალაფით დაბრუნდა შინ. იმავე წელს შეიბნენ შარვანელები და დარუბანდელები, მოკლეს აფრიდონი (აფრიდუნ I, 1094-1120) და ამოხოცეს შარვანელები (დ. ი. 339; ვ. ბ. 159). თურქ-სელჩუკებმა აიღეს შ-ი (1123), შეიპყრეს შარვანშა (მანუჩქერ III, 1120-60), დაიკავეს შ-ის ქ. შამახია. სულთანმა (მაჰმუდ იბნ მუჰამადი, ირანის სასულთნოს მმართველი 1117-31) მეფე დავითს მოციქული გამოუგზავნა და წიგნი გამოატანა, სადაც წერდა: შენ ტყვეთა მეფე ხარ, ვერასოდეს ველზე ვერ გამოხვალ, შევიპყარი შარვანშა და ხარაჯა დავადე, შენც თუ გენებოს გამომიგზავნე ძღვენი, თუ არა და შემებრძოლე. მეფე დავითმა სასწრაფოდ შეჰყარა 50 000 კაციანი ლაშქარი და შ-ში გაემართა. ეს რომ სულთანმა შეიტყო ქ. შამახიას გამაგრდა. ალყაშემორტყმული სულთანი ძალიან შეწუხდა და ერთ ღამესაც შ-დან გაიპარა. მეფე ივანისის თვეში ისევ წავიდა შ-ს, აიღო გულისტანი – შირვან-შაჰთა რეზიდენცია. აპრილში ისევ ილაშქრა, აიღო შ-ის ციხეები ლასანნი და ხოზაონდი (სავარაუდოდ, ეს ის ციხეებია, რომლებიც კეტავდნენ დარუბანდის ვიწრო გასასვლელს) მიმდებარე „ქვეყნებით“. ანისზე გალაშქრების შემდეგ (1124) მეფე დავითი გაემართა შ-სკენ, აიღო ქ. შამახია, ციხე ბირიტი (ბივრიტი, ბიგურდი) და მთლიანად შ-ის ქალაქებსა და ციხეებში დატოვა კახეთ-ჰერეთის

ლაშქარი. გამგებლად და „ყოველთა საქმეთა მანდაურთა“ განაჩინა მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სვიმონი (დ. ი. 343-45; ვ. ბ. 161-62); (სწორედ ამ პერიოდიდან გაჩნდა საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში წოდება „შარვანშა“). შ-ის სახლი ემორჩილებოდა გიორგის (გიორგი III, საქართველოს მეფე 1056-84), (ლ.გ.მ. 367). შირვანის მეფე აღსართანმა (აღსიტანი, 1160-96/97), რომელიც ფლობდა ტერიტორიებს დარუბანდიდან ხირხალამდის (ხილახალა, ალბანური წყაროების ფეროზაპატი), ხაზართაგან (დარუბანდელი ხაზარები) შეჭირვებულმა დახმარება სთხოვა გიორგის. გიორგიმ თავის მამის დისწულს ჯარი მიაშველა (1167). ქართველები მივიდნენ დარუბანდის კარამდე, მოაოხრეს მუსკურისა და შარაბამის ქვეყანა, აიღეს ქ. შაბურანი, (შაბრანი, დღ. დაღესტანში) რომელიც გიორგიმ აღსართანს უბოძა (ი.-ა. 17; ვ. ბ. 169). თამარს (საქართველოს მეფე 1084-1107/10) „მონებდა და მსახურებდა“ შირვანშა, მიართმევდა ძღვენს და ეახლებოდა დიდი პატივით (ი.-ა. 39). შირვანშა აღსართანს, თამარის სიყვარულით გონებაშიხდილს სურდა თამარის ხელი ეთხოვა და მზად იყო სჯული შეეცვალა. სამეფო კარმა უარი უთხრა (ი.-ა. 44-45). ადარბადაგანის ათაბაგის ყიზილ-არსლანის (1187-91) გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეებს შორის ატყდა შუღლი. გაიმარჯვა აბუ-ბექრმა (აბუ ბაქრი) და დაჯდა ათაბაგად. მისი უმცროსი ძმა ამირ-მირმანი (ამირ ემირანი) შ-ის მმართველს ჩაესიდა. აბუ-ბექრმა მიიღო რა ხალიფას დახმარება

საქართველოს წინააღმდეგ, იგი პირველად შ-ისკენ გაემართა, შირვანშაჰი აღსართანი და მისი სიძე ამირ-მირმანი მტერს ვერ გაუმკლავდნენ. ამ უბედურებას მიწისძვრაც დაერთო და ქ. შამახიას ციხე-გალავანი დაანგრია. რადგან შ-ი საქართველოს ყმადნაფიცი იყო, მეფე თამარს და დავით სოსლანს (თამარის თანამეცხედრე) დიდძალი ძღვენი გამოუგზავნეს და დახმარება ითხოვეს. მეფე თამარმა და დავითმა შ-ის მმართველი და მისი სიძე სამეფო სასახლეში პატივით მიიღეს და თან ლაშქრის შეყრა დაიწყეს. შირვანელები დარწმუნდნენ, რომ ქართველთა ლაშქარი მათ მტრისგან დაიცავდა (ი.-ა. 63-66; ვ. ბ. 181-82). ბრძოლა მოხდა შამქორთან (ისტ. ქ. აზერბაიჯანში), (1195). აბუ-ბექრისა და მუსლიმთა კოალიციური ლაშქრის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა შ-ის მმართველი თავისი ჯარით. ქართველებმა გაიმარჯვეს (ი.-ა 68). გამარჯვების შემდეგ გაიმართა დარბაზობა, სადაც პატივით იქნა მიწვეული შირვანშა (ი.-ა. 73). თამარის გულმონყალებასა და კეთილშობილებაზე მიუთითებს დევნილ მეფეთა ძველ პატივში აყვანა: „და ამისა მონამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ოვსთა...“ (ბ. ეზ. 147) ლაშა-გიორგიმ (საქართველოს მეფე 1207/10-23) შ-ში გააგზავნა ქართლის ერისთავი შარვანშასთვის თავისი დის რუსუდანის მითხოვების შესახებ მოსალაპარაკებლად. თვითონ ჩავიდა ბაგავანს (ბაქო), შარვანშაზე რუსუდანის დასაქორწინებლად, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაიცვალა (ყ. 166;

ლ.გ.მ. 371; ვ. ბ. 199). რომეუარის ქვეყანას მართავდა ოთხი ნოინი. ამ ქვეყანაში შედიოდა: ხორასანი, (ისტ. ოლქი ირანის ჩრდ. აღმ. ნაწილში) ერაცი, საქართველო, ადარბადაგანი, მოვაკანი, ბარდავი, შ. ... (ყ. 223). ბერქა ყაენმა (ოქროს ურდოს ყაენი 1255-66) მოაოხრა ქვეყანა შ-ისა (1266), (ყ. 254). გიორგი (გიორგი V საქართველოს მეფე 1299, 1318-46) შევიდა შ-ს, დაიმორჩილა და ხარკი დაადო (ვ. ბ. 256; ნ. დ. 115). თემურ-ლენგი (შუააზიის მბრძანებელი, 1370-1405) ბარდავიდან გადავიდა შ-ში, შემუსრა და დაიპყრო იგი (ვ. ბ. 265). შ-ში მოსულ თემურ-ლენგს მიეახლნენ და თაყვანი სცეს ლეკებმა, შარვანელებმა, გილან-მაზანდარელებმა... იმ დროს იქ ტყვედ იმყოფებოდა ბაგრატი (ბაგრატ V, საქართველოს მეფე 1360-93), (მეორე ტ. 454). თემურ-ლენგი შარვანშასთან ერთად გამოემართა „დაბ-დაბთა ცემით, ბუკთა ტკრციალით“ საქართველოსკენ; მაშინ ბაგრატმა და მისმა ძემ გიორგიმ, შეკრიბეს ლაშქარი და გაემზადნენ საბრძოლველად (1387), ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გასწიეს (მეორე ტ. 457). თემურ-ლენგმა საქართველოში გამოაგზავნა (1402) შ-ის მფლობელი შიხ-ბარაიმ (შეიხ-იბრაჰიმ I, 1382-1417) „რათა შეეცყო... ბეგარა და სარგო მეფისა გიორგისა“ (საქართველოს მეფე გიორგი VII, 1393-1407) რათა ჩამოერთმია შემოსავლის ყველა წყარო (ვ.ბ. 336; მესამე ტ. 468). გიორგიმ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართველები, შირვანელები... გაილაშქრა აღინჯას ციხეზე

(ნახჩევანის მიდამოებში), იქიდან გა-
მოიყვანა ძე სულთანისა (თემურ-ლენ-
გის მოწინააღმდეგე ჯალარიანი ბატონ-
ნიშვილი თაჰერი) და ციხეს მიმდგარი
თემურ-ლენგის ლაშქარი ამოხოცა (XIV
ს. 90-იანი), (ძეგლი ერისთავთა, ქ.ს.დ. II.
114). თემურ-ლენგმა დიდი ბრძოლის
შემდეგ აიღო ბირთვისის (ისტ. ქვემო
ქართლში, მდ. ალგეთის ხეობაში) ციხე
(1403), ციხისთავ ნაზალს თავი მოჰკვე-
თა, ხოლო მისი ცოლი შ-ის მფლობელს
მისცა (ბ. ე. 338; მეორე ტ. 471; ვ.ბ. 274).
იყო გრძნეული „ვინმე შიხი“ თემურ-
ლენგის კარზე, რომელიც შ-ის მფლო-
ბელმა მოკლა (ბ.ე. 355). ირანელების
ბატონობის გამო „შირვანელებმა და
განძელებმა“ აღარ მისცეს ხარკი ალექ-
სანდრე მეფეს (ალექსანდრე დიდი, სა-
ქართველოს მეფე 1412-42). ალექსანდ-
რემ განძაზე გაილაშქრა, ხოლო შეშინ-
ებულმა შირვანელებმა ისევ ხარკის
გადახდა იკისრეს (ვ. ბ. 281; ნ. დ. 123).
გიორგი ალექსანდრეს ძეს (გიორგი
VIII, საქართველოს მეფე 1446-66)
ხარკს აძლევდნენ შ-ი და რანი (ვ. ბ.
283). კახეთის მეფე ალექსანდრეს
(1476-1511) დროს გამოჩნდა შაჰ-ისმა-
ილი (ირანის შაჰი ისმაილ I, 1501-24)
შიხის ძე, რომელმაც აიღო შ-ნი (1500-
01), (ვ. ბ. 569; ფ. გ. 2). მეფე ალექსანდ-
რემ შაჰ-ისმაილთან შ-ში გააგზავნა
ძღვენი თავისი ძე, დიმიტრი და მორ-
ჩილება გამოუცხადა (ვ. ბ. 569). შაჰ-ის-
მაილს რადგან მორჩილებდა შაქ-შირ-
ვანის მპყრობელი ასან-ბეგი (ჰასან
სულთანი) და მასთან კარგი ურთიერ-
ობა ჰქონდა, კახეთის დაკავებაც

სურდა. მაშინ კახეთის მეფემ ლევანმა
(1518-74) ასან-ბეგთან მშვიდობის დამ-
ყარება მოინდომა, მაგრამ ასან-ბეგმა
არ ისურვა. ამიტომ ლევანმა შეკრიბა
სპა, გაილაშქრა ასან-ბეგის წინააღმ-
დეგ, მოკლა იგი, ააოხრა შაქი და დიდი
ალაფით გრემში (კახეთის სამეფოს დე-
დაქალაქი) დაბრუნდა (სავარაუდოდ,
ეს უნდა მომხდარიყო შაჰ-ისმაილის
გარდაცვალების თანადროულად), (ვ.
ბ. 572). ამის შემდეგ შაქში გაბატონდა
მისი ძე – დავრიშ მაჰმად (დერვიშ მუ-
ჰამედი). დავრიშ მაჰმად და მეფე ლევა-
ნი ერთმანეთს მტრად მოეკიდნენ. დავ-
რიშ მაჰმადი განუდგა შაჰ-თამაზს
(ირანის შაჰი თაჰმასპ I, 1524-76). შაჰ-
თამაზმა მის წინააღმდეგ გალაშქრება
გადაწყვიტა და დასახმარებლად ლევან
კახთა მეფე დაიბარა. შაჰ-თამაზი
შ-სკენ გაემართა და გზიდან დავრიშს
შემორიგების წერილი გაუგზავნა. დავ-
რიშმა არ შეისმინა, გაამაგრა ციხე-სი-
მაგრეები, შევიდა გულისტანს და
ომისთვის მოემზადა. მაშინ შაჰ-თამაზ-
მა მეფე ლევანს შ-ზე გალაშქრება უბ-
რძანა. ლევანმა აიღო შირვანის გამაგ-
რებული ციხეები, მოკლა დავრიში, ხო-
ლო მისი მოკვეთილი თავი შაჰ-თამაზს
გაუგზავნა (მესამე ტ. 505; ვ.ბ. 574-
575). ლუარსაბი (ლუარსაბ I, ქართლის
მეფე 1527-56) შაჰ-თამაზს არ ემორჩი-
ლებოდა და ამის გამო შ-ს არბევდა (ფ.
გ. 4). შაჰ-თამაზის შვილი ალხაზ-მირზა
შ-ში ბატონობდა და ძალიან აკაცობ-
და. თამაზი მივიდა, საქმე მოაგვარა,
ხოლო თავნებები დახოცა (ფ.გ. 5). ლა-
ლა ფაშამ (ლალა მუსტაფა ფაშა, ოს-

მალთა სარდალი) ალექსანდრე კახთა მეფეს (1574-1605) შ-ზე ლაშქრობაში დახმარება შემოუთვალა. ალექსანდრემ კახეთის გადარჩენის მიზნით მას მორჩილება გამოუცხადა და დასთანხმდა. ლალა-ფაშამ შ. აილო (1574) და იქ თავისი მცველები ჩააყენა (ვ. ბ. 578; ფ. გ. 13; პ. ქ. 52; მესხური მ. 50). შაჰ-ხუდაბანდას (ირანის შაჰი სულთან მუჰამედ ხუდაბენდე 1577-87) ცოლმა ბეგუმმა (მაჰდი ულია) შ-ში თათრების წინააღმდეგ გაილაშქრა, ყიზილბაშებმა ამონყვიტეს ჯარი, გადანვეს ციხე, ხელთ იგდეს ხაზინა, ტყვედ აიყვანეს თათარ-ხანი და ყაზვინში (ქალაქი ჩრდ. დას. ირანში) წავიდნენ. ყაენმა, ბეგუმი და თათარ-ხანი მოაკვლევინა. ეს რომ თურქებმა შეიტყვეს შ. ისევ დაიკავეს (მესამე ტ. 525; მესხური მ. 51; პ. ქ. 54; ფ. გ. 13 – აქ ბეგუმის მაგივრად წერია სეიდი). შაჰ-აბასმა (აბას I, ირანის შაჰი, 1587-1629) ირანიდან კახეთში გამოაგზავნა კონსტანტინე, ალექსანდრე მეფის ძე, თან გამოაყოლა შირვან-ყარაბაღის ჯარი. მას მამის და ძმის მოკვლა ჰქონდა დავალებული (ბ. ე. 382; მესამე ტ. 539; ვ. ბ. 582). [არის განსხვავებული მონაცემი]: შაჰ-აბას I-მა შეუთვალა კახთა მეფეს, ალექსანდრეს, რომ საკუთარ ძეს კონსტანტინეს დახმარებოდა შ-ის დაკავებაში, ხოლო კონსტანტინეს დაავალა, როგორც კი შ-ს დაიკავებდა, მამა და ძმა მოეკლა. კახელებმა აიღეს ციხე ყაბალა და კონსტანტინე შ-ში გააბატონეს (ფ. გ. 18; პ. ქ. 60). შ-ში კონსტანტინე ბევრ ავსა და სასირცხვო საქმეს ჩადიოდა (პ. ქ. 61). მარტყოფში

ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა (1625) ქართველებმა ირანის მხარეს მებრძოლი შ-ის გამგებელი უსუფ-ხანიც მოკლეს (პ. ო. 91). შ-ში (1632) თეიმურაზის (თეიმურაზ I, ქართლ-კახეთის მეფე 1625-32) ყმის შვილი ბატონობდა (ფ. გ. 31). შ-ის ხანს შაჰმა (სეფი II, 1666-94) შეუთვალა, რომ რუსეთიდან ჩამოსული ერეკლე (შემდეგში ქართლის მეფე ერეკლე I, 1688-1703) პატივით მიეღო, 1 000 თუმანი მიეცა და ყაზვინში მშვიდობით ჩაეყვანათ. ბრძანება შეასრულეს (პ. ქ. 118; ფ. გ. 71). როდესაც ერეკლე შ-ში მივიდა, შ-ის ხანი მანუჩარ ენდრონიკას შვილი გარდაცვლილი დახვდა (ფ. გ. 71). ხუთი წლის შემდეგ ერეკლეს დედა შ-ში ჩამოვიდა, იქიდან კი დიდი პატივით ისპაჰანს მიბრძანდა, სადაც მისი შვილი იმყოფებოდა (ფ. გ. 70, 72). ჭარელი ლეკები აოხრებდნენ არა მხოლოდ კახეთს, არამედ განჯას, შ-ს... ქართლის მეფემ ვახტანგმა (ვახტანგ VI, ჯანიშინი 1703-14, მეფე 1716-24) და კახეთის მეფემ იმამ-ყული-ხანმა (დავით II, 1709-22) მუხრანში (სოფ. ქართლში) დადეს ხელშეკრულება ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად (ვ. ბ. 497). ამ ბრძოლაში მათ შ-ის ხანიც ეხმარებოდა. შაჰმა შ-ის ბეგლარბეგი გამოაგზავნა ჭარელების წინააღმდეგ. ჭარელები თავს დაესხნენ შირვანელებს და ბეგლარბეგი მოუკლეს (ვ. ბ. 498; 617-18). ეს რომ შაჰმა (სულთან ჰუსეინი, 1694-1722) გაიგო, ვახტანგს ჭარელების წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა (ვ. ბ. 618; ს. ჩ. 32-34). ვახტანგს ირანის შაჰმა უბო-

და აზერბაიჯანის სპასპეტობა და მის-
ცა ბრძანება გაენმინდა შ. ლეკებისგან
(ვ. ბ. 499). ირანის გადაყენებული შაჰის
– თამაზის (თაჰმასპ II, 1722-32) შვილი
აუჯანყდა ნადირ-შაჰს (ირანის შაჰი
1736-47), რომელიც ამ დროს ოსმა-
ლებს ებრძოდა. მას მოუვიდა ამბავი,
რომ შ. განუდგა და აჯანყებული გაა-
ხელმწიფეს (ო.ხ. 44; პ. ო. 73). ყარაბა-
ლის მმართველმა ფანაჰ-ხანმა (1747-
63) ძალიან შეავიწროვა განჯისა და
ნახჩევანის ხანები. მათ დახმარები-
სათვის თეიმურაზს (თეიმურაზ II, ქარ-
თლის მეფე 1744-62) და ერეკლეს
(ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62,
ქართლ-კახეთის 1762-98) მიმართეს.
მამა-შვილმა შიკრიკი გააგზავნა შ-ში
და შაქ-შირვანის მფლობელ აჯი-ჩა-
ლაბს (ჰაჯი ჩელები ყურბან-ოღლუ, შა-
ქის I ხანი 1743-55) მოუწოდა ამ ლაშქ-
რობაში მონაწილეობა მიეღო (პ.ო.
166). 1750 ფანაჰ-ხანი დაამარცხეს. გა-
მარჯვებულებმა შაქ-შირვანში მახა-
რობელი გამოაგზავნეს (პ.ო. 170).
ერეკლემ და თეიმურაზმა გადაწყვი-
ტეს გაელაშქრათ ჭარ-ბელაქნის ლეკე-
ბის წინააღმდეგ. მეფეების მოკავშირე
იყო შაქ-შირვანის ხანი აჯი-ჩალაბი,
რომელმაც ბრძოლის დროს მეფეებს
ულალატა. ქართველები დამარცხდნენ
(1751 ბრძოლა აგრიჩაიზე), (პ.ო. 177-
182). შაქ-შირვანის გამგებელმა აჯი-
ჩალაბმა განჯა ააოხრა. ერეკლემ და
თეიმურაზმა მის წინააღმდეგ გალაშქ-
რება გადაწყვიტეს. მოიწვიეს თავიან-
თი მოხარკეები და მოკავშირეები: გან-
ჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახჩევანის

ხანები. მათთან იყვნენ ლეკებიც და
ბრძოლისთვის გაემზადნენ. ამ დროს
მეფეებმა ხანების ლალატი შეიტყვეს,
ისინი დაატყვევეს და ბრძოლის გადა-
დება გადაწყვიტეს, მაგრამ აჯი-ჩალა-
ბი მეფეებს განჯასთან მიუვარდა და
ისინი სასტიკად დაამარცხა (1752).
აჯი-ჩალაბმა დიდძალი განძი წაიღო
და შ-ში დაბრუნდა (პ. ო. 191-195; ო. ხ.
50). 1752 ერეკლე და თეიმურაზი დაა-
მარცხა აჯი-ჩალაბის ძემ, ალა-ქიშიმ.
გამარჯვებული შ-ში დაბრუნდა, ამავე
წელს ისევ შეკრიბა შირვან-შაქის, ლე-
კების მხედრობა და ქართველ მეფეთა
წინააღმდეგ წამოვიდა. ალა-ქიში სას-
ტიკად დამარცხდა (თ.ბ. 49). ხუნძახის
ბატონმა ნურსალ-ბეგმა შეყარა ლეკთა
დიდი ჯარი, ჩავიდა შაქ-შირვანში და
იქიდან მოულოდნელად თავს დაესხა
ბოდბეს (სოფ. კახეთში), ააოხრა რამ-
დენიმე უბანი (თ.ბ. 55). 1755 ნურსალ-
ბეგი შემოადგა ყვარლის ციხეს (კახეთ-
ში) 20 000 მეომრით. მათ შორის იყვნენ
შირვანელებიც. ისინი ქართველებმა
განდევნეს (პ.ო. 230). 1806 ციციშვილი
(გენერალი პავლე ციციანოვი 1754-
1806, საქართველოს მთავარმართებე-
ლი) დიდძალი მხედრობით ჩავიდა შ-ში
ბაქოს დასაპყრობად (თ.ბ. 72). ქართლ-
ში, განჯა-ყარაბაღში, შაქ-შირვანში
დიდი შიმშილობა დაიწყო. კოდი პური
ერთ თუმნად ძლივს იშოვებოდა (XVIII
ს. 90-იანი), (ბ.ბ. 68). ერეკლე 1783
ტრაქტატზე ხელს აწერს: „მთავარი
შირვანისა, მფლობელი და მბრძანებე-
ლი განჯისა და ერევნისა“ (ქ.ს.დ. ტ. II.
№134, 457). მარკიზი (ფილიპე პაულუ-

ჩი, საქართველოს მთავარმართველი 1811-12) გადავიდა მტკვარს შაქის, შ-ის, დარუბანდის და ბაქოს დასათვალის-რებლად, რადგან ყველა ეს ადგილი რუსებს ჰქონდათ დაპყრობილი (თ. ბ. 80).

ქ. ნადირაძე

შის ბარაიში – შირვანის მფლობელი (XIV ს. 90-იანი). შ.ბ. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება – მეორე ტექსტი“ (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973).

თემურ ლენგმა (შუააზიელი მხედართმთავარი, 1336-1405) გამოგზავნა საქართველოში შირვანის პატრონი შ.ბ., იმისათვის რომ მას დაეთვალა საქართველოს გლეხის მოსავალი და გიორგის (გიორგი VII, საქართველოს მეფე 1393-1407) გადასახადი (ბ.ე. 336; მეორე ტ. 468; ვ.ბ. 273).

ე. კვაჭანტირაძე

შუქურლა – ნახიჩევანის (სახანო აზერბაიჯანში, როგორც ქალაქი ძვ.წ. VI ს-დან არსებობს) ხანი XVIII ს-ის 70-იან წლებში. შ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

შეიკრიბნენ ყაზახნი (ისტ. მხარე ქვემო ქართლში), ბორჩალოელნი (ისტ. მხარე ქვემო ქართლში) და ფამბაკელნი, დაარბიეს ნახიჩევანი და დაამარცხეს მისი ხანი შ. (თ.ბ. 55).

ე. კვაჭანტირაძე

შუშანიკი – V ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე, სომეხთა სპასპეტის ვარდან მამიკონიანის ასული. შუშანიკი იყო ქვემო ქართლის პიტიახშის ვარსკენის მეუღლე, ეწამა ქრისტიანობისათვის სჯულის მოღალატე, ცეცხლმსახური მეუღლის მიერ დაბა ცურტავს (ქვემო ქართლი). შუშანიკი ქართულმა სამოციქულო ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. შ. იხსენიება: „მარტვილობა შუშანიკისი (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 11); „მოქცევა ქართლისა“ (ძ.ქ.ა.ლ.ძ., I, 1963, 94); ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც., I, 1955, 216); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც., IV, 1973, 118; 120); არსენ საფარელი „განყოფისთჳს ქართველთა და სომეხთა“ (1980).

„მოქცევა ქართლისა“, ჯუანშერი და ვახუშტი ბატონიშვილი შ-ის წამებას ქართლის მეფის ბაკურის ხანაში (VI ს. 50-იანი, VI ს-ის 30-იანი – ვ. გოილაძის მიხედვით) მომხდარ ამბად მიიჩნევენ („მოქ. ქ., 94; ჯ. 216; ვ.ბ. 118). შ. იყო ქვემო ქართლის მმართველის ვარსკენის მეუღლე. ვარსკენი აიძულებდა შ-ს უარეყო ქრისტიანობა. შ-მა ეს არ ინება, რის გამოც ვარსკენმა იგი საშინელი ტანჯვით მოკლა. მეფე ბაკურმა შ-ის გვამი წამოასვენა და „დადვა ცორტავს“ (ვ.ბ. 118). ქართლის კათოლიკოსმა კურიონმა ანუ სვიმეონმა (კურიონ I 599-614/616) სომეხთა მწვალებლობის (მონოფიზიტობის) გამო შ-ის საფლავიდან განდევნა ცურტავის ეპისკოპოსი (ვ.ბ., 120, სქ. 2). ქართლის კათოლიკოსმა „კურიონმა“ განდევნა მოსე ცურტავის ეპისკოპოსი თავისი

საყდრიდან, „რომელი დაედგინა ნმი-
დასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხი-
თისასა“ (ა.ს. 82).

თ. ქორიძე

ჩაჩანი // ჩაჩელნი – ჩრდ. კავ-
კასიაში, ძირითადად ჩაჩნეთ-ინგუშე-
თის და დაღესტნის ტერიტორიაზე მო-
სახლე ხალხი. ჩ. იხსენიება: თეიმურაზ
ბაგრატიონი „ახალი ისტორია„ (1983).

1818 ერმოლოვის (კავკასიის მთა-
ვარმართებელი) ლაშქრობა ჩ-ში უშედე-
გოდ დამთავრდა. ჩ-ელებმა მედგარი წი-
ნააღმდეგობა გაუწიეს რუსებს, მრავა-
ლი კაცი მოუკლეს და ერმოლოვი აიძუ-
ლეს უკან გაბრუნებულიყო (თ.ბ. 88).

გ. ოთხმეზური

ჩარქეჯები – ხალხი ჩრდილოეთ
კავკასიაში. ჩ. იხსენიება: ბერი ეგნა-
ტაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება
მესამე ტექსტი (ქ.ც. II, 1959); ვახუშტი
ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა სა-
ქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსა-
დან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926);
პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლი-
სანი“ (1981); თეიმურაზ ბაგრატიონი
„ახალი ისტორია“ (1983); ომან ხერ-
ხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“
(1989).

გიორგი დადიანმა (ოდიშის მთა-
ვარი 1572-82) ცოლად ითხოვა ჩ. ქა-
ლი, რომლის ერთი და გიორგი II-ის
(იმერეთის მეფე 1565-83) ცოლი იყო,
მეორე კი გიორგი გურიელის (გურიის

მთავარი 1564-83), (ბ.ე. 362; მესამე ტ.
503). შაჰ-აბასის (აბას I, ირანის შაჰი
1587-1629) ბებია ჩ. ქალი იყო, ჭკვია-
ნი და გავლენიანი მანდილოსანი (ფ.გ.
45). ჩ-ის ბატონის ასული რუსუდანი
ცოლად შეირთო ვახტანგმა (ქართლის
მეფე გიორგი XI-ის 1678-88, 1703-09
ძმისწული) (ვ.ბ. 474), სხვა ადგილას
რუსუდანი გიორგი XI-ის ცოლადაა და-
სახელებული (ვ.ბ. 815). რუსეთში მი-
მავალი არჩილი (არჩილ II, იმერეთის
მეფე 1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-
96, 1698 და კახეთის მეფე 1664-75) შე-
იპყრეს მოსყიდულმა ჩ-მა (ვ.ბ. 855-56).
რუსეთში მიმავალ ვახტანგ VI-ს (ქარ-
თლის მეფე 1716-24) გზად მიეგება მი-
სი ცოლის ძმა ჩ-ის ბატონი (ვ.ბ. 507).
აჯი-ჩალაბის (შაქის პირველი ხანი
1743-55) შვილმა ალა-ქიმომ გაილაშქ-
რა ქართლ-კახეთის წინააღმდეგ. თე-
იმურაზ II-მ (ქართლის მეფე 1744-62)
გაგზავნა თავისი ძე ერეკლე (ერეკლე
II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კა-
ხეთის მეფე 1762-98) სტეფანწმინდა-
ში ჩ-თა მხედრობის მოსაწვევად. ჩ-თა
ლაშქარი მოვიდა, ალა-ქიმომ უკან დაი-
ხია (თ.ბ. 49; ო.ხ. 54; პ.ო. 198-202). ჩ-თა
ლაშქარი ეხმარებოდა თეიმურაზ II-ს
და ერეკლე II-ს ერევანზე ლაშქრობი-
სას (პ.ო. 161), ფანა-ხანის (ყარაბაღის
ხანი 1747-63) წინააღმდეგ ბრძოლაში
(პ.ო. 165), ხუნძახის ბატონის ნურსალ-
ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში (პ.ო. 219,
232). თეიმურაზ II-მ სამსახურისათვის
ჩ-თა ბატონს და მის ჯარს გასამრჯე-
ლო უბოძა და თავის ქვეყანაში გაუშვა
(პ.ო. 172-73, 203).

ე. კვაჭანტირაძე

ჩარქაჯაიი – ისტორიული მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში, მოიცავდა ჩრდილო კავკასიის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილს – შავი ზღვიდან და მდ. ყუბანიდან, მდ. სუნჯისა და მდ. თერგის შეერთებამდე. XVI ს-დან ამ ტერიტორიაზე მდ. თერგის დასავლეთით ყალიბდება დიდი ყაბარდო. XIX ს. I ნახ-ში აქ რუსული მმართველობა დამყარდა. XX ს-ის განმავლობაში შედიოდა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონ. ოლქში, 1991 გარდაიქმნა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკად რუსეთის ფედერაციაში. ჩ. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც. IV, 1973); ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“ (1926).

სტეფანოზ II-ის დროს (ქართლის ერისმთავარი VII ს. II ნახ.) ტერიტორია ჩ-ის საზღვრამდე ქართლის კათალიკოსის სამწყსოში შედიოდა (ჯ. 232). მონღოლთა ბატონობის პერიოდში ოსეთი (მხარე ჩრდ. კავკასიაში) იწოდა ჩ-ად ანუ ყაბარდოდ (ვ.ბ. 634, 655). არჩილი (არჩილ II, იმერეთის მეფე 1661-63, 1678-79, 1690-91, 1695-96, 1698 და კახეთის მეფე 1664-75), რომელიც ეურჩებოდა ირანის შაჰს შეიპყრეს ჩ-ში (ვ.ბ. 469). ჩ-ში არჩილთან მივიდა მის მიერ ყირიმის ხანთან გაგზავნილი და შამხალის მიერ შეპყრობილი დავით თურქისტანიშვილი (ვ.ბ. 850). არჩილი წავიდა რუსეთში ჩ-ის გავლით (ფ.გ. 70). თეიმურაზმა (კახეთის მეფე 1606-48) თავის შვილიშვილი ნიკოლოზი (ერეკლე I, ქართლის მეფე 1688-1703)

რუსეთში გაგზავნა. ჩ-ში მას მეკობრეები დაესხნენ (ვ.ბ. 598). ჩ. რამდენჯერმე იხსენიება დიგორის, ბასიანის, ქისტეთის, ძურძუკეთის, ლლილოსის (ისტ. მხარეები ჩრდ. კავკასიაში), სვანეთის (დას. საქართველოს მთიანი რეგიონი, მოიცავს კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებს) აღწერისას (ვ.ბ. 649-54, 787).

ე. კვაჭანტირაძე

ჩარქაჯ-შამხალი – შაქის სულთანი (XVI ს. II ნახ.). ჩ.შ. იხსენიება: ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება მესამე ტექსტი“ (ქ.ც. II, 1959).

დაპირისპირებულნი იყვნენ სვიმონი (სვიმონ I, ქართლის მეფე 1556-69, 1578-99) და მისი ძმა დაუთ-ხანი (ქართლის მეფე 1569-78), რომელიც შაჰ თამაზმა (თამაზ I, ირანის შაჰი 1524-76) თბილისის და ქვემო ქართლის გამგებლად დანიშნა. ერთ-ერთი დაპირისპირებისას შაჰმა თამაზმა მისწერა შაქის სულთანს ჩ.შ-ს დახმარებოდა დაუთ-ხანს. ჩ.შ. წავიდა ქართლისკენ შაქელთა და ყარაბაღელთა დიდი ლაშქრით. ბრძოლა მოხდა ფარცხისთან (სოფ. ქვემო ქართლში), (1569) (ბ.ე. 368 ; მესამე ტ. 513).

ე. კვაჭანტირაძე

ჩაჩნეთი – მხარე ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

ერმოლოვმა (ალექსი ერმოლოვი, 1777-1861, რუსეთის არმიის გენერალ-

ლი, კავკასიის კორპუსის მეთაური) ილაშქრა ჩ-ში, საზღვარზე ააშენა პატარა ციხე, რომელსაც გროზნა უწოდა ანუ „მემუქარი“ (თ.ბ. 88).

ე. კვაჭანტირაძე

ნისის ხეობა) გამაგრდა. მეფეებმა იქაც მიაკითხეს. ჩ. მ. ლამით, ჯართან ერთად გაიპარა (ო. ხ. 57-58). იგივეს წერს თ. ბ. მაგრამ ამ ორ ამბავს ერთ ამბად ყვება და 1759 ათარილებს (თ.ბ 50-51).

ქ. ნადირაძე

ჩონჩოლ-მუსა – ლეკთა ბელადი (XVIII ს. მე-2 ნახ.) ჩ. მ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983).

[ო. ხ-ს მიხედვით] 1757 ლეკები ზემო ქართლს შემოესივნენ 4 000 კაცით ჩ. მ-ს მეთაურობით. მიადგნენ ქ. ცხინვალს (შიდა ქართლი), სადაც მეფეები თეიმურაზი (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62) და ერეკლე (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის 1762-98) იმყოფებოდნენ. მეფეებმა ლეკებთან პირისპირ შებმა ვერ გაბედეს, რადგან მცირერიცხოვანი ამაღლა ჰყავდათ და ციხიდან ატეხეს სროლა (ო.ხ. 57). 1759 ჩ. მ. და ლეკთა ბელადი კობტა ისევ შემოესივნენ 8000-იანი ჯარით ქართლს. ორად გაიყვნენ. ჩ. მ. მივიდა აჩაბეთს (ციხე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე), აიღო იგი, სამაჩაბლოს ოსები დაარბია და სოფ. ავნევეს მიადგა. კობტა ბელადი კი ატოცის ციხეს (მდ. ფრონის მარცხენა ნაპირზე) შემოეწყო. თეიმურაზი და ერეკლე ჯარით ყორნისს მივიდნენ, მათ დასახმარებლად იმერეთის მეფე სოლომონი (სოლომონ I, 1752-84) შეუერთდა. ლეკები ატოციდან გაიქცნენ. ეს რომ ჩ. მ. გაიგო, შეეშინდა, მიატოვა ავნევი და დვანის ციხეში (დვანისწყლის ხეობა. ახლ. ყორ-

ხაზარები//ხაზარეთი – მომთაბარე თურქულენოვანი ხალხი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ ევროპაში. სახელი ხ. შუა აზიიდან აღმოსავლეთ ევროპაში მისვლის შემდეგ ერთ-ერთი წინამძღოლის – „ხაზარეგისგან“ მიიღეს. ხ-თა წინაპრები დულუს ტომთა გაერთიანების სახით, თურქთა დასავლეთი კავანატის შემადგენლობაში შედიოდნენ. 627/28, როგორც იმპერატორ ჰერაკლეს (610-41) მოკავშირეები მონაწილეობდნენ თურქთა დასავლეთი კავანატის ამიერკავკასიურ ლაშქრობაში. თურქთა დასავლეთი კავანატის დაცემის (630) შემდეგ, დულუს ტომებმა შუა აზიიდან ჩრდილო კავკასიაში გადმოინაცვლეს და ჯერ კიდევ VI ს-ის დასასრულს ირანის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მერვის მხრიდან მოსულ თურქებთან ერთად დაახ. 650/51 ხაზანთა კავანატი (სახაკანო) შექმნეს. მეზობელი ხალხებისა და სახელმწიფო გაერთიანებების დამორჩილების შემდეგ ხაზართა კავანატში შევიდა: ჩრდილო კავკასია, სამხრეთ ურალისპირეთის ველები, აღმოსავლეთ ყირიმი, ვოლგისპირეთი, დონისპირეთი, აზოვისპირეთი. ამ იმპერიაში სხვადასხვა წარმომავლობის ხალხი

ცხოვრობდა. ხ. კაგანატი კიევის რუსეთის მთავარმა სვიატოსლავმა (969-72) დალაშქრა და გაანადგურა. X ს. მიწურულს მან არსებობა შეწყვიტა. სამეცნიერო ლიტ. მიაჩნიათ: ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული „ხაზარი“ აღნიშნავს არა მარტო ისტორიულ ხ-ებს, არამედ ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ველებზე მათზე უფრო ადრე მცხოვრებ არაერთ ირანულ თუ თურქულენოვან ტომს. ამ ტომებზე ეთნონიმ „ხაზარის“ გავრცელება გარკვეულწილად გამოიწვია იმან, რომ ყველა ეს ტომი თავის დროზე გადმოსული იყო ვოლგის გადაღმა მდებარე ველებიდან და ცხოვრობდა ტერიტორიებზე, რომლებიც VII-X ს-ში ხ-თა სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა. ლეონტი მროველის „ხაზარების“ ქვეშ იგულისხმებიან: სკვითები, სარმატები და სარმატულ-ალანურ-მასაგეტური ტომები. ჯუანშერის ხ-ებში მოიაზრება სტეპების მომთაბარე ტომების დიდი მასივები კავკასიიდან დუნაისპირამდე, ჰუნები. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს ეთნიკური ხ-ების შესახებ. ხ-თა სახელმწიფოს განადგურების შემდეგ, ისტორიული ხ-ს ტერიტორიაზე XI ს. II ნახ-ში შემოიჭრა თურქულენოვანი მომთაბარე ტომების ტალღა – ყივჩაყები, რომელთაც მოახდინეს ხ-ების ასიმილაცია. არის მოსაზრება, რომ მეფე თამარის ისტორიკოსებთან მოხსენიებული დარუბანდელი ხ-ები არიან ჩრდ. დაღესტნის თურქულენოვანი ტომები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თანამედროვე ყუმუხი ხალხის

ფორმირებაში, ჟამთააღმწერელთან კი „ხ-ეთი“ „ყივჩაყეთის“ სინონიმს წარმოადგენს. ხ-ები და ხ-ეთი იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“ (ქ. ც. I, 1955); „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი“, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); იოვანე საბანის ძე „მარტვილობა ჰაბოტვილელისა“, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ძ. ქ. ა. ლ. ძ. I, 1963).

კავკასიის ჩრდ. მდებარე ტერიტორია: კავკასიიდან, ვიდრე მდ. დიდ ხ-მდე (მდ. ვოლგა), რომელიც ჩადის დარუბანდის ზღვაში (კასპის ზღ.) დაუსახლებელი იყო. თარგამოსმა (ბიბლიური პერსონაჟი, კავკასიელ ეთნოსთა წინაპარი) მოიყვანა თავისი ორი ძე ლეკანი და კავკასი. ლეკანს მისცა ადგილი დარუბანდის ზღვიდან, ვიდრე მდ. ლომეკამდე (მდ. თერგი), ჩრდილოეთით – მდ. დიდ ხაზარეთამდე (ლ. მ. 5,6; ვ. ბ. 49). ეგროსის (ქართველთა წინაპარი, მეგრელთა ეპონიმი) სამფლობელოს ჩრდილოეთი საზღვარი მიდიოდა მდ. მცირე ხ-მდე (მდ. ყუბანი), (ლ. მ. 5). ეგრის წყლიდან (სავარუდოდ მდ. ენგური ან ოხოჯა, ან ლალიძგა), ვიდრე მდ. მცირე ხ-მდე ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 356-323) დროიდან არის საბერძნეთის საზღვარი (ჯ. 177). ხ-ის მდ. არის დონისწყალი, ხოლო თავად ხ. მოიცავს ტერიტორიას დონის წყლიდან დნესტრამდე, შავი ზღვის

პირს ლიტოვამდე და რუსეთამდე (ვ. ბ. 51). დროთა განმავლობაში გაძლიერდნენ ხ-ები და თარგამოსიანებს მტრობა დაუწყეს, მაშინ თარგამოსიანები შეიკრიბნენ, გადავიდნენ კავკასიის ქედზე, მოაოხრეს ხ-თის საზღვარი, ხ-თის პირას ააშენეს ქალაქი და უკან გამობრუნდნენ. ამის შემდეგ ხ-მა აირჩიეს მეფე, კიდევ უფრო გაძლიერდნენ, მეფის წინამძღოლობით გამოიარეს ზღვის-კარი, რომელსაც ამჟამად ჰქვია დარუბანდი, მოაოხრეს თარგამოსიანები, შემუსრეს ქალაქები და ციხეები, დაანგრეს არარატ-მასისის ქალაქები. ამის შემდეგ ხ-ებმა ორი გზა ისწავლეს: ზღვის კარი, ანუ დარუბანდი და არაგვის კარი, ანუ დარიალი. ხშირად გადმოდიოდნენ ამ გზებზე და აოხრებდნენ თარგამოსიანებს. შედეგად ისინი ხ-თა მოხარკე გახდნენ (ლ. მ. 11-12; ვ. ბ. 51), (ამ ამბავს ვ. ბ. ათარილებს დასაბამიდან 2310). ხ-თა მეფემ თავის შვილს უობოსს (ვ. ბ.-თან ურბანოსი) მისცა კავკასიის ნაწილი, რომელიც გადაჭიმული იყო მდ. ლომეკის დასავლეთით, ვიდრე კავკასიის მთების უკიდურეს დასავლეთით. აქ დაემკვიდრა უობოსი თავისი ნათესავი ოსებით, ხოლო მეფემ თავის მამის ძმისწულს უბოძა ნაწილი ლეკანისა დარუბანდის ზღვიდან აღმოსავლეთით მდ. ლომეკამდე (ლ. მ. 11-12; ვ. ბ. 632, 633, 654), არდამერისთავი (ნებროთიანთა, ანუ სპარსთა სარდალი, ქართლის დამყრობელი) მივიდა ქართლში, შემუსრა ქალაქები და ციხეები, ამოწყვიტა ხ-ები, თუკი ვინმე ნახა ქართლში (ლ. მ. 13). ხანგრძლივი დროის შემდეგ ქართლმა სპარ-

სელებისაგან თავი გაითავისუფლა. ამ დროს ქართლში მივიდნენ და ითხოვეს თავშესაფარი: თურქებმა, ხ-ებმა, ასურელებმა და სხვა. ქართველები დასთანხმდნენ და მათგან პირობა აიღეს, რომ სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდნენ (ლ. მ. 15). ქართლის მმართველმა აზონმა (დაახ. ძვ. წ. IV-III ს.ს. მიჯნა) ხაზარები მოხარკედ გაიხადა (ლ. მ. 19). როცა სომეხთა მეფე კოსარო სპარსეთის მეფის ქასრეს (არდაშირ I, 226-41) წინააღმდეგ იბრძოდა, მის დასახმარებლად ქართლის მეფე ასფაგურმა გააღო „კარნი კავკასიანთანი“ (დარიალის) და იქიდან გამოიყვანა ოვსნი, ლეკნი და ხ-ნი (ლ. მ. 59). ქართლის მეფე მირიანს (IV ს. I ნახ.) სპარსეთის მეფემ ხ-თა წინააღმდეგ გალაშქრება უბრძანა (ლ. მ. 65). ხ-ებს პერიოდულად ეხმარებოდნენ ლეკები მირიანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მირიანი კი მათ დაულაღვად ებრძოდა. ხ-ები, როდესაც პერიოდულად თავს ესხმოდნენ დარუბანდს, მირიანი მათ დასახმარებლად ხ-ებზე ლაშქრობდა. საბოლოოდ მთავარი ბრძოლა გაუმართა მათ და გაიმარჯვა (ლ. მ. 66, 68; ვ. ბ. 71-72). ვახტანგ გორგასალთან (ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლო) ბრძოლაში ოსებმა ხ-ების დამხმარე ლაშქარი გამოიყვანეს. გადამწყვეტი ბრძოლის დროს გოლიათთან ორთაბრძოლა გაიმართა. პირველ დღეს გოლიათმა ხ-მა – თარხანმა ვახტანგის დამხმარე სპარსეთის ჯარის მეომარი ფარსმან-ფარუხი მოკლა. მეორე დღეს მას თავად ვახტანგ მეფე შეებრძოლა და მას შუბით გული გაუპო (ჯვ. 151-53;

ვ. ბ. 108). ბერძენთა (ბიზანტია) კეისრის ანთიპატმა (პროკონსული) ლეონმა ვახტანგ გორგასალს სთხოვა მოლაპარაკების გზით მშვიდობა ჩამოეგდო ბერძენებსა და სპარსელებს შორის. ბერძენებს ეშინოდათ სპარსელები არ შეჭრილიყვნენ საბერძენეთში, რადგან მათი ჯარი ხ-ეთში იმყოფებოდა. ვახტანგი დასთანხმდა. ამ დროს სპარსეთის კარზე დახმარების მისაღებად ბერძენების წინააღმდეგ ხ-თა მეფის მოციქულიც იმყოფებოდა. სპარსეთის მეფემ (პეროზი, ირანის შაჰი 459-84) საკითხი ვახტანგის თხოვნის გათვალისწინებით გადაწყვიტა (ჯ. 182-83; ვ. ბ. 109). ხაზართა მეფეს (ხაკანს) სურდა ცოლად შეერთო ქართლის ერისმთავრის ჯუანშერის (VIII ს. 60-იანი) და – შუშანი. ერისმთავართა სახლმა ხაზართა მეფის მოციქულები უარით გაისტუმრეს. ამ ამბიდან სამი წლის შემდეგ (764) ხ-მა სარდალ ბლუჩანის წინამძღოლობით დალაშქრეს კახეთი. ჯუანშერი და შუშანი სხვა ტყვეებთან ერთად ხ-ეთის გზას გაუყენეს. შემდეგ შევიდნენ ქართლში და ქ. თბილისი ააოხრეს. შუშანმა გზაში თავი მოინამლა, ხოლო როდესაც ხ-თა ხაკანს ბლუჩანმა შუშანის დალუპვის ამბავი აუწყა, მას ყელზე თოკი ჩამოაცვეს, ცხენებს მიაბეს და თავი ნაანყვიტეს. ჯუანშერი ხაკანმა ტყვეობიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გაათავისუფლა (მ. ქ. 243-50; ვ. ბ. 127-28). არაბებისგან დევნილმა ნერსემ (ქართლის ერისმთავრი VIII ს. 70/80-იანი) ოჯახით და სამასკაციანი ამალით გაიარა დარიალის კა-

რი, შევიდა ჩრდილოეთის ქვეყანაში, სადაც არის სამყოფელი მაგოგის ძეებისა, რომლებიც არიან ხ-ები – ადამიანები ველურები, საშინელი შესახედობის, მხეცის ბუნების, სისხლიანის მჭამელნი, რომლებსაც რჯული არა აქვთ და მხოლოდ შემოქმედი ღმერთი იციან. ნერსე ხ. მეფემ პატივით მიიღო, მისცა მას და მთელ მის ხალხს საჭმელი და სამოსი, ჩრდილოეთის ქვეყანაში ასევე მრავლად იყო ქალაქები და სოფლები, რომლებიც ქრისტეს სარწმუნოებით უშფოთველად ცხოვრობდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ჩრდილოეთის მეფისგან დასაჩუქრებული ნერსე აფხაზეთში გადმოვიდა (ჰაბო ტფილელი, ძ.ქ.ა.ლ.ძ. I, 58-59). აფხაზთა მთავარმა, ლეონმა (დაახ. 720-40), რომლის მამული მოიცავდა ტერიტორიას მდ. კლისურიდან – მდ. დიდ ხაზარეთამდე (აქ იგულისხმება მდ. ყუბანი), „სადაც დასწვდების წვერი კავკასიისა“, ქართლის მეფეს არჩილს (ქართლის ერისმთავარი VIII ს.) მორჩილება აღუთქვა (ჯ. 242). არაბთა ხალიფას დავალებით ბულა თურქმა (ბულა ალ ქაბირი, გ. 862) თბილისზე ილაშქრა (853). მან დარუბანდით გადმოიყვანა ხ-თა სამასი ოჯახი და შამქორს დაასახლა (მ. ქ. 256; ვ. ბ. 130). ხ-თაგან შევიწროებულმა აღსართან შარვანშაჰმა დახმარებისთვის მეფე თამარს (საქართველოს მეფე 1184-1207/10) მიმართა. ქართველები მას დაეხმარნენ (ი-ა. 17). თამარ მეფეს ემორჩილებოდნენ ხ-ებიც (ი-ა. 23). ჩინგიზ-ყაენმა (მონღოლთა სახელმწიფოს დამაარსებელი, დიდი ყაე-

ნი 1206-27) თავისი უფროსი ვაჟი თუ-ბი, ქართველები „ჯოჯო“ იხსენიებენ, დასვა ყაენად და საგამგებლოდ დაუმტკიცა: ყივჩაყეთი, ოსეთი, ხ-ეთი, რუსეთი – ბნელეთის მიწებამდე (ასე იწოდება ჟ-თან აღმ. ევროპის ტერ. მდ. პეჩორისა და ურალის მთებს შორის), (ჟ. 163, 181). ბათო ყაენმა (ოქროს ურდოს მბრძანებელი 1243-55) მამის – თუბის სიკვდილის შემდეგ მიიღო ოსეთი, ყივჩაყეთი, ხ-ეთი, რუსეთი – ბნელეთის მიწებამდე და დარუბანდის ზღვამდე (ჟ. 196, 229, 234). საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ხ-მა მიიტაცეს (აღწერილია XVI ს. 20-იანი წ.), (ბ. ე. 349).

ქ. ნადირაძე

ხაზარეთი – იხ. სტ. ხაზარები // ხაზარეთი

ხიშტალანნი – ადგილი შარვან-ში. ხ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ც., I, 1955).

დავითი (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) მხედრობით ჩავიდა შარვანს, მოარბია ტერიტორია ლიჟანიდან ქურდევანამდე და ხ-მდე და ალაფით დატვირთულნი ქართლში დაბრუნდნენ (დ. ი., 339).

თ. ქორიძე

ხოზარანი – შარვანის ციხე. ხ. იხსენიება: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ (ქ. ც., I, 1955).

დავითის (დავით IV, საქართველოს მეფე 1089-1125) დროს ქართველებმა აიღეს შარვანის ციხენი ღასანნი და ხ. და მიმდგომი მათი ქვეყანა (დ. ი., 344).

თ. ქორიძე

ხოჯა ბერბუთი – თბილისის ზარაფი (ფულის გადამხურდავებელი) (XVII ს. 50-იანი). ხ. ბ. იხსენიება ისტორიულ დოკუმენტებში (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, 1955).

ხ. ბ-მა ითხოვა მეფე როსტომი-საგან (ქართლის მეფე 1632-58) თბილისში, მახათას მთის ქვემოთ მდებარე ვაკე ადგილი თავისი მშობლებისა და ნათესავებისათვის სასაფლაოს მოსაწყობად და ბალის გასაშენებლად. როსტომმა შეუსრულა მას ეს თხოვნა და დაუმტკიცა ბეჭდით (ქ-ს. ი. ს. № 106, 245-46).

ე. კვაჭანტირაძე

ხუანხუა // ხუხუ -- ოვსი გოლიათი, ქართლის მეფე ამაზასპის (III ს.) თანამედროვე. ხ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ. ც., I, 1955); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც., IV, 1973).

მეფე ამაზასპმა მცხეთასთან, ოვსების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში პირისპირ შერკინებისას, ოროლით მოკლა ოსი ბუმბერაზი ხუანხუა, რომელიც გამორჩეული იყო ოვსების ჯარში. (ლ. მ, 56; ვ. ბ. 68).

თ. ქორიძე

სუღათ-გაგი – განჯის ხანის დისშვილი (XVIII ს-ის I ნახ.). ხ.ბ. იხსენიება: პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981).

როდესაც მეფეებმა (თეიმურაზ II, ქართლის მეფე 1744-62; ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62) შეიტყვეს, რომ აზერბაიჯანელ ხანებს ქართველთა ლაღატი ჰქონდათ განზრახული, ყველანი და მათ შორის განჯის ხანის ბიძა ყოჯა-ხანი და მისი დისწული ხ.ბ., დაატყვევეს. მეფეებმა ისინი განჯიდან თბილისში მძევლად გამოისტუმრეს (პ.ო. 194). მეფე ერეკლემ და თეიმურაზმა თბილისს მძევლად მყოფი ხ.ბ. განძას გაისტუმრეს (პ.ო. 203).

თ.ქორიძე

სუღია გორჩალოელი (XVIII ს. მე-2 ნახ.) ხ.ბ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი - „ახალი ისტორია“ (1983).

„ჩინებული და მამაცი ყოვლისა საქართველოსა შინა“. ერეკლეს (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) ბრძანებით ასპინძის (სოფ. ზემო ქართლში, სამცხე-საათაბაგოში) ბრძოლის (1770, 20/IV) წინა ღამეს აღაბაბა ერისთავიშვილთან და სვიმონ მუხრან ბატონისშვილთან ერთად, ხ.ბ.-მა აყარა ასპინძის ხიდი. ხ.ბ. ჯავახეთში დაბანაკებულ ლეკებს, საქართველოს ელებთან ერთად, თავს ესხმოდა და შიშის ზარს სცემდა (თ.ბ. 53-54).

გ. ოთხმეზური

სუნძახი – ავარია, ფეოდალური სახანო ჩრდილო კავკასიაში XII-XIX სს-ში, როგორც პოლიტიკური ერთეული VI საუკუნიდან არსებობს დადუსა და სერირის სახელწოდებით. XV საუკუნის II ნახევრიდან სახანოში ისლამი გავრცელდა, განსაკუთრებით გაძლიერდა XVIII საუკუნეში, როცა მოიცავდა დაღესტნის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებს. 1864 რუსეთმა გააუქმა სახანო. მისი უკანასკნელი მმართველი იყო იბრეჰიმ ხანი. ხ. იხსენიება: ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ.ც IV, 1973); თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989); ისტორიული დოკუმენტები (მც.ქრ. 1968).

ხ. დასახელებულია კაკის და ელისენის აღწერისას (ვ.ბ. 540), ყარაღაჯისა და ქისიყის აღწერისას (ვ.ბ. 543). ფარნავაზმა (ქართლის პირველი მეფე ძვ. წ. IV-III სს. I ნახ.) ქვეყნის საერისთავოებად დაყოფისას ერთი ერისთავი დაუნიშნა „თუშთა, დიდოთა და ხუნძახთა“ (ვ.ბ. 556). კვირიკემ (კვირიკემ III, ჰერეთ-კახეთის პირველი მეფე 1014-37) ჰერეთი 4 საერისთავოდ დაყო. მესამე მაჭის საერისთავოში შედიოდა ხ. (ვ.ბ. 561). ხ-ის ბატონი ნურსალ-ბეგი ლეკთა დიდი ჯარით დაესხა ბოდბეს (სოფ. კახეთში), მაგრამ დამარცხებული გაბრუნდა (თ.ბ. 55-6). 1754 ხ-ის ბატონი ომარ ხანი მჭადიჯვართან (სოფ. ქართლში) ბრძოლაში დამარცხდა ქართულ ჯართან (პ.ო. 226; ო.ხ. 55; -1452, მც.ქრ., 45). თეიმურაზ II-ის (ქართლის

მეფე 1744-62) და ერეკლე II-ის (კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) მეფობაში ხ-ის ხანებმა რამდენჯერმე დალაშქრეს ქართლ-კახეთი (ო.ხ. 56, 72, 73, 93, 99; პ.ო. 214-20, 226, 227, 230-32, 241, 245, 246).

ე. კვაჭანტირაძე

ჯავათ-ხანი – განჯის ხანი XVIII ს-ის შუა ხანებში, შავერდი ხანის ვაჟი. ჯ.ხ. იხსენიება: ომან ხერხეულიძე „მეფობა ირაკლი მეორისა“ (1989).

ერეკლემ (ერეკლე II, კახეთის მეფე 1744-62, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) მამათ-ხანის შემდეგ განჯა მის უმცროს ძმას ჯ.ხ-ს უბოძა, რომელიც ეშმაკი და ვერაგი აღმოჩნდა. მან განდგომა დაიწყო, რისთვისაც ერეკლემ გააძევა განჯიდან და იბრეიმ-ხანს (შუშის ხანი) ებარა ტყვედ მეფისგან, შემდეგ გაათავისუფლეს ტყვეობიდან, მაგრამ განჯა მაინც ერეკლეს ეპყრა. განჯელებმა ქაიხოსრო მდივანბეგის საშუალებით სთხოვეს ერეკლეს ჯ.ხ-ის დაბრუნება. მეფემ დაიბარა ჯ.ხ., ერთგულების პირობა ჩამოართვა და განჯა კვლავ მას უბოძა. ამის შემდეგ ის ერთგულებდა და მორჩილებდა მეფე ერეკლეს (ო.ხ. 99).

ე. კვაჭანტირაძე

ჯიბლუ (ჯიბლა, ჯიბლო) – თურქთა დასავლეთი კავანატის მმართველი აშინას დინასტიის უფლისწული მოხო (გ. 630). თურქთა კავანატის ტუნ-

შეჭუს მომდევნო ძმა. მისი ტიტული „ჯ“ ნიშნავდა „ღირსებით მეორეს კავანატში“. ქართული წყაროს მიხედვით „ხაზართა ხაკანი“. იხსენიება: ჯუანშერი – „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ.ც. I, 1955).

ჰერაკლე კეისარმა (ბიზან. იმპერ. 610-41), (627) კალის ციხის (თბილისის ციხე) აღება დაავალა ჯ-ს. ჯ-მ აიღო ციხე, შეიპყრო ერისთავი, რომელსაც კეისრის შეურაცხყოფის გამო პირი დრაჰკანით აუვსო, ტყავი გააძრო და კეისარს გარდაბანში (მხარე აღმოსავლეთ საქართველოში) გაუგზავნა (მ.ქ. 95-96; ჯ. 225, ს.დ. 375).

გ. ოთხმეზური

ჯიქაზი//ჯიქათი – აფხაზურ-ადიღეური მოდგმის მთიელი ტომები. ძვ. წ. I ს-ში ცხოვრობდნენ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში. კოლხეთის სამეფოს დაცემის ხანაში ჯ-ის ერთი ნაწილი ჩრდ. კავკასიიდან შავიზღვისპირეთში გადმოსახლდა მდ. აქეუნტსა (შახე) და მდ. ნიკოფსიას (ნეჩეფ-სუხი) შორის (დაახ. ახლ. ნოვოროსიისკიდან ტუაფსემდე ტერიტორია). შემდეგ მათ გააფართოვეს თავიანთი მიწა-წყალი მდ. ყუბანის ქვემო წელამდე. ჯ-ებს ახ. წ. II ს-ში შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროზე, მდ. აქეუნტზე სანიგთა ეთნო-პოლიტიკური გაერთიანება ესაზღვრებოდა, გვიანანტიკურ ხანაში ეგრისის (ლაზიკე) სამეფო, მდ. აქეუნტზე, ხოლო VI ს-დან აბაზგია. გარკვეული დრო-

ის განმავლობაში ისინი საქართველოს გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. XV ს. ბოლოსთვის ჯ-ები ჩამოშორდნენ საქართველოს. XVIII-XIX სს-ში აღიღებთან, უბიხებთან და აფხაზებთან გაითქვიფნენ. ჯ-ების მთის თემები კი XIX ს. 60-იანი რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთში გადაასახლა. ქართული წყაროები ჯ-ების სახელით იხსენიებენ საკუთრივ ჯ-ებს, აბაზა ტომებს, მოგვიანებით ჯ-ები და ჯ-ეთი ეწოდება აღიღებს და მათ მიერ დასახლებულ ტერიტორიებს, როგორც ჩრდ.-აღმ. შავიზღვისპირეთში, აფხაზეთიდან მდ. ყუბანის ქვემოწელამდე, ისე ჩრდ.-დას. კავკასიაში. ჯ-ები და ჯ-ეთი იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, „მატიანე ქართლისა“, სუმბატ დავითის ძე „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ (ქ. ც. I, 1955); ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, „ახალი ქართლის ცხოვრება“ – მესამე ტექსტი (ქ. ც. II, 1959); ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქ. ც. IV, 1973); პაპუნა ორბელიანი „ამბავნი ქართლისანი“ (1981); „პარიზის ქრონიკა“ (1980); ნიკო დადიანი „ქართველთა ცხოვრება“ (1962); ისტორიული საბუთები, საფლავის ქვის წარწერა (ქრ. II. 1897, III, 1967; ქ. ს. d. 1972; მც. ქ. 1968).

ნეტარი ანდრია (პირველწოდებული) ცხუმიდან (ახლ. ქ. სოხუმი) მონაფეებთან ერთად გადავიდა ჯ-ში, რათა იქ ქრისტიანობა გაეგრძელებინა (I ს.). ამ ქვეყნის მოსახლეობა იყო გულფიცხი, ურწმუნო და გაუმაძღარი. მათ

არ შეინყნარეს მოციქულის ქადაგება და მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ანდრია ღვთის მადლმა გადაარჩინა. როდესაც იგი ჯ-ების მოუდრეკლობაში დარწმუნდა, მიატოვა ისინი და ცხუმში დაბრუნდა. ამიტომ ჯ-ები დღემდე ურწმუნოები არიან (ლ. მ. 43, ჩანართი). მეფე ასფაგური (ქართლის მეფე, III ს. ბოლო) სომეხთა მეფეს კოსაროს ეხმარებოდა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მან გახსნა დარიალის კარი და გამოიყვანა ხაზარები, ჯ... (ლ. მ. 59-60; ვ. ბ. 69-70). ვახტანგ გორგასალმა (ქართლის მეფე V ს. 40-იანი – V ს. ბოლო), როდესაც ოსეთზე გაილაშქრა, იქიდან გადავიდა ჯ-თში და მოაოხრა. ჯ-ეთი იმ დროისათვის ოსეთს ესაზღვრებოდა (ჯ. 156; ვ. ბ. 104). ხანგრძლივი დროის შემდეგ თურქებისაგან შევიწროებული ჯ-ები გადასახლდნენ და დაემკვიდრნენ აფხაზეთის მოსაზღვრეთ, „აფხაზეთს იქით ზღუამდე“ (ჯ. 157; ვ. ბ. 104). ვახტანგ გორგასალმა ბერძნებს (ბიზანტია) წაართვა ჯ-ეთი აფხაზეთითურთ და დაიმორჩილა (ვ. ბ. 795). ახლანდელ ჯ-ეთს აღმოსავლეთით ესაზღვრება კაპკეტის წყალი (მდ. ბზიფი), დასავლეთით და სამხრეთით შავი ზღვა, ჩრდილოეთით კავკასიონი. კაცნი არიან „მხეცთა მსგავსი“, ადრე ყოფილან ქრისტიანები, ახლა კი არ ცნობენ ქრისტიანულ სჯულს. სამოსი, იარაღი და საჭურველი აქვთ ჩერქეზების მსგავსი (ვ. ბ. 786-87). ლეონი როდესაც დაჯდა მეფედ (756-98) მთელ ეგრისს უწოდა აფხაზეთი და იგი დაეყო რვა საერისთავოდ. აფხაზეთი და ჯ-ეთი ერთ საერისთავოში მოაქცია

(ვ. ბ. 796; ნ. დ. 154). გიორგიმ (გიორგი II, აფხაზთა, დას. საქართველოს მეფე 922-57) გავლენა კახეთზეც მოიპოვა. მას არ ემორჩილებოდა ლონობანის პატრონი ივანე არიშის ძე და მისი ძმა ხახუა, რომელიც მარანის (ვ. ბ-სთან მარილისი) ციხეს ფლობდა. გიორგიმ ციხე აიღო, ხოლო ხახუა ჯ-ეთში გადასახლა (მ. ქ. 268; ვ. ბ. 135). მეფე ბაგრატმა (ბაგრატ III, საქართველოს მეფე 975-1014) დაიპყრო მთელი კავკასია, მათ შორის ჯ-თი (მ. ქ. 281; ს. დ. 382). რუსუდანმა (საქართველოს მეფე 1223-45) ჯალალედინის (ხორეზმის შაჰი 1220-31) წინააღმდეგ მოუწოდა მთელს თავის სამეფოს, მათ შორის ჯ-თა (ჟ. 182). ვამეყ დადიანმა (ოდიშის მთავარი 1384-96) ჯ-ზე მოაწყო ლაშქრობა. ქართველებმა ჯ-ში წარმატებებს მიაღწიეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიმორჩილეს. ვინც მიიმხრეს მათგან მძევლები წამოიყვანეს, ხოლო ურჩნი სასტიკად დასაჯეს. ლაშქრობიდან ვამეყ დადიანი ნადავლით დაბრუნდა, ჯ-ეთის ეკლესიებიდან მარმარილოს სვეტები წამოიღო და სამეგრელოს ეკლესიებს შესწირა (ხობის ტაძრის მარმარილოს ფიქალის წარწერა; ქრ. II. 199). მეფე ბაგრატის (ბაგრატ II, იმერეთის მეფე 1463-66, ქართლ-იმერეთის 1466-78) გავლენის სფეროში შედიოდა ჯ-ეთი (ბ.ე. 342; მესამე ტ. 477). ბაგრატმა მადლიერების ნიშნად შარვაშიძეს უბოძა „აფხაზნი და ჯ-ნი“ (ბ.ე. 349; ვ.ბ. 806). ბაგრატის თაოსნობით (ბაგრატ III, იმერეთის მეფე 1510-65 / ვ.ბ.-ს მიხედვით 1510-48) მამია დადიანმა (ოდიშის მთავარი 1512-33) და მამია გურიელმა (გურიის მთავარი

1512-34) იანვრის თვეში (1533) გადაწყვიტეს ჯ-ზე ზღვით გალაშქრება, რადგან ჯ-ები ოდიშსა და გურიას ემტერებოდნენ. ბრძოლის პირველ დღეს ქართველებმა გაიმარჯვეს. მეორე დღეს, პარასკევს, განრისხდა ღმერთი ოდიშართათვის. დადიანთან ოდიშის რაზმს უთანხმოება მოუვიდა და ბრძოლის ველი მიატოვეს. ჯ-თან სასტიკი ბრძოლის შემდეგ მოკავშირეები დამარცხდნენ. ბრძოლაში დაიჭრა მამია დადიანი, მოკლეს გურიელის შვილი გიორგი და სხვა აზნაურიშვილნი. მამია გურიელი, მისი სამი ძმა, ეპისკოპოსები და გურიის ლაშქარი დაატყვევეს. აფხაზეთის (დას. საქართველო) კათოლიკოსმა მალაქია აბაშიძემ (1519 – XVI ს. 40-იანი) მოლაპარაკების შედეგად ცოცხლები ტყვეობიდან დაიხსნა, ხოლო მიცვალებულები გამოისყიდა (მესამე ტ. 497; პ. ქ. 221; მც. ქ. 55; 105 ქრ. II, 379). [განსხვავებული ინფორმაცია]: მამია დადიანი ბრძოლაში დაიღუპა, დადიანად დასვეს ლევანი, მამია გურიელი შვილმა როსტომმა გამოისყიდა. ბრძოლა მოხდა 1532 (ვ. ბ. 811). გიორგი (გიორგი III, იმერეთის მეფე 1604-39) გოჭორაულთან (1623) შეებრძოლა ლევან დადიანს (ოდიშის მთავარი 1611-75). ლევანის მხარეს იბრძოდნენ ჯ-ები. მეფე გიორგი დამარცხდა (ვ. ბ. 826). დადიანების მიერ გაცემულ საბუთებზე (შენიშნულობის წიგნი ბიჭვინთისადმი ვამეყ დადიანისა ქ.ს.დ. VI, 671, გაცემული 1660-62) დადიანები ხელს აწერენ: „მფლობელნი ჯ-ისა“. ჯ-თი, რომ ოდიშის მთავრების გავლენის სფეროა, ასევე ჩანს ვამეყ დადიანის საფლავის ქვის წარწერიდან (1384-96, ქრ. II, 199).

ალექსანდრეს (ალექსანდრე V, იმერეთის მეფე 1720-41, 1741-46, 1749-52) ოსმალებმა (1730) ჯ-ზე სალაშქროდ უხმეს. თავდაპირველად მეფე იძულებით დათანხმდა, შემდეგ კი გადაწყვეტილება მიიღო მიეტოვებინა ოსმალები. ლაშქრობის წინა ღამით ჯართან ერთად გამოიპარა (ვ.ბ. 887; ნ.დ. 175). ნურსალ-ბეგის (ხუნძახის ბატონი) წინააღმდეგ ბრძოლაში (1755) ქართველების მხარეს იბრძოდნენ „ჩერქეზები, ჯიქები...“ (პ. ო. 219). აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე ჯ-თა, ალანთა და ჩერქეზთა დახმარებით მოულოდნელად სამეგრელოს შემოესია [კაცია დადიანმა დახმარება სოლომონს (სოლომონ I, იმერეთის მეფე 1752-84) სთხოვა]. სოლომონმა 12 000 კაციანი ლაშქარი დაამარცხა (რუხის ბრძოლა 1779), (ქრ. III. 367). ციხე-ქალაქის (სოხუმი) რუსების მიერ აღების შემდეგ (1810, 10 ივლისი) შერცხვენილი ასლან-ბეგი ჯ-ეთში გაიქცა. იქ ჯ-თა ჯარი „იშოვა“ და რუსების წინააღმდეგ წამოვიდა. მართალია ჯ-ები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ რუსებმა მაინც გაიმარჯვეს (ნ. დ. 211).

ქ. ნადირაძე

ჯიქეთი – იხ. სტ. ჯიქები // ჯიქეთი.

ჯუანშერი ასფურაგნელი – V ს-ის სომეხი ერისთავი. ჯ.ა. იხსენიება: ჯუანშერი „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (ქ.ც. I, 1955).

ვახტანგ გორგასლის (ქართლის

მეფე V ს. II ნახ.) ბიზანტიაში ლაშქრობის დროს გზად მას შეუერთდა ჯ.ა. და ორი სხვა სომეხი ერისთავი, თრდატის (სომხეთის მეფე 287-330) ნათესავები, მიადგნენ კარნუ-ქალაქს (ქ. ერზურუმის (თურქეთი) ძველი ქართული სახელწოდება), გამართეს ბრძოლა, მაგრამ ვერ აიღეს, რადგან სამი მაღალი ზღუდით იყო შემოსაზღვრული. ვახტანგმა დატოვა ქალაქისათვის საბრძოლველად ორი ერისთავი 12000 მხედრით (ჯ. 159-160).

ე. კვაჭანტირაძე

ნალკოიტი – ჯევი იგივე ქვეყანა (ადმინისტრაციული ერთეული) სომხეთში. ნ. იხსენიება: სტეფანე მტბევა-რი, „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“, (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963, გვ. 175).

თ. ქორიძე

ჭაგატი – ჯევი იგივე ქვეყანა სომხეთში. ჭ. იხსენიება: სტეფანე მტბევა-რი, „წამებაჲ წმიდისა მონამისა გობრონისი“ (დ.ქ.ა.ლ.დ., I, 1963, გვ. 175).

თ. ქორიძე

ჰაოსი – სომეხთა ეპონიმი. ჰ. იხსენიება: ლეონტი მროველი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ (ქ.ც. I, 1955), ვახუშტი ბატონიშვილი (ქ.ც. IV, 1973).

თარგამოსის (ქართველთა ეპონიმი) შვილებიდან პირველს ერქვა ჰ.

თარგამოსმა თავისი სამფლობელოს გაყოფისას 3-ს უბოძა ნახევარი (ლ.მ. 4). თარგამოსის შვიდივე შვილი მორჩილებდა 3-ს. ის ებრძოდა ნებროთს (ბიბლიური მამამთავარი, ბაბილონის გოდოლის მშენებლობის ხელმძღვანელი. ლ.მ. მას სპარსელად და ხალხთა პირველ მეფედ მიიჩნევს, რომელსაც მორჩილებდნენ თარგამოსიანები). მან შეკრიბა ყველა თარგამოსიანი, დადგა მასისის მთის (მთები ისტ. სომხეთის ტერიტორიაზე, ამჟამად თურქეთის ტერიტორია) ძირას და დაამარცხა ნებროთი (ლ.მ. 6, 7; ვ.ბ. 14, 47).

ე. კვაჭანტირაძე

ჰუსეინ ყული-ხანი – ბაქოს სახანოს გამგებელი (დაახ. 1792-1806). ჰ. ყ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983); ბაგრატ ბატონიშვილი „ახალი მოთხრობა“ (1941); ნიკო დადიანი „ქართველთ ცხოვრება“ (1962).

1806, თებერვალში რუსეთის გენერალმა ციციანოვმა (პავლე ციციანოვი, 1754-1806, საქართველოს მთავარმართებელი) ბაქოზე გალაშქრება გადანყვიტა. დიდძალი ჯარით ბაქოს ახლოს დაბანაკდა და ჰ. ყ.-ს ქალაქის კლიტეების ჩაბარება მოსთხოვა. ჰ. ყ.-ს ციციანოვის მოკვლა ჰქონდა გადანყვეტილი, ამიტომ მის წინადადებას დასთანხმდა ერთი პირობით: თუ იგი ხანს პირისპირ შეხვდებოდა. ციციანოვს ლალატის შესახებ ერთმა ბაქოელმა სომეხმა აცნობა. მან არ დაუჯერა და ეს სომეხი სას-

ტიკად აცემინა. გენერალი ორი თანმხლები პირით: ელისბარ ერისთავიშვილით და ვინმე ყაზახით, ჰ. ყ.-ს შეხვდა. ხანის ჩასაფრებულმა ჯარისკაცებმა ციციანოვი თოფით მოკლეს, ხოლო ელისბარ ერისთავიშვილს ჰ. ყ.-მ თავი მოჰკვეთა და ირანის შაჰს, ბაბა-ხანს (1797-1834, ტახტზე იჯდა ფათალი-ხანის სახელით) გაუგზავნა. შეშინებული რუსები ყიზლარსა (ქალაქი ჩრ. კავკასიაში) და თბილისში გაიქცნენ (თ.ბ. 72; ბ.ბ. 97, 98). რუსეთის იმპ. ალექსანდრე პავლეს ძემ (1801-25) დიდი მხედრობა გააგზავნა ბაქოს სახანოს დასაპყრობად. შეშინებული ჰ. ყ. გაიპარა, ხოლო ციხე რუსებმა აიღეს (ნ. დ. 197).

ქ. ნადირაძე

ჰუსეინ-ხანი – ერევნის ხანი (ჰუსეინ ყული-ხანი 1808-28). ჰ. ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“.

1810 ჰ. ხ. სპარსეთიდან წამოვიდა 2 000 სპარსი მეომრით, მოვიდა ახალქალაქში (ქალაქი და ციხე ჯავახეთში). ტორმასოვმა (ალექსანდრე ტორმასოვი, 1752-1819. რუსეთის მთავარსარდალი საქართველოში და კავკასიის ხაზზე) მარკიზი პაულიჩი 1000 რუსი და 500 ქართველი ჯარისკაცით გააგზავნა მის წინააღმდეგ. შეტაკების დროს მართალია სპარსელები გაფანტეს, მაგრამ მარკიზის უგუნურების გამო ახალქალაქი ვერ დაიკავეს (თ.ბ. 77, 79).

ქ. ნადირაძე

ჰუსეინ-ხანი – შაქის სახანოს გამგებელი. ჰ.ხ. იხსენიება: თეიმურაზ ბაგრატიონი „ახალი ისტორია“ (1983). ვფიქრობთ, აქ, საუბარი უნდა იყოს შაქის სახანოს დამაარსებლის აჯი-ჩელეების შვილიშვილზე. იგი შაქს განაგებდა დაახ. 1771-83.

ერეკლემ (ერეკლე II, ქართლ-კახეთის მეფე 1762-98), როდესაც ოსმალეთში ელჩად გაუშვა საკუთარი მდივანი გურგინა (1776), თვითონ ახალ-

ქალაქში (ქ. ჯავახეთში) დადგა. ამ დროს ქარელი ლეკები შეესივნენ სოფ. ფხოვს, წაასხეს ტყვეები, რომელთა შორის მოურავის შვილის, პაატას მეუღლეც იყო; იგი ჰ. ხ-მა ცოლად შეირთო. ჰ. ხ-ს ერეკლე დაეხმარა ყუბის ხანის, ფათალის (1758-89) წინააღმდეგ ბრძოლაში და ხანობა შეუნარჩუნა (თ.ბ. 55, 56).

ქ. ნადირაძე

გეოგრაფიულ სახელთა განმარტებები

აპოცი – ძველი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია, ქვემო ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში (ჯავახეთის სამხრეთით). გვიან შუა საუკუნეებში თურქმანული ტომების მოძალების შედეგად ა-ს ყაიყული ეწოდა. ყაიყული ქართლის სამეფოს „მეწინავე სადროშოს“ შემადგენლობაში შედიოდა და მეფის მოურავი განაგებდა. 1801 როდესაც საქართველო რუსეთმა შეიერთა, ყაიყული (აპოცი) საქართველოს გუბერნიის ლორეს მაზრის შემადგენლობაში შევიდა, 1849 როდესაც ერევნის გუბერნია შეიქმნა, მას გადაეცა. დღეს სომხეთის შემადგენლობაშია.

აფხაზეთი – საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის სახელწოდებაა. აფხაზეთი თანამედროვე საზღვრებში მხოლოდ XX ს-ის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ტერიტორია, რომელსაც ქართველები აფხაზეთს უწოდებდნენ, შავი ზღვისპირას ანაკოფიიდან (დღ. ახალი ათონი) მდ. ნიკოფსიის წყლამდე ვრცელდებოდა. XV-XVI სს-ში აფხაზეთს მდ. ბზიფსა და ანაკოფიას შორის ზღვისპირეთი ეჭირა. XVI ს-ის 80-იანი აფხაზეთის ტერიტორია სამხრეთ-აღმოსავლეთით ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს ხარჯზე მდ. კელასურამდე გაიზარდა. XVII ს-ის დასასრულს აფხაზეთმა ოდიშის სამთავროს ხარჯზე სამხრეთ-აღმოსავლეთით ტერიტორია მდ. ენგურამდე გააფართოვეს. მდ. კელასურსა და ლალიძგას შორის მათ ძირძველი ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის გენოციდი და დეპორტაცია მოახდინეს. XVII ს-ის 10-20-იანი ამ დაპყრობილი ტერიტორიის ერთი ნაწილი სამურზაყანოს სახელით სამეგრელოს სამთავროს დაუბრუნდა. 1810 დასავლეთ საქართველოს სხვა ზღვისპირა სამთავროებთან ერთად, აფხაზეთის სამთავრო რუსეთის იმპერიაში ავტონომიის უფლებით შევიდა. 1864 რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და ტერმინი „აფხაზეთი“ პოლიტიკური რუკიდან ამოიღო. „აფხაზეთი“, როგორც ტერმინი, მხოლოდ 1919 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აღადგინა. აფხაზეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანაში (1918-21) ავტონომია მიიღო. 1921 დეკემბერში აფხაზეთი, როგორც სახელშეკრულებო რესპუბლიკა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შევიდა. 1931 მას აფხაზეთის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა ეწოდება. 1992-93 აფხაზეთმა სეპარატისტებმა, რუსეთის ფედერაციის დახმარებით, ძირძველი, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი გამორეკეს და აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. დღეს აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის ჯარების მიერ. ქართულ წყაროებში ძირითადად ტერმინში „აფხაზეთი“ იგულისხმება დასავლეთ საქართველო.

ასალციხის საფაშო (ჩილდირის საფაშო) – ოსმალეთის მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული მის მიერ დაპყრობილი სამცხე-საა-

თაბაგოს ტერიტორიაზე. XVI ს-ის I ნახ. ოსმალებმა დაიპყრეს სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი, 1578 კი აღმოსავლეთ ნაწილი. 1579 სულთნის ბრძანებით სამცხე-საათაბაგოს სხვადასხვა დროს დაპყრობილი ტერიტორიები გააერთიანეს და ერთი ადმინისტრაციულ-სამმართველო ერთეული ა.ს. ჩამოაყალიბეს. ა.ს. მთლიანად არ მოიცავდა სამცხე-საათაბაგოს ყოფილ ტერიტორიებს. მისი ზოგიერთი ნაწილი: ისპირი, თორთუმი, პატარა არტაანი, ნამერავანი სხვა საფაშოებს შეუერთეს. ა.ს-ს ძირითადად ისევ ჯაყელთა საგვარეულო განაგებდა. 1828-29 რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ა.ს-ს ნაწილი (ახალციხე და მისი სანახები) საქართველომ დაიბრუნა. XIX ს. შუა წლებიდან ა.ს. გაუქმდა, ხოლო ოსმალთა მფლობელობაში დარჩენილი ტერიტორიები ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციას შეუერთდა.

ბორჩალო – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში. სახელწოდება მოდის დებედის ხეობაში XVII ს. დასაწყისში ჩასახლებული თურქმანული ტომის ბორჩალუსაგან. 1604 ირანის შაჰმა აბას I-მა (1587-1729) სხვა ტერიტორიებთან ერთად ქართლის სამეფოს დებედის ხეობაც ჩამოაჭრა და ბ-ს სახანო შექმნა. სახანო ირანის აგრესიის დასაყრდენი გახდა ქართლის მეფეთა წინააღმდეგ. XVIII ს. 50-იანი თეიმურაზ II-მ (ქართლის მეფე 1744-62) ბ-ს სახანო თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. 1765 ერეკლე II-მ (ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) სახანო სამოურავოდ აქცია. რუსეთის მიერ ქართლის სამეფოს გაუქმების (1801) შემდეგ, შეიქმნა ბ-ს დინსტინცია, რომელიც თბილისის მაზრაში შევიდა. 1880 თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შეიქმნა ბ-ს მაზრა. ბ-ს მაზრა მოიცავდა ახლანდელი წაღკის, მანგლისის, თეთრიწყაროს, დმანისის, ბოლნისისა და მარნეულის რ-ის ტერიტორიას. ბ-ს მაზრა გაუქმდა 1929.

ბურია – მხარე დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა ქობულეთ-ჩაქვის ქედს, შავ ზღვას, მდ. რიონის ქვემო წელსა და მდ. ჭოროხის შესართავს შორის მდებარე მხარეს. XV ს. მე-2 ნახევარში ჩამოყალიბდა გურიის სამთავრო. სამთავროს გურიელები განაგებდნენ. მათი რეზიდენცია ოზურგეთში იყო. გ. დღეს მოიცავს: ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის რ-ებს.

ღვალეთი – ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში. მისი ტერიტორია მოიცავდა კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს, დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის.

იპრისი – დასავლეთ საქართველოს ქართული სახელწოდება უძველესი დროიდან VIII საუკუნის ჩათვლით. სახელწოდება მოდის დასავლეთ ქართული „ეგრი“ // „ეგური“ ტომის სახელიდან. ეგრისის ასურელები კილხას, ურარტუელები კულხას, ხოლო ძვ. ბერძნები კოლხიდას უწოდებდნენ. II-VIII საუკუნეების ძველ ბერძნულ, ლათინურ და ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში ეგრისი „ლაზიკის“ სახელით მოიხსენიება.

ელისუსის სასულთანო – იხ. კაკი (კახი).

ზემო ქართლი – XVI ს-მდე ეწოდებოდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს – მტკვრის ზემოთსა (ტაშისკარიდან მდ. მტკვრის სათავეებამდე) და ჭოროხის აუზის ზემო წელს. ზ. ქ-ში შედიოდა: სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, კოლა (მტკვრის ზემო წელზე), კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი.

XVI ს-დან ზ. ქ-ი უკვე ეწოდებოდა ძველი შიდა ქართლის ტერიტორიას, კერძოდ მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს. მისი ცენტრი იყო ქ. გორი.

თბილისის საამირო – ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული საქართველოში. შექმნეს არაბმა დამპყრობლებმა დაახ. VIII ს. 30-იანი XI ს. 80-იანი. თ.ს-ს მართავდა მაჰმადიანი ამირა. თ.ს. არაბთა სახალიფოს დიდი პროვინციის ამიერკავკასიის ერთ-ერთი ოლქი იყო. ამირა იურიდიულად ამ პროვინციის გამგებელს მაჰმადიან მოხელეს – ვალის ექვემდებარებოდა. თ.ს. თავდაპირველად მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავდა და მას ქართლის საამიროც ეწოდებოდა. არაბთა წინააღმდეგ ქართული დამოუკიდებელი სამთავროების ბრძოლის შედეგად, საამიროს ფარგლები თანდათან შეიზღუდა, IX-XI სს-ში საამიროს საზღვარი ჩრდ-ით დიღმის ხევის ჩათვლით ვრცელდებოდა, სამხრეთით საამიროს შემადგენლობაში დარჩა ციხეები: ბირთვისი, ორბეთი, ფარცხისი. რუსთავში, დმანისსა და ხუნანში ცალკე ამირები იხსდნენ. IX ს. 80-იანი — XI ს. 80-იანი თბილისის საამირო აღარ ემორჩილებოდა სახალიფოს ცენტრს. თბილისის ამირები იყვნენ: შუაბიანების, შაიბანიანების და ჯაფარიანების საგვარეულოები. ჯაფარიანები ჭრიდნენ მონეტას საკუთარი სახელით.

იმერეთი – მხარე დასავლეთ საქართველოში. გვიანი შუა საუკუნეების ი. მოიცავდა საკუთრივ იმერეთს, ზემოს (ახლ. ზესტაფონის, თერჯოლის, ჭიათურის, საჩხერისა და ხარაგაულის რ-ებს) და ქვემოს („ქუთაისის ქვეყანას“ – ახლ. ბაღდადის, ვანის, წყალტუბოს და ხონის რ-ებს), ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოკრიბას (ახლ. ტყიბულის რ-ნი), რაჭას (ახლ. ონისა და ამბროლაურის რ-ებს), ლეჩხუმს (ახლ. ცაგერის რ-ნი). XV ს-ის დამლევს ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა იმერეთის სამეფო, რომელიც დროდადრო მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა.

კაკი (კახი) – საქართველოს ისტორიული პროვინციის ჰერეთის მნიშვნელოვანი პუნქტი და მხარე, ახლ. აზერბაიჯანის შემადგენლობაშია. მოიცავს კახის რ-ის ტერიტორიას. კ. პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, როდესაც შაჰ-აბას I-მა (ირანის შაჰი 1578-1629) 1604 კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს (1574-1605) ჰერეთის ეს განაპირა თემი ჩამოართვა და წახურელ ლეკებს გადასცა. XVIII ს-ის I მეოთხედში კ-ში ჩამოყალიბდა წახურელ ლეკთა ე.წ. უბატონო თემები.

ასე ჩაეყარა საფუძველი შემდგომი დროის ელისუსის სასულთნოს, რომელიც XIX ს. რუსეთის შემადგენლობაში შევიდა (იხ. საინგილო).

კამბეჩოვანი – აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული მხარე. მოიცავდა ტერიტორიას მდ. ალაზნის ქვემონელსა და მდ. მტკვარს შორის. ცენტრი ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი. XV ს-დან ეწოდა ქიზიყი (იხ. კახეთი).

კახეთი – მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. მდებარეობს მდ. ივრის შიდა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზში. კ-ის მხარეებია: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველესი კ. გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა: მდ. ივრის ზემო წელი – თიანეთსა და უჯარმას შორის. VIII ს. ბოლოს კუხეთი და ჰერეთის ნაწილი (XV ს-დან მთელი ჰერეთი) კ-ს ცენტრი გახდა. კ-ს ცენტრი ჯერ ჩელეთი იყო, IV ს-დან უჯარმა, XI ს-დან თელავი, ხოლო XV-XVI სს-ში გრემი.

კლარჯეთი – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მოიცავდა მდ. ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლ. თურქეთის ტრ.). კ-ში შედიოდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის და სხვა ხევები. უძველესი ცენტრი თუხარისი, შემდეგ ციხე-ქალაქი არტანუჯი.

ლორა (ლორი) – შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი და ისტორიული მხარე ტაშირში, ქვემო ქართლის განაპირა ოლქში (ახლ. სომხეთის ტერიტორია).

მესხეთი – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (ზემო ქართლი) ზოგადი სახელწოდება. მ. ტერიტორიულად მოიცავდა მდ. მტკვრის აუზის ზემო ნაწილს: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, ერუშეთი, კოლა და მდ. ჭოროხის აუზს მთლიანად: აჭარა, კლარჯეთი, შავშეთი, ტაო, სპერი.

ოდიში – ისტორიული მხარე დასავლეთ საქართველოში, გვიანდელი შუა საუკუნეების ხანის სამეგრელოს ძირითადი ნაწილი: ადრეულ საუკუნეებში მოიცავდა მდინარეების – კელასურისა და ტეხურას შორის მდებარე ტერიტორიას. XVIII ს-ის დამდეგიდან ო-ს უწოდებენ მდინარეების – ენგურისა და ტეხურას შორის არსებულ ტერიტორიას.

საინგილო – ფეოდალური ხანის საქართველოს მხარე, ისტორიული კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. ძველი ქართული პროვინციის ჰერეთის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს ახლანდელი აზერბაიჯანის ბელაქნის, ზაქათალასა და კახის რ-ების ტერიტორიას. XI -ის დამდეგს ადმინისტრაციულად მაჭის საე-

რისთავოს ფარგლებშია. XVI-XVII სს-ში ს-ს ტერიტორიაზე დაღესტნიდან ლეკებმა დაიწყეს ჩამოსახლება და ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროვება-განდევნა. XVIII ს-ის I მეოთხედში აქ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარი, ბელაქანი, კატეხი, თალა, მუხახი, ჯინიხი) და ნახურელი (ნახური, ელისუ, სუვაგილი, ყარადულაკი) ლეკების ე.წ. თავისუფალი თემები. ქართულ წერილობით წყაროებში აქ მოსახლე ლეკები იხსენიება, როგორც ჭარელი ლეკები, ჭარელები. ჭარელები მუდმივ დასაყრდენს წარმოადგენდნენ დაღესტნელი ლეკებისთვის მათ მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს პერმანენტული დარბევების დროს (პ.ო). ჭარელები აგრეთვე იბრძოდნენ ფანა-ხანის (ყარაბაღის მფლობელი), აჯი-ჩალაბის (შაქის ხანი), ნურსალ-ბეგის (ხუნძახის მფლობელი) მხარეს ქართლ-კახეთის წინააღმდეგ (პ.ო). ს. შედგებოდა ორი პოლიტიკური ერთეულისგან: ჭარ-ბელაქანი და ელისუს სასულთნო. 1803 ეს ერთეულები რუსეთის შემადგენლობაში შევიდნენ. 1830 რუსებმა გააუქმეს მათი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და შექმნეს ჭარ-ბელაქნის ოლქი, 1840 ბელაქნის მაზრა, რომელიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. 1860-დან უწოდეს ზაქათალას ოკრუგი და დაღესტნის ოლქს დაუქვემდებარეს. რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან (1918-21) 1920, 8 მაისს დადებული ხელშეკრულებით ზაქათალის ოლქი საქართველოს ტერიტორიად აღიარა. 1921-დან ეს ოლქი ბოლშევიკურმა რუსეთმა აზერბაიჯანს გადასცა და დღემდე მის შემადგენლობაშია.

სამშვილდე – იგივე ორბის ციხე, ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი ისტორიულ ქვემო ქართლში, მდ. ქციისა (ხრამი) და ჭივჭივას შესართავში, ახლ. სოფ. სამშვილდის მახლობლად (თეთრინყაროს რ-ნი). ქ. სამშვილდე წარმოადგენდა ამავე სახელწოდების საერისთავოს ცენტრს.

სამცხე – ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში. მოიცავს ახლანდელი ბორჯომის რ-ის ნაწილს, ახალციხის, ასპინძის, ადიგენის რ-ებს და თურქეთის მომიჯნავე ტერიტორიულ ნაწილს (ისტორიულ რეგიონებს: ყველისხევს, ნურწყაბს, ფოცხოვს და ჯაყისწყლის მიმდებარე ტრ. დიდ ნაწილს). ს-ის ისტორიული საზღვრებია: დასავლეთით – არსიანის მთები, ჩრდილოეთით – ფერსადის (ღადოს) მთები, სამხრეთით ერუშეთის მთები, კასრის სერი, გუმბათისა და ვანის მთები, აღმოსავლეთით ჯობისხევი (მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი). უძველესი ცენტრები ოძრხე და აწყური. XI ს-ის მე-2 ნახ. ფლობდა ჯაყელთა საგვარეულო. XVI ს-ის პირველ ნახევარში სამცხესა და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე იქმნება მსხვილი პოლიტიკური ფეოდალური ერთეული სამცხე-საათაბაგო. XVI ს-ის მე-2 ნახ. ს. თანდათან დაიპყრო ოსმალეთმა. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1828-29) შემდეგ საქართველომ სამცხის ერთი ნაწილი დაიბრუნა.

სამცხე-საათაბაგო – ფეოდალური სამთავრო სამხრეთ-დასავლეთ სა-

ქართველოში. XIV ს-ის I ნახ-დან XVII ს-ის 20-იან წ-მდე. წარმოიქმნა სამცხის სამთავროს გაზრდის და გაფართოების საფუძველზე. ს.ს-ს გამგებლებს მინიჭებული ჰქონდათ სპასალარობაც. მონღოლებმა საქართველოს დაპყრობისა (XIII ს.) და დუმნებად დაყოფის შემდეგ ეს მხარე ერთ დუმანში მოაქციეს და ჯაყელთა გვარის ძველ ერისთავებს დაუმორჩილეს. 1266 ს.ს-ს სამთავრომ საქართველოს მეფისგან შეუვალობა მოიპოვა და ყაენის სახასო მამულად „ხასინჯუდ“ იქცა. XIII ს-ის 80-იანი ს.ს-ს სამთავროს ფარგლებში შედიოდა: ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, კარნიფორი, აჭარა, „კარული ქვეყანა“ (ყარსის რეგიონი) და სვერი. სამთავროს საზღვრები ტაშისკარიდან არზრუმამდე და შავ ზღვამდე ვრცელდებოდა. ძირითადი რეზიდენცია – ახალციხე იყო. მეფე გიორგი V-მ (1318-46) ისევ საქართველოს სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. XV ს-ში ჯავახეთის შეერთების შემდეგ ს.ს-მ მთელი მესხეთის ტერიტორია მოიცვა. ტერმინმა „ათაბაგი“ შინაარსი იცვალა. იგი ამ რეგიონის თავადი გახდა, ს.ს. კი მთელი მესხეთის სინონიმი. XVI ს-დან იწყება ბრძოლა ირანსა და ოსმალეთს შორის ზოგადად საქართველოსთვის და კერძოდ სამცხისთვის. 1555 ქ. ამასიაში დადებული ზავით მათ ს.ს. შუაზე გაიყვეს. მისი დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (მდ. ჭოროხის აუზი) ოსმალეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი სამცხე-ჯავახეთი, არტაანი (მდ. მტკვრის აუზი) ირანს. 1578 დაიწყო ირან-ოსმალეთის მეორე ომი. ჩილდირთან ბრძოლაში ირანი დამარცხდა. ს.ს-ს ტერიტორიაზე ოსმალებმა ახალციხის საფაშო შექმნეს. გამაჰმადიანებულ მანუჩარ ჯაყელს ფაშობა უბოძეს. 1625 ს.ს-მ, როგორც პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. ოსმალებმა დაპყრობილი მხარე აღწერეს, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი შეადგინეს. ახალციხის საფაშო სანჯაყებად (სადროშო) დაყვეს. ს.ს. საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედს შეადგენდა.

სვანეთი – უძველესი დროიდან სვანეთს მდინარეების ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის ზემო წელი ეჭირა. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში სვანეთი საერისთავოს წარმოადგენდა, რომელიც თავდაპირველად ეგრისის, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. დღეს სვანეთი სამ ნაწილად იყოფა: ცხენისწყლის ხეობის სვანეთს – ქვემო, ენგურის ხეობის სვანეთს – ზემო სვანეთი, ხოლო კოდორის ხეობის სვანეთს – დალი ეწოდება.

ტაო – ისტორიული მხარე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდ. ჭოროხის შუა დინების აუზში (ახლ. თურქეთის ტრ.). პირველად მოხსენიებულია ძვ.წ. 1112 წ. ასურეთის მეფის ტიგლათფილისერ I-ის წარწერაში „დაიაენის“ სახელით, ხოლო ურარტულ წყაროებში „დაიუხის“ სახელით. ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგს ტ. კოლხეთის სამეფოში შედიოდა, ხოლო ქართლის სამეფოს წარმოქმნის (ძვ.წ. IV-III სს.) შემდეგ მისი შემადგენელი ნაწილი იყო. ძვ.წ. II ს-ის დამდეგს სომხეთის სახელმწიფო დაეუფლა. ახ.წ. I-II სს-ში ტ. კვლავ ქართლის შემადგენლობაშია. IV-VII

სს. სომხეთის გავლენის სფეროა. VII ს-დან ისევ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია. VIII-X სს-ში ტ. საქართველოს სანაპირო საერისთავო იყო. XIII ს-ის მეორე ნახევრიდან სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შედიოდა. XIV ს-დან ისევ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაშია. XV ს-ის II ნახ. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ტ. სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაშია. XVI ს-ის 50-იანი ტ. ოსმალებმა დაიპყრეს.

ტაშირი – შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს მხარე, ქვემო ქართლის განაპირა ოლქი (ახლ. სომხეთის ტერიტორია), მოიცავდა მდ. დებედის მარცხენა შენაკადის – ტაშირისწყლის ხეობას. შემოსაზღვრული იყო ლოქის, ლელვარის, ყარაღაჯისა და ბამბაკის მთებით.

ქართლი – აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური მხარე. ეთნიკურ-გეოგრაფიულად იყოფა ორ ნაწილად: „ზენა სოფელი“, რომელსაც შეესატყვისება გვიანდელი ხანის შიდა ქართლი. მეცნიერთა აზრით უნდა არსებულებოდა „ქვედა სოფელი“ (შეესატყვისება გვიანდელ ქვემო ქართლს). მოგვიანებით გაჩნდა ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „ზემო ქართლი“ (იხ. ცალკე: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ზემო ქართლი). ქ-ს ამავე დროს აქვს ფართო პოლიტიკური მნიშვნელობა. საისტორიო წყაროებში ამ გაგებითაა მოხსენიებული ტერიტორია ჰერეთ-ბერდუჯიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთამდე.

ქვემო ქართლი – ქართლის ერთი ნაწილი. შემოსაზღვრული იყო თრიალეთის, ჯავახეთისა და ბამბაკ-ერევნის ქედებით. მდებარეობს მდ. მტკვრის დინების ქვემო-მარჯვენა მხარეს. ადრინდელ ფეოდალურ ხანაში ქ.ქ-ს ქართლის პიტიახში განაგებდა. VII-XI სს-ში ქ.ქ-ის ტერიტორიაზე შეიქმნა თბილისის საამირო, კლდეკარის საერისთავო და ტაშირ-ძორაგეტის სამეფო. XII-XIII სს-ში ქ.ქ-ის ტერიტორიაზე გაგისა და ლორეს სანაპირო საერისთავოები არსებობდა. მონღოლთა ლაშქრობების შედეგად, რადგან საქართველომ დაკარგა ხუნანის საერისთავო (მდ. ჰასანსუსა და ძეგამჩაის შორის. ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორია), სახელმწიფო საზღვარმა მდ. ძეგამიდან (ამჟამად აზერბაიჯანშია) ქცია-მტკვრის შესაყარზე გადაინაცვლა. XV ს-დან ქ.ქ-ში ჩამოსახლება დაიწყო თურქმანულმა ტომებმა (ელეებმა). XVIII ს-ში შაჰ-აბას I-მა (ირანის შაჰმა 1578-1629) დებედას ხეობაში ბორჩალუს ტომები ჩამოსახლა. ამავე დროს დაარსა ლორეს სახანო. XVIII ს-ში დაიწყო ლეკთა შემოსევები. შემდგომ ხანებში აქ გაჩნდნენ თურქულენოვანი, სომეხი და სხვა მოახალშენეები. დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ქ.ქ. მოიცავს: ბოლნისის, დმანისის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს რ-სა და მომიჯნავე ტერიტორიებს.

ყაზახი – ისტორიული მხარე ქვემო ქართლში, მდ. აღსთაფის ქვემო წელზე

(ახლ. აზერბაიჯანში). XII-XIII სს. ყაზახი გაგისა და ლორეს საერისთავოებს ეკუთვნოდა. XV ს-ის მე-2 ნახ. ყაზახის მხარეში თურქმან ტომთა დასახლება დაიწყო. 1478 უზუნ-ჰასანის (აყ-ყოინლუს თურქმანთა სახელმწ. გამგებელი 1453-78) მიერ ქართლის აოხრების შემდეგ ყ-ში გაჩნდა ე.წ. „თათრის ელები“. შემდეგშიც მტკვრისპირა დაბლობზე თურქმანთა ახალი ნაკადი პერმანენტულად სახლდებოდა. XVI ს-ის შუა ხანებში ირანის შაჰმა თამაზ I-მა (1524-76) აქ სახანო დაარსა. გვიან შუა საუკუნეებში ყ-ს სახანო დროდადრო ქართლის მეფეებს ექვემდებარებოდა. XVIII ს. 60-იანი ერეკლე II-მ (ქართლ-კახეთის მეფე 1762-98) სახანო გააუქმა და ყ-ს მეფის მოურავები განაგებდნენ.

შიდა ქართლი – ქართლის ერთი ნაწილი. ადრინდელი სახელი „ზენა სოფელი“. მოიცავდა ტერიტორიას აღმოსავლეთით – მდ. არაგვსა და თბილისამდე, ჩრდილოეთით – კავკასიონის ცენტრალურ ქედამდე, დასავლეთით – ლიხის ანუ სურამის ქედამდე, სამხრეთით – ფარავნის ტბამდე. მდ. მტკვრის სამხრეთით მდებარე ნაწილს – გაღმამხარი ერქვა. საქართველოს ახლანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შიდა ქართლი მოიცავს: გორის, დუშეთის, კასპის, მცხეთის, ქარელისა და ხაშურის რ-ის ტერიტორიებს. ისტორიულად „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ (შეიქმნა 1922, 20 აპრილს) ტერიტორია შიდა ქართლის შემადგენელი ნაწილია.

ჭარ-ბელაქანი – იხ. საინგილო.

ჯაჰანქანი – სამხრეთ საქართველოს (ზემო ქართლის) მხარე. ძირითადად მოიცავს ახლანდელი ასპინძის რ-ნის ნაწილს, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რ-ების ტერიტორიას. ისტორიულად დასავლეთით საზღვრავდა მდ. მტკვარი; ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით შავშეთის, სამსარისა და ნიალისყურის მთები. XI ს-დან ზემო ჯ-ის ცენტრი იყო ახალქალაქი, ხოლო X ს-დან ქვემო ჯ-ის ცენტრი იყო თმოგვი.

პერეთი – ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოში. საისტორიო წყაროების მიხედვით საკუთრივ პ. ეთნიკურ-ისტორიული მნიშვნელობით მოიცავდა გვიანდელი ხანის შიგნიკახეთის (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო), გაღმამხარის (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო) და ახლანდელი საინგილოს ტერიტორიას. პ. წყაროებში პირველად V ს-ში იხსენიება. XV ს-დან ტერმინი პ. ქრება და მას ენაცვლება ტერმინი „კახეთი“.

შემდგენელი ქ. ნადირაძე

ლექსიკონი

აზნაური – 1. V-XII სს-ის საქართველოში ფეოდალი; 2. XIII-XVIII სს. ფეოდალთა კლასის დაბალი ფენა.

ათაბაგი (თურქ. ათა-მამა) – თავდაპირველად მემკვიდრის, უფლისწულის აღმზრდელი. სამეფო კარის ვაზირი. შემდეგ საფეოდალოს ან სავასალოს მმართველი.

ამილანორი, ამირანორი, ამილანხარი – ამირსპასალარის უპირველესი მოხელე. დიდი უფლება-მოვალეობების პატრონი. არაბული სიტყვაა და „საჯინიბოს უფროსს“ ნიშნავს. შემდეგ გახდა გვარი.

ამირა (არაბ. მბრძანებელი, მეთაური, მმართველი) – ეს სამოხელეო ტიტული თბილისის არაბული საამიროს დროინდელი ნაშთი უნდა იყოს. მიაჩნიათ, რომ ეს თანამდებობა ქალაქის უფროსობას ნიშნავს. საქართველოში, თბილისში ა-ს ხელისუფლების გადავარდნის შემდეგაც, ა-ს თანამდებობის პირები ისევ არსებობდნენ.

ამირსპასალარი (არაბ. ამირ-უფროსი და სპარს. შეფაჰ-სალარი – სარდალი) – სამეფო ჯარების, სპის ხელმძღვანელი, სამხედრო მინისტრი, ვაზირთა საბჭოს წევრი, ვეზირი.

ალაპი – მიცვალებულის სულის მოსახსენებლად დანესებული ნირვა, „სიყვარულის ტრაპეზი“, განკუთვნილი სამონასტრო კრებულისთვის. ალაპი წესდებოდა პირისთვის, რომელსაც განსაკუთრებული ან გარკვეული დამსახურება მიუძღოდა მონასტრისადმი.

აბგლარაგები (თურქ. ბეგთა-ბეგი) – საქვეყნოდ გამრიგე დიდი მოხელე ირანში. მის ხელში იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლება.

დარბაზი – სამეფო ხელისუფლებასთან არსებული შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი ორგანო. დ-ის მუდმივი წევრები იყვნენ ვაზირები. იკრიბებოდნენ დრო და დრო საქვეყნო საქმეების გადასაჭრელად.

დედამძუძე – გამზრდელი ქალი.

დიდეგული // დიდეგულეზი – ფეოდალთა წრე საქართველოში, რომელთაც მეფისგან დიდი მოხელეობა, თანამდებობა ჰქონდათ მინიჭებული. ტერმინი დ. მოდის სიტყვა დიდებისგან, რაც ადრე თანამდებობაზე დამოკიდებულ პატივს ნიშნავდა. იგი დიდი ხელისუფლებით აღჭურვილი პირი იყო.

დრაჰმანი – ოქროს მონეტის საერთო სახელწოდება.

დრაჰმა – დრამა, ვერცხლის მონეტა. არაბ. „დირხემი“.

დუშანი – სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული XIII-XV სს-ში მონღოლეთსა და მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში. XIII ს. 40-იან წწ. მონღოლებმა საქართველო დუშნებად დაჰყვეს და მათ სათავეში ქართველი ერისთავები დააყენეს: ეგრასლან ბაკურციხელი (კახეთ-ჰერეთი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემე-

ბი), ვარამ გაგელი (ქვემო ქართლი და მის აღმოსავლეთით მდებარე თემები), შან-
შე მხარგრძელი (სამხრეთის თემები), გრიგოლ სურამელი (შიდა ქართლი), გამ-
რეკელ-თორელი (ჯავახეთი), ყვარყვარე ჯაყელი (მესხეთი), ცოტნე დადიანი და
რაჭის ერისთავი (დასავლეთ საქართველო).

ელი – თურქული წარ. ხალხი, ტომი; მომთაბარე ტომი.

ელიაღასი (თურქ.) – ელის მეთაური.

ერისთავი – ადგილობრივი მმართველი, ადმინისტრაციული ერთეულის,
მხარის გამგებელი. მას გააჩნდა აღმასრულებელი სასამართლო და ფისკალური
ფუნქციები. იგი სარდლობდა საერისთავოდან გამოსულ ჯარს. თავდაპირველად
ეს იყო თანამდებობა, რომელსაც ნიშნავდა მეფე. თანდათანობით გახდა მემკვიდ-
რეობითი.

ერისთავარი – ერისთავთა მთავარი, VI-VIII საუკუნეებში ქართლის სა-
მეფოს მეთაურის ტიტული ქართული წყაროების მიხედვით. ე-ს მეფისგან გან-
სხვავებით შეუზღუდავი ძალაუფლება არ გააჩნდა. მას არ შეეძლო ქვეშევრდომი
ერისთავების გადაყენება. ე. ფაქტობრივად იყო პირველი თანასწორთა შორის.

ეპიკალაპში (თურქ.) – ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელი
ხელმწიფის კარზე.

ვაზირი // ვეზირი – მინისტრი. ქართულ სინამდვილეში მინისტრთა საზო-
გადო სახელი. მაგ. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით ვ-ები ორ ჯგუფად
იყო დაყოფილი: „სამთა ვაზირთა“ (ამირსპასალარი, ათაბაგი, მანდატურთუხუ-
ცესი) და „ორთა ვაზირთა“ (მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი) ჯგუფი.

ვასალი – შუა საუკუნეების მემამულე ფეოდალი, რომელიც დამოკიდებუ-
ლი იყო უფრო დიდ ფეოდალზე, სიუზერენზე. ვასალი სიუზერენისგან იღებდა
ფეოდს, რისთვისაც იხდიდა გარკვეულ გადასახადს.

ვექილი (არაბ.) – რწმუნებული, ცენტრალური ხელისუფლების წარმომად-
გენელი ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ვილაიეთი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთის იმ-
პერიაში. იმპერიის ტერიტორია იყოფოდა ვილაიეთებად.

თავალი – ფეოდალური კლასის ზედაფენის წარმომადგენელი XV-XVIII სს-
ის საქართველოში. თ. დიდებულის სოციალური მემკვიდრეა.

თარხანი (თურქ.) – თავისუფალი, ხელშეუვალი, გადასახადებისგან თავი-
სუფალი.

ილხანი (თურქ. ხალხის მბრძანებელი) – ჰულაგუიანთა დინასტიის (1256-
1335) მონღოლი ხანების ტიტული ირანში. ილხანებს ემორჩილებოდა საქართველო.

კურაპალატი – ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული.

მანდატურთუხუცესი – მოხელე ხელმწიფის კარზე. საპოლიციო უწყების
ხელმძღვანელი ფეოდალურ საქართველოში. XVII ს-ში იგი ეპიკალაპშის თანამ-
დებობით შეიცვალა.

მარზპანი – სასანური პერიოდის ირანის მოხელე, ინიშნებოდა დაპყრობილი ქვეყნის მმართველად. მ. ქართლში მეფობის არსებობის დროსაც იყო, მაგრამ იგი განიხილებოდა ირანის შაჰის წარმომადგენლად ქართველთა მეფის წინაშე. ქართლში ირანის მიერ მეფობის გაუქმების პერიოდში (VI ს. 40-80-იანი წწ.) მ-ის ხელში გადავიდა ქვეყნის მართვა-გამგეობის ყველა სფერო.

მღივნახები – მოსამართლე, მსაჯულთუხუცესი.

მელიქი (არაბ.) – სოფლის ან ქალაქის მმართველი, რომელიც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სასოფლო თემთან ან ვაჭარ-მოქალაქეთა ორგანიზაციასთან, საქართველოში ჩნდება XVI ს. 70-იან წლებში.

მეხანდარი – სტუმრების მიმღები მოხელე.

მთავარი – ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელი, რომელიც ფლობდა ძალაუფლებას.

მოურავი – სამეურნეო-ადმინისტრაციული მოხელე ფეოდალურ საქართველოში. მ. წყაროებში იხსენიება XI-XII სს-იდან. ის მართავდა მეფის, ეკლესიის, დიდებულისა და თავადის მამულებს. ერთიანი მონარქიის არსებობის ხანაში ქალაქებს ამირა განაგებდა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ქალაქს მ. მართავდა. სამეფო ქალაქის, თბილისის მ-ს მეფე ინიშნავდა.

მსახურთუხუცესი – სამეფო კარის ვაზირი, დიდი ხელისუფალი. მას რამდენიმე დაწესებულება ექვემდებარებოდა: სალარო, საწოლი, მეფის კერძო მეურნეობა და სხვადასხვა საფარეშო.

მტკაველი – სიგრძის საზომი ერთეული ფეოდალური ხანის საქართველოში. დაახლოებით 222 მმ.

ნაიბი (არაბ. ნაიბ.) – მოადგილე, ნაცვალი, დამხმარე.

ნასალჩიხაზი – ფიზიკური სასჯელის („ნასალი“) შემსრულებელთა უფროსი.

ნონი – მონღ. „ნუნ“ ბატონი, თავადი. მონღოლური არისტოკრატიული გვარის წინამძღოლი XI-XII სს-ში, მოგვიანებით, დიდებულების წარმომადგენელი.

ოქროს ურდო (ჯუჩის ულუსი – გვაროვნულ-თემური გაერთიანება ყაენის მეთაურობით თურანულ-მონღოლ ხალხებში) – მონღოლთა ფეოდალური სახელმწიფო, რომელიც დაარსდა ქვემო ვოლგაზე XIII ს. 40-იან წლებში ბათო-ყაენის (1227-55) მიერ 1243 წ.

პიტიახში – სასანური სპარსეთის სამეფოში უმაღლესი მაგისტრატურა, დიდმოხელე სამეფო კარზე. ეწოდებოდა დაპყრობილი ქვეყნის გამგებელს. სამეცნიერო ლიტ. მიღებულია, რომ ქართულ წყაროებში პიტიახში იხსენიება ტერმინით „ერისთავი“.

რაჟაში (არაბ.) – მეფის ბრძანება, ბეჭედდასმული საბუთი, სიგელი.

სადროშო – სამხედრო-ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. ს-დან გამოყვანილი ჯარი ბრძოლის დროს ერთ სამ-

ხედრო-ტაქტიკურ შენაერთს ქმნიდა, რომელსაც ასევე ს. ეწოდებოდა და ერთ სარდალს ექვემდებარებოდა.

საერისთავო – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში. პირველად ქვეყანა საერისთავოებად დაყო ქართლის მეფე ფარნავაზმა (ძვ.წ. IV-III სს. I ნახ.).

სათავადო – მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობისა და ფეოდალთა იერარქიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის გარკვეული ფორმა XV-XVIII სს. საქართველოში.

სარანგი – სელჩუკთა სარდალი.

სარასპირი (სპარს. სეფაჰ-სალარი) – მთავარსარდალი, მხედართმთავარი.

სარდარი – 1. ირანში წარჩინებული, ტომის ბელადი; 2. მეფისნაცვალი.

სარქადარი (სპარს.) – სამეურნეო საქმეების უწყების გამგე.

სახლთუხუცესი – ფეოდალურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც სამეფოში, სამთავროებსა და სათავადოებში სამეურნეო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს განაგებდა. საკუთარი ს. ჰყავდათ კათოლიკოსს და დედოფალს.

სპასპეტი – ამირსპასალარის ერთ-ერთი მოხელე, სამეფო ჯარების ერთ-ერთი სარდალი. გვიან ფეოდალურ ხანაში მთავარსარდალი, მხედართმთავარი.

სულთანი (არაბ. თურქ.) – მონარქი, მუსულმანი საერო მმართველის წოდება ზოგიერთ მუსლიმურ ქვეყანაში. მაგ. ოსმანთა იმპერიაში.

ურდო – შუა საუკუნეებში სახელმწიფოს მმართველის (ყაენის) სადგომი, ბანაკი; ტომთა კავშირი ან სახელმწიფო. მაგალითად: ოქროს ურდო.

ფაშა – წოდება, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში ენიჭებოდათ სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის უმაღლესი თანამდებობის პირებს. არსებობდა ფაშის სამი ხარისხი. ხარისხის განმასხვავებელი ნიშანი თულების (ძალაუფლების ნიშანი კვერთხი) რაოდენობა იყო.

ქათხუდა (სპარს.) – მამასახლისი, სოფლის მამასახლისი, ხელოსანთა გაერთიანების ხელმძღვანელი, უზნის უფროსი.

ყადი (თურქ. კადი) – მუსლიმთა მოსამართლე, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებდა შარიათის (ისლამის რელიგიური კანონი) საფუძველზე.

ყაენი – სახელმწიფოს მმართველი.

ყიზილბაში – თურქულად წითელთავა. ოსმალთა სულთანებთან მტრობის გამო მცირე აზიიდან სამხრეთ აზერბაიჯანსა და ირანში გადმოსახლებული თურქულ მომთაბარე ტომთა საერთო სახელწოდება (XV ს. მე-2 ნახ.).

ყული (თურქ.) – მონა, შაჰის გვარდიის (ყულის ჯარი) ჯარისკაცი.

შამხალი – დაღესტნის მსხვილი ფეოდალი.

შეუვალოზა – იმუნიტეტი.

ჩაფარი (თურქ.) – მაცნე, შიკრიკი, კურიერი.

ჭყონდიდელ-მნიგნობართუხუცესი – პირველი ვაზირი ფეოდალურ საქართველოში. შეიქმნა საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ინიციატივით. გაერთიანდა საერო და სასულიერო თანამდებობა და ამ თანამდებობას იკავებდა სასულიერო პირი. ჭყონდიდის კათედრის მეთაურს ნიშნავდნენ მნიგნობართუხუცესის თანამდებობაზე. მწ-ი იყო სამეფო კარის სამდივნოს მეთაური.

ხაკანი – ხაზართა სახელმწიფოს მეთაურის (მეფის) ტიტული.

ხარაჯა – იხ. ხარკი.

ხარკი – დაპყრობილ ხალხებზე დადებული გადასახადი. ხ-ს „ხარაჯას“ ეძახდნენ. საქართველოში თითო კომლზე ერთი დინარი.

ხარჩი (სპარს. თურქ.) – მოხელე, რომელიც ხალხს ხმამაღალი ყვირილით აუწყებს მთავრობის განკარგულებებს.

ხევისპარი – საქვეყნოდ გამრიგე მოხელე, ხევის უფროსი.

ხორეზმე – ხორეზმის მმართველის წოდება 951 წ-დან მონღოლების გაბატონებამდე 1220 წ-მდე. შუა საუკუნეებში არსებობდა ისტორიული ოლქი ხვარაზმი, რომლის მმართველი იყო საქართველოს ისტორიისთვის ცნობილი ჯალალედინი.

ჯანიშინი (სპარს.) – მოადგილე, შემცველი, შაჰის (მეფის) ნაცვალი.

შემდგენელი ქ. ნადირაძე

შემოკლებანი

ნახეჭდი წყაროების, დოკუმენტების შემოკლებული სახელწოდებანი

ა.ს. – არსენ საფარელი

აბუსერიძე ტ. – აბუსერიძე ტბელი

ბ.ბ. – ბაგრატი ბატონიშვილი

ბ.ე. – ბერი ეგნატაშვილი

ბ. ეზ. – ბასილი ეზოსმოძღვარი

დ.ბ. – დავით ბატონიშვილი

დ.ი. – ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი

ვ.ბ. – ვახუშტი ბატონიშვილი

თ.ბ. – თეიმურაზ ბაგრატიონი

ი. – ა. – ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

ი.ბ. – იესე ბარათაშვილი

ლ.გ.მ. – ლაშა-გიორგის დროინდელი მათიანე

ლ.მ. – ლეონტი მროველი

მეორე ტ. – მეორე ტექსტი

მესამე ტ. – მესამე ტექსტი

მესხური მ. – მესხური მათიანე

მ.ქ. – მათიანე ქართლისაჲ

მოქ.ქ. – მოქცევაჲ ქართლისაჲ

მც.ქ. – მცირე ქრონიკები

ნ.დ. – ნიკო დადიანი

ო.ხ. – ომან ხერხეულიძე

პ.ა.ლ. – პირთა ანოტირებული ლექსიკონი

პ.ო. – პაპუნა ორბელიანი

ჟ. – ჟამთააღმწერელი

ს.დ. – სუმბატ დავითის ძე

ს.ჩ. – სენნია ჩხეიძე

სიტ. – საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში

ფ.გ. – ფარსადან გორგიჯანიძე

ქრ. – ქრონიკები

ქ.ი.ს.კ. – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი

ქ.ს.ძ. – ქართული სამართლის ძეგლები

ქ.ც. – ქართლის ცხოვრება

ძ.ქ.ა.ლ.ძ. – ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები

ჯ. – ჯუანშერი

ჰაბოს წამება – მარტვილობაჲ ჰაბო ტფილელისაჲ

Г.Д.И.Н.А. – Грузинские документы института народов Азии

Г.Д. Г. – Грузинские дворянские грамоты

ქირითად შემოკლებათა სია

- არაბ. – არაბული
- ალმ. – აღმოსავლეთი
- ახლ. – ახლანდელი
- გ. – გარდაცვალება
- დაახ. – დაახლოებით
- დას. – დასავლეთი
- დოკ. – დოკუმენტი
- დღ. – დღევანდელი
- თურქ. – თურქული
- იმპ. – იმპერატორი
- ისტ. – ისტორიული
- მდ. – მდინარე
- მნიშვნ. – მნიშვნელოვანი
- მონღ. – მონღოლური
- რესპ. – რესპუბლიკა
- რ-ნი – რაიონი
- სამხრ. – სამხრეთი
- სამხრ. დას. – სამხრეთ-დასავლეთი
- სოფ. – სოფელი
- სპარს. – სპარსული
- სტ. – სტატია
- ტრ. – ტერიტორია
- ჩრდ. – ჩრდილოეთი
- ჩრდ. ალმ. – ჩრდილო-აღმოსავლეთი

ბიბლიოგრაფია

1. აბულაძე ილ., ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, გამოკვლევა და ტექსტები, თბ., 1944;
2. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
3. ანჩაბაძე გ., ეთნონიმ „ხაზარის“ მნიშვნელობისათვის „ქართლის ცხოვრებაში“, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, თბ., 1993;
4. არეველცი ვარდან, მსოფლიო ისტორია (ძველი სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ; შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ე. კვაჭანტირაძემ), თბ., 2004;
5. ბერაძე თ., სანაძე მ., საქართველოს ისტორია, ნ. I, (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები), თბ., 2000;
6. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982;
7. გოილაძე ვ., ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია, თბ., 1990;
8. გოილაძე ვ., ჰუნ-თურქები საქართველოში, თბ., 2008;
9. დრასხანაკერტელი იოანე, სომხეთის ისტორია; სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევით და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1965;
10. თბილისი, ენციკლოპედია, თბ., 2002;
11. ინაძე მ., ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, „მაცნე“ (ისტორიის სერია), 1992, №2;
12. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, რედ. გ. ბერაძე, თბ., 1999;
13. კალანკატუაცი მოვსეს, აღვანთა ქვეყნის ისტორია; ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა, თბ., 1985;
14. კაციტაძე დ., ირანის ისტორია, თბ., 2000;
15. კეკელიძე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, თბ., 1936;
16. კუცია კ., აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI-XVII სს., თბ., 1965;
17. ლოლაშვილი ივ., „დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება“, თბ., 1971;
18. მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002;
19. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, რედ. ვ. გაბაშვილი, თბ.; 1957;
20. ორბელიანი სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991; ტ. II, თბ., 1993;
21. სანაძე მ., „ქართლის ცხოვრება“ და საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი (ქართლოსიდან მირიანამდე), თბ., 2001;
22. სანაძე მ., ბერაძე თ., კავკასიის უძველესი პოლიტიკურ-გეოგრაფიული აღწერილობა და მისი შედგენის დრო, მესხეთი, III, თბილისი — ახალციხე, 1999;
23. საფარელი არსენი, განყოფისთმს ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ, თბ., 1980;
24. საქართველოს ისტორია ტოპონიმიში, რედ. დ. მუსხელიშვილი, თბ., 2008;
25. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I-IV, თბ., 1970-1973;
26. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000;

27. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რედ. ე. გაბიაშვილი, თბ., 2007;
28. საქართველოს მეფეები, რედაქტორები: მ. ლორთქიფანიძე, რ. მეტრეველი, თბ., 2000;
29. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი, რედ. ი. აფხაზავა, ი. გიგინეიშვილი, ა. კობახიძე, დ. უკლება, მ. ჭაბაშვილი, თბ., 1987;
30. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია, თბ., 1999;
31. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი ს. თეზელაშვილი, თბ., 2007;
32. „ქართლის მოქცევა“, გამოკვლევა, მიმოხილვა და კომენტარები დაურთო ვ. გოილაძემ, თბ., 2009;
33. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი შეადგინეს, კომენტარები და ლექსიკონი დაურთეს მ. სანაძემ, ნ. შოშიაშვილმა, ტ. I, თბ., 1994, ტ. II, თბ., 1998;
34. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთავარი რედ. ი. აბაშიძე, ტ. I-XI, თბ., 1975-1987;
35. შენგელია ნ., მცირე აზიის სელჩუკები და საქართველო, თბ., 2003;
36. ცინცაძე მ., საქართველო-ადიღეის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982;
37. ჯავახიშვილი ივანე, ენციკლოპედიური ლექსიკონი, მთავარი რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2002;
38. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I-XII, თბ., 1977-98;
39. ჯავახიშვილი ივ., ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, თბ., 1935;
40. ჯანაშია ნ., არსენი საფარელის ერთი ადგილის გაგებისათვის, კრ: ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976;
41. Ашурбеили С. Х., Государство Ширваншахов, Б., 2006;
42. Абазини, Историко-этнографический очерк, под ред. Л. И. Лаврова, Ч., 1989;
43. Буниатов З., Грузия и Ширван в первой половине 12 века, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966;
44. Еремян С., Общество судеб и культурно-политическое сотрудничество народов Закавказья в 9-12 вв. – Кавказ и Византия, 1, Ереван, 1979;
45. История Азербайджана, ред. С. Алиярлы, Б., 2009;
46. История древнего Рима, под ред. В. Кузищина, М., 1981;
47. История Ирана, под ред. М. Иванова, М., 1977;
48. История Кабарды (с древнейших времён до наших дней), М., 1988;
49. История народов Северного Кавказа с древнейших времён до конца XVIII в., ответственный ред. акад. Б. Пиотровский, М., 1988;
50. Мальбахов Б., Эльмесов А., Средневековая Кабарда, Н., 1994;
51. Минорский В. Ф., История Ширвана и Дербенда, М., 1963;
52. Ночмов Ш., История Адыгейского народа, ред. Т.Х. Кумикова, Н., 1994;
53. Рыжов К. В., Все монархи мира: Древний Восток, Справочник, М., Вече, 2006;
54. Хачикян А., История Армении, Ереван, 2009.

ABAZUKI AND BAZUKI – Kings of Ossetians (rulers). (Approximately turn of the 1st and 2nd centuries B.C.). A. and B. were mentioned in: Leonti Mroveli “Life of Georgian Kings” (K. Ts. IV, 1955); Vakhushti Batonishvili “Description of Kingdom of Georgia” (K. Ts. IV, 1973).

Kings of Kartli, Azork and Armazeli * (turn of the 2nd and 1st centuries B.C.) decided to strengthen the borders of Kartli and regain the lands taken over (by the Armenians). At that time, Sumbat Bivritiani (tutor of Artashan, Prince of Armenians and Spaspet) killed Iarvand, King of Armenia (dynasty of Iarvands is implied) and enthroned Artashan, his brother. Georgian Kings took advantage of this situation and called the Ossetians, Lezghins, Jiks and Didos to attack Armenia jointly. The Ossetian Kings, giant brothers – A. and B. entered Armenia with the army and ravaged: Shirakuan, Vanand (currently in Turkey), up to Bagrevan (currently in Turkey) and Basiani (historical territory of Georgia, currently in Turkey), also Dasht (valley) up to Nakhchevan. They gained numerous spoils and took the captives (L. M. 45). Sumbat Bivritian mobilized the army of Armenians and they chased the enemies. At that time the allies have already crossed Kura River, arrived to Kambechovani (Kakheti) and encamped on the bank of Iori River. They were distributing the war spoils. Sumbat sent the messenger to them and asked to return the captives only. The allies decided to fight with him. At first the duel was arranged between Sumbat and B. Sumbat killed B. with the lance. Then A. fought with Sumbat and he was killed as well. The allies, lead by Georgian Kings, fought with the Armenian army to revenge

for the brothers and the Armenians gained victory (L.M. 45-46, V. B. 64-65).

* According to Leonti Mroveli, Aderki, the King of Georgians (approximately 1st half of the 2nd century B.C.) divided the Kingdom of Kartli into two parts and from this time diarchy took place in Georgia and lasted up to 70-ies of the 1st century B.C.

K. Nadiradze

ABBAS QULI KHAN – Khan of Ganja and ruler of Kakheti (end of 17th – early 18th cent.). A. Q. was mentioned in: Vakhushti Batonishvili “Description of the Kingdom of Georgia” (K. Ts. IV, 1973); “Paris Chronicles” (1980); Parsadan Gorgijanidze “The History” (1926); Sekhnia Chkheidze “Life of Kings” (1913); Historical Documents (MGL. III. 1970, VI, 1972).

Shah of Iran (Sultan Hussein 1694-1722) assigned A.Q. Khan, Memandar (official, responsible for hosting of guests) of George XI (King of Kartli 1676-88, 1703-09) as the Khan of Ganja and later, as ruler of Kakheti (P.G. 67; P.O. 120-21; V.B. 606; S.Ch. 7; Ad. 1028, MGL. III, 691). A.Q. Khan praised George to the Shah and due to him George was enthroned in Kartli (P.G. 67). George XI wrote to A.Q. Khan that he was the slave of Shah and desired to visit him, but he postponed his travel. A.K. Khan wrote to Shah the letter describing relations between Erekle I (Nazarali Khan, King of Kartli 1688-1703) and George XI (P.G. 79). Shah’s commander, Haji-Ali appointed Qiasa as vizier of Nazarali Khan. He was ordered to strain the situation in Kartli and mislead A.Q. Khan, ruler of Kakheti (P.G. 80). A.Q. Khan sent to the court of Shah the Khan of Barda (city in Azerbaijan) and the representatives of George XI, who told to the

Shah about the contents of George XI's letter to A.Q. Khan. George changed his mind and did not intend to visit Shah, as he did not accept the guilt (P.G. 84). A.Q. Khan was ordered to arrive to Nazarali Khan to Tbilisi (P.G. 85). Nazarali Khan agreed with A.Q. Khan to conquer Ertso-Tianeti (historical region in Eastern Georgia, at upper reaches of Iori River). A.Q. Khan sent the Kakhetian troops and they conquered Ertso-Tianeti (V.B. 469-607). A.Q. Khan, with the troops of Kakheti and Ganja came to Nazarali Khan to assist him in the battle against George XI, but he was defeated, he retreated and came to Tbilisi (V.B. 470, 607). A.Q. Khan appointed the Mouravi Dushia as a commander of Kakheti troops (V.B. 607). Nazarali Khan sent the messenger to Shah and squealed on A.Q. Khan, stating that he was supporter of George XI. Shah believed to Nazarli Khan and sent the troops to capture A. Q. Khan and send to him (V.B. 471-72).

E. Kvachantiradze

ABRAAM (ABRAHAM) OF ALBATAN – Catholicos of the Armenians in 607-615. Earlier, he was the Bishop of Rsh-tuni, he was present at the Dvin Council in 607 and signed the laws developed at the meeting. The Council held in the same year elected him as Catholicos. A. was mentioned in: Arsen of Sapara "On the Division of Georgians and Armenians" (1980).

After decease of Nerses the Catholicos of Armenians (Nerses II – 548-557) A.A. accepted the throne of Catholicos* (A.S., p. 82). Catholicos A. requested from Kyrion, the Catholicos of Kartli (Kyrion I – 599-

614/616) to return Mose, Bishop of Tsurtavi exiled from Kartli to his church (On Dividing, 82). A. appealed to the clergy of Armenia (Priests of Ararat) to condemn Chalcedon Council (IV Ecumenical Council of 451. It has developed the symbol of Dyophysite religion, recognizing dual nature of Jesus Christ – divine and human. After Council the Dyophysites and Monophysites finally divided from one another) and renounce it. (A.S. 82) 4. Gomidas (Komitos) succeeded A. as Catholicos. Catholicos A.A. called the high priests of the monasteries** (Oshakan, Elivard, Aramun and Garnisi) of Ararat (central province of Greater Armenia.) and demanded from them either to damn Chalcedon Council or, otherwise, to leave their country (A.S. 90).

* Arsen of Sapara did not mention two Catholicoi and one administrator when the throne was vacant; these are: John II of Gabelen (557-574), Mose of Elivard (574-604) and Verthanes Querthol (604-607). See Arsen of Sapara, On the Division of Georgians and Armenians, Tb. 1980, p. 131

** Central province of Greater Armenia, including 20 gavars. It has always been the most significant province of Armenia. After dividing in 591, greater, western part of Ararat region joined to Byzantium and the smaller, eastern part, with the center in Dvin – to Persia.

T. Koridze

ABULABAZ – Armenian Eristavi of the 9th century. A. was mentioned in: "Matiane (chronicles) of Kartli" (K. Ts. I, 1955); Vakhushti Batonishvili "Description of Kingdom of Georgia" (K.Ts. IV, 1973).

At a time of Bugha-Turk's (Arab commander of 9th century) campaign in Mtiuleti (historical province in the mountainous region of eastern Georgia, in the gorge of Tetri Aragvi River) A., Eristavi of Armenians and

Guaram, son of Ashot notified the Mtiuleti population not to let them in (M.K. 256; V.B. 130).

E. Kvachantiradze

ADAM OF AREGATS – noble Armenian from Aregats. A.A. is mentioned in “Martyrdom of David and Tirichan” (MAGHL, I, 1963).

Author of “Martyrdom of David and Tirichan” names Nerses the Catholicos of Armenians and names as contemporary of A.A. Eristavi Vardan, the father of St. Martyrs David and Tirichan (186).

T. Koridze

AGHA-KISHI – Khan of Shaki (1755-1760) son of Aji-Chalab. A-K. was mentioned in: Papuna Orbeliani “Ambavni Kartlisani” (History of Georgia), (1981); Oman Kherkheulidze “Reign of Irakli II” (1989); Historical documents (Chr. III, 1967).

A.K. and Shaverd, Khan of Ganja set out to attack Kartli. They were met by the Lezghin troops of Kazakh-Borchalu (P.O. 200). A.K. and Khan of Ganja left Kazakh and encamped in Baidar* (P.O. 200; O.Kh. 53-54). On 10th July 1752, son of Aji-Chalab, A-K., came to Baidar with the troops (Chr. III, 620). King Erekle (Erekle II, King of Kakheti 1744-62) mobilized the army of Kartl-Kakheti, received assistance of Circassians and prepared for fight. When A.-K. learnt about this, he sent Aji, a man faithful to him to Erekle, to seek conciliation and sent with him Revaz Amilakhori and Edisher, the secretary, who were captured earlier. The Kings (Erekle II, Teimuraz II) rejected

conciliation. When A-K. arrived to the border of Kazakh and Shamshadilo Erekle caught him up and they fought. Georgians drove away A-K. and Khan of Ganja, captured 1500 people of Aji-Chalab and Khan of Ganja, as well as the noblemen of Shirvan-Shamakhia. They killed the commanders of Aji-Chalab. They gained numerous cattle, mules and camels. Defeated A-K. arrived to Shaki (P.O. 202). On 3rd September, when Erekle returned to Tbilisi from Circassia, he defeated son of Aji-Chalab (Chr. III, 620). A-K. mobilized the troops of Chari, Shirvan and Karabakh and arrived to Kazakh, where they broke the fortresses, ravaged the country and returned again to Kazakh, loaded with rich war spoils (P.O. 204). A-K. was at war to Kazakh, as: “You called me and I was defeated and Georgians eliminated my troops and I desire blood from you”. Therefore, A-K. was the enemy of Kazakhs, did not intend to leave and ravaged the country (P.O. 204-205). When A-K. learnt about arrival of Georgian troops intending to fight with him, he took his property and left (P.O. 205). A-K., who arrived with his troops, was ally of the ruler of Khundzakh in the battle against Georgians at Kvareli (P.O. 230). When Charians left the area surrounding Kvareli Fortress and returned to their country, A-K. returned as well (P.O. 231). On 3rd September 1752, King Erekle (Erekle II, King of Kakheti (1744-1762) defeated the son of Aji-Chalab (Chr. III, 620).

* According to O. Kh., that has happened may, 1753.

T. Koridze

AGHISTEVI (CURRENTLY AGH-STAFI) – river in the territory of current republics of Armenia and Azerbaijan, it flows through Kazakhi. A. was mentioned in: Vakhushti Batonishvili, “Description of Kingdom of Georgia” (K.Ts. IV, 1973). According to explanation by David the Rector (David Aleksii-Meskhishvili (1745-1824), Rector of Telavi Seminary) A. is the ancient name of Aghstafa (V.B. 306).

G. Otkhmezuri

AGHSARTAN – King of Shirvan (2nd half of 12th century). A. was mentioned in: “Histories and Chronicles of the Crowned Monarchs” (K.Ts. II, 1959); Vakhushti Batonishvili “Description of Kingdom of Georgia” (K Ts. IV, 1973); Niko Dadiani “Life of Georgians” (1962).

George III (King of Georgia 1156-84) assisted his nephew A, in the war against the enemies who came from the side of Daruband (city on the coast of Caspian Sea, currently Derbent), from the areas beyond Caucasian Range. A. owned the territories from Daruband to Khilkhala (Ferozapat in the Albanian sources). King George loved him like his own son. The King mobilized the army, took with him Andronike (Emperor of Byzantium, 1183-1185), cousin of Manuel, Emperor of Byzantium (Manuel I, 1143-1180) and set out. George III took over the cities of Shaburan and Daruband from the enemies and returned them to Shirvanshah (H. Chr. 17; V.B. 169). A. came to seek Tamar’s hand in marriage and promised to change his religion. His proposal was rejected and he returned disappointed (H.Chr. 44-5; V.B. 176; N.D. 95). Amir-Miran, defeated by Abu-Bekr (Atabag of Azerbaijan, late 12th

century) found shelter at Shirvanshah A. A. and Amir-Miran came to Tamar and asked for her help. Tamar assisted A. due to their family relationship. Meanwhile Abu-Bekr set out against Georgia. Tamar gave to A. and Amir-Miran the royal army and sent them to fight (V.B. 181-82).

E. Kvachantiradze

AGHSUNGHUL – Atabag of Rani (“Ar-Ran” Arab name of ancient Albania) (early 12th century). A. was mentioned in: “Life of David King of Kings” (K. Ts. I, 1955).

In 1224, David the Builder (King of Georgia 1089-1125) arranged campaign against Shirvan (historical land on the western coast of Caspian Sea) to drive away the Turk-Seljuks and conquered it. A. was going to the Sultan of Seljuks that escaped from Georgians with the great army. Troops of David the Builder killed his four thousand men. A. escaped alone and came to Sultan with great difficulty (L.D. 344).

E. Kvachantiradze

AJI-CHALAB (HADJI CHELEBI QURBAN OGHLU) – (1743-1755), creator of Shaki Khanate and its first independent Khan. In the 40-ies of 18th century he was the leader of fight for liberation from the power of Nadir-Shah (1736-47). The period of his rule was the time of unprecedented flourishing of Shaki Khanate. In 1755, after defeat in the war against Shirvan Khanate, the power of Shaki Khanate was eliminated. In Georgian sources A.Ch. was mentioned as Khan of Shak-Shirvan. A-Ch. was mentioned in: Papuna Orbeliani “Ambavni Kar-

tlisani” (History of Georgia), (1982); Oman Kherkheulidze “Reign of Irakli II” (1989); Historical documents (Chr. III, 1967); Documents issued by Erekle II, 1736-1798 (2008).

A-Ch. was a holder of army at Dagestan side and all respected him (P.O. 148). He was from Shaki and the holder of Shaki and Shirvan (P.O. 166). Erekle (Erekle II, King of Kakheti 1744-62, King of Kartl-Kakheti 1762-98) attacked Kizilbashs in Tbilisi fortresses, defeated them and took over the fortresses (1748). Khans of Ganja and Yerevan – the lands of Azerbaijan, scared by this and A-Ch. among them sent the gifts to Erekle (P.O. 148). Khan of Ganja asked support from Erekle to protect from the attacks of Fana-Khan, owner of Karabakh. Erekle called the Muslim Khans, his allies and A.Ch., owner of Shak and Shirvan among them. A.Ch. told Erekle that he would come with his troops where he would order (P.O. 166). Georgians fought bravely in the battle against Fana Khan and they gained victory. Troops of Yerevan, Ganja, Shaki and Shirvan, commanded by A-Ch. did not participate in Georgians’ victory (P.O. 169). Erekle and Teimuraz (Teimuraz II, King of Kartli 1744-1762) dismissed A-Ch.’s and Shirvan troops from Bargushat (territory of Armenia) and arrived to Ganja with the others troops (P.O. 172). All chiefs of Dagestan gathered and set out to Kartl-Kakheti with great army of Lezghins. The Kings (Teimuraz II, Erekle II) took the battle and defeated the Lezghins. People of A-Ch. congratulated Georgians with the victory over the Lezghins (P.O. 178-179). Lezghins, defeated by Georgians left, some for Kaki and some – for A-Ch.’s estate (P.O. 179). Nephew of A-Ch. was invited to the wedding of King Erekle (Erekle II,

